



საქართველოს  
ხელნაწილების

# მნათობი



1-2<sup>+</sup>

---

2002



# მნათობი

ფულიყადი 78-ი

№ 1-2

2002 წული

საქართველუს მწერალთა კავშირის ორგანო

დაფუქცებლები:

საქართველუს მწერალთა კავშირი  
და შუჩნალ „მნათობის“ რედაქცია

## შინაარსი

### პოეზია, პროზა

შოთა ჴოიძე – ნითელი თოვლი. პოემა .....	3
მამუკა დოლიძე – არაფრის შესახებ. რომანი .....	12
იური კახნიავილი – ლექსები .....	77
ნიკა შენგულია – ძალა სიკეთისა. ჴლპარი .....	78
ვახტანგ ახვლედიანი – ნკვერტინები მღვალდი სოფელია. ნოველა .....	82

### კრიტიკა, პუბლიცისტიკა

ნიმე ასათიანი – ბალაკტიონი პოეზიის არსისა და მნიშვნელოზის შესახებ .....	90
ნონე არჩვაძე – გურამ დოჩანაშვილის ოთხი მოთხრობა .....	98
ავთანდილ ნიკოლეიშვილი – იაკოპ გოგევაშვილი და აფხაზეთი .....	103
თინე შიოშვილი – სიკვდილ-სიცოცხლის პროგლემა აზარის მითოლოგიურ გადმოცემაში .....	110
მარინე კოვაშვიძე – მღვანელოური მოტივები ანტონიუ მაჩადოს პოემაში .....	113
ჯემალ ლეჟავა – პუბლიცისტი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე .....	117

იბ. მე-2 კვ.



**შინაარსი**  
(ვაგრძელება)

**თვალსაზრისი**

თამაზ ჭილაძე - საპარტიო-სახელმწიფო ენა ..... 124

**მეცნიერება**

კარლო ზღაპიძე - არისტოტელის მეტაფიზიკისა და ესთეტიკის  
მიმართების ზოგიერთი საკითხი ..... 127  
ვახტანგ გომილაძე - ვატრა იბარის გომორაფიის ერთი დეტალი ..... 134  
ვალერიან ითონიშვილი - იესა ბარათაშვილი -  
ფოლკლორული ეპოქის ცხოვრების მიმართება ..... 141

**თარიღი**

**არჩილ სულაკაური-75**

თამაზ ჭილაძე - არჩილ სულაკაურის ბახსენება ..... 148

**ხალკოვნება**

მანანა ანდრიაძე - „უფალი - ძალა ჩემი, ჩემი ბალოა უფალი“ ..... 150


ს. ....  
სი. ....  
სს. ....  
სტ. ....  
სფ. ....  
სხ. ....

**სიბრძნისა და სიბრძნის**

ს. ....  
სი. ....  
სს. ....  
სტ. ....  
სფ. ....  
სხ. ....

**მთავარი რედაქტორი**  
**თამაზ ჭილაძე**

სარედაქციო საბჭო:  
მარიამ აგიაშვილი  
ანდრო ბუაჩიძე (მთ. რედაქტორის მოადგილე)  
აკაკი მინდიაშვილი  
მანანა მიქელაძე  
მზია შატბერაშვილი  
ვაჟა ჩორდელი





## ნითელი თოვლი

თანამედროვე პროზა

### პროლოგი

იყო ხელო, იყო დილა...  
დაბადება, თ.1.

გვიდგას დღეები ცივი და მკაცრი,  
სისხლი მოეონავს ჩემი ნეკნიდან...  
დასაბამიდან ქართველი კაცი  
თვითგადარჩენის თოვზე ვკიდა.

თვითგადარჩენის გუთანს ვკიდა,  
ოცნებით ცაზე იმედი ხატა  
და გამოძერწა მეცხრე ნეკნიდან  
ლეთისმშობლისა და ჯვარცმულის ხატი.

ყოფნა-არყოფნის პერანგი ეცვა,  
უჩინმარინის ქუდი ესურა,  
სხვა იქნებოდა იმისი ზეცა,  
სინძარში ღმერთი რომ არ ეზილა.

ხელში ეჭირა ცული და კეტი,  
პირველყოფილი დამლით და ნიშით  
და იყო ფრთხილი ზომამზე მეტად,  
გარდაუვალი ხიფათის შიშით.

დიდი ღმერთია მხილველი ყოვლის,  
ასე იყო და იქნება მუდამ,  
მაისის წვიმა, თებერვლის თოვლი,  
მიჰყავს და მოჰყავს საითაც უნდა.

საითაც უნდა და როგორც უნდა,  
მიჰყავს და მოჰყავს გუნდად და გუნდად,  
არ დაგვიბრუნა ცხოვრებამ ხურდა,  
ყველაფერს დროზე დანახვა უნდა.

ჩემი მკითხველი ვერ ვიპოვე მაშინ,  
არ გვეყო ნიჭი მამულის მოვლის.  
თავად მიხედები ამ პოემაში  
საიდან გაჩნდა წითელი თოვლი.

### 1

ინანა უფალმა, რომ შექმნა  
ადამიანი ამ ქვეყნად და შექუხდა.  
დაბადება, თ.6.

მე და შენ ვიცით ხვალ რა მოეღოს  
ადამის ძეს და ადამის მოდგმას,  
დაიმსხვრა ძველი და სხვა დრო დადგა,  
ამოირჩიე გნებავს რომელიც.

ამოირჩიე გზები ნათელი,  
გზები, ჯერ კიდევ ფეხით სავალი,  
რომ ოცნებები ლამენათუევი  
და იმედები კიდევ მრავალი.

გამრთულდეს და არ დაახამრო,  
არც იყოს ადრე და არც გვიანი,  
მიწის ამარა და მზის ამარა,  
ადამიანით — ადამიანო!

მე და შენ ვიცით ახლა რა დროა,  
ახლა ძნელია წარმოსადგენად,  
რომ მიწას ისევ ატყვევია ტროა,  
სპარტა, ათინა და კართაგენი.

და მაინც კაცის მხრებს დიდება,  
კაციდან კაცში ცოცხლობს რომელიც,  
იგი დღეს უფრო მეტად გვეკირდება  
და კიდევ უფრო დიადს მოველით.

სამყარო თავის სფეროზე დასტევს,  
გვეჯეროდა, გვექონდა და გვაქვს იმედი,  
რუსთაველს, პუშკინს, შექსპირს და დანტეს,  
ბრუნოს, მაკელანს და არქიმედეს.

ვიდრე ცოცხლობ და შენი გზით იარ,  
არ უნდა მისეე მიწას ზიანი,  
პატივი უნდა სცე ადამიანს,  
ადამიანით — ადამიანო!

სამართხილის  
მედიანული  
ლიბრერი

მე დაეიბადე და ვიცი ერთი,  
რომ შენ გეკუთვნი გაჩენის დღიდან,  
ჩემი უფალი და ჩემი ღმერთი,  
ჩემს წილ სიხარულს ზეციდან ღვრიდა.

წავგართვეს თვალისჩინი და მსხვერპლი  
აღარ იძლევა ნათელს ზაქისი,  
ჩრდილოეთიდან გვიტყვს ქარბუკი,  
ხოლო დასავლეთს ჩვენი არ ესმის.

სულ ცოტა მყოფნის და ხარბი არ ვარ  
და მინდა შენი გზებით ვიარო,  
ვიცოცხო, როგორც ადამიანმა  
და მოკვდე, როგორც ადამიანი!

აღარც თვედორე, აღარც თორნიკე,  
აღარც დიმიტრი თავდადებული,  
ამ ჩვენს სიხსლია საუკუნეში  
არცერთი აღარ დაბადებულა.

2.

როგორ ვუყურო ჩემი მშობლიური  
ხალხის განადგურებას?

ესთერი, თ.8.

ვიყავი მუდამ გამარჯვ და მშვიდი,  
ვიძინდი რამეს თუ არ ვიძინდი,  
თუ არ მომწონდა, უთუოდ ვშლიდი  
და თუ მომწონდა, წამსვე ვიწერდი.

აღარც დავითი, აღარც ვიორგი,  
აღარც ვახტანგი, აღარც თამარი,  
სირცხვილი ჩვენი — ვეღარ ვივარგეთ,  
ღვევებს მივევარეთ ისევ ყამარი.

ერის დიდება ისე შემუსრეს,  
შემოვკრნა მხოლოდ ფუჭი ოცნება,  
აღარც ქართული სინდის-ნაშუსი,  
აღარც ბავჯალო პატიოსნება.

მიმოდოდა დღეები უბნოდ,  
მე იმ დღეების მქონდა იმედი,  
მე ხშირად მეღო ნაწერი მუხლზე  
და ძალიან ბევრს ვიზეპირებდი.

აღარც მესიას აღარ უხმენენ,  
დაისადგურა ყინვამ და სუსხმა,  
მაგრამ მე ახლა მაწუხებს სულ სხვა  
დარდი, ვულიდან ამოუსვლელი.

და რაც ხდებოდა ცხოვრების შივნით,  
სუველაფერი თავის აკარგით,  
წაუკითხავი მეგონა წიგნი,  
რომელიც სადღაც ბაღში დავკარგე.

თვალეში მიმზერს სოფლის სიყრუე,  
სოფლის სიყრუე და სივერაგე,  
უდაბურ კუნძულს ვეღარ მივაგან,  
რომ დავდგე მარტო და შენ ვიყურო.

თუმცა მაშინაც არ ვიყავ ბავშვი,  
ჩემს ორგელივ ბევრი რამე ხდებოდა,  
და რაც ჩემს სულში იხედებოდა,  
სუველაფერი მჯეროდა მაშინ.

ღამე შავია, როგორც მელანი,  
შავი მელანი ძალე ილევა  
და ბეწვის ხიღზე ვედავართ ვველანი,  
წასულებიც და დარჩენილებიც.

3.

სუველაფერი მიმქონდა გულთან,  
სუველაფერში ვეძებდი სითბოს,  
როგორც ეძებენ ზღვის ფყერზე მუდამ  
ძალიან ღამამ ქვებსა და ხვითოს.

რადგან ვისიღე, რაც არ ვიცოდი,  
და შესისი, რაც არ ვიცო.

მესამე ესრა, თ.10.

ვაკვირდებოდი ზოგჯერ ზერელედ,  
ვევლაფერს დროზე უნდა დანახვა,  
როგორც სავეარულ ქალის წერილი,  
მეკარგებოდა აზრი ხანდახან.

მოდის წვიმა და ნისლი ინთქმება,  
წვიმა გადასწვდა მთებს ბურსაჭირისი,  
მე არ ვკითხულობ სვალ რა იწება,  
მე ვიცი, ახლა სად ვარ საჭირო.

თუ ვიპოვიდი, მე არ ვიცოდი  
და არ შემეძლო მისი დადგენა,  
ღირდა თუ არა მხილება ცოდვის,  
ჩემი და სხვათა გულის სატკენად.

რასაც ექარგავდი და რასაც ვრგავდი,  
მით გავამწვანე ჩემი ქალაქი,  
თუ კაცს არა გატებს პატარა დარდი,  
ისე სიცოცხლე ქვეყნად არა ღირს.



ვინ გაიარა წუთისოფელი,  
სიხარულის და სევდის გარეშე?!  
თუ გუშინ გქონდა თვალი სოველი,  
დღეს მზე ჩაგზედავს ფართო თვალებში.

იყო დრო დიდი ფერიცვალების,  
ქარში კოფანტავდი მზეში შექენილს,  
მზემ ამიხილა მაინც თვალები  
და ჩემი თავის პოვნა შეეძელი.

მქონდა გუთანი გაუმართავი  
დარში... ავღარში... მზეში... წვიმაში...  
ვიყავი მუდამ ცამდე მართალი  
შენი და ჩემი თავის წინაშე.

მაგრამ სახელი დაარქვეს სულ სხვა,  
ზამთარი — საფუხვს, საფუხვი — ზამთარს...  
მაინც მოძაგრო თებერვლის სუსხმა  
და ქარი ფანტელს მატყლივით ართავს.

თოვლმა მთლიანად შთანთქა ქალაქი,  
თოვლმა გაუღო კარი ზღაპარსაც,  
მოვარდა მარტი — მწვანე დალაქი  
და ზამთარს თეთრი წვერი გაპარსა.

ტალღა ნაპირებს ღოცავს და ღოცავს,  
ციხარტყელამაც დამალა წივი,  
ღრუბლებში ღმერთებს გაუტყდათ კეცა  
და წამოვიდა უუუუნა წვიმა.

ეს ყველაფერი ხდებოდა განგებ,  
ეს ყველაფერი ხდებოდა უხმოდ,  
ხელს ეუფათურებ უხილავ საგნებს  
და გაზაფხულის სიმწვანეს ვუხმობ.

როგორც რწმენას და როგორც იმედებს,  
რომ შეფოთლილი ვიდგე ხესავით,  
მინდა, ფოთლების მთელი სინდელე,  
სულში დაგუბდეს მღინარესავით.

ქარი და წვიმა, წვიმა და თოვლი,  
მზე და სინათლე, სიტკბო, სუვეში...  
სუველაფერი ჩამდგარა თრთოლვით  
სულსა და გულში, თვალის გუგებში.

ერთდება მთები, მთები და ფრთები,  
მე მთებში ვემბე საყუთარ სახეს,  
მე ჩემი დროის ტკივილით ვთვრები,  
მაღლდება ჩემი ჭერი და სახლი.

მაღლდება ჩემი ღობე და ყორე,  
ქო და კარი, ზვარი, საყანე...  
— კარვია! — ვილაყ მემახის შორით,  
როგორც მეგობარს, ძმას და საყვარელს.

იმ ცას და მიწას ბევრი შენატრის,  
ჩემი წინაპრის ხმა რომ ისმოდა...  
და მეც ავსცილდი მიწის ზედაპირს  
და შევეურთდი მარადისობას.

აღარაფერი მეუცხოება,  
ბედმა მარგუნა კარგიც და ავიც...  
ასე დაიწყო ჩემი ცხოვრების,  
ჩემი პოემის მეოთხე თავი.

4.

ნ.დ-ს

რაც შენ ვიპოვე, მერე დაგეძებ...  
მამინაც წვიმდა, წვიმდა, ბნელოდა...  
სიბნელე ეგდო ლიანდაგებზე  
და განშორების წამებს კელოდი.

ლამეს ებრძოდა ქარი ბებერი,  
ის თქემი წვიმა მაინც რა იყო?!  
და სადგურს გასცდა მატარებელი  
და ჩემი დიდი დარდი წაიღო.

და ჩემთან დარჩა ლამე, ბაქანი  
და სახლში მალე მისვლის იმედი.  
საესე ვიყავი თურმე აქამდე,  
ერთ წუთში როგორ დავცარიელდი?!

ახლა მამხნევებს მეუდრო ოთახი,  
წვევარ და ვფიქრობ თვალდახუჭული...  
ფიქრებს სხვა თემა ვერ მოკუნახე  
და ჩემი სულის ყველა კუნჭული

და ჩემი გულის წვა და ღაღადი  
შენით ხუნთქავს და შენით იესება  
და მეუფლება აწ და მარადის  
კეთილშობილი კაცის ღირსება.

ჩამესმის შენი გულის ხმაური,  
როგორც ქარების სტვენა მთამხელებს,  
შენ კი ბორბლების აურზაური  
ნერგებს ვიშლის და აღარ გასვენებს.

და თუ ინებებ, დუმილს მოგიტან  
და შენს წინაშე მირონად დაგღვრი,  
დაგალეუნიებ ჩემი კოვიდან,  
დაგალეუნიებ და ისე დაგვლი.

რომ დარწმუნდები შენსაგით მკვირცხლი  
დილა მოდის და ღამე ითქმება,  
მე მჯერა, რომ შენც გჯერა და იცი —  
დუმილით ბევრი რამე ითქმება.

კიდევ ერთი დღე და ერთი ღამე —  
ეს იყოს ერთი და სხვა ათასი,  
იქნება მოხდეს ისეთი რამე,  
რომ აეკისო და დაეცალო თასი.

მაფორიაქებს ისევ და ისევ,  
ეს მოლანდება, ეს სინამდვილე,  
დამშრალ ზღვებს დიდი სურვილით მივსებ  
და ზღვებზე ნავარდს შენ მიაღვილებ.

თითქოს მიკვივარ, თითქოს არ ვიციდი,  
ჭა მელის შორი, ჭა უსასრულო  
და სუველაფერს ისე განვიციდი,  
არ ვიცი, სიტყვა სად დავასრულო?!

სად გავუხწორო თვალი ცდომილებს,  
იქნება ყველა ცთომილს შენ ახლდი?!  
თქვა, რომელ მზესთან დამამოძობილებ,  
ან მარქვი, რომელ ვრიგაღს შემახლი?!

როგორც გასძახებს ირემს ირემი,  
შენ შეძახოდი, — ჭკვიანი ბავშვი...  
სიცილით ღამის ვადვირივით,  
გვიკვირდა ჩემი ჭლარა თმაში.

და ვიხაროდა აპრილის თოვლი,  
აპრილის თოვლი, ზამთრის კი არა.  
შენ შეძახოდი ამაყი თრთოლვით  
და სულში გენთო ცეცხლი ბრიალა.

და ვველაფერი ეს იყო გუშინ,  
ეს ფორიაქი და ალტაცება.  
შენ რომ ნიავე შთამბერე გულში  
ამოვრიგაღდა და აღარ ცხრება.

5.

რაც თქვენ იცით, მეც ვიცი,  
არც მე ვარ თქვენსე ხალხები.  
იობი. თ. 13.

ცხრაას სამოცდათხუთმეტი წელი.  
მოსკოვი. ცივი ზამთარი კრცელი.  
მეტროს საღვური, ტრამვაის ხაზი,  
ყველაფერს ერთად აქვს აღბათ აზრი.

აქვს აღბათ აზრი რასაც აშენებ,  
ხარ ყოველ წუთში საქმით გართული,  
მსურს მოგიტანო და მოვაშველო  
ჩემი თამამი სიტყვა ქართული.

მსურს მოვაშველო ჩემი ხელები,  
ხელები, ყოველისშემძლე ხელები,  
ჩემი ყანა და ჩემი ვენახი,  
ვენახი ავ თვალს რომ არ ენახვის.

ჩემი ზღვა — ჩემი ოქროს საბადო,  
ზღვაზე გემები, ალბატროსები...  
მე ვიცი, რომ ზღვა არის ვაბეღვა,  
ზღვაზე ყველანი ვართ მატროსები.

რომ მიწა უხმობს ზღვაზე წასულებს,  
ზოგჯერ სოფელიც ბინდისფერია.  
დაობლებულა მეფის ასული,  
დალხინებულები ძლიერ ბევრია.

ზოგის დაფნა და ზოგის ეკლები,  
ზოგს გვირგვინი და ოქროს საყურე...  
შენ ჩემი ჯავრი ნულარ გექნება,  
მიხმე, მიბრძანე და მიმსახურე.

დაბრძენებულა ჩემი ასაკი,  
რა ვუყო, რომ ჯერ მამა არა ვარ,  
გარდაამხდა ომი და მეც მას აქეთ  
ვდარაჯობ ჩემი ქვეყნის გაღავანს.

ერთი რაუნდი კიდევ დასრულდა,  
ბრძოლა ფარული ისევ წინ არის.  
პირისპირ ვდგავარ ქვეყნის წარსულთან,  
ისე ვით მალალ კლდზე ჩინარი.

რომელსაც ახსოვს მამა-პაპათა  
საქმენი, ბრძნული და საგმირონი.  
ამ მიწამ დიდი შოთა დაბადა  
და ქართულ სიტყვას ასე მირონი.



აქ მხარში ედგა ხოფელს სოფელი,  
ქალაქს — ქალაქი, კედელს — კედელი.  
და ჩემი ხიტყვა ბნელში მყოფელი  
გახდა ახალი ქვეყნის მჭედელი.

ახლა ვის რა აქვს ჩემთან ხადავო,  
ვიცანი, შური უკვე ვინც არი,  
ლულუში — არა, ხიდთან დანდალოს  
ზურგში ქურდულად მტყორცნა ისარი.

მას შემდეგ დამაქვს მზერა უხეში,  
ჭადაჭა მხედება უცხო არდილი,  
შებმული ქართულ სიტყვის უღელში  
და თანაც ზურგში ისარგაჩრილი —

მიკვები ჩემი დროის მდინარეს,  
ასე ვიშუშებ მძიმე იარებს.  
გალვიძებდა მიწას მდინარეს  
და გაზაფხულის სუნი ტრიალებს.

გაზაფხულს მოჰყავს მზე და ჩიტები,  
რომლებსაც მოკვთ ტებილი ჰანგები.  
კაბაბოსი კვლიც მოიხითება  
და ყვავილებში დავყარავები.

6.

ნეტარ არის სიმათილისათვის დეხილნი,  
ვიხილად მათი ცთა სასუფეველი.  
**სასარება მთესი, თ. 5.**

მე ის ბავშვი ვარ, უდაბურ ტყეში  
რომ გაიყვანე და მიატოვე,  
შიში ფაროვით მეჭირა ხელში  
დაბურული ტყის და სიმარტოვის.

ასე უღმერთოდ რად მიმატოვე,  
„არსაიდან ხმა, არსით ძახილი“.  
უდაბური ტყე და სიმარტოვე  
მემჩნებოდა როგორც მახვილი.

თითქოს ცარიელ ქვევრში ჩაძახე,  
ტყემ დამობრუნა ჩემი ძახილი,  
ამო იყო ყველა განზრახვა,  
ამო იყო ყველა საძახილი.

მეუფლებოდა დაღლა თანდათან,  
თოვლივით ცივ, დარდივით მძიმე,  
მე აღარ მახსოვს როგორ დაღამდა,  
როგორ დავწყვი და დავიძინე.

მე აღარ მახსოვს როგორ კენჭობდა  
ქარი... გამიერთა ის შემფოთებაც.  
აღარც ფრთოსნების სტვენა მესმოდა,  
აღარც შრიალი მწვანე ფოთლების.

აღარც შიში და ფიქრი ავ-კარგზე,  
აღარც აღმართი, აღარც დაღმართი,  
რაც მთავარია, შიში დავკარგე,  
რადგან გონება ძილმა წამართვა.

ეკვიც წამართვა, დარდიც წამართვა,  
მწუხარებაც და ბედნიერებაც.  
და ერთი სიტყვეთ ვაგზდი წარმართი,  
პირველყოფილი ქვეყნიერების.

მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით,  
სინამდვილეში ასე არ იყო.  
ვიგრძენი ნედლი ფოთლის შეხება  
და სინამდვილის კარი გაიღო.

გამომვლიდა, ვიგრძენ ნოტიო  
ჰავა, ფოთლები, ოდნავ სიცივე  
და ყველაფერი იყო მარტივი,  
აღმოსავლეთი და მზის სიცილი.

და ყველაფერი იყო ღამაში,  
მზე და ფოთლები, თეთრი ღრულები.  
მზე ამოვიდა და მე ამავსო  
იმედით, რწმენით, თავისუფლებით.

7.

ახლა იღვიძებს ყველა ატომი,  
დაძაბულ ნერვებს დილა ამშვიდებს.  
მე სულ პატარა სათბოს უნატრობდი,  
ვინ ამისრულებს ნატვრას მაშინდელს?!

როგორ ვყავ და როგორ ვცხოვრობდი,  
ვერა და ვერ ვთქვი ჯერ მესამედიც.  
გარდასახდელი ბრძლის მოლოდინს  
ყოველდღე ვხედები და კუსალმები.

საქმე როდია მარტო მოსწრება,  
სულ სხვაა, როცა ვინმე დავიშლის,  
დონკინოტივით ვაზრდილ ოცნებას  
კლავს მოლოდინი დიდი ქარიშხლის.

და უხილავი ნიავის ფრთებით  
ირეკებოდა ღუმელის ზარი,  
როცა გამოჩნდა ნაცნობი მთები  
და სინამდვილის გაიღო კარი.



მე დაეარღვიე სიჩუმე ბოლოს,  
რომ გამეტება ეჭვი ფარული,  
ყველა თავისი ცხოვრებით ცხოვრობს  
და ბოლოს კვდება ამ სიყვარულით.

მე სამშობლოში სამშობლოს კეძებ  
და კაცმა რომ თქვას, რას შემართლები,  
თუ კი ყველასთვის და ყველას ბედზე  
დაწერილია მისამართები.

თუ ყველაფერი არის წინასწარ  
აწონილი და ჯაგმანდასმული,  
ალბათ, იფიქრებს კაცი იმასაც,  
რომ ყველაფერი უკვე დასრულდა.

მაგრამადრეა, რა დროს ეგ არი,  
გზა, გზა. ძვირფასო, დროს ნუ დაკარგავ.  
რწმენა ჩაიციე როგორც ბუთარი,  
მერე განსაჯე ქვეყნის ავ-კარგი.

დროა გაიძრო ყალბი პათოსი,  
რწმენა ჩაიციე როგორც პერანგი.  
დიდია სიერცე და ასპარეზი,  
როგორც ეს ცა და არქიპელაგი.

სწორედ ის არის, რასაც ნატრობდა  
შენი გული და შენი გონება,  
გახლენილია ორად ატომი —  
პროტონებად და ნეიტრონებად!

## 8.

ჯონს მოდიე უკუნურხო ერისანო;  
უქვეარხო, როდის დატკვიანებით.  
ყსადმუნნი, ფ.92 (93).

ჩემი ბავშვობის ტყე რომ წამართვი,  
ასე უღმერთოდ რატომ გყავე?  
ალარც ძალადი მთების აღმართი,  
ალარც შაშვი და ალარც კყაბი.

ალარც ქედნები, ალარც მერცხლები,  
საით გაფრინდით, ჩემო მერცხლებო!  
ნუთუ ხვალ მართლა აღარ მეტლება,  
ნუთუ ხვალ მართლა შევიკერცხლები?!

რა იქნა ჩემი მწარე ზღაპარი,  
ჩემი „წიქარა“ ნუთუ დასრულდა,  
რა იქნა ჩემი მეფის სახლ-კარი,  
ჩემი ლამაზი მეფის ასული?!

საით წავიდნენ ჩემი დათვები,  
ჩემი დევები, ოქროს ვერძები,  
გავა მარტი და როცა დათბება,  
მათი გზა-კვალი უნდა ვეძებო.

ახლა კი, რადგან ვიხმე წარსული,  
დევებთან ომი მიწვეს ისედაც,  
ჩემი ლამაზი მეფის ასული,  
ნეტაეი როდის დამესიზმრება?!

ორღობა და ძაღლები ყვეფენ,  
ქარია და ცა მიუსაფარი.  
აი, გამოჩნდა შიშველი მეფე,  
მაგრამ პატარა ბიჭი ხად არის?!

ანდერსენს რატომ ვუხმე ნეტაეი,  
ვინ დამიჯერბს, რომ მე ვარ იგი...  
რომ მეც ვიყავი ერთ დროს შენსავე  
გატაცებული ბუნების წიგნით.

რომ შენს პატარა ბილყს გავყევი,  
მაგრამ ყოველი არის წარსული,  
ალარც ტკბილი და მწარე ზღაპრები,  
ალარც ლამაზი მეფის ასული.

ალარც ლბინი და ალარც ომები,  
ალარც ძეობა, ალარც სიყვდილი.  
ეს ყველაფერი განმარტობით  
შორიდან მოჩანს რალაც ბინდივით.

ნუთუ ოდესმე გასხივოსნდება,  
ის, რაც ყოველი ასე დამშორდა?  
ტყე ვინ გადაწვა შენი ოცნების,  
გაწბილებული ჩემო ბავშვობაე?!

## 9.

შენ რომ ვიგონებ, ამაყო ბიჭო,  
ასე მგონია ზღვის ხმაურს ვუსმენ,  
შენ რომ ვიგონებ, ამაყო ბიჭო.  
ვიღაცა გულზე მაჭედებს ლურსმნებს.

დრო სწრაფია და აღარ მოიციდის  
ჯალათის ტყვიამ ღტოლეა დაგიცნო,  
უცნობი იყავ გუშინ ზოგისთვის,  
ზოგმა სიყვდილის შემდეგ გაგიცნო.

გვხურდა სიძმართლე არ დაგვეჯერა,  
მომი და წამით ნუ დაეჭვებები!  
წიგნი, რომელიც ხელში გეჭირა,  
და შენი ტანის ანაბეჭდები



თოვლზე ვყარა როგორც ველები,  
სიყვდილის ხელით მოწვევტილ ვარდის.  
შენ ჩვენს თვალეზში აირეკლები,  
თოვლში დაღვრილი ცრემლით და დარდით.

ერთი ლამაზი ასულის ეშხით  
საცრისოდენა თვალეზს ახელდი  
და საყვარელი წიგნებით ხელში,  
უკანასკნელად ზღვაზე გაბედი...

და შევრიე უხილავ სივრცეს,  
მარადისობის ბურუსს მიაპობ...  
მთელი სამყარო ლოდად რომ იქცეს,  
შენ მაინც დეღის ცრემლში კიაფობ,

რომელიც ზღვაში შეღის ფიცვივით  
და მოგუწუნე ტალღებს ამშვიდებს,  
რომ დაამარცხოს ქარის სისინი,  
ხელი შეუკრას ტყვიას მაშინდელს.

ბულვარი მოგავს ხასტიყ განაჩენს,  
გრივალი ჩადვა, გაწყდა აღვირი...  
ვეღარ ვუწყოვრებთ თვალეზს ძამაშენს,  
სისხლი ხარ მისი თოვლში ჩალვრილი.

სული ხარ მისი ცაში წასული.  
ქარმა წაშალა შენი ვზა-კვალი.  
სული ხარ მისი ცაში წასული  
და თოვლზე ბრწყინავს შენი ვარსკვლავი.

ენ იფიქრებდა მაინც ამ დღლით,  
ხასწაულაა დედაბუნება,  
გაფრენა იყო შენი სიყვდილი  
და შერე უკან არ დაბრუნება.

10.

მე აბლა ქალაქ N-ში ვბინადრობ,  
ქალაქი არის საყმაროდ დიდი.  
აქვს საყუთარი ცირკი, თეატრი...  
თეატრში ზოგჯერ „ოტელო“ მიდის.

ხშირად ივსება დარბაზი სედიით,  
შხით და სინათლით, წვიმით და ქარით.  
ლამაზი ბავშვი — ლამაზი დედი,  
ლამაზი ცოლი — ლამაზი ქმარით.

ერთმანეთს მოგავს გაჭრილ ვაშლივით  
ქუჩებს — ქუჩები, სახლებს — სახლები,  
ხან მათხოვრები ხელბეგაშლილი,  
ხან მაწანწალა ქუჩის ძაღლები.

ციებ-ციებდება ჭრელი დახლებში  
ტრამეაის ხაზი, ჭებები... რელსები...  
თანამედროვე სტილის სახლები,  
„ფიატები“ და „მერსედესები“.

წუთისოფელი მიდის და მიდის,  
ქალაქის ბოლოს შალალი ბორცვით...  
ჯერ კიდევ თითქმის შორსაა ბინდი,  
ორთაბრძოლაა სულის და ხორცის.

ის მოყლეს დღისით და არა ღამით,  
პატარა ბაღში, არ ჰქონდა ფარი...  
ის მოყლეს, იგი ვერ გახდა მამა...  
ის მოყლეს, იგი ვერ გახდა ქმარი...

ის იყო ომში სიყვდილის ღირსი...  
რა უნდა ჰქონდეთ იმასთან სამტრო?!  
არავინ იცის რატომ და რისთვის,  
არავინ იცის რისთვის და რატომ?!

იგი მოყლეს მომავალ ცოლ-შვილს,  
სათხო ბავშვი და ერთგული ყოვლის.  
ის მოყლეს, სისხლი გაციედა თოვლში,  
ის მოყლეს, სისხლმა შეღება თოვლი.

ის მოყლეს უღვთოდ, მე იგი ვიცან,  
მე მას საყვლო შევეუხუნ თრიოლეით,  
საყვედურივით დააჩნდა მიწას  
ცივი სისხლი და წითელი თოვლი.

მეკლელიც ვიცანი ღმერთის მგმობელი,  
წითელი თოვლი ნახეს ბავშვებმაც,  
წითელი თოვლი, თოვლი, რომელიც  
იმათ თვალეზში აღარ გაშრება.

და მე მგონია ისევ და ისევ  
ითქმება, რა თქმა უნდა, ითქმება...  
ქალაქის თაჭზე ჭადარა ნისლეზს  
დააქვთ წვიმებით საყვე ვიქნები.

ზღვა, შადრევანი და „ინტურისტ“...  
შავი ყავა და თეთრი ქალები...  
მე ვცოცხლობ მხოლოდ შენი  
გულისთვის,  
რომ ჭიბდო მთელი ქვეყნის ვალები.

თუმცა აქვია თეთრი კარეტა,  
გული შენია და შენი ტყვეა  
და მელოდება ღია კარებთან  
მარტინოვის და დანტესის ტყვია.

## 11.

შავი მდინარე... ტყე და ღუელი...  
თოვლი და თოვლი... და თოვლის ძველვეი...  
ვიცი, ღუელში სიკვდილი მელის  
და ისიც ვიცი, ვინ არის მკვლელი.

მე ისიც ვიცი, კერავინ მისხნის,  
მე ჩემს რწმენას და სიყვარულს ვიცავ.  
შეღებლია პოეტის სისხლით  
წიწამურის და პიტერის მიწა.

პუშკინი მოცლეს, ილია მოცლეს,  
ლერმონტოვს სისხლში აუცრეს ტყვია.  
საგურამოსკენ ჭა არის მოცლე  
და წიწამურთან პატარა ტყეა.

ყვარლის მთებიდან ცა არის შორი,  
ცაში — ქორი და არწივის მზერა.  
ორიდან ერთი (ჭა არის ორი)  
ამორჩიე, რომელიც გვჯერა.

წყველა თუ კრულვა, ლოცვა თუ ფიცი,  
(ვიცი, მომელის ორიდან ერთი)  
ამ ქვეყანაზე ერთი ჭა ვიცი,  
ჩემი მშობელი ხალხი და ღმერთი.

მაღალი ცა და გამლილი სიერცე,  
მამადავითი და წმინდა მნათე.  
საქართველოში ერთი მთა ვიცი,  
შეფარებული მთაწმინდის კალთებს.

და რადგან სიონს სიონი ჰქვია,  
ვიცი, არ სძინავს ჩემს სულელ მტერსაც.  
და წიწამურში ნასროლი ტყვია  
საქართველოში ზუსტუნებს დღესაც.

ილია მოცლეს, პუშკინი მოცლეს,  
ტიციანს სისხლში აუცრეს ტყვია.  
საგურამოსკენ ჭა არის მოცლე  
და წიწამურთან პატარა ტყეა.

## 12.

## ოთარ ჭილაძეს

რეაქტიული თვითმფრინავით,  
როდესაც მიწას მალლიდან ვუმზერ,  
ბებური მიწის ფილტვები მტკივა  
და ცხელი ქარი მესლება ვულზე.

დღესა და ღამეს, როგორც ბიბლიას,  
ციდან ვკითხულობ (ბედიც ეს არის)  
და გადმოვყურებ ქვეყნებს იბლიანს,  
ადამიანის შექმნის დღესავით.

წყნარ ოყენებს წიგნივით ვავშლი,  
აგერ ატლანტი აისბერგებით,  
რომ დავიფერფლო უეცრად ქარში,  
ტალღების მყერდზე დავინერგები.

მალლიდან ვუმზერ რომს და კართავენს,  
თბილისი მოჩანს თვალის საჩინოდ.  
მაგრამ უეცრად მიწა დაკარგე  
და მინდა ისევ აღმოვაჩინო.

ჭოგრითით მიმზერს უცხო პლანეტა  
(აღარც ვეროპა, აღარც პია)  
და ვარსკვლავეთის ღია კარებთან  
დავეძებ მიწას ფიანდაშიანს.

მე ახლა ქალაქ N -ში დავეშვი,  
ჩარტერულია ყველა რეისი...  
„მფრინავი თეფში“ და „ვილგამუში“  
უიმედოა ცაში ფრენისთვის.

შენი ნუგეში აღარ შეყოფა...  
შეკერილია რწმენის პერანგი...  
მალლიდან ვუმზერ მე ჩემს დედოფალს  
და მჭკვნება არქიპელაგე.

და ქარებს მიაქვს მწვანე კორდები,  
ვერ შევარიგე კაცი და ღმერთი,  
მე კი მივდივარ (კი არ ვმორღები),  
რომ უკვდავება ვიპოვო შენთვის.

და შელოდება თეთრი ნისლები.  
ისევ ჩაეცქერი ილუზინატორს.  
მიწაო, შენი ოაზისებით,  
დავილუპები, რომ მომენატრო.

მე შენ მიყვარხარ შენი ავ-კარგით.  
 იქნებ მეც ვიყო შენთვის საჭირო?!  
 მსურს, წავიღო და ცაში დაგკარგო  
 და ვარსკვლავებში აღმოვაჩინო!

13.

მამ, დაწერე, რაც იხილე, და რაც არის,  
 და რაც იქნება ამის შემდეგ.

ამოკადიფისი, თ.1.

ცხრაას სამოცდაჩვიდმეტი წელი.  
 და კიდევ ერთი სამთარი ვრცელი.  
 ფასი დედო არაყს და ღვინოს,  
 აგვისტოს მზეს და პალმების გრილოს.

ქერა ქალების თვალების ეშხი  
 ფანტელელებით მიჭირავს ხელში.  
 ძვირად ვშოულობ ტაგანჯის ბილეთს,  
 გახზრებული ცხოვრების იმელს.

დიდი თეატრის დიდებულ დარბაზს  
 დღეს ჩემი სუნიქვაც ერთვის და ავსებს  
 და ბალერინას, თეთრსა და ლამაზს,  
 აწვიდან შხამით ავსებულ თასებს.

მე ჭივარ უხმოდ, ჭივარ და უუშურ...  
 უუშურ და თანაც ვიტან და ვითმენ...  
 მაქვს მაუსერი მიღებული გულზე,  
 როდესაც ვებრძვი სიტყვას და რითმებს.

წომავ და ეზოგავ ხვალინდელ იმელს,  
 დღეები ელვის რაშვიით მიჭრის  
 და მოთმასის ქედით მძიმე,  
 დავალ და დამაქვს მამულზე ფიქრი.

დავალ და დამაქვს კაციდან კაცში,  
 ქალიდან — ქალში, ბავშვიდან — ბავშვში,  
 ნინოს ჯვარი და ადამის ვაშლი  
 და გარდასული ომების მარში.

დავალ და დამაქვს რწმენა და შიში,  
 წავიდა ყველა და ჩვენაც წავალთ.  
 დაგელოდები პალმების ჩრდილში  
 და დაგახვედრებ უებარ წამალს.

ჩვენს შერეც კიდევ წავა რამდენი,  
 როგორც წასულან დაჭრილ მკერდებით.  
 მე სიმღერებში დავიბადები  
 და ბრძოლის ველზე დაგიბერდები.

დელის ლოცვებით, მზით და განგებით,  
 სულ სხვა წიგნით და სულ სხვა მიზნებით,  
 კახაბრის ველზე დაგეკარგები  
 და სამოთხეში დაგესიხმრები.

ეპილოგი

ნუ შეცდებით, ჩემო საყვარელო ძმანო,  
 იყობისა, თ.1.

ჩემი პოემა დასრულდა ასე,  
 სამოთხის ვაშლი არ არის შიგნით,  
 მაინც შენ უნდა დაადო ფასი.  
 ამიერიდან შენია იგი.

ვიცი, ამჯერად ამცდება რისხვა,  
 რადგან გაჩვენე წვითა და თრთოლევით,  
 თოვლზე დაღვრილი უმანყო ხისხლი,  
 ქრისტეს სისხლივით წითელი თოვლი!



გამუკა დოლიკა

## არაფრის შესახებ რომანი

ნანილი პირველი

მიმდინარე წლის 21 მაისს, ან შესაძლოა 17 ნოემბერს, დღის თორმეტ საათსა და ოცდაშვიდ წუთზე, ტელეფონმა დარეკა.

— გისმენთ! — ვეცი ყურმილს.

— აღარ უნდა დაიწყო? — მუქარასავით მომესმა.

— რა უნდა დაიწყო? — ვიკითხე.

— მშვენივრად იცი რაც უნდა დაიწყო. ისიც იცოდე, თუ ისევ შუა გზაზე მიგვატოვებ, აღარ დაგიბრუნდებით და საერთოდ ვერც ვერაფერს დაიწყებ და ვეღარც ვერაფერს დაამთავრებ!

დამიკიდეს თუ არა ყურმილი, კარადა გამოვალე, ვერცხლის თასი გადმოვიღე, სპირტით ავაგსე, ნეკიდან ნემსით სისხლი გამოვიწურე და ჯამში ჩავაწვეთე. სპირტს ცეცხლი მოვუკიდე. ავარდა თუ არა ალი, ხაზეჭედ მანქანას მივუჯექი.

— არ იზლი შენსას? — შემოიხედა ოთახში ცოლმა.

ხმა არ გავეცი.

ორის ოც წუთზე უკვე კიბეზე ჩავრბოდი. გაჩერებას ორის ნახევარზე მივალნიე. ჩამოიარა პატარა ავტობუსში. მარშრუტისთვის არც შემიხედავს, მძღოლთან დავეჯექი.

— ისევ იქით? — მკითხა.

მხრები ავიჩქე.

— ეჰ, — შემობრუნდა და ხალხით გაჭედილ სალონს გახედა. — შენ ვინცა ხარ ვახსაგებია, მაგრამ ამით რაღა დაამაგვს?

— რა მნიშვნელობა აქვს, თუ ძმა ხარ, ვინ საით წაუა, — ვუპასუხე.

შეზავრები მდუმარედ ისხდნენ. ამ საცოდავებისთვის მართლაც სულერთი იყო, ვის საით გაიტაცებდა ჩემი უგზო-უკვლო სვლა.

— ჩამოხვალ? — შეაჩერა მანქანა თეატრის შენობასთან.

უარის ნიშნად თავი გავქანიე.

— მაშინ აქ არ ჩამოხვედი?

— მაშინ ჩანაფიქრი უკვე მზად მქონდა, ახლა კი ჩემი ფიქრი თავისუფალ სივრცეს მოითხოვს.

ქალაქს სანამ არ გავცდით, არ გადმოვედი. რაც უფრო შორს ნავიდოდი, რაც მეტად გაიხსნებოდა თვალსაწიერი, უფრო ფართო იქნებოდა ჩემი ასპარეზი.

მარცხნივ და მარჯვნივ მწვანე მინდვრები გადაიშალა. მიხაროდა, რომ სწორედ აქ და ახლა შეწყდა ავტობუსით მგზავრობა და ასე საამოდ ჩავიკარგე მწვანე უსასრულობის სურნელოვან ტალღებში.

— ვერ დაიკარგები, აქა ვარ! — ბალახიდან ამოცურდა ახლგაზრდა ქალი. ისეთი ლამაზი იყო, უნებურად ხელი მოვხვიე.

— მარტო არა ვარ, — გამომისხლტა, — მამუკაა ჩემთან.

მამუკა ცოტა მოპორებით, ჩრდილში იდგა.

შეგხედე და ელდა მეცა. თითქოს სარკეში შეეცქეროდი საკუთარ თავს! და მაინც, ეს ბოლშიანი სახე, ეს ბრაზით მოვლენარე თვალები ჩემი არ იყო.

— შენ მელაპარაკე ტელეფონით? — ვკითხე.

— არა აქვს ამას მნიშვნელობა.

— საით მივდივართ?

— ეგ არავინ იცის, — მიპასუხა.

— არ ნამოვალ, — იქვე ჩავჯექი, — რაც აქამდე მივლია, ვერაფერს მივალნიე.

— ნამოხვალ! — საშინელი ძალით ნამომავდო და ხელი მკრა.

ცოტა ვიარეთ თუ ბევრი, გუგუნე მოგვესმა. წინ ჯავგნარი გაჩნდა. მამუკამ ეკალბარდები გადასწია და ჩახერგილ ტოტებში გაგვაძვრინა. სამხედრო აეროდრომზე გავედით.

— აირჩიე რომელიც გინდა! — თვითმფრინავებისკენ გაიქინა თავი.

— ვერ ბედავ? — ქალმა ღიმილით გადმოხედა.

— აი, ეს, — ხელი დავადე ბურქებთან კალიასავით დასკუპებულ ვერტმფრენს.

— იცის ბიჭმა თავისი საქმე, — ჩაილაპარაკა მამუკამ, — შორს წასვლა არ უნდა, იმას კი ვერ ხედედა, რომ უკან მაინც ვერ დაბრუნდება.



მამუკა ნინ წაეიდა და ერთ-ერთ მფრინავს სახელოში სწვდა.

— თქვენ არჩილი არა ხართ?

მფრინავმა თავი დაუქნია.

— ჰოდა, გვხვებები ძმურად, მეგობარს ცაში განავარდება მოუნდა, ხუთი წუთით დაგვიტოვე ეს პატარა ვერტმფრენი.

— ცუცა დეიღამ გამოგვავაზენა?

— ვიდრე წაიხემსებთ, ცოტას ვავინავარდებთ და დაეჯდებით.

— როგორ, ცუცა დეიდას არ იცნობთ? — გაიოცა არჩილი.

— არაფერს ვაფუფქვებთ, — ვაგვრძე-ლა მამუკამ, — მერე კი, თუ ინებებთ, თქვენს სადღეგრძელოსაც შევსვამ.

— არ შეიძლება არ იცნობდეთ, — თქვა არჩილმა, — დაბალი ქალია, ჩიყვიანი, მზად ვარ გემსახუროთ მისი ხათრით.

არჩილი ხტუნვა-ხტუნვით წინ გაეკარდა.

— მოიცა, შე ოხრო! — მამუკა წაეპოტინა, მაგრამ რალას მიწვდებოდა!

— თავი დაანებე, — უთხრა ქალმა, — ახლა მავათ საუზმე აქეთ. ძალი ქატრონს ვერა ცნობს, როცა მშვირები არიან.

— რა უქნათ? — ვიკითხე.

— დაეაყაჩალოთ, — მამუკამ უცებ იარაღი იძრო და თავს ზემოთ ტყვია დაახალა სუფრასთან მჯდომ სამხედროებს.

მფრინავებმა წასმელ-საქმელი დაითრიეს, მაგდის ქვეშ მოიკალათეს და იქ გაავრძელეს სმა-ჭამა.

— ჩქარა! — ქალმა ხელი მკრა.

ვერტმფრენში აეძვერით. მამუკამ ქვემოდან მავთულუბი გამოგლიჯა, ერთმანეთს მიუერთა; მინას მოეწყდით და პირდაპირ ავიტყრით ცაში...

ამის შემდეგ უწყვეტი და ოდნავ გამაბრუებელი რიტმი წამოვიდა, წამოვიდა, როგორც გრძნობამორეული სიტყვა, ათამაშებული ოდნავ ეს თამაში სურნელოვანი ქალიდან იღებდა სათავეს და იმ უჩინარი წილიდან, სადაც ერთმანეთის-გან განურჩევლად არსებობდა ქალიც, მამუკაც, დამშეულ მფრინავთა ბრიგადაც და კიდევ მრავალი სხვა. არსებობდა სახისა და სახელის გარეშე, როგორც სიტყვა, რომელიც თვით ამ არსებობას უსწრებდა წინ, ჯერ რომ არ გააჩნდა არც ფერი, არც გემო, არც შინაარსი, არც აზრი, მაგრამ უქონდა მიზანი; სიტყვა, რომელმაც წამართვა მოსვენება, დამირღვია სიმშვიდე და მომიყვანა აქ.

— შეხედე! — მომეხუტა ქალი. — გემი!

თბილისის ზღვის ცენტრში, სხივთა აბლაბუდაში გახვეული ხომალდი ციმციმებდა.

— ჩაეძროთ? — მამუკამ იარაღი შე-მართა.

— ამის მეტი არაფერი იცი?

— ის ვიცი, რომ მგონი ხელს გიშლით. სკამის ქვემოდან პარაშუტი ამოიღო და ზურგზე მოიდგო.

შემოხედვის ღირსადაც არ ჩაგვთვა-ლა, პარაშუტი შეიკრა და ფანჯრიდან ისკუპა.

ვერტმფრენმა ვარდნა დაიწყო. რის გაჭირვებით შემოვებრუნე საქე და პაე-რის ტალღამ ზედ ხომალდის თავზე გაგე-აჩერა.

— გემი ცარიელია, — მითხრა ქალმა, — ადგილიც გვეყოფა, იქნებ მოვახერხ-ოთ დაჯდომა?

სათქმელად ადვილი იყო. მაგრამ დაე-წიე თუ არა მანქანა, ძივხვი რაც ქმნიდა ხიძნელეს. ხომალდი ოდნავ ირწეოდა ტალღებზე, ვერტმფრენი თანაბრად ვერ ჩადიოდა ძირს. მათი რბევის ფაზები არ შეესაბამებოდა ერთმანეთს. ჩვენ ცის ლურჯ ქსოვილს მივარღვევდით, გემი კი ზღვის მკვირივი სილურჯით იყო გარემოცული. ის უხილავი ზღვარი, სადაც ზღვა და ზეცა ერწყმოდა ერთმანეთს, ბურუსით მოცული აღმოჩნდა. ბრმავე შევიტყერი ბურუსში, ხელიდან გამირბოდა საქე, ვგ-რძნობდი ცხელ, ლამის ცეცხლმოედებულ აურას ქალის ირგვლივ; ამ სიმშურავლეში იძერწებოდა ჩემი ფიქრი, ვგრძნობდი ფიქ-რის სურნელებას და ვემოს, თუმცა, ფიქრი კი არა, უფრო სურვილი უნდა ყოფილიყო ეს, სურვილი, რომელიც გვერდში მყოფი ქალიდან იღებდა სათავეს.

— ცოტაც დასწიე, — მომესმა ჩურჩული, — დაეჯდეთ.

ჯერ მაგარი დარტყმა ვიგრძენი, შემდეგ სიმსუბუქე, ისევ დარტყმა, ისევ სიმსუბუქე და ბოლოს დამიბრუნდა სხეუ-ლის სიმძიმე.

— გამოითიშე!

მავთულები მოეგლიჯე ერთმანეთს და რხევაც შეწყდა. ვერტმფრენი უკვე აღარ არსებობდა ჩვენთვის. იყო მხოლოდ უხარ-მაზარი ხომალდი, ჩვენს მოლოდინში ზღვის ტალღაზე მთელიმარე.

— ვინ მომიყვანა აქ?

— შენმა სურვილმა, — მიპასუხა ქალ-მა.

მისი სახე თითქოს ტალღების ქაფიდან იყო შექმნილი. მისი თვალები ამ აქაფებულ სითეთრეში მარგალიტივით ბრწყინა-ვდნენ.

— ვინ იცის, სად და როგორ ვაცხად-დება ჩაკლული სურვილი, — უნებურად აღმომხდა.

— პატომაროვით ცხოვრობ. საკუთარ თავს ჯიჯგნი. ნუთუ არ მოგსვლია აზრად, რომ ყოველდღიურ ნერილიმანებში სული შეიძლება ამოგვხედეს?

— ნუ შეუბნები ამას! — ყურებზე ავიფარე ხელი.

— უნდა გაიგო ეს! — მაინც მომესმა, — გავლილი გზით ნუ დაიძინებ სულს. ყოველდღე თავიდან უნდა იზადებოდეს ახალი კი არ უნდა გამოდიოდეს ძველიდან, არაფრიდან უნდა ჩნდებოდეს და ისევ არაფერს უბრუნდებოდეს.

— ასე ვერაფერს აეაწყობ, — ვუთხარი — კავშირი ხომ უნდა არსებობდეს მომხდარსა და მოსახდენს შორის?

— ძალით ვერაგის დააკავშირებ, — მითხრა, — მიუშვი ყველა თავის ნებაზე და თვითონ მონახავენ ერთმანეთს.

— არა მგონია მამუკამ ისურვოს ჩვენი მონახვა.

— უკვე მოგვნახა, — მითხრა ქალმა, — მთელი შენი სიბრაზე მან მიისაკუთრა და ახლა ნაპირზე გველოდება.

— არაფერი დამიშავევია მისთვის.

— ის რომ ასეთია, შენი ბრალია.

ლმერთო, რა უნდათ ჩემგან, რას მემართლებიან? თავიდან როგორ ლამაზად აეწყო ჩემი ცხოვრება! მაგრამ თანდათან უფრო მიიმდება ყველაფერი. ეს ხომალდი, ეს ქალი, ბოლო გაფართხალდება, ჯერ კიდევ მაქვს იმედი, რომ დავუბრუნდები თავისი უფლებას, სიმსუბუქეს და სილალეს, და ვიქნები ის, რაც ვიყავი და აღარ ვარ.

— რაზე ფიქრობ? — მეკითხება ქალი.

— შენზე.

— ნულა ფიქრობ, ნუ ეზომები იმას, რაც გსურს.

მისი ხმა ისევ ჩამქსმის, მაგრამ სიტყვები ვეღარ წედევიან გონებას. ზღვისა და ცის გასაყარზე იფანტება ნისლი და სივრცე სარკესავით ირეკლავს ჩვენს უზარმაზარ ლანდებს. ცისა და ზღვის ერთიან სარკეში გაბზულება სხივების ქსელი, საქანელასავით რომ არწევს გემსაც, ნაპირსაც, ნაპირს იქითა ტყეს და ფერდობზე მიმოფანტულ სოფლებს.

— დავილაღე, — მითხრა ქალმა, — უფრო სწორედ, შენ დაილაღე. რატომ არ გინდა უბრალოდ დატყებ იმით, რომ არსებობ და არ ეძებო შენს თავში ეჭვი? იცოდე, ერთხელ გეძლევა სიყვარულის უფლება, დანარჩენ დროს დაკარგული გრძნობის გახსენებას და აღდგენას ცდილობ, მაგრამ განმეორებული, აღდგენილი ის აღარ არის, რაც იყო.

— ისევ ხომალდზე ვართ? — მივიხედ მოვიხედე.

— არა ტყეში, — მომიხსლოვდა და ხელი შემახო, — უნდა ვიაროთ, დაღამებამდე უნდა ავიაროთ ტყე და გავიდეთ იმ ერთადერთ მინდორზე, რომელიც მხოლოდ ჩვენთვის არსებობს.

იაგორას ველი — ასე ჰქვია ამ მინდორს და რა მნიშვნელობა აქვს, რომ ის აქედან ცხრა მთას იქითაა გაშლილი! ჩემი მიზანია ძირი გამოუფხარო იმას, რასაც ჰქვია სივრცე და დრო, რათა ვაჩვენო, რომ მოხატრებას და სურვილს ვერაფერი დაუდგება წინ.

— სახელი რომ არ ვიცი შენი? — ხელი მოვხვიე.

— დამარქვი, რაც მოგესურვება, — ხელიდან პეპელასავით გამოფრინდა და შორიხლო ჩამოვდა.

რაც მომესურვება? მაგრამ არც ერთი სახელისთვის არ მემეტება ის. ასე მგონია, დავარქმევ თუ არა სახელს, თავის თავში ჩაიკეტება და დაკარგავს თავის უსასრულო განფენილობას.

— შენ ღია კარი ხარ ჩემთვის, საიდანაც იაგორას ველზე მინდა გასვლა, — ვუთხარი.

— მაია დაუძახე, — ტყიდან მომესმა მამუკას ჩურჩული, — მაია სწორედ ის სახელია, რომელიც ცხადსაც ეკუთვნის და სიზმარსაც.

— მაია! — უნებურად აღმოჩნდა, — შეგიძლია მომიხმინო? — უჯრიდან ძველი რეგული ამოვიღე; ჩემი პირველი ჩანაწერები და ესკიზები, რომლებსაც ვერავის ვუშუხუღე.

— ვიცი, რაც უნდა ნამიკითხო:

— იცი?

— მე და შენ ერთი სული გვიდგას, ერთი ცხოვრებიდან მოვდივართ.

— ის ცხოვრება სიზმარი აღმოჩნდა, — თავი გავაქნიე.

ნარსულის ხსენებაზე მაიამ სვედიანად გაიღიმა. ამ ღიმილმა შეიწირა მისი სახე და სხეული. თავისი აქ ყოფნის თითქოს უკანასკნელი ძალა დაქსოვა იმ სვედიან მოგონებაში და საღამოს ბინდში გაუჩინარება დაიწყო.

— ჩქარა! ბნელში არ დაიკარგოს! — აზურწულდა ზურგს უკან ტყე.

გავიქეცი და ბუნდოვან სახეს ხელი შევახე. თითქოს სიცარიელეს მოეხვიე! ჩამავალ სხივთა არილში გაიფანტა და ბნელს შეერია ის, რასაც იმ სიტუაციაში, ნატერის თვალით დანახულ ველზე მაია ვწუოდე...

● იანლოს მთიდან არასდროს გადმოიხივდა ეს აქეთ. მოანმინდიდან პირდაპირ მოჩანს ტყით გარემოცული მთა. ახლა



წარმოვიდგინე, როგორ გამოიწვევდა იგიდან ქალაქი. ხედავს გაუცხოება ხდება ალბათ, როცა სულ სხვა თვალთ, სხვა რაკურსით დაინახავ ათასჯერ ნანახს. ასეთი რამ ერთხელ ბაკურიანში დამეპარა; ციხისფერის გზაზე, მელიების ფერმასთან შემოებრუნდი და უცხო მხრიდან შემოვხედე პარკს, კოხტა გორას. მომეჩვენა, სულ სხვა სოფელს ვუმხერდი, მაგრამ ეს არ იყო მხოლოდ უცხოობის განცდა. ამ განცდაში მუუცხოებოდა ჩემთვის სრულიად ნაცნობი რამ.

უცხოო სოფელში კი არ მოვხედი, ის რაც ჩემი იყო, რასაც ბავშვობიდან შევეზარდე, უცებ გამოუცხოვდა და დამშორდა. ჩვეულებრივის ამ უჩვეულო ხედავს ახლებურად გახსნა და გააფართოვა სული. თითქოს საკუთარ საზღვარს გადაეახტი და გარედან, უცხო თვალთ შევხედე იმას, რაც შინაგანად გავითავისე და რაც ქეშმარიტად ვიყავი მე.

ახლაც, იანლოს მთიდან იგივე თავისუფლებს ტალა გამოიტაცებდა სასრული არსებობიდან სიცოცხლის უსასრულობაში. გამოიტაცებდა და დაშინახებდა იმას, რასაც აქამდე ვერ ვხედავდი და რაც უჩვეულო უნდა ყოფილიყო ჩემი თვალისთვის.

— თუ იმას ხედავ, რასაც ვერ ხედავ, მაშინ იმასაც უნდა ხედავდე, რომ მოჩვენებითია ქალაქის სიმშვიდე, — მოთხრა მამუკამ, — რომ ბნელეთი მოსდგომია ზღვას და ბმულეთს, რომ სიყვარული, რომელსაც დროშასავით დავაფრიალებთ, ნელ-ნელა სიძულვილით გადაიღოს.

მამუკა ვერჯერობით სახელს ვერ არქმევდა ამ ბნელ ძალას, თუმცა, ცხადად გრძნობდა მის მოქმედებას. ჩემი თვალთ, მის მხედველობას შერწყმული, ცდილობდა ქალაქს ვარემორტყმული ტყის ამოცნობას; თუ ვინ იმალებოდა უღრან ტყეში, რა ძალები აფარებდნენ იქ თავს.

— ხედავ რამეს?

— ვერ გამირკვევია, — მამუკამ ხელით მოხაზა ტყის პირი, — ქარი დაგორებს ტოტების ჩრდილს, თუ ვიღაცა დაძვრება ხეებს შორის?

— როგორც ჩავთვლით, ისე იქნება.

— ვიღაცა დაძვრება, — გადანაცვითა მამუკამ, — სხვანაირად ვერ გაცვადებით ბუნების აღწერას.

— რა ვქნათ? — მიიხედ-მოიხედა მამუკამ.

— შემოვურბენ და მთიდან მივადგები ტყეს. ვავარკვევ, ვინ არიან და რა უნდათ. მთიდან შემოვლა იქნებ უფრო სახიფათოც ყოფილიყო, რადგან თუ იქ

აჯანყებულები იდგნენ, პირდაპირ შეეფეთებოდა მათ.

— რალა ამ ტყეზე შეაჩერე თვალთ, — მივაძახე მამუკას, — ცოტაა ქვეყნად იდეები და თემები?

— ის რასაც ეს ტყე გვიმზადებს, საბედისწერო შეიძლება აღმოჩნდეს ჩვენი ქვეყნისათვის, — მიპასუხა, — ამიტომ დროებით გვერდზე უნდა გადავდოთ სიყვარულის თემა და მოვიხადოთ ჩვენი ვალი.

— არც მე მჭირდებით, — ზურგი შეგვაქცია მამუკამ.

— ღრმად ნუ შეტოპავ, — მივაძახე მამუკას, — ბრძოლამ აზარტში შესვლა იცის. დაილუბები და ჩვენც დაგვლუპავ.

ალარ ესმოდა ჩემი ხმა. ქარი ჩაუდგა ყურში. მწვანე იდუმალება მოქროდა მისკენ. ახლოვდებოდა ტყე და ქარით მოთამაშე ჩრდილები ნვებოდნენ მის ირგვლივ, თითქოს ამ უცნაური როკით ასოებს, სიტყვებს, სტრიქონებს წერდნენ ფურცელეთით გაშლილ მინდორზე და ბიჭიც, რომელიც მგავდა და არც მგავდა მე, რომელსაც ჩემი სიბრალე ასაზრდოებდა, გადიოდა მისთვის განკუთვნილ გზაზე და ჩრდილებიც უფრო მეტი სიმკვეთრით სდევდნენ მას, უსწრებდნენ კიდევაც და ბოლოს იმ ფორმას, იმ სახეს და სხეულს იქნდნენ, რომელიც უკვე არსებობდა ჩემს წარმოსახვაში.

— მოდი-ჩვენთან, შემოგვიერთდი! — ერთ-ერთმა ლანდმა უცებ ხორცი შეისხა და ხელი სტაცა, — გაუმარჯოს თავისუფლებას!

სხვაგვარად ფლერდა ეს სიტყვა აქ! სულ სხვა სახით, სხვა აზრით და მნიშვნელობით იძერწებოდა ის ტყის ამბოხებული წყვიდადის გულში. ცხადი იყო, ჩემი ორეულიც სიბარულით შეუერთდებოდა ქვეყნის დასანგრევედ მოვარდნილ მესყერს, შეერწყმებოდა აკორებულ ზეავს, გაითქვიფებოდა, დაიკარგებოდა მასში.

დაკარგვასაც თან ახლავს ტკბობა, მეტად უცნაური ტკბობა, როცა შენზე გაცილებით დიდი და თავბრუდამბვევი ძალა ადგილიდან მოგწყვეტს და შეუცნობელში გაგიტაცებს. სასიამოვნოა, რადგანაც ანონიმური ძალა განთავისუფლებს პასუხისმგებლობის სიმძიმისაგან. უცნაურია, რადგან ვერ ვაუბრი განცდას, რომ ამ სიმძიმესთან ერთად გეკარგება საკუთარი თავიც.

აი, ამ უცნაურმა სიამოვნებამ დაატყვევა მამუკა ამბოხებული წყვიდადის გულში, შეუერთა წყვიდად და დამაშორა მე; რადგანაც ჩემთვის თავისუფლება სი-



მკვეთრე და გამორჩეულობა უფრო იყო, ვიდრე ერთიანობა და შერწყმა უსასრულო ძალასთან.

ამ უსახურმა თავისუფლებამ დააცივნა სიყვარულით სავსე ზღვა და იარაღი ააღებინა ხელში. და უცებ ადგილიდან დაიძრა მწვანე გვარდიელების ტყე და ნაბიჯ-ნაბიჯ მიუახლოვდა ქალაქს, სიძულვილში გადახული სიყვარულის მსხვერპლი რომ უნდა გამხდარიყო.

— გამაგებინე, სად ხდება ეს ამბავი? — ველარ მოვითმინე და მამუკას შევძახე. — რა მნიშვნელობა აქვს? ხდება ყველგან და არსად არ ხდება. გული, რომელშიც ეს ყველაფერი ტრიალებს, ყოველთვის ერთია და ყველგან სხვადასხვაა. ზღვა აქაც არის, ქალაქთან. ქალაქი იქაც არის, ზღვასთან...

თან ლაპარაკობდა, თან მოქმედებდა. არ იცოდა, რას სწავლიდა, რატომ აკეთებდა ამას. ის მხოლოდ შემსრულებელი იყო. მოქმედების აზრი და იმპულსი ბრანზმორეული ტყიდან მოდიოდა, რომელიც უკვე შემოსული იყო ქალაქში და სპობდა ყველაფერს, რაც ალუდგებოდა ნინ; და აი, უკვე გარს ერტყმოდა ქალაქის მშენებებს, სასახლებს, წლებს მანძილზე ძილად რომ იყო მიგდებული და მხოლოდ ახლა, კერპივით აღმართული სიყვარულის მსხვერვისა და გარდაქმნის ხანაში რომ უბრუნდებოდა რეალობის შეგრძნებას.

რა იყო ეს, ცხადი იყო თუ სიზმარი? მამუკამ აღარ იცოდა, რატომ იბრძოდა; ცეცხლს რატომ უშვებდა საკუთარ სისხლსა და ზორცს. ჩაქრა სანყისი იდგა, რაღაც ნათელს რომ მოიცავდა თავის თავში და ქვეყნად განხორციელების სხვა შესაძლებლობასაც სახავდა. ჩადენილმა დანაშაულმა მოსპო ეს შესაძლებლობა, დაღვრილი სისხლის სიმძიმით მოიაჯეტა ის ძალადობის გზას, სადაც შეუძლებელი იყო ნახტომი, შემობრუნება, სადაც ყოველი ნაბიჯი შემდგომ ნაბიჯს ითხოვდა.

შემდგომი ნაბიჯი კი ის იყო, რომ სასწრაფოდ უნდა ვასცლოდა აქაურობას, სადაც საბედისწერო შეცდომათა წარმოუდგენელმა შედეგმა საშინელებათა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მთელი დღე და ღამე იარა. ქალაქი უკან დარჩა. ტყეს გვერდი აუარა და სოფლისკენ წავიდა. სიმშვიდე აღარსად იყო. დაღვრილი სისხლი თითქოს ნინ უსწრებდა მას და მის მიმართ ეჭვით განაწყობდა ყველას. ეს ეჭვი იგრძნობოდა შემგებდრ სახეებში, მტრულად დახვედრილ სოფელში. შემობრუნდა და ისევ უკან წამოვიდა. ტყიდან

ვიღაცამ ესროლა. მაშინვე ეჭვგაქვას თითქოს ელოდა ამას, თითქოს ისიც იცოდა, ვინ შეიძლება ყოფილიყო იქ ჩასაფრებული.

გზა გადარიბინა, ბლაბში ჩანვა და ნინ გახობდა. ისევ ესროლეს; ლოდმა აისხლიტა ტყვია. თვითონაც გაისროლა. მდევარი უკან გადაგორდა და ბუჩქებს შეერია. ასი მეტრი თუ ამორცხდათ ერთმანეთს. მათ შორის ღია სივრცე იყო. ვერცერთი ვერ ბედავდა ნინ წამოსვლას ან უკან დახევას. ბოლოს, ბუჩქებში ჩასაფრებულმა ვერ გაუძლო დაძაბულობას, კალიასავით ისკუმა და ხეს მოეფარა, მაგრამ მამუკამ უკანასკნელ წაშს მაინც მიანვდინა ტყვია. მაშინვე წითლად შეშულება ხელი, ტკივილი ცეცხლივით მომეფა მკერდზე, რაც მთავარია, ფიქრი გამექცა; ფიქრში გახვეულმა სახეებმა უსისტემოდ, ქაოსურად იწყეს ფრიალი, გონება ისე ამერია, ტკივილიც დამაინყდა; დამაინყდა სისხლისგან რომ ვიცლებოდი და ბრაზ-მორეული გმირის დასაოკებლად მოვიერიფე უკანასკნელი ძალა.

— აღარ გჭირდები? — ღრიალებდა მამუკა და ზედიზედ მესროდა. მკერდი, მუცელი, ბარძაყი სისხლით შეშულება. ვცდილობდი ქვევით ჩაცურებას და მაგიდის ქვეშ შეძრომას, მაგრამ სად დავეშალებული შურისმაძიებლის ტყვიას?

— არა გრცხვენიათ, ყმანილო, რეებს კადრულობთ? ტყვიას რომ ესვრით ჯანდაბას, იქნებ ასეც სჯობდეს ამბის სიმძაფრისათვის, მაგრამ ასეთ სიბრაზეს არ უნდა იმსახურებდეს ის, ვისგანაც ასე დავალებული ბრძანდებით.

გაოცებულმა მოვიხედე. ჩემს ნინ ჭინკასავით გაძვალტყავებული კაცუნა იდგა. ვიღაცას მივამსგავსე თითქოს, მაგრამ ეს მიმსგავსება მეხსიერების დაძაბვას ითხოვდა.

— ნუ დაიძაბებით, თავს ნუ შეინუხებთ, ყველაფერი თავისით გაიარკვევა. შენ კი, — მიუბრუნდა მამუკას, — დაიჩოქე და ბოდიში მოუხადე ამ გულმართალ ადამიანს უდიერი მოპყრობისათვის!

— ნადი შენი! — მამუკამ ხელი მოუქნია, მაგრამ კაცუნამ ელვისებურად აიცილია დარტყმა და ზედ ცხვირ-პირზე მიანება უცერად გადიდებული მუშტი.

— ვიამე, კბილი ჩამიტეხა! — აღრიალდა მამუკა, — გააჩერე, ვერ ხედავ რას მიშერება? — მომიბრუნდა.

კაცუნამ სიტყვის გაგრძელება აღარ აცალა, ხელუკუნმა გაუშალა ტურტებში. მამუკა უცებ დამუნჯდა და იდიოტივით გამტვრდა.



— თუ კიდევ შეგანუხოთ, აუცილებლად შემატყობინეთ, — მითხრა კაცუნამ, — სროლებსა და ჭრილობებს არ ვგულიხნბობ, რა თქმა უნდა, თქვენს ფანტაზიაში მე ვერ ჩავერევი...

— ვისთან მატვეს პატივი? — უკითხე. — კაი, ახლა, სულ ნუ გამოშტერდები, პატარა შეინუხე თავი, — გამოილიმა.

— არ გადამპრობ, შენა ხარ? — არ ვიცოდი ვინ იყო, მაგრამ ვიფიქრე, რომ ასე ბუნებრივად გაბმული დიალოგი თავისთავად გახსნიდა და გამოაჩენდა მის ვუმშარიტ სახეს.

— სწორი ხარ, ეგრე უნდა, — თავი დამიქნია, — რა საჭიროა ჩვენს შორის ეჭვი? ნუ გავართულებთ და ჩავხლართავთ ჩვენს ურთიერთობას.

— როგორ ხარ, სად დაიკარგე? — გავაგრძელე.

— ცუცა დეიდასთან ვცხოვრობ. იცი, შენ გამახსოვრება, მსუქანი ქალია, ჩიყვიანი.

— ბიჭები როგორ არიან? — აღალებღზე გადავდგი შემდგომი ნაბიჯი.

— შენ გიგონებენ სულ, რა უშავთ.

— ცოლ-შვილი ხომ კარგად? — მოვსინჯე ახალი თემა.

— პოოო... — გააგრძელა და თვალი ამართდა. მივხვდი, ამჯერად რალაც შემეშალა და კვლავ ზოგად ფრაზაზე გადავედი.

— ისევ იქა ხარ?

— არა, აქეთ გადმოვედი, ცოტა გავფართოვდი კიდევაც, მაგრამ ისე ვერა ვართ, შენ რომ გაგებხადება. ეპ, სადაა სამართალი? ზევით ინსტიტუტია, ქვევით პარტიის ისტორიის კაბინეტები შარლამენტმა წაიღო. ვიფიქრე, სხდომათა დარბაზის უკან რომ დერეფანია, იმას დავითარე მეთქი, შვეედი კიდევაც ამ საკითხზე ღვალაძესთან, მაგრამ უარი მტკიცია, არადა, ერთ დროს ჩემთან დარბოდა, ვეზმარებოდი; გავახსენე, ისიც ვუთხარი კიდევ დაგჭირდები მეთქი, მაგრამ არაო, აღარ დამჭირდებიო, ყველაფერი მოვიწინიე და უშეზოდაც სავსე ვარ ახალი იდეებითო.

— არ ვიცი შავის ამბავი? — განაგრძო, — ტვინი მაინც ძველებურად აქვს შეტრიალებული, წასძლევს სული, წასცდება ხელი და ისევ ბლავილით მოვარდება ჩემთან.

— შეშაფურთხე, თუ ანი შენთან მოვიდე, — დავეყვირა ღვალაძემ, — თუ რამეს გვხმარები, ძველი მეგობრობის ხართით, თორემ ანგარიში შენთან გასწორებული მაქვს.

— ჩემთან ანგარიშს ვერაფერს ვაპირებ, ვერც შენისთანები და ვერც ბატონო, ჩემო ბატონო, — თავი დამიქნია.

— რატომ?  
— იმიტომ, რომ ოდესღაც ერთ-ერთი თქვენთავანი შეცდა და მას მერე დაარსდა ჩვენი დეპარტამენტი.

— რასაც გაძლევ ნაილე, თორემ ეგეც აღარ მექნება, — თქვა ღვალაძემ.

— დავითთან რომ მივიდე? — არ მოეშვა კაცუნა, — მეფისტოლა კაცია, თუ შოინდომებს...

— დაგპირდება, განცხადებას დაგანერინებს და რეზოლუციას ისევ ჩემთან გადმოგაგზავნის. ჩემს იქით ვერ წახვალ.

— ხედავ, რა ხდება? — მომიბრუნდა კაცუნა, — მე რომ ასე მომეცქევინა, ეს უკვე სრული ნგრევისა და ქაოსის ნიშნებია, არადა, მხოლოდ ჩვენ ვიცით, რომ განაწენი გამოტანლია. ჩვენმა განყოფილებამ განიხილა და მოამზადა ის დადასტურებისთვის. თუმცა, ისიც ვიცით, კასაციის შანსიც არსებობს. თუ თავდავიწყებით ვიმუშავეთ, განაწენის გადასინჯვის და შერჩელების შესაძლებლობასაც მივალნეთ, მაგრამ ამისთვის საჭიროა სამუშაო პირობები, პირობები, გესმის, შე უტვინოვ! — ისევ ღვალაძეს მიუბრუნდა, — როგორ უნდა ვიმუშაოთ, როცა ბუფეტის გვერდზე სამონყაროდ გადმოგვიგდეს ოთახი კი არა, სარდაფი, აქოთებულნი, ნესტიანი. ცუცა დეიდას ძელების ტკივილი დაეწყო, არც ვახტანგია უკეთესად...

— ეპ, უნდაბას ჩვენი თავი, — ხელი ჩაიქნია ცუცა დეიდას.

— ნეტაც ქვეყანას ეშველოს და... — წვერი მოიფხანა ვახტანგმა.

— არ შემიძლია, ჩემო კეთილო, — ხელები გაშალა ღვალაძემ, — იმ დერეფანს მწვანეები ითხოვენ, მწვანეების უკან კი წითლები დგანან.

— ჯერ მარტო არქივი სად წავილოთ? თუკი ვინმე ამ მზის ქვეშ გაჭაჭანებულა, ყველა სარდაფში როგორ მოკათავსოთ?

— გაჩუმდით! თუ ღმერთი გნამბი! — დავეყვირე.

— ღმერთი რომ გვნამს, იმიტომაც ვერ ვაჭუმდებით. რა გავგაჩუმებებს, როცა ბელადის ნაცვლად ამ მათხოვარს ახლა ჯვარცმა უკიდია თავთან!

— მოვინანიე ბატონო, გამოვსწორდი, — თავი ჩალუნა ღვალაძემ.

— შენი გამოსწორება აბ იქნება! შენ უნდა ნაიბალო, შენი სახსენებელიც კი უნდა მოისპოს! მიდი, რალას უყურებ, წაშალე, ამოფხიკე! — ხელი მკრა, მაგრამ მე უარის ნიშნად თავი გავექნიე, რადგან

ჩემი სავტორო უფლება ვერ გავრცელდებოდა ჩემს უკითხავად დანიშნულ თანამედრობის პირზე.

ღრუბლები

ღრუბლები წარმოადგენენ წყლის ანაორთქლი მასების გორაკებსა და მთებს არაფრისგან შექმნილ ლაფარდში. მაგრამ ეს ყველასთვის მისაღები და ამიტომაც არაერთთვის არსებული განმარტება ინდივიდუალურ ხედვათა დაუსრულებელი შტრიხებით შეგვიძლია შევაკოსოთ.

რას წარმოადგენენ ღრუბლები განსაკუთრებით მამონ, როცა საგანთა სიმძიმით დაქანცული თვალი საყრდენს მათ წარმავლობასა და სიმსუბუქეში პოულობს? ასეთ შემთხვევაში ის, რაც ჩვენს ირგვლივ არსებობს, რასაც დიდ მნიშვნელობას და აზრს ვანიჭებთ, უცრად ვარგავს მნიშვნელობას და ინყებს თამაშს, თავისი სახეებითა და ფორმებით. ძნელი სათქმელია, რა წარმოშობს ასეთ განწყობილებას; ნამხდარი საქმე, გაცრუებული იმედი, ღრმა სასონარკვეთა, თუ მიღწეულ მიზანს იქით დანახული სიცარიელე; უცარი აზრი, რომ ყოველივე ძვირფასი და მნიშვნელოვანი, ნამცვეცია იმის წინაშე, რასაც შეუცნობელს ვუწოდებთ. იქნებ აქაფებულ ღრუბელთა ცა სწორედ ფარდაა ამ შეუცნობელზე ჩამოგდებული? იქნებ... იქნებ...

მახსენდება ასეთი სურათი: ელბაქიდის დაღმართზე ჩამოედოდი, ქვედა ქალაქი მკრთალად იკვეთებოდა შეღამების ნისლიში და უცებ გამიელვა, რომ სწორედ ეს სხივთა თამაში იყო ქალაქის ნამდვილი სახე! ყოველ შემთხვევაში, არაერთიარო საფუძველი არ მქონდა შევიქრა, რომ მისი ცხადი და გამორკვეთილი კომპოზიცია, ამ ბინდისფერ ქალაქზე უფრო ნამდვილი იყო. პირიქით, ბუნდოვანი და მინიმნებული სჯობდა ბოლომდე გარკვეულს, როგორც იმ უსასრულობის ღია კარები, რომლის შესახებ რაღაცას გვეუბნებიან ღრუბლები.

● მამუკამ მძლავრად დაიწვია თავი, თითქოს სახიდან ჩამოიფერთხა წუთიერი სიზმარი, ზურგი შემაქცია და ვზა განავრძო. ჩვენს შორის მომხდარმა ბრძოლამ თბრობა

დაძაბა. სიტყვა ძნელად მოძრაობს, მაინც ზევით და ზევით მიიწევს, ბილიკი, რომელსაც მამუკა მიჰყვება, მართლაც ციცაბოა, კლდეებს შორის იკარგება. თუმცა, მარტო გაუვალი გზით ვერ ავხსნი სიძნელეს, სულ სხვა გარემოებამ რომ წარმოშვა. ისიც ხედავს ამ გარემობას, გრძნობს, უმიზეზოდ ებღანდება ფეხი, იმასაც ხედავს, მარტო მოუვალი კლდე არ ელობება წინ, რომ კლდის უკან ვარ მე და გასაქანს არ ვაძლევ.

— გახსნე მიღობა! — დაიძვირა. — გადარჩენა თუ ვინდა, მომისმინე: იცი, რა არის ჰაიდეგერის ონტოლოგია? გაოცებული შემობრუნდა. ვიდრე ხმას ამოიღებდა, გავეგრძელე.

— ჰაიდეგერის ონტოლოგია სულ უბრალოდ შეიძლება გავიგოთ. ეთქვას, ისიდორეს და ბიჭიკოს გაუფუჭდათ ცხელი წყლის ონკანი. ისიდორე ფრთხილად განსწავლული კაცია, რა არ იცის, ბიჭიკო უბრალოდ კარგი ბიჭია, თუმცა, არც ეს არის ცოტა...

ამ დროს ტყვიან გვარდიელები გამოცვივდნენ. ატეხეს სროლა, მაგრამ უკვე სხვაგან დაფრინავდა ჩემი ფიქრი და რას მომეკარებოდა ტყვია!

— ხელს ნუ გვიშლით! — შევძახე გვარდიელებს.

— სად გავქერდი? — მივუბრუნდი მამუკას.

— ონკანი რომ გაუფუჭდათ ისიდორეს და ბიჭიკოს.

— პო, მოკლედ, სადაც რაღაცა გაეჭადა და რაც კი ჩვენს სისტემაში სიბინძურე იყო, ყველაფერმა იქ ამოხეთქა.

— დალუპულან სანყლები!

— დანყნარდი, — დავამშვიდე, — ტყვილად არა მყავს ისიდორე ასე განსწავლული. ის მაშინვე მოხვდა, რომ საცობი ქვევით, ბურკაძეების აბაზანაში უნდა ყოფილიყო.

— ელბავე ახლა იმ ქალს, — ხელი ჩაიქნია ბიჭიკომ. მაგრამ ისიდორე რის ისიდორე იქნებოდა, ასე უცებ რომ დაეხია უკან? აქეთ იარაღებს სტაცა ხელი, იქით — ბიჭიკოს და ჩაეკვიდნენ ბურკაძეებთან.

— ფირიმე თქვენი, ქალბატონო ნელი, — ეცა მებობელს, — ვიცი, თქვენისთანა ქალი უარს არ გვეტყვის!

— მე ნელი არ ვახლაგართ.

— უიმე, ბატონო ნესტორ! მაპატიეთ, ისე ვარ აღელვებული, ვერ გიცანით, თუ შეიძლება, აბაზანაში საცობია, მილი გაიქცა, რევიზიას გაეხსნით.

— ვინ არ გეტყვის უარს, ვისაა რომ ეარმეყვით! — ქეჩოში სწვდა ნესტორი ბიჭიკოს.



— არა, ძია ნესტორ, ცუდი არაფერი გაივლოთ გულში, შილი გაეჭედა, "რევიზია" გასახსნელი.

ნესტორს სიტყვა "რევიზია" პირდაპირი მნიშვნელობით ესმოდა. ამიტომ ჯერ ფერი ნაუვიდა შიშისგან, შემდეგ კი რომ ვერაფერი გაიგო, საერთოდ დაეკარგა ამ საქმისადმი ინტერესი.

ამასობაში ისიდორემ "რევიზიის" ქანჩები მოუშვა, კრიჭა გაუხსნა ჩაკეტილ ხისტემას და წყლის შავმა, წებოვანმა მასამ ერთბაშად იხველა მილიდან.

— ბერლიოზის კანონია, — შავი ჩანჩქერიდან თავი გამოყო ისიდორე-ზანგმა, — ცირკულაციის პერსპექტივა აძლიერებს მასების პერისტალტიკას.

— გაკეთდა? — იკითხა მამუკამ.

— გაკეთდება, — ვუთხარი.

— გაკეთდება, — უთხრა ისიდორემ ბიჭიკოს, ოღონდ, საცობი უფრო ქვევით უნდა იყოს, ბოილერთან.

— იქ როგორღა ჩაივდეთ?

— პარკეტს დააკვირდი, იქით კუთხეში წყობა ირღვევა. ლაერენტი ბერიას დროს ასეთი დარღვეული ფიგურა საიდუმლო კარის შეტაფორა იყო.

ისიდორემ ნესტორის ყვარჯენი აიღო, ატყეპილ პარკეტში შეატურა, ქვას ბერკეტებით მოსდო და ნელ-ნელა ასწია იატაკი. გამოჩნდა სარდაფში ჩამავალი კიბე.

— მეშინია, — ხმა გაეზარა ბიჭიკოს.

— ჩემთან ნურაფრის გეშინია, — ისიდორემ. — შიში უტკოდინრობის პირმშოა, მე კი ყველაფერი ვიცი. სად არ მისწავლია; შეიძლება, ათწლეულები, პირველ საშუალოში, ლამის სკოლაც კი მაქვს დამთავრებული. ყველაფერს აგიხსნი, გაგაგებინებ და შიშიც გაქრება.

ბიჭიკომ პირველად გადაისახა და კიბე-კიბე დაიწყო ჩამშვება.

— ბოლომდე არ ჩაყვე, ბოილერთან შეჩერდი! — ვინ ეტყოდა ამას, თუ არა ისიდორე.

— გადავეტო?

— ცივი წყალი გადაკეტე, ცხელი პატარა ნრეზე გაუშვი; თუ სადმე საცობია, გაიტანს...

— თუ აქაც არაა საცობი?

— მაშინ ძირის ძირამდე ჩაყვები მიზეზთა მიზეზებს, განა შეიძლება, ჩვენი ონკანი უმიზეზოდ გაფუჭდეს?

— შეხედე, ძია ისიდორე, ჩონჩხი!

— რეკოლუციამდელი არ გგვინოს საბჭოთაა! რამდენადაც ვიცი, ჩვენი ძირძველი სარდაფი ოცდაჩვიდმეტში შინსახკომმა იქორავა, რაზეც მეტყველებს ეს თავის ქალა.

— აი, თიხის ქურჭელი!

— ო, ეს კი უკვე ქართლის ცხოვრებაა! — ისიდორე ღრმად ჩააცქერდა ქოთანს, — ასეთი მონღოლოიდური ყელი ორი დავითის დროს იყო მოდამი.

— საცობი?

— რომელი საცობი?

— აი, სადღაც წყალი რომ გაიჭედა და სისტემის მთელმა ნაგავმა ჩვენთან რომ ამოხეთქა.

— საცობი მხოლოდ საბაბია აქ ჩამოვსულიყავით, ჩვენედომოდით ჩვენი სახლის საძირკველს.

— რამდენი რამ იცი, ძია ისიდორე!

— იმიტომ რომ სწავლა, სწავლა და სწავლა, ხომ გაგვიტა?

— სარდაფის ქვევით რა არის?

— მანდ უკვე ძველი ნელთალრიცხვის ფენები იწყება. მოგეხსენებათ, თბილისი ათასხუთასის კი არა, რატომ ათჯერ ათასხუთასის არ არის! ზოხობის აფერენამდე აქ დასახლება ყოფილა. ახლა, შეიძლება გრიბოვდოვის ქუჩა მაინცდამაინც ასე არ იყო გაჭრილი და არც ოუსტიციის სახლი იდგა ქავეჭავაძის ქუჩის კუთხეში, მაგრამ ჩვენი სახლის ალაგზე სასახლე ყოფილა ნამოჭიზული, სადაც ქალაქის თავი ცხოვრობდა. მისი ძვალშესალავი მტერად არის ქცეული, მაგრამ აი... — ისიდორემ მტვერიდან ძენკვი ამოიღო, — ნარმართული ძენკვი!

ისიდორემ კიბის ქვეშ შეყო ხელი და იქიდან ბარი და ნერაქვი გადმოიღო.

— ახლა კი მოგიმარჯვოთ ცოდნის ნიჩაბი უფრო ღრმა გათხრებისთვის!

კარგა ხანს იმუშავეს. ბიჭიკო ნერაქვით ანგრევდა ისტორიის ჩაბეტონებულ ფსკერს. ისიდორე თხუნელასავით თხრიდა მიწას.

— სადამდე?

— ბოლომდე! ბოლომდე მიწა ჩავიდე საძირკველში! — მინით მოთხვრილი დრუნჩი ასწია ისიდორემ.

— სადა ვართ?

— ადრეულ ნეოლითში, — რუკას დახედა ისიდორემ, — კაცობრიობის სათავეებთან, ფრთხილად, პალეოლითში არ ჩავარდეთ, თუმცა, არა უშავს, ჩაბტი, ორივე ბრინჯაოს ხანაა, არ დაიმტკრევი.

— მინა ჩაინგრა!

— შეუძლებელია! რაც უფრო ღრმად ჩავედივართ, უფრო და უფრო უნდა მკერივდებოდეთ ფუძე.

— მინა გამოგვეცალა, ძია ისიდორე! იქით სიკარიღელა! რა ხდება!

ბიჭიკომ უკანასკნელი ფენაც ჩაინგრია და სახლის მიწაგამოცლილ ფსკელებზე დაიწყო ქანაობა.

— შეუძლებელია, წარმოუდგენელია! — ისევ რუკას დახედა ისიდორემ, — ჩვენ ახლა პრეისტორიული ადამიანის სათავეებთან უნდა ვიმყოფებოდეთ.

— რა პრეისტორია, რომელი სათავე! — ბიჭიკო უკან ამოცოცდა სახლის ფესვებიდან ფუტებზე. — იმდენი ვთხარეთ, ძირი გამოვუთხარეთ საკუთარ სახლს!

— ნუთუ ეს ყველაფერი არაფერზე დგას? — თავში ხელი შემოირტყა ისიდორემ.

— როგორ კანკალებ, ძია ისიდორე, რა გემართება?

— ხელი გამიშვი! მე ამას ვერ გავუძლებ! — დაიყვირა და ვიდრე ბიჭიკო ხელს სტაცებდა, უფსკრულში გადაეშვა.

— ესაა გადარჩენა? — ნამოხტა მამუკა. — უფსკრულში ვარდნა? სადღაა ჩვენი ძირძველი ფესვები?

— არაფერშია ჩვენი ძირძველი ფესვები. ჩვენი სახლიც არაფერზე დგას. ქვემოდან კი არ არის ამოზრდილი, ზემოდანაა ჩამომდგარი და თუ მას ძირის ძირამდე ჩაყვები, უფსკრულში შეიძლება აღმოჩნდე.

### უფსკრული

უფსკრული ზედიზედ ნთქავდა სასონარკვეთის კიდემდე მისულ გმირებს. ზოგი მებრძოლი იყო, ზოგიც იმედგანყვეტილი და ყველაფერზე ხელჩაქნული. უფსკრული კი განურჩევლად ყველას ახვევდა თავბრუს — თვითონვე სწყდებოდნენ ნაპირს და მიფრინავდნენ ჯერ ღრიალით, შემდეგ მდუმარედ... რჩეულებს იზიდავდა უფსკრული, იმათ, ვინც ფენა—ფენა ჩადიოდნენ საკუთარი არსებობის სიღრმეში და ეჭვის თვალით ჩასცქეროდნენ უქველს; ყოფნაში არყოფნას ხედავდნენ, ნათქვამი დაფარულსა და გამოუთქმელს გრძობდნენ. სისრულეს კი არ წვდებოდა მათი თვალი, არამედ სისრულის მიუწვდომლობას, უსასრულობას, სინანულს.

ჩემს რომანს (თუკი გავებედავ და ასე უწოდებდნენ მას, რაც თავისთავად ჩნდება ამ გარღვეული, ათასფრად ამოხეტილი გონებიდან) სწორედ უფსკრულთან თამაში წარმართავს, თვალაუწვდენელ სიღრმესთან თამაში, როცა გრძნობ, რომ ვერ იტყვი სათქმელს. იმისთვის რომ ფირი შესძლო, მთლიანად ფიქრად უნდა იქცე, მთლიანად უნდა დაკარგო სხეულის სიმძიმე, რაც შეუძლებ-

ლია. ამ შეუძლებლობას შეიძლება მხოლოდ გაეთამაშო. თამაშ-თამაშით გაუბედო ის, რაზეც არ მიგინვდება ხელი, მაგრამ უცნაურია! სწორედ მაშინ, როცა უარს აცხადებ ქვემარტივების წედომაზე, როცა თამაშობ არაფრის გამო, სწორედ მაშინ კარგავ არსებობის სიმძიმეს და წვდები იმას, რაც გინდოდა რომ გეთქვა.

ასე მესმის უფსკრულში ვარდნა. ჯერ სასონარკვეთა, ნახტომი არყოფნისაკენ, შემდეგ კი თამაშის სიმსუბუქით მოპოვებული მიზანი...



მივიხედ-მოვიხედე. გვარდიელები აღარ იყვნენ. მიმქრალი ცეცხლი ძლივსლა ბჭუტავდა. საღამოს ბინდში ჩაძირული მზე ქალაქს მიწას აცლიდა ფეხქვეშ. ყოფნას და არყოფნას შორის ვიყავი მეც, რადგან ჩემი სხვადაყოფნის კიდევ ერთი შესაძლებლობა ჩამოვიფერთხე მხრებიდან. რა იქნებოდა, ნაბიჯი რომ გადამეგდა, იორადი ამელო ხელში და ბოლომდე გავყოლოდი სიბრაზის ტალღას. ჩემი სათავე ხომ ყველაფერს მოიცავდა — სიყვარულსაც, სიძულვილსაც, სულ მუდამ არჩვენის წინაშე ვიდექი, მაგრამ, არ ვაკეთებდი არჩევანს, არ ვიკეტებოდი ჩემი ხასიათის ფარგლებში. უფსკრული მეუბნებოდა, რომ მე გზაჯვარედინი ვარ და არა გზა, რომ მთავარია არჩევანის ზღურბლზე დგომა და არა მოძრაობა რომელმე მიმართულებით.

იანლოს მთა უკვე წყვდიადით იყო მოცული, მაგრამ ქვემოთ ზღვას ჯერ კიდევ ეთამაშებოდა შუემბინძული მზე. უცბე ზღვის სურნელება შემოიქრა ფერდობს შეფენილ ტყეში. უხვი იყო ეს სურნელება, მიმზიდველი და მაცდური. თვალს კი ატკბობდა ზეცას შეთამაშებული ზღვა, მაგრამ ვგრძნობდი, ამ სიმშვენიერეს მკორე, შეუწინაღობელი მხარეც ჰქონდა და სიღამაზე კი არა, ეს შიშნარევი შეუცნობლობა მიზიდავდა მისკენ. ასე ჩავედი ნაპირზე და შევცურე ზღვაში, სიტყვას შევეურთდი ზღვადქცეულს, რომელიც ისე გაიხსნა და გაფართოვდა, აღარც თბილისის ზღვა იყო და აღარც შავი, ერთივ იყო და მეორეც. სურნელება თავბრუდამხვევი, სიღამაზე ენით უთქმელი! მოხუჭე თვალი, დაიჯერე, რომ ყველაფერი სიკეთით და სიმშვიდით არის სავსე! მაგრამ არ შემძლია! უნდა გადავიხედო სიკეთის მიღმა, დაფარული დაინახო! და უცბე მივხვდი, ეს იყო სისხლის ზღვა! სისხლი აძლევდა სიტკბოს, სისხლი მატებდა სიშავეს! სისხ-



ლის ტალღები მაცხრებოდნენ თავს და ჩონჩხებმოდენილი ნაპირი ჩემსკენ იწვდიდა ხელებს!

— რა შუაშია სისხლი! — კაბინეტიდან მომესმა ღვალაძის ხმა, — ვერ ხედავ რა უჭროსფრად ლივლივებს ჩვენი საამაყო ზღვა!

— ეს სისხლია, გესმის! — დაუყვირე, — ჩვენი ავკაცობით მოზღვავებული სისხლი და რაც მეტად ნაშლი, რაც მეტად მოიტყუებ თავს, მით უფრო გაფართოვდება, აზვირთდება...

— არა, არ მესმის, არც მინდა რომ მესმოდეს! — მიპასუხა ღვალაძემ.

თმი კი უფრო ნაპირზე იყო გაჩაღებული. თითქოს ჩონჩხები ებროდნენ ერთმანეთს. სხვადასხვა ფერის დროშები ტრაილებდნენ სისხლის მორევში, ციდან იღვრებოდა ცეცხლი და მთელ ზეცას, ზღვასა და ხმელეთს მოსდებოდა კალიების ურდო, კალიების შავი ღრუბელი ნთქავდა სიერცეს, ნაპირებიდან ზღვის კიდეშია, გველმანძობით ეხვეოდა მზეს, მთვარესა და ვარსკვლავებს, ურჩხულივით ნებობდა სისხლადქცეულ ზღვაზე. მეც მომწვინა კალიების ლაშქარი, მეც აღმოვჩნდი ღრუბლის წყვიდადში, მაგრამ რომ დაეაკვირდი, კალიები კი არა, კბილებამდე იარაღში ჩამჯდარი მეომრები იყვნენ ისინი! მოელვარე მუზარადებით, სიბრაზისგან გადასწორებული სახეებით. ზეციდან ეშვებოდნენ მწყობრად და სპობდნენ ირგვლივ ყველაფერს, თვითონაც იღუპებოდნენ, უცებ კარგავდნენ მზერას, იერსახეს, ფერსა და ხორცს, მაგრამ ჩონჩხადქცულნი, მაინც აგრძელებდნენ ბრძოლას, ქმნიდნენ დაჯგუფებებს, პარტიებს, ეჯახებოდნენ ერთმანეთს, გზას უკაფავდნენ ახალ "კალიებს", თავისუფლებს დროშით რომ გამოდიოდნენ ზღვიდან და იდგა გოდება და ტყვიების მრავალნერტილი აზრსა და გარკვეულობას უკარგავდა ცეცხლში გახვეულ ნაპირს, ბნელს შერეულ ზღვას და გაისრლდა შეძახილები, მოწოდებები, სიძულვილით აღსავსე მეომრები ვეღარ არჩევდნენ მტერსა და მოყვარეს, ირგვლივ ყველაფერს ანადგურებდნენ და ბოლო არ უჩანდა ნგრევას. მაგრამ სიძულვილი ნგრევაზე უფრო შორს მიდიოდა და მარტო ბოროტებას კი არ უნთებდა ცეცხლს, ზღვებს არღვევდა ბნელსა და ნათელს შორის და ეს იყო გაუკუღმართების მწვერვალი, როცა განურჩევლად ითქვიფებოდა ერთმანეთში ცარიელ სიტყვად ქცეული ბოროტება და სიკეთე.

მეომარი "კალიები" ახლა ზღვისპირა ქალაქს უტყვებდნენ. ზეცა სავსე იყო

მუქართა და რისხვით. ღრუბლები ქვექუხილით ეჯახებოდნენ ერთმანეთს. ფოლადის ჩიტები ცეცხლის ისრებით ცხრილავდნენ უკვე დაზარულ, ლამის მინამი ჩამძვრალ ქალაქს. ქალაქი აღარ ერქვა მას, მაგრამ მაინც განაგრძობდა არსებობას, მაინც ებრძოდა არყოფნას.

და აი, ფოლადის ჩიტის ახალი გუნდი ჩამოეფარა სისხლში ჩაძირულ მზეს. მამინე ქალაქის მხრიდანაც ამოეარდა შემხვედრი გუნდი, ზედ ჩემს თავზე შეეჯახნენ ერთმანეთს. რკინის ფრთებით დატრიალდა, მეფე კი ააღდა ვავარვარებულნი ცა ერთ-ერთმა "ჩიტმა" ბოლი გამოაფრქვია და ვარდნა დაიწყო. "ჩიტს" პარაშუტი მოსწყდა და ნარჩარად დაეშვა ზღვის ტალღებზე. მფრინავი ვიცანი. სამხედრო აეროდრომზე რომ შევვხვდა, ის იყო.

— არჩილ! — ძალა მოვიკრიფე და შევძახე, — რა ხდება?

არჩილმა მოხიბდა, ან მიცხო, ან ვერა. მაინც მიპასუხა.

— ალცა შემოგვარტყეს, ყველგან ღალატია, ზღვიდანაც გვიტყვენ! ვერ ხედავ, რამოდენა მხეცი ამოდის ტალღებიდან! ჩქარა!

ზღვიდან ამოცურებულმა, ათასი ცეცხლით მოვლევარე ჯავშანმა თვალს მომჭრა.

— დაგვიჩაბა! ჩვენსკენ ატრიალებს ტუქს, დაყვინთე!

ჩაყვინთე, რაც შემეძლო ღრმად. გული მერეოდა, არადა უნებურად მაინც ვცლაპავდი ტკბილ, ნებოვან სისხლს. დავეძინდი, სიმძიმემ კიდევ უფრო ღრმად ჩამითრია, ტყვიები სტრიქონებით ხაზავდნენ აქაფებულ ტალღებს, აქ კი ზღვის სამარეში სიმშვიდე იდგა. ველარ აღვიქვამდი საკუთარ თავს, გერც მუცელში ტყვიასავით ჩალვრდი სისხლს ვგრწყობდი... სიმსუბუქის ძებნამ მომიყვანა ზღვასთან, ზღვადმოქცეულ სიტყვასთან, მიწიდან მსურდა მოწყვეტა და მიწას მივეჯაჭვე, ნაესმოდებულ ხლართებში გავიბლანდევ. დასასრულის განცდა მაინც არ მქონდა, ვგრწმობდი, რომ ეს სიმძიმე და განურჩევლობა, როცა ჩემთვის აღარ არსებობდა აღმოდებული ზღვა და არყოფნის ნაპირი, იყო განსაცდელი, განსანმენდელი, საიდანაც ახალ სიცოცხლე ნამოვიდოდა. ამ გრძნობამ ამომიყვანა სამართიდან. თვითონ არ ვიცი როგორ შემოვიგლივე წყალმცენარეთა ბორკილი და ნელ-ნელა ამოვცურე ზღვის უფსკრულიდან.

ფერფლით, ძვლებითა და ხორცის ნაგლეგებით მოფენილ ნაპირზე გავედი. არჩილი გულადი იწვა. ტყვია ყელში მქონდა მოხვედროდა. ღია თვალბით შეხვედროდა

სიკედელს. ბრძოლის ხმა ახლა შორიდან ისმოდა. ნაქალაქარი ხრჩოლავდა, აქა იქ ფეთქებოდა და ისევ ქრებოდა. ზღვა ნელ-ნელა დაინმინდა, გაფერკმრთალდა, განაზდა. ამომავალმა მზემ უკვე შეალო ცის კარი. ახალი დღის სუფთა, ჯერ დაუნერეული ფურცელი აუფარა განთიადის ცას.

— მდაა... — სიგარეტი გააბოლა ღვა-ლაძემ, — მეტად პიპერტროფირებული ხილვებია. თქვენ, ჩემო ბატონო, სწორედ ზღვაზე დასვენება გჭირდებათ.

ასე დაიწყო ჩემი მოგზაურობა არს-აით, ჩვენი ძალადმუქმნილი ნყოფის მოგაადოებულ წრეზე. ხმა ჩემი წინას-წარხედვის შესახებ ელვის სისწრაფით გაგრცელდა მთელს ჩვენს სისტემაში. პირველად ამ ხილვებზე რეაგირება მოახ-დინეს იქ, სადაც საჭირო იყო. სტრიქონები ბოლომდე არ მქონდა ჩამთავრებული, რომ უკვე მომივიდა მონგვეა იქიდან. მიხარებდნენ სასწრაფოდ, რატომღაც შეს-ვენების დროს, პირველიდან ორ საათამდე.

— იმიტომ, რომ არ გვინდა ჩვენს პირველ შეხვედრას ოფიციალური ხასია-თი მივცეთ, — შესვლისთანავე ამისხნა ლომისფაფრიანმა კაცმა, რომელსაც მუბლზე ქოჩორი აკრეჭილი მქონდა. — დეიდა ცუცა მოვიდა!

კაბინეტში შემოვუსუსკდა მრავალგზის ნახსენები დეიდა ცუცა, რომელსაც ახლა-ღა მივაქციე ყურადღება. მის ამორფულ სახეს ამშვენებდა ინდაურის ცხვირი და ჩამოსიებული ყბა, რის გამოც პირი არ ეკეტებოდა ბოლომდე. მარტივ წინადადე-ბებსა და შორისდებულებს, რომლებსაც გამოსცემდა, პაუზის შემავსებელი ფუნქცია მქონდათ დაკისრებული.

— გვესტუმრა ჩვენი მოუსვენარი ბიჭი! — გაუღიმა ცუცას ლომისფაფრიანმა თუ ქოჩორაკრეჭილმა (რომელიც გნებავთ) კა-ცმა. ცუცა დეიდამ მაგიდაზე თაიგული შემოდგა, ჩაი ჩამოგვისხა და მორცხვად ჩაღვრა თავი.

— ჩვენს ონეარ ბიჭს ჰგონია, — ისევ ცუცას მიუბრუნდა კაბინეტის ლომი, — რომ ყველაფერს, რაც აზრად მოუვა, შეი-ძლება სიცოცხლე მისცეს. ისეთი ცნებები, როგორიც გახლავთ მასალის სელექცია, აბსურდისა და ქაოსის სისტემაში მოყვა-ნა, სისტემის დაქვემდებარება იდეის მიმარ-თ, ქცევათა მოტივირება, მოვლენების ახსნა, გამჭოლი მოქმედება, ზეამოცანა, — ეს ყველაფერი უცხოა მისთვის.

— თქვენ ვინ გეკითხებათ? — ველარ მოვითმინე.

— ხედავ, ცუცა დეიდა, გულზე რა გოგორ მოხვდა? გვეკითხებიან, სწორედ ჩვენ გვე-კითხებიან, სხვანაირად თავზე დაგვეგერ-ეოდა ის, რასაც ვამუშავებთ.

სწორედ ამ დროს ოთახში ბავშ-ვმა შემოირბინა. მოათრია თავისი ქსილოფონი და ზედ ჩემს ყურთან დასცხო. შემიტოკდა გული, ფიქრი გამექცა. კაბინეტის მთელი კომპოზიცია ანარეკლივით დაიბრიცა, აიძვრა.

ბავშვს ყურში ვტაცე ხელი. შემოვარდა ცოლი. — "ეს გირჩენია ხომ ჩვენს თავს! — ფურცელი გამო-მტაცა ხელიდან, — ვის რად უნდა შენი ნაცოდვილარი!" — მიკვივის. კაბინეტის ლომი ლამის ნაკუნე-ზად აქცოხს. ბენზევ გამოვგლიჯე ხელიდან...

ლომისფაფრიანმა ძლივს აკრიფა დარღვეული ნაკეთები, ჩამოიფერთხა ბინდი და განაგრძო:

— იცი, ცუცა დეიდა, რა არის ცენზუ-რა? ცენზურა მარტო ყუროს ანევა და კუთხეში დაყენება არ გვეგონოს. ცენზურა არც შაკრატელია და არც კლასიკოსის ციტატა, სტრიქონებს შორის უადგილოდ ჩასმული. ცენზურა მე და შენ, ჩემო ცუცა, უფრო ფართოდ გვესმის. იმდენად ფა-რთოდ, რომ აკრძალვების ნაცვლად ზოგჯერ თავისუფლებაა საც ვიძლევით ხოლმე, თუ ეს თავისუფლება, რა თქმა უნდა, ჩვენს ნისქელიზე ახსამს წყალოს. მაგ-რამ ეს ვაუტაბონი, — ჩემსკენ გაიქნია თავი, — არ ცმაცყოფილდება ნაწიური თავისუფლებით და დაუკრფავში გადას-ვლს ცდილობს, სადაც არც ლიტერატუ-რა და ალარც ცხოვრება... რა ვინდა? რას გვებრძვი? თქვი, რაც განუხებს, წერე როგორც მოგესურება, ოღონდ წერე ნათ-ლად, გასაგებად, ჩვენი ცხოვრების აშა-ხველი სიმართლით. შენ კი ისე წერ, თითქ-ოს არ იცი რას წერ და მხოლოდ წერის პროცესში გებულობ შენივე ნაწერს. ცდილობ წარმოიდგინო, რომ სადღაც თავისი მოედინება სათქმელი და ამ მდინარეში გასურს ისე შესვლა, რომ რიყის ქვებს გველის პერანგით შეატოვო სა-უთარი თავი. ხომ ლამაზად ეთქვი? — მომიბრუნდა.

ტაში დაუქარა.

— პოდა, ქალბატონო ცუცა, წარმოვი-დგინოთ, რომ ეს მდინარე ზღვას უერთდ-ება და ზღვადმოქცეულ სიტყვაში ჩაძირული, მარინწყლის ნაცვლად, სისხ-ლის სიტკბოს შეიგრძნობს. რადგან სა-კ-



უთარი თავი რიყეს შეატოვა, აღარ არსებობს შემაკავებელი ძალა, რომელიც ამ ტყბილ ნიაღვრას ალუდგება ნინ.

— არაუშავს, ჯეული ბიჭია, გამოცურავს, — თქვა ცუცა დეიდა.

— თავის ჯეულობა და ბიჭობა უკან დარჩა იმ საუკუნეში, ლიტერატურული ფორმისადმი კი ასეთ უდიერ მოპყრობაში არსებული სამყაროს მიმართ პროტესტია ჩაქსოვილი.

— ეგ ქოჩორი ვინ შეგკრიჭა? — ცკოთხე.

— შენი ნახელავი იქნება, — ამოიოხრა, — მაგრამ ჩემს ლირსებას ვერ შეეხები, ვერა! — შეერდებ დაბნეული ორდენი მომიშორა.

— მაგ ღირსების ორდენს უკანა მხარეც აქვს, ჩაიხედე სარკეში!

სარკის ერთი ფრთა მოვატრიალე. გამოჩნდა კაბინეტის ლომის უხამსი სიტყვით აჭრელებული ზურგი.

— ვინ დამანერა, ვინ! — აღრიალდა და მუშტი დასცხო მავიდას.

— მე, — გაუღიმე.

— ცუცა დეიდა, ბიჭებს დამიძახე, ეს ვაფბატონი შიბრძანონ სადაც საჭიროა!

— ცუცა დეიდა ვერ გიშველის! მე კი მომიშორებ, მაგრამ თავს მაინც ვერ მოიტყუებ. ჩემზე უკეთ მოგვხსენება, რომ ეს ყველაფერი უსაზიზღრესი ფარსია და შენ მხოლოდ თამაშობ ცენზორის როლს.

— რას მიქარავ! — კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ არ ვაცალე, ფაფარში ჩაევაღლე ხელი და პარიკი ჩამოეგლიჯე. ჩემს წინ ღვიაღმე იდგა! მრგვალი ქალივით ლაპლაპებდა მისი თავი.

— უი, ქოსა ყოფილა! — ვითომ არ იცოდა, ისე გაიკვირვა ცუცა დეიდა.

— ქოსა-ტყუილა, — დავამატე.

— ხელს რატომ გვიშლით ჩემო ბატონო? — ფარდა გაიხსნა და მეორე ოთახიდან რეჟისორი გამოვიდა, — რა მონდომებით, როგორი ნეალებით დაედგით თქვენი შეხვედრა! ეს ხომ საკენადო მომენტია, როცა ვმირი უნდა განინჰინდოს ამოკალიფსური ხილვებისგან და რეალობას დაუბრუნდეს. ადვილი ხომ არ გვინიათ ამ სცენის შექმნა? სადადგმო ინვენტივია გავგინახვერეს, მაგიდა და სკამები სახლიდან მოვიტანე, ვერცხლის კოზებზე გავყიდე, რომ ნალდი ლომის ფაფარი შემიძინა, თქვენ კი შეხვედრაზე ისე გამოცხადდით, მგონი ტექსტიც კი არ იცით თქვენი.

— თუ გულსუსტი არ ბრძანდებით, ერთ საიდუმლოს გავიმხელთ.

— ბრძანეთ!

— ტექსტი არ არსებობს.

— რაო?

— ტექსტი არ არსებობს, არც ჩანაფიქრი. ყველაფერი აქ და ახლა იქმნება.

— ვაი! — ესლა მოასწრო, ნაბარბაცდა და მოჭრილი ხესავით დაენარცხა იატაკს.

— ექიმი, ცუცა დეიდა! ნიშადფერი, ჩქარა, ვილუპებით! — ანრიალდა ქოსა-ტყუილა.

ცუცა დეიდა კივილით გავარდა, შემოვარდა, ტელეფონს დასწვდა, კარგა ხანს უბერა სული, ამასობაში სხვა მსახიობებიც შემოვარდნენ, ვინ ნახვერადცამული, ვინ სახემოთხუზნული...

— რა უთხარი ასეთი, იმ პატროსან ადამიანს შე არაკაცო! — ყელში მწვდა ქოსა.

მუხლი ამოვარტყე და რეჟისორს მივუწვინე ვვერდში.

— მილიცია, თუ პოლიცია! — ამოიხრიალა.

— არ გვინდა, ჩვენც ვეყოფით, — მსახიობებმა ალყა შემოშარტყეს.

ცუცად ნაფილოდა ჩემი საქმე, ბედზე რეჟისორი გონს რომ არ მოსულყოფო... ჩამოვჯდა, მიმოიხედა და მსახიობებს ხელით ანიშნა, გაჩერდითო.

— მარტო დაგვტოვეთ! — ბრძანა.

ყველა გაიკრიფა, ქოსა-ტყუილაც დერეფანში გაათრიეს. დარჩა მხოლოდ ცუცა დეიდა, ჩუმი და შეუმჩნეველი.

— გულზე ხელი დაიდო, იხუმრე არა?

— არა, — ვუპასუხე.

— კარგი, გეყოფა, — ნამოდგა და მავიდას მიუჯდა, — ხომ ხედავ, არ ვაფიქსირებ შენს სიტყვებს. ვითომ არაფერი გითქვამს. მდივანსაც მოველაპარაკებო, ოქმი დახიოს.

— მაშინ მეც ბოლო უნდა მომიღოთ, — ვუთხარი, — მე ასე ვფიქრობ, ასე ვქმნი და ასე ვარსებობ.

— შენ უნდა გადასხვაფერდე, თუ არ გაცხრილებ, თუ არ მოანესრიგე ის, რაც შენს გულსა და გონებაში ტრიალებს, თუ არ ნაშაღე ის, რაც სინამდვილეს არ შეეფერება, შენც დაილუპები და ჩვენც დავგულუპავ!

— სისხლის ზღვა არსებობს, — დავიყვირე, — არსებობს არა როგორც სინამარი, არამედ როგორც ცხადი! თვით მე ვარ ეს სიტყვადე!

— შენი გამოსწორება არ იქნება, სამწუხაროა.

ზარს დააჭირა ხელი. შემოვიდა ორი შავებში ჩაცმული კაცი.



— ქვევით ჩაიყვანეთ, ოღონდ, იარაღი გულზე მიადეთ და ისე, ხმა არ გამოვიდეს.

გაძალიანება დავაპირე, მაგრამ კეტი ჩამცხეს და გონს რომ მოეფიქ, უკვე სარდაფისკენ მიმთრევენდნენ.

ახალი ამოცანა გაჩნდა ჩემს წინ. დატყვევებული ვიყავი და დასასრულისაკენ მიმაქანებდნენ. როგორ შემოვატრიალო ბედი?

ნესტიანი, ხავსმოდებული კედლები... ქვესკნელში ჩამავალი კიბე... ყოველივე სიმძიმის, გარდუვალობის განცდას ამძაფრებს. ერთადერთი, რაც ამ სიმძაფრეს შეიძლება აღუდგეს წინ, არის ირონია, თვით სახეებსა და საგნებში ჩაქსოვილი. კი არ მეღიშება, თვით საგნები და სახეები დასცინიან ერთმანეთს, ღიმილნარევი ეჭვი აქარწყლებენ საკუთარ თავდაჯერებას და სიმძიმეს. ოდნავ დარღვეულია მათი სიმკაცრე, ოდნავ ბუნდოვანია მათი ღიმილი.

ერთ-ერთმა ჯალათმა (მასში ღვალადე შეიქმნა) გასაღებების აცმა ამოიღო დარკინის კარს მოარგო. გამოჩნდა ნახევრადნელი ოთახი. კვლავ წინააღმდეგობა დავაპირე, ისევე ნამარტყეს და ოთახში შემავდეს.

მდგომარეობა თითქმის გამოუვალი შეიქმნა. სიტყვა "თითქმის" ზედმეტად მერყენება, მაგრამ მაინც ვებლაუჭები ამ სიტყვას, მაინც მჯერა, რომ კვლავ გავალკივებ მასში ჩამარხულ იმედს.

მაინც სად არის გამოსავალი? გარემოებაში, რომელიც შეიქმნა, თუ გარემოების ამსახველ ფრაზაში? სხვა ჩემს ადგილას რალაცას მოიფიქრებდა; ან კედლის ქვეშ გასაძვროს გათხრიდა, ან მცველებთან შეჭიდებულ პატიმარს ჩაბერავდა ზეადამიანურ ძალას, მაგრამ ეს ყველაფერი სანახაობითი ეფექტებია. ხომ ფაქტია, რომ ჩემივე სიტყვამ ჩამოვიყვანა აქ, ამ ქვესკნელში და მამასადამე სიტყვის ნყობაშივე უნდა ვიპოვო ხსნა.

დავიწყეთ იქიდან, რომ სიტყვამ "თითქმის" ალბათობა წარმოშვა, რაც მშვენივრად შეუფერება ჩემი ცხოვრების სტილს. უეჭველი და გარდაუვალი არაფერია ჩემთვის. ხასიათით კი არა ვარ მერყევი, ეჭვის თვალთ ვცდილობ შევხედო არსებულს, როგორც ალბათურს, როგორც სხვა შესაძლებლობათა შემცველს, ამიტომ უსაშველი და უიმედო ჩემთვის იმედის ნაპერწკალსაც შეიცავს, ამიტომ სიტყვები — თითქმის, იქნებ, თითქოს, ის ბუნდოვანი სტიქიაა, რომელშიც იხსნება და მყოფობს ჩემი მძიებელი სული.

— კარგი, გეყოფა! — მომიბრუნდა ღვალადე-ჯალათი, — თუ ასე გინდა გაქცევა, ანა, შევეტრიალდები, ამომაცალე გასაღები ფიზიდან და კარი გააღე.

ამოვაცალე თუ არა გასაღები, აყვირდა:

— კაკო! ბატონო კაკო!

ზემოთ, კიბის ბატანზე რეფისორი გაჩნდა:

— რაშია საქმე!

— თავისას არ იშლის, გაქცევას ფიქრობს! — აყვირდა ღვალადე.

— როგორმე გაჩერე, მოვედივარ! — ფრაზა ჩამთავრებული არც იყო, რეფისორი ძირს ჩამოქანდა.

— ზურგისაკენ! — უბრძანა მცველებს. შემდეგ კეტი გამოიმინდა.

— კეფაში ჩასცხე! — ჩამჩურჩულა, — მეორეს მე მოვეული. ზემოთ რომ ახვალ, დარბაზში არ გადახვიდე, ვინმემ არ გიცნოს, კულსებიდან გადი.

უარის ნიშნად თავი გააქანე.

— მიდი, ნუ გეშინია, — ხელი ნამკრა, — გულის სიღრმეში მეც შენთან ვარ.

— არა, ჩვენ ერთად ვერ ვიქნებით, მე ჩემი გზა მაქვს.

— გზა ყველასთვის ერთია! — დაიყვირა და კეტი ლამის თავზე გადაამტვრია ღვალადეს. მეორე მცველი გაოგნებული შემობრუნდა.

— ჩქარა, — მტაცა ხელი.

კი არ ავმობრავდი, არე-მარე დატრიალდა და კიბე თავისით ჩამეცეცა ფეხქვეშ. გაიარღვა კედლები და მავთულხლართებით შემოღობილი ეზო ჩვენსკენ გამოქანდა!

— ჩქარა! ქიშკარი ღია!

რეფისორი, რა თქმა უნდა, არ გამაჩერებს შუა გზაზე, წინ გამაგდებს ტყვიების თავსხმაში. მეც გავიქცევი, ჩავიკეცები, გავხობდები. ოდნავ შეიძლება ამკნვას მხარი, მაგრამ ქრილობა მსუბუქია. მივალწვე კიდევაც ქიქარს, ერთი ნახტომიც და ამ ციხე-ნარმოდგენის მიღმა ვარ! ვხედავ გუმბაგის გამსხვილებულ, უმწეობისგან ბრახმორეულ სახეს ვიდრე იარაღს გადატენის, უკვე მიუნდომელი ვიქნები! მაგრამ აქ ქარი რეფისორის ყვირილს მოიტანს:

— არ დამტოვო!

თურმე, ტყვია მიანვდინებს ზურგში, სისხლით შეელება მკერდი, დაეცა, ნამოდგა, ისევე დაეცა.

უკან მივბრუნდი, ზურგზე ნამოვიკიდე, კვლავ წინ, ქიშკარისკენ! რასაც მესურიან, სულ ამ უბედურს უნდა ხედებოდეს. ჯერ ფართხალებდა, შემდეგ გაშეშდა, დამიძიმდა. როგორც იქნა გადავცდი ეზოს. ჩემსა



და ციხეს შორის თანდათანობით ქალაქი ჩადგა. მეტი მგონი აღარ შემიძლია! ზურგიდან ჩამოვიღე გაქვავებული სხეული. გამართლდა ეჭვი სახეგამაფხობელი ბატონი კაკო აღარ ეკუთვნოდა ამ ქვეყანას.

ჩამოვყექე. თავი მხრებში ჩავმალე. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს მკვლეული ვიყავი.

— ნუ იტანჯები, შენ არაფერ შუაში ხარ! — მომესმა. თავი ავნიე, მკვდარმა თვალი გაახილა, გამოიღმა და იქვე ონკანს შეუშვირა სახე.

— ეს ყველაფერი შენთვის გავითამაშეთ, — შავი საღებავი სახიდან ჩამორიყვინა კაკომ, — აი სისხლიც, — ჯიბიდან ამოიღო ნითელი ბოთლი.

— თავისუფლები ხართ, — გასაძახა ქუჩაში გამოვარდნილ გუშაგებს. იმათაც გაგვიღიშეს და ხელი დაგვიქნიეს.

— ასე რატომ გაისარჯეთ? — ვკითხე

— რომ ბატონი სვეტლანის აუცილებლობას, რომ გამოსავალი მოვლენათა განვითარებაში მოქმედო და არა სიტყვაში. ლიტერატურაში ცნობილია თავის დაძვრების ათასნაირი გზა, აირჩიე რომელიც გსურს, ველოსიპედს რატომ იგონებ?

— სხვის მიერ გავლილი და გატკეპნილი გზით ვადარჩენა შეუძლებელია. ციხიდან ისე ვერ ვაიქცევი, როგორც ჩემამდე გარბოდნენ და ჩემს მერვ გაიქცევიან.

— შენ უკვე გაიქცევი, გაიქცევი ისე, როგორც ტყვეობასთან შეუპოვარ გმირს შეეფერება, მთაფრსოფეტყანი თავგადასავლის ნესებისა და ტრადიციების დაცვით.

— სტრიქონებს დააკვირდი, — ეუთხარი, — თუ გინდა თავიდანაც გადავიკითხოთ. ბოლომდე არაფერია გარკვეული. — თითქოს არემარე დატრიალდა... მომეჩვენა, რომ კედლები გაირტყვი, რეჟისორი ნინ გამაგდებს... გავიქცევი, ჩავეიქცევი, ქარი ყვირილს მოიტახას... თურმე, ტყვია მიანდინეს... დაეცა თითქოს... მეტი მგონი აღარ შემიძლია! არცერთი სტრიქონი დაბეჯითებით არაფერს ამბობს, ლაპარაკია არა იმაზე, თუ რა მოხდა, არამედ იმაზე, თუ რა შეიძლებოდა მომხდარიყო, რა მოხდებოდა. მე შეიძლება სწორედ ასე გავქცეულიყავი, მაგრამ იქნებ სხვაგვარადაც შეცადა ბედი? შესაძლებელი, ნამდვილად მომხდარისგან განსხვავებით, ასეც შეიძლება წარმართოს და სულ სხვაგვარადაც.

— კი ბატონო! — გაუხარდა კაკოს, — სხვა ვარიანტს შემოგთავაზებ:

... მცველთა შორის ვიდექი ბნელ, სისხლიან სარდაფში. რეჟისორი, თუ ციხის უფროსი ჩამოქანდა ჩემთან. "არ იშლი შენსას" დამიღრიალა და მუშტი მხეთქა, მთავარია არ წავეიქცე, როგორმე შევიწინარწუნო გონება, არ შევიგრძნო, აღქმის მიღმა დაეტოვო მუშტების ქნევით ეშში შესული ჯალათი, არ ვიფიქრო იმ სისხლჩაქცევებზე, იმ ტრილობებზე, რომლებმაც იქნებ დაფარეს ჩემი სხეული.

— იქნებ კი არა, მართლაც ასეა! — ლამის ყურში ჩამეყირა კაკომ, — ლამის კი არა, მართლაც ჩაგყვირე! მოეშვი ამ მოუხებლთებელ სიტყვებს, ამ ალბათურ ფორმას, თორემ, (თორემ კი არა, ნამდვილად) მიგასიკვდილებ და ოხრად დაგჩრება მთელი ეს თამაში!

ასე ძალით, მუშტების ქნევით გაფანტა მიხიშნებათა ბურუსი, რომელშიც რაც მინდოდა, იმას ვგულისხმობდი. პირველად ამ ხნის მანძილზე ვიგრძენი აუცილებლობის სიმძიმე. ვიგრძენი, რომ მუყაოს დეკორაცია კი არა, ქვის კედლები მერტყა გარს და ამ გრძნობამ, თამაშიდან სინამდვილისკენ უკან დახევამ ხელ-ფეხი გაუხსნა ჩემს მწვანელებებს.

ახლა სამივე მორტყამდნენ თავდავინეებით, შთავონებით. ეტყობა გასწროლას ერიდებოდნენ და ამ გზით გადაწყვიტეს ჩემი მოშორება. გონებას მაინც არ ვკარგავდი, თუმცა, აღარც ფიქრი მქონდა და აღარც ტკივილი, მაგრამ ერთი ნერტილი მაინც ბეჭტავდა ჭეშმით, ერთქავდა გულს ნაცვლად, ნითლად ინთებოდა და ისევე ქრებოდა. ნერტილი კი არა, უფრო ქუჭრუტანა უნდა ყოფილიყო ის, საიდანაც სანახევროდ იკვეთებოდა სისხლისფერ სხივებში გახვეული ოთახი, ცემით ჩაკეული ფიქრისა და ტკივილის არე.

ღმერთო! ნუთუ შენი ხელი არ ურევია ჩემს გაჩენაში? შორიდან მაინც დამახახე მწვერვალი, რომლის დაუფლებით ნამდვილ ცხოვრებაში შევალ! როცა დარღვეული, გაუბედავი არსებობიდან მენს შეუცნობელ მთლიანობაში გადავალ! როცა ხელის გულზე დალაგდება სათამაშო სახლებად ქცეული ქალაქი. ბამბის ნაგლეჯებით მოფენილი სივრცე და გაიხსნება შენი სამყოფელი, ცისფერსისხლიანი ცა, რომელსაც შეუცნობლობის გამო არაფერს ეუნოდებ! ღმერთო, მომეცი ძალა გავარღვიო ყოველივე გარსემორტყმული, გაქვავებული, უკვე არსებული! შემამღებინე გადავანიჯო იმ გამყიფებულ სიტყვებსა და ფორმებს, რომლებმაც ააესტეს ჩემი სული! ჩამბერე ძალა ხაზი გადაეუსვა ჩემს გამოცდილებას და ცოდნას,

რომ ბრმად შეუერთდე გულიდან გადმო-  
მსკდარ ნიაღვარს და ჩაეძინო მასში,  
როგორც ფიქრის ცოცხალ ნაკადში!

მივიხედ-მოვიხედე. მწვერვალზე  
ვიდებო. ჩამოშლილი ნისლის ღრუბლები  
ნარმოუდგენელი სისწრაფით და სიმსუბუ-  
ქით ტრიალებდნენ ირველივ. ქვევით ზღვა  
იყო გაშლილი. ზღვის სარკეში თავდაყირა  
ეკოდა უსახელო მასივების ქალაქი. პატარა  
ავტობუსი მოადგა მთას, ოდნავ ამ-  
ოვიდა და ჩემს შოლოდინში გაქევადა.

— შინ არ მოდიხარ? — თავი გამოჰყო  
ფანჯრიდან მძლოლმა, ვინც პირველად  
მომიყვანა აქ, ამ უცნაურ ისტორიაში.

— ჯერ ადრეა, — თავი გავაქნიე, —  
და საერთოდაც ეჭვი მეპარება, რომ  
ოდესმე დაბრუნებას შევძლებ.

— ადრე თუ გვიან ყველაფერი თავის  
თავს უბრუნდება. მე ამას არ უნდა  
ეამბობდე, მაგრამ ვსარგებლობ რა შენი  
ლია, საზღვრებდარღვეული სტილით, ამ  
შემთხვევაში შენივე ფიქრს ვაგრძელებ.  
შეტსაც გეტყვი: ხალხი აღფრთოვანებუ-  
ლია ციხიდან შენი გაქცევის გამო!

— დიხ, ჩემო ბატონო! — მეორე  
ფანჯრიდან გადმოიხედა ბატონმა კაკომ,  
— თქვენ თითქმის გამოუვალი მდგომარ-  
ეობიდან მოულოდნელი ნიაღვრებით,  
პირდაპირ მწვერვალზე ამოჰყავით თავი,  
სრულ თავისუფლებაში. ხომ არ გავიზი-  
არებთ თავის დაძვრების თქვენს მეთოდ-  
ებსა და ვაზებს? — ბლოკნოტი და კალამი  
მოიმარჯვებოდათ გამომიწოდდა.

— იცხოვრე გულით და არა გონებით,  
უნდა მიენდო იმას, რაც გულის სიღრმეში  
თავისთავად მოძრავობს.

— შესანიშნავია, გადასარევი! —  
წვერი დააცანცარა კაკომ, — ტაში  
ბატონებო, ჩვენს გმირს!

არ ვიცო როგორ აღმოვჩნდი ავტობ-  
უსში, ქონა კაცების და უღვაშებიანი ქალ-  
ების ნრეში.

— გვიამბეთ თქვენი ცხოვრების შეს-  
ახებ, როგორია თქვენი შემოქმედებითი  
გეგმები? — მიკროფონს მანვდიან.

ფანჯრებს გარეთ კი კინოფირივით  
ტრიალებს ქალაქი, დარდისა და ნუხლის  
ქალაქი, სასონარკვეთის ზღვარზე მისული.

— გააჩერე, მოვედით! — ღრიალებს კაკო.

— ვიცი, რომ არ გიყვართ შეხვედრები  
და იუბილეები, მაგრამ ამ შემთხვევაში  
ხალხის ნებაა ეს, — მომიბრუნდა.

პირდაპირ შენობაში შემაქანეს.  
კულტურის სახლის ახლადშეთეთებული  
კედლები ჩემი სტრიქონებით იყო  
აჭრელებული.

— ხომ კარგად მოვიფიქრე — იცინის  
კაკო.

— აბა ბიჭებო, სმენა იყოს! — მიმა-  
რთა აბობოქრებულ დარბაზს, — მწე-  
რალი გვეჩვია ხედავთ, ამოდენა სახლიც  
კი ვერ იტევს იმას, რაც მან დანერს!

ეტყობა დიდხანს აპირებდა საჯაროდ  
ჩემს ნაწერში ქექვას, მაგრამ ოდნავ  
ჩაეხველე, მისი უზრადლება მივიქციე და  
მუშტი ვაჩვენე.

— ახლა კი, — გაიბადრა, — მხა-  
ტერულ ნაწილზე გადავიდეთ.

მუშებმა სცენაზე როიალი შემოაგორ-  
ეს, როიალზე ვარდების თაიგული შემოდ-  
გეს, წინ ფაიფურის შვიდი სპილო ჩაამქ-  
რივეს.

— სპილოები ჩემი არაა! — დავუყ-  
ვირე, — ზედმეტია!

— არაუშავს, საერთო განწყობილებას  
შეეფერება, — დამამშვიდა.

სცენაზე გამოვიდა უზარმაზარი  
მომღერალი ქალი თქოლზე გაფორქნილი  
ვარდით. გველუშაპის კუდივით მოათრე-  
და აბრეშუმის შლეიფს. შლეიფის ბოლო  
ღვალაქებს ეჭირა ხელში.

— ფორმის სიზუსტეზე თავს ვერ და-  
ვებდებ, — ოქროს კბილები შემომანათა  
კაკომ, — ზოგი რამ საკუთარი ფანტაზიით  
შეეცეს, მაგრამ შენი სტილი ეგონებ და-  
ცულია.

“ჯანდაბას თქვენი თავი”, — გავიფიქრე.

— რატომ ასე უბეშად? თუმცა, ეს ხომ  
მხოლოდ გაფორმებაა და არა თქმა, —  
ხელი ჩაიქნია რეჟისორმა.

სცენაზე გამოხტა ჯამბაზივით  
აჭრელებული კაცუნა, ნითულ-მწვანე  
ნიფხავით, ტანის გრიალში თავი დახარა.  
დარბაზიდან ნატყორცნი თაიგული დაი-  
ქირა და მომღერალს მიართვა. რანამს  
სიწუმე ჩამოვარდა, როიალს დაეძგერა და  
უცერად ნაგრძელებული თითებით კლა-  
ვიშებს გადაურბინა.

მომღერალმა ტუჩები მოპრუნა,  
თვალები მიბინდა და ორთქმავალივით  
დაიკივლა.

ყურზე ხელი ავიფარე. ქალმა იგრძნო,  
რომ დაკარგა ხმა, რომ ამოვად აფრენდა  
პირს, ამიტომ ვიზუალური ეფექტებით  
სცადა ჩემი ყურადღების მიპყრობა. წინ  
გამოქანდა, ხელები ჩემსკენ გამოიწვინა,  
ზეცას (კულტურის სახლის ქერს) ახედა.

— ბრწყინვალედ თამაშობს, — ხელი  
ნამკრა კაკომ, — ისეთი მეტყველი მიზ-  
ნარ-მოხერა აქვს, მოსმენა აღარც არის  
საჭირო.

— ჩემთან ეს ასე არ არის, — თავი  
გავაქნიე, — ძალიან გარეკეთ.



— მოითმინეთ, ახლავე იცნობთ თქვენს პერსონაჟს.

ამის თქმა იყო და ახლა როიალზე დამკვრელმა დაიწყო მანჭვა-გრეხვა. ისე გადმოიხარა, ისე დაბრუნდა უკან, კლავიშებისთვის არ მოუცილებია თითები. შემდეგ სკამზე შედგა, ყირა გაჭიმა და მარჯვენა ფეხის თითებით რამოდენიმე აკორდი აიღო. უცებ კლავიატურაზე გაირიბნ-გამოირიბინა, ზედა კუთხეში ზომიერ შეყოვნდა, აფართობდა, შემდეგ ზომიერ სარტყელს დაუბრუნდა და ფორტპიანოს შთავიწებულ სახით შეერწყა.

ამასობაში მომღერალმა ქალმა თედოების ირიბი რხევით აბრეშუმის სამოსელი შემოიცილა, პერანგი გაიხადა და ღვალაძეს ზურგი მიუშვია: — ლიფი შემისხენო. თელი დავუტყე, მაგრამ ქრელმა კაცუნამ და ვარდისფერ ლაქად ქცეულმა ქალმა გაშოარღვიეს წამწამთა ქსელი და მთლიანად დაიპყრეს ჩემი მხედველობის არე.

— იტნებ საეკარისია? — მიუბრუნდი კაკოს. რევისორმა უცნობ დაილექტზე რალაცა შეუძახა ღვალაძეს. მან მამინე დაითრია როიალზე ამჭვრალი ჯამბაზი, დაფერთხა და იქვე ლურსმანზე ჩამოკიდა, შემდეგ მომღერალი ხავერდის სამოსელში გაახვია და თოჯინასავით გაათრია სცენიდან.

— ჩვენ არაფერ შუაში ვართ, ასეთია შენი სტილი, — გაიღიმა კაკომ.

ისევე მომანვა სიბრაზე, ისევე ვიგრძენი, რომ მოვლენათა სელის მარწუხებში აღმოვრნდი. ეს ცხოვრება ისეა მონყობილი, მოვლენები და მოვლენათა ამსახველი სიტყვები ისე ტრიალებენ, გამუდმებით გითრევენ მომხდარისა და გვრდასულის ფსკერზე და საჭიროა მუდმივი ძალისხმევა ზევით ამოსვლისა და თავისუფლების ტალღაზე ყოფნის მიზნით.

— შეიძლება გავაგრძელოთ? — ყურში ჩამძახა კაკომ.

— მოწყალოთ თაფიდან! — დავიყვირე. შურიაცხყოფილი დარბაზი ერთი კაცივით ფეხზე წამოიჭრა. ხალხი ავანსცენას მოაწყდა და ლანდების გადაშავებულმა ტალღამ გვძთანთქა. მარცხნივ გაუქანდი, ფარდის უკან ფანჯარა მეგულბოდა, გამოვალე კიდევაც, მაგრამ, ვიდრე რაფაზე შეეხტებოდი, ფანჯრებს მონოლიდი ქალაქი ნიაღვარივით შემოიჭრა დარბაზში.

მე ახლა ცენტრში აღმოვრნდი. მაყურებლები სხვადასხვა ორბიტაზე ტრიალებდნენ ჩემს გარშემო. ორბიტებს შორის შემთხვევითი ხალხიც ფარფიტებდა, ცნობისმოყვარეობის ძალა რომ შემოვადო

ჩვენთან. საშინელი ქაოსი იდგა მსგავსი საუკუნეს გადავბიჯე და არასდროს შევსწრებივარ სახე-სხეულთა ასეთ კალიდოსკოპურ თამაშს! სახეები ლაგდებოდნენ და ისევე იფანტებოდნენ. კომპოზიცია იქმნებოდა და ისევე ირღვეოდა, იდეა თითქმის დაკარგული იყო ამ ორომტრიალში, მაგრამ იყო რალაცა ფიქრსა და იდეაზე მეტი, რომელსაც არაფერს ვეძახდი და ტრიალებდა ყველაფერი არაფრის გარემო და ქარს მიჰქონდა და მოჰქონდა სიბრაზის, სიყვარულის, ეჭვის, იმედისა და სინანულის განურჩეველი ტალღა.

ქ ა რ ი

ამრიგად, სიტყვამ მოიტანა და გამანადგურებლად დაუბერა ქარმა, დაუბერა არა დასავლეთ ევროპიდან, არამედ რუსეთიდან და წამოიღო ბრმა სიძულვილი, რომელიც ჩემამდეც არსებობდა, გროვდებოდა წვეთ-წვეთად; მაგრამ მაშინ ეს გახლდათ სიძულვილი არავის მიმართ და არაფრის გამო, რადგანაც ჩვენი ლექსიკონიდან ამოღებული იყო იმის სახელი, რაც მას იწვევდა. ამიტომ ამ უსახლო და ყოვლისმომცველ სიძულვის აქცემაზედნენ პატარ-პატარა სიბრაზეებად და ეტიკეტებით აკრავდნენ ცალკეულ მიზეზებს. ჩვენს ენამეტყველებაში ძალად შექმნილი ხერელი კი შესხერპლს ითხოვდა და აი, დადგა უსებლოსთვის სახელის დარქმევის ფაზი და უზარმაზარი ქვეყნის უსახლოვრო სიძულვილმა დაიწყო საკუთარი არსებობის გამართლებისა და მიზეზების ძებნა. ამიტომაც დაუბერა ქარმა ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ, შვემინა ველებს გავლით ქვედ გააარღვია და ზღვისპირეთიდან შეუტია თითქმის უდანაშაულო ქვეყანას.

თითქმის უდანაშაულოს, რადგანაც საქართველოში მაინც აღმოჩნდა ის უხილავი მავანიტი, რომელმაც თავისკენ მიიზიდა დედამიწის ერთი მეექვსედის მომცველი სიძულვილი. სხვამ გააღვივა ის, სხვაგან გაღვივდა, ჩვენ კი აკრძალულსა და განდევნილს ჩვეული სტუმართმოყვარეობით გავუღეთ კარი.



— ფარსი ხომ არ არის ეგ თქვენი სტუმართმოყვარეობა? მომიხსნა. თავი აგნეო. პირდაპირ სცენაზე სუფრა იყო გაშლილი. სუფრასთან თავციცხლა კაცი იჯდა.

საქონელი

— ვინ ბრძანდებით? — ვიციოხე.  
— მშვენიერად იცი ვინცა ვარ, — გამილიმა.

მხრები ავიჩქნე.

— შეგიძლია არკადი დამიძახო, — ხელი გამომიწოდა.

— სასიამოვნოა, — ხელი არ გავეუნოდე.

— პოდა იმას მოგახსენებდით, რომ დაპლალა თქვენმა მასპინძლობამ. სუფრიდან სუფრაზე დამარბენინებთ, სიყვარულს მეფიცებით. რა საჭიროა ეს სიყაღბე? სიმართლეს გაუმარჯოს!

არკადიმ სულმოუთქმელად დაცალა სასმისი.

— ახლა შენი რეპლიკაა! — მეორე ყანნი მომანდა კაკოში.

— რა რეპლიკა ვითხარი, ტექსტი არ არსებობს! — აუუწიე ხელი.

— მიდი, მაშინ თქვი რაც განუხეხს!

— სტუმარი მანუხებს, სტუმარი დღეს ჩვენიან რომ ქეიფობს, და ხვალ მზეს რომ მიფიცებება ჩვენი სისხლით შეღებილ ზღვასთან!

— ასეთ ცილისნამებას ვერ ავიტან! — ნამოხტა არკადი.

— ბრძოლაში გამოინვიე, — შესთავაზა რევისორმა, — სანახაობითი მხარეც მოიგებს.

არკადი აჟანსცენაზე დადგა. მე ცოტა უკან დავიხიე.

— თქვენი საბრძოლო პოზიციები? — ხმა გაიშკარა რევისორმა.

— მე სტანისლავსკის სისტემის მიმდევარი ვარ. საბრძოლო ხელოვნებაშიც ცხოვრებისეულ სიმართლეს მივდექ.

არკადიმ აბჯარივით აისხა ბუტაფორული კუნთები, ხელზე მარლა დაიხია და კრივის ხელთათმანები ჩაიცვა.

— შეწყვეტეთ მზადება! დროებით შეჩერებულია ყველა კონფლიქტი! — კულისებიდან გამოფარდა ღვალაძე.

— რაშია საქმე? — ნამოხტა კაკო.

— სერიალი იწყება! "მირიანი"!

სერიალის ხსენებაზე ფეხზე ნამოიჭრა მთელი დარბაზი. ვინ კარში გავარდა, ვინ ფანჯრიდან გადახტა... ერთბაშად დაცარიელდა კულტურის სახლი.

სცენაზე ვლადიმ ტელევიზორი შემოაგორა. მეც მომიდუნდა ნება, არკადის ზურგი ვაქციე და ეკრანს მივაშტერდი:

მირიანი უბრალო ბიჭი იყო. ფეხსაცმელების კერძო ვაერთიანება "ისანში" მუშაობდა უმცროს შევირდად. მისდა საუბედუროდ, შეუყვარდა ლაურა, შეძლებული ბიზნესმენის მხოლოდშობილი ასული. ცხადშიც და სიზმარშიც ლაურას დასტრიალებდა

მირიანის ფიქრი. აღმურბ ქვემოთმხატვარს სახელის ხსენებაზე, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებშიც ვერ იკავებდა თავს და პირველივე შემხვედრს მოუთხრობდა თავისი უბღბლო სიყვარულის შესახებ.

— შენც ადექი და ცოლად შეირთე, — ეუბნებოდა პირველივე შემხვედრი.

— როგორ შეირთოს, როცა სოციალური უფსკრულია მათ შორის, — მირიანის ნაცვლად პასუხობდა პურის რიგში მდგარი, ხნიერი ქალი.

— ოხ, ლაურა, ლაურა, უშენოდ არ შემიძლია სიცოცხლე! — ოხრავდა მირიანი.

შემოდის ლაურა.

ლაურა: — იცი, ძვირფასო, მე გადაენციეტი ალარ დაებრუნდე ოჯახში. ალარ შინდა არც დედა, არც მამა, აღარც ქონება, მასწავლე შენი ხელობა, რომ შენთან ერთად ვიმუშავო და შენს გვერდით ეპოვო ბედნიერება!

მირიანი: — არა ლაურა! მე აღარ მიყვარხარ, შეჯავრებები, ნადი, არ დამენახო!

ლაურა: — არა მჯერა! ვეცი, რომ გიყვარვარ, ვიცი რომ განზრახ მკრავ ხელს, რადგან არ გინდა გამაღატაკო და გაშაუბედურო. გიჭირს მონეციტო ფუფუნებაში ნაზარდი ყვავილი, მაგრამ დამიჯერე, მამაჩემის ნასუფრალზე ჯდომას, შენს გვერდით შიშხილი მირჩვენია!

მირიანი: — არა, ლაურა, გეფიცებ, რომ მძულხარ, მე სხვა მიყვარს!

ლაურა: — ვინ!

მირიანი: — ვიქტორია, ჩვენი ფაბრიკის მოლარე.

აცრემლებული ლაურა გარბის, სავარძელში ჩამჯდარი ქალაქიც ქეითინებს. შემოდის ვიქტორია.

ვიქტორია: — მართალია, ძვირფასო, რაც ლაურას უთხარი?

მირიანი: — ოხ, ვიქტორია, თავი დამანებე...

ვიქტორია: — ნამოდი რესტორანში, გულს გადააყოლებ, მე ხომ შენი დაქალი ვარ.

მირიანი და ვიქტორია სხედან სუფრასთან. ფეთქავს მუსიკა, ტრიალეებენ ნყილები. შემოდის ლაურა ამხანაგთან ერთად.

ლაურა: — შეხედე მიტო, შენ ხომ ჩემი უერთგულესი მეგობარი ხარ, თურმე მართლა მყვარებია.

მიტო: — მე შენს ადგილას შურს ვიძიებდი და საყვარელს გავიჩენდი.

ლაურა: — მიტო, მოდი ვიცეკოთ!

ლაურა ეხუტება მიტოს. ცეკვა-ცეკვით უახლოვდებიან ვიქტორიას და მირიანს.



— თავი ჩაიხე! იქით არ გაიხედო! — მაყურებელი მირიანს უყვირის, მაგრამ მირიანმა მაინც შეაბრუნა თავი და მიტოვებული მონბენი დაიხედო.

ალელებულმა დანახს წამოაგლო ხელი და ნაბიჯი გადადგა...

შუტი წაიფიდა. ვილაცამ სიმონისგან მუშტი ვლავრა ჩაბნელებულ ეკრანს. სანთლების შუქზე არკადის უზარმაზარი ლანდი წამოიშარა.

— ხედავ, როგორ უთანაგრძნობენ მირიანს? იმიტომ, რომ სინამდვილეს ასახავს მისი ამბავი. სერიალი სარკესა-ვით ირეკლავს ჩვენი ცხოვრების სიმართლეს, — შემოიხილა.

— ცხოვრება სიზმარია, ჩემო ძვირფასო! მოჩვენებითია მისი სიმართლე! — ვუპასუხე.

— თქვენი რომ გიყურებთ, მართლაც სიზმარში ცხოვრობთ. როდემდე უნდა იარსებოთ სანთლების შუქზე, წრდილებსა და მოჩვენებებში? რეალობის გრძნობა დაკარგული გაქვთ. თქვენი ეროვნული მოძრაობა გრძნობების თამაშის და თეატრალური ფეხვლებების იქით ვერ მიდის. მუშტით მომხედა მისი სიტყვა.

ველარ გაუძელი დარტყმას და სცენიდან გადმოვივარდი.

— ერთი, — თავს წამომადგა კაკო, — ორი, სამი, ოთხი...

არ ვიცი რა ძალამ წამომაყენა ფეხზე, როგორ ავბობლდი ზემოთ.

— ძლიერი მეტოქეა, — პირსახოცით ოფლი მომშმინდა ღვალადემ, — ილუზიური თეატრის თემა კარგად აქვს დაამუშავებული. უმჯობესია პოლიტიკაზე მივინვე.

გაისმა გონგის ხმა და ჩემს წინ კუნთებდაპერლი არკადი გაჩნდა.

— გამოიღვიძეთ, გამოფხიზლდით! — გააგრძელა დარტყმების სერია, — დაუბრუნდით ობიექტურ რეალობას. საღი თვალთ შეხედეთ სიმართლეს. რისთვის აფრილებთ თავისუფლების დროშას? დღეს მსოფლიოს იმპერიული ამბიცია მართავს!

რომ არ ნაწვეტელოყავი, ჩაეებლაუჭე და ისე გაეცი პასუხი.

— იმპერიული ამბიცია თავის თავსაც ვერ მართავს. თავისივე ხალხის ბედნიერ ცხოვრებას ანგრევს. როცა სხვას სამშობლოს და თავისუფლებას წაართმევ, ის თავის ეროვნულ ენერჯიას შენი ქვეყნის გათავისებებაზე მიმართავს. ასე ჩაგისახლდება საკუთარ სახლში მდგმური, რომელიც ნელ-ნელა, შემპარავად ოჯახს დაგინგრ-

ევს და შენი დიადი ქვეყანა ხალხთა თანაც-ხოვრების საკონფლიქტო ზონად იქცევა.

— გეყოფა! — დაიღრიალა არკადიმ და ყურებზე იტაცა ხელი, თავი ვერ შეი-მაგრა და ბრავიანი მოადინა სცენაზე.

აზრი აღარ შექონდა დათვლას, მაგრამ გონგის ხმამ იღბალზე მიუსწრო და ნოკაუ-ტში ჩაგდებული სტუმარი სკამისკენ წაათრია.

მესამე რაუნდს უფრო ფორმალური ხასიათი შექონდა. მორალურად გა-ნადგურებული არკადი ფეხზე ძლივს იდგა, მაგრამ მისმა არგუმენტმა ჩემს გულშიც ჩათესა ეჭვი და ახლა უკვე საკუთარ თავს ვებრძოდ.

— შეიძლება მართალიც იყო, — გაე-ამხნევე არკადი, დროზე ადრე რომ არ შეეწყვიტა ნინაალმდეგობა, — ჩვენ თავ-ომონე ხალხი ვართ და თამაში ჩვენი სტი-ქიაა, მაგრამ ერთ საიდუმლოს გეტყვი, ოღონდ არ ნაიქცე, — ხელი შევაშველე, — ნრფელი სიტყვა თავისთავად არ გად-მოდის გულდან. გულის ვახსნას და სიმა-რთლის გამოხატვასაც ხელოვნება სჭირ-დება, რომელიც არ არსებობს პატივმოყ-ვარობის და თამაშის გარეშე.

რა არის სიმართლე? დაეუშვათ მართ-ლაც მომელანდა სისხლის ზღვა, მაგრამ ის მაინც ხომ არსებობს, თუნდაც მოლან-დების სახით? რალც ხომ ხდება ჩემს გულსა და გონებაში, როცა მე, ხილვით თავბრუდახვეული, სისხლის ტალღებში შევდივარ? ამ მდგომარეობის არგამოხა-ტვა არ მოსპობს მას, პირიქით უფრო გაამწვავებს და მის შესახებ გამოუთქმელ-მა სიტყვამ ერთხელაც საშინელი ძალით შეიძლება იფეთოს.

— გეყოფა, ნუ გააბრუე კაცი, არ შე-მოგაკედეს! — მომესმა კაკოს ძახილი.

შემამერეს. ჩემგან დარტყმანებული არკადი ძლივს დაბანცალეს...

— გილოცავთ გამარჯვებას! — დას-ტყვილა კაკომ და ჩვენს გაბრუებულ სტუ-მარს ხელი აუწია.

გამწარებულმა მუშტი შეეკარი.

— დამარტყი თუ გინდა, — მომიბრუნდა კაკო. — ვიცი რომ შენია ნაღდი მოგება, მაგრამ მოდი ნუ გავალი-ზიანებთ უფროს ძმასა და მეგობარს. არ-კადისთან დამარცხებაც კი სასახელო ფურცელია ჩვენი ერის ისტორიაში.

● ამ ბრძოლის შემდეგ მცველები მოიჩინეს. ჩემი პრალია, გულუბრყვილოდ გამოხატე პროტესტი უსამართლობის მიმა-რთ და მარტოობის უფლებაც დაეკარგე.

დაცივის გარეშე ნაბიჯს ვეღარ ვდგამდი. მე მიცადენენ სხვისგან, თუ ჩემგან იცავდნენ სხვას?

ჩემი უბრალო გაფაჩუნებაც მცველებს «საპასუხო მოძრაობას იწვევდა. ფუნქციონალური სახე უქონდა მათ მოქმედებას. კონფლიქტური სიტუაციის გამართანსწორებელ განტოლებაში უცნობი ცვლადი მე გახლდით. ისინი კი იმდენად არსებობდნენ, რამდენადაც ზღუდავდნენ და აკონტროლებდნენ ჩემს მიმოქცევას. ერთი მათგანი ცუცა დეიდა იყო, მეორე — ჩემი «მეგობარი» კაცუნა. ეს ორი პერსონაჟი მდარაჯობდა მე. ერთი ჩემს ფანჯრებთან ათენ-ალამებდა, მეორე — ცხადმც და სიზმარშიც თავს მადგა. გასაძრობი მაინც მოვინახე! გასაძრობი დედლანდე სიზმარ-ცხადის ხიბზე, ძილ-ბურანიდან ვამოსვლის ჭამს, როცა სიზმრად ნახაბი მცველი ცხადად გამოკვეთილ დარაჯად უნდა ქცეულიყო. ამ გარდამავალ, ბურუსით მოცულ ინტერვალს ვეღარ ნუდებობა ზედამხედველის თვალი, რადგან აქ აღარც მე ვარსებობდი. ეს გახლდათ არაფერისმომცველი ზოლი, სადაც არც სიზმარი იყო, არც ცხადი და ამიტომ აღარ ვიყავი მეც, ვინც ხედავდა სიზმარს და შეიგრძნობდა ცხადს.

სანაბლობის უნაზე რომ ვთარგმნოთ (ხარკი ხომ უნდა მოეუხადოთ სათავგადასხელო რომანს) ჩემი მდგომარეობა მაკონებს მატადორისა და ხარის შეხედრას ჩემს საყვარელ «ფიესტაში»; ვიდრე კაცი დისტანციას იცავს და რქებისგან უსაფრთხო მანძილზე ტრიალებს, ვიდრე თვალს შეუძლია გამოიჯნოს ხარი და ადამიანი ერთმანეთისგან, არც ერთს არაფერი ემუქრება და არც არაფერი ხდება. მოსახდენი რომ მოხდეს, ერთ-ერთი უნდა გადავიდეს საზღვარზე და განურჩევლად შეერწყას მეორეს.

აი, ბრძოლის ამ ერთიან, განუყოფელ სტიქიაში უნდა ჩავძირულიყავი, სადაც აზრს ქარგავდა ყოველი გარკვეულობა, საკუთარი არსებობის შეგრძნებაც კი; სადაც მუდამ იყო დალუპვის საშიშროება და მამასადამე, არსებობდა გადარჩენის შანსიც.

— გეყოფა, ერთმანეთში ნუ აურიე ყველაფერი! — ფიქრი გამიწყვიტა კაცუნას ხმამ, — ვერ ხედავ, ქვეყანა ისედაც არეულია. ამინდი აღარ შესცქერის კალენდარს, ქარი გლეჯს და სიობს ყველაფერს. ქარი გვიფანტავს გონებას. ის, რაც ბუნებრივი იყო, თავისთავად ერწყმოდა ერთმანეთს, ახლა რატომღაც აცილებულია. რალა შორს მივიდვიართ, ვერა და ვერ

გაგისწორებია საბუქედი მანქანის ხელი და ასოები ხერხეტენ მამასისხლად წამოიქცა ლაღდს. ფანჯარა ვერ ჩაგეკეტავს, ქარი ისევ და ისევ აღებს მას, აჯახუნებს კარებს. შენ კი რატომღაც ვერ დგები, რომ გახლენილი ფანჯარა ჩაეკეტო. მთელი დღე ასეირნებდი ბავშვს. ამ გასეირნებას შეენირა შენი საუკეთესო სტრიქონები. მსხვერპლი კი ამოა — ბუშვი გაიკვია და ცხვირს აცემინებს. ასეა ყველაფერში. გაკეთების ნაცვლად საქმეს აფუჭებ, შენ შენსას აფუჭებ, სხვა — თავისას, ზემოთ, სათავეში კი, სრული დომხალია იქ ჩვენი «შომეშ» დიდი ნარმატივით მუშაობს. გული გწყდება, რომ ამოვად შრომობ, რომ დღეს არავის სჭირდება შენი სტრიქონები, მაგრამ ყველა პროფესიასაც რომ ფლობდე, მაინც ვერ გააკეთებ საქმეს იმიტომ, რომ ეშმაკმა ჩაიგდო ხელში ღვთისმშობლის ნილხედრი ქვეყანა და ატრიალებს თავის ფანდებს, ფაფასავით ურევს დიდსა და პატარ-პატარა ტვინებს ერთმანეთში, რათა გამოიყვანოს საშუალო არითმეტიკული გონება, რომ ეს გაშუალებული ტვინი საქმით დროს განაიღებს საზარდაზნე ხორცში და ილუპება ვერ სული, მერე — სხეული, მაგრამ ამ დალუპებასაც არა აქვს ბოლო, სიკვდილიც ვერ პოულობს გარკვეულ დასრულებას და ისევ ცოცხლდება საშუალო გონება, სადაც ნიჭი და უნიჭობა, სათნოება და ცოდვა გადათქვეფილია ერთმანეთში. ასეთია დღეს საქართველოს ბუნება და ნუ გიკვირს, რომ ცარიელ ფორცელს შიშით შესცქერი და ვერ მოგიკრეფია აზრი, რომ სწორედ მაშინ, როცა უნდა ჩასხედე სიშართლეს, ვილაცამ ბოლომდე აუნია ტელევიზორის ხმას და პოლიედუში დაშტამპულმა სროლაგრუნებმა დაარღვია გაფაჩიხებული ფიქრი.

— რა ხდება? ვინმე ხომ არ დაშავდა?

— შემოიხედა კაკომ.

— თავი დაგვანებე — დაულრილა კაცუნამ, — დღეს აღარც შენი ხელობა სჭირდება ვინმეს! ერთი ფილოსოფოსის თქმის არ იყოს, თეატრი კი არ ემსგავსება ცხოვრებას, ცხოვრება გახდა თეატრი და ის, რაც თავის დროზე ვერ განსახიერეს, რაც ოდესღაც ცენზურის თუ კულტურის სამინისტროს წარმომადგენელმა აკრძალა, დღეს სცენიდან დარბაზში, დარბაზიდან — ქუჩაში, ქუჩიდან კი ისტორიაში გადავიდა! ცხოვრება შემადრწუნებელ სპექტაკლად იქცა! შეხედე, როგორ თეატრალურად მოთქეკენი მგლოვიარე ქალები! როგორი პათეტიურია მათი ტირილი, როგორი შთაბეჭდავია მათი მიხერა-მიხე-



რამ არა, ამოდენა ტკივილს მართლაც ვერ იტევს მათი გული, მაგრამ რატომღაც დამბრა, თვალს მიეყინა ნამდვილი ცრემლი და რიტუალმა შთანთქმა ჩვენი ცხოვრება. ქვეყანა ათასჯერ ნიღბებდა, დეკორაციებდა, ბუტაფორივებად იქცა! ასეთ ქვეყანაში ვერ იტვირებ, თუ არ გაითამაშე ტირილი! ვერ გაიღიზნებ, თუ არ მოირგე სიცილის ნიღბი! ეს ყველაფერი, ჩემო ძვირფასო, ჩემსკენ სავალი ერთ-ერთი გზაა!

— იქნებ ამ გზით სწორედ იმიტომ მოეფივარ, რომ შენი საბნებელი მოე-სპო! — ვუთხარი.

— მე მაინც ვერ შემებრძოლები, — თავი ვააქნია კაცუნამ, — მე ყველგან ვარ და ამიტომ ვერსად ვერ ვიქნები. ყველგან ყოფნა და არსად ყოფნა უნდა შეგეძლოს, ჩემს პირისპირ რომ დადგე.

— ასე ვარ მეც! — ვუპასუხე, — არსად არა ვარ და მაინც, ყოველ სტრიქონში შემოძლია ვიყო!

ხელი ვტაცე. მისგან მოდიოდა ყველაფერი, რასაც ვებრძოდი... ჩემი ბედუკულობითობა ამ ჭინკასავით გაძვლ-ტყავებულ კაცს მივანერე. ხომ უნდა მომეძებნა ახსნა, რატომ ვერ ვალწვედი დასაბუღ მისწინებს, რატომ მერღვეოდა ძლივს ჩაეღებულ ფიქრი, რატომ ტრიალ-ებდა ქაოსი ჩემს ირგვლივ და ღერძიდან ამოვარდნილი ქვეყანა თავის თავს რატომ ანგრევდა!

— ასე როგორ შეიძლება, — ხელიდან გამოიმისხლტა, — საკლასო თემა მაინც არ დაგინერია? როგორ შეიძლება ერთ პერსონაჟს გადააბრალო ყველაფერი, არც მანამდე მომხდარა და მერვე მოხდება?

— თუ ბნელეთის მოციქული ხარ, პა-სუხიც შენ უნდა აგო. შენი ბრალთა, ასე უაზროდ რომ ეკარგავ სიცოცხლის საუკეთესო დღეებსა და წლებს. შენი ბრალთა, რომ ქვეყანა ისეა აწყობილი — ყველაფერი ამაოა. სინათლეს ვერ ვხედავ შენს წითელ-მწვანე თვალებში. საკლასო თემას გინდა შეაფარო თავი? თუ ქვეყანა იღუპება, თუ თავის გადასარჩენად მიუღწევი საბედდ მანქანას, რა დროს ლიტერატურული ნორმების დაცვაა! არც ჩანაფიქრი მაქვს, არც მიზანი! ათასი რამ ისახება, ფუთქავს, ხორცმუსხმას ითხოვს; ვიდრე მათ ერთმანეთთან დაეკავშირებ, მეორე ათასეული ტალღასავით გადაამირ-ბნებს და არაფერი შეემსხვრევა. არსებითი და მნიშვნელოვანი სამნის ბუშტივით სკდ-ება! შემთხვევითი, ანაზად შემოჭრილი მიზეზთა მიზეზი ხდება!

— მოკლედ, იმისთვის გჭირდება, რომ მე დამბრალდეს შენი თავმოუბმელი ცხ-

ოვრება. ჯანდაბას, ვიქნები ავი სული. რადგან დალუპვის პირზე ხარ, დრო აღარ გვრჩება ურთიერთობები ვარკვეოთ, მაგ-რამ მაიას რას უპირებ? ზღვის ნაპირზე რომ დატოვე, სეულ, გამჭვირვალ ქვიშა-ში?

— ძალიან გთხოვთ, ნუ შემხებებით, სული ისედაც ძლივს მიდგას, — მოგვესმა ზღვის ნისლიდან.

მაიას ხმის გაკონებაზე უკუიქცა ჩემი სიბრაზე. რაღაც ჩამწყდა გულის სიღრმეში.

— სადა ხარ? — მივიხედე-მოვიხედე.

— სინანულის ბურუსმა დაფარა მისი სახე, — მითხრა კაცუნამ, — გულიც იმიტომ გწყდება, რომ სხვა მიზანს შეს-წინრე მისი სიყვარულის ნიჭი.

— თავი დამანებე! თვითონ გავერკვე-ვეი ჩემს გრძობებში! — ზურგი ვაქციე კაცუნას.

ნუთუ მართლა დაეკარგე სიყვარულის უნარი? სასწრაფოდ უნდა შევეჩერო ბრძო-ლა და ყური მივუგულო საკუთარ თავს; რაღაც რომ შეუნწყვეტლივ მოძრაობს ყოველი ფორმისა და არის სიღრმეში, ეს ფაქტია. ფაქტია ისიც, რომ ეს მოძრაობა ჩემს მაჯისცემასთან არის შერწყმული. სავნების უკან, იდეათა სამყაროში, ჩემი სულის ქოლღას შევიგრძნობ. ქარს მოა-ქვს შეკითხვა — რისთვის მივუფექი საწერ მაგიდას? უაზრავი სიტყვა უნდა დაე-ხარჯო, ასობით ფურცელი შემომეხიოს, რომ გავიგო რა სურვილები და ზრახვები ჩახვეულან გულში, რომ შემდეგ ასევე წვალებით ამოვატყურო ისინი, სახებედა ვაქციო და ფეხზე დავაყენო! გეყოფა! სულში ნუ აფათურებ ხელებს! ცხოვრებას დააკვირდი! მას დაესუსტე ამბავი. იქნებ აყვე ამ რჩევას, გადავიხედო ფანჯრი-დან? როგორ უღიმვამოდ ცხოვრობს ქუჩა და რამდენი რამ ხდება ამ ერთფეროვნე-ბაში!

ცხოვრება ისეთი უაზროა, არაფრის გულისთვის ვინმეს შეიძლება ესროლონ კიდევაც. თუ ტყვია აცდა მიზანს, კედლიდან ასხლეტელი, ჩემს ოთახში შემ-ოიჭრება. არც მე ვარ დაზღვეული შემთ-ხვევითი ტყვიისგან და ვიდრე განძრევას მოვასწრებ, მხარს ცეცხლივით შემომე-ნთება ტკივილი. რაფაზე შავად დაიღვე-ნთება ჩემი სისხლი. მაინც რომ ვერ ვწყვედი ფანჯარასა. ქუჩა ეშმაკის ბორბალივით ტრიალებს, ალაღ-ბედაზე მიეღინება განთიადიდან მზის ჩასვლის-აკენ. ვის გააცვილებს უკანასკნელ გზაზე, ვის გაუთენებს ხვალისდელ დღეს? არა, არ შეიძლება ასეთ შემთხვევითობას



მივინდო, არ მინდა ჩემი შთაგონება ბრმა ტყვიამ იმსხვერპლოს!

— ბატონი ბრძანდები, — მეტყვის კაკო, — ჭუნა არ გინდა, ქალაქს მიმართე. ქალაქი უფრო ზოგადია და კანონ-ზომიერი.

კანონზომიერი, მაგრამ რომელ კანონ-ზეა აქ ლაპარაკი? რომლის წინაშე ყველა ერთი ვართ? სადა ვარ მაშინ მე ჩემი განუყოფლობით? სადაა ის, რაც მხოლოდ ჩემია და რაც ვერასდროს იქცევა სხვისი განჩინების საგნად? არ მჭირდება ასეთი პროკრუსტეს კანონი! სიყვარულს ვეძებ, ვრძობას, რომელიც მე მეკუთვნის, ჩემთვის არსებობს, ჩემსავით ერთადერთია და განუყოფელი.

— მხოლოდ შენთვის არსებულს ვერ გამოთქვამ და ვერ განასახიერებ, — მეუბნება კაკო, — ნუ დამტანჯე კაცო. შენისთანა აზოზი ავტორი ჯერ არ შემხედრია, არც შენი წარმოდგენა მინდა და აღარც ასეთი ცხოვრება!

— ხედავ, სადამდე მიხვდი? — მომბირუნდა კაცუნა, — წინ როგორღა ნახვალ, როცა საკუთარმა პერსონაჟმა შეგაქცია ზურგი. სხვა გზა არა გაქვს, მე უნდა მომიყიდო სული, რომ ჩემი სცენარის მიხედვით გააგრძელო სიცოცხლე.

— მოკვდები და არ გავიყდები, — პათეტურად დაიკიცე.

— სსუ... — შემანყვეტინა, — ვიცი რაც უნდა თქვა, მაგრამ შენ უკვე მომიყდე სული იმ წუთიდან, როცა სახერ მაგიდას მიუჯექი და პირველი ფურცელი ჩაუდე საბჭად მანქანას ხახაში.

— ეგ მწვერვალზე ასელის დასაწყისი იყო და არა უფსკრულში ვარდნა.

— მწვერვალზე ასელას უსასრულო ძალა სჭირდება, შენ კი სახრული არსება ხარ. რომც მიაღწიო მწვერვალს, ვერ გაჩერდები, უკან ჩავივრდები. ნუთითაც ვერ მოახერხებ მართალი და გულგახსნილი იყო უსასრულო არსის წინაშე და ნაშიერი წედომით გაკლებული ქეშმარიტება ისევ ზელიდან გაგაქცევა. რატომ? იმიტომ, რომ საბჭედმა მანქანამ შენი გულწრფელობა სანახაობად უნდა გარდაქმნას, რომ სხვა დაინტერესოს და შიიზიდოს, სხვას გადასცეს ის, რაც მხოლოდ შენია და შენთვის არსებობს. რა პეტია ამას, თუ არა სულის გაყიდვა?

არგუმენტი იმდენად ძლიერი იყო, ნოკაუტში აღმოჩნდა, რომ გამოვფიზლდი, აუდიტორიაში ვიჯექი მერხთან, კათედრაზე გადმომდგარ კაცუნას შეეცქეროდი და მის ლექციას სიტყვა-სიტყვით ვინერდი.

## ლექცია

— მამ ასე, ყმანვილებო! — გააგრძელა კაცუნამ (აუდიტორია ჩემისთანა ქალაქის ყმანვილებით აღმოჩნდა საესე) — თქვენ ახლა უცნაურ სიტუაციაში იმყოფებით: ერთი მხრივ, გსურთ უკიდურესად მართალი იყოთ, მეორე მხრივ, კი ჩადიხართ რა ამ მიზნით არსთა სიღრმეში, ხედავთ, რომ ეს სიმართლე მეტად პირობითია და თამაშის ელემენტებისგან შედგება, ხოლო რა დგას თამაშის უკან? სიცარიელე, არაფერი უფსკრული...

— ქეშმარიტებას ბრძანებთ! — დაიყვირა ბიჭიკომ, — იმდენი ვითარეთ ჩვენი სახლის საძირკველი, რომ ძია ისიდორე უფსკრულში იმსხვერპლა!

— აქა ვარ, შე შტერო! — ისიდორემ თავში ნამოარტყა ბიჭიკოს.

— მოკლედ, ურთულესი ვითარებაა, — გააგრძელა კაცუნამ, — შე გთავაზობთ ამ სიძნელიდან გამოსვლის ორ გზას. პირველი — დავიფიქროთ სინამდვილის არსში ჩადებული თამაში და მივიღოთ ის პირდაპირ, როგორც ძერწვისა და განსახიერების ცოცხალი მასალა...

აქა-იქ ტაში დასცხეს. ვიღაცამ დაუსტენია უკან მერხებიდან ქალაქის ჩიტი გამოუშვეს.

— წყნარად! — კაცუნამ ცარცი დააკაკუნა კათედრაზე, — არსებობს მეორე გზაც. თუკი ყოველივე თამაშის ელემენტებისგან შედგება, მაშინ სინამდვილე არაფრით არ არის სიზმარზე უკეთესი, ზღვარი არ არსებობს სიბრძნესა და სიცრუეს შორის.

ტაში გაძლიერდა, სტვენამაც იმატა, ქალაქის ჩიტები მომრავლდნენ.

— ჩუმად, თქვე... — ბრაზით ნამოენო სახე, მაშინვე სძლია თავს და ისევ დაგვიტკბა. — მოკლედ, რადგან ეს განსხვავებანი თამაშმა ნაშალა, გვრჩება ერთადერთი მიზანი: გავითამაშოთ ისეთი რამ, რაც ჩვენსკენ მოიზიდავს და გართობს მაყურებელს.

— შეიძლება? — ორი თითი ასწია ბიჭიკომ.

— ბრძანებთ.

— გუშინ ცხელი წყლის ონკანი გაგვიფუჭდა და ქალბატონ ნელისთან ჩავედით. სწორედ ამ დროს ნესტორმა შემოგვისწრო.

— პიკანტური სიტუაციაა, — თავი დააქნია კაცუნამ, — მაგრამ ნამდვილი რომანისთვის უფრო უნდა ჩაიხლართოს



ინტრიგა, მიეცეს მას ვნებათა სიმწვევე და ზოგადსაკაცობრიო მასშტაბი.

— გავიდეთ მაშინ თავისუფლების მოედანზე, — დასტყვილა ლვალემ, — მოვანყოთ გრანდიოზული შეტაკება შემარცხნებებსა და შემარჯვენებს შორის!

— მომგებიანი თემაა, მაგრამ ზედმეტად პოლიტიზირებული და პლაკატურია; აბა კიდევ! — გადმოგვხედა.

ხელი ავნიე.

— ვიცო, რაც უნდა გვითხრა, — გამაჩუბა, — შენი ნინახანარმეტყველება გამართლდა, ჩვენი ქვეყანა ომში ჩაითრიეს და სისხლის ზღვა სინამდვილედ იქცა. რაღას უყურებ, სხვის თავგადასავალს გინდა შეაფარო თავი?

— რას მთავაზობ?

— ახლავე მობილიზაცია გამოუცხადე საკუთარ თავს, აიკარე გუდა-ნაბადი და გადაფრინდი შავ ზღვასთან. ჩანერე რომ ზიხარ თვითმფრინავში, რომ ერთსაათიანი ფრენის შემდეგ თვალისმომჭრელად აცოცხლდა ზღვა და ნაქალაქარის კვამლი შეერია ღრუბლებს. ასეთა, მხოლოდ საკუთარი სიცოცხლის რისკით შეიძლება შეხვიდე ნამდვილ, მძაფრსიუფეტვიან ისტორიაში!

ვზივარ თვითმფრინავში. ერთსაათიანი ფრენის შემდეგ თვალისმომჭრელად აცოცხლდა ზღვა და ნაქალაქარის კვამლი შეერია ღრუბლებს. ყველანი აქ არიან. ლვალამეც კი ნამოვიყვანე, რომ თავისი თვლით ნახოს და დაიჯეროს ის, რისი დანახვეც და დაჯერობაც არ უნდა. თვითმფრინავს მამუკა მართავს. მის სარკვესათვალენში მოსჩანს ღრუბლებში მოგლეჯილი ცა და ვერცხლისფრად მოღვარე ნერტილები. ნერტილები ახლოდებიან, ფრთებს ისხამენ. მამუკა მკევირთად ატრიალებს საქებს და აყირავებული მანქანა ღრუბლებს ზემოთ ადის. ორი თვითმფრინავი ამოცურდა აქავებული ღრუბლებიდან და პირდაპირ ჩვენზე ნამოვიდა. საშინელი სისწრაფით ვუახლოდებით ერთმანეთს. ვინც ვერ გაუძლებს, ღრუბლებში დაყვინთავს და ქვემოდან დაცხრილავენ. უსამეფლოდ გაიზარდა შემხვედრი მანქანის კორპუსი, ვხედავ შიშით გაფლამულ სახეს. მფრინავმა ვერ გაუძლო დაძაბულობას, ბოლო მომენტში დაყვინთა და ქვეა-ქუხილით ჩაიკარვა ღრუბლებში. ამასობაში მეორე თვითმფრინავი კულზე დაგვაჯდა, ვახაქანს არ გაძლევს. რა არ ვეცადეთ. ზეეთი ავიქერით, ვარდნა დავინწყეთ, მოდის და მოდის ტყეები. თვითმფრინავის ფრთა ცეცხლში

გაეხვია, "გადახტი" — ღრიალებს მამუკა, პარაშუტები აკრული გვაქვს, კარი გაიხლიჩა, ჯერ ვარდნის გულისნამსვლელი სიმსუბუქე, შემდეგ მკვეთარი, მტკივნეული შენელება... მშორდება ცა, ახლოდება მიწა...

მანდარინების ბაღში ჩავვარდი. ზღვისკენ უნდა გავიქცე, სადაც ჩვენი პოზიციები. მდინარის მხრიდან და ტყიდანაც მდევარი მოდის. პარაშუტი ავკეცე და ბურქებში ჩავენეი. ზედ ცხვირთან ჩამიარა გადამთიელმა. ბედზე ავტომატი იქით შეატრიალა და მოპირდაპირე ბურქნარი დაცხრილა. მას ფეხდაფეხ მთელი ბრიგადა მოჰყვა. ოცდაათამდე დავთვალე. ნიოთური, ბრაზით ამღვრეული სახეები... რომ დავეჭირე, ცოცხლად დამგლეჯდნენ. გადაიარეს, მიედ-მოედნენ მანდარინების ბაღს.

დაბნელებამდე არ გამოვსულვარ სამალაიდან. გვიან ღამით მივალნიე ნაპირს, სადაც ჩვენები იდგნენ. დალილობისგან ძლივს ვაბრუნებ ენას. პირველივე ლოგინზე მივეგდე და გავითიშე.

ლიტერატურული მიმოხილვა

რამდენადაც ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების მანძილზე დავრწმუნდით, რომ კრიტიკა დუსო, გადაუნყვრიტო თავად ვაქციოთ ჩვენზეც თავი განსჯისა და ანალიზის ობიექტად.

რისი თქმა სურს ამ მხატვრული ნაწარმოებით ავტორს? ავტორს ამ მხატვრული ნაწარმოებით არაფრის თქმა არ სურს. უბრალოდ, შეიძლება ითქვას, რომ ბოლო დროს, ის, ვინც მიუჯდა საბჭულ მანქანას, მეტად დაბნეულია. ერთი მხრივ, ათასნაირი საშინელება ტრიალებს ირგვლივ: ომი, შიმშილი, ინფლაცია, ძველ საძირკველთა ნგრევა და ქაოსი. მეორე მხრივ კი ეს საშინელებები, უცნაურია, მაგრამ ვერ არღვევენ, პირიქით, უფრო აძლიერებენ ცხოვრების ერთფეროვნებას და ხსენებულ ავტორში პროტესტისა და შეურთივებლობის ნაცვლად, განურჩევლობას და გულგრილობას არევენ. ავტორმა ერთ მშვენიერ დღეს უფსკრულში აღმოაჩინა საკუთარი თავი და გადარჩენის მიზნით შემოქმედებითი მობილიზაცია გამოუცხადა საკუთარ თავს.

ზემორე (ან ქვემორე, ეს სულერთია, რადგან ჩვენ ნაწარმოების შუაში ვიმყოფებით) ლიტერატურული

ექსპერიმენტი სწორედ ამ უფსკრულიდან ამოძრომის ერთ-ერთი ცდაა. იმედია, რომ ავტორი ღირსეულად გაართმევს თავს უფსკრულთან ბრძოლას და შიალნევს იმას, რასაც წინასწარ ვერ დაუსახავდა მიზნად თავის ქმნილებას.

რაც შეეხება ხასიათებს; აღმფრთხილებით უნდა აღვნიშნოთ, რომ არცერთი ჩვენთაგანი არ არის დასრულებული და ლოგიკური. რა გვინდა, რისთვის ვარსებობთ? როგორ ვხვდეთ ქვეყანას, რატომ ვამბობთ ერთს და ვაკეთებთ მეორეს? საბჭედ მანქანასთან მჯდომს ამ შეკითხვებზე პასუხი არ მოეძებნება, ამიტომ მთელი პასუხისმგებლობით ვცხადებთ: ეს არ არის ლიტერატურა, არა! მაგრამ ამავე დროს არ შეიძლება მთელი შეგნებით არ ვალიაროთ, რომ სწორედ ეს არის ლიტერატურა, რადგან ჩვენს დაუსრულებლობაში ნამით მაინც გაიღვებებს ის შეუცნობელი არაფერი, რომელიც აუცილებელ მოვლენათა სიმძიმეს, უსასრულობაში ფრენის ნათელ სიმსუბუქედ გარდაქმნის.

● — სად ვაგჩერდით? — თავი ასწია კაცუნამ.

— ნესტორმა რომ შემოგვისწრო ნელისთან, — თქვა ბიჭიკომ.

— შემარცხენებმა რომ ჩაბერეს პირველულ საყვირებს მოედანზე, — ნაიღუნება ღვალაძემ.

— პირველივე ლოგინზე რომ დავეგდე და გავითიშე, — დავაბოლოვე მე.

— ეისაც როგორ ესმის, ისე ვაუმარჯოს! — გაიღმა ლექტორმა, — გააგრძელეთ:

სამი დღეა ვიბრძვი. პირველივე შეტაკებაში დიდი მსხვერპლი გვქონდა. გავიხსენეს თუ არა ცეცხლი, ახალწვეულები გზისპირა თხრილში ჩაწვენენ. მტერმაც ამ თხრილში, გზის განწერივ გაუშვა ტყვია. ცხრა კაცი დაგვეღუპა, მეგონა დაჭრილი ვიყავი, თურმე, შიშმა წამართვა ხელ-ფეხი.

ხოფლის სკოლას შევაფარე თავი. ვიდრე მომეშველებიან, უნდა გავმარტოვო შიში არ გამქრალა, მაგრამ დამბლადაც მსულივით აღარა ვარ. თვალშიც არ მიზნელდება.

მტერი ეზოს გადაღმა, ყანაშია ჩასაფრებული. ხელიკებოვით მოიკლავნიბიან, მოძვრებიან. წითური, თავცეცხლა კაცი გამობოხდა ეზოში. ყუმბარას თავი

წაწაყვიტე, ორამდე დავთვალე და მალე შევაგდე. პაერშივე გასკდა და წაწხვერვების ტალღამ დიდი რადიუსით მოკლა შეტევაზე გამბოსულები. სიხარულისგან შევყვირე და ცეკვა დაფრეყე შეძრწუნებით შევეცქერი ჩემს ალტიკინებას. რა მაცეკვებს? რა მიხარია? ნუთუ გულში ამოდენა სიძულვილს ვატარებ? სასწრაფოდ მინდა ფერი ვიცვალო — ვითომ მე კი არა, სხვა აკეთებს ამას, ვთქვათ კაკო, ან თუნდაც იგივე ღვალაძე.

— სხვას თავი დაანებე, — ჩამბახის კაცუნა, — შენა ხარ ეს, სხვა ვინ იქნება? არცაა გასაკვირი. შუძულბეულია მტერი გიყვარდეს — ვინც სასიკედილოდ გიმეტებს, ქვეყანას გართმევს.

— საბჭედ მანქანას იმიტომ მიუფუჯე, რომ შეუძლებელი შევძლო, სხვანაირად ვერ გადავრჩები, — ვუთხარი.

— თავს ნუ იტყუებ, შენც კაცოქამია ხარ, ასეთია თქვენი ბუნება, თქვენი ხასიათი!

— ამიტომაც არ მიშყავს არცერთი ხასიათი ბოლომდე. მხოლოდ მიზიზიბებებით, ესკიზურად ვაჩვენებ სახეს, რომ გასაქანი მივეც იმას, რაც ვერ ეტევა ვერანაირი ხასიათის ფარგლებში.

სწორედ ამ განცდამ, თავის თავში ვერჩატულმა, გავანტა შიში და გამომიყვანა საფარიდან გარეთ, გვამებით მოფენილ ეზოში.

ჩემი განწყობილება მტერსაც გადაედო. მიხედა, სრულით ვერაფერს დამაკლებდა, რომ იქ, სადაც გული ეჯახებოდა გულს, საბრძოლო ტექნიკას უკვე არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. თხრილიდან წამოიმართა, ავტომატი მოისროლა და დანასავით მომიქნია ხელი.

ხელს ხელი დავახვედრე. მტერი საშინელი ძალით მომანვა. მეც რაც შემეძლო მივანეცი. მის სახეს ვერ ვარჩევდი, ვგრძობობდი მხოლოდ ჩემი სიბრაზის შემხვედრ სიძულვილს. გადავხარე თუ არა ნელში, ორმოოდან არკადი ამოხტა და ხელი შეაშველა.

მზის ჩასვლამდე ვიბრძოდით. როგორც კი უპირატესობას ვიხვეყდი, არკადი ბრძოლაში ერთვებოდა და ათანბრებდა სიტუაციას.

— სულ ასე იქნება, ვერც გაიმარჯვებ, არც დამარცხდები, ვიდრე ორივეს არ გამოვლევათ ძალა, — მითხრა.

ბრძოლა უკვე აღარ ერქვა ამას. ეს იყო ძალთა გამომფიტავი წონასწორობა, რომელიც ბოლოს კაცუნამ დაარღვია.

— მიდი, მიანეცი! — გვერდში დამიღვა.



ველარ ვცნობ საკუთარ თავს საბ-  
რძოლო ცეკვის ურთულესი მოძრაობები  
შუქ-ჩრდილთა სიერცეში იეროგლიფებს  
სახავენ. ეს იეროგლიფები სიმბოლოთა  
თამაშის რიტუალს ქმნიან, რომლის მნიშ-  
ვნელობა და აზრი ჯერჯერობით უცნო-  
ბია ჩემთვის.

თავბრუნდახვეული არკადი დათვივით  
დაბახცალებს. ჩემი ძირძველი მტერი კი  
ეცემა, დგება, ისევ ეცემა. უცნაურია! რაც  
მეტად ეცემა, მეთი ძალით იმართება,  
უფრო და უფრო იზრდება. მიხვები, რომ  
გოლიათთან შებრძოლების თემა შემ-  
ოაგდო კაცუნამ, მაგრამ ეს თემა მეც  
ჩემებურად დაძაბუნებული და განვით-  
არებული მქონდა. თუ გაიხსენებდი ამ  
ორთახრძოლის ჩემებურ გადაწყვეტას,  
გადაგრებოდი, მაგრამ მტერი არ შაცლი-  
და არაფრის გახსენებას. გოლიათურად  
აღზვევული, გააფრთხილ მოტყევა. მეც  
შეტევაზე შეტევით ვპასუხობდი, მაგრამ  
რაც მეთი ძალით ვებრძოდი, მეტ წინააღ-  
მდეგობას მიწევდა და აქ მიხვები, რომ  
მტერი ჩემი სიბრახისგან, ჩემი სიძულე-  
ლისგან იკრფოდა სასიციოცხლო ძალას,  
რომ ხმალივით მოქნეული ხელი კი არ  
სპობდა, უფრო და უფრო აძლიერებდა  
ბოროტებას, რომ საჭირო იყო შეჩერება,  
სიბრახის დაოკება, სიმშვიდე, რაც სულს  
ამოაცლიდა და არაფრად აქცევდა  
მეომარ ურჩხულს.

— დაარტყი, რატომ არ ურტყამ? —  
დაიყვირა კაცუნამ.

— დამარტყი! — გოლიათმაც მომიშ-  
ვირა სახე, მაგრამ მე შევძელი თავის შე-  
კაება და რისხვით აღმართული ხელი  
თრს ჩამოვუშვი.

და აქ მოხდა ის, რასაც ველოდი:  
ღონემიხდელი გოლიათი უცებ გაფრმკ-  
რთალდა, დაპატარავდა და ჩრდილივით  
გაიფანტა შემოღამების ლანდებში.

● ისევ სიზმარ-ცხადის ხიფზე ხარ, —  
თავი გააქნია ღვალაძემ, — ველარ გაძი-  
რკვევია, სად ნამდვილი ოძია და სად  
ნარმოსახვითი ბრძოლა. მესმის, რომ ეს  
ყველაფერი მხატვრული ხერხია, მაგრამ  
ვაითუ შეითხველმა შენი სიტყვა  
პირდაპირი მნიშვნელობით გაიგოს?

— ვისაც როგორ გაებარდება, ისე  
გაიგოს, — ვუთხარი, — არ შემიძლია არ  
გადმოვცე ეს, რასაც უხედავ.

— რას ხედავ მაინც, ამისთანას?

— თუნდაც იმას, რომ თქვენი დანესე-  
ბულება ნანგრევებდაა ქცეული.

— გამოდი ამ ავადმყოფური ხალხი-  
დან! დაწერე ნათლად, ცხოვრებისეული  
სიმართლით, შენი თაობის სატიკიარზე-  
დროშა დაიჭირო მეთქი — არ გავეალებ,  
მაგრამ ცოტა მზეც უნდა მოაფინო შენს  
სტრიქონებს.

— თავს არ დამანებებ? — ყელში  
ენვდი, — ახალგაზრდობის ნლებიდან ამ  
რეცეპტს მთავაზობ, ფეხდაფეხ მომდეკ  
მოთხრობიდან მოთხრობაში, ათასწაირად  
ჭრი და კერავ სტრიქონებს, შენ რომ არ  
გეკუთვნი.

— მიშეღე დეიდა ცუცა, მკლავს! —  
აფართხალდა.

ცუცა დეიდა საშინელი ძალით დამე-  
ტაკა, თავი ველარ შევიმაგრე და ორივენი  
ხალიჩაზე დავგორდით. დეიდა ცუცამ  
არნახული ძალა და სიმარჯვე გამოავლი-  
ნა. განძრევა ვერ მოვასწარი, მუხლი  
კეფაზე მომბაჯინა და ხელები შურგუს-  
კან ამომიტრიალა.

— ქაშარი! — დაუყვირა ღვალაძეს.  
ღვალაძემ სასწრაფოდ ქაშარი შემოი-  
ხსნა და ხელი შემიკრა.

— ახლა დამშვიდებით შეგვიძლია საქ-  
მეს შევუდგეთ. რით დავინყოთ?

— შავი ზღისპირეთის პასაჟები მთლი-  
ანად ამოხალდება, — თავი მოიფხანა  
ცუცამ.

— ეს, სხვათა შორის, შენს იდეასაც  
ამართლებს, — მომიბრუნდა ღვალაძე, —  
რაც უფრო შეებრძოლები ბოროტებას,  
მით უფრო ამკვიდრებ და აძლიერებ მას.  
ამიტომ უკეთესია განზე გადგეთ და  
ჩაეთვალთ, რომ სულაც არ არსებობს  
ის.

— არსებულის არარსებულად მიჩნევა  
უარესი ბოროტებაა, ნათქვამია, ცოდვი-  
ლს უფრო მიეტყევა, ვიდრე განზე  
მდგომს...

— ცუცა, გააჩუმე!

ცუცა დეიდამ ცხვირსახოცი ამოიღო  
და პირში ჩამიტენა.

— კარი დაკეტე, არავინ შემოგვესწრ-  
ოს. აბა ჩქარა, დავინყოთ! — თქვა ღვა-  
ლაძემ

— თავი პირველი, გვერდი ოცდამე-  
რვე, — სათვალე გაიკეთა ცუცამ. და  
უცებ მიხვები, რომ ეს იყო სისხლის ზღვა.  
სისხლი აძლევდა სიტკობს, სისხლი მატე-  
ბდა სიშავეს. სისხლის ტალღები მა-  
ცხვებოდნენ თავს და ჩონჩხებმოფენილი  
ნაპირი ჩემსკენ იწვდიდა ხელებს!

— აუ, რა საშინელება! — ყურებზე  
ხელი აიფარა ღვალაძემ, — არადა რა  
შესანიშნავად იწყებს სიყვარულის თემას!  
ეს ხომ მარადიული თემაა? რატომ აღარ

სერკინესული

ანვითარებს? რატომ მიატოვა საყვარელი ქალი სველ, გამჭვირვალე ქვიშაში?

— მაშუკამ ჩაითრია თავის პოლიტიკაში, — თქვა ცუცამ.

— ამოვშალოთ ეს მამუკა! — დაიყვირა ლვალაძემ, — დარჩება ზღვა და სიყვარული. რა სჯობია ამას?

ზღვა იყო მშვიდი, ფირუზისფერი. თითქოს მაიას თვალები იქცა ზღვად და ამ თვალთა ფსკერზე ირეკლებოდა ჩემი ბავშვობა, მარადისობისკენ მიედინებოდა თამაშ-თამაშით. არასოდეს დამინერია ლექსი, მაგრამ "კლასობანას" უფრედებით მოხატული ეზო, ვარდისუბნის პატარა სახლი, თავშესაქცევი, უდარდელი დღე, პირველი სიყვარულის ხიბლი, მოლოდინი და ოცნება, განა არ უნდა არსებობდეს ეს როგორც ლექსი, ლექსი, რომელიც თავისით იქმნება?

— ყოჩაღ, შეგძლებია ღირიკა! — ცრემლი მოინმინდა ლვალაძემ.

ისევ და ისევ ვიძირები ბავშვობის ლექსად თქმულ წლებში, მაგრამ ყველაფერი გადის, მიედინება და ამაოდ ვებღალუქები კლასობანას უფრედებს, ამაოდ შევეცდები ნატერის ფანჯარას, დინება აქეთ მომაქანებს, სადაც უკვე ქაფს იგდებენ ბრაზმორეული ზვირთები. ჯერ კიდევ დგას ტალღებზე კირით შეთეთრებული პატარა სახლი, მაგრამ სიმშვიდე აღარ არის, ხვალინდელი დღის შიში იპყრობს მოლოდინს.

— რატომ ველავეთ, რისი გვემინია? — ნამოხბა ლვალაძე.

— რა ვქნათ, ბატონო, — ხელები გაშალა ცუცა დეიდა, — არაფერი გამოდის, სიტყვები თავისით ლაგდებიან ასე.

— რას ბოდავ! — ლვალაძემ ფურცელი აიღო და გადახია, — სიტყვებს ნუ მივანერთ იმას, რაც ჩვენგან მოდის!

თავიდან დაიწყეს, აღარ მაძლევენ გასაქანს. აღარ მენდობიან. შებოჭილი ვარ ყოველმხრივ. აბლაბუდასავეთ გაბმულმა ფურქმა სისხლი გამოწოვა სიტყვას. მიაკი არა, თვალბუჭუნა თოჯინა ნევს ქვიშაში. სახლი კი არა, სახლის დეკორაცია დგას დაჭაობებულ ზღვასთან. შშორის სუნი ასდის ძალად შეთხზულ სიკეთეს. ნითური სახე, ნესტაროვით რომ ამოაცალეს სიძულველი, ღმიზლის ნილაბივით პკიდია სულისშემზუთავ სიერცეში. საიდანღაც მირიანი და ლაურაც გაჩნდნენ. მათი ურთიერთობა კეთილად დაგვირგვინდა. მირიანი ძმად შევფიცა მიტოს. ლაურას მამამ (არც ის აღმოჩნდა ცუდი კაცი) მირიანის სახელზე დიდი ფული გადაირიც-

ხა! მათი ბედნიერებით ტკბება ლვალაძე და ხანგრძლივად დახარბებული ქალაქი.

— ახლა რა ვქნათ? — იკითხა ცუცამ, — კონფლიქტი თუ არ იქნა, წინ ვერ წავალთ.

— კონფლიქტი უნდა მოხდეს, — დიეთანხმა ლვალაძე, — მაგრამ არა შავსა და თეთრს, არამედ კარგსა და უფრო უკეთესს შორის;

ასე შემოიჭრა ჩვენს ნაცოდვილარში ვალერი. ვალერი ახოვანი, ბრგე, სახემშვენიერი ვაჟკაცი გახლდათ, ჯანმრთელ სხეულში ჯანმრთელი სულით. მის დანახვაზე ლაურას ოდნავ აუფანცკალდა გული, მაგრამ მირიანს ხომ არ უღალატებდა? ამიტომ ლაურას გულის ფანცკალი არ გამოსულა დაძმური მეგობრობის ჩარჩოებიდან. მირიანს კი ეგონა, რომ ლაურამ გადააბიჯა ამ ჩარჩოებს. ამიტომ მასში გაჩნდა უმნიშვნელო ეჭვი და კეთილი შური ვალერის მიმართ. ეჭვი უფრო გაძლიერდა იმის გამო, რომ ვალერი ორმაგი მისიით აღმოჩნდა ჩამოსული ზღვაზე. ერთი მხრივ, მრავალფეროვნება რომ შეეტანა მირიანისა და ლაურას უღრუბლო ცხოვრებაში, მეორე მხრივ კი ინფორმაცია შეეგროვებინა ზღვისპირეთში ჩაქსოვილ პოლიტიკურ ვნებათა შესახებ.

— აენყო საქმე! ავა, ცუცა დეიდა, ან ჩაი! — ხელი მოიფშვინტა ლვალაძემ.

რა თქმა უნდა, მალე (სულ რაღაც რამოდენიმე სტრიქონის მანძილზე) ყველაფერი მოგვარდა. მირიანმა და ლაურამ აგარაკი იქირავეს, მათი მეგობარი ვალერი კი დარაჯად მოენყო დენდროპარკში. კვლავ სულის შემზუთავად გატკბილდა ზღვისპირეთი. ქლურტულევენ მერცხლები, ლაფვარდში თოლიები დანავარდობენ და უცებ აფეთქების გამაყრუებელმა ხმამ შესძრა იდილია, აამღვრია ნათელ ფერთა თამაში.

— რა ხდება? — ნამოხბა ლვალაძე.

— თავს დაგვესხნენ, ქალაქში ომი, — თქვა ცუცა დეიდა.

— მეორედ ეგ არ ნამოგცდეს! თავს ვინ უნდა დაგვესხას, როცა ირგვლივ მეგობრებია! თუმცა, ყოველი შემთხვევისთვის ბუნკერში ჩავიდეთ.

ლიფტი პირდაპირ კაბინეტში ამოვიდა. კაბინაში შემავადეს და ქვესკნელში ჩავემეტე. აფეთქების ხმა ახლა ყრუდ მოისმოდა.

— სად გაგჭირდით?

— ვალერი დარაჯად რომ მოენყო დენდროპარკში.

— შესანიშნავია, გადასარეცია! მოდი ლაურასაც მივცეთ მვენანე გზა!

„ლაურამ გაიმხვართალა კამკამა ზეითებში, ზღვიდან ამოსულმა გაჭვირვალე ხალათი მოისხა, გზატკეცილი გადაკვეთა და დენდროპარკში შეაბიჯა. „ვისთან მიბრძანდებით?“ ხმა გაიმკაცრა ვალერიმ. „შენთან“ დაძმურად შესცინა ლაურამ. ვალერიმ ბრინჯაოსფერი ხელი მოხვია ხორბლისფერ ქალს, თავისკენ მიიზიდა და დასავით გულში ჩაიკრა. ლაურამ გახლიჩა და ამოაბრუნა ვარდით ტუჩები, დაატრიალა ენა...“

— ეს რაღა და-ძმობა გამოდის! — ღვლაძემ მუშტი დაარტყა მაგიდას, ფურცელი მოქმუჭნა...

ლაურამ გაიმხვართალა კამკამა ზეითებში... შემდეგ ბამბის ხალათი ბოლომდე შეიკრა და შეაბიჯა დენდროპარკში. „ვისთან მიბრ...“ ძანდებითო უნდოდა ეთქვა დარაჯს, მაგრამ ამ დროს ქარმა შემოუბერა, ხალათი გაიხსნა და აღტაცებული ვალერი დაძმურად ჩაუხუტა გულგახსნილ სტუმარს...

— რას ვაკეთებთ, რას ვაკეთებთ! — ღვლაძე თავში იშენდა მუმტებს, ცუცამ სულ დაიკბინა ხელები. ვალერიმ ისარგებლა მათი არეულობით და ლაურა იქვე, ვგზობიკურ მცენარეებზე მიანვინა. ღვლაძემ სცადა მისი შეჩერება, მაგრამ ვალერი ვერ ააგლიჯა დაქალს. „შენერდი, მირიანი, მეგობრობა, და-ძმობა“ ყვიროდა ღვლაძე. სწორედ ამ დროს ყუშმბარა ჩვენს შენობას დაეცა, ქვრი ჩამოიქცა და სამინელმა ნგრევამ ცოცხლად დაგვემარხა ყველანი.

ასე დავიღუპე მე, როგორც გმირი, მაგრამ როგორც ავტორმა მაინც მოახერხე ზევით ამოსვლა. აღსრულდა ის, რასაც ვხედავდი წინასწარ! სკოლა და შინაგან საქმეთა შენობა ნანგრევებად იყო ქცეული! შავ დღეში იყო მთავარი პროსპექტიც! ყველგან ნგრევა, ცუცხლი, ნაცარი... დეკორაციებით იდგნენ გულამოცილილი, გაჭვარტლული შენობები! შენობებს შორის უაზროდ დაბორიალებდნენ ადამიანები, რომ არა უნყოფდნენ სად იმყოფებოდნენ, რომელ ქალს განეკუთვნებოდა მათი მოქალაქეობა. ჩვენი უბედურების შესახებ „გაეროს“ უახლოეს სხდომაზე განცხადებაც კი იქნა გაკეთებული, თუმცა, განცხადება რატომღაც შესვენების დროს გააკეთეს, შემთხვევით დაჩნდნენ წევრთა საყურადღებოდ, როცა ერთი ნარმოიმადგენლობის ძირითადი ნაწილი ლუდის დასალევად გაიკრიფა.

— არაუშავს, მაინც გაიგებენ, გაიგებენ და გამოგვესარჩლებიან! — თითი ცისკენ

ალაპყრო ერთ-ერთმა მოქალაქემ, რომელმაც კაკო შევიცანი, — დაგვანგრიეს, მიწასთან გაგვანსორეს, მაგრამ სული ვერ ამოგვაცალეს, თეატრი მაინც გადაარჩა და ისევ თავიდან შეგვიძლია აეანყოთ ცხოვრება!

მართლაც, ფერფლსა და ნანგრევებში სასწაულოვით იდგა სრულიად უნებელი თეატრი, ბედნიერი შემთხვევით, უფრო კი შინაგანი ძალისხმევით გადარჩენილი.

— რა ვიცი, ჩვენ კი დავიმარხეთ ცოცხლად! — ნამსკდა ცრემლი.

— ვიცი, შეეიტყვევ თქვენი დალუპვის ამბავი! ვიზიარებ, გამაგრდი! — აქ კაკომ ველარ შეიმავრა თავი, ღრიალი მორთო და გულში ჩამიკრა.

ძლივს გავითავისუფლე თავი მისი მკლავებიდან. „გამაგრდი, ყველა სიკვდილის შეილები ვართო!“ ისევ ღრიალით გამოქანდა ჩემსკენ. ვიდრე გაძალიანებას მოვასწრებდი, ხელი მომხვია და ჯიბეში ფული ჩამიდო.

— არ გინდა, შენი ქირიმი, — გავინახე.

— ეგ არ გამავნო, როგორ გეკადრება, ასეთ გაჭირვებაში თუ არ შეგენიეთ ერთმანეთს...

— ამ ფულს ისევ თქვენ მოგახმართ, — დავაიმედე, — ისეთ შილაფლავს მოგართმევთ...

— შენ თავს დაახარჯე, მე უბედურო! — კაკომ თმა გაიჩეჩა და ლოყა ჩამოიხიკა.

— სიგარეტი არა გაქვს?

— რაო?

— სიგარეტი.

კაკომ შეწყვიტა ცრემლთა ფრქვევა, უცხო, სურნელოვანი სიგარეტი ამოიღო და გამომიწოდა. მოფუყიდე, გავაბოლე, გავეუღიმე.

— თავიდან ხომ არ აპირებ ყველაფრის დანყებას? — ვკითხე.

— ჯერ გაგრძელება მინდოდა, — ამოიოხხა, — მაგრამ რომ ვადახუდე, ამბავი ძალიან აირ-დაირია. ველარ გამირკვევია ვინ ვინ არის, რეპლიკებს პარავენ ერთმანეთს, თავიანთ ხომზე გადი-გამოდთან, დრო არეულია; ჯერ კედებიან, შერე სიცოცხლეს იწყებენ. ამ „გაერომაც“ ველარ მოიცალა ჩვენთვის, რაღა მაინც და მაინც ახლა მიიღეს ახალი ლუდი?

— მაშ შუა გზიდან ისევ სათავეში უნდა დამაბრუნო? როცა 23 მაისს (ან შესაძლოა 17 ნოემბერს) დღის თორმეტ საათს და ოცდამევიდ წუთზე დამირეკეს და ჩამითრიეს ამ საქმეში?

— ეჰ, ნეტა შემძლოს შენისთანა გმირის თავიდან გააცოცლება, — ისევ ნასკდა ცრემლი. ჩექმის ყელიდან მათრახი ამოიღო და დაატაკუნა.

ჩვენს წინ პატარა ავტობუსი გაჩნდა. ავტობუსიდან გამოიხედა შავებში ჩაცმულმა მძღოლმა. „დაბრძანდით, მივყავანთ“ — მომამყრო ნამტირალევი, თვალმჩასახსლიანებული სახე.

აქ უკვე ვეღარ მოვითმინე, კაკოს მათრახი ხელიდან გამოვვლიოყე და ავტობუსს შემოვკარი! ავტობუსი ყალყზე შედგა; მძღოლმა ვეღარ შეაჩერა ის. მეორედაც გადავყარე შოლტი, ავტობუსი ტკივილისგან დაიკრუნჩხა. უცებ გაიშალა, ნანგრევებს გადაახტა და უგზოუკვლოდ გაეშრა!

— აღარ გჭირდება! — ახლა კაკოს ვეცი და ნჯღრევა დაფუნყე, — მასალა ხომ მოაქტუნე ჩემი ხელით! — არც დღე მასვენებდი, არც ღამე, გამოძნურე, გული შემიჭამე და ახლა ცარიელი ქერქვით უნდა მომისროლო? არაფერი გამოვიცა! რაქს მასალას შენ მაინც ვერ გაართმევ თავს! ჩემი მასალა ჩემთან ერთად არსებობს! არსებობს როგორც მოძრაობა, როგორც დუღილი, სულ რომ იქმნება და ისევ იფანტება, რადგან მეც ვერ ვჭერდები მწვერვალზე, ისევ უკან ვეცემი და ვიძირები უმნიფარ ფიქრთა ქაობში, რომ ისევ ამოვიდე, ისევ გავეთამამო მიუწუნდომელს...

— აი შენი მასალა! — კაკომ უბიდან ფურცლები ამოიღო, — შენივე ხელით გინერია, როგორ დაეცა ჭურვი შინაგან საქმეთა შენობას, როგორ ჩამოიქცა ეს უხარმაზარი დაწესებულება, რომელსაც მთელ ქალაქში ჰქონდა გადაგმული ფესვები; როგორ დაიმარხეთ შენ, ღვალამე და სხვები მის ნანგრევებში. სხვათა შორის, შენი სტრიქონები ექსპერტიზაზეც კი გადავგზავნივ, სადაც სპეციალური ანალიზით დაადგინეს ჭურვის სიდიდე, დარტყმის ტალღის სიმძლავრე, ნგრევის მასშტაბი და გამოიტანეს დასკვნა, რომ ვერც ერთი თქვენათგანი, ვერანაირი გზით ვერ მოახერხებდა საფლავიდან ზევით ამოსვლას. ასე რომ, შენი აქ ყოფნა, ჩვენს შორის, თამამის წესის უხეში დარღვევაა და გირჩევ გონს მოხვიდე, დაემორჩილო გარდაუვარ მოვლენათა ლოგიკას.

— აქამდე ვერ მიხვდი, რომ არ ვემორჩილები ლოგიკას? არც ბუნების კანონებია გარდაუვალი ჩემთვის. აქ რალაც განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი ხდება, ხდება ერთხელ, განუყოფელად და თან მარად ყოფნის უფლებით.

ისევ გაგრეკე. დიალოგიდან შგონი ისევ შინაგან მონოლოგში გადაიქცერა. ეტყობა ასეთია ჩემი ხვედრი, ასე ვარ მოწყობილი. კაკომ ბევრი ვერაფერი ვაიგო ჩემი აღსარებიდან, ხელი ჩაიქნია და გადაწყვიტა თავი ისე დაექტრა, ვითომ სულაც არ ვარსებობდი; მაგრამ რომ აღარ მოვასვენე, რეპეტიციებზე რომ გამოვეცხადე, გადაწყვიტა უფრო სერიოზულად შესაფრომდა ჩემი არყოფნის დასახლებებას და დახმარებისთვის ხელისუფლებას მიმართა.

ხელისუფლებამ პარლამენტის ერთერთ სხდომაზე, რატომღაც შესვენებისას, როცა ნევერი უმარაგელსობა პურის რიგში იდგა, გაეკრით განიხილა ჩემი ყოფნა-არყოფნის საკითხი, მაგრამ ქეორუმის დაუსწრებლობის, უფრო კი საკითხის უწყველობის გამო, ვერ გამოიტანა დასკვნა და საქმე განსახილველად მწერალთა კავშირს გადასცა.

მწერალთა კავშირმა, რა თქმა უნდა, კაკოს მხარე დაიჭირა. იქ ჩემისთანების არმეშინვეისა და არარსებულად მიჩნევის ტაქტიკა კარგა ხანია მშვენიურად ჰქონდა დამუშავებული. ჩემს შემთხვევაში იმის აღიარებაც არ აწყობდათ, რომ გამართლდა წინათგრძნობა და სარედაქციო-დამსჯელ ორგანოთა მიერ აკრძალული თემა სინამდვილედ იქცა! ასეთი ისე, ერის მესვეურთა ელიტამ ენერგიულ ზომებს მიმართა:

შინაგან საქმეთა ნგრევის მხატვრული პასაჟი ხელმოკლედ გადააგზავნა ექსპერტიზაზე. დასკვნა ჩემთვის კიდევ უფრო მომაკვიდრებელი აღმოჩნდა: მე გამომაცხადეს დალუპულად, შემთხვევითობის მსხვერპლად და ერთ-ერთმა კრიტიკოსმა რამოდენიმე სტრიქონიც კი გაიმეტა „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე.

ამის შემდეგ, ცხადია, უკვე არსად აღარ მიმეცლებოდა და იძულებული გავხდები სასტუმრო „ცირკში“ ამეღო ერთადგილიანი ნომერი.

— თქვენი საბუთები? — ოქროს კბილები შემომანათა ადმინისტრატორმა.

— საბუთები არა მაქვს, ისე კი ბუაძე გახლავართ, სახელად ლიპარიტი.

— ლტოლვილი ბრძანდებით? — გამოლიმა და გასაღები მომანოდა.

იმ ღამეს კაკო, რამდენიმე კაცთან ერთად თავს დაესხა სასტუმროს. საიდან იყნოსეს რომ აქ ვიწყებოდი? დილის ოთხი საათი იქნებოდა, გასროლის ხმამ რომ წამომაგდო ლოგინიდან. პერანგი ჩავიცვი და დერეფანში გავედი. დერეფნის ბოლოს ადმინისტრატორთან ნაცნობი



სილუეტები იდგა. ხმაზე ვიცანი, ჩემი გვარი და სახელი ახსენა, უარი რომ მიიღო, ისევე გაისროლა, შემდეგ ავტომატი შეაბრუნა და ადმინისტრატორს კონდახის ცემით დააყრევინა ოქროს კბილები. გახალევი მომეცი, ხასტუმრო უნდა გავჩხრიკო, ვიცი აქ იქნება, ბავშუობაში ნამყოფია აქ და ისევე მოგონებებს შეაფარებდა თავს ღრილობა კაკო. რატომღაც მოთხრობები ბელადზე გამაზხენდა, როცა ჩხრეკის დროს ვლადიმერ ილიჩმა სკამი დაუდგა პოლიციელს და ზედა, ყველაზე დამორებული თაროდან დაანწყებინა აკრძალული ლიტერატურის ძებნა.

— ზედა სართულიდან დაიწყეთ! — ენა ძლიერ მოაბრუნა ადმინისტრატორმა და გასაღების აცმა გაუნოდა.

— ქვედა სართულის მომეცი, ჩვენცა გვაქვს ნაკითხული მოთხრობები ლენინზე! — დირექტორ კაკომ და გასაღების მეორე აცმა ამოვლო ჯიბიდან.

ორი კაცო ქარებთან დადგა, დანარჩენები აქეთ ნამოვიდნენ, რიგრიგობით აღებენ კარებს, ახლოდებოან...

ოთახში შეებრუნდი, კარის ჩაყვრვას ახრი არა აქვს, შემოამტვრევენ. ფანჯარას ვეცი, მაგრამ რკინის გისოსებს რას გაღუნავ? არადა გასვლაც არ შეიძლება, უკვე გვერდზე შეაღეს კარი, ნუთუ დამთავრდა ყველაფერი? ასე უაზროდ? სასწრაფოდ უნდა შევიცვალო სტილი! საფანჯრო იმიტირ გამაბებს, ზედმეტად ჩაეყვრება არსებულში; თითქოს მართლაც ხდება ის, რაც სხვათაგანადაც შეიძლება ხდებოდეს.

კაკოს თქმისა არ იყო, მე ხომ ოდესღაც ნამყოფი ვარ აქ და რომ გადავარჩე, უნდა მოვქებნო სიტყვა, რომელიც აქ და ახლა მყოფს წარსულში გადამიყვანს.

ჩქარა! უკვე მიკაკუნებენ კარზე უნდა გავფაქხვებ, ეს ძველი ოთახი მართლაც იდგა ვაჟა-ფშაველას, ათასგვარ შეგრძნებებად დაეხანუერო, გავყვე ამ შეგრძნებებს წარსულისაკენ, რომ მოგონებებში ჩაიძირული, მდევარს გავეცე. ისევე აკაკუნებენ, აჭრიალებენ სახელურს და აქ უცებ მცეა ჯერ შეუმშრალი საღებავის მკეთრი სუნი. ზუსტად ეს სუნი ტრიალებდა მაშინაც, როცა პირველად გავათენე ამ სასტუმროში დამე.

და აი, მივეყვები მტერთი სახეე შაერში გამოკვეთილ სუნს სიბერიდან ბავშვობისაკენ და იგივე იაფასიანი ნომერი (ბევრი არაფერი შეცვლილა აქ) სხვა იერსა და მნიშვნელობას იძენს. ფერის იცვლის ფანჯარას მონოლოლი ქალაქიც. დაკაკუნება კი უფრო ფრთხილია, უფრო მორიდებული, რადგან სართულის მორიგე

გვახსენებს, რომ გათენებამდე უნდა გავიდეთ ნომრიდან.

კარი გავალე, მორიგეს ხუთი მანეთი ვარჩე. სინათლემ თანდათან იმატა. გადავავლორე კაცობაში შევსლის პირველი ღამე! ორივეს საშინლად გვშია, მაგრამ კაფე ცხრაამდე არ გაიღება. ვზოვართ ბაღში, სასტუმროს წინ და შევეცქერით მზის პირველის სხივი როგორ ეთამაშება ცას. არც სახელი მახსოვს მისი, არც — სახე, მახსოვს მხოლოდ რომ ღამაში იყო და დარჩა მისგან ნაკეთებნაშლილი, ბუნდოვანი სიღამაზე!

— ისევე დამისხლტი ხელიდან! — მიყვირის კაკო, — იცოდე, უკან აღარ შემოვიშვებ, სამუდამოდ დარჩები მაგ ბინდით მოცულ მოგონებებში!

მართლაც ფაშით გაყვითლებულ ფოტოს დაემსგავსა ქალაქი. ბევრი რამ ბუნდოვანია, უამრავ ვინაშეს ნაშლილი და ჩამორეცხილი აქვს სახე, თუმცა, შიგა და შიგ მკაფიოდ გამოანათებს ხოლმე რომელიმე ნაკეთი, შტრიხი... თვალისმომჭრელად აელვარდა ქუჩის მონაკვეთი, ეზოს კუნჭული... ნამიერი შემოხედვა, სეფდანარევი მზერა, სინანულის ღიმილი... წარუშლელია დიდედს და პაპას გემრიელი ბინა, გუდაპერჩის დათვი, სათამაშო სახსრორი, არიადნას ჩანთა, ნათელი შუშბანდი და თამაშობებით საესე ეზო და კიდევ კინოფილმი "ტარზანი", ცენტრალური ბაღი, სახეირნობი გამოფენილი ქუჩა, საახალწლო ვიტრინებით განათებული ღამე და დილით ბაღშიშექვე ამოდებული საჩუქრების პარკი...

კაკომ დრამატურგიის დარღვევად მიიჩნია ეს ლირიული გადახვევა: კომისია მიიწვია და ანმეოსთან ერთად, ჩემი წარსულიც ამოვადო მიმდინარე თემიდან.

ყველასგან გარიყული და ყველაფერს მონყვეტილი აღმოჩნდი. ვგრძნობდი, სადღაც ფეთქებდა და მიეფინებოდა ის, რასაც სიცოცხლე ჩემმა გულმა და გონებამ მისცა, მაგრამ ვერა და ვერ შევდიოდი შინცა, ვეღარ ვიჭერდი სიტყვების აზრს, ვერ ვხედავდი მოვლენებს. გარს ეუვლიდი საკუთარ ქმნილებას, უკარფანჯრო ციხესავით აღმართულს გაუცხოებულ ქალაქში. ცას წვედებოდა ციხის გაღავანი, შეუვალი იყო ციხის კედლები.

მისანდვობი ჩემთვის მხოლოდ ნანარმოების გარე ფასადი აღმოჩნდა. ვხედავდი გაღავანზე გამომდგარ კაკოს, შორეთს რომ გასცქეროდა შთაგონებული სახით, ან დურბინდით ათვალიერებდა ქალაქის ასათვისებელი უბნებს, მე ვერ მამჩნევდა, თუმცა, ხმის ჩახლერამდე ეუყვიროდი და ქვებსაც ვესროდი. ერთხელ გაღავანის



ჭიშკარიც კი გააღეს და ციხის ეზოში შევიპარე. მთელი ჩემი მასალა ოხრად ეკადო ღია ცის ქვეშ, ქარსა და წვიმაში! ჟანგი თ შეჭმული სიტყვები, მთელი ფრგ-მენტები! ძლივს შევიცანი ჩემი სახეები! კაცუნა, მირიანი, ბიჭიკო, ხავერდის ზღვა და მუყაოს ნაპირი... ყველგან ხარაჩოები, პროექტორები, დენის მავთულები, ქს-ოილები და ნიღბები! ეტყობა ბატონი კაკო ჩემი მასალიდან რალაც გრანდიოზულის აწყობას ფიქრობდა! თუმცა, ვერ მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობდა, ნანარმოები აქა-იქ მაინც ფეთქავდა, მაინც მიედინებოდა წვეთწვეთად.

უცებ ბუჩქებიდან ღლაურა გამომობტა. მას ღვალაძე მოსდევდა, ლამის შემოახია კაბა...

— ღვალაძე! — გამეხარდა, — ცოცხალი ხარ?

— ვიღაცაში გეშლებით, ბატონო, — უცხოხალთი შემომხედა, — მე მირიანის ბიძაშვილი გახლავართ, ვარდოსანიძე აკაკი.

პასპორტი ამოიღო და გამოიწონდა.

— ჩანაყვე ხომ რეანიმაცია! რამდენი დაგეჯდა?

— როგორ მიზედაე! — გამოიქანა ჩემსკენ.

საიდანღაც კაკო გაჩნდა, შუაში ჩაგვიხტა, გაგვაშეულა.

— გამოდის, რომ თქვენი ექსპერტიზა საბედისწერო მხოლოდ ჩემთვის აღმოჩნდა. დანარჩენებმა ფული დახარჯეს და დაიბრუნეს დაკარგული სიცოცხლე!

— ესენი როგორც მკვდარი სულები ისე მყავს გაფორმებული, — ჩამწურწულა კაკომ, — შენ ხომ ვერ შემოგკადრებდი ამას?

— მაინც რას მემართლებით, ვერ გამოვიდა!

— რამდენჯერ უნდა გაგიმეორო, რომ ყუმბარამ დაგმარხა, აღარა ხარ, რას გვერჩი, რატომ არ ისვენებ?

— მაშინ არც თქვენ არსებობთ.

— რაო! — მუქარა გაკრთა ღვალაძის ხმაში.

— სიზმარია თქვენი ცხოვრებაო! ლანდები ხართო! — ვანუმარტა კაკომ.

— ვინაა ლანდი! — დამეტკრა ღვალაძე, — მიდი, მისცხე! — მხარი აუბეს სხვებმაც. დამესიენ ყოველი მხრიდან, მირტყამენ, ეშხში შედიან... — აი, თუ ლანდები ვართ! — ატრიალებს ღვალაძე მუშტებს. შემთხვევა მივიცა გამისწოროს ანგარიში. დამაგდეს ძირს, ფეხებით შემდგნენ, მოვიკუნტე რაც შემიძლია, ავიფარე ხელები, მთავარია გონება არ დაე-

კარგო, აღარ დამაცლიან გონს მოსვლას. ტანი დამიბუფდა, დარტყმებს ვერა ეგრძნობ, ჩამიბნელდა ფიქრიც, ოდნავ ბუტავს სიფხიზლის კერა და ამ სისხლისფერ კერას სულს ვუბერავ, ბოლომდე რომ არ ჩაეჭრე... ამაოდ ვიქნე ხელ-ფეხს, ორიენტაცია მაქვს დაკარგული. ვარემოსთან შეუსაბამობის ცანცდა კიდევ უფრო მიმწვავდება. ეს განცდა სტრექონებად მინდა გავშალო, რომ შესაბამისობაში მოვიდეს ირგვლივ მყოფთან, მაგრამ არა ერთი აღთასაა, მეორე — ბალთას! საბექტი მანქანის გორგოლაჭებიც ვერ თანხედებათ, ვერ ეჭიდებიან ერთმანეთს, ცალკეაღვე ბრუნავენს უქმად ტრიალებენ! ამიტომ სიტყვებს გაუგებრობა მოაქვთ. სიტყვები მხოლოდ ჩემს უსუსურობას აღნიშნავენ და იხარჯება ენერჯია არაფერში და ვერ ვახერხებ რალაც გადმოვიცე, თუმცა, გაუთავებლად ვქსოვ და ვხლართავ სტრექონებს! არა! არაფერი გამოდის! ნუ ვეძებ ამის მიზეზებს გარეთ! რომ შიშში-ლია, რომ ფანტასტიკური სისწრაფით იცვლის ღერძსა და საყრდენს ნუთისოფლის ფორფიტა, ხან ასე ტრიალებს, ხან — ისე, იღუნება, ტყდება და ჩვეულ ტერმებსა და ფორმებს ამახინჯებს! ყვირილი მიჩნდა! მიჩნდა გამოვალო ფანჯარა და მთელი ქვეყნის გასაგონად დავიყვირო, მაგრამ რა? რა დავიყვირო! რალაცას ხომ უნდა გამოხატავდეს ჩემი ყვირილი? მაგრამ შეუძლებელია რაიმეს გამოხატვა, თქმა, რადგან უაზრობითაა სწესე ეს ქვეყანა და ყოველივე მწყობრად დალაგებული, მონესრიგებული, მიხედავ და ისევ საშინელ არეულობად იქცევა. თვეზე მეტია ვებრძვი საბექტ მანქანას. კბილანა ვაილუნა, ასო-კლავიში ასცდა მიზანს და ნაცვლად სიტყვებისა ჭვარტლით იფარება ფურცელი. აქ შეიძლება ნერტილი დავუსვთ თბრობას. თეთრი პირსახოცი გადმოვავლოთ და დაუნებდეთ დღევანდელ უაზრობასა და აბსურდს. თავს მაინც არ მოვიტყუებ, რომ თითქოს ჩემი სიტყვა-კაზმული ხელოვნება რალაცას შეესაბამება სინამდვილეში. ეს უფრო ნაღვია, პატროსნად აღიარო, რომ არაფერი შეგიძლია, რადგან ყოველივე გეზრძვის, ხელს გიშლის. ამ ქვეყანას რომ ვერაფერი გაასწორებს, ეს ერთი უბედურებაა, მეორე კი ისაა, რომ არ შეგიძლია ეს გამოთქვა, რადგან თქმის და ყვირილსაც გარკვეული ძალა სჭირდება, გარკვეულობა კი საერთოდ აღარ არსებობს. ერთი მოუხელთებლად გადადის მეორეში, სახელი გაურბის საგანს. გინდა გამოხატო აღფრთობა, გინდა გააგებინო ყველას, რომ



წველაფერი ინგრევა, მაგრამ ენაც აღარ გემორჩილება; სათქმელი სულ სხვა შეფერვლობას იძენს და ნაცვლად იმისა, თავს უშველი, მაყურებელი სიცილით სკდება.

— ძალიანაც კარგი თუ იციან, — იღიმება კაკო, — განა ჩვენ იმისთვის არა ვართ მონოდებულნი, რომ შევემსუბუქოთ დამიანს ტანჯვა? მისი უღიმღამო ცხოვრება ლამაზ დღესასწაულად ვაქციოთ? — დღესასწაული კი არ უნდა შეიქმნას, თავისით უნდა დადგეს დღესასწაული უკეთესმა ცხოვრებამ უნდა მოიტანოს.

— შენ ეს ცხოვრებაც ხელიდან გაგიფრინდა, — მითხრა კაკომ, — ყუშპარასაც რომ გადარჩენოდი, ჩვენმა ბიჭებმა ისე გაგასილაქეს, არა მგონია ცოცხალი იყო.

და მაინც ცოცხალი ვარ! ცოცხალი ვარ მიუხედავად იმისა, რომ ვარ დაბლილი ბგერებად, მტრობებად და ასობადაც ცოცხალი ვარ, მიუხედავად იმისა, რომ მოკლებული ვარ უნარს, ვამოკვცის ნგრევა, ის ქაოსი, რაც ჩემს ირვავივ ტრიალებს! ვერა! ტანრები გადადიან ერთმანეთში, ტრაგიკული კომიკური ხდება, ნათელს წყვდაიდი ამღვრევს და მაინც ვარ, ვარსებობ როგორც ნება, ვთქვა და გამოვხატო ერთი უთქმელი, გამოვხატო და გავანათო ის, გავანათო და დაეუბრუნო სიტხადე, რაც არაფრიდან წამოსულმა სიტყვამ ოდესღაც მოუტანა მას!

— ცოცხალი ხარ? — ბრაზობს კაკო.

ცოცხალი ვარ! ჩემივე ნება ამ აღმადგინა მედვილით და ვაფანტა ჩემს ჩასაკოლად მოვარდნილი ბრბო! ქუჩაბანდები გამოირბინა ჩემსკენ. ავტობუსი — მდედარი ძლივს მოძრაობს ამ ვინრობებში, ფშენს კედლებს, აყირავებს ხილ-ბოსტნეულის დახლებს. სამიწეულის სისწრაფით ახსნება და იქცება, ფართოვდება და იყუმება ქუჩა. ზურგსუკან ვგრძნობ ავტობუსის ცხელ, ბრაზმორეულ სუნთქვას. ნამით მოვიხედე. კაკომ მაშინვე თავი გამოყოფა ჩემიდან და ზედიზედ მესროლა. ტყვიამ გამოკანარა ყური, შემიტრულა თმა. ტყვია კი არა, რალაც მწვავე, მტკივნეული სიტყვა იყო ეს, გულზე რომ მოშხედა. ტყვიას შეიძლება გაექცე, მაგრამ გულისგამხეთქე სიტყვას სად გაექცევი? ყური გინდა არ გინდა იქურს მას, სძენაც რომ დაიხმო, ფიქრად შეიძლება შემოგეპაროს და ამ ფიქრმა მოგიღოს ბოლო!

ფეთხაიმის აღმართზე ავრბივარ. ორ, სამ საფეხურს ერთდროულად ვახტები. ეს აღმართი ერთ ამოსუნთქვად თუ არ ვაქცივ, მომწენვა ტყვისასაით წამოსული სიტყვა! სულმოუთქმელად მივალნი ათეშგას სალ-

ოცავს, წარმართულ კედელს გადავფრინდი და ბალახში ჩაენექი. მხოლოდ მე ვიცი ამ წარმართული სალოცავის არსებობა, ფეთხაიმის ეკლესიიდან მარცხნივ, ოდნავ დაბლა. მე მოვაგენი მას, ჯერ ათასფერი მასალების ქვევით, შემდეგ კითხვა-კითხვა სიარულით და თვალის გაფაქიზებით. არავის ვუშხელდი ამ ცოცხანას, რომ თარიღებად, ისტორიულ მრეებად, სამუხეუმო ექსპონატებად და ძველებად დაბარისხებულ სიძველეთა შორის, რალაცა ყოფილიყო პირადად ჩემი, მხოლოდ ჩემთვის არსებული, ვერმატეული საყოველთაო ცოდნის ფარგლებში.

ამიტომ, ცხადია, ათეშგას კედლებში მიუნვდომელი ვიყავი მათთვის. ვიდექი წყნარად, წარმართულ კედელთან, ისინი კი ირვავივ დარბოფენდ და ვერ მხედავდნენ. ისიდორე ზყვით გაეარდა, ფეთხაიმის ეკლესიისკენ, მოიშველია თავისი განსწავლულობა და დაამტკიცა, რომ მე უუქველად ეკლესიას შევაფარებდი თავს. მატრიალისტურ ტრადიციებზე აღზრდილმა კაკომ მაშინვე უარყო ეკლესიის ვერსია. "სხვა მოიფიქრე, სად შეიძლება იყოს", — საყულოში ჩააფრინდა ისიდორეს. ის კი თოჯინასავით ახაზაზმებდა თვალებს და უშეუოდ შლიდა ხლებს. ორ ნახიჯში იდგნენ ჩემგანს კაკომ გამისწორა კიდევაც თვალი, ღრმად ჩამაცქერდა, მაგრამ რადგანაც ათეშგა მისთვის ჩვეულებრივი კედელი იყო, ვერ შემამჩნია და განაგრძო ისიდორეს წყურვეა და აქ უცებ გამახსენდა, რომ ძველთა აღბომში ნახიბი შექონდა ათეშგა ის მაინც აღზუსხული იყო და ამ ფაქტის გახსენებამ წარმოშვა შესაძლებლობა სხეასაც ეცნო ის! მართლაც, კაკომ იმდენი აწყურია ისიდორე, მის მხესიერებაშიც უამოტყვივდა ძველთა საგანძურში შეტანილი სალოცავი. "მაცალე, ერთი ნუთით!" გაუნათდა ისიდორეს სახე. "ნუ მანჯღრევი!" ისე წამოიყვირა, კაკომ მაშინვე ხელი უშვა. რა კედელია ეს? შემობრუნდა ჩემსკენ. "ღმერთო გამახსენე" ვგრძნობ, როგორ იძაბება, ცოტაც და მინდება ხსოვნის სიღრმეში ჩასახულ სახელს, მინდება და დავილუშები კიდევაც, ჩამომგლეჯს ურინმარინის ქუდს და ევლარ გადავურჩები მათ მზერას!

— ათეშ... — აქ დამინახა კიდევაც, აღარ ვიპალე სიტყვის დამთავრება, ქვას წამოვავლე ხელი და კეფაში ჩავცხე.

ისიდორე აკორდუონივით ჩაიკეცა. გაცოცხლებული კაკო ჩემსკენ შემოტრიალდა.

— ვინ ისროლა! ქვა ვინ ისროლა! — მიუბრუნდა თავისიანებს. ისინიც დაბნეულები დგანან. მია ბუნდოვნად

საქართველო

შევიგრძნობს ჩემს აქყოფნას, მაგრამ არაფერს ამბობს. არა! ათეუგა მისთვის ცარიელი კედლებია, ვერ მხედავს, მაგრამ გული უგრძნობს, აქა ვარ. ბიჭიკო უახროდ აცეცებს თვალებს. ღვაღაძე ზუეთ-ქვევით დარბის. ვალერი მირიანის ზურგს უკან ლაურას ეღლაბუცება. მხოლოდ კაცუნა დგას ეულად, თავდახრილი, ჩაფიქრებული.

— შენ ესროდი, სხვა ვინ იქნებოდა — ეცა მას კაკო, — ვიცი, ვგრძნობ, იმას უჭერ მხარს. მოინადრე ზომ მისი სული!

კაკო დაეძგერა კაცუნას. ის კი ელვის სისწრაფით დაუსხლტა და ზურგზე შემოახტა. რეჟისორი ჩემსკენ გამოქანდა და კედელს შეენარცხა. მისარისაგა კიდევაც ზურგზე შემომხტარს, მაგრამ კაცუნა გადმოახტა კედელს. რომ არ ნაქცეულიყო, ხელი შევაშველე და წინ ვუბიძგე. მთელი ძალით შეასკდა კაკოს. კაკო დაეცა, გადაგორდა, კაცუნას დაებლაუჭა და ისიც ძირს დასცა. იორეუ ახლა ბალახში გორაობდნენ, თავყბას აოღნავდნენ ერთმანეთს. კაკო უფრო ჯანინი იყო, კაცუნა — უფრო სწრაფი! ღვაღაძე თავს დასტრიალებდა მათ, ბოლოს მოახერხა და კაცუნას ბუჭებს შორის ჩასცა დანა, მაგრამ ვერ გამოადინა სისხლი და ჭრილობა უშალ ვეხორცდა! კაცუნა ვითარცა უხორცო, თვალშეუსწრებლად იცივლიდა ფერსა და ფორმას, ისე სწრაფად მოძრაობდა, ერთდროულად აქაც იყო და იქაც. კაკოს თითქოს რამოდენიმე კაცუნა ესხმოდა თავს. „გააშველეთ! ყვიროდა ღვაღაძე და ამაოდ ეფარებოდა რეჟისორს. მირიანი წყლის მოსატანად ეზოში შევიარდა, ამასობაში ვალერიმ ხელი სტაცა ლაურას და ლამის მისარისა კედელს. ღვაღაძემ თავი ანება კაკოს და ვალერი ძლივს ააგლიჯა დაქალს. ისიდორემ თავი წამოყო, დამინახა, ხელი ჩემსკენ გამოიშვირა, მაგრამ ვიღაცის ფეხი მოხვდა და ისეე დაკარგა გრძნობა. ბიჭიკომ როგორც იქნა, ვანაცალკევა ერთმანეთს. სამკედრო-სასიცოცხლოდ ჩანატებული მტრები, კაკომ მაძინე ტყე-ისი ბუდეზე გაიქრა ხელი და რეველიერი დაადრო. კაცუნა კედელს მოეფარა. აქ ისიდორემ შესამედ წამოყო თავი. ახლა მისთვის უკვე ნათელი იყო ჩემი აქ ყოფნა, მაგრამ, ვიდრე ხმის ამოღებას მოასწრებდა, მე და კაცუნა უკვე ძვევით, ბოტანიკური ბალისკენ გავრბოდით.



— ვიდრე გავაგრძელებთ, — მიუზრუნდი ბოტანიკურ ბაღში ჩანჩქერთან შეჩერებულ თანამგზავს, — მოდი გავარკვიოთ, ვინ ბრძანდება.

— მშვენივრად იცი, მწიკა: მწიკა გაშილიმა კაცუნამ, — ისიც მოგესხენება, რისთვის მოვედი შენთან.

— მე არაფერი ვიცი, — თავი გაუაქნი, — მაქვს მხოლოდ ეჭვი.

— მაშინ არც მე მოკლდნია არაფერი და ვერ გიპასუხებ. სხვა ვერ გეტყვის იმას, რაც შენი გასარკვევია.

— შენ სხვა არა ხარ, — ვუთხარი, — შენ ხარ ეჭვით შემღვრეული სახე, რომლისთვისაც ვერ დამირქმევია სახელი.

— არც არის საჭირო, ნუ ჩავეიკეტებით ერთ ხასიათში. ჩათვალე, რომ შენთან ვარ, რადგან მეც ეჭვით შევცქერი არსებულს, არარსებულის ძებნაში.

— ჩვენ ერთად ვერ ვიქნებით.

— რატომ? წყევლიადი, საიდანაც მე მოვიდვარ, იმ სინათლის მეორე მხარეა, შენ რომ დაეძებ. ვერ კიდევ ოსტატის სტრიქონებში, შავი, მავიის სპეცილისტად ყოფნისას დაერწმუნდი, რომ ჩემი წყვედიადი არაფერია იმ სიბნელესთან შედარებით, რომელიც ვერ იხედება მატერიის მიღმა და სულს სხეულის ზედნაშენად აცხადებს.

— მტერს ერთად უნდა ვებრძოლოთ, — ვუთხარი, — მერე კი ერთმანეთშიც შეიძლება ურთიერთობის გარკვევა.

— რა გვაცხვს გასაყოფი?

— ჩვენ არა ვართ ერთნი. შენ უფსკრული ხარ, რომელიც უნდა გადავლახო, მწვერვალზე რომ ავიდე.

— მე ვარ უფსკრული?

— ნუ თვალთმაქცობ. დანა არ გჭრის, ტყვია არ გეკარება. ერთდროულად ყველგან შეგიძლია იყო და არსად არა ხარ. ისე მსუბუქი ხარ, ისე მოუხელთებელი, საყრდენს ვერ ვპოულობ შენში, მინას მატლი ფეხქვეშ, სადღაც მივექანები და ბოლო არ უჩანს სემს ვარდნას.

— დაიმაღე, მოდიანი!

კაკოს ხმა არღვევს ბალის სიჩუმეს. გვეძებენ. გვეძებენ როგორც დისონანსს ბალის ფერთა და სურნელებათა პოლიფონიაში. ისიდორეს დაცქვეტილი აქვს ყური, რომ გამოარჩიოს, გამოკვეთოს ჩვენი ჩურჩული მდინარის ჩხრიალში, მაგრამ მას მხოლოდ იმის ამოცნობა შეუძლია, რაც უკვე არის, ჩვენ კი ვართ და არცა ვართ მწვანე ელფერთა ამ დაუსრულებელ თამაშში.

— გესმის მათი ხმა? — არ ისვენებს კაკო.

— ტოტი გატკაცუნდა, ალბათ ციყვი გადახტა ხიდან ხეზე, — თქვა ისიდორემ.

— თუ ვიღაცამ ფეხი დააბიჯა ტოტს? — ეჭვობს კაკო.



— ეჭვი არ ნიშნავს მტკიცებას.

— თუთ ეჭვის არსებობა, უკვე მტკიცებაა. რადგან ვაჩნდა ეჭვი, ტოტის გატკაცუნება უკვე აღარ ეკუთვნის მხოლოდ ბაღის ხმას.

თქვა თუ არა კაკომ ეს, ხელი ეტაცე კაცუნას და კი არ გაეიქცეო, გავფრინდით იმ ადგილისკენ, სადაც ციყვი ეთამაშებოდა ტოტებს.

— რას აკეთებ? — გაიოცა, — შენით უფარდები ხელში?

— არ შემიძლია, — ვუთხარი, — ეს ხომ შესაძლებლობების ბაღია, სადაც მიზეზი კი არ იწვევს შედეგს, ეჭვი წარმოშობს საგანს. იმდენად ძლიერია კაკოს სწრაფვა ჩანვდეს ფეხის ხმას ტოტის შრი-აღში, რომ არ შეიძლება ეს მისწრაფება სინამდვილედ არ ვაქციო.

ასე აღმოვჩნდიო ხესთან, რომელსაც თანდათანობით უახლოვდებოდა მდევარი.

— ხეზე მაინც ავძვრეთ, — კაცუნა ტოტს მოუბლაუჭა.

— თავის დაძვრება არ გახლავს ჩემი სტაია, — შეეპირე, — რაც უფრო იბრძვი, რაც უფრო ცდილობ გაიქცე, მით უფრო იბლართები ბადეში. მშვიდად, უშიშრად უნდა გაუსწირო თვალი განსაცდელს, მიწოდო იმას, რაც თავისთავად მოძრაობს და ტალღა სამშვიდობოს გაგიყვანს.

მაგრამ რას უნდა მივენდო, როცა არაფერი მოძრაობს? როცა მხოლოდ მეორედება, გულისამრევედ მეორედება ერთი და იგივე და შთაბეჭდილებებს მოკლებული სული ნაპირზე ამოგდებული თევზებით ფართბალებს! ჯანდაბას ფორმა! ჯანდაბას ლოგია! რა შემიძლის ხელს წარმოვიდგინო, რომ აქ და ახლა კი არ ვიმყოფები სიძულვილით გარემოცულ ხესთან, არამედ ციყვივით დავფრინავ ტოტებიდან ტოტზე, ხიდან — ხეზე! კაკო ფეხდაფეხ მომდევს, მესვრის კიდევაც. პერაპერა ვტრიალდები, ტოტი იზნიქება, შურდულივით ვიტყვორცნები. "რას აკეთებ! აურძალულია ციყვების ხოცვა!" ყვირის ისიდორე. "რა ციყვი, რის ციყვი!" ღრიალებს კაკო. მარტო ის ხედავს, რომ ეს მე ვარ. მისი თვალი ეფლის სისწრაფით ანან-ვერებს ტოტებს, ფოთლებს და მზერით დაცხრილულ სიმწვანეში ჩემს სილუეტს სახავს. "სადაა გამეჭკევი" მიყვირის. მართლაც, ხეივანი თავდება და ნინ ღია სივრცეა, სადაც ნინასწარ ვხედავ ტყვიას, რომელმაც ბოლო უნდა მომართოს.

ნუთუ დავიღუპე? ტალღას მივენდე, რომელმაც უფსკრულში გადაშჩება! არა! ვიდრე ნათელს დავეძებ, არ შეიძლება ნყვდიადმა მშთანთქოს. მთავარია,

კრიტიკულ ნერტილშიც შევიწარმნო სულის სიცხადე. არ ავიმდინე, არ ჩამაბნელოს შიშმა! ვიდრე ნინ სინათლეა, მეც ვარ. მოდი, ამ სინათლით გავხედავ შორეთს, გავცდები ტყვიას, რომელმაც ნერტილი უნდა დაუსვას ჩემს ყოფნას.

ტოტს დავეკიდე. ხის ტანს ფეხი ეკარი და სივრცეში გავფრინდი. გადავაფრინდი ხიდს, ჩაყვივი ჩანჩქერს და მორევში დავტრიალდი. ამ დროს ცამ დაიქუხა და ტყვიების თავსხმა ნამოვიდა ზევიდან.

ჩაყვივით რაც შემეძლო ღრმად, გავყვივი დინებას, ვეღარ გავძელი, გადავყვალაპე წყალი და უცებ მივხვდი, რომ ეს იყო სისხლი, მიმე, ტკბილ-მწარე, გულისამრევი სისხლი, სხვისი კი არა, საკუთარი! მაინც მომანდინეს ტყვია!



ამის შემდეგ ორად გავიხლიჩე. ერთი მხრივ საშინლად დაეშინდი, ჩავიძირე და ფსკერზე, წყალმცენარეებში ჩავენევი; მეორე მხრივ კი საოცრად შევმსუბუქდი, მოენყდი სიტყვის დინებას და ზემოდან გადავხვედი საკუთარ თავს, გარდატეხილ, შემღვრეულ, ბნელ მასას, რომელსაც ლიფსიტები ეხვეოდნენ გარშემო. ახლა ვიცოდი — ხსნა ზევით იყო, აქაფებული ზეირთების რემაში. ცხენივით მოვახტი ერთ-ერთ ტალღას, ვერცხლის ფაფარში ჩავაფრინდი და თავი მივეცი მის ქენებას! კაკომ ჩემივე გმირები მომიქსია, ცემატყეპით შემორეკა მდინარეში, მაგრამ ტალღამ გადათელა და შთანთქა ისინი. თავად ბატონი რეფისონი ნაპირ-ნაპირ მომდევს, კალიასავით მოხტის ქვიდან ქვაზე, კლდიდან — კლდეზე.

— არ გამოუშვათ! ნაპირზე არ გამოვიდეს, თორემ კიდევ გავგვექცევა!

კაკო ნაპირზე გასვლის საშუალებას არ მაძლევს. ყველგან ჩასაფრებულა, ყველგან მლოდედა თავისი ბიჭვბობი, თითონ კი კლდეზე გადმომდგარა, მაგრამ ვერ მხედავს, რადგან ტალღა ვარ, უწყვეტად განფენილი სათაევიდან შესართავამდე. ლიფსიტებში ჩაძირული სხეულიდან უსხეული ცხენთა ქროლვამდე.

— ფრთხილად იყავით, უცებ არ დაგაცხრეთ თავს! — უყვირის კაკო თავისიანებს, თვითონ ქვევით ჩამორბის და ნაპირზე ბადეს ქიმავეს.

— იცოდეთ ტალღასავით შეიძლება ნამოვიდეს, მხეფებად შეემსხვრევა კლდეს და სწორედ ამ დროს უნდა მოქარით ბადე, ვიდრე მატერიალიზაციას მოასწრებს!

— ფიქრი ნუ გაქვს! — ბიჭიკოს ბადე უჭირავს ხელში, — სად გავგვექცევა?

ისიდორე რაღაცას ზომავს, ანგარიშობს, ინერს. ქვიშის ნაპირი კლდეებს შორის არის მოქცეული. თუ მე როგორც ტალღა გადავგორდები ქვიშაზე, მარცხნივ და მარჯვნივ ვერ წავალ, დავიშხებრევი, წინ კი ბადა. ტალღის სახით კი გავფრები ბადეში, მაგრამ მაშინ სივრცეში კონცენტრაციას ველარ მოვასწრებ. ამიტომ ბადეში მოხედრამდე უნდა შევისხა ხორცი, გარკვეული სახით და ფორმით გამოვიდე ტალღებიდან და პირდაპირ გვირბიში შევძრე. ფიქრის უკიდურესი დაძაბვით მოვახერხე ეს! უცებ მოვიკრიფე ძალა, ზის ფესვებს დავეკიდე, ნაპირზე გადმოვხტი და კიდრე ტყვიას მომანდენდნენ, გვირბიში შევეარდი.

● გვირბი ბოლომდე გავიარე, ოღონდ ქალაქში აღარ გავსულვარ, მარჯვნივ, აუდიტორიის კარი შევეღე და ისევ კათედრის წინ, მერხთან აღმოვჩნდი.

— ხომ არ დავიღალე? — კათედრიდან ჩამომხაზა კაცუნამ.

— რა დამლღის, — გადავბაღე ახალი ფურცელი, — ახლა ვაპირებ ეშში შესვლას.

— კარგი, მამ გავაგრძელოთ, სად გეჭერდი?

— მე და ნელი რომ დავბრუნდით საქორნილო მოგზაურობიდან, — ნამოიძახა ბიჭიკოს.

— ოს ლურა, ნუთუ მიღალატე? — ოხვრას ამოაყოლა მირიანმა.

— წინ შემარცხენებო, არ გვაჭამოთ სირცხვილი! — დასტყვილა ღვალიაძემ.

— რა ხდება? — მიმოვიხედე.

— ვგელას თავისი ისტორია აქვს, — გამიღიმა კაცუნამ, — ერთი და იგივე სხვადასხვანაირად ესმით.

— რაც თავს გადამხდა, იმას ვერ მოვაბი თავი, — ეუთხარი, — სხვისი თავგადასავალი მაკლია?

— თავი რატომ უნდა მოვაბი იმას, რაც თავისთავად მოძრაობს? სულაც არ არის აუცილებელი, ერთი არსი დაედოს საფუძვლად მრავალ მოვლენას.

— რაღა საჭიროა შენი ლექცია?

— რომ სხვა არ გამოხტეს კათედრაზე და არ შეაჯამოს ის, რისი შეჯამებაც შეუძლებელია.

— ეს ქაოსს ნიშნავს, — ჩავილაპარაკე.

— ეს არის ხმათა დამოუკიდებლობა და თავისუფლება. თავისუფლებაა ის გზა, რომელიც არარსებულს სიცოცხლემდე მიიყვანს. აბა მოეუსწინოთ ბიჭიკოს!

ბიჭიკო შთაგონებულს მძრომი მსმსმსება და დაფასთან და ამეტყველდა.

ბიჭიკო: ო, რა ბედნიერები ვიყავით! როგორც კი გავვეყვარა ნესტორი, ვიშოვეთ ორი საგზური იტალიაში და გადავფრინდით რომში. აეროსადგურში ოდნავ ფეთქავს მუსიკა. იატაკი სარკესავით ირეკლავს ჩვენს ლანდებს. ბარგი ავტობუსში დაგვახვედრეს. მანქანა საქანელასავის გვარწევს. ფანჯრის გარეთ რომი ტრიალებს; ანტიკური, აღორძინებული და ნეო-რეალისტური რომი!

— ერთი ნუთით! — შევანყვევინე, — იტალიაში მოგზაურობას ის ეშში არა აქვს სათანადო ერუდიციის გარეშე, რასაც ვერ განვდებთ ჩვენი ბიჭიკო. ამიტომ წინადადება შემომამქვს ქალბატონი ნელი ისიდორეს შვერთით!

— არ მინდა, მიშველე, ბიჭიკო! — აყვირდა ნელი.

— ნუ გეშინია, შენთან ვარ! რას გვიშვევით არაკაცებო! — ბიჭიკო გაიკლაქნა, რაღაცა ძალამ ჩამოაგდო კათედრიდან, ციბრუტივით დააბზრიალა და კარში გასტყორცნა.

— მე აღარ მეკითხებიო? — ნამოხტა ისიდორე, — დღეს-ხვალ ხარისხი უნდა დავიკვა!

— დისერტაცია მოიცდის, — უთხრა კაცუნამ, — ნახე რა ქალი გელოდება! თანაც თაფლობის თვე ზღაპრულ ქვეყანაში!

ისიდორემ ცდუნებას ველარ გაუძლო, კათედრაზე ააბიჯა.

— ესე იგი ავტობუსი საქანელასავით გვარწევს, — ჩაახველა და დაიწყო, — ფანჯრის გარეთ რომი ტრიალებს. ანტიკური, აღორძინებული და ნეო-რეალისტური რომი ნელი! — ისიდორემ მუხლზე ხელი დაადო ქალს.

— რა იყო, — ნახად შესცინა ნელიმ.

— გაიხედე, კოლიზოში გამოჩნდება.

მართლაც ლურჯი ცის ფონზე გამოიკვეთა სამიარუსიანი ნანგრევი... და ცვილობს ჩვენი ისიდორე აალორძინოს ლურჯი ცის ქვეშ მარადიული ქალაქის ძეგლები. მისი გონების თვალის ბოლომდე ავსებს ჟამით დარღვეულ ფორმას, ნანგრევებიდან სასახლეებს ქმნის. ასე ივსება და უსსოვარი დროს ხიბლით იმოსება ფორუმი. შემონგრეული, ქუდმოგლეჯილი სვეტები მწყობრად ადიან წარმოსახულ ცაში. საქანელასავით ბრუნავს ვესტას წარმართული ტაძარი და სეარძლიდან გადმოკიდებული ისიდორე თავის ნებაზე ატრიალებს რომს. ყოველი ქვა, კენჭიკო კი მარადისობაში ფესვებგადგმული შეტაფ-



ორა და ის, რაც თვალწინ ხდება, უფრო მეტია, ვიდრე ცოდნა. ისიდორეს არასდროს დაეინყებდა ესპანური მოედნის კიბე, სადაც ნელია ჩამომგდარი და რომაული არდადეგების მზით სავსე დილა დღესასწაული ტრიალებს ქუჩებში, მოედნებზე, პარკში. პაერია უმსუბუქესი, გამჭვირვალე; პაერო გამოკვეთს და წარმოაჩენს იმას, რასაც პეპელასავით დასტრიალებს ჩემი ფიქრი. ფიქრის ნაკადი მიაქანებს ისიდორეს და ნელის პანთონისაკენ. მძიმე, მასიური კოლონადა რომ აკრავს ნინ და წარმოადგენდა მსუბუქი, პაეროვანი, ლამის არაფრისაგან მოქსოვილი ინტერიერით რომ იხსნება თვალწინ.

— გეყოფა! — ყურებზე ავიფარე ხელი. ისიდორემ შეწყვიტა სიტყვა, ლექტორს გადახედა.

— მაშატიე, განყვეტინებ, — გავაგრძელე, — ვიცი რაც უნდა მოყვე, რომი ჩემი წარუშლელი, მარად ცოცხალი მოგონებაა, მაგრამ არ შეიძლება ერთ თვითმფრინავს ტურისტული ჯგუფი მიყავდეს იტალიაში, მეორეს კი — საომრად განვეული ბიჭები აფხაზეთში!

— ისევ თავს უნდა უნდა მოგვახვიოს სისხლის ზღვა, — ნამოხტა მერხიდან დეალაძე, — გააჩერეთ!

დეალაძე კაცუნას მიუბრუნდა, მაგრამ ლექტორი უცებ დაიკრუნჩხა, თვალდახუჭული კათედრიდან გადმოვმხო და მუხლებზე დაეცა.

დარბაზი შეზანზარდა. ქერი გაიხლიჩა. ჯერ გუტუნი და ზართაცემა მოისმა, შემდეგ ღრუბელი გაირღვა, ათასი ცეცხ-

ლით აელვარდა და დარბაზში, ზედ მერხებთან სინათლის სვეტი ჩამოვდა.

— ვინა ხარ? — წამოვდექი და სინათლეში შევებრჯე.

— ვერცერთი ჩემი სახელი ვერ იტყვის ვინ ვარ. მე ვარ ის არაფერი, სათაურივით რომ ნინ უძღვის შენ ცხოვრებას, — მომესმა.

— მწვერვალზე მქონდა წარმოდგენილი ჩვენი შეხვედრა, — უშავსუბე.

— მწვერვალი, რომელიც წინასწარ შეიძლება მიზნად დაისახო, მე არ მეკუთვნის. ჩემი სამყოფელი თავისთავად უნდა გაჩნდეს, ანაზად უნდა ამოიზარდოს შენი ლაი, თავისუფალი, არაფრით განსაზღვრული თამაშიდან. აქ წაადრევადა კი იმიტომ გამოგვეცხადე, სიტყვა რომ შეგიმსუბუქო, გზა გავინათო.

— საით ნაიდე?

— უკან უნდა შებრუნდე, სისხლის ზღვაში.

— სისხლს მინდა გავექცე.

— განზე დგომით, ვერ გაექცევი. თუ სხვებთან თოკში არა ხარ ჩაბმული, მწვერვალზე ასვლის ნაცვლად უფსკრული შეიძლება გაფრინდე. სვირის მაყურებელივით ნუ შესცქერი ქვეყნის დანგრევას. იტივრთე შენი წილი დანაშაული, რომ ცეცხლივით შემოგენთოს სინდისი და და ამ ცეცხლის შუქზე დაინახო ჩემსკენ სავალი გზა!

ამ სიტყვებში ნათელი გაიფანტა. ქერი ისევ დაიბურა და დღის სინათლემ მოიცვა დარბაზი.

### ნანილი მირა

როგორც იქნა გამოიკვეთა სათქმელი. თუ ამობანას თამაშმა ქვეყანა დააქცია, ბრალი მეც მიმიძღვის, მეც უნდა ვიტვირთო და მოვიანაო ცოდვა, რადგან აზარტში შესული, მეც ვერ ვიკავებ თავს ამამისაგან და ვეღარ ვამირკვევია რა მამოძრავებს: ჩემი სიმართლე თუ ამ სიმართლით მთაბეჭდილების მოხდენის სურვილი.

მეკეთრი, თვალისმომჭრელი მინდორი გადაიჭიმა ქვიშის სანაპიროდან ფიჭვნარის ტყემდე. მსგავსი სიმწვანე კომპოტურულ ფილებში თუ მინახავს. საშინელი სილამაზე ირგვლივ, რასაც კოლორიტულად ამდიდრებს და ამჭაფრებს აქა-იქ ავარდნილი ცეცხლი. ყოჩივარდების ზღვაში, ყაყაჩოების სინითლით ელვარებულ ასოასო აჩუხილი გვამები. "ბე-ტე-ერი" იბტიოზაერით თვლებზე დაცოცავს და სულთამბრძოლავ სხეულებს ცომივით ამ-

რტყელებს. პირდაპირ ბრძოლის ველზე ვეშუებით. ტყიდან გვესროლეს. ალუბული პროპელერი ცეცხლის წისქვილივით ტრიალებს. დაჯდომა მაინც მოვასწარი და თხრილისკენ გავრბივარ. ხანძრად ავარდნილი მინდორი ფეხდაფეხ მომდგეს. შუაგულ ცეცხლში წითლად გიზგიზებენ დაჭრილი მეომრები. მინდვრის კომპოტურული სიმწვანე უცებ ყვითელ შეფერილობას იძენს, სადაც ყუშბარა სკადება და ნამსხვერვეების ტალღამ ახლად-დაღერილი სისხლით შეავსო ომის პალიტრა. არა, აღარ შემიძლია ამის აღწერა! იწნებ როგორმე გონება მოვიკრიფო, რომ ომის უაზრობაში აზრი ჩავაქსოვო, აზრის მიხედვით გავშალო და დაეალავო ფერთა ქაოსი. გარკვეული აზრი უნდა აკავშირებდეს ამ არაბუნებრივ სილამაზეს ომის სისასტიკესთან. სილამაზე კი არ არზილუ-

ბს, უფრო ამჟამურებს საშინელებათა მხატვრულ ეფექტს. რატომ? იმიტომ, რომ ეს ყველაფერი ხელოვნურად არის შექმნილი! რომ კი არ ვიბრძვი, ომის ბატალურ სცენებში ემონანილეობ! რომ დამდგმელი რეჟისორიც აქვე ტრიალებს და სიძულვილი, ასე ლამაზ ფერებზე რომ არის გაშლილი ბრძოლის ველზე, მის მიერ ხელოვნურად გახალავთ გაღვივებული. ვხედავ კიდევაც მისი მუშაობის კვალს. თურმე მზე კი არა, პროფექტორი ანათებს ჩონჩხებით მოფენილ ვორაკს. თურმე კლდე კი არა, მუყაოს დეკორაცია ფარავს ლურჯად მოლივლივე მდინარეს, — სცენის უკან გადაჭიმულ აბრეშუმის ზოლს.

უცნაური კი ის არის, რომ ეს ამკარად თეატრალური ეფექტები, სანახაობის მთელი ეს პირობითობა ოდენავადც არ ანელებს და ამსუბუქებს ომის საშინელებას: მანქანები ნამდვილად ფეთქდება, მეომრები მართლაც იხოცებიან და თუ ეს ხოცვა-ჟლეტვა ვერ ახდენს სასურველ ეფექტს, უხილავ რეჟისორს მეორე ძლიანთისთვის ახალი ცოცხალი ძალა შემოჰყავს.

სიკვდილი თითქოს თავის თავს დასცივნის, საშინელებიდან სანახაობას ქმნის და ბრძოლის ველი წარმოადგენს ტყით გარემოცულ სცენას, სადაც ერთდროულად მრავალი საბრძოლო ეპიზოდი ტრიალებს.

იქ სადაც მე ვდგევარ, (ვდგევარ კი არა, თავფეხიანად მიწაში ვარ ჩაფლული) "ისტოიზავრი" ნადარობს. ხორთუშამ-ვეროლი მანქანა ვერ შორიდან გვებრძვის, ზედმიზეზ გვაყრის ნალმებს; ცოტაც და იმ თბრილზე ამოვა, სადაც ჩავსაფრდი. ზოგი ვერ უძლებს დაძაბულობას, გარბის... განსაკუთრებით გაუსაძლისია ფიჭვის ის მძლავრი ბულსაცია, სიცოცხლის ის უმწვეველი სისასვე, რომელსაც მხოლოდ სიკვდილის პირისპირ გრძნობ. ამიტომ სიკვდილის აჩრდილთა ველი სიცოცხლით არის სავე, გაშლილი და ვაფურჩქნილია უთვალავ ფერით თამაშით.

აფეთქების ტალღამ მიწა გადმოგვანგრია თავზე. უხილავი რეჟისორი, ჩანს, ცოცხლად დამარხვას მიპირებს, მაგრამ საბედნიეროდ არა ვარ მე ბოლომდე როლში შექრილი გმირი. შემიძლია გარედანაც შევხედო ჩემს თავს. ისიც დავინახო, რომ მიწის თხელი ფენა მაქვს ნაყრილი და გვერდიდან შემიძლია საფლავის გარღვევა. ერთი ენერგიული გაბრძოლება და უკვე ზევით ვარ! ხოფოსავეთ გამაყვებული, ჩანახშირებული მანქანა ხროლავს, ინვის და იფერფლება. ამ ტყე-

მინდვრის კონტექსტში ის მთლიანად კარგავს თავის მნიშვნელობას და რჩება როგორც სიკვდილის შიშისა და სიცოცხლის სიხარულის ტკბილ-მწარე ნალექი. შეტაკებიდან უფენულად გამოსული, ახალ როლს ვეძებ, ვორაკს ვიკავებ და ვცდილობ გავმაგრდე, მოვიკრიფო აზრი, მოვახადინო გონების სრული მობილიზაცია, რომ განდება თუ არა ბზარი მტრის ერთიანობაში, მთელი ძალით შევეუტოო და გახლენილი მთლიანობა ბოლომდე გავკვეთო. ეს ისეთი ბრძოლაა, რომელიც გამოირიცხავს უკანდახევას. გამოირიცხავს იმიტომ, რომ ყოველ ნუსს ბოლომდე იხარჯები. სული არ ნაწილდება, ის მთლიანად უნდა ვასცე, ბოლომდე უნდა ჩააქსოვო იმაში, რასაც აკეთებ. არ შეიძლება ერთდროულად სულის შეწირვაც და შეწარწინებაც, რომ მარცხის შემთხვევაში ნაწილობრივ მაინც გადაარჩე. ამ თავზარდამცემად ლამაზ მინდორზე ან ხარ, ან არა. თუ ხარ, ისე სახევა ეს ყოფნა, რომ ვერ ეტყევა რეალობის საზღვრებში. ზეგვივით მოწყვეტილი ძალა ანგრებს ცალკე ყოფნის ვებრის და ერთმა გულმა შეიძლება მოიცვას ქვეყნის მთელი სიხარული და დარდი! ამიტომ ვგრძნობ, მარტო არა ვარ, რომ უამრავი ვინმეა თავმოყრილი ჩემს არსებაში და სახეთა ვარი იმყოფს გულის სიერცეებსა და გონების ბნელ ლაბირინთებს! ზემოდან დავცქერი "ისტოიზავრებს", ჩემამდე ამოსვლას რომ ცდილობენ. თუმცა, ეს შეტაფორა უკვე ამოვარდა ომის ლექსიკონიდან. აქ სადაც ყოფნა არყოფნას ებრძვის, არავინ ვერდება ერთ მნიშვნელობას, უამრავ ქვეტექსტს ეთამაშება და მყოფობს როგორც შეტაფორა ან სიმბოლო. ასე უფრო მოუხელთებელი და ძლევამოსილი ხდება! თუკი ბრძოლის დროს დაკარგავს თავის ერთ მნიშვნელობას, მაშინვე ახალი ნახანათი შემობრუნდება და ახალ ასოციაციათა გამომწვევი ხატოვანებით ნამოვა. ჩემი ამოცანაც იმაში მდგომარეობს, ვერ მივაგნო ათასფერ მინიშნებებზე და სიმბოლოებზე ძველ სტერს, შემდეგ ვძლიო, შევვლიო თვითტკობას და ჩემს მიერ მიგნებული შედარებები ამოვაგდო მეტყველებიდან, გზა მივცე იმას, რაც თავისით, ძალდაუტანებლად ნამოვა და თავისით მოიტანს სათქმელს. ეს იქნება მტრის, როგორც ფიზიკური, ასევე მეტაფიზიკური განადგურება. მოისპობა არა მხოლოდ ხორციელად, არამედ აღმოიფხვრება მისი ახალ ვარიაციად აღმოცენების სიმბოლოც.

ჯერჯერობით კი "ბე-ტე-ერი" ახალი მნიშვნელობით აღსდგა ფერფლიდან, შემ-



ობრუნდა და ბორცვისკენ დაიძრა. ის ახლა პრესისტორიულ ქვეწარმავალს კი არ მაცნობებს, არამედ მერმისიდან ჩამოფრენილ ურჩხულს, რომლის მიზანი ჯერ ვაურკვეველია ჩემთვის.

ნანგრევებში ჩახაფრებული, ევლოდები ურჩხულის მოახლოებას. ახალი სიმბოლო იპყრობს ჩემს ყურადღებას. თავს ვერ დავიცავ, თუ ვერ ვავხსენი და ამოვიკითხე, რისი სიმბოლოა ის. ფაქტია, რომ პირდაპირ არ გვეზრძევის, თითქოს შევობრულად გვიღივს კიდეც და თეთრ დროშას აღრიალებს. გვიახლოვდება.

— ესროლეთ! — ჩამწურულებს კაცუ-ნა.

ნაღმსატყორცი შემოვატრიალევ. შიგ ხახამი დავუმიზნე ურჩხულს.

— არ გვესროლო! — ურჩხულის ფანჯრიდან თავი გამოყო ლვალაძემ.

— გნებდებით, რა გვაქვს გასაყოფი? ჩვენ ხომ ძმები ვართ? ჩვენს შორის სიმშუღელი კი არა სიყვარულია! დეპორტვათ ერთს მეორე, თეთრად გადავღებთ შავი და შივევით განცხრომას! აბა საჩუქრები ბიჭებს!

ლვალაძემ პიონერულ საყვირს ჩაბერა. ურჩხული ბრონეულივით გაიხლიჩა და მინდორი ულამაზესმა ქალებმა დაიპყრეს. მაშინვე ქვეშების კომსაკც თავსახური ახადეს და კიბულებამდე შეიარაღებული, უზარმაზარი ორკესტრი ამოლაგდა ურჩხულის მწვანე მუცლიდან. მუსიკოსებმა იარაღი შემართეს. ზოგმა ავტომატის ტურს ჩაბერა, ზოგმა — თოღის კონდახს გიტარასავით მოიმარჯვა და ყოვლად უსახურმა, მონოტონურმა, გამაბრუებელმა ფეთქვამ მოიცვა მთელი მინდორი. ბრძოლის ველიც ამ რიტმში დატრიალდა, აცქვედა. ცეკვა-ცეკვით ხოცავდნენ ადამიანები ერთმანეთს! რალაც მაგიური, ჯოჯოხეთური რიტუალი ამოძრავებდა და ათამაშებდა ველს, სისხლის ნაკადიც კი რიტმულად სქეფდა და ამ სასიკვდილო ფერხულს ურჩხულის კომსუქ შემომჯდარი საესტრადო ორკესტრი ატრიალებდა. მუსიკოსებს ქანკი გაუნყდათ, დაეგლიჯათ თითები, ჩახლიჩათ ხმები, რამოდენიმე ვირტუოზი გადმოვარდა სცენიდან; ერთს სისხლი ნასკდა, მეორეს ჩიტკით აფრთხილებული გული ამოუფრინდა ყელადან. დანარჩენები ძლივსდა უკრავდნენ. საცეკვაო რიტმიც თანდათან შეწყდა, დამძიმდა, აქ ლვალაძემ მთრახვი ამოიღო და ანსამბლს მთელი ძალით გადაჰკრა. ისევ მომძლავრდა მუსიკის ჯოჯოხეთური ფეთქვა, უკიდურესობამდე გაშწავდა, ტკივილამდე დაიძაბა. დიდხანს ვერ გასტანდა დამაბულობა, ლვა-

ლაძემაც იგრძნო ეს, მთრახვი შემართა და საცეკვაო მოედანზე სიწუმე ჩამოაგდო.

— სმენა იყოს! — დასტყვილა, — ახლა ძმებო, მოვანყოთ საჩვენებელი გამოსვლა, რომ საბოლოოდ დავამარცხოთ და სამაგალითოდ დავსაჯოთ ის ბნელი ძალა, რომელიც ამღვრევს ჩვენს ნათელ ცხოვრებას!

ეს თქვა და ურჩხულის პირიდან ნათელ ბედაურზე ამხედრებული ცუცა დეიდა გამოფრინდა! ცხენმა დაიჭისენია, ტლინკები აყარა. ცუცა დეიდამ ალერს მოქაჩა, ცხენი ყალყზე შეაყენა, შემდეგ მიუშვა და გააქროლა მინდორის ბოლოს, შავი სილუეტისკენ. უნაგირის ვიბიდან ფინყილებიანი ორი შამფური ამოიღო და ცხენ და ცხენ ზურგში ჩაარჭო ბნელ სხეულს. სხეული ტკივილისგან ისევ დაიკლანკა, კინაღამ არ შემოიღონდა გული! ამასობაში ცუცა დეიდამ ქარქაშიდან მახვილი იძრო, ძახილის ნიშანივით აღმართა და ლვალაძეს მონინებით დაუხარა თავი. ლვალაძემაც უსიტყვოდ თავი დაუქნია. ცუცა დეიდამ მახვილი ცისკვე აღმართა, დაიყვირა და გააფთრებთი შეუტია მტერს. წამით მხედარი და ბნელი სილუეტი ერთმანეთს შეერწყა. ცუცა დეიდა ცხენიდან გადმოხტა, ბნელი სხეული მისკენ გამოქანდა. ცუცა დეიდამ მოსასხამი ტორეადოროვით გაშალა და სიბრაზისაგან ბრმადმოძრავი სხეული ირგვლივ შემოიტარა; ერთხელაც აიციდინა დარტყმა, ლამაზი ბრუნი გააყეთა და თავბრუდამხვეულ მტერს შიგ გულში გაუყარა მახვილი. შემდეგ სხეულს ფეხები შეუკრა, თოკი ხელზე დაიხვია, რაშს მოახტა და სხეული თრევა თრევეთ თან გაიყოლა! თვითონ უნაგირზე წამოდგა, ყირა გაქიმა და ასე ყირამალა ჩაუქროლა ლვალაძეს. "აბა ტაში, ტაშიო!" იღრიალა ამ უკანასკნელმა და ლამის ზეცა ჩამოინგრა მაცურებელთა ტაშით.

რა ხდება? ნუთუ ლვალაძე და ცუცა დეიდა ბოროტებასთან შემბრძოლ გმირებად იქცნენ? მაგარმ ეს სახე-სიმბოლოთა მხოლოდ ნაღამია, რომელიც უნდა ჩამოეხსნა, არსი როს ვიხილო. ამისთვის კი ჯერ უნდა გაეარკვიო, ვის ეკუთვნის ის ბუნდოვანი სხეული, რომელსაც ასე უმონყალოდ დაათრევენ ბრძოლის ველზე.

ნათელია, ამ ბნელ სხეულს ადრეც შევხვედრივარ. ეთქვათ ვინცებ ნამცეციდან, უცაბედი მთაბეჭდილებიდან და ასოციაციითა ჯაჭვით ჩავდივარ საგანთა სიღრმეში, არსთა არსისკენ და უცებ ვეჯახები ბნელ სხეულს, რომლის იქით ვეღარ მივდივარ, რადგან ყოველი ცეცა გადავაბიჯო ამ სხეულს, მანგრეც და



გონებას მიფანტავს. ნათელია, რომ ეს სხეული მე ვარ, არა როგორც სხეული და არა როგორც სული, არამედ ერთისა და მეორის მთლიანობა. ამიტომ მე არა ვარ მხოლოდ ცხენს გამოშვებული, მძიმედ დაქრილი სხეული, არამედ ვარ ძალა — შემოვბრუნდე ახალი მნიშვნელობით, არ შევიმჩინო ფრილობა და აღვსადგე.

მიზეზი თუ არა ამას, ხედვა დამიბრუნდა. ქვებზე დარტყმებს თითქმის ვერა ვგრძნობ. ქრილობა შეხორცდა, ტკივილი გაქრა. მოვახრებ თავის წამოწევა, მერე წამოჯდომა. ცხენი ისევ საშინელი სისწრაფით მიმათრევს, მაგრამ თოქს ჩაჭიდებული თითქმის აღარ ვეკარები მინას. მსუბუქად მივსრიალებ სათავგადასავლო მინდორზე; ბნელი სხეულის სიმბოლო ახალი კუთხით განათდა და მიეხვედი, ბნელი იმიტომ კი არა ვარ, რომ ბოროტებით ვარ სავსე, არამედ იმიტომ, რომ უსახვეროებას, გაურკვეველობას ვატარებ თან, როგორც ჩემი ფერიცვალების დაუშრეტელ სათავეს.

ღვალაძემ და ცუცა დეიდამ ჩემი უსახვეროება ბნელ ძალად მონათლეს; ჩემთან შეჯახებამ ისინი ურჩხულთან მებრძოლ გამარებად აქცია. ახლა ეხედვადი, რომ ეს ორთაბრძოლა ფარსი იყო, რომ სული ჩამკედარი იყო ამ პათეტურ აღზევებაში ბნელ ძალაზე გამარჯვებისთვის ცუცა დეიდას მედალი მისცეს, ღვალაძემ საბალხო არტისტობაზე წარადგინეს. ტყიდან დაფაფების ცემით და სიმღერით პიონერები გამოვიდნენ. დაიწყო დაჯილდოებისა და ნოდებაზე წარდგენის ცერემონიალი, ყმანელებმა ცუცა დეიდა ხელში აიტაცეს და სახელდახელოდ შეკრული ტრიბუნისკენ გააქანეს. ერთერთმა ბიჭმა ჩემსკენ გამოაპარა თვალი. გონს მოსული და ფეხზე მდგარი რომ დამინახა, გავგნებული შეჩერდა.

— ბიჭო! — რაც შეიძლება აღერსიანად მივმართე, — ნუ გეშინია, მე ვარ.

ბიჭო! მინც საშინლად დაფრთხა, ყვირილ-ყვირილით შეიჭრა თავისიანებში. აქ სხვებმაც შემამჩნიეს, უკუიქცა მაყურებელთა ტალღა.

— შეწყვიტე დაჯილდოება! — ბრძანა ღვალაძემ, — ისევ აღსდგა სატანა.

— შენზე ამბობენ, — ღიმილით მიუბრუნდა ხესთან მინოლილ კაცუნას.

— ჩვენზე, — დაამთხარა, — უკვე ველარ გვარჩევს ერთმანეთისგან.

— მოხივე ამით ხელი და ჩაყარე შენს ქებაში, ამაზე უკეთეს სანვავს იშოვი? — ვკითხე.

— ქვაბი ვერ გაუძლებს, გასკდება, — თავი გააქნია, — ამით არც ჩემი ცეცხ-

ლის ეშინიათ და არც ის ნათელი უყვართ, მე რომ დავგარგე. სინდისი და მონანიება ამოღებული აქვთ ლექსიკონიდან. არც ცა მიიღებს მათ და არც ქვესკნელი და იქნებიან ისინი არსად.

— აი, ვინ ანგრევს ჩვენს ბედნიერებას, ვინ არ გვაცლის ავაფრილოთ სიყვარულის დრომა! — დასტყვილა ღვალაძემ.

ჩემსკენ კი გამოიშვია ხელი, მაგრამ თვალს ვერ მისწორებს — ჩემი მზერა სარკესავით ირეკლავს მის ორასროვან ღიმილს.

ჩემი გმირებიც ორად იხლიჩებიან: ბიჭიკო — პირველი მეგობრულად შეხარის ისიდორეს და ნელის, ბიჭიკო — მეორე დანაშემართული ეპარება მათ.

ვალერი და მირიანი ერთმანეთს კოცნიან, მაგრამ რომ დაეკვირდი, ვალერის და მირიანს ეშვები გადმოუფდიათ და ცდილობენ ერთმანეთს გამოჭამონ ყელი.

ღვალაძე ცუცა დეიდას მედალს აძლევს, თუმცა, ნამდვილი კი არა, შოკოლადისაა ეს მედალი და იმ შოკოლადსაც საექვო სუნი ასდის.

●  
 არა, ჯერ არ დამთავრებულა ბრძოლა! "გაერომი" გაფორმებული საზაფო ხელშეკრულება ვერ გააუქმებს ჩვენს ძირძველ შურისძიების კანონს! ამიტომაც ახალი შეტევის მოლოდინში საფარიდან არ გამოვდევარ.

ნამოვიდა, მაგრამ რა ნამოვიდა! "გეტერს" ველარ ვუნოდებ მას! ნინ ცხვირზე ნალმსარტყორცნი აზის. ციკლოპის თვალვით ბრიალებს მისი პროექტორი. გარს ჯავშან-კედელი აკრავს. სათოფურე-თიხვე ტყვიამფრტვევები იცქირებიან. თავზე მრგვალი ანტენა ტრიალებს. მგელივით ყმუის და ათასფერ ტალღებად იფრქვევა მისი კომპიუტერული შიგთავსი. გასაოცარი კი ის არის, რომ ჩემს მოსასპობად დამპროვანებული ურჩხული ამავე დროს ნარმოდებულ ყვაილთა ზვირთებში ჩაძირულ ხომალდს ღია ტერასებში და სადღესასწაულო გემბანით.

— აირჩე, რომელიც გინდა! — მიყვირის ღვალაძე, — თუ ჩვენ დაგვიჯერებს, ბედნიერების ხომალდზე აღმოჩნდები, არადა შეაკალი თავი ციკლოპს!

— თავის მოტყუებას, მირჩენია თავი შევაკლა! — შევძახე.

— შენ ხომ არაფრის შესახებ წერ? თუკი არაფრია ისიც და ესეც, ტკბილი სიზმარი არ სჯობია საშინელ ზმანებს?

— ჩემი სიტყვა სიცხადეს ეძებს; არსის სიცხადეს, ყველაფერს რომ ანათებს და თავისთავად არაფერს შეადგენს.



— გვეყოფა ფილოსოფია! გაუმარჯოს ხალხთა მკვებობას და სიყვარულს! — დასჭყვილა ღვალაძემ, — გაახილეთ თვალი! ჩვენს წინ ციკლოში კი არა, საზეიმოდ მორთული ხომალდია! გემბანზე გადმომდგარი გმირები კოცნას გვიგზავნიან და ყვავილებს გვესვრიან!

მაგრამ ყვავილები ტყეებივით მოფრინავენ. ცეცხლის ისრებით სერავენ ბრძოლის კომპიუტერულ გრაფიკას.

— ზევით, ზევით ისროლეთ! — ჭყვიის ღვალაძე. — ყვავილები შევაცაროთ ბედნიერი ქვეყნის ცას!

დადებითი გმირები მაშხალებს ისვრიან. ნითელ-ყვიოთელ ყვავილებად იფურჩუნება ცა. ფერთა თაიგულივით შეკრული კონა იფანტება და ცეცხლის წვიმა წავს მინდორს, ცამდე ადის დაქრილთა კენესა, გოდება...

— მუსიკა! სიმღერა! ცეკვა! — ღვალაძე მათრახის ცემით ესტრადაზე მიერტყება დამკერულებს. ეს საცოდავებიც რის ვაი-ვაგლახით სწორდებიან წელში, მჭავე ღლილით გასცქერიან ზესხენელს და იწყებენ, მაგრამ ვერ გაგვიგია რას უკრავენ. ნათელი, სიხარულით საფე თემა ნაღმა-უკულმა ტრიალებს, საშინლად მიმდებია, სამკლოვიარო მარშში გადადის და ვერ გამორკვევია — ბედნიერების ჰიმნია ეს თუ — თაუო ჩემო...

— რა გვაქვს სატირალი! ცრემლი! ცრემლი არ დავინახო! — მუშტებს იქნევს ღვალაძე; — ო, რა ტკბილად მღერის ჩვენი ტოროლა!

ტოროლას კი არა, უფრო ოფოფს წავაგვს თმაგაჩქილი მომღერალი, გველემშაის ქერქივით რომ აქვს შემოხეული კაბა-შლეიფი. იქვე ჩემი 'ჯამბაზიც' დაეღანდე, სიმებს რომ აგლეუჯდა ცეცხლსასრულ გიტარას.

მომღერალმა ვამიღიმა, ხელი დამიქნია, შემდეგ ხახა დაალო და ცეცხლი შემომოფრქვია.

— დანეკით! — ესლა მოვასნარი. ცეცხლის ქარმა უვნებლად გადაგვიქროლა თავზე.

ამასობაში ჯამბაზმა ბლოო სიმიც გაგლოჯა, გიტარა ავტომატივით შემოაბრუნა და დასარტყამ ინსტრუმენტზე შემომჯდარი მუსიკოსი დაცხრილა, რკინის თეფში დაითრია და ტოროლა-გველემშაის თავში ჩასვსხა მომღერალმა კუდი-შლეიფი დაიქნია. მუსიკოსები გადახვეტა სცენიდან, ჯამბაზი ბურთივით აისროლა და ხახაში ჩაიგდო!

— შეჭამა, ცოცხლად შეჭამა! — შევევირე.

— შეჭამა, ოღონდ გადატანილი შნიშენელობით, — თითი დამიქნია ღვალაძემ, — სიყვარულისგან შემოეჭამა!

მუსიკოსები ისევ აბობლდნენ სცენაზე. ღვალაძემ მათრახი დირიჟოროვით აიქნია, მაგრამ ერთიან ანსამბლად ვეღარ შეკრა ბრაზით დაქსაქსული ბრბო. ვინ მომღერალს დაეძგერა, ვინ ერთმანეთს ევეეთა. ღვალაძე ტრომბონით ისე დაარტყიანეს, ესტრადის ნიფარას შეასკდა და სცენიდან გადაფრინდა. მუსიკალური ინსტრუმენტები ცეცხლსასრულ იარაღებად იქცნენ, ანსამბლის წევრები — მოსისხლე მტრებად და ათასფრად აბრჭყვიალებული ესტრადის სასაკლაოდ იქცა ვინ დანა დააბრა, ვინ რევოლვერი... ღვალაძე რის გაჭირვებით აცოცდა სცენაზე, მათრახისკენ გაიქცა, უღაცამ ფეხი დაუდო, მაგრამ ღვალაძემ იმარჯვა და ვიდრე დაეცემოდა, ხელი სტაცა მათრახს. მაშინვე წამოხტა. შოლტი დაატკაცუნა. მონუსხულივით გაქვავდნენ მუსიკოსები. ღვალაძემ მათრახი გადაკრა ესტრადაზე დამდგარ ზედახორას. ტკივილისაგან დაივირია სამკედრო-სასიცოცხლოდ შეჭიდებული გორგალი, გაიხლიჩა და ცალკეულ სახეებად დასქდა მუსიკოსებმა გაიღიმეს, თავები ერთმანეთს მიადეს, ხელი ხელს გადახვიეს და მრავალფაშიერი დასცხეს!

— ხედავ, როგორ უნდა მუშაობა! — გადმომძახა ღვალაძემ, — ერთად ავამღერე მოსისხლე მტრები.

ტყვიამფრქვევი საზეიმო ხომალდისკენ შევებრუნე.

— აბა ბიჭებო! ერთი მივანეუთ და გათავებულთა მავათი საქმე, — მიფებრუნდი გვარდიელებს.

პირველივე გასროლით პროექტორი ჩავამხხვრიე და შეტევაზე გადავედი. უტოპიური ხომალდის სიმბოლომ კელავ ციკლოპის მნიშვნელობა შეიძინა, მაგრამ ერთადერთი თვალი უკვე ჩამსხვრეული ჰქონდა ციკლოპს, ბრძამდ აცეცხლდა ხელებს და თავისივე მომხრეებს ნთქავდა. გადარჩენილებს ჩვენ ვუსწორდებოდით. ღვალაძე მაინც ვერ მივასკედილე! უცებ ჩვენს მხარეზე გადმოვიდა და თავის 'მუსიკოსებს' დაურია ვიდრე გვერკვეოდი რა ხდებოდა, ხელიდან დაგვისხლტა, გაქცეულ ციკლოპს ზურგზე მოახტა და აყვირდა:

— არკადი, გვიშველე არკადი!

ამ შეძახილზე კალიების ღრუბელი გამოფრინდა ტყიდან. მოტოქვემუნზე ამხედრებული არკადი წინ მოუძლოდა კალიების ურდოს. შაერი გულისგამანვრილებელი ნულით, ზუზუნით და გრუხუნით გაივსო. ურიცხვი ფრთა გაიმ-

ალა მინდორზე. აჭრიჭინდნენ პროპელერები. ვეტმფრენები ცაში აიჭრნენ.

გვარდიელებს ვანიშნე გაჩერებულიყვნენ. სახნრაფოდ ნრე შევკარით, რადგან მტერი ყოველი მხრიდან მოდიოდა.

— გაიღიმეთ, თანაც იმღერეთ! — დაუყვირა ღვალაძემ, — თქვენი სიკეთით სახე მზერა მებოიით უნდა დაეცეს მტერს! არკადის ღიმილისგან დაეგრიხა, გაეფლამა სახე.

მეომარმა კალიებმა ჩაბერეს საყვირს, დაფდაფებს შემოპკრეს.

გაისმა სიმღერა — მარში მწყობრად მიმავალი ნათელი მერმისისაკენ.

ფერად-ფერადი ბუშტების ღრუბელი ავარდა ზეცად, კალიებზე სწრაფად გამოფრინდა ჩვენსკენ.

— დაწეით! — დაგვიყვირა კაცუნამ. ბუშტები ზედ ჩვენს თავზე სკდებოდნენ. ნაშოვიდა ბუშტებს მობზული ყუმბარების სეტყა.

ცის რისხვამ გადაბუჯა ნიავ-ფერებად აზვირთებული ველი. პუბლებად დატრიალდა ნახანძრალი მინდვრის ფერფლი.

ყვავილებით მორთული ფარდაგი გადასძვრა მინას, ქვესკნელის სიმზურვალე ასდის უდაბნოს.

ცის ჩამონგრევამ და მინდვრის ფერიცვალეებამ შეინირა ჩემი გმირები. სად თავი გდია, სად — ხელი, სად — ფეხი.

მოახლოებული, სახეგამსხვილებული კალიები ძმათა სასაფლაოს თბრიან.

არკადიმ და ღვალაძემ უსახელო ჯარისკაცის შემორიალი აღმართეს.

უდაბნოს ნიალიდან ამოიზარდა, ცას მიებჯინა ყორღანი.

ოღონდ, ეს ქვესკნელის ცაა. ვერტმფრენებით გადაშავებული, შხამნარევი, მოშაკვიდინებული ნვიმით.

დგას ამ ცის ქვეშ ღვალაძე და ღვრის ცრემლებს დალუპულთა გამო. სახე ისე უთამაშებს, ვერ გაგიგია ტირის, თუ გულწინად იციანის.

არკადიმ მამაშვილურად მოხვია ხელი, გულში ჩაიხუტა და გემოზე ჩაკოცა.

მაგრამ ვერ გამიგია, ღვალაძეს კოცნის თუ მირიანის მშვენიერ ცოლს ლაურას.

ერთი რამ ცხადია: იგრძნობა მწუხარება და სინანული ჭირისუფლების მხრიდან.

ოღონდ, ეს სინანული კი არაა დალუპულთა გამო, არამედ შიშია გადარჩენილთა მიმართ.

ღვალაძეს გული უგრძნობს, ცოცხალი ვარ. ცოცხალი რომ არ ვიყო, ასეთი ორბზროვანი არ აქნებოდა მისი ცრემლისღვრა, ღიმილი ვერ შეეპარებოდა მის მწუხარებით დაღრეჯილ სახეს.

ცოცხალი რომ არ ვიყო, კომიკური ელფერი არ მიეცემოდა სამგლოვიარო რიტუალს, უსამველოდ დამძიმდებოდა და ტრაგიკულ სინამდვილედ იქცეოდა ფერთა თამაშით შემდგარი ყორღანი.

მაგრამ თუ ცოცხალი ვარ, ჩემი გმირების დალუპეაც პირობითია, რადგან თუ წყარო არ დამშრალა, ისევე შეიძლება გადმოსკდეს სახეუბად გაშლილი ფიქრი.

მაშინ ეს ცარიელი ყორღანია. ის არაფერს მოიკავს და ვერ იქცევა ძმათა სასაფლაოს სიმბოლოდ. ეს თვალისმომჭრელი უდაბნოც შუქ-ჩრდილთა თამაშით და თეატრალური ეფექტებით ყოფილა შექმნილი. ღვალაძეს რამაშის შუქზე ოფლი ჩამოსდის. ოფლთან ერთად გრიმი და საღებავიც ჩამოვლენება სახეზე.

— ისე აურიო, ისე დაარღვია ლოგიკა! — ცას მუტი მოუღერა მსახიობმა.

ტყის ფარდა გაიხსნა და ველზე რეისორი, ბატონი კაკო გამობრძანდა.

— არა, ასე შეუძლებელია მუშაობა! — გადმოძახხა, — გამოდი და გაგვაგებინე შენი თამაშის წესი!

ყოველი წესის დარღვევაა მისი წესი, — თქვა ღვალაძემ, — როცა იმარჯვებს, მშვენივრად ეთვისება სიტუაციას და მისთვის ხელსაყრელ მოვლენებს დამავლერებლად სახავს, გაუჭირდება თუ არა. ახსენდება, რომ ეს ყველაფერი ფარსია და წარმოსახველის უფლებით არღვევს მისთვის საბედისწერო ლოგიკას.

— ძმასავით მიყვარხარ და ერთ რამეს გირჩევ, — მომიბრუნდა რეისორი, — ასეთი მოუნესრიგებული და ავდებული თამაშის შედეგად საპნის ბუშტივით გაგოსკდება ის, რასაც სული გინდა ჩაბერო. ცხოვრებისეულ სინამდვილეს ვერასოდეს ჩანვდება.

— ერთადერთი ნამდვილი, რასაც შეიძლება ჩაწვდე, არის ჩემივე თავი, — ვუპასუხე.

— მაშინ შენს თავს დააბრალე რაც მოგივა! — რეისორი ჩემსკენ დაიძრა.

— აქეთ, — ქვემოდან მომესმა, კაცუნას ხმა იყო.

მდინარისკენ გაიქექცი. მდინარე სარკესავით იდგა და სარკე სახე იყო ვარდასულ მოვლენათა ანარეკლებით.

— მდინარე ვერ გიმშველის, — ჩამომძახა კაკო, — მაგ სარკეში ყველაფერს დაინახავ საკუთარი თავის გარდა, რადგანაც დღემდე ვერ გიმოვნია შენი თავი, ვერ გავირკვევია ვინა ხარ, რისთვის არსებობ.

— მე ვარ ის, ვინც ეძებს თავის თავს. ამ ძებნაშია ჩემი სიცოცხლე! — დაუყვირე.



მდინარეს გავხედე. ნისლიდან ნავი გამოცურდა. ნიჩბებთან კაცუნა იჯდა, საჭეს ავტობუსის მძღოლი მართავდა.

— ჩქარა, ჩამოხტი, დრო აღარ გაქვს!

— ერთი ნუთით! — ნინ დამიდგა კაკო,

— ასე იოლად ვერ ნახვალ!

თქვა და შეტევაზე გადმოვიდა. დატოვილი თოჯინასავით მოძრაობს. კი არ მოძრაობს, თითქოს ცეკვავს. ყოველი ნაბიჯი მოზომილი აქვს. აკლია მის თავბრუდამხვევი აფეთქება, როცა გონებას კარგავ და იდუმალ ძალას შეუძნებელში მიყვები. ნინასნარ ვიცი რას გააკეთებს და პასუხიც მზად მაქვს.

— არ გინდა მსჯელობა, იმორჩილე! — მითხრა კაცუნამ.

ახლა მე ნავედი ნინ. თავდავიწყებას, უცნარ გარღვევას ჰგავს ჩემი ნინსვლა. არცერთი მოძრაობა არ მეორდება. გადაწყვეტილება ისე სწრაფად ჩნდება, ხანამ მოვიფიქრებ, უკვე მიყენებული მაქვს დარტყმა. რევისორი ძლივსლა დგას ფეხზე, ლერწამით ქანაობს ნინ და უკან, განდაგან... მიინც ებლაუქება რაციონალურ სტილს, ფიქრობს, ხელი როგორ მომიწინოს, სად დამარტყას, მე კი აღარ ვეკუთვნი ჩემს თავს; ხელი, ფეხი, ყოველი კუნთი თავისით მოძრაობს.

— გააჩერეთ, — გულისგამანერილებლად ზუზუნებენ კალიები — ნესებს არღვევს!

რასაც ვული მკარნახობს, ისაა ჩემი ნესი! ლაღად, თავისთავად ჩნდება მოძრაობა და რიტმი, უწყვეტი რიტმი, რომელიც ვარ მე და რომელშიც უკვე ჩაქოვილია მეტოქის არყოფნა.

კაკო ახლა კი გამოვიდა ნყოზიდან, თითქოს ბურუსში ტრიალებს, ბრზად, ისტერიულად იქნევს ხელებს.

მაგრამ ეს მისთვის უცხო სტილია. თავნავლელი ქათამივით ფართხალებს სიბრაზის ქვეცნობიერ ნაკადში, სადაც მე გამოცდილი მოცურავე ვარ.

თავბრუ რომ დავახვიე, ცრუ მოძრაობაში ავიყოლიე და მთელი ჩემი ძალა, ჩემი ბოღმა და გააფთრება გადაიმწყვეტ დარტყმაში ჩაეაქსოვე.

ბატონი რეფისორი მწყნადა მინას, ასე მყარად რომ იდგა შეიდი თაბახის განმავლობაში, ჰაერშივე გათეთრდა და უსულოდ დაეხეთქა ძირს.

— არ შევარჩიხოთ, შერისძიება, სისხლი! — აზუზუნდნენ, აწრილდნენ ნითური კალიები.

— ჩქარა, ჩამოხტი!

ურაცხვი ტყვია გამოფრინდა ჩემსკენ, მაგრამ ჩახტი თუ არა ნავში, ტყვიები

გაჩერდნენ, ჰაერში დაეკიდნენ. უხილავ კედელს შეასკდა და გაითანტა კალიების ღრუბელი. შიშისა და სიძულვილის მინდორი სიბნელემ მოიცვა.

ინტერმედია

ვატყობთ, გადავღალეთ ის, ვინც თვალს ადევნებს ჩვენს სტრიქონებს. ამიტომ შეეთავაზებთ წამოდგას სავარძლიდან, ვაშალოს მხრები, გააკეთოს ნინმკლავი, ზემკლავი, განმკლავი, ბუქნი. ღრმად ჩაისუნთქოს, პაუზა ჩაადგოს, ამოისუნთქოს. შეეთავაზებთ აგრეთვე გამოვიდეს ფოიეში, მიესალმოს ან არ მიესალმოს უცნობ-ნაცნობებს, მტერ-მოყვარეს. ჩავიდეს ქვევით, ჩადგეს რიგში, დაენაფოს გამაგრილებელ სასმელს, თუ ჯიბე განვდა, რამე დააყოლოს. ამობრუნდეს უკან, გაიარ-გამოიაროს დერეფანში, შეიჭყიტოს სტენის უკან. გაუორიცხული არაა, ნაანყდეს ღვალაძეს, რომელმაც უკვე პირი დაიბანა, ჩაიცვა და აქეთ ვადმოაბიჯა.

— დამთავრე? — შეეკითხება.

— ჯერ არა, — ამოიხრებას ღვალაძე — ერთი-ორი რეპლიკა მაქვს ულრან ტყეში, მაგრამ იქ ისე ბნელა, არც გრძობი დამჭირდება, არც კოსტუმი, რიგორ მოვწონს?

რამდენადაც არ ვიცით, რა შობა-ეჭდილება ვახდენთ, დამსწრე სუბიექტმა შეიძლება მხრები აიჩუროს და არაფერი უპასუხოს.

— სწორია, მეც მეწვევება, რომ ცოტა ვკლექტიკურია, — ღვალაძე თავისებურად განმარტავს მის დუმილს, — თანაც მოძველებულია ეს ყველაფერი. მაგალითად, მე უკვე აღარა ვარ ის, რაც ვიყავი, გამოვ-სწორდი, ნყოზა შევიცვალე და შევუდექი გარდაქმნას!

— რას ნიშნავს მოძველებული! — შემობრუნდა სოლიდურად ჩაცმული კაცი, რომელიც სხვა ვინ იქნებოდა, თუ არა ბატონი ისიდორე, — რას ნიშნავს მოძველებული! ის ძველთაძელი და მარად ახალი თემაა. ფლობერი ოცნებობდა შეექმნა რომანი არაფრის შესახებ.

— რა ვიცი, ამათ რომ ჰკითხო, ჩვენ ვართ ამ საქმის პიონერებიო! — თქვა ღვალაძემ.

— არაფრის დიდებით! — შესძახა ისიდორემ, — ნურავინ იფიქრებს, რომ არაფრიდან გაჩნდა ეს ყვე-



ლაფერი. შენახვის კანონთა თანახმად, არაფრიდან არაფერი არ ჩნდება. ღრმად რომ ჩაეხედოთ ამ თემას, ფესვები შორსა აქვს გადგმული, მაგრამ ჩვენი ქმნილების სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ ავტორს საერთოდ არ ქეჯნის სინდისი დაუმთავრებელ ფორმათა და ესკიზურად მონიშნულ სახეთა გამო. ყოველივე ეს საფუძველს მძღვეს დავასკვნა: მაძიებელი იმსახურებს საძიებელ არაფერს და ვჟამდგომლობ არავის წინაშე, რომ ხსენებულ პირს მიენიჭოს არაფრის მაძიებლის ხარისხი!

— გეყოლა ჯამბაზობა! — მივუბრუნდი ისიდორეს.

— მაღლობის მავიერია? — ისიდორემ ზურგი შემაქცია და ამაყად გააბიჯა კულისებში. მესამედ შემოკრეს ზარს.

●  
ორი დღეა მდინარეს მივყვებით. ნავის სატესთან ავტობუსის მძღოლი ზის. ის, ვინც პირველად შემომიყვანა ამ ისტორიაში, აქ სხვაგვარი იერი აქვს მას. ნაბად-მიხბურულს, კუნთიც არ უთამაშებს სახეზე.

— ვუახლოვდებით! — მოგვიბრუნდა.

ველის მდორე, სარკესავით დამდგარი დინება მთის ნაკადვით აიშლერა. დამრეცი ტყე მკვეთრად ჩაეშვა უფსკრულში, ნავი ნაპირს შეეჯახა და ტალღამ უშველებელ ლოდზე შეგვაგდო.

— ჩქარა, გადადიო! — მესაქემ ორივეს შეგვაშველა ხელი, — ქვევით ტყის კიდეზე ორთქლი ამოდის. იქიდან იწყება ჩასასვლელი ბილიკი!

— იწყება? — ვკითხე კაცუნას, — აბა აქამდე რა იყო?

— მხოლოდ წინასიტყვაობა, — გამიღმა. რიყე გადავიარეთ და ტყეში შევედით. ტოტებს შორის აქა-იქ ვლავს ცა. ცა კი არა, რუხი ნივთიერების ქერქი, ლურჯ ძარღვებში გახვეული სისხლიანი ღრუბლებით.

— ფრთხილად იარე — მეუბნება კაცუნა, — ხეებს არ შეეხო.

სიბუნღეში მაინც ვერ მოვზომე და ერთიერთს შევეჯახე. ხემ დაიყვინა თუ მე აღმომხდა კვნესა?

— ხომ გაგაფრთხილე! — მტაცა ხელი კაცუნამ.

ხეს მივაცქერდი და უცებ მივხედი, ეს იყო ბატონი ნესტორი, გაკვრით რომ მოვიხსენიე რომანის ამა და ამ გვერდზე.

— მიუღი ტყე ასეთი გახვევებით ნესტორებისგან შედგება, — მითხრა კა-

ცუნამ, — ეგერ, ბუჩქივით რომაა გაშლილი, ის ვახტანგია, მგონი ვახტანგიც ვახსენეთ სადღაც, უმეტესობა კი იმდენად მკრთალია, ხსენების ღირსადაც არ ჩავთვალეთ. მათ მოიცავს ინტეგრირებული და პერსონიფიცირებული ცნება "ქალაქი", რომელიც ერთი კაცივით ზის სავარძელში და თვალყურს ადევნებს "შირიანის" გაუთავებულ სერიებს. ამ არაფრისმეტყველმა სტატისტიკმა უსახური ცხოვრების გამო ვერ მიიქცის ჩვენი ყურადღება და აქ, ხე-მცენარეული არსებობით უნდა მოიხადონ სასჯელი.

— არა ვარ ბატონებო, მე სასჯელის ღირსი — დავიყვირა ნესტორმა, — ისე ვიცხოვრე, ბუზი არ მომიკლავს! პირიქით, მე გამაუბედურეს, ვერ ცხელი წყლის მილი გადამიჭრეს, მერე ცოლი წამართვის!

— არ ნახვიდე, გემუდარები, არ დამტოვო! — ტოტებით პერანგზე დამიბლანუჭა ნესტორზე, — აი! — ფულურიდან ფულის დასტა ამოიღო, — შვი დღისთვის გადავიწახე, გამანათავისუფლე სტატისტიკა რელიგიიდან და ნახევარი შენი იყოს!

— მოიცათ, მხეცებო, ნადირებო! — ტოტები რომ ველარ მოგვანვინა, დავიყვირა — ამ საქმეს ასე არ დავტოვებ! გინივლებთ! ნიჭი არ გეყო მკაფიო ფერებში დაგეხატა ჩემი სახე და მე უნდა მაზღვევინო საკუთარი უნიჭობა?

— ამის მოსმენა არ შემიძლია! — შეეძახე, — ცოტა ჩქარა უნდა იყო.

— სად გავტყუე შენივე უსახურობას! აგუგუნდა, ამრიალდა ტყე. ფოთლების ჩურჩული იყო ეს, კვნესა, ყვირილი თუ ქარის ყმული? უზარმაზარი ხეები ტყდებოდნენ წელში, ლამის მინას ასკდებოდნენ, ლანა-ლუნით ჩვენსკენ იშვებოდნენ ტოტებს, მაგლევდნენ პერანგს, ხორცს... ყველა ის, ვინც ჩაისახა, მაგრამ ვერ განხორციელდა სრულად; ვინც ჩანასახოვან, გაუბედავ არსებობაში იმოკლებდა დღეებს, მე მთხოვდა პასუხს, ჩემგან ელოდა შევლას; მათ ხევენა-გლევვაზე მტიყენული უფრო ის იყო, რომ მართლები იყვნენ! მე გახლდით მათი სათავე! მე ვიყავი ეს უსახურობა, გაუბედაობა, შიში! ისინი ჩემს გამო იტანჯებოდნენ და ვერაფრით ეშველოდი საკუთარი თავის!

ახლა უკვე რაც ძალი და ღონე მქონდა გავრბოდი. ქარი, კვნესა და ვედრება სტკუნით ჩამიდგა ყურში. ხეები იზნიქებოდნენ, მხებთქებოდნენ და ყოველი დარტყმა ცულის მიწვავდა, მებივით ვლავდა ვონების ცაზე და მაგონდებოდა მაია და ყვე-



ლაფერი ის, რაც იყო ჩემი და რაც დავ-  
კარგე სიმბდალის და გაუბედობის გამო.

— ნუ გარბინარ, აზრი არა აქვს! —  
მომყვიროდა კაცუნა. ქარს ეს ყვირილიც  
ნაფლეთ-ნაფლეთ მოჰქონდა. ტყე უკვე  
აღარ მებევოდა გარს. ტრიალ მინდორზე  
მიჭროდი და ახლოვდებოდა ქვესკნელს  
ჩამავალი, ბურუსით მოცული ბილიკი.

— მოიცა, ვერ ნაადრევია ჩასვლა! —  
კაცუნამ ხელი მტაცა და გამაქვევა.

მიმოვიხედე. მინდორზე მიღეთის  
ხალხი იროდა. ყველა საქმიანი, დაძ-  
აბული, მოლოდინში მყოფი. მინდორის  
კიდეზე, ცაცხვის ძირში, ფურცლებით  
მოფენილი სანური მაგადა იდგა. მაგიდა-  
სთან შეე მანტიანი გახვეული მსაჯულები  
ისხდნენ. ლუპებით, სათვალეებით,  
ათსნაირი გამადიდებელი შუშებით  
ჩასცქეროდნენ ჩემს სტრიქონებს. კაცუნა  
მიუახლოვდა მათ, ერთ-ერთმა მსაჯულმა  
თავი დაუქნია.

— გვიშველე, ვილუპებით! — მომესმა  
ჩურჩული. მოვიხედე. ჩემს წინ კაკო იდგა;  
— რა არ შეუთავაზე ამ ქაჯებს, სამჯერ  
გადავატანინე ჩვენი საქმის განხილვა.  
კასაციანზეც გადავებავნე, ყველგან  
უარია...

— შე რა გიშველო? — მხრები ავიჩეჩე.

— ჭირიმე შენი, მგონი ერთ-ერთ მათ-  
განს იცნობ. უთხარი, ახლობლები ვართ,  
რომ დიდი ამაგი გვაქვს შენზე. არ გვიანდა  
ამაღლება, ჩვენ თავმდაბალი ხალხი ვართ,  
მაგრამ ჯოჯობითიც სანატრელი უნდა  
გაგვიხდეს?

— შენ რა, მარტო არა ხარ?

— ცუცა დეიდაა ჩემთან და ღვალაძე,  
მოგიტყვე, თუ რამე განყენიეთ.

— მომიცადე! — მიუახლოვდი მაგი-  
დას.

— რაო, რას გელრიჯებოდა ის მასხა-  
რა? — თავი ასწია კაცუნამ.

— ნათელში ყოფნის ღირსნი რომ არ  
არის, უტყვევიდაც ვიცი, — ვუპასუხე,  
— მაგრამ სასჯელსაც არ იმსახურებენ?

— რა ვქნა? — ხელები გაშალა კაცუ-  
ნამ, — მასალა მოწმობს, რომ მაგათ სული  
არა აქეთ. ვისაც სული არა აქვს, ის სინ-  
დისი ქვეანს ვერ განვიცდის, ვისაც სინ-  
დისი არ აწუხებს, ის ვერც სასჯელს  
მოიხდის, სრული არყოფნა მათი ხეველი.

— ჩვენ არ გვანუხებს სინდისი? —  
აყვირდა კაკო, — იცით თუ არა თქვენ,  
რომ ჩვენმა ბელადმა ბავშვობაში გრადინი  
გატყვა! ლამეები არ ეძინა დარდით...

— მომორიდით აქაურობას! — დაუცა-  
ცხანა კაცუნამ. შემწინებული კაკო  
უკუიქცა, მაგრამ წასასვლელი არსად

ქონდა და ადგილზე დაბზრილდა, იქვე  
მდგომ ღვალაძეს და ცუცა დეიდას შეე-  
რწყა.

— აღარ დავინყით ჩასვლა? — ვიკო-  
თზე.

— რა ხანია დაწყებული გვაქვს, —  
მომესმა.

აქ ბურუსი გაიფანტა და დაეინახე —  
მინდორზე კი არ დავდიოდი, უფსკრულში  
ჩაძირული ტყით ვეშვებოდი ქვევით.

— წინ იყურე, ვინმემ ფეხი არ დაგიდ-  
ოს, — მომესმა გაფრთხილება, — ყველას  
კი არ მოსწონს ჩვენი წიაღსვლა.

არც მე მომწონს! მეჩვენება რომ  
გატკეპნილ ბილიკს მივეყვები, ჩემამდე  
გაკვალულსა და სხვის მიერ უკვე ჩავლი-  
ლს. უჩვეულო, უცნაური და მაინც  
შაბლონური ფორმით იკვეთება რელიეფი.  
იქნებ გადავიღალე? ხელიდან გამქეცა  
სიტყვა?

— მოძრავე, ნუ ჩერდები! — ჩამძახის  
ხმა, — რაც მთავარია, უკან არ მიიხედო,  
თორემ წინ ველარ წახვალ, სამუდამოდ ამ  
ჯოჯობებითი ჩარჩები.

ვმოძრაობ, მაგრამ ბრმად, ორიენტირი  
დაკარგული მაქვს.

დაკარგული მაქვს ძაფი, რაზედაც შეი-  
ძლება სამკაულივით ავკინძო ფიქრი. იქ,  
ზევით დარჩა ნათელ ხილვათა ვაჭვი;  
აქაურობას ბნელ სიმბოლოთა თამაში  
წარმართავს. ასე შეიძლება წარმოვიფიგინო  
ქვესკნელის მთა, სადაც ბიჭიკო-პიონერი  
ისიდორეს ქანდაკებას მიათრევს. ძლიერ  
აიტანა მწვერვალზე, აღმართა კიდევეც  
კერპი ტამის გრიალში, ქვის ზეკაცი კი  
მოსწყდა კვარცხლბეკს, დაგორდა და  
აღრიალებული ბიჭიკოც თან ჩაიტანა  
უფსკრულში და ისევ თავიდან იწყება  
ტანჯვა...

ან შეიძლება წარმოვიფიგინოთ ჩვენი  
ძმა არკადი, მუცელ-ფაშვი გადმოუგდია,  
გაუთავებლად ქაშს და სვამს. ვერ ძლება,  
ისევე ხრავს და ჯოჯგნის, რომ დააკვირდე,  
საკუთარი ხორცს იგლეჯს, თავის თავს  
ქაშს რაც მეტს ითვისებს, მით მეტი აკლ-  
დება და ბოლო არ უჩანს ამ სმა-ქაშას...

მერწმუნე მკითხველო, თუ არ დაი-  
ღალე და თუ კიდევ შემორჩა შენი თვალი  
ამ სტრიქონებს, რომ ეს ალუზიები შემი-  
ძლია გავშალო, პოლიტიკურად ავაფლერო,  
მაგრამ არ მინდა, არ მაინტერესებს.  
ასოციაციათა გატკეპნილი გზა არაფერს  
აძლევს ჩემს გულს და გონებას და თუ  
ჩავდივარ მინისტრებში, არა იმიტომ რომ  
რაღაც დასრულებულს და შემაჯამებელს  
წავანყდე, არამედ იმიტომ, რომ გავიხანგ-

რძლივო ან თავიდან ავანქეფო ძიების  
მაცოცხლებელი ნაკადი.

— აუ, რა გარეკა! რა ანყობილი  
სურათები მაფურჩია! — თავი გააქნია  
კაცუნამ, — დაგაეინყდა სული რომ  
მომყიდე? კონტრაქტს რომ მოანერგე  
ხელი? რომ ჩემგან ნაკარნახევი სიუჟე-  
ტით გააგრძელებდი სიცოცხლეს? ვინ  
უნდა გაართო, ვინ უნდა მიიზიდო ამ  
აბდაუბდით?

— არავინაც არ მინდა! ვისაც არ ეშო-  
ნია, ჩემთან ერთად შემოცუროს ამ აზვი-  
რთებულ ზღვაში!

ზღვასთან ვიდექი. ქვეშეთის ზღვასთ-  
ან. ცუროდენა ზვირთები დაგორავდენენ  
ცხელ, ლამის ცეცხლოკიდებულ ქვიშაზე.  
უცნაურ სახეებად, ურჩხულ სხეულებად  
დაგრეხილი ტყე ჩემსკენ ინდვიდა დაგე-  
აჯულ ხელებს. წამოვდექი და ზღვაში შეე-  
ცურე. ათასფრად დამსხვრეული  
სილურჯე ამყვა სხეულზე, საქანელასა-  
ვით ამაქანავა, დამარნია ტალღამ...

მიეცურავ თვითონ არ ვიცი საით. ზღვა  
უამრავ შრეებად, რგოლებად, ათასგვარ  
ხილვებად იშლება. ხან ერთ ტალღას ვეთ-  
ამაშები, ხან — მეორეს. სიერცე მაინც  
დახურულია, მიჭირს მოძრაობა, სუნთქვა,  
თითქოს ვეჯახები კედლად აღმართულ  
სიერცეს. ნათელია, რომ გზა დამებნა და  
ჩიხში მოექექცი. უნდა გავცურო წინ, არა-  
და რა ფიქრი, რომელი თვლი გასწვდებდა  
ამ უსასრულობას? ნუთუ ასე უაზროდ  
უნდა დამთავრდეს ის, რაც დიდი იმედით  
დავიწყე, რასაც მთელი ცხოვრება  
ვეზომებოდი? ზღვამ თანდათან დაიწყო  
ჩემში შემოსვლა. ჯერ მუცელი დამიშშიმ-  
და, შემდეგ წყალი ზეით ამოვიდა. მინდა  
დავიყვირო, მაგრამ პირი წყლითა შექვს  
სავსე და რომც მოვახერხო ძაბილი, ვის  
გავაუიონებ? დალუპვის პირზე ვარ მისული,  
სრულიად გადანურულია იმედი, არაფერი  
ჩანს, რასაც შეიძლება მოვეჭიდო და  
სწორედ ამ დროს...

### კომერცია

სწორედ ამ დროს ოთახში ბავშვი  
შემოდის და მუბზნება:

— მამა ატამი მინდა!

მამივე ამოცურე ზევით, ჩავეჭიდე  
მამუკელი რგოლივით გადმოგდებულ  
"ატამს". ვცდილობ გავერკვე, ასე  
მტკივნეულად რატომ ჩამესმის ეს  
სიტყვა...

— მე გაგარკვეე, — მუბზნება  
ცოლი, — ატამი ბავშვისთვის ერთხ-  
ელაც ვერ გიყიდა. შენი ჰონორარი

ორ დღეში შევქამეთ. იმის მაგიე-  
რად, სამოვარზე დარბოდე, ზიხარ  
და მანქანაზე აკაკუნებ. დეიდაჩემი  
ცუცა რომ არ მიმართავდეს ხელს...  
— ცუცა აღარ გამაგონო, არა!  
— აედროილდი.

— რას ემართლები იმ ლეთი-  
სნიერ ქალს, რას! სხვას არ ჰქონია  
ნითელი წარსული? სამაგიეროდ, ის-  
ეთი ბიზნესი ჩაახვია და დაატრია-  
ლა... ფემინისტურ მოძრაობას ეგ  
აფინანსებს.

— მოვკლაე! — წამოვდექი.

— ჩიუ, შენი ჭირიმე, არ გაიგოს  
— მომხვია და ატირდა.

გული მომენურა. ნუთუ ამ გას-  
აცოდავებულ ქალს ოდესღაც მამის  
ვეძახდი?

ტრემლმა საღებავთან ერთად  
დროც ჩამორეცხა მისი სახიდან.  
დამჭქნარი სილამაზე გაიფურჩქნა  
წამით.

— აღარ შემიძლია ასე ცხოვრ-  
ება, არა! — გულამომჯდარი ჩამე-  
ხუტა, — რატომ შეგვნიერე იმას,  
რაც არავის სჭირდება?

ისეთი დრო დადგა, მართლაც  
არავის სჭირდება ჩემი სტრიქონები!  
ქვეყანა გავაჭრებულია. ვილაცა ნავა-  
წამოვა, რალაცას იყიდის — გაყიდის  
და იმდენს იშოვის, სანერ მაგიდა-  
სთან მჯდომს სიზმრადაც არ  
მოელანდება! ღმერთმა მისცეს, არა-  
ვისი მშურს, მაგრამ ბავშვი რომ  
დაგადგება და ატამს მოგთხოვს,  
ყველაფერზე ნახვალ! რომ არ მინდა  
ამ გზაზე სიარული! არ მინდა  
ვეკუთვნოდე ქვეყანას, სადაც არაფ-  
ერია გაცვლა-გამოცვლის და აღებ-  
მიცემობის გარდა! ამოსუნთქვის  
სამშუალებას არ გაძლევენ, პატარა  
შესაძლებლობასაც არ გიტოვებენ  
სული გადაირჩინო. ამიტომაც ვი-  
ძირები ზღვაში. ვეღარაფერს ვქმნი,  
რასაც შეიძლება ჩავეჭიდო. ქვესკნე-  
ლის დაძლევის დასახული გზები  
გამომსახველობას ჰკარგავენ. ვის რად  
უნდა ტანჯვა-ნამების ამსახველი  
სურათები, როცა ჯოჯოხეთზე უარ-  
ესია ეს ქვეყანა! უარესია, იმიტომ,  
რომ გაფანტული და ჩამკვდარი  
სული და აღარ არსებობს ცოდვის  
გამოსყიდვის და სასჯელის მოხდის  
შესაძლებლობა.

— სამაგიეროდ, არსებობს კომერცია!  
— მომესმა ნაცნობი ხმა. ძალა მოვიკრიფე



და უზარმაზარ ტალღაზე ავცოცდი. ტალღა მოტორიანმა ნაემა გაკვეთა. საქესთან კაკო იჯდა.

— დაიჭირე! — დამიყვირა და თოკი მესროლა. თოკს ჩავფორინდი. ელვის სისწრაფით ამათრიეს ნაეზე.

— მომისმინე! — მითხრა კაკომ, — ამ გაუთავებულ მონოლოგებში ჩახრჩობას, არ გირჩევნია შემოგვიერთდე? მითუმეტეს, ბავშვს ატამი ენატრება.

ატმის ხსენებაზე მომიდუნდა ნება, დავკარგე წინააღმდეგობის ძალა.

— ჩვენი ისინი აღარა ვართ, რაც ვიყავით! — აქ დღელაძე ჩაგვერია, — გამოხსნორდით, მოეინანიეთ ცოდვენი და შევექმნით სავაჭრო ფირმა.

— რომელ მონაღმბაზე მელაპარაკები, — ეუთხარია, — როცა ჯოჯოხეთმაც არ ინება თქვენი მიღება!

— რამდენს ყბედობს! — თქვა ცუცა დეიდამ და კეტრი ჩამცხო თავში.

გონს რომ მოვედი, ღამე გადადიოდა. ვანთადი წაებოდა ზღვაზე. შორს, ლურჯ სიმშივადეში მწვერვალად ანათებდა. ბუნდოვნად ციმციმებდა ნაპირი.

— ყურადღებით იყავით, ნიშანი უნდა მოგეცენ, — ნაპირს გახედა კაკომ, — ჩვენი საქმე იმის მიხედვით აწყობა, თუ სად გადავალთ, ვის მივადგებით, ვინ დაგვხვდება.

— აქეთ! — მოგვესმა ძახილი.

გახარებულმა დღელაძემ შეატრიალა საქე, მაგრამ კაკომ ისევ შემოაბრუნა ნავი.

— კაცუნაა, ვერ ხედავ? მივადგებით თუ არა, ნადაულს ნავგართმევს!

შემქმლო ნაეიდან გადმოხტომა და იქით გაცურეა, მაგრამ, რომ დაეფიქრდი, აღარც კაცუნა იხიდავდა ჩემს გულს, სხვა მოლოდინმა დაიპყრო ფიქრი.

— აქა ვარ, სადაც მიმატოვე, სველ, გამჭვირვალე ქვიშაში...

მზით განათებულ ნაპირზე მიაა დავლანდე, ხელს მიქნევდა.

კაკომ თვალი გააყოლა ჩემს მხერას. ვერადფერი დაინახა და მაინც იგრძნო, რაღაც ხდებოდა ჩემს თავს. ფეხებში ჩამაფრინდა, წამაქცია, ზედ დამანვა.

— გადახტომა გინდა? დალუპვას გადავარჩინე და ახლა აღარ გჭირდება?

გამოუტსხლტი და მოჯირზე შედექეი. ცუცა დეიდამ მომასწრო და უკან, ნაეში ჩამაგდო.

— საით? — დღელაძემ საქეს სტაცა ხელი.

— სულერთია, სადმე უკაცრიელ ადგილას მიაყენე! — თქვა კაკომ, — ოღონდ სადმე გაუიდეთ და მერე მოვტყნით ჩვენებს!

ტალღის შრიალს შეერია კაცუნას ძახილი, დაპატარავდა და გაფერმკრთალდა მაიას ლანდი. გამორჩნდა კლდოვანი ნაპირი, ქვიშის ვინრო ზოლით.

მზე შუბის ტარზე იდგა, ნაპირს რომ გავედით. ცუცა დეიდამ ნაეი ქვიშაზე გაათრია და უზარმაზარი ჯაჭვით კლდეს გამოაბა. კაკომ ყურადღებით მოათვალიერა გარემო, პროექტორი შეატრიალა და შუქი ქვიშის ფერდობს იქით, ფიჭუნარისკენ მიმართა.

— კარგად დააკვირდით! — გვითხრა, — სადაც აქ უნდა იყვნენ.

ქვიშარი სიცოცხლის ნიშან-წყალს არ ამულავენებდა. ფიჭვს ტყეშიც ამაოდ ტრიალებდა თვალისმოშპრელი სხივი.

— შეუძლებელია! სიტყვა მომცეს აქ დაშხვებდებოდნენ.

— ვინ უნდა დაგვხვდეს, როცა შენ აღარ არსებობ, ბრძოლის ველზე გამოგიყვანე წირვა! — ელარ მოვითმინე.

— კი ბატონო, — უცებ დამეთანხმა კაკო, — როგორც უტოპისტი დავილუპე, მაგრამ როგორც კომერსანტი, ახლა ვინყებ სიცოცხლეს!

— ქვიშა შეინძრა! — დაიყვირა დღელაძემ.

— სად? — კაკომ პროექტორი მოაბრუნა და ტყესთან მიიჩნინა. იქ ერთხანს ქექა მიმქრალი ცეცხლი, ზოლოს მიაგნო რასაც ეძებდა, დანახშირებული ქვიშადან ჯერ ხელი, მერე ფეხი, მერე ტანი და თავი გამოათრია.

— გატყვერი არა გემოზე! — კაკო მთელი ძალით ანჯარედა წამჭინარეც არკადის, — ელარ მოითმინე ერთი ღამე?

შეშინებული არკადი უარის ნიშნად თავს აქნევდა, ხელეზს ასახვავებდა.

— შეიგნე, დამთავრდა ძველი ცხოვრება! უნდა გარდავიქმნათ! საქმეს მიხედოთ! — ღამის ყურში ჩასძახა.

არკადიმ ახლა თანხმობის ნიშნად დააქნია თავი. "საქმისთვის მზად ვარ, მიშახსურეთო..."

— მეტი არაა ჩემი მტერი, — კაკომ ხელი უშვა არკადის, — დანარჩენები სადღა არიან?

— ჩვენი ორნი გამოგავზავნეს, — ტყიდან გამოვიდა მირიანის ცოლი ლაურა, — გუშინ მთელი ღამე გელოდით, რომ არ გამოჩნდით, ინერვიულა და ცოტა დაღლია.

— ეს თუ ცოტაა და... — კაკომ სვედინანად შეხედა პარტნიორის გაბიჭვინებულ სახეს.

— ეს კაცი სად მოინადირეთ? — ლაურამ თმაზე ჩამომისვა ხელი.





— ჯერ დავისხლტა, არც მერე გვეკარებოდა, მაგრამ შვილს ატამი მოუნდა და მამაც თავისით ჩაგვებარდა.

— სწორად მოქცეულხარ, ძვირფასო, — მომიბრუნდა ლაურა, — დროა სარგებელი ნახო საკუთარი შთაგონებიდან.

— აბა რისთვის დავაარსეთ ფორმა! — კმაყოფილებით ჩაილაპარაკა ღვალაძემ.

— რას მთავაზობთ? — ვკითხე.

— ჩვენი ფორმა ყველანაირ კომერციულ ოპერაციას ანხორციელებს, — მითხრა კაკომ, — ძირითადად კი შენი ხელნაწერის გადაამუშავებას, ბაზარზე გატანას და სარფიანად გასაღებას ემსახურება.

— უარი რომ ვითხრათ?

— მაშინ ატამსაც ვერ უყიდი ბავშვს.

ვის რაში სჭირდება მუხა, რომელსაც ვერ აქცევ მოხმარების საგანად?

ბავშვის ხსენებაზე ისევ მომიდუნდა ნება, წამერთვა წინააღმდეგობის ძალა.

— ხელი არ შეუკრათ, — ბრძანა კაკომ, — ჩვენ ისეთ "ატამს" მივგავენით, თოკზე უარესად შებორკავს.

სალამომდე ტყე გავიარეთ და ნასოფლარში შევედით. შემზარავი სანახავია მკვდარი სოფელი; ფანჯრებჩაბნელებული, გამოშინებული ქოხები, გავერანებულ ეზოებში მიმოფანტული ჭურჭელი, ტანსაცმელი, ავეჯის ნამტვრევები...

— ვინ იცის, რამდენი შეენირა ამ ნახსლარებს! — თავი გააქნია არკადიმ, — ხან ერთი მხარე იკავებდა ნასოფლარს, ხან — მეორე...

— ვინ ვის ებრძვის, ველარ გამოვიდა, — ჩაეილაპარაკა.

— ვერც გაიგებ, — მითხრა კაკომ, — მდგომარეობი მასპინძლებს ებრძვიან, კონსერვატორები — რეფორმისტებს, რეალისტები — მეოცნიერებს, მწვანეები — ნითლებს, ნითლები — მრგვალებს. ისე ფოჯობითურად ტრიალებს ქვეყანა, რომ ოდნავი სხვაობა შეხედულებებს შორის უფსკრულს წარმოშობს და სამკედრო-სასიკოცლოდ თიშავს მოკამათებს.

— აი, ვინ ამღერებს წყალს! — მივანიშნე არკადიზზე.

— მე რა შუაში ვარ? — მხრები აიჩინა, — მე კომერცია მაინტერესებს; იაფად ვიყიდო და ძვირად გავასალო.

სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ ტყიდან სწრაფა გაისმა. ნასოფლარის მეორე მხრიდანაც უპასუხეს. ღვალაძემ იარაღზე გაიკრა ხელი, მაგრამ კაკომ შეაჩერა:

— არ გაბედო, ჩვენ ხომ კომერსანტები ვართ!

ვიდექით ასე, გაუნძრევლად ცეცხლის კორიანტელში და არ გვეკარებოდა ტყვია.

— შენი შესაფერისი სტილი და ფორმა მკაცრად უნდა დაცვა, — თითი ასწია კაკომ, — ეს თუ გადაგარჩენს ამ ფოჯობეთში.

მებრძოლმა მხარეებმა ორმხრივი შეტევა განახორციელეს და ნასოფლარის ტერიტორიაზე ხელწართული ბრძოლა გააჩაღეს. სახეზე ყველას შავი ან თეთრი ნიღაბი ჰქონდა აკრული. ეცვათ ხაკისფერი, დაფოთილილი, ჩრჩილით შექმული ფორმები.

— უკეთესი ვერ შეურჩიე? — უსაყვედურა კაკოს ღვალაძემ.

— ჩუმად, შე შტერო! — თავში ხელი წამოარტყა კაკომ.

— აკი დავანებე რევეისობობას თავიო? — ვკითხე.

— ნახევარ განაკვეთზე მაინც დამტროვებს, როგორც კონსულტანტი, ვცდილობ არ ჩავერიო, მხოლოდ ფინანსურ მხარეს ვებები, მაგრამ...

— მაგრამ მაინც აბოცინებ ამ უდანაშაულო ხალხს ერთმანეთს!

— უნდა ვიქართო, — საათს დახედა კაკომ, — ბაზრობა გამთენიისას იწყება.

— აქედანვე შეეთანხმდეთ, რა გაგვაქვს ვასაყიდად, — იკითხა არკადიმ.

— პირველ რიგში, ბუნების აღწერის სურათები, — ჩემს ხელნაწერს ჩახედა ღვალაძემ, — შას შემდეგ რაც ცენზურა გაგვიუქმეს, სისხლით საესე ზღვიც შეიძლება შეეთავაზოთ მყიდველს.

— არ მინდა! — აღმოძხადა.

— ატამი! ბავშვი! — თითი დამიქნია კაკომ.

— არ მინდა, არ შემიძლია! — ავეყვირდი, — გაიგეთ, არ შემიძლია ეს! რომ როგორც კი ნანილება დაშლი, დახარისხება და დახლები შემოდებ, მაშინვე გაქრება ის მთლიანობა, რაც ჩემგან განუყოფლად არსებობს! ვინა ხართ, გამაგებინეთ, სად არის თქვენი ძირი, ჩვენი გაუკუღმართების ძირი, როცა თავისთავად არაფერი მყოფობს, როცა სავსეა გული გრძნობით და აღარ არსებობს ენა, რომ ეს სავსეობა გამოთქვას! გამაგებინეთ, რა სისტემამ წარმოშვა თქვენისთანა დრეკადი, მოუხელთებული, თვალთმაქცი სახეები! ან საიდან მოდის სიძულვილის ის დაუსრტელები ნაკადი, სიყვარულის და სიკეთის სახელით რომ სპობს ყველაფერს! მე ვერ გავხდები ერთ-ერთი თქვენთაგანი! იმისათვის რომ ფიქრი გაცოცხლდეს, სავარძელში ჯდომა და კლავიშებზე თითების თამაში არ კმარა, შესაფერისი



ცხოვრებით უნდა მოიპოვო სახეების შექმნისა და გაცოცხლების უფლება, სამყაროს დასაბამად ყოფნის უფლება! არა განზე დგომით, არამედ ცოდეა-მადლის მორევში ტრიალით, რომ ღირსეულად, სახელის შეუბღალავად შესძლო განსაცდელის გატეხა! რა გინდათ, რატომ მიხმობთ ამ გზას, რატომ სპობთ თქვენს სათავეს, ან რად მინდა ამდენი სიტყვა, რას გიმტკიცებთ, როცა აღარაფერია ირგვლივ და ვერასდროს მიხედვებით, რომ უნდა შეუერთდეთ ამ არაფერს, რომ დასძლიოთ სიმძიმე და თავზე მოექცეთ საყოველთაო ნგრევას. არავის არაფერს გასწავლით, არც იმას გიმტკიცებთ, თქვენზე უკეთესი ვარ. რასაც თქვენ ჩაიდენთ, წინასწარ უკვე ჩასახულია ჩემში ყველაფერი მე ვარ, რასაც აქ ეძლევა აზრი, შოძრაობა და რიტმი! პირველ რიგში მე მჭირდება ეს სენტენციები! თქვენ კი არ მოგმართავთ, აღსარებას ვამბობ, რადგან მხოლოდ აღსარებით ვფლობ და ნარეშმართავ მასალას, რომელშიც ზევივით შეიძლება ნამიღოს! თუ არ გაიხსენი, თუ არ გამოთქვი რაც განუხებს, სათქმელი თავისით გაგლეჯს გულის კედელს და ბოლოს მოგიღებს!

— გააჩერეთ! არ ნაგვლეკოს! — აყვირდა ლვალაძე.

— აუ, რა მონოლოგია! — ტაში შემოჰკრა კაკომ, — თანაც ეპოქის როგორი მძაფრი კრიტიკაა! ამას ხელიდან გამოგვგლეჯენ სოციოლოგები! ჩაინერე, ცუცა დეიდა!

— უკვე ჩაინერე! — ცუცა დეიდამ ფურცლი დაგვანახა.

— ყიდეა-გაყიდეა არც ჩვენ გვეხატება გულზე, — ახლა მე მომიბრუნდა კაკო, — რას იზამ? გარემოებას უნდა დაემორჩილო. ბავშვს ატამი ენატრება!

დღის ბოლომდე ხევი გავიარეთ, შევიხეენეთ და მთას შევუდექით. მთელი ღამე ებრძოდით აღმართს, გამოთინისას მივადინეთ წვერს. ცა მერთალად ჩაიღვარა ხეთა შორის, გადსახედზე გაიხსნა ომგადახდილი ველი, ცეცხლით და მახვილით რომ გავიარე და სადაც ნათელ-ბნელი სიმბოლოები ებრძოდნენ ერთმანეთს.

ისევ მთის კალთებით გარემოცული, ღამიზად განყობილი სცენა! ოლონდ, ახლა სხვა მნიშვნელობა და აზრობრივი დატვირთვა ჰქონდა მას.

— სად მოვედით? — ვკითხე ცუცას.  
— ბაზრობაზე, ვერ ხედავ, ზღვა ხალხი ირევა.

— დროზე, — ცას ახედა კაკომ, — ვაგვიანებთ და შეიძლება აღარ შეგვიშვან.

— არა! — ისევ დაუიყვირე და ცუცა დეიდას ფურცლები გამოვვლიჯე, — არა! ვიდრე ვარ, თქვენ არ გაღირსებთ ფრთების გამლას! თითქოს ის, რაც ბაზრობაზე გაგაქვთ საგანი იყოს. "არაფრის შესახებ" მქვია მას, რადგან განსაკუთრებული პირობები სჭირდება, რომ ნამით ჩამოიხსნას არაფრის ნილაბი და გამოაჩინოს თავისი ნამდვილი სახე! თქვენ კი გინდათ ნივთივით შემოდით თაროზე და სხეას შესთავაზოთ! მაშინვე ჩაგაქვდებით ხელში, გეამს კი ვილა ნაიღებს. ვის რად უნდა ის, რაც იყო და აღარ არის და მხოლოდ ფურცლების სახით მიმოფანტულა ველზე, რომელიც ხან ბაზრობაა, ხან ბრძოლის ველი, თავისთავად კი არაფერს შეადგენს! მიმოვიხედე. უკვე ძირს ვიდედი, მინდორზე, ათასი ჯუროს ხალხი მიდომოდოდა. უამრავი რამ იყო გამოფენილი სახელდახელოდ შეკრულ დახლებზე. კაკო, ღვალაძე და ცუცა დეიდა ფიცრებს ქეებზე შლიდნენ, ზედ ფურცელ-ფურცელ აღავედნენ ჩემს ნაწერს.

— ყოჩაღ, ამჯერადაც გვიპველე, — გამოიღმა კაკომ, — ისე მოუშვი სიტყვა, თავი ველარ შევიკავეთ და პირდაპირ ჩამოვგორდით მინდორზე. ბუნებზე მოვასწარი.

— ხომ არავინ დაშავებულხართ? — გადმოგვძახა დარაჯმა.

— ფიქრი ნუ გაქვს, — დაანყნარა ღვალაძემ, — უკვე შევეჩვიეთ უგზო-უკვლო ზეტიალს.

— გამოვუშვებ აბა თქვენსკენ მსურველებს!

— სარკე! — იღრიალა კაკომ. ცუცა დეიდამ სარკის ნატეხი ამოიღო ჯიბიდან, კაკომ ხელზე დაიფურთხა, თმა გადაიტეპნა, პურანგიდან მტვერი ჩამოიბერტყა, ქოჩორი აივარცხნა, წარბები გაისწორა და კლიენტის მოლოდინში ღიმილი გადაიკრა სახეზე.

პირველი, ვინც მოგვიახლოვდა, გახლდათ შუა ხნის ლოყებლავლაფა კაცია.

— სექსი არის? ჩხუბი არის? სისხლი იღვრება? — შეატრიალა ჩემი ფურცლები, დასუნა.

— ყველაფერს მოგართმევთ, პატრონი! — კაკომ ხელები გაშალა, — ცუცა, საუკეთესო ნაჭერი ჩვენს პირველ მუშტარს!

ცუცამ ნაჯახი ამოიღო, ჩემი ხელნაწერი ფიცარზე დადო, რაც ძალა ჰქონდა, დაჰკრა ცული, ცერად ჩამოაჭრა ფურცლები. ჯერ შეუმშრალი სტრიქონები ხასწორზე შეაგდო, ცელოფანში გაახვია და მყიდველს მიაართვა.

მყიდველმა პირველივე ფურცელი ეჭვით დაყნოსა, გაღეჭა და უკან გადმოაფურთხა.

— რა ამბავია ამდენი მსჯელობა! — ფურცლები უკან დაყარა.

— სისხლი და სექსი თუ გინდა, ცოტა აზრიც უნდა მიაყოლო! — კაკომ უკან შეაჩერა ფურცლები მუშტარს, — შენ თუ საუკეთესო ადგილები ნაილე, ცარიელ მსჯელობებს ვილა იყიდის?

— ოხ, თქვე აფერისტებო! — თავი გაიქნია მყიდველმა.

— აბა, ახალი ტექსტი, იაფად! — დაიყვირა კაკომ.

— მოიცათ, ბატონო ჩემო! — ვეცი მუშტარს, — დამიბრუნეთ, არ ვყიდო...

ცუცა დეიდამ პირზე ხელი ამაფარა და დახლსუკან შემართა.

არკადი და ღვალაძე მირტყამდნენ. შიგა და შიგ ჩამესმოდა კაკოს ძახილი, მუშტარს რომ უხმობდა.

მუქლურჯი წრეებით და სისხლის ბურთულებით ათამაშდა თელასანიერი. რაც შეეს მირტყამდნენ, ეშში შედიოდნენ, ძველი ანგარიშებიც ჰქონდათ, რაც მოთვარია, იმედოვნებდნენ, რომ ძალით მათქმევინებდნენ რამეს. მათ მხოლოდ ნაწილები ჩაიგდეს ხელთ, მთელი, რომელსაც მე ვფლობდი, დაფარული იყო მათთვის. ამიტომ, უჩემოდ, მთელის ცოდნის გარეშე, აზრი არ ჰქონდა ცალკეული ფრაგმენტებით ვაჭრობას. არავის არ სურდა პეიჯაზი, ან მის ფონზე გამოილი მოქმედება, თუ გაუგებარი იყო ზეამოცანა, რაც წარმართაფდა და ათლიანებდა მას. ამაოდ მირტყამდნენ, ვერაფერს ვეტყოდი.

— გეყოფათ, არ შემოგაკედეთ! — შემოგვიტრიალდა კაკო.

ღვალაძე გაჩერდა. არკადი მაინც მოინედა ჩემზე. აქ კაკომ პერანგში ჩაბლუჯა ხელი და უკან დასწია.

— აუატიე, ჩემო ბატონო, ძველი მეთოდებით მუშაობენ. — გამილიმა, მერე მომიხაზოვდა და ჩამწურწულა:

— მე მაინც მითხარი, რითი დამთავრდება ეს ისტორია.

— გითხარი და გიმეორებ, ტექსტი არ არსებობს. მხოლოდ რამდენიმე საათით შემიძლია ნინ გაეხებლო, მერე კი ნისლში იკარგება მხერა.

— კარგი რა, ნუ მატყუებ, — თავი გააქნია, — როგორღა ფლობ მთელს, თუ ბოლომდე, წინასწარ ვერ ხედავ მას?

— ვფლობ მხოლოდ არაფრიდან მთელის შექმნის საიდუმლოს, რომელსაც ვერ გამოვთქვამ, რადგან ვფლობ არა

გონებით, არამედ გულით. გული შეარსებოს, როგორ ემოძრაო ნისლში, რომ ჩემივე ნატერფალებით სტრიქონი გავკვალო.

ალარ ესმოდათ ჩემი ხმა. არკადი და ღვალაძე სვამდნენ. ცუცა დეიდა ძალღვივით მოკუნტული იწვა დახლთან. გულაღმა გადართლილი კაკო გამაყრუებლად ხვრინავდა.

შუალამე იყო, ველზე რომ გავედი. სავაჭრო სექციების უმრავლესობა ჩამქრალი დაშვდა. ღრუელზე შემოვდარი მთვარე ვერცხლის ჭაღვივთ აბრტყვილებდა ძილად მიგდებულ მინდორს. უცებ ტყეს ცეცხლივით მოედო ადამიანის კივილი. ხერხის ხმა და დენის ზუზუნი შეერია ამ ცეცხლოვან კივილს. არავინ გამოეხმაურა მას. ვისაც ეძინა, არ აუნეუა თათი. მარტო მე ვხედავიდი, როგორ შეზანზარდა განაპირა ზე, კვნივით როგორ დაეშო მინას. როგორ გამოაბეს ტრაქტორს და ნამოათრიეს აქეთ.

— ფარდულს მიაყენე, არ დაგორდეს! — ნამოხტა ღვალაძე.

ახლადა დავაკვირდი ხეს და დაეინახე: ეს გახლდათ ბატონი ნესტორი! ფესვებგადაჭრილი, სახეგახევებული, ლოყაზე შემრალი ცრემლით!

— ნესტორ! ბატონო ნესტორ! — დავიწროლე და ტოტებში ჩავაფრინდი.

ტრაქტორს რას შევაჩერებდი? ნესტორთან ერთად — მეც ნამოათრიეს ელექტროხერხისკენ, ღვალაძეს რომ ეჭირა ხელში.

დაეყივებაც ვერ მოვასწარი, ეშვებალეხილი ხერხი ზმულით შეიჭრა ნესტორის შუანელში, კინალამ მეც ნამოათლა თითები!

— რას აკეთებ, გავივდი! — ტოტებიდან ამოვძვერი და ხელში ვწვდი ღვალაძეს, — ეს ხე არ არის, კაცია განვევებული!

ღვალაძემ ვითომ ვერ დამინახა, ხერხი ჩემსკენ მოატრიალა და ჩემიანად გაკვეთა ტოტები.

ბენზე დაფუსხლტი კილიანებს. ვცდილობ ტოტებიდან გამოვძვრე, ხერხი კი ისევ ჩემზე მოინევს. ნამიც და მეც გადააჭრის შუაზე...

ვილაცამ გამოთიმა დენი. ღვალაძემ შარვლის ტოტზე დამისვა გაჩერებული ხერხი. ვილაცამ გამოშთარია ტოტებიდან.

— თავს ილუბავ? ვერ ხედავ რა ხდება? — წყვდიადიდან გამოანათა კაცუნას სახემ.

— რას ერჩიან ამ უბედურს? — ნესტორზე ვანიშნე.



— თხლად უნდა დათალონ, რომ ქალღმერთი დაამზადონ მისგან. თვითონ ვერ იცხოვრა, სხვისი ცხოვრების ფურცლებად მაინც იქცეს!

— რა იცი რომ ვერ იცხოვრა! — ვეცი კაცუნას, — რადგან ვერ მიიზიდა სანახობას დახარბებული თვალი? ზოგჯერ იქ უფრო სასუეა ცხოვრება, სადაც არაფერი არ ხდება, შენ რა იცი, რა ტრიალებს უთქმელი, გარიყული კაცის გულში?

— ეიცი, — მიპასუხა, — მაგრამ ქალღმერთი არ გჭირდება? ვერ ხედავ როგორი მათხოვრული ყოფილა; ნერ სახატავ ფურცლებზე, გაზეთის გვერდებზე, ყდაზე, მალე კედლებზეც გადახვალ.

— არ მინდა ასეთი ქალღმერთი! — დაუყვირო, — ის სასჯელს შენთან იხდოდა, შენ მიიხ მონანიება ბაზრობაზე გამოიტანე...

აქ ლეალაძემ ისევ ჩართო ხერხი და დაიწყო გახევებული ნესტორის ფურცლებად შრა.

ლმქართო, რა ხდება ირგვლივ! უცერად იფიქრა ცამ ალიონის ცეცხლით და უცებ, ერთი კაცივით ფეხზე დადგა მთელი ბაზარი! მაშინვე მოაწყდა პავილიონს მყოფელთა ტალღა. იყიდებოდა ყველაფერი. უროვნულ ფასეულობათა სექციისში ტევა არ იყო; ბუნების სურათები, ნოხივთა ვედაკრებული მინდვრები, ქართული სუფრა, სტუმარ-მასპინძლობა, ხევენა-კოცნა, ერთგულება, ღალატია...

ეს ყველაფერი გამოფენილი იყო სახედარბელოდ შეკრულ დახლებზე და თეთრინისაფრიანი ქორეაქტები ჩახლებილი, გამყინობა ხმებით სთავაზობდნენ თავიანთ საქონელს ხალხს.

წინ წასვლა მიწოდდა და ადგილზე ვტრიალებდით. საითაც არ გავწივ, რომელ ბილესაც არ დავადექი, ისევ უკან და ვბრუნდი. უცნაური მიწოდება. ვითომ ვამლოლია, ღიაა, სინამდვილეში კი ისეა მოქსოვილი მისი ბილიკები და ძარღვები, რომ ნრეზე ვტრიალებ; წინ ვერ მივიღივარ, ვერ გავკრბივარ მოთვინიერებულ, ნაცვით, ფხვამოცლილ სიტყვებს, ერთგული მონებივით თვალბში რომ შემომძიკებონან, თავისით რომ თავსდებიან წინასწარ ჩამოსხმულ ყალიბებში. ღამაზია მათი ნყოფა, აზრის-მომცველიც, მაგრამ ამ ვადამწიფებულ სიღამაზის ღამის სუნის ასანის, რადგან გამბუნდობა არ მყოფნის დავამსხვრიო ყალიბი და თავის ნებაზე მიუშვია...

მიუშვია რა? ის რაც ამ ახლადგამომცხვარ კომერსანტებს ვასაყიდავ გამოაკეთ. საიდან ჩნდება ამდენი საქონელი?

გაჭირვებით დავაბიჯებ ნაიარევ, ამობურცულ, კანგადაყველავილ მიწდორზე, ჩემი გულივით რომ ფეთქავს. ყოველი ნაბიჯი მტკიეა, გამობერილი მინა სკდება და სისხლი შადრევანივით ჩქეფს.

ჩემი ხელნაწერი მიწდვრის შუაგულშია გაშლილი. აქ კაკო მბრძანებლობს რეკლამას უწევს ჩემს სტრუქტურებს, რომ მიიპყროს მუშტრის თვალი. თავსზევით, პაერში ვერტმფრენი გაჩერდა. თოკის კბით ისიდორე ჩამოეშვა ჩემთან.

— ვაიცანი, ჩვენი ფირმის საპატიო დირექტორი, — წარმომიგინა კაკომ.

ისიდორემ ქუდი მოიხადა და ხელი გამომწიოდა.

— ახლა შენ უკვე ჩვენი ბიჭი ხარ! — მხარზე ხელი დამკრა კაკომ, — ხომ არ გეპარება ეჭვი!

— რა დროს ეჭვია, როცა ბავშვი ატამს ითხოვს, — ჩავიქინე ხელი.

— პოდა, თუ გინდა ატამი იპოვო, რუსეთში უნდა გაემგზავრო ფირმის წარმომადგენლად, — მითხრა ისიდორემ.

ბაზრობა რა ხანია დამითავრდა. ჩემი ნაწერებიდან დიდი ვერაფერი მოგება ნახეს კომერსანტებში. ღვალაძემ საკუთარ სიმამრს, ისიც ფასდაკლებით შეასალა პატარ-პატარა მონაკვეთები, სადაც დადებით შტრიხებში თუ არა, ნეიტრალურ ფერებში მანაც იკვეთებოდა მისი ორპირი სახე. ამ მონაცემებზე დაყრდნობით, ღვალაძის სიმამრმა სიძის პორტრეტი დაახატინა, სადაც კიდევ უფრო შელამაზებული და შერბილებული იყო მის ნაკვეთები.

ველარ მოვითმინე, პროტესტი განვაცხადე, მაგრამ კაკომ გამაჩერა. ამ ეტაპზე სიმართლის ძიება წამგებიანი იქნებოდა ჩემთვის. მართალია, პორტრეტის აკრძალვას კი მივალწევი, მაგრამ რადგან ღვალაძის სიმამრი ფირმის საიდუმლო აგენტის ვახლდათ, მომხივანსაც მომცხებდნენ ჩირქს, რაც ეჭვის ქვეშ დააყენებდა ჩემს წარმომადგენლობას რუსეთში და მოსაპოვბა ატამის მოპოვების ყოველგვარ გზას.

მეც დავეყვი რჩევას და გამგზავრები-სთვის თადარიგს შევუდექი. რეპეტიციებს პირდაპირ მიწდორზე ვავდიოდი. თავიდან ააბიზინეს ზავერდოვანი ველი, ცას მიაბჯინეს ასწლოვანი ხეები. უშუალო მონაწილეობისა და საგანგებო რწმუნებულის გარდა, მიწდორზე ფეხის შედგმა ეერავის შეეძლო, განა იმიტომ, რომ ხელი შეეშლებოდა სადადგმო გჯოფს (კაკოს ყველანაირ პირობებში შეეძლო მედიტაცია და თამაშის წარმართვა), არამედ

იმითომ, რომ ჩვენი ფირმის პარალელურად არსებობდა მეორე, არანაკლებ მძლავრი ორგანიზაცია, რომელიც არ იფარვლებოდა მხოლოდ კომერციით და აღიარებდა მარადიულ ფასეულობათა არსებობასაც. კაცუნა გაქლდათ ამ ორგანიზაციის ლიდერი და მას ჩემი დახსნა ჰქონდა ჩაფიქრებული. მოგვიანებით შევიტყვე — ამ მიზნით თავდასხმაც კი განახორციელა. თავდასხმის დროს სულ ახლოს მოსულა ჩემთან, მაგრამ რეფისორმა ისე გაამუქა და გაანათა ველი, ისე ვაანანილა და შეარბილა ბგერითი ეფექტები, ვერაფერი გვაერჩევ და მოიერიშეთა ძახილი ქარის სტევენს და ფოთლების შრიალს მივანერე. ამის შემდეგ კაკომ მალალი ძაბვის მავთულები შემოარტყა მინდორს, საგუმავოები აღმართა და სადღელამისო მორიგეობა დაანება, თუმცა, ნათელი იყო, რომ კაცუნას ორდენი არ გახლდათ ისეთი მარტივი ნარმონაქმნი, რომელიც პირდაპირ, ვიქტორ შეეცდებოდა შექმნილ დაბრკოლებათა დაძლევის. ლაპარაკი შეეხებოდა არა ხელოვნურად შექმნილ სისტემას, არამედ ცოცხალ ორგანიზმს, რომელსაც თავისი ყნოსვა და სიტუაციის შეგრძნება გააჩნდა და პირდაპირ კი არ ეხეთქებოდა კედელს, არამედ დახვერეთ, დიპლომატიითა და გზების მოსინჯვით ეძებდა ბზარს მტრის გალავანში.

ცხადია ელექტროლობე და საგუმავოები ჩემზე შთაბეჭდილების მოსახდენად იყო გარემომონერილი. იმედი უნდა გადამხურა, რომ გავექცეოდი ბიზნესს და კვლავ არაფრის შესახებ გავაგრძელებდი ფიქრს. დღე და ღამე მამუშარებდნენ შუქ-ჩრდილებით მოქარგულ მინდორზე. კაკო ვარდასულ ამბებს თავიდან დგამდა, რუსეთში საგასტროლოდ ამზადებდა, რის გამოც სასწრაფოდ მიმდინარეობდა სლავური წარმომობის კალიების და საერთოდ, ქერათმზის ანტიგემორების შავად გადაღებვა. ამ მიზნით, არკადისაც ჩააცვეს ჩოხა, ფაფახი დაახურეს თავზე, ასწავლეს ცეკვა "ხანჯლური", ბოლომდე მაინც ვერ გადააკეთეს და ხანგრძლივი წერთვის შედეგად გამოიყენან რღალაც შეაღებული ფიში, რომელიც არც ქერა იყო, არც შავვერემანი, არც ჩრდილოეთს ეკუთვნოდა და არც — საშირეთს.

არანაკლებ ყურადღებებს რეფისორი ბუნების აღწერას უთმობდა, რადგან ზემოთა სწორედ პეიზაჟებს ითხოვდნენ ხაზგასმით ფირმის გამგეობა იმედოვნებდა, რომ პოლიტიკით აპორგებულ ქვეყანას მალამოსავით დაედებოდა ბუნების დამამ-

ვიდებელი სურათები, რომ ახარებით გამამებული ხალხი მათ სიმშვიდესა და სილამაზეს შეაფარებდა თავს. მოკლედ, ბუნების აღწერა ნგრევის არსებულ კონტექსტში ფასდაუდებელი საქონელი გახლდათ და არახული მოგების იმედს სახავდა.

უნდა გენახათ რა დღეში აღმოჩნდა ჩემი ბელნანერი! ველარ ცენობები ხაზგასმულ, ხაზგადასმულ, ჩანართებითა და მინანურებით აჭრელებულ სტრუქტონებს ბელნანერს თან ერთვოდა უზარმაზარი დოკუმენტაცია: რეპეტიციის ოქმები, მოქმედ პირთა დახასიათებები, ინვესტიციები, ხარჯთაღრიცხვები, რეზოლუციები განკარგულებები, შუამდგომლობები, ძმობიჭური მიმონერა, თხოვნა, პროტექცია...

ეს უზარმაზარი მასალა საქალაქში ველარ ეტეოდა და ნიავეი მას მთელ მინდორზე დააფრიალებდა. ამოვარდებოდა ქარი და მავიფასთან მჯდომ ან სცენაზე ვადასულ რეფისორს რომელიმე ბრძანებულებას ააკრავდა ცხვირ-პირზე. კაკოც უშალ თავს ანებებდა თამაშს და პედანტური სიზუსტით იწყებდა ბრძანების აღსრულებას.

ახლოდროდა ჩრდილოეთში გამგზავრების დროც. ზუსტად არავინ იცოდა, როდის დადგებოდა ეს დრო, ყველას თავისი აზრი ჰქონდა სადგურიდან გასვლის თარიღისა და საათის შესახებ, მაგრამ ყველა გრძნობდა, რომ მოსამზადებელი პერიოდი დასასრულს უახლოვდებოდა. ამის შესახებ თუნდაც რეპეტიციების საოცრად გაზრდილი ტემპი მონიშნებდა, თუ ადრე სადღაც ნაშუადღევს, ვემოზე გამოძინებული გავიოდეთ სცენაზე, ახლა იფუშალი ძალა უთვინა ნამოგვაგდებდა ლოგინიდან. ძლივს ვასწრებდით ჩაცმას, ლუკმის გადაყლაპვას, რათა თავპირისმტერვეთ გამოვვარდნილიყავით სცენაზე და ათასჯერ დახეპირებული სიტყვები თავიდან გავვემორცინა.

გამგზავრების თარიღის მოახლოების შესახებ სადგურში მიმდინარე ცვლილებებიც მონიშნებდა. მოგვდიოდა ხმები, რომ საგანგებო მატარებელი, რომლითაც უნდა გვემგზავრა, თანდათან უკვე გამოდიოდა დეპოდან. ამბობდნენ, რომ ამ გამოსვლის შესაბამისად სადგურსაც უფრო და უფრო ედებოდა სადღესასწაულო ელფერი. უამრავი კომერციული ფირმა მონანილეობდა ამ საზეიმო განწყობების შექმნაში, რადგან აქედან იქით გაქცივის მსურველთა ნაკადი მართლაც რომ დაუსრუტელი აღმოჩნდა! ახლახან აღიარებული, მაგრამ იატაკქვეშეთში რახანია გამობრძმედილი კომერციული სტრუქტურები ისე ფაქი-



ზად მოქმედებდნენ, სადგურის გამშვინიერება თითქოს ბუნებრივად ხდებოდა, მათი მხრიდან ყოველგვარი ჩარევისა და ძალდატანების გარეშე. ყვებიან ასეთ ანექდოტურ ფაქტსაც: გამგზავნების თარიღის მოახლოება სადგურის უფროსსაც კი უგერძნია, რომელიც მზავსი წინათგრძნობისთვის საჭიროდ მოუხეშავი და ტლანჭი პიროვნება აღმოჩნდა და შინც, ტანმა უგრძნო თუ ვილაღამ შეატყობინა, სასწრაფოდ გადაწყვიტა სადგურის შეთერება. მოატანინა ცარცი, ფუნჯები და უკვე მოხატულ კედლებს კირის სქელი ზოლი გადაუსვა! ატყდა, მაგრამ რა ატყდა! სადგურის არამკითხე შემთერებელს მხატვრებმა თავყბა დააღუნეს! დაზარალებულმა უმაღ საჩივარი აღძრა, მაგრამ სასამართლომ მოახლოებული საზეიმო თარიღის გამო შეწყვიტა საქმის წარმოება და სადგურის მართვა-გამგეობა დროებით პარლამენტს გადასცა:

აქ კი მართლაც აირია მონასტერი! ძალი კატრონს ველარ სცნობდა! მწანეებმა სადგურის შელაშაზება მოითხოვეს, ნითლებმა — პირიქით, გამოშვლება და გამაფრება, მრგვალებმა გარღვიეს ღობე და მატარებლის მოლოდინი მიუღ ქალაქში გაავრცელეს! სადგურის არამყარი მდგომარეობა ჩვენს საშუალო ველსაც გადაედო; ძლივს ვიდექით ფეხზე, წამდაუნუმ ფეხქვეშ გვეცლებოდა ნიადაგი. მოქმედების არე ხან სცენა იყო, ხანაც — მიწოდრი. ვერც იმას დაასკენიდი, თამაში იყო ჩვენი ურთიერთობა, თუ სინამდვილე. სიტყვები, რომლებშიც გარკვეული აზრი ჩაეაქსოვე, იცვლიდნენ ფერსა და ფორმას, ათასნაირად ელერდნენ! პარლამენტის ქაოსი და გაურკვეველობა ჩვენც გადმოგვედო: ერთმანეთს ვეღარ ვცნობდით, ერთმანეთში მოსისხლე მტრებს ეხედავდით!

— შეუძლებელია ასე მუშაობა! — მიუბრუნდი რევისორს.

— არა გრცხვნივარ? — გამიღიმა, — განა შენი სტილი არ არის? აზრი თამაშობს, ხმები იფანტება...

— ერთია, როცა მრავალმნიანობას მიხნად ისახავ, მეორეა, როცა თავს ვერ ართმევ ხმებს და ყველა თავისას გაჰყვირის.

— მართალია ეს ბჭი, — გამომესარჩლა ფირმის დირექტორი, — მოჩვენებითად შინც უნდა მოვნესრიგდეთ, მატარებელში ასვლის ნებართვა რომ მივიღოთ.

— ჩვენი წესრიგი საერთო არეულობიდან გადახრა იქნება, რასაც მეტწირობაში ჩავითვლიან, — თქვა კაკომ.

— აბა რა ვქნათ? — ცას ახედა დირექტორმა, — ვარსკვლავთა განლაგება ისეთია, ხვალეე შეიძლება გავიდეს მატარებელი.

— მოჩვენებითი წესრიგი, მოჩვენებითი არეულობით შევეცვალოთ, — თქვა კაკომ, — ვითომ ბრმადა, უსისტემოდ მოვანყდებით სადგურს. სინამდვილეში ყველას ზუსტად გვეცოდინება ჩვენი როლი და ადგილი, ჩვენი დამოკიდებულება მატარებლის მიმართ: ვინ რომელ ვაკონში მოთავსდება, ვინ სად და როდის ჩაუვარდება მატარებელს ბორბლებში.

● ამრიგად, თუ ფირმის დირექტორის ვერსიას გავყვებით, მეორე დღეს სადგურიდან გასვლის ყველანაირი პირობა არსებობდა. ამ ვერსიას ქალაქში დარჩეული ხმაც ადასტურებდა, რომ მატარებელი თითქმის უკვე გამოვიდა დემოდან, თუკი გამოსვლა შეიძლება ენოდოს დემოს კედლების უკან-უკან წახვლას, თვალსაწიერის ვაფართოებას და აჩქარების განცდას, რომელსაც თან სდევს შუაზე გარღვეული ქალაქის ცვალებადი ხედი. თუმცა, ფარდობითობის პრინციპის თანახმად, ისიც დასაშვებია, რომ მატარებელი კი არ მიარღვევდეს ქალაქს, ქალაქი მოძრაობდეს მის შესახვედრად და ნელ-ნელა ტრიალებდეს მისი უძრავი შემადგენლობის გარშემო.

არჩევანი აქ ფირმის ბულალტერმა, დედაც ცუცამ გააკეთა. მან დაიანგარიშა, რომ გაცილებით იაფი ჯდება მატარებლის ქალაქში მოძრაობა, ვიდრე ქალაქის შემხვედრი ამოძრავება გარეებელი მატარებლის მიმართ, რის გამოც, ჩვენმა კომერციულმა სტრუქტურამ ტეშმარჩიად სწორედ დირექტორის ვერსია სცნო.

ამრიგად, შეთანხმდნენ, რომ ხალსაყრელ გარემოებათა ძალით, მატარებელი ხელ უთენია ჩამოდგებოდა სადგურში. ჩამოდგებოდა, მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა ამ შესაძლებლობის ვარშემო. მაგალითად, ერთ-ერთი თვალსაზრისი საერთოდ უარყოფდა როგორც სადგურის, ასევე მატარებლის საჭიროებას ჩემი მოგზაურობის ემიზოდში, რადგან აქ რელიეფის ცვალებადობა და სივრცის გადაღახვა არ იყო მთავარი და არსებითი.

მსგავს თვალსაზრისთა სათვალავში ჩავდება და ანალიზი შორს ნაგვიყვანდა, ამიტომ ოფიციალურ ვერსიას ჩავეჭიდეთ და ვათენებამდე კარგა ხნით ადრე უკვე მზად გახლდით სადგურზე გასასვლელად.

ითვლებოდა, რომ მარტო მივემგზავრებოდი, განა იმიტომ, რომ ფირმის გამგეობამ ერთი ბილეთი ძლივს გაახურება, თუმცა, მოთხოვნა კარგა ხანა გადაგზავნა პარლამენტში, არამედ იმიტომ, რომ ჩემს მივლინებას ფართო მასშტაბი არ მისცემოდა და არ მიეპყრო საშოვარზე გამოსულ მტაცებელთა ყურადღება. ასე რომ, სამოგზაუროდ განწყობილი გახლდით მხოლოდ მე, დანარჩენები კი, ვინც გამცილებლის როლს ასრულებდა, შემთხვევით უნდა ჩარჩენილიყვნენ ხალხით სავსე ვაგონში, შემთხვევით უნდა ჩამდგარიყვნენ ჩემსა და მგზავრებს შორის, რათა არავის შევენუხებიან და დიდი ბიზნესისთვის აუცილებელ მედიტაციას გაზაშივე შეედგომოდ.

რაც შეეხება ბარგს. ბარგი შედგებოდა ჩემი ხელნაწერის სავაჭროდ დახარისხებული და დაფასოებული ნაწილებისგან, შესაბამისი ნუმერაციისა და შოკლე ანოტაციის სახით რომ ჩაეაყრე საქმეში და რომელთა შინაარსის ძირითადი მატარებელი თავად გახლდით. მასალის ასეთი გაორებული განთავსება იმას ნიშნავდა, რომ ვაჭრობის პროცესში, საქმიდან ამოღებულ ნაწილებთან ერთად, შინაგანად მეც ვცარიელდებოდი და საჭირო აღმოჩნდა დიდი ზომიერება და სიფრთხილე, რომ ეშში შესულს, ყველაფრის გამსაღებელსა და გამფანტავს, საკუთარი თავიც არ მექცია გაყიდვის ობიექტად.

— ერთი ნუთათი! — ფირვი გამინჯვითა კაკობ, — შენ ისე მიერეკები, თითქოს გაემგზავრე და უკვე საქმეში ხარ ჩაბმული, მაშინ როცა ჯერ არც კი ჩამომდგარა მატარებელი.

— აქა მაქვს შენი რეალიზმი! — დავუყვიერი. — ნუთუ ვერ ხედავ, რომ როცა მოძრაობს აზრი და კონკრეტულის განზოგადებას აღწევ, დროს შეიძლება გადაასწრო!

— შენი ჭირიმე, არ დამლეპო! — დამელრიჯა, — ეს დემოკრატიული კომერციაა და მასიური მომხმარებელი ვერ გადაასწრებს დროს!

რა დავაშავე, ღმერთო! ნუთუ უკან უნდა დაებრუნდე, რომ ნათლად აღვწერო ალიონის სხივებში გახუებული სადგური, მატარებლის მოლოდინში ბაქანს შეზრდილი ბრბო! ნუთუ საჭიროა იმის ხაზგასმა, რომ გამგზავრების იმედით მთელი ქალაქი ჩამწყრივებულა ლიანდაგის გასწვრივ! ნუთუ გაუგებარია, რომ აქ, ამ სიღუბეში უნდა აღარავის დაედგომება, რომ უმრავლესობა მათხოვრად იქცა, რომ უკიდურესობამდე მისული ხალხი

შეჩვეულ ჭირს, ამ უჩვეულო, გაუგებარ, ფათერაკებით სავსე მგზავრობას არჩევს!

ცხადია, ყველას ვერ ექნება ბილეთი. უმეტესობა გამცილებლის როლს თამაშობს, რომ პოლიციამ მათ ბაქანზე გამოსვლის შესაძლებლობა მისცეს. ზოგი იმდენად შეჭრილია როლში, ყვავილებს ყიდულობს და დიდის ამბით ეშვიდობება მგზავრებს. ვის არ შეხედები აქ! მეცნიერები მაღლა მინაყრილზე დგანან, სახეს ირრდილავენ და შორეთს გასცქერიან. ასტრონომი სახურავზე ამძვრალა, ფერთა მიმოქცევას აკვირდება ცაზე და ამის მიხედვით ამძაფრებს თავის მოლოდინს. ქვევით, ცენტრალური ბაქანი პარლამენტის წევრებს უპყრიათ. მათ, ცხადია, ეკრძალებათ ადგილიდან დაძვრა და გაქცევა, მაგრამ არ ეკრძალებათ გამცილებლებს შორის ტრიალი, ცრემლის ღერა, ცხვირსახოცების ქნევა და თვალის გადავლება სადგურიდან გასული უკანსკელი ვაგონისათვის.

პარლამენტარების პირისპირ, გაღმა ნაპირზე შემოქმედი ინტელიგენციის ლაშქარს მოუყრია თავი. ისინი მდუმარედ შესცქერიან სადგურის შეთეთრებულ კედელს, როგორც ცარიელ ფერცელს, რომელზედაც აღარც წერას და აღარც ფერწერას არა აქვს აზრი.

— შავი დღე გაგვიტენდა! — მოგვიბრუნდა ერთერთი მგზავრი, — გუშინაც აქ ვიყავი, გუშინწინაც, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ თვეზე მეტია ვათენებ და ვალამებ მატარებლის მოლოდინში, აქედან გასული კი არაფერი მიხაზავს.

— უძრაობამ მოიჯვა სარკინიგზო ქსელი, — დაგვემონშა მეორე, — დღეები დღეებს მისდევენ, პორიზონტზე კი არაფერი ჩანს. არადა ყოფილა დღეები, როცა ათასი ექსპრესის კივილი ერთბაშად არღვევდა სადგურის სიჩუმეს. რამოდენიმე საათის განმავლობაში განუწყვეტლივ შემოდოდნენ და გადიოდნენ მატარებლები, ჩამოდგომას ვერ ასწრებდნენ, ერთმანეთს ეჯახებოდნენ...

— პანიკას ნუ თესავთ! — ექტი მოგვიღერა პოლიციელმა.

— გვეღირსება აქედან გამგზავრები, უფროსო? — იკითხა ვილაცამ.

— თუ წესრიგს დავიცავთ და პატიოსნად ვიმშობებთ, მოსასულელიც მოვა, — იყო პასუხი.

— სხვათა შორის, — ისევ მომბრუნდა პირველი მგზავრი, — ჩემი მძახალის მძახალი სალაროებში მუშაობს. ცრუმორწმუნე ქალი არ გახლავთ და მაი-



ნე ხეყრა, რომ ამოდ არ ყიდის ბილეთებს, და წარმოიდგინეთ, ეს რწმენა საოცრად უმსუბუქებს ცხოვრებას, მიუხედავად იმისა, რომ არ მართლდება იგი.

— გვატყუებენ! — წამოიძახა ვილაცამ, — ბილეთების ფული დაგვიბრუნეთ!

ამ შეძახილმა დენთივით იფეთქა მოთმენლობით შეპყრობილ ბრბოში. აბორგდა, აზვირთდა სადგურის ცოცხალი ხანილი, მიანყდა ჯებირებს. აგორდა ბედის მძივებელთა ტალღა. ცა შესძრა ხალხის გულიდან ამოხეთქილმა ყვირილმა.

— რა გაყვირებთ, რა ხდება! — სადგურის აივანზე პრეზიდენტი გადმოგდა.

— როდის ჩამოდგება მატარებელი?

— აი მატარებელი! — პრეზიდენტმა თითი გაიშვირა წინ.

ხალხი ერთი კაცივით შემობრუნდა. გოცების შეძახილმა გადაურბინა ბაქანს. ახლად გარეცხილი, ფანჯრებმოელვარე მატარებელი მზის სხივთა ძაფებზე ეყიდა! — საიდან, როდის? — გაისმა აქა-იქ.

— განა რამე დაუდგება ხალხის აგორებულ ნებას წინ?! — პათეტიურად შესძახა პრეზიდენტმა.

ამის შემდეგ ისეთი არეულობა დაიწყო, სასწაულს უნდა მიეანერო ასეღას თუ მოვახერხებ და ადგილს ვიპოვნი. ამ გაუშმაკებულ ხალხს ვერც ჭკუით ვაჯობებ, ვერც მოხერხებით. ისეთი რა უნდა მოვიფიქრო, სხვაც რომ ვერ მიხედვს? ამაში აზროვნების ხარვეზი! აზრი, რომელიც გწმინდება, მარტო უნე არ გკუთვინის და დაზღვეული არა ხარ კონტრმეტევისგან! სულ სხვაა ის, რაც უცებ, ფიქრის გარეშე გამოგეცხადება და გონებას ვაგინათებს! ის მხოლოდ შენია, სხვა ვერ შეეხება მას! ვერაიენ მიხვდება, რომ შეუძლებელია მატარებელში მოხვედრა მხოლოდ აზროვნებით, მსხვერპლის გაღების გარეშე! მიზანს განსჯით კი არ უნდა მიუახლოვდე; საკუთარი თავი უნდა შესწირო! მაშინ ის უკვე აღარ იქნება საერთო მიზანი! ამიტომ, როცა ჩამომადგეს ვატონის კიბიდან, როდესაც შემოპირეს ზარს და დაიძრა მატარებელი, ჩემი ორეული გაქანდა და ჩაუვარდა ვაგონს ბორბლებში! სისხლმა გამოასხა ლიანდაგიდან! სისხლის ნაკადმა უკუაქცია ხალხის შეძრწუნებული ტალღა! სამინელი ტკივილისგან დამებინდა გონება და გრძნობაზე რომ მოვადი, უკვე ვაგონში ვიჯექი, ფანჯარასთან.

ვაგონში ჩემს მეტი არაიენ იყო. ფანჯარაში მომწყვედილი ქალაქი უკან-უკან წავიდა. ფარდობითობას აყოლილი, მე კი არ ეტოვებდი ქალაქს, ის გამიბრბოდა ხელიდან. ვილაცამ წინადაგი გამოაცალა

მას, დერძი დაუკარგა. ერთბაშად წაფრწინდა სურდა ის ჩემს თვალში, მაგრამ იქნებ ჩემი ბრალი იყო ეს? იქნებ ქალაქმა კი არ დაკარგა სახე, არამედ რალაცა დაირღვა თვითონ ჩემში, ჩემს განწყობაში? უსამველო გაჭირვებამ დამაყენა კომერციის გზაზე, მაგრამ ეს გამოუვალი მდგომარეობაც ხომ ჩემი შექმნილია? ეს გახლდათ სასჯელი იმ დანაშაულის გამო, რომელსაც ვერ მიუდგებოდა ვერცერთი სამოქალაქო კოდექსი! გულგრილობა, სიმზდალე, ქედმაღლობა, — ათასი სახელი ერქვა ამ დანაშაულს...

ამიტომ მე არ ვიყავი მზად თავგანწირვისთვის. მამუეა კი არ ემსხვერპლა აქ მოხვედრას, ჩემი ორეული ძალით ჩაუგდეს მატარებელს ბორბლებში. გამგეობამ უბრალოდ თავიდან მოიშორა საშიში პერსონაჟი, ვინც თავისი მოუსვენრობით და ბედთან შეურიგებლობით მახსენებდა, რომ არ ვიყავი მე მხოლოდ საშოვარს დახარბებული პირი.

ასეთი ფიქრის შემდეგ ნათელი გახდა; მოჩვენებითია ვაგონის სიცარიელე, რადგან მატარებელი არ არის ჩემი თავგანწირვის შედეგი და ჩემთან ერთად სხვებსაც მიაქანებს აქედან იქით, სასონარკვეითად იმედისაყენ. მოვიხიდე. სუნთქვა ჭირდა ხალხით გაჭედილ ვაგონში. ერთ ადგილზე ორორი, სამ-სამი კაცი იჯდა. ზოგი წეროსავით ცალ ფეხზე იდგა. სხვები იატაკს მონყევტილინი, პაერში ეკიდნენ! ლუალაძე და ანკაიანი ისე მიტექდნენ, თითქოს ვერ მხვდავდნენ ან ვერ მცნობდნენ. ისინი მეთვალყურეებად მომყევბოდნენ, რადგან მე არ გახლდით კომერცისთვის სანდო პირი. გამგეობა ისედაც ეჭვის თვლით უყურებდა ჩემს ნარმომადგენლობას საერთაშორისო ბაზარზე და მხოლოდ ხანგრძლივი ბჭობის შემდეგ დათანხმდა ჩემს კანდიდატურას.

გამგეობამ ძლივს მანდო "მეგობრობის ტრაქტატიც", რომელიც ცენტრალურ კომერციულ სტრუქტურასთან უნდა დაგვედო. ტრაქტატის ძალით, ჩემი ხელნაწერი ორი, ცენტრალური და დაქვემდებარებული ფირმის საერთო საკუთრებად ცხადდებოდა. ფორმალურად ისევ მე ვიყავი ნაწარმოების ავტორი, რეალურად კი მთელი ძალაუფლება კომერსანტების ხელში გადადიოდა. ცენტრთან შეთანხმების გარეშე ახალს ვერაფერს მიეუშატებდი ტექსტს.

ტრაქტატის ავტორმა, ბატონმა არკადიმ მიავნო გამოხატვის მოხერხებულ ფორმას. მეგობრობის ტრაქტატი ცხადად არაფერს ამბობდა, ფარულად კი



ყველაფერს გულისხმობდა. ასეთი ფორმა სხვადასხვა ქმედებასთან კონტექსტში სხვადასხვანაირად უღერდა. ტრაქტატი თავისთავად არ ზღუდავდა და არ ავლენებულბდა მხარეებს ერთმანეთის მიმართ, მაგრამ წარმატების ან წარუმატებლობის შემთხვევაში, უმაღლეს დონეზე თვისი რომელიმე ქვეტექსტით — გამარჯვებულს ამართლებდა და დამარცხებულს ასამართლებდა. ტრაქტატი იწყებოდა ოდებით; ავტორი ხოტბას ასხამდა ცენტრალურ კომერციულ სტრუქტურას, ხაზს უსვამდა მის შუამანიშნს, სამართლიანობას, ჩაგრულთა მიმართ თანაგრძობობას. ამის შემდეგ ავტორი იწყებდა თავის ქებას, აქებდა საკუთარ გამგეობას და მხოლოდ ბოლოს მოდიოდა ძირითადი ტექსტი — რამოდენიმე ზოგადი ხასიათის სტრიქონი:

„ბატონო ჩემო! გთავაზობთ იმას, რის შესახებაც მოლაპარაკება უკვე გაემართეთ და რაც მშვენივრად მოგესხენებათ, რა შეიძლება აღმოჩნდეს. არ ვიციწყებთ იმ საშინოობასაც, მუდამ რომ თან გედევს და რასაც მხოლოდ მტკიცე კავშირით შეიძლება ავარდილოთ თავი. ნულა გავამწვავებთ იმას, რაც ჩვენს შორის მოხდა და რაშიც არცერთ ჩვენთაგანს არ უნდა მიუძღოდეს ბრალი. სჯობს ვალიაოთ და მოვიწინაოთ უნებური ცოდვა, ფერი ვიცვალოთ და ახალი რწმენით წარემართოთ ის, რასაც ჩვენს გარდა სხვა ვერავინ წარმართავს.

გაუმარჯოს სეპარატიული მხარეთა სოლიდარობას და კომერციულ სტრუქტურათა ინტეგრაციას! გაუმარჯოს იმ სულიერ ერთობას, შეუძლებელს რომ შეგვაძლებინებს და ჩვენს კულტმასობრივ ოცნებას სინამდვილედ აქცევს! ჩვენ და ისევ ჩვენ უნდა განვახორციელოთ ის, რასაც თქვენ და არა მხოლოდ თქვენ ასე მოუთმენლად ელოდებით ჩვენგან!”

— ვერაფერი გავივტე! — თავი მოვიფხანე.

— არც არის საჭირო, — მომბრუნდა არკადი, — ტრაქტატი და ის, რაც ტრაქტატის ძალით ხელიდან ხელში გადადის, ათასნაირად უნდა იყოს შენიღბული და დაცული.

მატარებელმა ამ დროს მკვეთრად უმატა სვლას, თავი მიფარტყი კედელს და ჩემს ფიქრებს სულ სხვა მიმართულება მიეცა. ნუთუ დაიღუპა მამუკა? ნუთუ ცხადად ვიხილე, როგორ გაკვეთეს

ბორბლებმა მისი სხეული? თუ ეს ასეა, რატომ ვერ მომტყეს ბოლომდე? საიდან შემომჩრა ნინაალმდეგობის ძალა? ჩაცვეკერი ტრაქტატს და ვგრძნობ, ვერ კიდევ მაქვს უნარი წინ აღუდგე მის სტრიქონებს.

— ტრაქტატს ხელს არ მოვანერ! — განაცხადა და ვიდრე არკადი მაჯაში მწვებოდა, ფურცელი გადავხვიე.

— რას ნიშნავს ეს! — დამიღრიალა ღვალაქემ.

— ეს ნიშნავს, რომ ცოცხალია მამუკა, — არკადიმ რეკოლევერი იძრო, ფანჯარაში თავი გაყო და სახურავზე აცოცება დაიწყო.

სახურავზე ვერ ნაბიჯების ხმა გაისმა. შემდეგ საშინელი ბრაზბარუხი ატყდა. გასროლა ერთი, მეორე... მამუკა სახურავიდან ფანჯარაში გადმოკეცა, ლაინდაგისპირა ბუჩქებში ჩავარდა. წამით მომიდუნდა ნება, მიუძღურებული სკამზე მივეგდე, მაგრამ ისევ წამოვდექი, ძარღვებში ისევ ჩამელვარა სისხლი, როცა დავინახე, ბუჩქიდან როგორ აღსდგა ის და როგორ შემოახტა მატარებლის ხელიკივით მოქნიულ კუდას.

— ვერ ჩავაძალე! — ვაგონში არკადი შემოვიდა, — შენამდე მაინც არ მივუშვებ!

კარი გადაკეტა, შავი სათვალე გაიკეთა და ფანჯარასთან დაიკავა ადგილი.

— აქეთიქეთ ნუ იყურები, — ხელი ნამკრა, — ტრაქტატზე ფიქრე.

დღე დღეს მისდევდა, მატარებელი თითქმის შეუსვენებლივ მიქროდა. მე კი ვერა და ვერ მოვიკრიფე გონების ძალა. არადა ასე მზეგრაგანტული, ფიქვანდარღვეული, ვერაფრით ვერ მივიყვანდი მატარებელს ბოლომდე. გონების მობილიზაციის გარეშე ვერ ვმართავდი მას. არც მარტოობისთვის მყოფნიდა ძალა, ამიტომ ჩემი ვაგონი წავსე იყო ხალხით. ისიც კი არ შემეძლო, ამ სავეუბიდან რაღაც ერთიანი და მიზანმიმართული შემექმნა. ყველა თავისთვის იჯდა რა თავისას ფიქრობდა.

მატარებლის გარეთ კი ჩემი განწყობილების მიხედვით იცვლებოდნენ ხედვები. ამიტანა სიბრაზე, მღელვარედ წამოიშლებდა ფიქრი და მაშინვე ლალად გაშლილი ველი ბორცვებად, მთებად იჭმუჭნებოდა. ჩემსავით გაცოფებული მდინარე ეხეთქებოდა კლდეებს. შემდეგ ჩაცხრებოდა ფიქრი და მდინარეც ანელებდა სვლას, სარკვესავით ირეკლავდა ღრუბლებშემოგლეჯილ ცას.

— ეი, მანსტრო! — ღვალაქის ხმამ მომწყვტა ფანჯარას, — შენი ნახვა სურთ.



მოეტრიალდი. ჩემს წინ მირიანი და ლაურა იდგნენ. მირიანს "საბედნიეროში" ნაყიდი პიჯაკი მუხლებამდე წვედებოდა.

— ახლა დეჟემნილი ოჯახია. ეგებ ადგილი შეურჩიო? დოლარებით გადაგვიხდიან, — დამელრიჯა ლვალაძე.

პასუხს არც დალოდებია, გადამაბიჯა, ჩანთიდან საქალაქე ამოიღო, დახარისხებული რომანი გადმოიღო და ფურცელ-ფურცელ დაუნყო ქაქკა.

ერთ-ერთ გვერდზე შეჩერდა და ფურცელი გაუნოდა ცოლ-ქმარს.

— დენდროპარკი ვანყობთ?

დენდროპარკის ხსენებაზე ლაურა წამოიწოდა, მირიანმა ფერი დაკარგა, ნაბიჯი გადმოდგა და ლვალაძე ერთი დარტყმით ძირს დასცა. არკადი მაშინვე წამოხტა და მირიანს დაეძგერა. დიდახანს ჭიდაობდნენ. იჭაურობა მილენ-მოლენეს. ამასობაში ლვალაძემ დრო იხელთა და მირიანს კეფაში რეკოლვერის ტარი ჩასცხო. მირიანი დაეცა. არკადიმ "საბედნიეროში" შექმნილი პიჯაკი გახადა. ლვალაძემ ფანჯარა ჩამოგლიჯა და ჩვენი მრავალსერიანი პერსონაჟი მატარებლიდან პირდაპირ მდინარეში ჩააგდეს! ლაურამ შეჰკივლა და სახეზე ხელი აიფარა. არკადიმ თმაზე ჩამოუსვა ხელი, აქეთიწინებული ქალი გულში ჩაიკრა, შემდეგ ვაგონის ბნელ კუთხეში შეყუჟულ მგზავრებს შეხედა და ერთ-ერთი თითით გამოიხმო.

— მე? — იკითხა ვალერიმ და ნაბიჯი გადმოდგა.

— დიახ, ბატონო! შენ არ ნებეირობდი დენდროპარკში ლაურასთან ერთად?

— ფული რომ არა მაქვს?

— აი, ფული! — ლვალაძემ "საბედნიეროს" პიჯაკიდან დოლარების დასტა ამოიღო, — ნახევარი შენია, ჩვეთვალთ, რომ შენ მოგყიდეთ ის ფრაგმენტი და ლაურაც შენ გეკუთვნის!

არკადიმ ვალერიის მირიანის პიჯაკი ჩააცვა. ლვალაძემ მორცხვად თავდახრილი ლაურა მიჰგვარა. არკადიმ თერმოსიდან არაყი ჩამოსახა.

— გაუმარჯოს ახალ, ინტერნაციონალურ ოჯახს! ბედნიერი იყოს თქვენი ფეხი დენდროპარკში! იხარეთ, იმრავლეთ, რომ მთელ საკონფლიქტო ზონას მოედოთ! დაე ერთა თანამეგობრობის პრობლემა ლოგინში გადაწყდეს!

ქაქა გადახუხა და ქალ-ვაჟს ხელი ჰკრა. ისინიც ადგილს მონყდნენ და ღია ფანჯრიდან პირდაპირ ყვავილებით მოწითულ ბაღში გადახტნენ.

— ესეც პირველი გარიგება! — ხელი მოიფშენიდა ლვალაძემ.

ამის შემდეგ შუილით წამოვიდა და თავს დამაცხრა მყიდველთა ტალღა. მატარებელი თავის ნიაღში წარმოშობდა ახალ სახეებს. უმრავლესობა კომერსანტი აღმოჩნდა. ნაცადი ვაჭრები ჩემსკენ მოიხიდა აქტუალურ თემაზე სპეკულაციურ იდეათა ყიდვა-გაყიდვის შესაძლებლობამ. მათ სახდომიანი სახეები და ოცნებით სავსე თვალები ჰქონდათ. მიმტკიცებდნენ, რომ მოგებას კი არ სდევდნენ, ჩემსავით არაფერს ეძებდნენ და ბიზნესი მათი უჯარი იყო მხოლოდ. იყვნენ გულუბრყვილოებიც, ვინც პირდაპირ საქმეზე გადადიოდა, ან თხოვნის ბარათით მოდიოდა ჩვენივე გამგეობიდან. ზოგი დირექტორის ნათესავი აღმოჩნდა, ზოგიც — გამგეობის წევრის ნაცნობი. მაინც ვერ გამტყუხეს. ანოტაციები კი შევთავაზე ყველას, მაგრამ ის, რაც სექმისა და ფაბულის მიღმა იყო, რასაც ფიქტურობდი და გულით ვატარებდი, არავის გაეუზიხილე.

მატარებელი თანდათან შედიოდა დიდი ქალაქის მიზიდულობის ველში და ქორვაჭრებმაც ყოველი მხრიდან გააძლიერეს შეტევა. არკადი და ლვალაძე ვითომ მიცვადნენ, სინამდვილეში კი სტრიქონ-სტორიქონ მპარავდნენ ტექსტს. ასეც ველოდი! ყველანი ერთი იყვნენ! მათ მოჩვენებით არსებობას სული არ ედგა, რადგან სჯეროდათ, რომ შეძლებდნენ რაიმეს გაცემას ან შეტენას უშტეკინულად, სულიერ ძალისხმევის და თავგანწირვის გარეშე.

ამ ცრურწმენას შეესაბამებოდა ვარკვეული ენობრივი ფორმა და ჩემი შეცდომაც ეს ვახდლდა! მე ვებრძოდი სიკვდილს, ვებრძოდი ალბ-მიცემობის სიტუაციას და არ ვებრძოდი ენას, რომელიც შეადგენდა ამ სიტუაციის არსებობის საფუძველს. რეფორმები ენაში აღმოჩნდა საქრო და არ ენის გარეთ. ამ აზრით, ყველაფერი, რაც ჩემს ირგვლივ ხდებოდა, უნდა შემეგრძნო და დამენახა როგორც სიტყვა და არაფერი სიტყვის გარდა.

სიტყვის რეფორმა კი იმასაც მოხვდა, დასრულებულიყო ერთი სიტუაციიდან მეორეში გარდასვლი მდგომარეობა, შეუნყვეტელი რიტმის, მოძრაობის და რხევის შეგრძნება, რომელსაც სიტყვა "მატარებელი" მოვარგე.

ახალი იდეით ანთებულმა, მივატოვე ბარგი, გავიარე ვაჭრებით სავსე ვაგონი და დერეფნის ბოლოს, ხის ჩარჩოში ჩასმულ პატარა კარს ჩავეჭიდე.

— ტულუტი არ მუშაობს! — გვერდზე კუპედან თავი გამოყო კონდუქტორმა,

ყურადღება რომ არ მივაქციე, სასტენს ჩაბერა. მომდევნო კარიდან რკინიგზელები გამოცვივდნენ, მაგრამ მე უკვე მოვასწარი სახელურის გადატრიალება და კარის შეღება.

ბორბლების რახრახი შეწყდა. მატარებელი გაჩერდა.

უხვად გაიჩრადებულ სასტუმროში ამოეყავი თავი. დერეფანი ბოლომდე გავიარე და მარმარილოს დარბაზში შევედი. დარბაზის კუთხეში, ცერად ჩადგმულ მაგიდასთან კაცუნა იჯდა და ქალაღებს ავსებდა. დარბაზის მღვრიე, ფერად-ვიტრაჟებიანი შუშაბანდი ბალის ბუნდოვანი სინნვანით იყო სავსე. მაგიდას მივეუხალოვდი და ნისლით მოცულ ფანჯარაში გავიხედე.

მოსკოვს უჩინ-მაჩინის ქუდი ეხურა! არც იყო გასაკვირი. ქალაქი, რომელიც რდევალაც გავითავისე და ჩემს გემოზე მოვირგე, დღეს ისე გამოუცხოვდა და დამპირდა, მხოლოდ სასტუმროს სახით არსებობდა ჩემთვის...

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! — აღმინისტრატორის თავაზიანი ღიმილით შემომეგება კაცუნა.

— ბარგი რომ ვაგონში დამრჩა? — ვკითხე.

— ბარგი მეორე სართულზე, ნომერში გელოდებთ, — ვასაღები გამომიწოდა, — ხელნაწერი თან სდევს ავტორი.

ხალჩიებით მოფენილი კიბე ავიარე და ორმოცდამეცამეტე კარი შევაღე. უზარმაზარ სანოლზე ჩემი ხელნაწერი ანათებდა! ფურცლებზე მიაი ინება ისე შემომცქეროდა, თითქოს კაცი კი არა, აზარათბა ვიყავი. მივეუხალოვდი თუ არა, ზურგი შემაქცია.

— დამიბრუნდი, — ჩაეჭურჩულე და ხელი მოხვიე. თითებმა მის თხელ, გამჭვირვალე სხეულში, როგორც სიცივილეში ისე გაატანეს.

— ჯერჯერობით, ეს ვიზუალური ეფექტებით შექმნილი ლანდია, — შემოიხედა ოთახში კაცუნამ, — რეფორმებს რომ დაევითარებთ, ლანდიც ხორცს შეისხამს.

კაცუნამ სინათლე აანთო. მიაა გაჭრა.

უცებ სამინელი ბრაზუნი ატყდა! შეირყა, შეზანზარდა, მთელი სასტუმრო! გაისმა სროლის ხმა. ვილაცყები შემოცვივდნენ შექირდილებით მოფენილ დარბაზში. მილენ-მოლენეს იჭაურობა. კედლიდან არეკილილა ტყვიამ ჯაჭვი განყვიტა. საოპერო ქალი მონყდა ქერს და იატაკის მოზაიკზე დაიფშენა. ნაბიჯების ხმა კიბეზეც გაისმა. გარეთ მინდოდა გაეარდნა, მაგრამ კაცუნამ გამაჩერა.

ისინი იყვნენ, სხვა ვინ, ჩემივენივენი ცოფებული არკადი და ლვალაძე როგრიგობით აღებდნენ ორად ჩამსკრივებულ ნომრებს, მე შეძებდნენ ინფორმაცია ჩემი გაუჩინარების, უფრო კი სივრცული გარღვევის შესახებ ელვის სისწრაფით მოედო საქმოსანთა წრეებს! ჩაიშალა დიდის აპზით მომზადებული კომერციული ოპერაცია! რომელი ფორმა, რომელი თეატრი, რომელი რეჟისორი თუ მსახიობი მოითმენდა ამას? ლვალაძე თანდათან უახლოვდებოდა ჩემს კარს. ვიდექი და შიშით ვერ ვებედავდი განძრევას, სუნთქვას. "მოიცა!" ჩემს კარებთან შეჩერდა. — ორმოცდამეცამეტი ნომერია, მის ასაკს ემთხვევა!

კარი ნისლით შემოგლიჯა. კინალამ არ შემასკდა! უკან დახევა მინდოდა და უცერად მივხედი; კომერსანტივი ვერ მხედავდნენ ეს გახლდათ გასაოცარი ფაქტი, რომელიც მანამდე მოხდა, სანამ მოვასწრებდი მის ახსნას! გასაოცარი იყო, რომ ლვალაძე ამკარად ვერ მხედავდა, თუმცა, შემეჯახა და გაოცებული უკან გადავიარდა. ასეთი რამ მართლაც მოხდა და სასწრაფოდ ლოგიკა უნდა შემეტანა გაუჩინარების უცერად ფაქტი.

ნუთუ შექჩრდილთა თამაშმა მოახდინა ასეთი ეფექტი? სინათლე მართლაც ციმიცმებდა მიმქრალ ნათურაში, მაგრამ ეს ნათელ-ბნელი ცვალებადობა არ იყო ჩემთვის უჩინმაჩინის ქუდი, არა! სხვა რალაც ხდებოდა აქ! ჯერჯერობით არც მე ვიცოდი რა არკადი და ლვალაძე შეძებრებოვით დაძრწოდნენ, აყირავებდნენ უჯრებს, ჩზრედნენ კარადებს, მე კი შუა ოთახში ვიდექი და ვერავინ აღიქვამდა ჩემს ყოფნას. რაშია საქმე? ღმერთო გამაგებინე რა ხდება? თუკი მატარებლიდან გასვლის იდეამ მეზოვით დამკრა და მაშინვე გამომენვია ჩემი ნაბიჯიც, აქ უკვე მიზეზ-შედეგობრიობა შებრუნდა: ჯერ მოხდა გაუჩინარების ფაქტი და ახლა უნდა შემექმნა მისი გამომწვევი მიზეზი!

— ა ბატონო, შენი რეფორმების პირველი ნაბიჯი, — ჩამწურწულა კაცუნამ, — ისე უნდა ათამაშო ფრანა, უუღლმა შეტრიალდეს მიზნობრიობის ჯაჭვი.

— რა საქორა ასეთი გაუკულმართება? — მივუბრუნდი მას.

— საქორაო, — მითხრა, — მიზეზობრიობა ბუნების კანონია. შენ კი აქ იმ სტიქიაში ტრიალეხ, რომლისთვისაც ბუნება მხოლოდ ფარდას წარმოადგენს.

ადგილი არ გეგონოთ ასეთი რეფორმის ჩატარება. მწელია თუნდაც იმიტომ, რომ ის ვინც ამას აკეთებს, თავად ეკუთვნის იმ

სფეროს, რომლის წინააღმდეგ წარმართავს თავის მცდელობას. ამ სფეროში არსებობენ ვარკვეული საგნები, სახეები, არსებობს მოძრაობა: წინსვლა, უკან დახვევა, ადგილზე ტრიალი, მაგრამ არ არსებობს ის, რაც ახლა მოხდა! შედეგმა გადაასწრო მიზეზს! ჯერ მოხდა გაუჩინარება და შემდეგ ამ უჩინრად ყოფნის მიზეზი უნდა გაჩნდეს!

— შეუძლებელია! — ღრიალებს ღვალაძე, — აქ უნდა იყოს!

— საპირფარეოში არ გვიძებნია! — სახელურს ატრიალებს არკადი.

— დაახებე, აზრი არა აქვს, აქ სხვა რამეა.

იძაბება. ფიქრობს... მისი გონება ვერ სწვდება სასწაულს. მას წარმოუდგენლად მიაჩნია, რაიმე უმიზეზოდ ხდებოდა.

მისთვის მიუწოდებელი, ჩემთვის მისაწვდომია მე ხომ არაფრის შესახებ ვწერ და მაშასადამე სათაურშივე ეგულისხმობ, რომ შეიძლება მოხდეს ისეთი რამ, რასაც არაფერი უსწრებს წინ. ჩემს გაუჩინარებას არაფერი აქვს მიზეზად. სამაგიეროდ, აქვს მიზანი: მაგრობიონის, შემახსენოს, რომ არ ვეკუთვნი მხოლოდ იმ სამყაროს, სადაც ბუნების კანონები მოქმედებენ, რომ გაფანტული ვარ იმ ფარულ დინებებში, რომლებიც სასწაულდებრივად არღვევენ სივრცეს და ნაღმა უკუღმა ათამაშებენ დროს.

— ისევ გამეძევი? — ოთახიდან გამოსულს მომზავის ღვალაძე, — ერთი გამაგებინა, სად დამემალე, როდის დამისხლტი?

ოთხთონაც არ ვიცი. ვიცი მხოლოდ, რომ მოხდა სასწაული, რომ გაირღვა ბუნების ფარდა და წამით გამოჩნდა ის, რასაც არაფერს ვეძახი!

კიბზე ჩავედი, მაგრამ ამ მალაღმარდოვანი სასტუმროს დერეფანში აღარ გავსულვარ, დარბაზის საპირისპირო მხარეს გამიჩნია გულმა. ერთი სართული ჩავიარე, წინ წავედი, პატარა, აბლაბუდებით მოფენილი კარი შევაღე და უცებ ღრმად ჩავარდნილი აუდიტორიის ქანდარაზე აღმოვიჩნდი.

— შემოვიდა! — დაიყვირა კათედრაზე ამხედრებულმა კაცუნამ.

მთელი აუდიტორია ერთი კაცივით ხუნამოიჭრა. ატყდა ტაში.

— მოგილოცავთ, ძმებო, რეფორმების დაწყებას! გვესტუმრა ავტორი!

თაყვანისმცემლებმა ჩამავლეს ხელები, ტყესავით აღმართულ ხელისგულებზე ჩაესრიალდი და ქვემოთ, კათედრისკენ ჩავვორდი.

ქუამხიარულ საზოგადოებაში მოვხვდი. სახები ზედმეტად ვასიხიოსნებული მეჩვენა. ახეთ მხურვალე ტაშსაც არ ვიშახლურებდი.

— გამაგებინე, რა დავაშავე? — ვაუღლიმე კაცუნას.

— რა დავაშავე? — ღიმილზე ღიმილით მიპასუხა.

— ვაშა მის გაბედულებას! ვაშა და კიდევ ვაშა! — წინა რიგიდან წამოხტა თხელნეწრა კაცი. ახლალა შეენიშნე, რომ მას და ყველა იქ მსხდომსაც სხვადასხვა ფერის, ნითელ-მწვანე თვალები ჰქონდა.

— ავტორი ახალი, გაუკვალავი გზით მოვიდა ჩვეთან. პასაჟები, რომლებიც მან განახორციელა კომერციული სტრუქტურებიდან ჩვენი ორდენისკენ, ნამდვილი გადატრიალებაა სიტყვიერ ხელოვნებაში!

— ნუ აზვიადებ, — წამოიხტა კაცუნას ნითური კაცი, საიდანაღე რომ შეცნობოდა, — ხერხები, რომლითაც მან გადასვლები გააკეთა მინდვრიდან სადგურში, — სადგურიდან — მატარებელში, მატარებლიდან — ჩვენს სასტუმროში, საკმაოდ გაცვეთილია.

— ვახტანგ, გაჩერდი! — შეუღრინა კაცუნამ, — შურიანი ნუ ხარ!

შეპასუხება უნდოდა ვახტანგს, მაგრამ ვინ დააცალა! ტაშის ცემამ შთანთქა მისი ხრინიანი ხმა. ვახტანგი აშაოდ გაფართხალდა და ხალხის ტალღაში ჩაიძირა.

— იმდენი არაფერი გამოიკეთებია, ასეთი ამბავი ატყდეს, — მივუბრუნდი კაცუნას.

— გეთანხმები, — თავი დამიჭნია, — თუმცა, ვალიარებ: ბევრი საინტერესო რამ შეიქმნა შენი თავგადასავლის გარშემო. ერთი რამ უნდა იცოდე. ჩვენი ორდენი არ უპირისპირდება იმას, რასაც არაფერს უწოდებ და ნათელ ძალასთან ერთად ებრძვის საქონელთაბრუნვას, რომელშიც იფანტება და ქრება სული.

— ყველგან ზომიერებაა საჭირო.

— ყველგან, ჩვენი ორდენის გარდა. ჩვენ ხომ წყვედას ვეკუთვნი, რომელსაც არა აქვს საზღვარი.

— გაგვაგონეთ რას ლაპარაკობთ! — პარტერიდან ამოგვძახა ვახტანგმა.

— აღარ შემიძლია! — ყვიროლით აღმომხდა, — სული მეხუთება ამ კედლებში! ჯერ მატარებელი, ახლა სასტუმრო! რა ხდება! ღმერთო, რა ხდება! ჯერ ყველაფერი აკრძალეს, მერე ყველაფრის ნება დავვრთეს, თავისუფლება კი მანაც არ მოდის! გალიაა ჩადგმული ღრმად, სულში უცებ ქვადება ლალად წამოსული სიტყვა! მას გავეძევი, ვინც გამოიჩინა თვალთ მიმზერდა, მაგრამ თქვენთანაც

ვერ გაეძღვებ! თქვენ ყველაფერს უარყოფთ! ოღონდ შეცვალოთ, ოღონდ დაანგრიოთ! მე კი რეფორმები იმისთვის მინდა, გზა მივცე გულში ჩახვეულ სათქმელს! ეს კედლები კი აღარ შემოიღლია, მომამშორეთ!

— შენ ეს კედელი გჯონია? — კაცუნა მიუახლოვდა კედელს, ფარდასავით გადასწია. ერთბაშად შემოიჭრა ფარდაახდელ დარბაზში ყველითა ზვირთებით მოთამაშე ბალი! მწვანე ნიღვარმა შთანთქა კათედრა. მერხებს მივდ-მოვდენენ ზვიარადები!

ჩვენ ახლა ბალის ბილიკზე მივაბიჯებდით. ბალი თანდათან კარგავდა კონტურებს. ბურქნარი შეერია თანაბრად შეკრუქულ განონს. სადა ვარ, ღმერთო, სადა ვარ, ისევ და ისევ ვეკითხები საკუთარ თავს. ირგვლივ კი დაბურული ტყეა. აქეთ-იქიდან წკეპლებს გვირტყამენ საშემოდგომოდ გაღვივებული ბურქები. კაცუნა ნინ მიდის. კაცუნაა ეს თუ ვახტანგი, თუ მამუკა? ვიღაცა მინევს მეგზურობას და ეს ვიღაცა მაშინ შეიძენს გარკვეულ სახესა და სახელს, უკან როცა მოიხედავს და შემომიბრუნდება. ვიძახები. მინდა ისეთი რამ ვკითხო, ამ შეკითხვაზე გაცემულმა პასუხმა აპოვნინოს მას საკუთარი თავი და მეც გამარკვლოს ვინ მიმიძღვის ნინ. არადა ჩემს ხელთაა მისი ბედი, რადგან მე ვარ ეს მუქლურჯი, შემოღამების ურჩხულებით საცხე ტყე! მე ვარ სისხლი მცურავი მზე, პირგამეხებული ცა, ბრაზმორეული მთები! ნამიერადაა შექმნილი ეს სურათი, არის და უკვე აღარც არის! ოდნავ ჩაიძირა მზე, ოდნავ გადათამაშდნენ სხივები და სახე ეცვალათ ურჩხულებს, სხვა განწყობილებამ მოიცვა ტყე. დამშვიდდნენ, ჩაცხრნენ უკიდურესად გამწვანებული ფერები, ტალღებით აგორებულმა მთებმა მხრებზე მოიგდეს ცა.

ამ განწყობიდან გამომდინარე, ახლა უკვე ვიცოდი ვინ მიმიძღოდა ნინ. ჩემი ორეული იყო ის, უკიდურესად მწვანე და მუქ ფერებში რომ ხედავდა არსებულს, ხმაღს ხმალით ებრძოდა, ბოროტებას ბოროტებით პასუხობდა, რადგან ვერ ხედავდა არაფერს, რომელიც გაიყვანდა ამ ბრძოლისა და შურისგებლობის მიღმა.

— მამუკა! — შევძახე, — მოიცადე.

შემოტრიალდა.

— მოგვადექენ, უნდა ვინჩაროთ! — მითხრა.

დაღამებამდე ფერდობზე ავდიოდით. ტყე გაშრებოდა. გზამ გაიყავა. უკვე მელარ ფარჩევი მთის კონტურს. წყვდიადმა გააერთიანა ცა და მინა. ამ ერთი-

ნობაში იმასაც ველარ ვარკვევდი, მივდიოდი, თუ მივფრინავდი; ტოტები ირჩეოდნენ თუ ქარი ათამაშებდა ღრუბლებმობატულ ფარდას.

ძალიან დავილაღე. საკუთარ თავში დაქექებამ დაძალა. ვერა და ვერ მოვძებნე მოძრაობის ერთი რიტმი. ხან ნამდევანუმ ვჩერდებოდი და ყოველ ნაბიჯს ვზომავდი, ხანაც მოვწყდებოდი ადგილს და მივფრინავდი ლაღად, უფიქროდ, სტრიქონიდან სტრიქონზე, გვერდიდან გვერდზე. დავებურდი მთასველულობაში და აქამდე ვერ გამოვიმუშავე ერთიანი სტილი. იქნებ სწორედ ეს არითმია, ეჭვი და მერყეობაა ჩემი სტილი? ეს აძლევს ჩემს მოძრაობას მრავალ ნახანჯსა და ელფერს?

მამუკა რახანია ჩამომშორდა. ის ამ სიმაღლეზე ვერ ამოვიდოდა და ამიტომ გვერდიდან უვლიდა მთას. მარტო ვიყავი. არცერთი პერსონაჟი არ აფერხებდა ჩემს აღმასვლას. მთვარე სანთელივით ჩამოიღვენთა ცაზე. მთვარემ შეამსუბუქა და გაანაზა ცა. შეამსუბუქა ჩემი ნაბიჯიც. გზა თავისით იკეცებოდა ფეხქვეშ. აღმართის ბოლოს კი თითქოს კარი იყო ღია და სინათლის ზღურბლზე სილუეტი იდგა. რაც უფრო ვუახლოვდებოდი მას, უკან იხვედა, მშორდებოდა ნათელ სიერცემი შემავალი კარიც. აღმართი დაშთავდა. კარი ახლა მთვარის სხივთა ძაფებზე ეკიდა. ამ სინათლეში იწვოდა და იფერფლებოდა აბრეშუმით ღამე! ცოტაც და მივწვდებოდი მთვარეს! ცაზე ჩამოვფენილი სანთელი უკვე ხელში მეჭირა! გაუყვარე მას ფიქრის უხილავი ძაფი, მოვდე ძაფს გულის ცეცხლი!

ჩემს ნინ მაიას სახე გამოიკვეთა! სხეული არ ჰქონდა მას! შოლოდ სახე და თეთრი, თვალისმომჭრელი ხელები, ყელზე რომ შემომხვია!

— ამოიყვანეთ მზე! გაანათეთ სცენა! — მომესმა კაკოს ჩახლუნჩილი ხმა.

ერთბაშად განათდა მიდამო და მე და მია ხალხით საცხე დარბაზში აღმოჩნდით.

## შესვენება

დასრულდა კიდევ ერთი ნაწილი და დამსწრე საზოგადოებას პაუზა გვინდა შემოგთავაზოთ. მოვენსრავდეთ და მოვემზადოთ შესამე მოქმედებისთვის, რომელიც ავტორმაც კი არა უწყის, როგორ გათამაშდება და რით დასრულდება.

ზარი დაირეკა. ფარდა მიიმედე დაიძრა და გახსნილი სცენის სიღრმიდან პაერმა



დაქროლა. მამუკამ თავი ნამოსნია. მზე პროფექტორივით სცემდა თვალბუნი. მას შემდეგ, რაც დამშორდა, გზა-კვალი აებნა და უღრანი ტყიდან მეტად უცნაურ გარემოში მოუღნია ვახვლა. ხეები ისევ ცას ეხვებოდნენ, მაგრამ თვით ცა იყო ზეციდან მორღვეული და ქილოფის რუხი ქსოვილივით ჩამოქნული. წყარო ისევ მოქუბდა კლდის გულიდან, მაგრამ კლდე აღმოჩნდა გამოფიტული, ფუტუროს! უკან, სივრცეში მდინარის ლურჯი ქსოვილი ლივლივებდა. რიყეზე ვგდო ძველი ფეხსაცმელი, ნილაბი, მოოქროვილი თმა. მთაზე შემოდგმული გამნათებელი აპარატურა განთიადის განწყობილებას ქმნიდა. ნაჭრის ჩიტები შუყის ტოტებზე ეკიდნენ. ქალაქის წერო სასრკეზე ტრიალებდა. მამუკამ გაიარა რიყე, მდინარის ქსოვილი გადასნია და ვალმა გაიხედა:

ვილაკებებმა გადარბინეს მინდვრის ბნელ კიდეზე. ფოთლებში შრიალი იყო ეს თუ შათი ჩურჩული? რამოდენიმე სილუეტი მოსწყდა ლანდებს და წინ ნამოვიდა.

სცენაზე გამოდიან კაკო, ისიდორე, ლვალაძე, არკადი, ცუცა დეიდა, იგულისხმება ჩემი აქ ყოფნაც.

კაკო: (დარბაზს მიმართავს) — შესანიშნავად ანეო ნარმოდგენა! ერთი ჩანაფიქრიდან მაროსავით გავშალეთ თემები, მივანიჭეთ შათ სიმძაფრე, გამოშსახველობა, შემდეგ დაკეცეთ მარაო და გაბნეული ხაზები ერთ კენაში შევკარით. კოლიზები გავლილია, კონფლიქტი — თითქმის მოგვარებული! ახლოვდება კვანძის გახსნა!

არკადი: — ჩემი მხრიდან დავამატებდი, რომ ჩვენი ნარმოდგენის ფარგლებში უღრხად საჭირო და სასარგებლო რამ მომნიფდა: ნარმოიშვა მეგობრობის ტრაქტატი. ტრაქტატი საშუალებას მოგვცემს ერთობლივად ვმართოთ ჩვენი ძნელად გასაგები ნაწარმოები, დავაზღვიოთ იგი შეცდომებისგან; დაუხეუნოთ, დაუქვემდებაროთ აბსოლუტურ ცენტრს.

— ძალა არა აქვს მაგ ტრაქტატს. ჩემი ხელმოწერა აკლია! — ვლარ მოვითმინე და დაფიქრე, — რად უნდა მეგობრობას ტრაქტატი!

— რას მიეძ-მოეძება, ამოავლივით ევ ენა! — ბრძანა არკადი.

ნამსვე დარბაზიდან სცენაზე რამოდენიმე კაცი ამოვარდა. ახალა მიეხვდი, რას ნარმოადგენდა ჩვენი მაყურებელი. დარბაზი სტატისტიკმა დაიკავეს, ვერადრით რომ ვერ შესძლეს ჩემი ყურადღების მიპყრობა და მძაფრ კოლიზებში შესვლა. რას ნარმოადგენდი, რომ ასეთი ბოლმა მოზღვავებოდა ამ

უსახურ მასაში! ორი სტატისტი მკლავებზე დამეკიდა, მესამე ნელზე შემომეხვია, მეოთხემ ყბაში მტაცა ხელი და პირი გამიხლიჩა, მეხუთემ დანა ნამოილო და ენაზე დამისვა...

ამითლიდა კიდევ ენას, რომ არ გამხსენებოდა, აქვე მამუკა იყო ჩასაფრებული. გამახსენდა თუ არა ეს, სროლაც გაისმა. ვახტანგმა დანა დააგდო და უკან ნაილო ნატყვიარი ხელი. მაშინვე ნამოვხტი, სტატისტი ჩამოვიფერებე და კუნთებისკენ გავექანი. ცუცა დეიდა პერანგში ჩამაფრინდა. ვერა და ვერ ჩამოვიცილე მისი აკიატებული სახე. ამ დროს მამუკამ სახელური გადმოწია და სცენა დაატრიალა. ცუცა დეიდა ნაპრალმა შთანთქა. საშინელი სისწრაფით ჩავუქროლე ფიცარნაგზე მდგომ რევისორს. შანორამა ევლის სისწრაფით იცვლება. ერთმანეთს შეეჯახნენ და გვერდზე გადაგორდნენ ცას მიბჯენილი მთები! დეკორაციებად ქცეული სოფელი ქვესკელი ჩაქანდა. მდინარე დაიჭმუჭნა, მიიკეც-მოიკეცა და ნობივით გადაგორდა უკან. სხივთა ძაფებზე დაკიდებული მატარებელი სადგურის გვირაბში შეძერა. დარბაზი შემობრუნდა, ბნელს შეერია. საშინელი სისწრაფით შევიჭერი სცენის მიღმა, სიბნელეში. მაშინვე მეცა შიში, მტვერნარევი შაერი, მომესმა ჭრიალი, სცენა მკვეთრად დამუხრუჭდა და გაქრდა.

თვალი როგორც იქნა შევაჩვიე სიბნელეს. ვილაკა მოსწყდა ჩრდილებს, მომიახლოვდა, შემეხს.

— ჩქარა! — ხმაზე მამუკა ვიცანი, — აქედან გაეაღწიოთ!

ძლივს მივიკვლევთ გზას კულისებში. უამრავი დეკორაცია გველობება წინ.

— აქეთ! — მოგვესმა ხმა და წინ სინათლე აელვარდა. სანთლის შუქზე კაცუნას სახე დავლანდე. არ ვიცი ჩრდილთა თამაშმა შექმნა ეფექტი, თუ ნამდვილი იერსახით გამოგვეცხადა! კაცუნას ყბა ჩამოუგრძელდა, თვალ-ნარბი შედა გამოეკვეთა, თავზე ორი პატარა ბორცვი გაუჩნდა, ბორცვებიდან რქები ამოეზარდა.

შიშმა დამირბინა ძარღვებში, უკან, სცენისკენ შევბრუნდი.

— საით! — მაჯაში მწედა, — იმათთან დაბრუნებას, ჩემთან ყოფნა გერჩივნოს!

რას ვეტიყდი, მართალი იყო. მამუკამ სანთელი ქვაზე დაამაგრა და რუკა გაშალა.

რუკაზე ჩემს მიერ გავლილი გზა იყო აღბეჭდილი: ბრძოლის ველი, მდინარე, სადგურში ხელიკივით შემძვრალი მატარებელი, სასოფლარი, ბაზრობის სივრცე, მკრთალად მოხატული მთა.

— ჩვენ ახლა აქ ვიმყოფებით, — კაცუნამ თავისი ბანჯგელიანი თითი რუკას დაადო.

— ეს რა მწვერვალია? — მკრთალად მონიმშულ მთაზე ვანიშნე.

— ეგ არაფერს აღნიშნავს, — მითხრა, — აბსტრაქტული მთაა. ნათელი, ამალღებული განწყობილების სიმბოლოს ქმნის. აბა, დავიძარო!

ბევრი ვიარეთ თუ ცოტა, ისევ ძველ მინდორზე გავედით. შუქი თითქმის ჩამქრალი იყო, ამიტომ ბუნებრივი შეფერილობა აღარ აცოცხლებდა მინდორს. აქაიქ, გადაგლეჯილი ბალახის საფარში შავი, ქუჩყიანი იატაკი მოჩანდა.

კაცუნამ ჩამოძინილი მდინარე გადასწია, სანთებელა აინთო და ხელის ცეცებით გააგრძელა გზა. დერეფანს მივაღექით. დერეფანთან კაკო გველოდა.

— აქეთ მობრძანდით, აქეთაა გასასვლელი! — გვირახა მუცხიძე.

მარჯვნივ და მარცხნივ საკრიშორო ოთახები ჩამსკრივდა. ერთ-ერთში შევიხედე. ქერა, შეჯიხიანი არსება "ზანჯლურს" ცეკვავდა.

— არკადი! — დაუყვირე.

— ხელს ნუ უშლი! — იდაყვი ნამკრა რეჟისორმა და კარი მოხურა.

— ბრძოლისთვის ემზადებით? — კითხე.

— როგორ გეკადრება! — შემოამანათა კბილები, — ჩვენს თეატრს ეს მხოლოდ კომერციისთვის სჭირდება. სამხედრო კონფლიქტი დღეს მომგებიანი თემაა და ჩვენც ძალ-ღონეს არ ვიშურებთ, რომ გვაშებით მოუფინოთ სცენა, სისხლის სუნი დაეატრივოს დარბაზში.

— არ დაუჯერო! — ჩამჩურჩულა კაცუნამ, — შენს წინააღმდეგ საომრად ემზადება, რომ ხელნაწერი წაგართვას.

ამასობაში დერეფანი გავიარეთ და კომპიუტერების ოთახს მივაღექით; კარზე ღორღინი იყო გაკრული: წინ, სრული გარდაქმნისაკენ!

— მობრძანდით, გასასვლელი აქეთაა, — კარი შევლო რეჟისორმა, — ვიდრე გახვალთ, მსახიობური გარდასახვის სისტემა მინდა გაჩვენოთ. სისტემა გასული საუკუნისაა, მაგრამ ჩვენ მას ახალი, კომპიუტერული ფლერადობა მივეცით! სასწაულია ეს კომპიუტერი! მიანჭდი პროგრამას, შეუშვებ ცდის პირს და "პრინტერიდან" სრულიად გარდაქმნილი გმირი გამოდის!

ყველანი ოთახში შევედით და კომპიუტერის ეკრანს მივუჯექით.

— გარდასახვის სისტემა სამი ნაწილი-სგან შედგება, — აგვიხსნა რეჟისორმა, — პირველი გახლავთ სტერილიზაციის სექცია: წარმოსახვის ეკრანზე მოხვედროლ მსახიობს თვალწინ გაუელვებს თავისი წარსული, შემდეგ კი მაგნიტური საშუალები ასუფთავებს მის მეხსიერებას; მისი ცხოვრებიდან რჩება და ფურცელზე ილექება ის ფრაგმენტები, რომლებიც შეესაბამებიან მსახიობის როლს.

— მეორე სექციამ, — გადავიდა კაკო შუა ნაწილზე, — მიმდინარეობს როლის სრული შეთვისება. აქ მსახიობი აღარ არსებობს, როგორც გარკვეული პიროვნება. იგი წარმოადგენს ერთი მდგომარეობიდან მეორეში გარდამავალ პროცესს, ეს პროცესი წინასწარ დაპროგრამებული და გათვლილია.

— მესამე სექტორს შეიძლება ვუნოდით თავდაჯერების სექტორი. მოგვხსენებათ, ჩვენი დევიზია თავი დავიჭიროთ ისე, თითქოს წარმოდგენას კი არ შევადგენთ, არამედ სინამდვილეს წარმოვადგენთ. ამიტომ სტერილიზაციის მაგნიტი მესამე განყოფილებაშიც ვვჭირდება. ახალ მდგომარეობაში გადასულმა მსახიობმა უნდა დაიფინოს არა მხოლოდ საკუთარი თავი, არამედ ისიც, რომ მან გაიარა გარდასახვის პროცესი და იცვალა ფერი. თავის ახალ სახეს მან უნდა შეხედოს არა როგორც შექმნილს, არამედ როგორც ნამდვილად არსებულს. ამიტომ სტერილიზატორის გარდა აქ მოქმედებენ დარწმუნების იდეოლოგიური მექანიზმებიც. დღეს ეს მექანიზმები იმდენად დახვეწილი და მოქნილია, რომ შეუძლებელია მათი თვალთ დანახვა. ჩვენ ეხედავთ მხოლოდ საბოლოო შედეგს, — თავის რეალობაში სრულიად დაჯერებულ პერსონაჟს, რომელსაც სცენა და ცხოვრება ერთი სინამდვილე ჰგონია.

— სიგიჟეა, — ჩაილაპარაკე.

— არა გჯერა? — მომიბრუნდა რეჟისორი, — მოდი, შენზე ვცადოთ.

— არ გაბრძვიდე! — მითხრა მამუკამ

— გეშინია? — გამოიღმა კაკომ, — ესე იგი ეჭვი გაქვს, რომ მართალი ვარ და აღიარებ ჩემს სისტემას.

— არა! — დაუყვირე, — შხად ვარ!

— გაჩერდე, მეც დამლუპავ! — ჩამექიდა მამუკა.

— სისტემას გარედან ვერაფერს დაეკლებთ, — ვუთხარი, — რომ დავაშხვრიო, შიგნით უნდა შევძვრე.

— მობრძანდით, ბატონო! — კომპიუტერი გაასხა რეჟისორმა, — ოღონდ ჯერ პროგრამა შევადგინოთ.



კაკომ ღილაკებს თითი დაჭირა და მიფრი აკრიფა.

— არ დაგამახინვებ, შენივე ბუნების მიხედვით გარდაგქმნი. რადგანაც ათი თაბახის მანძილზე გვებრძვი, მოდი მებრძოლი გმირი გამოვძერწო შენგან.

ეკრანზე ფანჯარა გაიხსნა. რეჟისორმა ხელი მკრა და სტერილიზაციის სექტორში შემავლო...

უეცრად მეცა აკაციის მკვეთრი სუნი. ტალღა-ტალღა ნაშოვიდა სკოლამდელი თბილისის უბანი. ოდნავ სხვაგვარი ქუჩა, ფერმეცვლილ შენობათა მწკრივი. აკაციის ყვავილებითა დათოვლილი ეზო. მაია ქვემოდან მეძახის. ნეტა, როდის ჩამიშვებენ ეზოში? თამამ-თამამით როდის გაჩნდება ჩვენს შორის ნათელი გრძობა, ვარსკვლავით რომ აციმციმდება ჩემი ცხოვრების გზაზე!

დღე იწურება. ღვივის და იფერფლება ბინდისფერი მზე. საღამოს ჩრდილები დაცოცავენ ოთახში. ბენიას თეფში გამოატქს. ბაბუა საგარძელში თელვებს. მამამ შემომა-ნათა ცისფერი თელები. აივანზე სტუმრები იყრიან თავს. საღამოს სიმშვიდით ვარემოცვლი ხმები მოყრუებულად ფლერენ, ვერ არღვევენ ბალის სილუმეს. არაფერი განსაკუთრებული არ ხდება, მაგრამ ეს არაფერი წინ გადაშლილი ცხოვრების მოლოდინითაა სავსე. სიხარული, რომ ყველაფერი ჯერ წინაა, ნათელ ფერებში მოსახს ოთახს, სახლს, აკაციის ფიფქებში გახეულ ეზოს.

შემდეგ ერთმანეთს ენაცვლება მესხიერების ძაფზე მძივივით აკინძული სურათები. ქართი გაძარცვული, შიმშელი ეზო, დილით ფაფუკი თოვლის ქვეშ იღვიძებს. ფეხი ჯერ არ გაკარებია მის თვალისმოჭრელ სითურეს. ქუჩაში კი ირმის ნახტომივით შემღვრეული თოვლი ძვეს. გუგუნებს ფეჩი. მაგიდაზე რვეულია გადაშლილი. ისევ არაფერი განსაკუთრებული არ ხდება, მაგრამ ეს არაფერი სასიხარულო მოლოდინითაა სავსე.

მერე კი ჩემთან ერთად იზრდება ქუჩა და სკოლისკენ იწყებს დინებას. პენალის, ახლადგადაკრული ნივთების და ტყვიის ჩანთის სუნი მიყვება ამ ნაკადს. ისევ არაფერი განსაკუთრებული და უჩვეულო, და მაინც დღესასწაული ტრიალებს ირგვლივ.

ასე ერთამეხება მახსოვრობას უდარდელი დრო. ვაკეეთილებს გამოპარული ქუჩა, მთანმინდის მზით სავსე აღმართი... და უცებ მოგონების ტალღა დამცინავ ღიმილს ეფახება. ვიღაცამ მე და მაიას გზა გადავიკლობა. შემადგინა და ხელივც გამოაყოლა ვინებებს. უცებ აყარა ვედა ბალი, მენობა, ქუჩა. ბურუსი ჩამოე-

ფარა თვალს. ვიგრძენი, ყბაში როგორ მოვარტყი მუშტი და ამ შეგრძნებამ დამანყნარა.

— ყოჩაღ! — მომესმა რეჟისორის ხმა, — ეს დარტყმა პროგრამაში რჩება. სხვა ყველაფერი შეგვიძლია ნავშალოთ!

ეკრანზე გამოსახულება დაირღვა. გუმბინდელ ქალაქს ძირი გამოეცალა. გარდაქმნის ქარიშხალი სტვენით შემოიჭრა ქუჩებში. ქარიშხალმა პირწმინდად ნაშალა მოლოდინის ბალი, მესხიერების კოდიდან ამოაგდო ძველი თბილისის უბანი. გაუფერულდა მაიას სახე. ჩაქრა ჩვენი ვარსკვლავი. მოლოდ მე არ ვნებდები ქარიშხალს.

ვებლაუქები გაფანტულ განცდებს.

— თავი დაანებე! ეკრანს გადანვაე! — ჩამყვიროს რეჟისორი.

ვერ ვანებებ თავს ვითომ ნაიშალა, არაფრად იქცა მძივივით აკინძული დრო, მაგრამ ის მაინც შემორჩა ჩემს გულს, როგორც სინანულის ბუნდოვანი განცდა. განცდა, რომელშიც უამრავი რამ ჩაეკუსოლე: მოლოდინი, სიხარული, სიყვარულის ტბილად განწელილი წამი. ამ ბუნდოვანმა განცდამ გაფანტა ჩემი სიბრაზე, ხელი აღარ ვახლე ძირს დაგდებულ მტერს და უკან გამოვბრუნდი.

პროგრამა საშინლად აირ-დაირია. კუბებად, კვადრატებად და იეროგლიფებად დაიშხვრა ნარსულ მოვლენათა მიზანმიმართული სელა.

— ყველაფერი აურია ამ კვადრატულმა! — ყვიროდა კაკო, — არაუშავს, მაინც მოვარჯულებ, მაგ სინანულს ამოგაცილი გულადან!

ახალი პროგრამა აკრიფა, მტაცა ხელი და ისევ კომპიუტერში შემავლო.

ამის შემდეგ კიდევ უფრო მეტი სიმამფრით დატრიალდნენ გარდასული ხილვები — ბრაზმორეული ქუჩა, სადაც მუშტის ერთი მოქნივით მივიღე ნათლობა, სისხლით სავსე ზღვა, ტყვიასავით მძიმე, გულსამარევედ ტბილი ტალღები, დენთის სუნი, ბძილის ველი, ციკლოში, კალიების ურდო... უეცრად ფეთქედნოდნენ და ქრებოდნენ ეს სურათები. მე კი აღარაფერი ვიყავი შურისძიების გარდა, თუმცა, გულის სიღრმეში შერჩენილი მქონდა სინანული სხვა შესაძლებელი ცხოვრების გამო. ეს მდგრადი, ნარუმული განცდა ზამბარასავით მამრუნებადა უკან, ჩემსავე თვითან.

— ზამბარას ხელი უშვი, — ღრიალებდა კაკო, — უკან ნუ იხედები! იმისთვის რომ გაიმარჯვო, ეჭვი უნდა მოკლა, სინანულს უნდა შეელოო და გაყვე სიბრაზის ტალღას!

მე უფრო მეტი ვარ, ვიდრე ეს ტალღის ვიდრე სიძულვილის და ბრძოლის



გაუნღებელი ყინი! ამიტომ, ახალ პროგრამაშიც ვედარ ვეტევი, ვერ გადავდივარ სრული ავრესიის მდგომარეობაში, ჩემი აღზრდა-გარდაქმნის პროცესი ისევ ირღვევა და მთელ ოთახს ავსებს ავაციის სუნი.

— ჩართეთ დაზღვევის სისტემები! — ყვირის კაკო, — სინდისის ქვეყნის გაბზარული გული არ გადაიოღვაროს ეკრანზე! კომპიუტერსაც არ შეეყაროს სინანულის ვირუსი!

გაცხა თუ არა ბრძანება, ყველა კომპიუტერი ერთბაშად განათდა. რიაც სამინდობა ძალამ თავბრუ დამახვიდა, ნარსულს მომწყვიტა და ეკრანზე მოხტუნავე სიტყვამ რამოდენიმე პროგრამაში ერთდროულად შემაგდო.

თითქოს ხორცის საკვებ მანქანაში მოეხედა. ყოველმხრივ გაფანტული, ფერებად, ბეჭებდად და ასობდად დაშლილი, მაინც ვებლაუჭები საკუთარი მთლიანობის განცდას!

— ალტერნატიული პროგრამები იმისთვის გეჭირდება, რომ ძნელად აღსაზრდელებს ხერხმალად გადაუმტვრიოს! — პიპოქრობს რეჟისორი, — ძვალსა და რბილს რომ გაუერთიანებ, ცოპივით რომ მოზილავ, მერე თავიდან შეიძლება შეამკო ის პიროვნული ღირსებით და გმირული სულისკვეთებით!

კაცუნამ ჩაიღიმა, თითქოს დაუქნია თავი.

ამასობაში დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო! ბოდიში მინდა მოგიხადოთ წინასწარ, რადგან სტელსა და სილამაზეს ვინ ჩივის, აზრიც კი შეიძლება ვერ გავმართო და არეულად გადმოვცე ის, რაც ერთიან, განურჩეველ სტიქიად დამატყდა თავს. ჯერ საკუთარი ძვლების ლანა-ლუნჯი მომესმა, გული შემეღონდა, ტკივილის ზღურბლს გადავბაიჯე და შეეცურე გარდასულ მოვლენაში მორევში. ყველაფერი ტრიალებდა აქ! ციცივი ღვალამეს სოცნიდა, ლაურა პარლამენტში იჯდა და მეგობრობის ტრაქტატს აწერდა ხელს, ციდან ნითელ-მწვანე ყვავილები ცვიოდნენ. ნითელ-მწვანე „ქალიები“ მწყობრად მიაბიჯებდნენ „ყვავილებით“ გადამწვარ ქალაქში. ზღვის ტალღა დათრეკდა საბჭოები მანჩინის ჩონჩხს. ასო-კლავიშები დაგორავდნენ აღმოდებულ ქვიშაზე. ჩემი მაგიდა და საფარქელი ზღვის ფსკერზე ციმციმებდა.

საოცარი კი ის იყო, რომ დაკარგული არ მქონდა ვარც სამყაროს აღქმა. ცხადად ეხნედავი მწვალბულებს. გარკვევით ჩამესმოდა რეჟისორის ხმა.

— მაშატიე, უკაფურეს ზომებს მივმართავ. რა ვქნა? პირი, რომელიც არ ექვემდებარება მკურნალობის პროგრამას, ძირღვესვიანად უნდა გადააკეთდეს.

— სადღაა მისი მებრძობის წესქესქესა იკითხა კაცუნამ.

— ჩემს გემოზე რომ გადავაკეთებ, მებრძოლ სულსაც ჩაებტრავ. ახლა კი, მოდი მისი პიროვნული მონაცემები დისკეტაზე ჩავენეროთ.

შინაგანად გახლეჩილმა, უცებ საშინელ, სულის შემთუთ მარნუხებში ვიგრძენი თავი. პიროვნული დაბასიათების ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებში გაუფერულდა ჩემი სიცოცხლე, მოაკლდა მას ფერთა თამაშის პერსპექტივა, დაეკარა აზრობრივი დატვირთვის სიღრმე. სული ლამის ამოშხდა მშრალ ინფორმაციად ქცეული ცხოვრების ბიოგრაფიულ ფურცელზე და სიცოცხლისგან დაკლილმა, სივრცის და დროის აღქმაც დაეკარგე.

● თვალი რომ ავხილუე, თეთრად გაქათქათებულ პალატაში ვინეკი. არ ვიცო, მე ვიყავი ეს, თუ სხვა ინვა ჩემს ნაცვლად.

— ყველაფერს გაიხსენებ, — ჩემს ფიქრებს გამოვასუბა ექიმი, — დასაწყისისთვის კი უნდა შეითვისო ერთი რამ! — შენ ხარ შეამბოხე! შენ ვერ ვგუბი ცხოვრების უსამართლობას და სიკეთისთვის იბრძვი!

ოთახში მეკეთრი სინათლე შემოიჭრა. — შეაბრუნეთ მზე, თვალს მჭრის! — იყვირა ექიმმა.

სხვი ლოგინიდან კედელზე გადახტა. მომჭყენა რომ კედელი ფარდასავით შეიწმინდა. მაშინვე ნამოვდექი, ფარდა რომ გამენია, გადამეხედა უკან.

— მოიცა! — ხელში მცეა ექიმი, — ეს ფარდა არ არის, კედელია! შენ ნამდვილ საავადმყოფოში იმყოფები და მე მართლაც ექიმი ვარ!

— აი, თუ არა გჯერა! — ექიმი გაქანდა და თავით შეასცადა კედელს. სისხლით შეღებუა მუბლი, — საღებავი არ გეგონოს, ნამდვილი სისხლია, — თითო მოისვა ქრილობაზე, — საერთოდ, მტკიცედ უნდა შეითვისო, რომ შენ შეთხზული კი არა, ნამდვილი გმირი ხარ და სინამდვილის გარდაქმნას სწირავ თავს. ამ რმენის გარეშე ვერ მოახდენ შთაბეჭდილებას, დაბაჯრებლობა მოაკლდება შენს სიტყვას.

— ეს რა არის? — ფეხი ნაკვარი ხალიჩაზე დაგდებულ ნიღაბს.

— ცუცა! — იღრიალა ექიმმა.

ოთახში შემოვარდა დაბალი, მსხვილი ქალი, დასწვდა ნიღაბს და ისევ ვარეთ გაეარდა.

— მოდა, იმას ვამბობდი, — გაავრძელა ექიმმა, — ეჭვი არ უნდა გაეკაროს შენს გულს, თორემ მოქმედებას ვერ შესძლებ. იმისთვის, რომ ნაბიჯი გადაადგა,

მერყეობა უნდა დასდლო, არ დაინყო იმ საფუძვლებში ქვევა, რაზედაც დგახარ.

— შმა! — გააწყვეტინე სიტყვა.

— ცუცა! — ისევ დაიღრიალა.

პალატაში ისევ ის ქალი შემოგოგმანდა. ლანგარზე ბრინჯში ჩაფლული ქათმის ბარკალი მომართვა. ქათამი ეტყობა ბებერი გახლდათ. ძლივს ჩაეაღწე კბილი. გახევებული ბარკალი გასკდა და იქიდან ხორცის ნაცვლად ნახერხი გადმოიყარა. ველარ ამოვახველე, კინალამ გავიგუდე.

— რა არის ქალო, ნამდვილი ქათამი დაგენანათ ჩვენთვის? — უსაყვედურა ექიმმა.

— ყოველ ნარმოდგენაზე თუ თითო ქათამი დაეკალით, რა ჯიბე გავიძლებს, კაკო ბატონო? — თქვა ცუცამ.

— სიმართლე, სიმართლე და ისევ სიმართლე! — დასჭექა ექიმმა, — სიმართლე უნდა ვუთხრათ ხალხს! სიმართლის დროშით დაეინყოთ ნგრევა!

ველარ გავუძელი ამ მასხარობას და კარსკენ შევბრუნდი.

— საბუთი არ დაგაეინყვეს! — მონშობა გამომიჩნოდა ექიმმა, — შენ ხარ ბედს შეურეგებელი, მებრძოლი ვმირი!

ცუცამ ავტომატი გამომიჩნოდა.

ავტომატი მოექმშუნე, შუაზე გადავხვი და ნამოვდი.

● ისევ მსახიობთა ოთახებს შორის აღმოვჩნდი. რეპეტიციების დრო გავიდა. მსახიობებმა მოიხსნეს ნიღბები. საგრიმირო ოთახიდან მითვალთვალევენ. ზოგი ხელითაც მეხება, რათა გაიგოს კაცი ვარ თუ მოჩვენება. მართლაც მიძიმე შთაბეჭდილებას უნდა ვახდენდე: დაფლეთილი პერანგი, შეშლილი სახე—

— შაპატიეთ, აქედან როგორ გავიდე?

— მიეუბრუნდი ფეხდაფეხ ადვენებულ დედაბერს.

— რაო, ცუცა დეიდა, რა მინდაო? — ოთახიდან გამოიხედა სახემოთხუპნილმა კაკომ.

— გასელა მინდაო! — ჩაიხითხითა ცუცამ.

ცუცა დეიდას ხითხითს მთელი დერეფანი გამოუპასუხა. საშინელი ხმაურით იხლიჩებოდნენ კარებები და სიცილით ჩაბჭირებული მსახიობები ჩემსკენ იშვერდნენ თითებს. მთელი დერეფანი ხარხარებდა. ზანზარებდა იატაკი, ადიჩამოდიოდა ქალი, ნკრიალებდნენ ფანჯრები. ის იყო, გაქცევა დავაპირე, ცუცა დეიდამ ხელი მტაცა და ნჯლრევა დამინყო.

— გაქცევა გინდა? თამამად გასწავლე ვერ გახვალ! — ფურცლები ამოიღო და სახეში მომაყარა.

ეს უკვე აღარ მგაფედა ჩემს ხელნაწერს. ველარ ვარჩედი ათასნაირად გადახაზულ, გადაკეთებულ, ფხვამოცლილ სტრიკოებს! — სადაა ის, რაც დავენერე! — ვეცი კაკოს.

— აქ, — შუბლზე მიიღო თითი და გამოიღმა, — შენ სიტყვას ყოველი ჩვენთავანი თან დაატარებს!

— არ დაუფერო! — მომძახებს ქვემოდან, — ფურცელ-ფურცელ დაიტაცეს და გაყიდეს შენი ხელნაწერი.

მოვიხედე. დარბაზი სავსე იყო ხალხით. მარჯვნივ კაცუნა იჯდა, მარცხნივ — არკადი, ცუცა დეიდა და სხვა პერსონაჟები, რომლებსაც ვერ ანანევრებდა ჩემი თვალი.

— მომიცადე, — ერთად გავიდე, — კულისებიდან მამუკა გამოვიდა.

— გაიყარა ჩვენი გზები, — ვუთხარი, — შენ ყველას ებრძვი, მე კი აღარ მინდა ბრძოლა! მინდა გავარკვიო ვინა ვარ, რისთვის ვარსებობ, რომელს ვეკუთვნი — სიძულელით სავსე ქვეყანას, სადაც ჩემს უნებურად გაეჩნდი, თუ ქვეყანას, რომელსაც დაექებს ჩემი სული.

ეთქვი თუ არა ეს, რალაცამ დაიგრუნუნა, ქერი გაორღვა და სცენაზე სინათლის სვეტი ჩამოეგა. დარბაზი ერთი კაცივით ფეხზე ნამოიჭრა. კაკო ფარდის უკან გავარდა.

სინათლეში შევაბიჯე.

— ვინა ხარ? — მივიხედ-მოვიხედე.

— მე არაფერი ვარ, — მომესმა, — ის, ვისაც ვერ იტყვს ვერცერთი შენი სიტყვა.

— რას მიბრძანებ?

— არაფერს. ჩემი გადაწყვეტილება საკუთარი სურვილის სახით გაჩნდება შენს გულში.

სინათლე გაიფანტა. წინ ღია კარი დაელანდე. კართან მიაი იდგა. შემომხედა. მერე შებრუნდა და თეატრიდან გავიდა. ფეხდაფეხ გაყვევი მას.

● არა! შეუძლებელია ასე ცხოვრება! აღარ მინდა ამდენი ბრძოლა! ფრთხება პეპელასავით მოფარფატე ფიქრი, ფრთა-შეტრუსული იფერფლება და ქრება, რადგან ისეთ რამეს ვეძებ, რასაც ვერასდროს მოვიპოვებ ბრძოლით. მე ვეძებ სიტყვას, სიცოცხლეს, არსებობას! იმ არსებობას, რომელიც ბუნებრივად კი არ გეძლევა, რომ არ გეკითხებიან და ისე იბადები შენთვის შეუფერებულ გარემოში, არამედ არსებობას, რომელიც უნდა მოიპოვო თავისუფლების გზაზე! სიტყვით შედიხარ

იმ არსებობაში, სადაც გამოგონილს მეტი ძალა აქვს ვიდრე ნამდვილს! ნამდვილს, რომელიც ნაჭუჭივით უნდა შემოიცილო, მეორედ დაბადება რომ შესძლო. აი, სად შეიძლება აღმოჩნდეს ხელნაწერი! არა იქ, სადაც სიტყვა სიცოცხლეს ირეკლავს, არამედ იქ, სადაც სიტყვა თვითონ წარმოადგენს სიცოცხლეს! სიყვარულია ამ სიცოცხლისკენ სავალი გზა და სიყვარული დამატარებს ბრანზორულ ქალაქში! მაგრძნობინებს, რომ მე ვარ მე, რომ არ ვეკუთვნი არც ერთ დაჯგუფებას, არცერთ პარტიას. ახლა ეხედავ, მხოლოდ. საკუთარ თავთან ყოფნა არის ძალის შენადერთი გზა! რომ როგორც კი შეერწყმევი რომელიმე ძალას, თუნდაც სიყვარულის, სიკეთის და სამართლიანობის დროშით გამოსულს ბრძოლის ველზე, მაშინვე იწყებ ჩაძირვას ინტრიგების ქსელთ მოფენილ ქაობში, სადაც წელ-წელა იკარგება ზღვარი სიკეთეს და ბოროტებას შორის. არადა ძალიან ძნელია საკუთარ თავთან ყოფნა. ძნელია, თუნდაც იმიტომ, რომ ყველა დაჯგუფებას, სიძულვილის ქაობში ჩათრეული ყოველი ძალა ჩემს ნინაალმდეგ მოქმედებს. მართალია, ისინი ისევე ერთმანეთს ებრძვიან, მაგრამ გრძნობენ, რომ ერთმანეთის მტრობით საზრდოობენ და მხოლოდ მე, ბრძოლიდან გასული და განმარტოებული, ვარ მათი გაფერმკრთალების და გაუფასურების კერა. იმიტომ, ძენაა გამოცხადებული ჩემზე. უნდა როგორმე მომიხელთონ, ჩამომაგდონ სიყვარულის ციდან და ან რომელიმე პარტიას მიმაკუთვნონ, ან ვით მარტოსული, საერთოდ ამომშაღონ ცოცხალთა სიიდან.

ჩემი საკითხი პარლამენტის სხდომაზეც კი გადის. სურთ ჩამომართვან მოქალაქეობა, რადგან უმრავლესობის აზრით, დღეს, უმწვევეს პოლიტიკური ვითარებაში, არაიქნა ააქვს თავის თავთან ყოფნის უფლება, რომელიმე ფრაქციის ან საზოგადოებრივ მოძრაობაში მონაწილეობის გარეშე. საშინელებაა, რომ ამ ინტეგრაციას, ამ გათანაბრებას თავისუფლება შექცია. არავის ეკრძალება ვთქვით სიყვარული, მაგრამ ის, ვისაც უყვარს, უნდა გახდეს შეყვარებულთა კავშირის წევრი, ამ კავშირის ხახელით დაუპირისპირდეს სხვა საზოგადოებრივ ძალებს და მათთან ბრძოლაში განაზრციელის თავისი ოცნება.

ასე ეკარგება ამ ინტიმურ სიტყვას მარტოობის ხიბლი და ენიჭება ჯგუფური თანაარსებობის ზოგადი აზრი, ყველასთვის რომ არსებობს და მამასადამე არაიქნა სჭირდება.

მე და მიაა გავურბით ამ დაჯგუფებებს. ქალაქის წუმ, მიყრუებულ კუთხეებს ვეძებთ. თავისუფლებას ინსტიტუტის დირექტორი ბატონი ლვლაძე მოსვენებას არ გვაძლევს, ვფხდაფხვ მოგვდევს. ცდილობს ჩვენს განმარტოებას პოლიტიკური უღერადობა მისცეს. მე კი დავიღალე! ველარ ვანსხეავებ ათასფერ დაჯგუფებებს ერთმანეთისგან. ისინი ერთად არიან, ერთნაირად მიმღვრევენ სიმშვიდეს, ერთნაირად მიფათურებენ სულში ხელეჭს და სამზეოზე გამოაქვთ ის, რაც მხოლოდ ჩემია და ჩემთვის არსებობს.

მიაა ერთადერთი, ვინც არ მირღვევს მარტოობას. პიროქით, აძლიერებს და ავსებს მას. სხვა აღარაფერი მსურს. მსურს რომ გავეცე ქკუიდან გადასულ ქალაქს და შევეჩერო ჩენი სიყვარულის ნაში.

ეს სურვილი ფერს უცვლის გარემოს და ახალი პოინზონტისკენ წარმართავს სიტყვას: დაპატარავდა, გაფერმკრთალდა პარლამენტის შენობა. სადაც, ავტომობილთა ღრიალს შეერწყა ხმათა კამათი. უკან დარჩა ბრანზორული ქალაქი და წინ, ღია სიერცქემი, სხივთა თამაშით შემდგარი სასახლე გამოჩნდა. სასახლე, რომელსაც ოდეონი ვუნოდე.

## ოდეონი

ოდეონი არ წარმოადგენდა სასახლეს ამ სიტყვის პირდაპირი აზრით. შადრევნების ნისლში გახვეული ბალი, სტრაქონივით შემოწერილი აივანი, ერთი ამოსუნთქვისაგან შემდგარი კიბე, უკიდვეგანო დარბაზი, ცას მიბჯენილი, დიდებული ბანი — ეს ყველაფერი იყო და არც იყო.

ოდეონი წარმოადგენდა მარადიულ მოძრაობაში შემდგარ ქმნილებას. ფერთა თამაში, სიმსუბუქე და სინათლე ნამდვილ სასახლეზე მეტ დამაჯერებლობას და სიმტკიცეს ანიჭებდა მას. ოდეონი ცას უფრო ეკუთვნოდა, ვიდრე მიწას. მრავალფეროვნების მიუხედავად, მთლიანი უფრო იყო, ვიდრე ნაწილებისგან შემდგარი.

შეეაბიჯე თუ არა სასახლეში ვიპოვე ის, რასაც ვეძებდი! შუაგულ დარბაზში ჩემს ხელნაწერს ნაფანყვი ფურცლები უხვად აფრქვევდნენ სხივებს და სარკე-იატაკი ირეკლავდა ყველაფერს, რაც თავს გადამხდა! ჩანანერი წყდებოდა აქ და ახლა, ზედ სასახლის ქიშკართან. ქარმა შემოგლიჯა ფანჯარა და ფურცლის გორგალი დარბაზის სიღრმეში ვაიტიცა,



სადაც ზურგნანთების მთა იდგა. ქვის ასობზე ნკრიალით ეცემოდნენ წერაყინები. შემოიტანეს ქარაუო. გაშალეს პური, ძეხვეული, კონსერვები.

სასახლეში ჩანს მოასვლელთა ექსპედიცია მზადდება. სახეზე ვერცერთს ვერა ვცნობ, მაგრამ რომ დაუაკვირდი, ჯგუფის ხელმძღვანელში კაკო შევიცანი. შინაური კაცივით ტრიალებს, ბრძანებებს იძლევა.

— სმენა იყოს! — უეცრად დასტეხა, ფუსფუსი შეწყდა მოასვლელები სმენად იქცნენ.

კაკომ კედელზე ფარდა გადაწია. კერანზე ტყით დაბურული, ნვერშეთ-თორბული მთა გამოჩნდა.

— თქვენ ხედავთ უსახელო მწვერვალს. წინადადება შემოაქვს დავიპყროთ იგი და დაეარქვათ სახელი.

მოასვლელებმა ტაში დასცხეს. კაკომ აღმართა ხელი და სიჩუმე ჩამოაგდო.

— ერთი საიდუმლო მინდა გავაგადოთ, — ხმას დაუწია, — არავითარი მწვერვალი არ არსებობს და რომც არსებობდეს, მისი დაპყრობა უზარმაზარ ხარჯებთან და ნარმოუდგენელ სიძნელეებთან იქნებოდა დაკავშირებული. მოასვლელთა ჯგუფი იმიტომ შეექმენით, რომ ხარკი მოეზადოთ ნოვატორულ მიებებს თანამედროვე ხელოვნებაში. კი არ უნდა აფიქტო, უნდა შეექმნათ მწვერვალზე ასვლის შთაბეჭდილება! თანაც ეს შთაბეჭდილება მართალნაირი, დამაჯერებელი უნდა გახდეს! მასურბელს ნუთითაც არ უნდა შეეპაროს ეჭვი, რომ აქ, პოეზიის სასახლეში გრანდიოზული ასეა მზადდება ამაშია ჩვენი ხელოვნების არსი მწვერვალის დაპყრობა უმტიკუნულოდ, ძალისხმევის და თავგანწირვის გარეშე უნდა დაეაჯეროთ ერთმანეთი და სხვები, რომ სხდომაზე კი არ ეზივარო, ქარსა და თოვლში კლდეებზე მიეცოცავეთ. ცუცა! — დაიღრიალა.

დარბაზში შემოიღალახდა ცუცა დედა. წინა სცენებთან შედარებით საშინლად მოტყეილი და მობეჭებული მჭკვენა. ძლიერ მიაღწია მავიდას. ტყვიამფრქვევით შემოაბრუნა საბეჭდი მანქანა.

— დაბეჭდე! — უბრძანა კაკომ, — დღეს 23 მაისს ან შესაძლოა 17 ნოემბერს, დღის თორმეტ საათსა და ოცდაშვიდ წუთზე, ოდენიდან არაფრის მიმართულებით გავედით. დარი მშვენიერი დაგვესწრო. უსახელო მწვერვალი მკვეთრ, დამაჯერებელ ხასიათს ქმნიდა ნათელი განწყობილების ცახზე.

— ერთი ნუთით, ბატონო კაკო, — შევანყვიტინე, — ჩამრთეთ მეც ექსპედიციაში!

— მე კაკო არა ვარ, — თვალი ამარიდა, — საიერიშო ჯგუფი კი ზემოდაწინა დაკომპლექტებული და რა გიშველო? — ხელები გაშალა.

— სად გაწერდი? — მიუბრუნდა "ტყვიამფრქვევს".

— ნათელი განწყობილების ცახზე...

— ჰოო... ტყე ავიარეთ და ნაშალზე გავედით. ძნელია ჩამომლილ კლდეზე მოძრაობა. ბიჭიკომ ფეხი იღრძო და ველარ გააგრძელა გზა.

— რატომ მე? დაბალი ღობე ვარ? — ნამოხტა ბიჭიკო.

— შენ ახალბედა ხარ. არ იცი ნაშალზე მოძრაობა, ამიტომ საცხებით დამაჯერებელია, რომ ფეხი იღრძო.

ბიჭიკო ტკივილისგან დაიკრუნჩხა, დაეცა და ფორთხვა-ფორთხვით გაიცოცა და დარბაზიდან.

კაკომ კი გარეკა და გარეკა ჯერ ნაშალზე გადასვლის და ქვათა ცეცხლაში მოხვედრის ოქმი შეაგებინა ცუცას, რის შედეგადაც საბეჭდმა "ტყვიამფრქვევმა" ახლა მიიმედდაშვევებული ვახტანგი ამოაგდო სიდიდან. შემდეგი ოქმი კი ყინულოვან ფერდობებს მიეძღვნა. ისიღორემ საცუცალორი მოხსენება ნაიკითხა ყინულზე მოძრაობის შესახებ. საიერიშო სხდომა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა! ისიღორემ იმდენი იყებდა მთაში გააედრების და უეცარი გრივალების შესახებ, რომ დარბაზში საშინელი ძალით შემოიჭრა ქარი კი არა, ნამდვილი მოხსენალი და სხდომის მონაწილეები თოვლის ფანტაზიებით მოვიწია.

— შესანიშნავია! — ნამოხტა კაკო. — ხედავთ, რა ძალა აქვს მართალნაირ სიტყვას!

თოვლი კი ბარდნიდა და ბარდნიდა. დარბაზის იატაკი ფერდობად იქცა და სხდომის მონაწილეები ქვევით, კარები-სკენ ჩავორდნენ. ბერი ველარ შემაგრდა იატაკზე, სასახლის გარეთ, უფსკრულში გაფრინდა. კაკო მე დამებლაუჭა.

— არ დამლუპო! დამშვიდდი! — დამელირიჯა.

— გაგახსენდი? — გაუღვიმე.

— ყოველთვის მახსოვხარ, ყოველთვის! — დაიყვირა.

მაგრამ მე უკვე აღარ შემეძლო შერჩება ყოველი კუნთი მითრთოდა. თავსგადახდენილი ამბები, ფიქრები და ტკივილნარევი ხილვები დაცურავდნენ სასახლის სიერცხეში! დარბაზის კედლები ყინულის ლოლუებით დაიფარა. სადაც ზემოთ, ქვათა ცეცხლა დანყო და იატაკი კლდის ნაგლეჯებით ავისო! შემდეგ კი ქვანოვლს მოწყდა თოვლის უზარმაზარი მასა და ნამოვიდა, მაგრამ რა

ნამოვიდა! თოკი ხელზე დავიხვიე, მინდა რამოდენიმე სახე მიანიც გადავარჩინო. რას გადაარჩენ, როცა ხელი კინალამ არ წამანყვიტა ზევაში! როცა ნაჭრის ქარვასლასავით ნამოიქცა და მიწას მოეფინა კახული სიტყვის სასაბლეს! ედგევეარ ფერდობზე და ამოსუნთქეას ვერ ვებედავ, უფსკრულში რომ არ გადავიჩეხო! კაკო კლდეს ებრძვის, უძალიანდება თოვლის ნაკადს. თვითონაც ბობოქრობს, კლანჭებულესილი ჩემსკენ მოიწვეს, რადგან გრძნობს, მე ვარ ამ უცარი გაავდერდის სათავე. მე ვარ ზეაგი, რომელმაც პირწმინდად წაღვეა მისი სიზარტლე და ძირგამოცლილ ხილვათა ქროლვამი, დაღენილი ტყეების და დანგრეული სოფლების უკან გამოაჩინა ფარდა, რომლის მიღმა ვარ მე და ისინი, ვინც ებრძოდნენ მთას, ვინც იპყრობდნენ მწვერვალს. ზევაში წაილო და დამოილი, ფორმადეკარგული მასალა ანგრევს ფიჭვის არტახებს და მოდის, მოედინება რა, თვითონაც არ ვიცი... ხან დეკორაციის ნაფლეუთები ბრუნავენ ქარბუქში, ხან ნიღბები. მერე კი მოდის სხეულს მოგლეჯილი თავი, ხელი, ფეხი, აზრგამოცლილი სიტყვა, ვერგამოთქმული ტკივილი, სიბრაზენარევი სიამე, ბავშვი, ატამი, ნავი... ზეავს მიაქვს გარდასული ამბები, ზოგი ტკივილით, ზოგი — მსუბუქად ჩაეღილი. ზეავს მიაქვს ქალაქიც! მთელმა ქალაქმა ჩამიჭროლა თვალწინ! ქვიფქვიფით გაუჩინარდა უფსკრულში ყველა, ენაც იარაღი აიღო ხელში, ყოველი მათგანი ზეავს წაილო! და უამრავ დაეგუფებებად დაშლილი მთლიანობა, მისი გაფანტული, თავქეფა ნაწილები საშინელი სისწრაფით მოჭრან ჩემსკენ, რომ მომწვევტიონ ადგილიდან და მეც დასაქარგავში ნამოიონ.

— გადახტი, რალას ელოდები! — ქვემოდან მომძახის კაცუნა, — ხომ ხედავ, არაფრად არ ღირს ეს ცხოვრება! ზეავს რომც გადაურჩე, სიბნელე ცოცხლად დამარჩავს, რადგან სინათლეს სული ამოხდა ნათელი იდეებისთვის ბრძოლაში. ნუ გეშინია! რაც აქ ხდება, ამაზე უარესი იქ რა უნდა ხდებოდეს? გადახტი!

კლდეზე შევდევტი. ბნელ უფსკრულში ჩავიხედე.

— ნეტა შემეძლოს ხელი გკრა, მაგრამ ნაბიჯი თვითონ უნდა გადადგა. გადახტი! მოუთმენლობამ გაუზნარა ხმა. სხივმა იელვა ნაპრალში; სხივმა მომტაცა თვალი და უცებ დაეინახე ციდან ჩამომდგარი სინათლის სვეტი. ამ სვეტს ჩავეჭიდე, რალაცა ძალამ მომწყვიტა ზეაგივით მოე-

არდნილ ცხოვრებას. აღმადრენის სიმსუბუქემ მთანთქა ვარდნის სიძიმე და სრულ თავისუფლებამ ვიგრძინე, რომ ვიყავი არაფერი და არაფრის შეგრძნებამ უცებ დაამშვიდა მთა, შუქი მისცა ქვეყანას, სინათლით აავსო სული და მივხედი, რომ გადავრჩი; რომ სიცოცხლეა ის არაფერი, სიკვდილს რომ აქარწყლებს და სასნაულის ძალით რომ ფეთქავს დაქცეული ქვეყნის ქაობში, რადგან ამ ქვეყნის მიღმა არსიდან იღებს სათავეს და ისევე არაფერს უბრუნდება; და მთელი ჩემი ცხოვრება: მღელეკარობა, ბრძოლა, ფიქრი, სიხარული, იმედი... აკაცის სურნელით გარდასული დრო, გზაარეული ქვეყანა — ეს ყველაფერი, რომლის ნიაღშიც ფეთქავდა ჩემი გული, იყო არაფერი, იყო თამაში, იყო თამაში არაფრის გამო, რომლის უკან ვიდევტი მე, ჩემი განცდებით, აზრთა მიმოქცევებით და ვხედავდი მამანურის ქაფივით მოთამაშე გონებას, საიდანაც ეს ყველაფერი გადმოდიოდა და ვხედავდი არაფერს, როგორც სიტყვით ნარუქარ სიცოცხლეს, შუქსა და სიმსუბუქეს რომ ანიჭებდა ჩემს უსამელოდ ამიმე ცხოვრებას.

ალარ შემეძლო სიტყვის ამ ეულკანივით მფეთქავ მწვერვალზე დგომა, ცოცხალი აზრის თვალისმომჭრელ ქაფსა და დუღილში ტრიალი! საჭირო იყო უკან დაბრუნება, ვარჯხა, რომ თავიდან დანეყებულყო გზა, თავიდან გაბრწყინებულიყო არაფრის მაძიებელი სული.

არ ვიცი რამ ჩამომავდო მწვერვალიდან, როგორ აღმოვჩნდი შინაზე, ნაცნობ, მოთვინიერებულ სიტყვათა ატმოსფეროში. ფერდობს პატარა ამტობუსი მოადგა.

— ნავიდა შენი დრო. ალარ მოდიხარ? — თავი გამოყო მძლოლმა.

ერთხელ კიდევ შევხედე სხივთა თამაშით გარემოცულ მთას. საღამოს ბინდში ისე განახებულს და ფერწასულს, ეერც კი გაიგებდი იყო თუ არ იყო.

ბოლოს შემოვბრუნდი, ავტობუსს შევახტი. მანქანა ფერდობს მოწყდა, გზაზე ჩაგორდა და ქალაქისაკენ მოძრავ ავტოკოლონას შეერწყა...

● — ალარ უნდა დაამთავრო? — შემოიხედა ოთახში ცოლმა.

ხმა არ გავეცე. ბოლო ნერტილისათვის არ მემეტება თბრობის ემში შესული სიტყვა...



სიმბოლოები

(აკაკიებური)

შენ გვეედრები, უფალო,  
წყალობით დაგვაპურეო,  
გვალეისგან დამზრად ვანასა  
ცვარ-ნამი დააკურეო.

უკუდო ამპარტაუნობა  
დლეიდან აგვარიდუო,  
ჩეილს იავნანა კუმდუროთ,  
სტუმარს ჩელა და ლიდუო.

თანდაგყოლია ბედი იობის,  
ვეღარ აბარებ ღვთის მკაცრ გამოცდებს  
და ამიტომაც ქარტეხილები —  
თავს რაც დაგატყდა — აღარ გაოცებს.

რამე ღალადებს შენი წარსული?  
ანთებული ხარ ღიდგორის ბრძოლით,  
რადგან გელათის წმინდა მიწაზე  
უფნი დაგიდგამს კრძალვით და ძრწოლვით.

გემუდარები, ქართველებს  
ერთურთი შეაყვარეო,  
მტერსა და ღუმმანს თვალებში  
ნაცარი შეაყარეო.

მომხწარ მთლიან სამშობლოს  
და ამით გამახარეო.  
ვთხოვ, დაიფარე წარღვნისგან,  
ჩემი ღამაში მხარეო.

დაძმობეული უამრავ ცოდვით  
ნუ განციოთხავ მაცხოვრის მემობელს,  
რადგან არავინ არ ეავიწყდებით  
სამყაროს შემქმნელს, მამას და მშობელს.

ცხრაასი წელი მიმოდის მრეკელი  
და არ ეთმობი ცოცხალი თავით,  
აღვიგებოდით როგორც სხვა ერი,  
რწმუნა რომ არა, რომ არა დავით.

## ქალ სიკეთისა

ზღაპარი

ოფს-ლაც, ერთი მივარდნილი სოფლის გახპირას აღმართულ მთაზე, პირქუშად გამოშხარალი ციხე-კოშკი იდგა. იმ კოშკში დევები ცხოვრობდნენ. ოჯახი სულ სამი სულისაგან შედგებოდა. ესენი იყვნენ: მამა-დევი, დედა-დევი და მათი პატარა შვილი – დორიალა, რქიანი და ტიტლიკანა დევიკო.

დედა-დევის შინ უამრავი საქმე ჰქონდა: სადილ-ვახშამიო, სარეცხ-სახეხიო, შვილის ყურისცვებაო... ერთი სიტყვით, ნამით ვერ ნახავდი მოცილის, ამიტომ ციხე-კოშკიდან იმეოთად გადადიოდა. აი, მამა-დევი კი ხშირად სტუმრობდა შორეულ ტყე-ველებს. იქ, დიდრონ მხეცებს მოინადირებდა ხოლმე და მიიმედ დატყირთული, დაბნელებულზე, შინ ბრუნდებოდა.

მოგვიანებით, მთვარის ამოსვლის ფაშს, დევები ვახშმად სხდებოდნენ. გაჩირადღნებული კოშკიდან დროდადრო მჭექარე, გუგუნა სიმღერები მოისმოდა. სიმღერასა და სიმღერას შუა, სარკმლებიდან გამოსროლილი, მთვარის მუქზე ნამით თეთრად ალაპულაპუნული ძვლები რაკარუკით აცვიოდა მთის კლდეოვან კალთას...

იმით დროსტარებას მიჩვეული სოფლელები სვედიანად ჩაილაპარაკებდნენ ხოლმე. – ერთხელაც იქნება, ეგ ოხრები ჩვენს ძვლებსაც კოშკიდან მოისერიანო.

ტყვილებრადოდ კი ეშინოდათ, – დევების აზრით, მტელ სოფლელებზე ლოჯების გასვრა არ ღირდა...

გადიოდა დრო. ერთ დღეს ციხე-კოშკის ბინადარნი ცხრა მთის იქით მდებარე სახელმწიფოს მეფე-დევმა ქორნილში მიიპატიჟა. ცოლ-ქმარმა გამეზავრება გადაწყვიტა. შვილის ნაყვანაც უნდოდათ, მაგრამ დევიკო შორს მანძილზე მგზავრობას ვერ ჰგუობდა.

ნასვლის წინ მამა-დევმა კოჭაობით გართულ პატარას თვალები გადაუქაჩა, ხმამი მუქარა გაურია:

– ჩენა, ერთი-ორი კვირით მეფესთან, ქორნილში მიედივართ. შენ, აქ, ტყუით იყავი, იცოდე, კოშკიდან არ გახვიდე, თორემ... გესმის თუ არა, ბიჭო?!.

– ესმის, რაეა არ ესმის! – სიტყვა ჩამოართვა მამა-დევის დედა-დევმა, შვილი კალთაში ჩაისვა, აჯაგრულ თმაზე ხელი გადაუსვა და ალერსიანად დაარიგა, – ჩემო პატარავ, ჩვენს არყოფნაში საქმელ-სასამელი არ მოიკლო, თორემ დიდობაში დაგვალული და უღონო იქნები, მე კი მსურს მამაშენივით ზორბა და ჩემსავით ლოყებლადღა-გა გაიზარდო.

მამა-დევმა მეუღლეს მონონების ნიშნად თავი დაუქნია, აქაოდა ბრანოლად მტკეცელებო. ნასიამოვნება დედად განავრძო, – შვილიკო, სმილქმის ქვაბში ცივად მოხარშული ვეფხვი და ლომი დეგს, საკუჭნაოში ორი ყუთი ქვამარილია, გობზე შოთები ანყვია...

– ქურსაც მოხადე, ბიჭო, ქურსაც! – როხორხით ჩაურთო გუნებაზე მოსულმა მამა-დევმა, – სადილზე ერთი-ორი ჩაფი ლალისფერი ღვინო მიაცოლე, თორემ!..

დევიკო დაიღრეჯა; ღვინოს ლომონათი ერჩინა, მაგრამ მრისხანე, თავისნათქვამა მამას უარის თქმას როგორ გაუბედვდა! – უხალისოდ დაეთანხმა, თუმცა პატარა ეშმაკობას მიმართა:

– ლომსაც შეეჭამ, ვეფხვსაც შეეჭამ და ერთ ქურ ღვინოსაც დაეღეე; ჩაროხად კი მაქარყინულს დაეაყოლებო.

– კი, შემოგეღე, კი, აუცილებლად მოგიტან! – გაიხარა დედად და ნამოდვა. მერე, დევებმა, კოშკი გარედან ჩაკეტეს და ცხრა მთის იქით, ქორნილში გაემგზავრნენ.

ასე და ამგვარად, პატარა დევი მარტო დარჩა. კიდევ კარგი, ზანდუკები და სკივრები სავეს ქქონდა თვალმარგალიტებით მოჭედელი ოქროსა და ვერცხლის სათამაშოებით. ისინი ოფს-ლაც მამა-დევმა ნაართვა უცხოელ უფლისწულებს და შინ მოზიდა. ბევრი რომ არ გაეაგრძელოთ, ძალიან ძვირფასი ნივთები ჰქონდა დევიკოს. ისიც ერთობად პირველ დღეს, მეორე დღეს, მესამე დღეს კი მოებზრდა. თანაც, ისე ძალიან, რომ მათკენ გახედვაც არ უნდოდა.

ახლა რა უნდა ექნა?

იფიქრა, იფიქრა და ბოლოს გადაწყვიტა: ტყეში, ნადირ-ფრინვლებთან გულს გადაეაყოლებო.

ხომ გახსოვთ, კოშკი გარედან იყო ჩაკეტილი? დევმაც სარკმლიდან გააღწია, გეგბათოსს დაეკონწინაო. მინახე ფეხი რომ დაეგა, გუნება გამოუტეოდა; იმედი ჰქონდა, მთელ დღეს მხიარულად გაატარებდა და იმიტომ. მერე, ზურგზე დიდაკაცურად შემოინყო ხელები, ისედაე გამობერილი, ბალანხი მუსკელი კიდევ უფრო გამობზიკა და ღვინო-ღვინოთი ჩაუყვა ბილიკს.

მალე დაბურულ ტყეში აღმოჩნდა. უცებ მახლობელი ჯაგნარიდან რაღაც უცნაური ფაჩუნი მოესმა და მამინეე შესძახა:

– ემანდ რომელი ხარ, ანლავე გამოდიო!

პასუხად გააგებულნი, ნკმუტუნ-ღაუდავი გაიგონა; იმავედროულად ჯაგნარი ისე შეტორო-



ტმანდა, გეგონებოდათ გრივალი დაეცვრო. ნამოც და იქიდან ტურა, მელია და მგელი გამ-ოჯარდნენ და ცოფიანებით გაიქცნენ. დევიც მიეღვენა:

- შუბრდით, ძმებო, ნუ გარბობართო.

იმითარც კი მოხედეს, თუმცა სანამ თვალს მიეფარებოდნენ, მელია მოუტრიალდა, ნითელი კული დაუქნია და უნდობლად დაინკაწკავა:

- მამალი ქაჯი იყოს შენი ძმა და მეგობარი, შე ყურმსალო, შენაო!..

დევემა ვაზა განაგრძო. ოღონდ ახლა მხიარულ ლილინს უკმაყოფილო ბურდელში შეენაცვლა. ვაზადა ვაზა სხვადასხვა ჯურის აფრიალებულ-აფროიაქებული ფრინველები ცურად გადმოხედდა-ვდნენ და ბუდეებს ან ფულუროებს თავს აფარებდნენ.

გავულისდა ყმაწვილი დევი; ვერ გაიგო, რატომ გავრბოდნენ ნადირ-ფრინველები. დაფიქრებულმა ერთხანს უაზროდ იბლოტილა, მერე მინ ნასვლა ვადანჯვრია. ის იყო კომკი-სკენ მიმავალ ბილიც დაადგა, რომ შეამჩნია, ტყის ვანაპირას იმყოფებოდა: შორიანლო, ვაკე ადგილას სოფლებების ზალ-ვენახები ჩანდა; მათ გაყოლებზე, მდინარესთან, მწკაწკი ჩაფლული ნისქელი შენიშნა. ერთი პირობა შე-ფიქრინდა; ცოტა არ იყოს ადამიანების ეშინო-და, მაგრამ ბოლოს, ნადირ-ფრინველებზე დაბ-ოლშიღმა. გული გაიმავრა, დაადო თავი და ცოტა ხანში კარლია ნისქელში შეაბოტა.

გრძელწერა, ქალარა მენისქელიეს მის და-ნახვზე ენა მუცელში ჩაუვარდა.

- იქნებ შენც გინდა გამექცე, ვა? - და-ფანჩული ნარბილიდან ახედა მოხუცს. იმან პა-სუბი დაუგვიანა. მომხდურმა თინიანად შესდა-ხა:

- რას დავიწყებთა თვალეში ახლავე შეემ-ვი მაგ ტომარას და დაქტრობანა ან დამალობა-ნა მეთამაშე!.. ან კიდევ ხეზე ასვლაში შევეჯიბ-როთ ერთმანეთს!

შენისქელიემ წვერზე ხელი ჩამოისვა, - მადლია ახლა ამის ვანკეველა, მაგრამ მერე სად დაეჭვალა მავის მამასაო, - გააფიქრა; ხმაშაღ-ლა კი დაუყვავა:

- ბოძიკო, შენთან ერთად ხეებზე ძრომი-ა-ლს რა სვოვს, მაგრამ არ მცოდნია, ხომ ხედავ, რამდენი საფქვაკი დამიგროვდა... ესეც არ იყო...

- რა საფქვაკი, რის დოლაბი! - გაბრაზებ-ულმა დევემა დაავლო ხელი ფქვილით სავსე ტომარას და... ბრაბა! - ედელს მიათხლიშა. ტომარა გასკდა და ფქვილის ისეთი ბუქი დად-გა, ირგვლივ ვერაფერს გაარჩევდი. პოდა, სანამ დევი თვალეების ფახულს მორჩებოდა, მენის-ქელივ გაიპარა.

როდის-როდის, პაერი დაინშინდა. დევემა მოხუცი რომ ვერ დაინახა, მკერდზე მუშტის ბრავუნით იღრიალა, - მინც გამექცა ის სუ-ლბალო ბუბერიო. მერე ლანძღვა-გრებუბი მიაყ-ოდა... ანაზადა თვალა ქვიდა კედელზე ჩამოკ-ონილალებულ, თეთრად დაფიფულ შავ ბოზხს და სახეგანათებულმა ჩამოხსნა; გულისყურით

დაათვალიერა და ისე ძალიან მოეშონა, რომ წყენა გადააფინყდა. ბოლოს ბოზოხი დაიხურა, ზურგზე ხელელი შემოიწყო და ალილინგული დაადგა ბილიც. ხმირ-ხშირად კი შედგებოდა, რომ ბოზოხის ცქერით დამტყბარიყო, კოტიტა თითებით ვალერსებოდა. მერე, ხან გვერდუ-ლად დაიხურადა, ხანც კეფაზე მოიგდებდა. ამ კოხტაობის დროს ზალ-ვენახებიდან მომავ-ალი, წელში ორად მოხრილი დედაბერი დაინა-ხა. მოხუცს დოქით წყალი მოქქონდა. დევიკო ნინ გადაუდგა და დასჭევა:

- გამარჯობა, პატრიცემულო ბებია, როგორა ბრძანდებით?!

- თუმა! - ბებერმა თავსაფრის წვერი პირზე მიიღო და თვლები გააცეცა. დევემა აინთშიც არ ჩაადგო მხოხუცის მღელვარება, ჩაეოთხა:

- თუ ჩემი ბებიკო ხარ, კარგად დამაკვირდი და მითხარი, - ეს თავსამკაული მიხედება თუ არაო.

პასუხის მოლოდინში ფხის წვერით შინა მოიჩქნა

დედაბერმა იცნო მენისქელის ბოზოხი; იფიქრა, ნამდვილად ამ საძგვალმა წაართვაო და დოლყაზე ხელი შემოიკა.

- თუმა, ვაძე და ისევ ვაძე!.. რა გინდა, ბიჭო, შენ! როგორ არ გრცხენია! რას გადაგვეკიდე ამ საწყალ ხალხს, ან შენ ან მამაშენმა, განყდეს თქვენი ქოქი! აი, ასე!.. - თავი ვერ შეიკავა მოხუცმა. მისმა შემართებამ დევი თითქოს მოაჯადოვა, პასუბი ვერ გასცა. მხოლოდ მამინ, როცა გაცუხცუხებული ბებერი თვალს უნდა მიფარებოდა, ბოზოხი მოეჩინა, მოზრდილი ქვა აიღო და ოსტატური სროლით დაქო ხელში ჩაუ-ფშენა. წყლით ვანუნულმა დედაბერმა ერთი შექკეველა და ისე მოცოცხა, მის დანახვაზე ვე-რავინ იფიქრებდა, წელში ორად მოხრილი თუ დადიოდა.

ამჯერად დევიკო ძალიან ცუდ გუნებაზე დადგა; თავი ვერ შეიკავა და ცხარე ცრემლე-ბით ატირდა. დიდხანს არ გავუვლია, რომ ზედ ყურთან ალერსიანი სიტყვები ჩაესმა:

- შე საბრალო, რა გატირებს, რა გატვირევ-ბიაო.

გაოცებულმა დევემა თავი ასწია და ფრთებ-ხატულა პეკულა დაინახა. მისი თანდერწობით ისე მოიხიბლა, რომ მამინვე გულთიადი საუ-ბარი გაუბა. მერე, პატრიცისცხის ნიშნად, ბოზოხი შესთავაზა საჩუქრად. პეკულას, აბა, რამი სჭი-რდებოდა? - უარი უთხრა. ოღონდ ისე, რომ არ წსყენოდა. ბოლოს დევიკომ ტირილის მიზეზი გაუთხილა. ამაზე მწერმა უპასუხა:

- აბა რა გითხრა, ჩემო კარგო... იქნებ რამე აწყენინე და ამიტომ გატირებინა, სხვა რა მიზეზი უნდა იყოს, ვერ ნარმოიდეგენიაო.

დევი საფიქრალში ჩავარდა; - გაახსენდა, კომპის სარკლიდან გადმომდგარი ნადირ-ფრინველებს და ადამიანებს რომ უღრიალებ-და ზოლზე; - ჩემს უნებართვოდ ცაში რატომ დაფრინავთ, ან დედამინაზე რატომ დადიართო, ახლავე სამალავებს მიაშურეთ, თორემ ჩემს



ლონიერ მამას ვეტყვი და ყველას მუსრს გაგავლენაო!

ისინი თავზარდაცემულები ვარბოდნენ. ეს დოღრილა კი მუცელზე ხელს იტყაპუნებდა და გულიანად ხარხარებდა.

პეპელამ მისი დუმილით ისარგებლა და უთხრა:

- ახლახან მეც მანყენინეს, თუმცა უნებურად...

- ნუთუ? - ფიქრიდან გამოერკვა დევი, - მითხარი ვინ გაბედა და ისე დაებუგავი, ისე დაგინაყავ!

- უჰ, შენ რა ბრაზიანი ყოფილხარ, - გაცოცდა პეპელა, - უნებურად მოხდა-მეთქი. იცი, პანანინა ყაყაოს ვეოცნდები, როცა ბალახებიდან სამხიელი ზუზუნით ამოვარდა ქიაშია და სრულიად შემთხვევითაი, აქ, ლურჯ ხალზე შეძვრა. ვაიმე... შიშისაგან და ტკოვლისგან კინაღამ გული გამისკდა. ქიაშია შენუხდა: ეს რა დამემართათო, ხომ არაფერი იტყინო, ბოდიში, გენაცვალეო...

მე მართლაც მტკიოდა, მაგრამ იმ კუთხილშობილი ქიაშიას საქციელი საღებუნად დამეღო, გულიც საგულეს ჩამიდგა... - ანაზადად პეპელამ შთისკენ ვადახრილ მზეს ახედა და სუფიანად განავრთო, - ვაიმე, ცოტა დრო დამირჩა. არადა რამდენიმე პანანინა ყვეილის მინდა მოეუერო. გაუხარდებთ, იცი? შაჰ, დაგტოვეთ. კარგად ბრძანდებოდეთ, ჩემო ბატონო.

ამ სიტყვებისთანავე პეპელა წინ გაფარდატყდა. სახტად დაჩრწილმა დევმა შიამბა:

- შენ მაინც რა განყენინე, ჭრელო, რად განიბიხარო.

პეპელამ მოიხედა, დევიკოს ცრემლჩამდგარ თვალებს წაანყდა და ყვაილებს კეც გაფრენა ვადაიფიქრა, ხალისიანად დაუძახა: მოგატყუე, მოგატყუეო... აბა, თუ ყოჩალი ხარ, გამომიკიდე, დაჭეროხანა ვითამაშოთ.

გახარებულმა დევმა ერთი დაიღრილა და გაედგინა. ხან პეპელა იჭერდა, ხან დევი... მათ ზეიშს გაოცებული ნადირ-ფრინველები და ადამიანები შორიდან თვალს ადევნებდნენ: ერთნი - სორიებიდან და ბუდეებიდან, მეორენი ქიხების ვინრო სარკმელებიდან.

კარგა ხნის მერე, როცა მზე მთებს გადაღმა ჩასაგორებლად მოეშხადა, პეპელას ღონე გამოეცალა, ბებერ გვირილანზე დაეჯდა და დაიწორილა:

- მეტი არ შემიძლია, ვერ გეთამაშები, ჩემო კარგო. საცაა მზე ჩაეა და მეც მოეკედები.

- რაი! - შეტბა ბოხობიანი - რა დროს სიკვდილია, შე ცრუპენტელავ... იცოდე, ვგეტობი არ მიყვარს...

- ნუ ვაჯრობ, მეგობარო, - ავენესდა ფრთებხატულა, - ალბათ არ იცი, რომ მე მხოლოდ მზის ამოსწლიდან მზის ჩასვლამდე ეცოცხლობ. შენ კიდევ დიდხანს შეებდავ ამ ცას. ამ მზეს, ყვაილებს... ბევრჯერ ითამაშებ ამუელზე... მშვიდობით, მეგობარო, მშვიდობით! - ამ სიტყვებისთანავე პეპელამ სული განუტყვა.

დევი ერთხანს თვალებს აფახულებდა; თავი ცუდ სიზმარში ვერცა. ბოლოს, ისე საბრალოდ აღრიალდა, რომ კოთხე-კუნჭულებში მიმალულმა ნადირ-ფრინველებმა და ადამიანებმა თანაგრძობითი ამოიოხრეს.

კარგა ხნის მერე, დევმა ფრთებგამლილი, უსიცოცხლო პეპელა მკერდზე მიიღო. მისი გათბობა, სულის შთაბერვა თუ სურდა... მაგრამ ის არ ინძროდა... პოდა, აქამდე უცნობი გრძნობით გათანგულ დევს უხმოდ წამოსცივდა ცრემლები. ტიროდა, ტიროდა, და თან გულში უცნაურად საამო სითბო ეღერებოდა. ამასობაში ჩამობნებდა, მერე დაღამდა, შუალამეც გადავიდა. მაგრამ დევს ძილი არ ეკარებოდა და არც მუხლებში გრძნობდა სისუსტეს. ასე, ფეხზე მდგარს, მკერდზე პეპელამიხუტებულს დაათენდა.

ფილით, შზის ამოსვლისას, ბოხობამ ვადოქრული რამ იხილა: როცა მკვდარი პეპელას რომელიღაც ყვაილის ძირას დაფლვა გადაწყვიტა, ის მკერდიდან ვერ მოიცილა, რადგან მის სხეულში მუხრდილიყო. ვარუდან კი ისე ჩანდა, თითქოს ხახხასა ფერებით მიეხატათ ზედ მკერდზე. სულში კი, პატარა დევის სულში იმხელა სიკეთეს დაებუდებინა, რომ მიელი ქვეყნიერების მოსადგურებლად ეყოფოდა. უცებ, თითქოს ვილაცამ უბრძანაო, თავპირისმტრევით გაიქცა ტყისკენ. ერთი სული ჰქონდა, ყველასთვის ბოდიში მოეხადა, მოფერებოდა, ვისაც გული ატკინა, თუნდაც უნებურად. იმ სირბილში ექვმა გაეკენლა, - ვაითო კვლავინდებურად გამექცნენ, ჩემი დანახვაც არ ისურვონ, მაგრამ მაინც გონების კარხახმა სძლია, - გზა განავრძო. ტყეში შესვლისთანავე დევიკოს გასაოცრად ნადირ-ფრინველები მხიარულად შეეგებნენ. დარცხენილს ყურადღებით მოუსმინეს. ბოლოს, - არა უშავს, ყველაფერი ხდებაო, - გაამხნევეს. მკერდზე გამოსახული პეპელა მოუწონეს, ბოხობიც მუუქეს.

ტყიდან წამოსულმა დევმა ის დედაბერი მოძებნა, რომელსაც დოქი დაუმტვრია; ნადირ-ფრინველებისა არ იყოს, ისიც პირზე ღიმილით შეეგება. დევმა პატიება სთხოვა. მერე, ვეებერთელა კოკებით წყალი მოუზიდა. ამ საქმეს რომ შორჩა, წისქვილში გაიქცა. მოხუცმა მწიქსქვილემ, - შობრძანდით, სტუმაროო, - ხელები ფართოდ გაშალა. დევმა ბოხობი გაუნოდა. იმან, მწიქსქვილემ, - შენ გქონდეს, ძაღლიან გიხდებო, - და თვითონ დააბურა. მერე ხელი ჩაჰკიდა და ხალხის გასაცნობად წაიყვანა.

სოფლის მოედანზე დევიკოს ტამფანდურით შეხედნენ კაცები, ქალები და ზაღლები; ზურუნის ქვეტიტინში და ფოლების ბრაგაბრუვში ისმოდა: ბოხობა-დევი გვესტუმრა, ბოხობა-დევის გაუმარჯოსო. მერე დიდძალ-პატარაიანად დაფაცურდნენ: აქით დედაბრები ჩურჩინებლით და ნახუტებით გაუმსაჰინძლდნენ, იქით კაცები სახვე ყანებით სადღევრძელოებს ამბობდნენ: ღმერთმა ნუ მოგვიშლის შენი თავი, შენი თამაშობით ყველა კეთილ დევს გაუმარჯოსო.



ყველაზე მეტად მაინც ბალღებმა გაიხარეს, ყელზე ხელს იღვლებდნენ და ისე თხოვდნენ:

— ბოხოხა დეეო, მტრინაე ხალიჩაზე დაგვსხი, გველუშპათან საომრად გავვიყოლე, მზეთუნახავის გამოსხნაში გიმშველითო.

— მაგის დროც დადგება, აუცილებლად გაგიყოლებთო! — შეხაროდა დეეიკო თანატოლებს და ნაჩუქარ ტკბილულს უყოფდა.

ასე, ერთმანეთის მოფერებაში გაეიდა რამდენიმე დღე. ერთხელაც დევმა შორს, მთებიდან მომავალი, ქორნილიდან მობრუნებული მშობლები დაინახა. სოფლელებს უთხრა, — ცოტა ხნით დაგტოვებთო და კოშკისკენ გაიქცა. იქ ასელისთანავე შეუჭმელი სასმელსაქმული ხეში გადაყარა, სათამაშოები მოაღაგმოაღაგა, ბოლოს ცოცხს დასწვდა, რომ დეევიც ბიჭ მივიდნენ.

დედამ მუყარას მოზრდილი ყუთი მაგიდაზე დაუო და თქვა:

— შეილო, დაპირებული შაქარყინული მოგიტანე, ოღონდ ჯერ გავიგებ, დაიმსახურე თუ არაო.

უცებ შეილს მიჩერებულმა მამა-დეემა ნამოძახა:

— შენა, ბიჭო, ეს რა დაგიხატია მკერდზე! ევრა მოდაა, ჰა?!

ახლა დედა-დეემა ნამოიკვლა:

— უიმეე, ამას რას ხედავს ჩემი დასახეები თვალებით!

დეეიკო დუმდა; ან კი რა უნდა ეპასუხა? დარწმუნებული იყო, მაინც ვერ გაუგებდნენ.

მამა-დეემა დუმილი დაარღვია, ბრაზმორეულმა ნარბები დაქაჩა და მრისხანედ იკითხა:

— ვისი ხარ, ბიჭო, შენ?!

— კაი ახლა, რა მოხდა ასეთი? — მშვიდობის ჩამოგდება სცადა დეეამ. — პატარა იემშაკა ბავშვმა, უცხოელობა მოისურვა, მაგრამ არაფერია, გაჯეხავ, დავახვანჩალებ და გადაუვა.

— დავახვანჩალებ კი არა, ევა, ჩვენი არაა, დედაკაცო! ნალდად სხვა დეევის შვილია, თვალბებუ ეატყობ!. — მამა-დეეი მზერას არ აცილებდა დეეიკოს. ახლა დედა-დეევიც საეჭვოდ დადუმდა, ბოლოს ჩაეკითხა:

— მართლა სხვისი შვილი ხარ, ბიჭო?

— თქვენი ვარ, ნამდვილად, — დაიურჩულა პატარამ. ამ დროს დაბოღმილმა დეემა დაიქუხა:

— ტყუის! არ დაუჯერო, დედაკაცო! ეილაც-ამ ჩვენი კარგი ბიჭი ნაიყვანა და ეს ლაყე გუდურა მოგვივლო! კარგად ვხედეები, ჩემი მტრების ნამოქმედარია, მაგრამ ვფიცავ, იმათ ამ ამბავს არ შევარჩენი ახლავე მიედივარ შეილის მოსაძებნად.

— მეც გამოგყვები! — ხელჩანთა აილო დედა-დეემა.

მერე მშობლებმა დეეიკო კოშკიდან გააგდეს. თვითონ კი შეილის საძებნელად გასწიეს. კოლოფში ჩალაგებული შაქარყინულიც თან წაიღეს, — გზაში თავს შევიქცევითო. ვინ იცის, დაზაფრული, გაგულისებული დედა-მამა დღესაც დაეძებს თავის ვითომდა დაკარგულ ერთას.

ბოხოხა დეეი სოფლელებთან მივიდა. უთხრა, თურატომ გამოგადეს კოშკიდან.

— მაგას რა სჯობია, ჩვენთან დარჩიო, — გაიხარეს კაცებმა და საუკეთესო კარ-მიდამო შესთავაზეს, მაგრამ დეემა, სოფლის შუაგულში აღმართულ ბორცვზე ისურვა ქოხის ამეწყება.

— ასე განმარტოებით, უმეზობლოდ როგორ იცხოვრებო? — გაიკვირეს სოფლელებმა.

დეეს პასუხზე ბევრი არ უფიქრია:

— იმ სიმალიდან, კარგად დაეინახავ, ვის უჭირს და ვის უღბინს. მეც მუდამ მზად ვიქნები, ვინც ჩემს დახმარებას საჭიროებს, უმალ მხარში მიინდა ამოუუდგეო.

ასე იყო თუ ისე, სულ ცოტა ხანში ბორცვზე ბოხოხა-დეეის ქოხი გაჩნდა. იმ დღიდან დეეიკო სოფლელებს ჭირსა და ღბინში შეეზიარა. სხვათაშორის, არც ნადირ-ფრინველები დავინწყებია.

გაიფანლები, ბოხოხა-დეეი დიდი დეეი გახდა. მერე ცოლი შეირთო და შვილებიც გაუჩნდა: სამი გოგო და სამი ბიჭი. ყველა მათგანს მკერდზე პეპელა პქონდა მიხატული. იქიდან მოყოლებული კეთილი დეეები გამრავლდნენ.

დღევანდელ დროში თუ სადმე ნახყვებით მკერდზე პეპელაგამოსახულ დეებს, იცოდეთ, იმის პაპის-პაპის-პაპა, ჩვენი ნაცნობი ბოხოხა-დეეი იყო. ნუ შეშინდებით, არაფერს გავენებთ, პირიქით, თურამეე გავიჭირდათ, უთუოდ დავებმარებათ. ასეთი დეეები ზომ სიკეთეს ემსახურებიან.



დავით აღმაშენებლის ხელოვნების მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება საქართველოს კულტურის მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მიერ ხელშეწყობილია.

საქართველოს კულტურის მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მიერ ხელშეწყობილია.

შახტაბნ ახალქიანი

## ჩვერბიხევი მაღალი სოფლია

ნოველა

რა ხანია არ მინახიხარ, ჩემო თემელ, სად დაშეკარგე? შე დავიკარგე? შო, მართალი ხარ, მგონი. მომენატრა შენთან საუბარი. დუმილიტ მომენატრა შენი. მოსმენა იცი კარგი. ცუდ ლაპარაკს კარგი მოსმენა სჯობია. სამუნებაროდ, ბევრს ვერ შეუგნია ეს. შენ ლაპარაკიც გიხდება. მაგრამ, მოსმენა — უფრო მეტად. სხვებივით კი არ ხარ, თვალე-ბში გიცქერენ და ვითომ გისმენენ... თავსაც გიკანტურებენ შიგადაშიგ, თავის საქმეზე კი ფიქრობენ, არც გაემტყუნებათ. დღეს საფიქრალ-სადარდებელს რა გამოლევს... აგერ, ზღვისპირა კავეში ჩამოვფედეთ. ვახსოვს, აქ ჩვენი ქაბუკობის დროს ზღვაზე გადამდგარი რესტორანი იყო? სახელიც „ტალა“ ერქვა. ლამაზადაა მოწყობილი ეს კაფე. ვეროპული გემოვნებით. შე კი მაინც იმ ფარღალალა „ტალლისკენ“ მიპინევს გული. ეკა, მოდი აქ, ჩემო გოგონი, ვარცხნილობა გიხდება ძალიან. რა კი ამ კაფეში შემოვედით და შენს მაგიდან მიუფექით, ესე იგი ასე გვიჩვენოდა. მიხედი, რასაც ვამბობ?.. ახლა ორი ყაფა და „ბორჯომი“ მოგვიტანე. ნაღდი იყოს „ბორჯომი“. როგორ მღეროან იმ რეკლამაში? „ქეშმა-რი-ტი ბორ-ჯომი-ში!“ იმიტომ, რომ არაქეშმარიტიც არის. მეტი არაფერი. ნაღდი ახლა... ვაი ჯიშინი გოგოა, ხო იცი შენ, პი-პიი! შო, იმას ვამბობდი, მომენატრა შენთან საუბარი-მეთქი, ხომ არსად გქეპარება? თუმცა, დღეს ხომ შაბათია.

რასაც ვამბობ, შეიძლება უცნაურადაც მოგვიჩვენოს და არ დამიჯერო. შენი საქმეა. მაგრამ გამოთქმა აქეთ რუსებს: «Каждый дурак по-своему сума сходит»-ო. მეც ჩემი მჭირს, ალბათ, ნუ გამიტყუნებ, ძმაო, მხატვარი ვარ. ჩვენ სხვა სამყაროში ვცხოვრობთ. ლამაზია ეს სამყარო. მდიდარიც. ფულით — არა, ფერით. ჩვენი ნილი სამოთხეა ეს და იქიდან გადმოსულები, დევაბიჯებთ დედამინაზე, ყველა ქეშმარიტ ხელოვანში ფიროსმანის სულია. მეტი-ნაკლებად, ცხადია. შენ არქეოლოგი ხარ და დედამინის ნიაღვრეში ექებ დარსხულის საოცრებებს. შვიდი უკვე აღმოჩენილია. მერვეს ეძებთ. ყველა თქვენგანს ჰგონია, რომ თვითონ იქნება მისი აღმოჩენი, რა მნიშვნელობა აქვს, აღმოაჩენთ თუ ვერა, მთავარია, თქვენში უკვე არის იგი — მერვე საოცრება.

ჩვენ კი ზეცაში ვიცქირებით, პოეტებივით. ლეონარდოს უთქვამს თურმე... ვინაა, ბიჭო, დევდარიანი! პარლამენტარი? ვიცი შენი ირონია. მე იტალიელ მხატვარზე გვეუბნები, „ჯოკონდას“ ავტორზე. ფერწერა მუნჯი პოეზიაა, პოეზია კი — ბრმა ფერწერაო, დაუფერება იმ ბრძენკაცს.

სხვა პროფესიას ვერც ავირჩევდი, თემელ. რასაც ექმნი. ჩემი ძარღვებიდან მოდის, ჩემი ნერვებიდან და სისხლის უჯრედებიდან მოდის. იქაა ჩაბატული და თავის რიგს ელოდება. ბედნიერი ვარ, როცა ვხატავ. არც ქაშა მინდა მაშინ, არც არაფერი. დროსაც ვერ ვგრძობ. ვხატავ და ბედნიერი ვარ. აქი ვამბობ, კარგი მოსმენა იცი-მეთქი. სხვები ისე შემომხედავენ, ამას ფესტივალი აქვს თავშიო, ამბობენ. გულში, ცხადია. ერთმა პირდაპირაც მომახალა. იმ რუსული ანდაზით, ზემოთ რომ ეთქვი. სულის მოთქმა არ ვაძალე, გავუქანე და ვლენე. დიდი ხნის ამბავია ეს, ოცდახუთი წელი მაინც იქნება გასული. აჰა, ახლა რაღა დროის ლანა-ლუნია ჩემი. ჯანიც მომვედა მაშინ. არც ახლა ვგრძობთ თავს მოფამფალეულად, მარა... ნლები ადინჯებს კაცს. მილიციაში მიერეს თავი. რატომ ცემყო, მეკითხებიან. ასე და ასე იყო, ვეუბნები. მაგან, უფროსო, მე კი არა, მსოფლიო შემოქმედებით აზრს მიაყენა შეურაცხყოფა-მეთქი. რა-აო?! — მეკითხებიან, — სხვა არაფერიო? ამაზე მეტი რა უნდა ყოფილიყო. — გაცილებული ვაპსულობ. შენ ან გიფიხარ ვილაცა ან ჩვენ გვაბლაცუნებო, — მეუბნებიან. როგორ გეკადრებათ, ბატონო, არც მიფიქრია, — გულწრფელად ვამბობ, — შემოქმედება ღმერთთან საუბარია... დიდი რაფელი... ველასკესი... გოია...

გ დიდი გოია ვინ იყო, არ ვიცი, შენ რომ დიდი გოიმი ხარ, ნაღდიო, — ოხუნჯობს ვილაც. მოვუხედე. პოლკოვნიკი ყოფილა. მაღალი, ლამაზი, ფორმაში მოხდენილად გამონკეპილი. ვერ ორმოცისაც არ იქნება, უკვე პოლკოვნიკია. რაღაც დიდი დამსახურებით, ალბათ. მერე რა, რომ გოია არ იცის, არც რაფელი. ფიროსმანიც არ ეცოდინება. მერე რა. სამაგიეროდ, პოლკოვნიკია. მის ენამახვილობაზე ისეთი ხარხარი ატყდა,

რომ ქალი ავიწყებდა ქერში. ამოჰკარიოთ  
ჭიტლაყი მაგ შემოქმედს და გააგდეთ აქე-  
დანო, მონყალე სახით თქვა და მეორე  
სართულის კინებს შეუდგა. დაბაღჩინოსნებ-  
მა პირდაპირ გაიგეს მისი ნათქვამი. ექვსი  
კაცი იყო იქ... ალბათ, ჩემამდეც ვარჯი-  
შობდნენ ჭიტლაყის ამორტყმამი. კარგა  
ხანს კუდუსუნი მტკიოდა...

ორშაბათი იყო, შუადღე. ვინ თქვა პირვე-  
ლად, რომ თარსია ორშაბათიო, ვინ დააბ-  
რალა. მზე ხან გამოანათებდა, ხან მიიშალე-  
ბოდა ღრუბლებში. მიიშალებოდა და მაში-  
ნვე ნამოვიდოდა თქვეში. არა. ჯერ ტკაპატ-  
კუპს ატეხდა მსხვილი წვეთები, მერე  
მოუხშირებდა. ღვარები დაეკიდებოდა სახ-  
ურავებს. შიშველ წვივებს დაუსველებდა  
ქალებს. ისინიც თავშესაფრებს მია-  
შურებდნენ.

ნელა მიწყავდა მანქანა. უცებ წინა  
ბორბალი ამომტვრეულ ასფალტში ჩავარ-  
და.

— ვაი! — შემომესმა ქალის ხმა. ტროტუარ-  
ს გახედე. კაბას იფერთხავდა ცხვირსახ-  
ოციტი. — პირველად ჩავიცვი დღეს და აი... —  
თვალი შემასწრო, — რას მომჩერებიხართ  
ნეტავი, სხვებიც განუნთ!

მანქანიდან გადმოვედი.

— მაპატიეთ, უნებლიეთ მომივიდა.

— კაბა კი გამოიფუჭეთ და...

— შხად ვარ, გამოვისყიდო შეცდომა.

— მაინც, როგორ?

— ქიმიშენდაში მიგიყვანთ. მაშინვე გა-  
აქრობენ ლატებს, ან...

— ბრძანეთ.

— ახალს ვიყიდო, ბოლოსდაბოლოს.  
ჯიბებში თხუთმეტი ლარი მქონდა  
მხოლოდ.

ქალმა გამომცდელად შემომხედა.

— ასეთს სად ნახავთ?

— ახლა ყველაფერი იშოვება.

— ასეთს ვერ ნახავთ, — გაიმეორა.

მართლაც ძვირფასი კაბა ეცვა.

— მაშინ... უკეთესს შევიძენთ.

— ესე იგი, მე ჩავედები მანქანაში, თქვე-  
ნთან, და კაბის შესარჩევად გამოგყვებით?

— დიახ. ხომ უნდა მოგერგოთ ტანზე.  
მერე კიდეც, თქვენი გამოცხებით უნდა შეე-  
არჩიოთ.

— უცხო მამაკაცს მანქანაში ჩაუფუჯე და  
კაბის შესარჩევად გავეყე?

— რა პრობლემაა. გავიცნოთ ერთმანეთი  
და უცნობებიც აღარ ვიქნებით.

ქალი ლამაზი იყო. აივნის ქვეშ ვიდექით.  
„ნეტავ ერთხანს არ გადაიღოს“, —  
ვფიქრობდი.

— შმ... — ჩაიცინა, — ლიზა მქვია. — ხელი  
გამომიწოდა,

— აფრასიონი.

გამომცდელად შემომხედა.

— ახლა მოიგონეთ

— რა?

— ეგ სახელი ახლა მოიგონეთ?

— არა. მართლა აფრასიონი მქვია. მძლ-  
ოლის მონმობას გაჩვენებთ, — ხელი შერან-  
გის გულისჯიბისკენ წავიღე.

— არ არის საჭირო. ბავშვობაში  
მოფერებით, რა... აფრას გეძახდნენ?

— კი. ერთმა იალქანიც მიწოდა.

— ლიზა კისკისებდა. უხდებოდა სიცილი.

— ნუ გეწყინებთ, არ მომწონს ეგ სახელი.

— მეც, — ამოვიბორე, — მაგრამ, როცა  
მარქმევდნენ, ჩემთვის არ უკითხავთ.

— არც ჩემი მეხატება გულზე.

— არა, თქვენ კარგი სახელი გაქვთ.

თანაც შეგეფერებათ. ლიზა ჩემს წარმოდგ-  
ენაში მალალი, ოქროსფერთმიანი და  
თეთრყირმიზი იყო ყოველთვის. თქვენ ნა-  
მდვილი ლიზა ხართ.

— მონა ლიზა?

— უკეთესიც.

— რას მუუბნებით! — ისევ სიცილი წასკ-  
და.

— თქვენ ცოცხალი ხართ, ესე იგი — უკეთ-  
ესი.

— სასიამოვნო იყო თქვენი გაცნობა,  
ბატონო აფრასიონი... არა, მართლა აფრას-  
იონი გქვიათ? — პასუხს არ დაელოდა, —  
მაპატიეთ, მერქარება.

— კაბა?

შებრუნდა და წავიდა. ლამაზად  
მიდოდა. მზემ გამოიხედა. უცებ შეწყდა  
თქვეში. გადაღმა, ქურჩაში, წვიმდა, აქ კი მზის  
სხივები უამრავ ბრჭყვიალა ძაფებად იღვრ-  
ებოდა ზეციდან და ლიზას თმებს ოქროსფ-  
რად ეთამაშებოდა მონუსხულივით  
შეეყურებდი.

— გამარჯობათ, — შემომესმა. შევტრი-  
აღდი.

— გაგიმარჯოთ. — ნაცნობის ხელს ჩემი  
შევაგებე. მხარს ზემოდან მივიხედე.

მზე ღრუბლებში შემალულიყო. დაც-  
არიელელებიყო ქუჩა.

ქალი ტანზე ჩანდა.

უკ, რამდენ ქალს ჩაუვლია ჩემს ცხოვრ-  
ებაში. სიყვარულიც ბევრჯერ გამომიცდია.  
ნაღვლიან-ფიქრიანი ლამეები მითენებია.  
რას ვიფიქრებდი მაშინ, რომ ჩემი ცხოვრე-  
ბის თავისებურ ისტორიას ვერედი, სადაც  
არაფერია გათამაშებული.

ბავშვი ვიყავი და ბავშვად დავრჩი,  
თემელ.

ამ რამდენიმე დღის წინ მეგობარს ჩემი  
ბავშვობის ეპიზოდი მოუწყვეი, ოთხი წლის  
ასაკში რომ გადამხდა. შენ გგონია, შევიცე-

საქართველო

აღე? — ვეუბნები, — რომ ჩაფუფიქრდები, ისევ ისა ვარ-მეთქი. თვითორონით ვამბობ ამას, ცხადია. გოგიტა კი მპასუხობს... ვინ არის გოგიტა? როგორ თუ ვინ. გოგიტას გვარი რად უნდა, შე კაცო. ვინ იცის, რამდენი გიორგია ჩვენს ქალაქში, გოგიტა კი — ერთი. პოდა, შეუბნება, იცი, რატომა ხარ ასეთი და არა ი-სეთი? იმიტომ, რომ დღესაც ოთხი წლის ბავშვის გულით დადიხარო.

ეს მან დაინახა, თემელ. იმიტომ, რომ თვითონაც ბავშვის გულით დადის.

სიყვარული გიჟური ვიცოდი. მახსოვს, თითქმის პირტიტველა ბიჭი ვიყავი, ისე მომნატრა ჩემი გოგო, ისე, ი-სე!.. დილის ოთხ საათზე წამოვყარდი და მის ფანჯრებს ქვეშ გაეჩერდი. ათუ შენც გიყვარვარ, გაი-ღვიძებ და გადმომხედავ... თუ გიყვარვარ, გაიღვიძებ და გადმომხედავ... — ვიმეორებდი და ვიმეორებდი.

უცებ ოთახში სინათლე ჩაერთო და ღან-დმა გაიარ-გამოიარა. მერე ფანჯარა გაიღო და ჩემმა გოგომ გადმოიხედა. ლოყებზე ხელები იტყია:

— დე-დაა!

— აჰა ვარ, გო! — სიხარულისგან შევებტი და განდაგანას იღეთი შევასრულე.

სახელი? რად გინდა სახელი, წამდვილს მაინც არ გეტყვი. რა მნიშვნელობა აქვს, ნანა ერქვა, ანია თუ ტანია? ერთ-ნუთში ჩემთან იყო. ერთმანეთს ვებვეოდით და ლამაზ სისულელებს ვეჩურჩულებოდით. მთელი ღამე არ მეძინაო, — მითხრა. არც მე, — ვუპასუხე. ვიცი, მთავრი მაინც სხვააო. ვინრია-ალე, ვინრიალე ლოგინში და უცებ ვინატრე, თუ გიყვარვარ, თუ მართლა გიყვარვარ, ადგები და მოხვალ-მეთქი...

მიყვარხარ და იმიტომ მოვედი, — ვპასუხობდი.

იმ დილაადრიან, ალიონზე, დიდი ევკალიპტის ქვეშ... ორივემ ჩვენი უბინოება მიუფძლენით ერთმანეთს.

ეს, ახლაც მიყვარს ი გოგო, ზაფხულის მამობდელი დილა, დღესაც მომრიალე დიდი ევკალიპტი და ჩვენი მოუხერხებელი ფართიფურთი...



ნკვერტიხევი ყოფილხარ, თემელ? პატარა სოფელია აჭარის მთიანეთში. სახელს დაუკვირდი, სახელსაშე თუ მკითხავ, მხატვარი, მწერალი, გინდა კომპოზიტორი რომ გინოდონ, სულაც არ არის აუცილებელი ტილოები, რომანები ან სიმფონიები შექმნა. ვინც იმ სოფელს ნკვერტიხევი დაარქვა, ქეშმარიტი შემოქმედა. ვახსოვს ის ლექსი?... ღრუბლისთავზე გაფრენილი ჩანჩ-

ქერების ჩქერებით, წუნუშეტუფლუქვით ცისარტყელას ფერებში... ნკვერტიხევე ზეა ნათქვამი ნაღდად.

იცი ჩემი მოუსვენარი ხასიათი. ბავშვობიდან ასეთი ვარ. დიდ ხეს მივაფეგებოდი და მანამ ვუტრიალებდი, ვიდრე ზედ არ აფოფხდებოდი ასვლით კი ავიდოდი, ჩამოსვლა მიჭირდა. ბოლოს მომძებნიდნენ, კიბეს მოაყუფებდნენ დარის გაი-ვაგლახით ჩამოიყვანდნენ. ამას რაც მოსკვებოდა, ხეფები. მერე რა, ხეაღე, ვნახოთ, ახალ ხეზე ავცოცებულვარ. ვიზრდებოდი და ჩემი ყინიც იზრდებოდა. ყველაზე მაღალი ლოდოდან უნდა გადაეხტარიყავი წყალში, ყველაზე შორს უნდა გამეკურა, გამორჩეულად უნდა ჩამეცვა, ყველაზე ლამაზი გოგო უნდა მომეხიბლა...

თხუთმეტი წლის წინანდელ ამბავს გიყვები ახლა. ბეშუმში მივდივარ, შუამთობის დღესასწაულზე. გოდერძის უღელტეხილზე გაეჩერდით. საოცარი ხედი იშლება აქედან. დგახარ მოხიბლული, ამ სიტყვის ძირძველი მნიშვნელობით. რაც მეტს ხედავ, უფრო მეტი გრჩება შეუცნობელ-უხილავი. გრძნეულია გოდერძი, რალაც დიდი ჯადო იმალება იქ. ღვთიური ჯადო. ძალიან ახლოს ხარ ზეცასთან, ამიტომაც უფრო მტკიცეულად შეიგრძნობ მიწის სიდიადეს.

აქედან ელაპარაკებოდა თურმე ის მითიური მეგოსანი სამყაროს შემოქმედს.

— რა სოფელია, აი, იქ, მთის კორტობზე? — გკითხულბო და ნასღებში ვახვეულ ფერღობზე მიუთითებ. გუმანით ვხედები, ვილაც უნდა საბლობდეს იქ.

— ნკვერტიხევი. პატარა სოფელია, ხულოს ცენტრიდან საათისხევრის სავალზე. იმ დღებში ნკვერტიხევე ვფიქრობდი. ვგრძნობდი, მეძახდა თითქოს. ერთ ადრიან დილით გარაჟიდან გამოვავორე ჩემი ერთგული „ნივა“ და ვხას გაუფდექი...

— კარქი სოფელია, ჩემო ფიქრო და დერდო, მარა... მეტი მაღალია, იმა ზეიდან ზეცა, მზეი და მასკლავები.

მარჯან ბიძია სოფლის, ასე ვთქვათ, უპორთფელო გამგებელი იყო, მისი სულიერი მოძღვარი.

— მთავრე რატომ გამოტოვეთ, არ გიყვართ?

— თვარე... ვეილობაში იმფო მიყვარდა. გამოვიდოდი ჩუმიად სახლიკისერ, დაკვდებოდი ჩემთვის ე-ომ ქვიძირში და შევაჭყირდებოდი. სულ ჩემ სევიეს ვავდა. მასავით გვალი სახე ჰქონდა და ძალეან თეთრი. ვიცოდე, რომ ახლა ფანჯარასთან იდგა და თვარეს უყურებდა იგიც.

— კარგად საუბრობთ, მარჯან ბიძია.

— ჩემზე ფიქრობდა სევიეიც.

- თქვენც ჰგავდით?..
- მთვარეს თუ... პი-პიის..
- რატომ იცინით?

- თმა-წვერი ახლა მაქ თეთრი, თვარა მაშინ... გვერ, ბუხარში რომ ჯაჭვი შკიღია, იმასათი შავი და დაგრეხილი ვიყავი.

- დაგრეხილი? ჯაჭვივით?
- ახლანდელ კაცებს ქალეზივით ვაქეთ ტანი - რბიილი, ნაააზი, ნამსხვანი მქონდა, დანა რომ დაგვერა, გვერდით ვაგისხლტე-ბოდა.

- უყვარდით?
- სევიეს თუ... ჩემთვის შენ თვარეზე თეთრი ხარო, მეტყოდა. სიყვარული ბრმა-აო, უთქვამთ. ჭვარტლიან ჯაჭვსაც ოქროს ძუნკვად მოვანევენებს თურმე. იმითანაი გოგო მერე ჰადმე აღარ დიშინაბავს.

- მაინც... როგორი იყო?
- არ დამცინოვ, შვილო?
- ეგ რამ ვაფიქრებინათ.
- როგორ ავიხსნა... გვერ, ყანაში, სიშინ-დის ფოჩვებს ზედავ? ტყინტი სიშინდის, ქო. ე, იმითანაი თმა შქონდა. სირმასავით დამ-ვებულე. საფეთქლებთან ჩაკუჭკუჭებული. აქედან შეზედავდი, მზისფრადი ჭირჭვალე-ბდა, იქედან - თვარისფრად.

- მთვარისფერი თმები, მარჯან ბიძია?!
- ხატვარი მენ ხარ თუ მე? ასე ვზედავდი და ვიყვებო. შენც დახატე, თუ გინდა. თვალ-ებს რომ მოვქუტავდი და ვაზედავდი, მას-კლავები ციციანათელობდნენ ზედ. ნარბები შავი შქონდა, მერცხლებივით ვაფრენილი აქეთ-იქით. თვალები - ადრიაიანი ვაზაფხუ-ლის კორდისფერი. ხასხასა ბალახით რომ მიორთავდა და ციციქა ია-იებით მოიჩითე-ბა. მითხარ ახლა, ხატვარო, ამ ყოლიფვრს ტილოზე ვადაიტან?

- არ ვიცი... თქვენ ისეთი ფანტაზია ვა-ქეთ... მეც უნდა დავინახო ეგ ფერწერა, თანაც მართო საღებავებით არ დაიხატება. რალაც სხვა მჭირდება კიდევ. სამყარო მჭი-რდება თქვენი, მარჯან ბიძია.

- პო-ო? იმითანაი გოგო იყო სევიე, რომ ჩაივლიდა... ესეც იცოდე, შვილო, რომ ჩაი-ვლიდა, სულიერიცა და უსულოც თვალს ვაყყოლებდა.
- უსულოც?

- ლამაზი ქალი სამყაროს სიმღერაა, ჩემო ფიქრო და დერდო.



არა, ტყუილად არ მეძახდა ნეკერტიხევი, თემელ. ასე მგონია, ადრეც მიხმობდა, მე კი ვერ ვხედებოდი. გოდერძის უღელტეხილზე ვაივრონე, არა, უფრო დავინახე ის ძახილი. იქნებ იმიტომ, რომ რალაცით გვევართ ვრთ-მანეთს მე და მარჯანი?

მოლბერტზე იდო თეთრი ტილო, მე მის ირგვლივ დაედიოდი. ზოგჯერ მოეუახლ-ოვდებოდი და ხელისგულით შევიხებოდი. ტილო ცოცხალი იყო. იქ უკვე შესახლებუ-ლიყვნენ მარჯანი და სევიე. ნეკერტიხევიც-ჯერ შორეული გოდერძიდან დანახული, მერე - ახლობელი.

მუშაობას შევუდექი. მე და მარჯანს თუ მართლა გვეკონდა რალაც შეუცნობელი საე-რთო, მე დაეხატავდი სევიეს - ქალს, რომელიც არასოდეს შეხილა. ახლა უნდა დამემტკიცებინა (ნეტავი, ვისთვის?), რომ შექმნა მსგავსება, სულაც არაა აუცილებელი, ფიზიკურად იცნობდე.

კარგი გამოვიდა. ვერ მომეწონა... მერე - არა. იმიტომ რომ უცებ სხვანაირად გამო-მეცხადა იგი. ნაეშალე და ხელახლა შევუდექი. შორს, ნისლეში მქრქალად მოიხაზა მარჯანის სახე - ოდნავ მოხრილი მხრები, თეთრი თმა-წვერი, ძარღვიანი ხელები (ხელებში უფრო იყო „ფიქრი და დერდი“).

სევიე აგერ, გვერდით იდგა თითქოს. უცებ გამისხლტა. დამეკარგა. სახელოსნოში დავთორიანობდი უთავბოლოდ, მერე დეი-ანზე ნამოვნებოდი და ქერს მივაპყრობდი მზერას.

იქნებ... სულაც არ არსებობდა სევიე და მარჯანის ფანტაზია იყო მხოლოდ? ჰმ, აქამდე როგორ ვერ ვიანზრე. თუ ასეა, ჩემთ-ან არასოდეს მოვა. თუ ფიზიკურად არ არსე-ბობდა, არ მოვა ჩემთან.

ის იყო, ნასასვლეულად მოვემზადე, რომ, საკვირველებამ! მოლბერტთან იდგა ახალგაზ-რდა ქალი. მარჯანი ტილოდან შესცქეროდა. არ მასხვლო, როგორ ვაქუნდი მოლბერტთან. აუტანელი ხასიათის აღმოჩნდა ჩემი მოხუცი. ხან ეს არ მოსწონდა, ხან ის. სევიეს ესკიზის ტილოზე ვადატანას რომ შევუდექი, ვაყუდა, სადღაც შორეულ კუთხეში ჩაინისლა და იქედან მიცქერდა. დროდადრო მზერას ვაე-პარებოდი. „კარგია, აფრახიონ... პო, ისაა, ჩემი სევიე“ - თვალებით მუუზნებოდა.

რამდენიმე დღეში დაეამთავრე. კმაყოფილი ვიყავი. ვიფიქრე, ვიფიქრე და „სოფლები გოგო სევიე“ ვუნოვდი (სად არის ნეტავ ის ნახატი?). მარჯანს ვაგებდე. არც „შოს“ მუუზნება, არც „არას“. ვხვდები, უფრო სხვა სურს.

„დიდი სიყვარულის სერენადაზე“ რას იტყვი? - ვეკითხები.

იმმუშებთა: „არ გინდა ბრტყელ-ბრტყელი რალაცეები“.

„მოხუცი მარჯანის ფიქრები“ (ღმერთო ჩემო, სად ნაილე, ვერ გამისხენებია!)

ერთხანს სდუმს, მერე თავს მიკანტურე-ბს, იყოსო.



თოთხმეტი წლის განმავლობაში ვინ იცის, რამდენი სურათი დავხატე. მათ შორის, მშვენიერი ქალებისაც. არასოდეს მიმუშავია ისეთი მთავონებით.

დავამთავრებ თუ არა, მარჯანს ავეუტან სოფელში, ვფიქრობდი.

შერე თვითონაც შემოიყვარდა ბალახებით აბიზინებულ მინდორში მოფარფატე ფერია. სახელოსნოში შესვლისთანავე თვალებით მოუძებნიდი ტილოს და გოგონას ოდნავ მოჭუტული თვალების კუთხეებში ვნებიანი სიყვარულის კაემნიან ღიმილს ვეფერებოდი შორიდან.

„ასე მინდოდა თუ თავისთავად გამოვიდოდა?“

გამოფენაზე ყველაზე ნათელი ადგილი მიუჩინე.

ი-იმდენ დამთვალე იერებელში მყიდველი ერთადერთი აღმოჩნდა. ასამდე ნამუშევარს შორის მაინც და მაინც „მარჯანის ფიქრები“ ირჩია.

— იქნებ კიდევ გადაათვალ იეროთ... სხვა შეარჩიოთ...

შეცბა.

— უკვე გაყიდულია?

— არა.

— სხვა არ მინდა.

იმ დღეებში ქესატად ვიყავი და ერთადერთი კლოენტის გამოჩენა ღვთის ნყალობად მივიღე. ვაჭრობა არ დაუნყია. იქვე ჩამოთვალა ფული. პირდაპირ გამოფენიდან ჩამოხსნა სურათი და „ეოლგის“ უკანა სავარძელზე კრძალვით დაასვენა. ერთხანს უყურა, მერე თავი გააქნია და მანქანა დაძრა.

იმ ადგილზე სხვა ნახატი ჩამოვკიდე. კიდევ უფრო მტკიცუნულად ვიგრძენი სიკარგილე.

ათი-თეთრმეტყიოდ წლის ბიჭუნა სოფლის გზაზე საქონელს მიერეკებოდა და ნკრიალა ხმით მღეროდა:

ერთი გოგო შემოიყვარდა,  
ტანთართქალაი, გულთეთრაი,  
მისმა დერდმა იმიტანა,  
ალარ მინდა ქალი სხვაი.  
სიყვარული ისეთია,  
როგორც ბობოქარი ზღვაი.  
ისევ ის თუ დამანყნარებს —  
ტანთართქალაი, გულთეთრაი.

— განარჯობა, ბიჭუნა!  
— გაგიმარჯოთ, ბიძია!  
— კარგად მღერი, პირველად მესმის ეს სიმღერა. რა გქვია?

— ლადო.  
— შო-ო? მაშინ ლექსიც უნდა გამოთქვა. ბიჭუნამ მხრები აიჩქრა და გვერდულად ამომხედა.

— ეს სიმღერა მარჯანისაა. მისი ლექსები და სიმღერები ხალხშია გასული.

— ეგ არავის უთქვამს ჩემთვის. არც — თვითონ. დიდი ხანია, ნკვერტიხეში არ ამოვსულვარ. მისი სახლი...

— ეგერ, იმ კორტოხზეა. თქვენ ვინ გინდათ, თია?

— მარჯან ბაბუ, ცხადია,

ბიჭუნამ თავი ჩაპკიდა.

— ტყუილად ამოსულხართ. ექვსი წლის წინ გარდაიცვალა.

●  
ლიზა გაქრა.

კაცმა რომ თქვას, როგორ უნდა მომეძებნა, არც გვარი ვიცოდი მისი, არც მისამართი.

ქუჩაში შემხედა. შემთხვევით. შეიძლება ერთ საათში განმეორდეს ასეთი შემთხვევა, ერთ დღეში, კვირაში, თვეში...

ან აღარ განმეორდეს. სტუმრად იყო ჩვენს ქალაქში და წავიდა ლიზა.

თავს ვეღარ ვუვლობდი. ჯიუტად ვეძებდი მასთან შეხვედრას. გაეაჩერებდი მანქანას ნაცნობ ადგილზე, გადავიდოდი მახლობელ სკვერში და ჩამოვჯდებოდი ძელსკამზე.

„სულელივით ვიქცევი ეს ხანშიშესული კაცი, — საკუთარი თავის ლანძლვას მოყვებოდი, — დამთავრდა შენი რომანტიკული ახაკი, რით ვერ გაიფე, დამთავრდა! სად შენი და სად ის ახალგაზრდა მზეთუნახავი. ჰმ, თავგადასავალი თუ მოენატრა, ტოლს ვერ მონახავს? მე შენ გეტყვი, ერთხელ თვალი შეველოს ვინმეს და...“

— ბატონო აფრასიონ!

— ?!

— მფორეჯერ მოგმართავთ...

— მაპატიე, ტარიელ.

— ჩაფიქრებული მეჩვენეთ ძალიან.

— ცხოვრება — ჰჰ!

— შოო...

— ახალი რაა შენსკენ?

— გუშინ, კონცერტზე, დონ ბაზილიოს არია ვიმღერე. დარბაზი კინალამ ჩამოინგრა ტაშით.

— შენი გამოსვლის შემდეგ ასეა სულ.

— არ ყოფილხართ?

— სამწუხაროდ...

— ეს როგორ მოგივიდათ.

— პრობლემები მომიმრავლდა ერთბაშად და...

— გამოფენა როდის გექნებათ?

— ალბათ, მალე. ვემზადები.



— მე თქვენი ხელოვნების გულშემატიკვარი ვარ.

— შე კიდევ — შენი, ჩემო ტარიელ.

მოდიოდა ტანგამართული, მხრებგამლილი. გვეგონებოდა, სცენაზეა და პა და პა სიმღერას დაიწყებდა. მარტო ყელი კი არა, ტანითაც მზად იყო ყოველთვის სასიმღეროდ.

„ერთხელ ნაღვლის ბუმტმა შემანუხა ძალიან, ბატონო აფრასიონ. ო, რა ტკივილი სცოდნია, თურმე. არადა, მეორე დღეს კონცერტია. პროგრამა დამტკიცებულია, აფიშები გამოკრული. დიდი საერთაშორისო სიმპოზიუმის დამთავრებას ეძღვნება ეს კონცერტი. ექიმი მომიყვანეს. სომეხია. ქართული იცის, სომხური — არა. ჩოხატაურში დაბადებულა და ვაზრდილა. შოთა კამანიანი — გავეგონება. ამოტ კი არა, შოთა. სამი ბოთლი ნამალი მომცა, ბალახებით შემზადებული. ნოთელი, ყვითელი და მწვანე იყო ნამალი. თითო ჭიქას დალეე, მერე ას გრამ ზეითუნის ზეთს დააყოლებ და ყოველ ერთ საათში... უკაცრავად მითქვამს... ოყნას გაიკეთო.“

მთელი დღე ოყნას ვიკეთებდი და ტულეტში დავრბოდი.

ტკივილები გაქრა. ხმაც — მასთან ერთად.

ჩვეულებრივ, ქუჩის თავში რომ ვლაპარაკობ, ბოლოში ისმის. ახლა ისე ვწურწულებდი, მეც არ მეყურებოდა.

ცისანა, ჩემი კონცერტმაისტერი, შენუხებულია:

- რა გვეშველება!
- კომიდერებ, — ვწურწულებ მე.
- რა?

— ყველაფერი რიგზე იქნება, ციცო, აი, ნახავ. დამიკარ ერთი, „დამისხი, დამალვენი“.

ცისანა მხრებს იჩქნავს და ფორტეპიანოს თავზე ნოტებს ფურცლავს. ლამაზია ეს არია — ქართული ცეცხლით, ფინით, შემართებით, სიტყვებისა და მუსიკის იშვიათი თანანწყობით. ასეთი სახასიათო ნაწარმოები იშვიათია მსოფლიო კლასიკაში.

ცისანა გაოგნებულია:

— ეს ხმა საიდან, ტარიელ?!

გულზე ვიდებ ხელს:

— აქედან.

კონცერტზე ისე ვიმღერე, ბისზე გამომიძახეს.

კორესპონდენტმა ინტერვიუ მთხოვა. ხმა არ მაქვს-მეთქი, მოუბოდიშე.

სახეზე შევატყვე, არ დამიჯერა, შედიდურობად ჩამითვალა. კაი გოგო იყო“.

ტარიელ ფიქინამდე ქუჩის კუთხეში შეუხვია.

●  
დალაგებული ცხოვრება არასოდეს მქონია, ჩემო თემელ. ასე მოვდივარ ბავშვობიდან. აბა, რა კაცი ვარ, ერთი ძარღვინად შეგინებაც არ შემიძლია. რაც უნდა გავბრაზდე და ნამსხვანიდან გამოვიდე, ეგ სიტყვები არ მოვა თავში.

გუმინწინ ანეგლოტი გავიგონე. ნარკომანი და ქურდი ნარდს თამაშობენ თურმე. გააგორებს კოჭებს ქურდი, არ დაუდგება კარგი ხარი, — შენი დედაო... შეიგინებს. გააგორებს ნარკომანი, არ დაუდგება მასაც — ჩემი დედაო...

შოდა, იხახიან ასე — „შენი დედა“... „ჩემი დედა“...

გაბრაზდა ნარკომანი:

— შენ რა, შეჩემა, დედა არა გყავს?!

კატის ცნუტი მყავდა ერთი. თეთრი-თეთრი. ადამიანივით გონიერი. ფაქიზი იყო ძალიან. ეზოში რომ გავიყვანდი, იმდენად გამორჩეული ჩანდა, გვეგონებოდა, სხვა სამყაროდასა მოსულიო. მარკიზი დავარქვი, შეეფერებოდა.

რომ ნამოზიარდა, ბუნებამ თავისი პქნა, გართ გაუნია გულმა. კარებთან დაცუცქედებოდა და ისეთი მუდართით შემოშხედავდა, უარს ვერ ვეუბნებოდი.

ერთ დილით ტალახში ამოგანგლული და დასისხლიანებული მოხრუნდა.

— ეგრამოგვლია, მარკიზ?! — ვეკითხები თავი დახარა, თვალები მოწკურა.

— ნუხელ ეზოში ერთი კატა გავიციანი, — მეუბნება, სიბილა ერქვა. კაი გოგო ჩანდა. მასაც მოვეწვინე. ის იყო, თითქმის დავიყოლიე, რომ...

— განაგრძე, განაგრძე. ყურადღებით გისმენ, — თან სველი ზამბით ვწმენდ.

— ქუჩის მანანნალები დამესხნენ თავს. შენ ვინა ხარ და აქ საიდან გაჩნდიო, — დამხზავიან. მე მარკიზი ვარ და ა-იმ სახლში ცეხოვრობ-მეთქი. თქვენო ბრწყინვალეებაო, ხითხითებენ, ეგ ქუჩის კახა რა თქვენი საკადრისიაო. თქვენ სცდებით, კახა არ არის, თანაც ძალიან მომწონს, — ვპასუხობ. მაგ გოგოს თავი დაანებე და სახლში მიბრძანდი, თორემ... და ისეთი ცუდი სიტყვები დამაყარეს, ვერ გავიმეორებ. მაგას რატომ კადრულობთ, მეგობრებო, სირცხვილია. თანაც ასე ხმაური როგორ შეიძლება, შენუხდება ხალხი, — ვანამუსებ ამაოდ. მოდით, სიბილას ვკითხოთ, ვისაც აირჩევს, იმისი იყოს, — ვეუბნები.

— კარგად ვითქვამს, მარკიზ, — ვაქვბ.

— შენ ასე გგონია, აფრასიონ? — მწარედ ჩაიციანა. — რაღაც კაცური მაინც მეგონა შენში, შენ კი მართლა მარკიზი ყოფილხარო, აგდებით მეუბნება ერთი მათ-





განი. ქალს, ბი-ი-ჯო, მოპოვება უნდა, შენ კი - ეკითხოთ ვისაც აირჩევსო. თფუი! სად ნახე, გოგო, ეს ჯენტლმენი, ახლა სიბილას ეკითხება.

შევხედ-შემოვხედე, ბიჭებო, მომეწონა. არადა, გარეგნულად რა უშავს. პოდა, კინალამ არ მივეციო? - შასუბობს სიბილა.

რა უნდა მოგეცა, - ვეუბნები, მე ხომ შენთვის არაფერი მითხოვია... ამ სიტყვებზე რაც დაუმართათ იმ მანანალა კატებს, ვერ გადმოგცემ. ისეთი სიცილ-ხარხარი ატებს, რომ აქეთ-იქით გაგორდნენ. ეგ ვიღაცაა, მთლად ცოიმი ყოფილაო, ამბობდნენ. გული რომ იჯერეს, მეცნენ და ისე მიმბეგვეს, სული ძლივს მოვიტანე...

იოდი ნაუესვი ქრილობებზე, ზოგიც შეეუხეიე და თბილად ჩავანჯინე. მთელი დღე ინვა. ზოგჯერ ძილში წამოიკრუსუნებდა და შეხტებოდა. მიიხედ-მოიხედავდა და ისევ მილულავდა თვალებს.

სალამოს, ვებედავ, ისევ დაცუცქულა კარებთან...

●  
ლიზაზე ფიქრი არ მშორდებოდა. არ ვიცო, რა იყო ეს, ლამაზი ქალისადმი ლტოლვა, სიყვარული თუ მხატვრის ინტერესი. ალბათ, ყველაფერი ერთად.

რამდენიმეჯერ ვცავე ქალადზე გადამეტანა მისი სახე. არაფერი გამოვიდა.

გული ამყარა ხატვაზე. სახელოსნოში ვეარქვრდებოდი. ერთხელ, თუნდაც შორიდან, მანახა, მეტი არაფერი მიინდა, ვნატრობდი.

ზოგჯერ ექვი შემოიპყრობდა: „იქნებ ყველაფერი მირაჯი იყო?..“

ვიცი, თემელ, შენი ხასიათი. ქალის მეტი რა არისო, მეტკეი შენებურად. მოეშვი შავ როზანტიკულ გატაცებებს, დანეწარდი და კარს მომდგარ სიბერეზე იფიქრეო.

სიბერეს ფიქრი რად უნდა, მე კაცო, თავისით მოდის. წინასწარ გატყობინებს - ხან წელს ავტიკოვებს, ხან გვერდს, ხან მუხლებს შევისუსტებს, ხან... ყველაფერს კერ იტყვი.

ერთხელ, იმ წვეული ქუჩის სვერში ვზივარ. ვებედა, ჩემს „ნივასთან“ შვი „ჯიპი“ ჩერდება. მაღალი და საკმაოდ ტანსრული ახალგაზრდა კაცი ვადმოიხს და პირდაპირ ჩემსკენ მოემუხრება.

- მიცანით?
- ვერა. - ჩაეიწოჩე, - დაბრძანდით.
- ოცდათხუთმეტი წლის იქნებოდა. საქმიანი კაცის ენერჯი და თვითდაჯერება იგრწობოდა მის მიხრა-მოხრაში.
- ალბათ, ძალიან შევიცვალე, - დაიმორცხვა, - აი, თქვენ კი ისევ ისა ხართ.

- გამაღობთ.
- ვანო მქვია, ბატონო აფრასიონ.
- სახელმა ვერაფერი მითხრა.
- ნინკალაძე.
- ვერც გვარმა.
- სიურპრიზი მაქვს თქვენთვის.
- შენ იცი, თემელ, ბავშვობიდან გამ-ოვირჩეოდი ცნობისმოყვარეობით.
- საინტერესოა, გისწენთ.
- თავის დროზე, ბატონო აფრასიონ. ძალიან დამავალბებთ, თუ გამოშყვებით.
- სად?
- ჩემთან, ოჯახში. თქვენი მანქანა აქ დაეტოვოთ. როგორც წავიყვანთ, ისევე და-გაბრუნებთ.

რამდენიმე წუთში „ჯიპი“ სამსართული-ან სახლთან გაჩერდა. სახლი სვეტებიანი იყო და გალავანი ერტყა. ჭიშკარი თავისით გაიღო. ეზოში ულამაზესი პალმები შრიალ-ებდა. ერთ კუთხეში ბამბუკის ფანჩატური იდგა. ჭიშკარი თავისითვე დაიხურა. ფანჩატურის ერთ სვეტზე გალია ეკიდა, მოზრდილი თუთიყუშით.

- მობ-რრრ-ძანდით, ბატონო... ხომ ხელ-ლდი... დობ-რრრო მოქყალოვაც... ანტ-ლლეუ- ველ ქამ- - ენად გაიკრიფა იგი.
- რა ლამაზია და ჭკვიანი, - ალტაცება ვერ დაეფარე, - რა პქვია?
- ციცერონი.
- შეფერება. გამარჯობა, ციცერონ!
- პელოტი, სერ-რრ!. - მერე ზურგი შემა-ქვია, - ვინაა, ბიჭო, ეს ნატ-გავი?
- ვრცელ პოლში შევედი. მასპინძელმა სავარძელი შემომთავაზა, თვითონ ბარში შევიდა.
- არა დალევე?
- ზორჯომს.

ვანომ ზონჩაზე ბორჯომის ბოთლი დადო. მერე მომცრო გრაფინში რამდენიმე წვენი ერთმანეთში აურია, ცოტა ვისკი და რომელიღაც სასმელები აპკურა. ისევ აუ-რია. ისიც ზონჩაზე დადო.

პოლი გემოვნებით იყო მოწყობილი. მარმარილოს იატაკზე სპარსული ნოხები ეფინა. მეორე სართულზე ამაველ რიკულებიან კიბეს მდიდრული ფარდავი მიყვებოდა. კედლებს ძვირფას ჩარჩოებში ჩასმული ტილოები ამშვენებდა. ერთ სურ-თზე აბრეშუმის ნაჭერი იყო ჩამო-ფარებული.

- ახალია? - ვკითხე.
- არა. არც ძველი. როგორ მოგეწონათ ჩემი მომზადებული ფუნჯი?
- ჯერ არ გამისინჯავს.
- მე განსაკუთრებული სტუმრებისათვის შევამზადებ ხოლმე.
- გამაღობთ.

მოვსევ. უცებ მწყურვალეით გამოვც-  
ალე ჭიქა. ისევ შემივსო. ჯერ სითბომ დამი-  
არა, შემდეგ ნყნარი სიგრილე შემოვიდა და  
ჩამეფინა ტანში.

— ფიჯის კუნძულებზე მასწავლეს მისი  
შეშაადება. ოჯახით ვისვენებდი შარშან.  
ფურჯის თაიგული რომ შეიგრძნო, ნება-ნება  
უნდა სვა.

მასპინძელი ნამოდგა, სურათს მიუახლ-  
ოვდა და ფრთხილად მოსწია ფარდის  
ზონარი. ქსოვილი ნელა ჩამოცურდა ნა-  
ხატიდან.

„ისაა, ჩემი მარჯანის ფიქრები!“

— იცანით? — მკითხა.

თავი დაეუქნიე.

— მეც მიცანით?

— დიხ. მაშინ, მგონი, ტანწერილი ყმან-

ვილი კაცი იყავით.

— როგორც კი შევიძინე, მაშინვე სოფე-

ლში აეუტანე მარჯან ბაბუს.

— როგორ შეხვდა?

— ქალადღი შემოვაცალეთ თუ არა,

მუხლებზე დაეცა... ჩემი სევიე, ჩემი ფერიად

ქვეული ოცნებაო, ჩურჩულებდა.

მასპინძელი გაჩუმდა. დუმილი გაგრძე-

ლდა.

— ასე მგონია, მარტო მაგის სათქმელად

არ მომიწევით, — ეთქვი ბოლოს.

— მალე მარჯანი გარდაიცვალა. მე მათი

მომხვალე სიძე ვიყავი და მარჯანის თხ-

ოვნის თანახმად, ნახატი ქალაქში ჩამოვი-

ტანე.

— ჰო, ეგ თქვენი საქმეა.

— ბატონო აფრასიონ, აქეთ მობრძანდით,

— ვანომ მკლავში გამომლო ხელი და პოლის

შორეული კუთხისკენ წამიყვანა. — აქედან

გაეხედოთ ახლა...

შვეტრიალდი. უცებ გაეხევი. სურათის

ქვეშ სევიეს ორეული იდგა. ისეთივე კაბით,

მზისფერ-მთვარისფერი გრძელი თმებით...

თვალები მოვიფუნე.

— ?

— არა, ბატონო აფრასიონ, ეს ღიზაა —

მარჯანისა და სევიეს შეილიშვილი და ჩემი

მეუღლე. მე მხატვარი არა ვარ, მაგრამ ვი-

ცნობ შექმნილ სულის რთულ და ფაქიზ

ხეულებს... როცა ღიზამ მომიტხრო იმ ნეი-

მიანი დღისა და თქვენი უცნაური ქცევის

შესახებ, მივხვდი, შეუცნობლად გაიღვიძა

თქვენში სევიეს სახემ...

— საიდან იცოდით, რომ იქ მიპოვიდით?

— რამდენიმეჯერ სახელოსნოში მოგაკი-

თხეთ. დაკეტული დამხვდა. ღიზამ მითხრა,

იქ იქნებაო...

ჭირის ოფლმა დამასხა.

— მე მარჯანის თხოვნა შევასრულე...

ცუდი არაფერი ჩამიფენია... თუ არ გსურთ

ეგ ნახატი, შემიძლია გამოვისყიდო... —

ვლულულულებდი.

— ეს ჩვენი ყველაზე დიდი განძია.

იმიტომ, რომ იქ მარჯანი ბაბუ და სევიეა.

იმიტომ, რომ იქ ჩემი ღიზაა — სევიეს ხატე-

ბა და შეილიშვილი. ჩვენ რამდენიმე წელია,

ქალაქში ვცხოვრობთ, მაგრამ ღიზა სიზმ-

რებში და ფიქრებში სოფელში დაფრინავს.

იქ მას... სევიეს ეძახიან. კიდევ იმიტომ, რომ

იქ ჩვენი ნკვერტიხევია — ყველაზე მაღალი

სოფელი.

ვანო სურათისა და ღიზას წინ გაჩერდა.

უცებ მუხლები მოიყარა. ქალი შეირხა და

მის თმებში ვარსკვლავები ათამაშდა. ქმარს

თავზე შემოხვია მკვლავები და მიიზიდა. მერე

ნელ-ნელა ჩაცურდა დაბლა, თავი დახარა

და კაცის მხრებზე მიმოაბნია უღამაზესი

კულულები...

მე პოლიდან გამოვედი, სწრაფად გადა-

ვჭერი ეზო. ჭიშკარი თავისით გაიღო.

— გუდ ბაი, სერრრ! — მომამახა ციცერ-

ონმა, — ვინაა ეს კრ-რრეტინი!.

ჭიშკარი თავისითვე ჩაიკეტა.





6060 ახათიანი

## გალაკტიონი პოეზიის არსისა და ღანიშნულაბის შესახებ

### ლიტერატურული წერილების მიხედვით

შემოქმედების სანაყის ეტაპზე (1905-1912 წ.წ.) გალაკტიონის თეორიულ ნააზრევს, ისევე როგორც მის პოეზიას, ილიასა და აკაკის აირდილი ადენია. ეს ბუნებრივიცაა, რადგან იმდროინდელი ქართული საზოგადოება კვლავ სამოციანელთა იდეებით ცხოვრობს და ლიტერატურული გემოვნებაც მათ მიერ გაკე-  
ალულ გზას მიჰყვება. ქართული ლექსის ფერის-  
ცვალება ჯერ არ დაწყებულა. გალაკტიონიც მხოლოდ შევირდია და მონადფური ერთგულე-  
ბით ბაძაქს კლასიკოსებს. მათგან სესხულობს არა მხოლოდ თეემებს, არამედ სახეებს, ფრაზე-  
ბა, ინტონაციას.<sup>1</sup>

1906 წელს 15 წლის გალაკტიონი ლექსში „დააკა“ მწერლობის დანიშნულების საკითხს არკვევს. ილიასა და აკაკის მსგავსად იგი პოეტს ერის სამსახურს უსახავს მიზნად. უფრო ადრე მის დაუქერია ლექსი სათაურით „კალამი“, სადაც იგი მწერალს პირდაპირობისა და შეუდრეკლობისაკენ მოუწოდებს. ხოლო ლექსში „მუზა“ სიმართლისათვის ბრძოლაა მიჩნეული შემოქმედის უპირველეს მოვალეობად.

1908 წელს თბილისის სასულიერო სემინარი-  
აში ჩარიცხვისთანავე გალაკტიონი აარსებს ხელნაწერ ჟურნალს „მუქი“, რომლის მონიშ-  
ვე სტატიაშიც ეკითხულობთ:

„მზის მუქი ერთგვარი თავისებური მებრძო-  
ლია. ის შეუდრად და შეუპოვრად აპობს სიბნე-  
ლის ძალებს, გულის სიღრმეშიც სწედება მის  
საიდუმლოს, რომ შემდეგ შუაგულიდან გააპოს  
სულის შემხუთავი, გულისმქენჯავი, ბნელი  
ატიმოსფერო. ჩვენი ახალი გაზეთი „მუქიც“ იმავე  
მიზნის განხორციელებას ეცდება. ეცდება იცნო-  
ს, გააპოს და ოდნავადაც არის გაანათოს სიბ-  
ნელით მოკლერი სემინარიის ატიმოსფერო... და  
თუ უკანასკნელი მისთვის შემოქმედებელი მოქე-  
მნა, ის კი შესაძლებელი იქნება, რომ მოსწავლე-  
ებს ეს ჯურღმულის ავი და კარგი გაარჩევი-  
ოს.“<sup>2</sup>

ცხოვრების ავ-კარვის გარჩევა, ბნელის გა-  
ნათება და სინამდვილის გარდაქმნა, გალაკტი-  
ონის აზრით, მხოლოდ ჟურნალისტურ-  
პუბლიცისტური მოღვაწეობის დანიშნულება  
როდია, იგი ხელოვნებასაც ამავე მიზანს უსა-  
ხავს. ამ წერილში არა მხოლოდ განწყობა,  
ინტონაციაც კი ილიასეულია: „მაგრამ იცით, რა  
სიღრმის არის ეს ჯურღმული, ან ჩასწვდება მას  
ჩვენი „მუქი“ თუ არა?“<sup>3</sup>

იმ აზრს, რომ ხელოვნება სიბნელეში  
მყოფთა ერთადერთი იმედია, გალაკტიონი გა-

ნსხვავებული ფორმითაც გამოხატავს  
ჟურნალის იმავე ნომერში. ამ მხატვრულ-  
პუბლიცისტური მინიატურის სათაურია:  
„როდის ჩამოგვენდება მუქი?“

„იტანჯებოდა, მაგრამ მაინც ელოდა...  
სიცოცხლე კანკალდება კუბებში მიყვნილი გლახა...  
ობრავდა, „ახ, როდის იქნებაო“ — ამბობდა ის...  
როდის იქნება... საცოდაო, ვინ იცის როდის  
ამოვა შენთვის  
დაბნელებული მუქ, როდის გელირება „მუქი“?  
შენ ხარ ეს, საცოდაო ზემინარიელო, შენ ხარ  
სიბნელეში მიგდებული,  
მზის ნათეს მოპორებული.  
შენ ხარ ის გლახა.  
შენ ელი „მუქს“...“

ამგვარი რევოლუციური განწყობილებით  
იყო გაღვლენილი მაშინდელი ქართული საზო-  
გადოება და სემინარიელებიც ფებს უწყობდნენ  
საერთო სულისკვეთებას. „მუქი“  
დემოკრატიული იდეებით და საბრძოლო შემა-  
რებით გამოირჩევა. იგიადვიტომპრობის  
დამხობისკენ მოუწოდებს მკითხველს. თანაც  
ახლოვდება აკაკის იუბილე და ეს თარიღი საე-  
რთო რევოლუციური ატიმოსფეროს ფონზე  
სიმბოლურ დანიშნულებას იძენს. „იგი იქნება  
მთელი საქართველოს გაერთიანების, ქვეყნის  
წინსვლის, ქვეყნის მომავალზე ზრუნვის, ქვეყ-  
ნის მონობის უღლისაგან განთავისუფლების  
წყურვილის გამოსახულება, ხალხი პირდაპირ  
შეხვედება მის სულისკვეთების გამოხატველ  
გენიას“<sup>4</sup>, — ასეთ შეფასებას აძლევს სემი-  
ნარიელი გალაკტიონი აკაკის იუბილესთან და-  
კავშირებულ მომავალ სახალხო ზეიმს. ამის  
მიზეზი კი ის არის, რომ აკაკი ხალხის სულის-  
კვეთების გამოხატველი მგოსანია, „ხალხის  
მეილია“, კარგად ესმის ავი და კარგი.<sup>5</sup>

როგორც ვხედავთ, საერთო ატიმოსფერო  
ქმნიდა ფონს იმისათვის, რომ სამწერლო  
ასპარეზზე გამოსული ახალგაზრდა პოეტი  
დემოკრატიული სულისკვეთებით ყოფილიყო  
გამსჭვალული ლოზუნგი ხელოვნება ხელოვნ-  
ებისათვის“<sup>6</sup> ამგვარ ვითარებაში ისეთი  
მკრეხელობა იყო, რომ არა თუ დაწყები პოეტი,  
გამობრძმედილი ხელოვანიც მოერიდებოდა  
მის დროშის ქვეშ დადგომას. სწორედ ამ  
კუთხით აკრიტიკებს გალაკტიონი 1912 წელს  
სიმბოლისტურ მიმდინარეობას პოეზიაში.<sup>7</sup> გა-



ლაქტიონის აზრით, ლიტერატურა ხალხისათვის არსებობს, ამიტომ დაკარგულია ნიჭი, რომელიც საზოგადოების სამსახურში არ იხარჯება. აქედან გამომდინარე, ხელოვნება გამოკეთილი იდგის მატარებელი უნდა იყოს, სიმბოლისტთა ლექსები კი ბუნდოვანი და ირაციონალურია: ძირითად ყურადღებას ლექსის ტექნიკას აქცევენ, რეალურ შინაარსს კი მათ ჩანაწერებში ვერ დაიჭერ. „მართლაც რომ მწველია ამ ახალგაზრდათა ნაწერებში იდგის გამოკვეთა და ხატად ნინ დასავენება“<sup>1</sup> გლავაკტიონი ამ წერილში – „სიმბოლიზმი უცხო და ქართულ პოეზიაში“, – უარყოფს „ხელოვნებას ხელოვნებისათვის და მხარს უჭერს სამოქალაქო მოტივების შემქმნელ პოეზიას. მისი აზრით, პოეზიის დანიშნულება მასების ინტერესების დაცვაა, ამიტომ ლექსი არა მხოლოდ გამოკეთილი შინაარსითა და მაღალი იდეურობით, არამედ ფორმის სისადავითა და დახვეწილობითაც უნდა გამოირჩეოდეს. საგულისხმოა, რომ ახალგაზრდა გლავაკტიონი აკრიტიკებს სიმბოლისტებს ხელოვნური სიტყვათქმნადობის გამო, რაც შემდგომში მისი პოეზიის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებად იქცა.

საინტერესოა აგრეთვე გლავაკტიონის აზრი ბეკურეთის, ანუ ლექსის ეფოზიის შესახებ. იგი წერს: „მე განვებ ნაუკუთხებ ერთ რუს გლეხს ბროუსოის ერთი ლექსი, სადაც მივ გამოურია: **И подвиг твой, в веках высок!** და ის გაკვირდა, თუ როგორ შეიძლება ორ სიტყვაში ამდენი აზრი. ხმა «ვ» გამოურია ოსო. და მართლაც დაუკვირდა: **И подвиг твой, в веках высок!**“<sup>2</sup>

საიუარია! გლავაკტიონი ალიტერაციის წინააღმდეგია (სიმბოლიზმურია აგრეთვე პოეზიის შემფასებლის როლი გლეხის გამოყვანა). თუ-ცა გლავაკტიონის ეს შეხედულება ჯერ დასაწყისია, წინ არის „არტისტული ყვაილები“ და ის პოეტი, ვისი ლექსების ალიტერაცია პროზაისა და სავანებო გამოკვლევებს მოუძღვნიან. ამ პერიოდის გლავაკტიონ-თეორეტიკოსს და შემდეგში პროზოდის გლავაკტიონ-პოეტს შორის უზარმაზარი უფსკრულია.

როგორც უხედავთ, შემოქმედებისა და თეორიული აზროვნების პირველ ეტაპზე გლავაკტიონი მატერიალსტური ესთეტიკის ერთგულია. 1915 წელს ვაჟა ჯორჯიას თხზულებებისადმი მიძღვნილ რეცენზიაში იგი უარყოფს ხელოვნებაში სინამდვილის ფორტგრაფიულ ასახვას და აღწერილობას,<sup>3</sup> თუმცა ეს ჯერ კიდევ არ არის გარდატეხის დასაწყისი მის თეორიულ აზროვნებაში.

შემოქმედებაში კი გარდატეხა უკვე დაიწყო! 1915 წელს გლავაკტიონი აქვეყნებს ლექს-მანიფესტს „ART POETIQUE“, რომელიც გამოძახილია ვერლენის ცნობილი ლოზუნგისა: „მუსიკა, მუსიკა უპირველეს ყოვლისა!“ მზადდება არტისტული ყვაილების გამოცემა (1915 წ.), რის შემდეგაც გლავაკტიონი ერთბაშად ხდება ქართული ლექსის რეფორმატორი. თუ პირველ კრებულში ის ჯერ კიდევ შვეიცილია – ტრადი-

ციული თემებით, მოტივებითა და მიმართებით, მეორე კრებულში უკვე მეტრია, ქართული პოეზიის ნოვაციათა კანონმდებელი.

მოვიდა ახალი პოეზია, რომელიც დაუპირისპირდა ძველს, უპირველეს ყოვლისა, ტროპულ-სახეობრივი თვალსაზრისით. მოვლენებზე უშუალო საუბრის ნაცვლად ჩვეულებრივი გახდა მინიშნებები, სიმბოლოები, სახეების გართულება<sup>4</sup>, „მოვლენათა გასაიდუმლოების ხელოვნება“<sup>5</sup>. გლავაკტიონი ეძებს ახალ სიტყვებს, რომლებიც საგანთა და მოვლენათა აქამდე უცნობ მხარეს გვაზიარებენ. განსაკუთრებულ ყვლილებას განიცდის რითმა. ზუსტი რითმა უკან პლანზე გადადის, ხშირდება ასონანსები და, რაც მთავარია, ჩნდება ყონსონანსები, რაც მანამდე უცხო რამ იყო ქართულ პოეზიაში, იხადება (იშვება) მანამდე არჩახული რითმა: სილაში ვარდი – სილავეარდე.<sup>6</sup>

არსებითი ცვლილებაა გლავაკტიონის თეორიულ ნაშრომებშიც. 1921 წელს დამდგეს გლავაკტიონი ჯერ მწერალთა კავშირის კრებაზე კითხულობს, შემდეგ კი ფურნალ „აღმისში“ აქვეყნებს ნერილ-მანიფესტს – „პოეზია უპირველეს ყოვლისა“. ეს სათაური-მოწოდება ლოზუნგის „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ სახეცვლილი ფორმაა. გლავაკტიონის აზრით, სრულიად არ არის საჭირო, რომ პოეტმა ყველა გამგელელ-გამომგელელს ასაბოცონოს. მამასა-დამე, თუ ადრე მიაჩნდა, რომ პოეზია მასისთვის ხელმისაწვდომი, სადა და დახვეწილი უნდა ყოფილიყო, ახლა მის ელიტარულობას აღიარებს. თუმცა კვლავ ხაზს უსვამს ხელოვნების საზოგადოებრივ ფუნქციას. გლავაკტიონის აზრით, პოეზია არის საუკუნის თვალი მომავლი-საკენ. ასევე უსვამს რჩება „ხალხურობის“ მოთხოვნაც: „ჩვენ ყოველთვის ყვოფილვართ ხალხთან, მაგრამ მომავალში მეტი სითამაშით უნდა ვტრიალებდეთ ხალხში. იქ დაგროვილია უმრავლესი გრძობები: ნყურვილ სიყვარულის, ნყურვილი ოცნების“<sup>7</sup>. თუმცა ეს „ხალხი“ უკვე „ახალი ხალხია“, ახალი ადამიანები. რომელთაც ეზიზღებათ ყოველივე არა-ეთიკური და პოეზიამაც ამ ხალხს ახალი ეთიკა“<sup>8</sup> და პროზაშიცათა ახალი გამოუქება უნდა მოსცეს. „ჩვენ მიესცამთ ხალხს ყველაფერს, კეთილმოხილურს, ახალ ეთიკას, ახალ წინასწარმეტყველურ განათებას პრობლემებისას, ჩვენ იქ მოვხახავთ ახალ ადამიანებს, რომელთაც ეზიზღებათ ყოველივე არა-ეთიკური და მახინჯი, სწყურიათ თეთრონ გადაიქცნენ ხელოვნების ნაწარმოებად. ჩვენი დაახლოება ხალხთან გვიჩვენებს, როგორი სიზარბით ენადება იგი ყოველგვარ მატერულ სიტყვას“<sup>9</sup>.

გლავაკტიონისთვის კვლავ მიუღებელია უიდეო პოეზია, ასეთად იგი სიმბოლიზმს მიიჩნევდა და წინამდებარე წერილშიც უარყოფითად მოიხსენიებს ამ მიმდინარეობას, უწოდებს რა „კავებმანტანების პოეზიას“. „ხალხის სახელით ჩვენ უნდა უარყუთო კავებმანტანების პოეზია; იგი დამახასიათებელია საშინლად

დაცემის მდგომარეობის ხანისა, დეკადენსის. აქ პოეზია ხდება „სკანდალების“ ხელოვნებად, ისეთი ხალხის გამართობად, რომელთაც არავითარი მორალური იდეოლოგია არ ახასიათებს, სრულიად უნდა განვთავისუფლდეთ აგრეთვე იმ კონსერვატორიზმისაგან, რომლითაც ნაწილობრივ შეზოქილია თანამედროვე შეგნება პოეზიისა.“<sup>8</sup>

გალაკტიონი იწუნებს, ერთი მხრივ, ულტრამოდერნიზმის მიმართ, ხოლო მეორე მხრივ, ტრადიციის შემოჭრელი ძალების და კონსერვატიულობისაგან განათავისუფლებას მოითხოვს. ამ ნერილიში იგი ახალ პოეზიის ადუპტად გვეკლინება: „მართალია, მუშურალებელი მოსამართლე ვიყავით წარსულისა და სასჯელისათვის ექმნიდით სრულიად ახალ კანონებს, მაგრამ ეცდილობდით არ დავეტოვებინა სამართლიანობის საზღვრები.“<sup>9</sup> ახალ პოეზიას, „ახალ ტაძარს“, ახალ რიტმს“ თან ახლავს „ხალხურობის“ ახალი გავრცობა, რომელიც განსხვავდება „ხალხურობის“ იმ გავრცობისაგან, საშოცაინებლები რომ აყენებდნენ. „ხალხურობის“ ეს განსხვავებული იდეა პირველად გრ. რობაქიძემ წამოაყენა. 1915 წელს აკაკისადმი მიძღვნილ სტატიამ იგი წერდა: „რომელიმე პირატული (საიდამლო, მხოლოდ მწიროფლათის ვასაგები) ხაზმოსმა ენის სტრიქონისა უფრო გულისხმიერია, და მამასადამე, უფრო ხალხურია, ვიდრე ყოველდღიური სიტყვა იმავე ხალხისა.“<sup>7</sup>

გრ. რობაქიძის ეს სიტყვები წარმოადგენდა ახალი ხელოვნებისაკენ მონოდებას. კერძოდ, ახლდურია „ხალხურობის“ გავრცობა. პოეზიის ენა არ არის ჩვეულებრივი მეტყველების გამზატურულება. იგი ახალი მეტყველებაა, ისევე როგორც პოეზია ახალი სინამდვილე და არა სინამდვილის უბრალო ასახვა. ეს იყო პრინციპულად ახალი თვალსაზრისი, რომელიც მოდერნიზტულმა პოეზიამ მოიტანა. ამით დაუპირისპირდა ქართულ პოეტთა ახალი თაობა აკაკის სკოლას.

მოკვლევებით, 30-იან წლებში, როგორც ნ. აგიშვილი იხსენებს, ახალგაზრდა პოეტებთან საუბრობისას გალაკტიონ ტაბიძემ ამგვარად ჩამოაყალიბა თავისი აზრი ჩვენთვის საინტერესო საკითხზე: „გქონდეთ საკუთარი სამყარო, რომელიც არაფრით შევადგეს ნამდვილს, მაგრამ პრელური კი იყოს. უნაა ჩემი შემოქმედების საიდუმლოება.“<sup>8</sup>

1922 წელს დაწერილ ეს სტუმრულში „პოეზიის დღე“ გალაკტიონი აღნიშნავს, რომ „პოეზია საქართველოში იყო ყველაფერი, რაც ცოცხლობდა, მოძრაობდა, ხმაბაღლა გაიძახოდა.“<sup>9</sup> საქართველო არის დიდი წარსულისა და პოეზიის ქვეყანა, მაგრამ თანამედროვე პოეტი გრძნობს, რომ არ მიძიდება ცხოვრება მხოლოდ წარსულით, ახლა საქაროა ახალ ფორმებზე გადასვლა. ცხოვრება წინ მიდის და პოეტი არ უნდა ჩამორჩეს მას. „მეხუთე საუკუნის სტილი შეგნის თვითმეხუთე საუკუნეს, მაგრამ ჩვენი საუ-

კუნისათვის მარტოოდენ ძონძებია... ახალ ცხოვრებას სჭირდება ახალი ფორმები, ახალ ფორმებს კი ახალი სიტყვები.“<sup>10</sup>

ეს მონოდება საესებთ შეეფერება პოეტს, რომელმაც ნამდვილი რევოლუცია მოახდინა ქართულ პოეზიაში და შემლო მოეცილებინა „შემოქმედილი სიტყვი ვარდამავალი ლანდების“ განახლებისაკენ მონოდებას წარმოადგენს აგრეთვე „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ პირველი ნომრის წინათქმა: ... საქართველოს ყოველ კუთხეში იპოვით თქვენ ნანგრევებს წარსულისას, მაგრამ სიმშვიდესა და მოსვენებას ვერსად გერ იპოვით! აირჩიეთ ირწი ერთი: განახლება ან სიკეთილი და ამიერიდან ქართული ხელოვნების დევიზა: განახლება ან სიკეთილი.“<sup>11</sup>

უაღრესად საინტერესოა ცნობილი ქართველი მოქანდაკის, იაკობ ნიკოლაძის მოდერნიზმის 25 წლისთავის იუბილესადმი მიძღვნილი ნერილი, რომელიც „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ მეორე ნომერში გამოქვეყნდა. ეს ერთგვარი დამიფრული ტექსტია, რომელშიც ავტორი სიმბოლური სახეებით მეტყველებს: „ჩვენს ქვეყანაში დღეს იბადება იდეა მეტელანჯელოსი, უდიდესი იდეა მითიური, გიგანტური ლანდმავტისი შექმნისა, ზღვის პირად, ბუნებრივი კლდეებისაგან, რომ მუხლავარება შორიდან დაინახოს იგი... ტიტანური მთების ლანდმავტი ზღვის პირად! აი, დევიზი დღევანდელი დღის. თანამედროვეობაც იმ ზღვას პგავს, იმ მბრუნავ მალსტრომს, რომელზედაც დაუნიყარ ლღვენდებს ქმნიდნენ: ეუბარი პო, არტურ რემბო, ბოდლერი და რანაირი ნუგეში იქნებოდა მათთვის, შორიდან მაინც მოეკრათ თვალი უდიდესი ქანდაკებლისათვის.“<sup>12</sup>

ნათქვამის აზრს რომ ჩავენდეთ, გალაკტიონის პოეზია უნდა მოვიმველიოთ. ზღვა გალაკტიონის პოეზიაში ცხოვრების გამოზატყველი სიმბოლოა, ხოლო მეზღვაური ის პოეტიკი-მოლოგიზია, რომელმაც ეს უნდა გაიკვლიოს მის ბობოქარ ტალღებში.<sup>13</sup> მარლ ბოდლერისათვის ხომ პოეტი „ურჩი მენავეა“ ან „საოცარი მენავე“.<sup>14</sup> მრავალი დაბრკოლების გადაძალაზე გალაკტიონს აღმოხდება: „არ ღრიანცელში ვიდოდა გემი, რა სამიში იყო ტყუეკული, ყველგან, ყოველში მარზია ჩემი სულის ნაწილი შეუმწვეველი“ („არ ღრიანცელში ვიდოდა გემი“) ზღვის გადავლა გალაკტიონთან გადარჩენის ტოლფასია („გადავიარეთ შრისხანე ზღუები“). გალაკტიონის ერთ-ერთი დეტქსის მიხედვით, მეზღვაურმა ანუ პოეტმა ისე უნდა მართოს იალქანი, რომ ქარიშხალმა მსოფლიოს ცენტრში, უდიდეს ვარსკვლავთან მიიყვანოს: „როგორ მშფოთვარება, როგორ ბრწყინავს თებალუნდენელი ზღვა, სადაც გრიგალი არის მხოლოდ ყოვლისმპყრობელი, ერთადერთი სიბრძნედი მინაჩნია, რომ ამ გრიგალთან ისე მოაწყო იალქანი დაუცხრომელი, რომ ქარიშხალმა ნაიყვანოს სიცოცხლის ნავი იქ, სადაც მთელი მსოფლიოს ბრწყინავს ვარსკვლავი“ („იალქანი დაუცხრომელი“).



მეზღვეური პოეტია, რომელსაც ზღვა, ანუ ცხოვრება მითათქმით ემუქრება, ამიტომ საჭიროა (დროის მოთხოვნა), რომ ზღვის პირად აიგოს „ტიტანური მთების ლანდშაფტი“, ის ორიენტირია, რომელიც ახალმა ხელოვნებამ უნდა შექმნას, რათა არ დაიღუპონ „მთვრალი ხომალდები“, ანუ გზას აცდენილი მეზღვეურები (პოეტები) უსივრცო ოკეანეში. ორიენტირების შექმნა გალაკტიონის აზრით, აუცილებელია, რადგან ყველას და ყველაფერს ნაართვა ფერი ჩვენმა დამანაცრებელმა დრომ. ყველას ვამზნევება სჭირდება.“<sup>25</sup>

ეს ნერვილი მოწოდებაა ახალი ხელოვნებისაკენ, ახალი ორიენტირისაკენ, რადგან ის, ვინც გზას ვერ გაიკვლევს ოკეანეში, ანუ ფეხს ვერ აუწეობს ახალ საუკუნეს, სამუდამოდ დაინთქმება ვეცოთასახალაოვ.“

გოტიეს წიგნის („მინანქრები და კამეები“) მიმოხილვაში გალაკტიონი ყოველგვარი ქარაგმებისა და მითარქების გარეშე აცხადებს, რომ რევოლუციური ხელოვნება სულაც არ ნიშნავს პროლეტარულ ხელოვნებას. ოკი დახვეწილი ესთეტიკის პოზიციებიდან უდგება პოეზიას და უარყოფს მასში სოციალური და პოლიტიკური თემატიკის გაბატონებას. სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა „საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია“, რომელიც მიზნად ისახავდა პარტიის პოლიტიკური ხაზის გატარებას ლიტერატურაში და შეურიგებელ ბრძოლას უცობადება წინადა ხელოვნებას. სწორედ ამ მოვლენაზე რეაგირებას უნდა წარმოადგენდეს გოტიეს წიგნისადმი მიძღვნილი გალაკტიონის ჩანაწერი, რომელშიც ოკი უწინასწორულად გამოხატავს თავის პოზიციას და პირისპირდება იდეოლოგიის მსახურთ ლიტერატურაში. გალაკტიონი ეწინააღმდეგება არისტოკრატიზმს და მიანჩია, რომ ქეშმარიტი ხელოვნება ეფუძრება: „ეს წიგნი მთლიანად აღებული ერთი, მძალი, ნამდვილი თლილი სტილითაა ამუშავებული, როგორც ჩვენი ქაშვილის სიმაღლე. რამდენი ცოდნა სილამაზისა არის შივ, ამას გაიგებს მხოლოდ მანავით ელასტიური შემოქმედების მქონე პოეტი. რამდენი სულიერი ენერჯია უნდა აქონოდა ადამიანს, რეკლამაციისა და ნგრევის ხანაში ამხიარად ვმღერა. ეს არისტოკრატიზმია. ის, ვისაც უღებ ნაქცევს რევოლუციონტალურად და მიუყვება ამ ქრთამს მორევს, ვერასოდეს ვერ იმღერებს ისე, როგორც გოტიე მღეროდა. ეს პოეტი საუკეთესო მაგალითია იმისი, რომ გამორკვეული სახის პოეტი რევოლუციის დროსაც კი რჩება დიდ პოეტად. პირიქით, ეს საშუალებას აძლევს მას, უფრო მაგრად ჩაეკეტოს კარები, რომ უფრო მძლავრად მიეცეს საყვარელ პოეზიას.“<sup>26</sup>

აი, გალაკტიონის კრედი, რომლის დაუფარავად გამოიქმნის სამუქლებაც მას შემდეგომში აღარ უჭონია. ეს ჩანაწერი უკანასკნელ ხანებამდე უცნობი იყო ქართველი მკითხველისათვის, სანამ ვახტანგ ჯიფახაძემ არ გამოაქვეყნა.

გალაკტიონი მიიჩნევს, რომ პაკარა მასშტაბის პოეტი ხელონის შედეგად მალე აცდება ნამდვილი ხელოვნების გზას და ასეა დღეს ქართულ პოეზიაში: „კაპოქ რალაცას „ახალბურთის“ შურდულულობენ პროლეტარულ პოეზიაზე, აქაოქ თემად მიაჩნიათ რევოლუცია და კოსმიურ საქმედ მიაჩნიათ. ამ მზიარატომ არ იქნება კოსმიური მოვლენა თუნდაც კონტრევოლუცია და ან რა საქმე აქვს ყოველივე ამასთან პოეტს, გარდა კარიერისმისა?“<sup>27</sup>

გალაკტიონის აზრით, პოეზიის საფანი სულ სხვაა, ვიდრე პოლიტიკისა და ეკონომიკისა და ისინი არაფრით უკავშირდებიან ერთმანეთს. მას ნიშანდობლოვად ესახება ის გარემოება, რომ გოტიეს „მინანქრები და კამეები“, ისევე როგორც მისი „დასავლეთის დივანი“, განდევნილობაში შეიქმნა. ხელოვნების ყველა ქეშმარიტი ნაწარმოები ამგვარ ვითარებაში იხადებაო, დაასკენის ოკი. გოტიე, ბოდლერი, ვერლენი, რემპო, ლაფორგი ირონიულად უყურებდნენ პროლეტარულ კულტურას და სწორედ ამიტომ დარჩნენ პოეტებაო.

გალაკტიონი აღნიშნავს, რომ სწორედ განდევნილობის ვაშს შეიქმნა ვანგერის რევოლუციური, მაგრამ არაპროლეტარული ხელოვნება და ასე ხდებოდა დიდადამიანული შემოქმედებამო: „სწორედ ასეთი მომენტები შობენ დიდ ხელოვანს, ისეთს როგორც უნდა იყოს ხელოვანი. ეს სურდა ეთქვა გოტიეს და სთქვა კოდეც თავის წიგნით, და აღბათ როდისმე გამოგადგებათ. იარეთ მიტინგებზე, თქვით ოქ სიტყვები და აღბათ, ესეც გამოგადგებათ. ჩვენ კი ავილებთ და ვიტყვი: არ გვიანდა პოლიტიკა ხელოვნებაში.“<sup>28</sup>

პოეზიის ამაზე უფრო მკვეთრი და ნათელი გამოხატვა შეუძლებელია. ჩანაწერიდან ამკარად გამოსვლიის ვალიზინენ ული კაცის ინტონაცია. გალაკტიონი იცავს პოეზიის თავისუფლებას და უარყოფს ყოველგვარ დექტატს პოეზიაში.

— ნამდვილი ხელოვნება ჩვენთვის უშაღლესი თავისუფლებაა, ხელოვნებისათვის არ უნდა არსებობდეს არავითარი დამმონებელი ძალაუფლება; არავითარი ავტორიტეტი, არავითარი ანტიხელოვნებითი ძალა, ხელოვნებას მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუძლია უფრო მძლავრად გაშალოს ფრთები,<sup>29</sup> — ნერდა იგი ერთერთ დამთავრებულ ესტეში.

არადა, სწორედ ეს ის პერიოდი იყო, როცა ამოძრავდა საქართველოში „დამმონებელი ძალაუფლება“ და მთელი ძალით გაჩაღდა კამპინა, რომელიც 1937 წლის რეპრესიებით დაგვირგვინდა და რომელსაც ჩვენს დროში „მწერლობის მოთვინიერება“ უწოდებს.

ამავე პერიოდს ეკუთვნის ქართული პოეზიის დასაცავად დაწერილი პროტესტი, რომელიც პოეტს ეს სასწაურ კვეთილი სიტყვები აღმოხდებდა: „დედ გაიგოს ყველამ, როგორ გაკრული ვართ ჯვარზე ქართველი პოეტები!“<sup>30</sup>

1927 წლით თარიღდება ერთერთი საპროტესტო რეპლიკა, რომელშიც ეკითხულობთ:

განკარგვლება გაცეით, თუ შეიძლებოდა, ანთომ სანთლები ეს არც თუ ისე ძნელი საქმეა, მაგრამ თქვენ არ გასწავთ: თქვენ სიბნელეში გირჩევენიათ, თქვენ გემინიათ სინათლისა<sup>21</sup>

მწერლობას სოციალისტური სინამდვილისა და ხუთნღედის გმირთა ხობტა დაეკისრა. პარტიული ხელმძღვანელობა სცემდა დირექტივებს, რითაც მწერლებს მოუწოდებდა, „უსაგნო ლირიკის“ ნაცვლად „კონკრეტული თემები“ დაეძუშავეებინათ“. ამასთან, მკაცრად იდევნებოდა ქართული პოეზიისათვის დამახასიათებელი ტრადიციული მოტივები და თემები, კერძოდ, სატრფიალო და პატრიოტული მოტივები, იმ საბაბით, რომ სატრფიალო ლექსებში „არისტოკრატიულ ერთკაცსა“ და პორნოგრაფიას ხედავდნენ, ხოლო პატრიოტული თემატიკა რეაქციონერობად და ნაციონალურ-შოეინიზმად ინათლებოდა. ასევე იკრძალებოდა ისტორიული ნარსულის ასახვა, როგორც „ფეოდალიზმის იდეალიზაცია“, „სეფელიანი განწყობილებები“, რაც საბჭოთა პოეტს არ შეეფერებოდა და სხვა.

მწერლები „მოკავშირეებად“ და „თანამგზავრებად“ დაიქვეს. ვინც რევოლუციამ მიიღო და საბჭოთა ხელისუფლების სამსახურში ჩაედგა „მოკავშირე“ იყო. ვინც მხოლოდ თანაურდნობა მას – „თანამგზავრი“. თემში „თანამგზავრის“ სატესტის დიფანს ყოფნა არ შეიძლებოდა, მთავრობა თავის ადვანტაჟს იმას, რომ „თანამგზავრი“ მწერლები თანდათან „მოკავშირეებად“ გარდაქმნილიყვნენ. არავის შეარჩენდნენ ნათიცი საბჭოთა კრიტიკოსები „მოკავშირული“ და „თანამგზავრული“ პოზიციიდან გადახვევას, ამ პოზიციების მოუღებლობა კი უმაღლეს მხარჯვენე რეაქციონერობად ინათლებოდა და დაუნდობელი კრიტიკის საგანი ხდებოდა, რაც ხშირად ლანძღვა-უბრუნებასა და შეჭარბებულ გადამდიდას.<sup>22</sup>

ასე გააჩაღდა ცილისმწამებლური და დამამცირებელი კამპანია ი. გრიშაშვილის, ნ. ლორთქიფანიძის, მ. ვაჯახიშვილის, ე. გამსახურდიას, დ. შენგელიას, ტ. ტაბიძის წინააღმდეგ. სანაგიოროდ აქებდნენ და ადიდებდნენ ვალე ფედოსიშვილს, რომელიც „პოლიტიკური თემების“ პოეტი იყო და თურმე პოლიტიკურ თემებზე დანერგულ ლექსს არ აყალიბებდა და „ხალხურად“ არ დაჰყავდა, რაც ხშირად ემართებოდათ პროლეტარ მწერლებს.<sup>23</sup> ეს ის ვალე ფედოსიშვილია, რომლის ყბადალებული შედეგრიც „მე მამას მოვკლავ, დავაბრწობ დედას, რევოლუციამ თუ კი მიბრძანდა“, დღეს მაგალითად მოჰყავთ ხოლმე, როგორც იდეოლოგიური ზუნოლის შედეგად კურიოზამდე მისული ცნობიერების ნიმუში.

მწერლების კრიტიკის რისხვას იმიტინენ არა მხოლოდ თანამედროვე, არამედ რევოლუციამდელი ნაწარმოებების გამოც, თუ არ მოინანიებდნენ და უარს იტყოდნენ თავიანთ ადრინდელ შემოქმედებაზე. მონანიება კი იმას ნიშნავდა, რომ ახლა სოციალისტური მშენებ-

ლობისათვის უნდა შეეხსნა წრტანადიგება, თორემ დუმილით დანაშაულის რანგში იყო აყვანილი. დუმილს არავინ გამატივებდა. „... ვინ სდუმს ახლა? ჩენთვის არაა სადაო, რომ სოციალისტური მშენებლობის ვაშლილი ტემპების ეპოქაში შემოქმედებითი დუმილით მწერლობის მხოლოდ მემარჯვენე-რეაქციონერული სექტორი აცხადებს პროტესტს დღევანდელიობის მიმართ.“<sup>24</sup> – ეკითხულობთ 1932 წლის 1 იანვრის „სალიტერატურო გაზეთის“ ერთ-ერთ კრიტიკულ სტატიამ.

სხორედ ამის გამო იყო, რომ 1927 წლიდან გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში იწყება ერთგვარი მიმიკრიის პერიოდი. შეიძლება ითქვას, რომ 1928-1931 წლებში დანერგული ლექსები (მათი რიცხვი კი საკმაოდ შთამბეჭდავია, დაახლ. 415 ლექსი), მცირეოდენი გამოწაკლისის ვარდა, ძირითადად „ინოვაციურული“.

ეს ის პერიოდი, როცა იქმნება „ეპოქა“, „პაციოიზმი“, „რევოლუციური საქართველო“. თანამედროვე სალიტერატურო კრიტიკაში ამ პერიოდის შემოქმედება სამართლიანად მოინათლა, როგორც „სასტიკი შემოქმედებითი ნარჩი“... ეს არის ნიმუში იმისა, რაოდ შეიძლება მოეცაროს ხელი თვით დიდ შემოქმედსაც, როცა გულის კარნახი კი არ ქმნის, არამედ სხვათა მიერ თავს მოხვეულ გეგმას ასრულებს<sup>25</sup>. ამის მიზეზი კი გახლდათ სიჩქარე, მიშენედიმიკრიზმი, პლაკატურობა, ლექსის გადაქცევა ნარკვევად, რაც არასწორია არ შეესიტყვებოდა, მის ბუნებას, გემოვნებას, შემოქმედების მანერას, საერთოდ მის ხასიათსა და სულისკვეთებას. როგორც კი მსგავს როლს დააკისრებენ, ან თვით იდებდა თავს, უეჭველად მარცხი მარცხს მიყვებოდა ხოლმე. ამგვარი რამ ერთხელ კიდევ განმეორდა ომის წლებში<sup>26</sup>.

ერთი სიტყვით, დაემართა ის, რაც თავად უნიხანარმეტყველა ზოგიერთ პოეტს გოტიეს წიგნისადმი მიძღვნილ მიმოხილვაში. თუმცა ის, რაც დღევანდელი გადასახედიდან შემოქმედებით მარცხად მოჩანს, მაშინ გამარჯვება იყო. დაახ. სიცოცხლის ვაფარქენისათვის ნამონეებულ, და მტანჯველ ბრძოლაში გამარჯვება, რასაც ნებისყოფის საშინელი დაძაბვისა და საკუთარი „ქე“-ს დათრგუნვის ფასად მიიღო.

რასაკვირველია, მაშინვე შეამჩნიეს და დაუფასეს. ბენიკო ბუაჩიძე, რომელიც 1927 წელს „თანამგზავრებად“ არ მიიჩნეოდა, 1932 წელს უკვე „მოკავშირედ“ აცხადებს: „გალაკტიონ ტაბიძემ საფუძვლიანად შეატრიალა კალმის მახელი, დასძლია წინააღმდეგობანი და აგრძელებს ამ წინააღმდეგობათა დაძლევის... ტაბიძე ჩენი მოკავშირეა და აქედან გამომდინარე, ჩენი პეგემონის მისაღწევად მისი განადგურება არ არის საჭირო“<sup>27</sup>.

თვითონ რომ „მოათვინიერეს“, ეს არ აკმარეს, შეეცადნენ ჯერ კიდევ „მოუთვინიერებელი“ მწერლობისათვის დაეპირისპირებინათ და მათთან ბრძოლაში გამოეყენებინათ. 1930 წელს გაზეთ „კომუნისტში“ იბეჭდება წერილი სათაურით



„გალაკტიონ ტაბიძის წერილი საბჭოთა მწერლების ფედერაციისადმი“. ამ წერილში გალაკტიონი მიმართავს ე.წ. „მემარჯვენე“ მწერლებს, რომლებიც ვერ კიდევ ეურჩებიან ყოფილი წამ-ღვრის იდეოლოგიურ მანქანას, რომ მათი გამბედაობა და სიმართლეს პირდაპირ შეხედონ თვალბეში. სიმართლე კი ის არის, რომ ურჩი გა-წინი უღია. „გამორჩევა უღმობელი სიციხადით, რომ შემარჯვენებთა თავიდანვე თვითონ ცხოვრებისაგან იყო განწირული, ცხოვრება შეუბრალებლად და უგულოდ გადაიხარა მის გრადუსით, იგი შეუწერებლად გაეჭანა მსოფლიო რევოლუციისაკენ, თქვენ კი ქრონიკული ალიანსებით და კომპრომისებით სუსტი, ხანდახან ავანტიურისტული ხელმძღვანელობის წყალობით მოუხალღვით ნაპრალს, მიდით გადაჩეხე-ამდე, აი, ეს არის სინამდვილე, რომელსაც პირდაპირ უნდა შეხედოთ თვალბეში“.<sup>28</sup>

ცოცხა ქვემოთ იმავე წერილში პირდაპირ პარტიის ცუდად დოქტრინებიდან გამომწერილ სტრიქონებს ვკითხულობთ: „ჩვე გვიანდა მდიდარი, ბრწყინვალე, გრანდიოზული, დიდებული ლიტერატურა, რომელიც დახმარება სოციალისტურ მშენებლობას, რომელიც ხელს შეუწყობს ახალი ყოფის განმტკიცებას“.<sup>29</sup> ჩვენ აღარ შეუვლავებით სხვა კონიუნქტურული წერილებსა და ოფიციალური სიტყვებისა თუ გამოსვლების განხილვას, რადგან სურათი ისედაც ნათელია. თანაც ისინი ტყუილსა და სიციხეებით გვანან ერთმანეთს. ასევე კონიუნქტურული პარიზის ჩანაწერები, რომელიც გალაკტიონ ტაბიძის კი არა, საბჭოთა მწერლის თვალთ დასახულ რეალობას ნარმოვადღებს.

აქ შეიძლება შევჩერებულყოფიეთ და გვეთქვას, რომ გალაკტიონმა სხვათა დასახნად ნიღაბი აიფარა, შინაგანად კი ისევ თავისი პრინციპების ერთგული დარჩა. მაგრამ ამგვარი დავა კენა მოვლენათა გამარტივებასა და სასურველი რეალობად ნარმოჩინების მცდელობა იქნებოდა.

ამ გარეგანად ნარუღმელი კვადი დაატყო გალაკტიონის ფსიქიკას. პროლეტარმა მწერლებმა კი მიიღეს, მაგრამ „მემარჯვენეებმა“ ანუ ნაწილობა მწერლებმა ვერ გაუგეს, ხელოვნების შერყენასა და ნახდენაში დასდეს ბრალი. როგორც ჩანს, საყვედური ვერ აიტანა და ამოქმედა სიტყვებმა სიძლიერამ. დიდად არტიკულა საკუთარი თავის მოტყუება დაწინა. 1931 წლის ერთ-ერთ ჩანაწერში ვკითხულობთ: „განადიდე ხანია მას მერე, რაც აცხადებენ: გალაკტიონმა შემოიტანა ლიტერატურული დემპინგო, უმადლესი ხელოვნება დაიყვანა მასამდე და ჩაღოს ფასად ყოფის მასო. სხვადასხვა ვარიაციებით ამას იმუოვებენ დღესვე ჩვენი მემარჯვენეები. დავით კლდიაშვილის დასაფლავების დღეს შერამდე მემარჯვენე გავიგონე ასეთი აბდაუბდა. მემარჯვენეები ჩემი მონანა-ალმდეგები არიან. მე უნდა დავეყრდნო მხოლოდ პროლეტარულ მწერლობას“.<sup>30</sup>

მხოლოდ პროლეტარულ მწერლობას უნდა დავეყრდნო, — აცხადებს. იმათი მოტყუება უფრო იოლი იყო და ალბათ ამიტომ“. პროლეტარებები ყველა გულწრფელი, ან კესხე ადვილად ნამოსაგები ხალხია, ზოგიერთი გამბედაობით. ვერ ვგერობით ყველა ამხანაგები კარგად შეპყრობიან მხოლოდ ეს კია, პირველად არ მიშვებენ, პირველად უკული უნდათ“.<sup>31</sup> — ვკითხულობთ მის ჩანაწერებში.

თუ რა მტკივნეული იყო მისთვის ეს გაორება, კარგად ჩანს იმ ფაქტიდანაც, რომ რამდენჯერმე უბრუნდება ამ საკითხს თავის ჩანაწერებში. 1932 წელს დაუწერია პატარა მინიატურა: უცნობი ქალი ტრამვაში მიმართავს: „გვახსოვს თქვენი წინანდელი ლექსები... ეს იყო გენიალური ლექსები. მაშინ კარგი იყავით, ეხლა კი — რა მოგახსენოთ. თქვენ თვითონ არ იცით, რას სჩადიხართ. თქვენ ყოველგვარ ზომებს მიმართავთ, რომ თქვენს თავს საშუალოდ გაუტყობთ სახელი“.

ახლა გალაკტიონის კომენტარი მოვიხიშნით: „აი, სად იყენებს ეს მანდილოსანი თავის სიტყვიერ ქინძისთაებს. ის მოდის ძველი წით მამინ, როცა კაცობრიობა ახლისკენ გადაიხარა, როდესაც შეიცვალა ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა. მან ციადე არ იცის, რომ „დრო წინანდელი ლექსების“ საშუალოდ გაჰქარა“.

ადვილი შესამჩნევია, რომ ამას მაინც დამაინც თავდაყრდნული კაცი არ ამბობს. თანაც აქვე ერთი მინიშნება დაავტოვია. ბოლო წინადადებაში ვკითხულობთ: „მან კიდევ არ იცის, რომ დრო წინანდელი ლექსების საშუალოდ გაჰქარა“. დროზე მიგვანიშნა და ამით თითქოს თავისი გამოუყალი მდგომარეობა გაგვიმზილა.

დროზე მინიშნება აგრეთვე 1931 წელს დაწერილ ლექსში „ნუ მიატოვებ ლექსს უთეოსტომოდ“. პოეტი, რომლის შემოქმედებაშიც ემპირიული სინამდვილე უკანა პლანზე იყო გადაწეული, რომელიც ზედმინევილი ფლობდა „მოვლენათა გასაიდუმლოების ხელოვნებას“ (ლაპარაკია, რა თქმა უნდა, არაკონიუნქტურულ ლექსებზე). რომელიც არ ანერდა თავის ლექსებს შექმნის თარიღებს, ან შეგნებულად აყალბებდა მათ და მისტიფიკაციას მიმართავდა ამ ლექსებში, თხზულებების დაწერის ზუსტი თარიღის დაფიქსირებას ითხოვს: „დრო, დრო აღნიშნე მოწინაურ ლექსს — ეს წელიწადი, დღე და საათი“.

ერთი შეხედვით შეიძლება ისე ვიფიქროთ, რომ გალაკტიონის თავის „საკლი“ გაახსენდა და საკუთარ თავს გამოსწორებისაკენ მოუწოდებდა, მაგრამ ამ ლექსის პროზაული ვარიანტი მიგვანიშნებს, რომ პოეტს ბევრად უფრო მნიშვნელოვანი სათქმელი ჰქონდა. დასახსნისში გალაკტიონი იმუოვებს იმ შეგონებას, რაც ლექსის ლიტერატურულ ნარმოადგენს. ამ თუ იმ ნაწარმების დაწერის ზუსტი თარიღის აღნიშვნას კი შემდეგნაირად ამართლებს: „რასაკვირველია, ყოველი შენი ნაწარმოების სტრიქონებში



ღრმად ჩაესოვილია ეპოქები, ეპოქა ნამდებისაც, ეპოქა ახალი ცხოვრების მოპოვების, ძველის ნგრევის, ეპოქა გარდატეხის, ეპოქა მძიმე ინდუსტრიის შექმნის სოციალისტურ ლიანდაგზე. ეპოქა, რომელიც ექადავება მსოფლიო კაპიტალს... მოძრაობს, ამოძრავდა მონები ინდოეთის, გერმანიის, ეგვიპტის, პოლონეთის, კიტის...<sup>44</sup>

ჩინეთის ხსენება რუსული ფორმით (კიტაი) ერთგვარი ირონიული ნიუანსია ამ სერიოზულ ტექსტში. პოეტებს აიძულებდნენ, გამოხმაურებოდნენ „მსოფლიო პროლეტარიატის“ მოძრაობას. ჩინეთი და ჩინეთის რევოლუცია მაშინ ძალიან აქტუური თემა იყო, 30-იან წლებში პროლეტარიატმა კარლ კლაჟემ გამოსცა კრებული „ახალი აღმოსავლეთის“, რომელშიც ფერეიდნელ ქართველებს ეხმარებოდა. ნამოვიდა „კრიტიკული“ ნერილების ნიაღვარი და კარლ კლაჟე უჯარს აცვეს იმისათვის, რომ როგორ თუ ფერეიდნელ ქართველებზე დარდობ და არა ჩინეთის რევოლუციაზე.<sup>45</sup>

გალაკტიონიც იმას გვეუბნება, რომ როცა ლექსს ნაიკთხავეთ, დახედეთ, როდის არის დაწერილი. დრო არის ერთადერთი გამართლება კონსტრუქციული შემოქმედებისა. განწირულად მიიჩნევენ გალაკტიონი საკუთარ თაობას, რომელიც დაუნდობელი დროის მსხვერპლი შეიქნა. დრო, უღმობელი, დღევანდელ თაობას ერთ დროს ნაველის<sup>46</sup> დრო ამართლებს და დროვე მუსრავს.

ასე რომ, მართალია, ქარაგმებითა და მორაკებით, მაგრამ მაინც მოუზოდიშა გალაკტიონმა მოძვეალ თაობას თავისი კონსტრუქციული შემოქმედების გამო.

დროის (გამანადგურებელი იდეოლოგიური მანქანის) შენობამ აიძულა პოეტი ორთქმავლებზე და პიდროლეტკროსადგურებზე მწერა ეთხზა ლექსები. მაშინ როცა ყოველგვარ დიქტატს უარყოფდა ხელოვნებაში და წერდა: „... ჩვენ პოეზია გვაგონებს იმ ეგზოტიკურ ყვავილას, რომელიც იფეთქებს მიწის ფუნტავს და გაშლისთანავე მარადისობაში ფუნტავს თავის სურნელს.“<sup>47</sup>

თავის ქეშპარიტი კრეფო და ის ტრაგედია, რაც შეიძლება დაატყდეს ხელოვანს, რომელიც ლაბორატორიულ მუშაობას მოსწყდება, გალაკტიონმა ერთ პატარა მინიატურაში გამოხატა:

„ხელოვანი თავს ინუტუმებს, დიდი ამბავი, ერთხელ თუ დაფუშვებ შეცდომას და ჩემი თავის წინააღმდეგ წავალ, განა ჩემი მომავალი ჩემს ხელში არ არის? ხვალე ისევე შეუდგები ჩემი გზით სიარულს, მაგრამ იაფი ყვავილებით მოხიზლული ხელოვანი თავის გზას ვეღარ დაუბრუნდა, იაფი ყვავილებიც დასტყენ. იოლი და სასიამოვნო გზას გააქრა, ტაშს აღარავინ უკრავს. აქ იწყება მისი ტრაგედია: დაცარიელებული სულით ბრუნდება დიდი ხნის შემდეგ თავის ლაბორატორიაში. ურემი გადაბრუნდა და გზაც მერე გამოჩნდა: ნამდვილი ხელოვნების გზა, მშვენიერებაზე მშვენიერი გზა. მაგრამ... რა ახლია და როგორ მოშორდა იგი... ხელოვანი უყვე ქალღამურული კაცია.“<sup>48</sup>

ეს მინიატურა 1948 წელს არის დაწერილი. გარდა ამისა, რომ აქ ჩანს ტკივილი საკუთარი შემოქმედების გამო, გალაკტიონი გვიზუსტებს თავის პოზიციასაც, რაც მან პოეტური შემოქმედების გვერდით თავის წერილებმა და ესეებშიც გამოხატა, იგი იყო და დარჩა თავისუფალი ხელოვნების მომხრე, ერთგული ლოზუნგისა – „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, რომელიც მან ოდნავ სახეცვლილი ფორმით შემოგვთავაზა: „პოეზია უპირველეს ყოვლისა“.

### შენიშვნები

1. ილიასა და აკაკის გავლენის შესახებ გალაკტიონის ადრულ შემოქმედებაზე იხ. 6. ტაბიძე, გალაკტიონი, თბ., 1982, გვ. 105-122
2. ვ. ტაბიძე, თხზ. 12 ტომად, ტ.12, თბ., 1975, გვ. 7
3. იქვე, გვ. 7
4. 5. ტაბიძე, გალაკტიონი, გვ. 127
5. ვ. ტაბიძე, ვეშადათ აკაკის იუბილესათვის, თხზ. 12 ტომად, ტ. 12, გვ. 9
6. ვ. ტაბიძე, აკაკის იუბილე, თხზ. 12 ტომად, ტ. 12, გვ. 9
7. ეს წერილი განხილული აქვს 6. ტაბიძეს ნიგში: „გალაკტიონის შემოქმედებით ლაბორატორია“, თბ., 1993, გვ. 154-177, ჩვენ მხოლოდ ჩვენთვის საინტერესო მომენტებზე გავამახვილებთ ყურადღებას.
8. 6. ტაბიძე, გალაკტიონის შემოქმედებითი ლაბორატორია, გვ. 169
9. იხილეთ თ. დოიაშვილი, ქართული ლექსის ევოლიკა, თბ., 1981
10. ვ. ტაბიძე, ჯაჯუ ჯორჯიკია, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 12, გვ. 11-12
11. ა. ხინთიბიძე, გალაკტიონი თუ ცისფერყანწლები, თბ., 1992, გვ. 92-138
12. გალაკტიონის პოეტური ნოვაციების შესახებ იხ. ა. ხინთიბიძის დასახელებული ნაშრომი; აგრეთვე მისივე, გალაკტიონის პოეტიკა, თბ., ნიღბით და უნიღბოდ, მოვლენათა გასაიდუმლოების ხელოვნება გალაკტიონის პოეზიაში, „ლიტერატურული საქართველო“, 1992, 20 ნომბერი, გვ. 16

13. გ. ტაბიძე, პოეზია უპირველეს ყოვლისა, ტ. 12, გვ. 15
- 14-15. იქვე
16. იქვე, გვ. 14
17. გრ. რობაქიძე, აკაკის ქნარი, გაზ. „თემი“, 1915, 2 თებერვალი
18. ავ. ხინთიბიძე, გალაკტიონი თუ ცისფერყანაძელები, გვ. 52
19. გ. ტაბიძე, პოეზის დღე, თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 12, გვ. 17
20. იქვე
21. გ. ტაბიძე, წინათქმა, თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 12, გვ. 19
22. იქვე, იაკობ ნიკოლაძის იუბილის გამო, გვ. 20
23. იხ. ნ. ნაყუდაშვილი, სილავევარდე, ანუ ვარდი სილაში, ჟურნ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1991, №5, გვ. 151-162
24. ლ. სორდია, გალაკტიონ ტაბიძის სიმბოლიკა, თბ., 1993, გვ. 80
25. გ. ტაბიძე, იაკობ ნიკოლაძის იუბილის გამო, გვ. 21
- 26-27. ვ. ჯავახაძე, უცნობი, თბ., 1996, გვ. 475
28. იქვე, გვ. 475
29. გ. ტაბიძე, პოეზიის დღე, თხზ. 12 ტომად, ტ. 12, გვ. 85-86
30. ვ. ჯავახაძე, უცნობი გვ. 475
31. იქვე, გვ. 476
32. იმდროინდელი სალიტერატურო კრიტიკის მიმოხილვა, იხილეთ: რ. ჩხარტიშვილი, ქართული სალიტერატურო კრიტიკის უახლესი ისტორიიდან, თბ., 1993 წ. გვ. 17
33. იქვე
34. რ. ჩხარტიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 158
35. რ. თვარაძე, გალაკტიონი, თბ., 1972, გვ. 193
36. იქვე, გვ. 194
37. ბ. ბუაჩიძე, მწერლობის მსუბუქი „ინდუსტრია“, „სალიტერატურო გაზეთი“, 1932, 1 თებერვალი გვ.2
38. გ. ტაბიძე, წერილი საბჭოთა მწერლების ფედერაციისადმი, თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 12, გვ. 55
39. იქვე, გვ. 56
40. ვ. ჯავახაძე, უცნობი, გვ. 477
- 41-42. იქვე
43. გ. ტაბიძე, დრო, თხზ. ხუთ ტომად, თბ., 1996, ტ. 5, გვ. 73-74
44. იხ. რ. ჩხარტიშვილის დასახ. ნაშრომი, გვ. 69, 203
45. გ. ტაბიძე, დრო, გვ. 74
46. გ. ტაბიძე, პოეზიის დღე, თხზ. ხუთ ტომად, ტ. 5, გვ. 56
47. გ. ტაბიძე, ხელოვანის ტრაგედია, გვ. 79



## გურამ დოჩანაშვილის ოთხი მოთხრობა

ერთგვარი „ტეტრალოგის“ სახეს ატარებს გურამ დოჩანაშვილის ოთხი მოთხრობა, სადაც ძმები კეფერაძეების ამბებია მოთხრობილი. ეს მოთხრობებია: ერთი — „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“, მეორე — „იგი სიყვარულისთვის იყო გაჩენილი ანუ გრიშა და მთავარი“, მესამე — „ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება, ანუ მესამე ძმა კეფერაძე“, და მეოთხე — „ცალ-ცალკე და ერთად“, სადაც წინა მოთხრობებში განანიღბებულმა ძმებმა ერთად მოიყარეს თავი. ძმებ კეფერაძეებს თავ-თავიანთი „საკმე“ აქვთ არჩეული იმისათვის, რათა ქვეშარიტებას ემსახურონ: გრიშა ცდილობს „ადამიანთა შორის ურთიერთობის გაუმჯობესებას“, ვასილისათვის ეს სამსახური წარმოადგენილია ლიტერატურის სიყვარულში, ხოლო შალვასთვის იგი „ერთი რამის სიყვარულია, დაფარვა რომ სჭირდება“. გურამ დოჩანაშვილი ახირებულ, თითქმის „შერევილ“ ტიპებად ხატავს თავისი იდეების გამოხატველ გმირებს. ძმები კეფერაძეები უფრო არჩეული „საკმის“ მიხედვით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ვიდრე ინდივიდუალური ადამიანური თვისებებით. ამგვარ პერსონაჟებს მწერალი არ ქმნის ცხოვრებისეული ხასიათებისაგან. ისინი უფრო გარკვეული იდეების მხატვრულ ხორცმესხმას წარმოადგენენ. გურამ დოჩანაშვილის მოთხრობათა უმეტესობა მკვეთრად გამოხატული ტენდენციურობით ხასიათდება. ეს ტენდენცია გამოხატულია პრაქტიკისტული და ამაღლებულ-იდეალური სამყაროების დაპირისპირებით. ავტორი სუბიექტური პოზიციიდან აკრიტიკებს პრაქტიციზმის სამყაროს, ოღონდ თავის განწყობას იუმორის, გროტესკის საფარველში ხვევს. „კომიკური ელემენტის გარეშე ეს მოთხრობები მოსაწყენ მორალისტურ-დოქტრინულ ელფერს შეიძენდნენ“. მწერალი ხშირად თავის პერსონაჟს მისივე შეტყვევების საშუალებით გვიხატავს. მაგალითად, მისი ყველაზე პოპულარული მოთხრობა „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ ასე იწყება: „ყველაფერი დაიწყო იმით, რომ ხელმძღვანელმა დამიბარა და თქვა: თქვენს მომავალ

წამრომში უნდა აისახოს ქალაქის ტიპის დასახლებებში მცხოვრებ მუშა-მოსამსახურეთა ყოველდღიური საქციელის ასპექტების ასახვა და გამომყვანდეს კანონზომიერებათა, რომლებიც განსაზღვრავენ მის დამოკიდებულებას ცხოვრების პირობებისადმი საზოგადოების ფუნქციონერობისა და განვითარების იმ მხარეებში, რომელსაც ამჟამად მეტი ყურადღება ექცევა, ვიდრე აქამდე, რადგან პატარა ადგილს როდი იჭერს ყოფა-ცხოვრება, წარმოების გარეთა სფერო ადამიანის საქციელსა და მოქმედებაში. ასანთი ხომ არა გაქვს? აქ, როგორც ვხედავთ, ირონიზირებულადაა გადმოცემული ცრუმეცნიერის შეტყვევების მანერა. ვიდრე ახლო გავეცნობოდეთ ამ პერსონაჟს, უკვე მისი პირველი სიტყვებიდანვე გვექმნება წარმოდგენა მასზე, როგორც სულიერად დაცარიელებულ და უაზრო ადამიანზე. ამ მოთხრობის მთავარი მოქმედი პირია ვასილ კეფერაძე — კაცი, რომელსაც ძალიან უყვარს ლიტერატურა. ვასილისათვის მხატვრული ლიტერატურა ცხოვრების ძირითად არსს გამოხატავს, მაგრამ ამავე დროს იგი ხედავს, რომ ცხოვრება არ არის იმ ლირებულებათა მიხედვით მოწყობილი, მას რომ უნდა და სწამს, ამიტომ ისიც და მისი ძმებიც შეგებულადაა „იგივიანებენ“ თავს და ცდილობენ თავიანთი მოულოდნელი, ექსცენტრიული ქცევით გააოცონ მოსაუბრე და გამოიყვანონ იგი თვითკმაცყოფილები, მაგრამ არეობიდან. შემდეგ კი, დაბნეული, დაარწმუნონ რაღაც მნიშვნელოვანსა და ქვეშარიტში, იქნება ეს ლიტერატურის, სამშობლოს თუ მოყვასის სიყვარული. თუმცა ისიც მართალია, რომ ხშირად მათი მცდელობა წარმატებით ვერ ბოლოვდება ხოლმე, მაგრამ ისინი მარნად დიდი გულმოდგინებით განაგრძობენ თავიანთ საქმეს, რადგან სხვანიარად ცხოვრება არ შეუძლიათ. გურამ დოჩანაშვილის პერსონაჟებს მტკიცედ სჯერათ, ბოლოს სიკეთემ მაინც უნდა გაიმარჯვოს, იმიტომ, რომ ის სიკეთეა. ამ საკმათაგან, თავისი ორიგინალური მიმართებით ცხოვრებასთან, განსაკუთრებით გამოირჩევა ვასილ კეფერაძე, რომლისთვისაც მხატვრული



ლიტერატურით „იწყება და მთავრდება“ ყოველივე. მისთვის „ჩვენი პანია საქართველო მსოფლიოს „პოეზიის რუკაზე“ ერთ-ერთი დიადი და ძველამოსილი სახელმწიფოა“. კითხვაზე, თუ რისთვის არის საქართველო ლიტერატურის ნაკითხვა, ვასიკო პასუხობს: „არის რაღაც საერთო ღვინის სმასა და კითხვას შორის. მე მგონი ის, რომ ორივეს ევრეტონოდებულ პიროვნების თავისუფლებასთან მივყავართ, ოღონდ ერთი — მიშველებული, ატყვებული და უღამაზო თავისუფლებაა, უპასუხისმგებლობით გამოწვეული, მეორე კი — შემზარებული, გამოცდილი და ყველისმემძლე, ამაღლებული“. მწერლის აზრით, ლიტერატურის მოყვარე ადამიანს არ შეიძლება აქონდეს „თავისუფალი დრო“, ამ შემთხვევაში ავტორი უფრო „ცარიელ დროს“ უნდა გულისხმობდეს, რადგან მას ყოველთვის და ყველგან შეუძლია თავისი ფანტაზიით იმოგზაუროს და „იგი უფრო ქვიშაშირიტად ნამყოფი იქნება, თუნდაც პერუსა და ნიგერიაში, ვიდრე რომელიმე ჩიბუხაშორელი ლოცმანი, რომელმაც გემით მთელი მსოფლიო შემოიარა. ასეთ ადამიანებს სიკვდილისაც ნაკლებად ეშინიათ, რადგან მრავალჯერ მომკვდარან და ყველაფერი გამოუცდიათ... მრავალი ადამიანის სიცოცხლით უცოცხლია“. ძალიან საინტერესოა მწერლის, ამ შემთხვევაში ვასიკო კეჭერაძის, დამოკიდებულება ადამიანებთან, როდესაც იგი მათ ამა თუ იმ თხზულების სხვადასხვა გმირებს ამსგავსებს — ისე აღიქვამს, თითქოს მართლაც რეალურად იცნობდეს ამა თუ იმ პერსონაჟს და უკვიროს მისი მსგავსის ცხოვრებაში პოვნა; და მეორე — ადამიანებს იგი ჰყოფს „ძალიან მისალოცებად“ და „ბედნიერ მისალოცებად“, რომელთაც ჯერ არ ნათქვამიათ მისთვის ასე საყვარელი ავტორთა ნივთები და ნინ ელით „პირველად ნაკითხვის დიდი სიამოვნება“. მწერალს ღრმად სწამს, რომ „ყოველი ნორმალური მოთხრობის ნაკითხვის შემდეგ ხდება ოდნავ უკეთესი, ვიდრე ხარ, უფრო ჰკვირავი, ვიდრე იყავი. რომ რაც შეტს ნაკითხვას ადამიანი, უფრო მიხვდება თუ „თვითკმაყოფილება როგორ ცუდია“. ამ თვითკმაყოფილების, როგორც მისთვის მეტად მიუღებელი თვისების, უფრო უკეთ აღსაქმელად მწერალი გვიამბობს ვასიკო კეჭერაძის ხატოლის გათხოვების ამბავს, რომელიც მეტად მძაფრად, ლაკონურად და დიდი ემოციური მუხტით ამოლოვებს: „იმას მანაცვალა — თვითკმაყოფილს და თვითკმაყოფილებას... ჩამოიარა იმან... საიდუმლონარევი მორეული სიღამაზით აღსავსემ,

როგორცია სიტყვა „მოიხიფრო“, გვერდით კი მოჰყვებოდა კაცი, ისეთი უსიამო გამომეტყველებით სახეზე, როგორცია სიტყვა „გაძვები“ და მე კი განზე ვიდექ, ზედმეტო, როგორც სიტყვა „მამასადამე“. ასევე მეტად ახირებულად შეიძლება მოგვეჩვენოს ვასიკო კეჭერაძის დაყენება, რომ „ხანდახან არაა ნამდვილად მათემატიკა ზუსტი მეცნიერება“. მაგრამ შეუძლებელია, არ დაეთანხმო მწერალს, რომელიც ამ აზრის დასამტკიცებლად ასეთ სურათს გვიხატავს: ვთქვათ, ერთად დგანან დიდებული ესპანელი — სერვანტესი და ის თვითკმაყოფილო კაცი, სახეზე „გაძვები“ რომ აწერია. ამ დროს მათემატიკოსს რომ ჰკითხოთ: რამდენი კაცი დგას ქუჩაში? — ის იტყვის: ორი — და ეს არ იქნება სწორი, ხოლო ლიტერატურაში კი ასეთი უზუსტობა არახლად არ მოხდება. ასე, რომ მწერალი თითქმის ახერხებს მკითხველის დარწმუნებას, რომ ასეთ შემთხვევაში ერთს პლიუს ერთი ყოველთვის ორი არ არის. ვასიკო კეჭერაძესთან მისული კორესპონდენტი მას ასეთ შეკითხვას უსვამს: „თქვენს ნება-სურვილზე რომ იყოს, საზოგადოების ცხოვრებას როგორ მოაწყობდით?“ აღმოჩნდება, რომ მის რესპონდენტს მთელი ცხოვრება ამაზე უფიქრია: „მთელ ქალაქს კარცერ-კულქუ-ბით მოვყენდი, — ამბობს ვასიკო კეჭერაძე, — სადაც ყველა ყმანიელი-უსამართლო ჩავსვამდი, რომელთაც არ გამოვუშვებდი, სანამ საკმარის მხატვრულ ლიტერატურას არ ნაკითხავდნენ, ცხადია, მწერლის ნათქვამის პირდაპირ გაგება გამორიცხულია, მაგრამ ერთი რამ უდავოა — მწერალს ღრმად სწამს, რომ ნებისმიერი ადამიანის ცნობიერებაზე მხატვრულ ლიტერატურას ღრმა კვალის გაღება შეუძლია — „იგი უფრო ჰკვირავი, უფრო უკეთესი“ ხდება. ვასიკო კეჭერაძე ორი მოთხრობის მთავარი გმირია. ამათგან მეორე მოთხრობა „ცალ-ცალკე და ერთად“, — თითქმის ათი წლის შემდეგაა დაწერილი. ამ პერსონაჟის მხატვრულ სახეს თუ დავაკვირდებით ორივე მოთხრობაში, ერთი რამ აუცილებლად მოგვხვდება თვალში. უნინ შემკნობილი მოთხრობის ვასიკო კეჭერაძე თავის თავში ხატოლად დარწმუნებულია და ექვიც არ ეპარება თავისი მუხედულებების გარესამყაროსთან მიმართების მართებულობაში. ამ მხრივ იგი ნამდვილად განსხვავდება მოგვიანებით შემხილი ვასიკო კეჭერაძის სახისაგან მოთხრობაში „ცალ-ცალკე და ერთად“, რომლისთვისაც ავტორს ქვესათაურად მიუწერია: „თანამედროვე ზღაპარი“. აქ მწერალი ერთად მოუყრის თავს სამივე ძმა კეჭერაძეს, რომელთაც ახლა

უკვე გაერთიანებული ძალით გადაწყვეტილი თავიანთი სათქმელი უთხრან ხალხს. ისინი ცდილობენ სხვადასხვაგვარი კლოუნობის საფარველქვეშ კომედია დელარტეს ხერხებითა და საშუალებებით თავთავიანთი მისწრაფებანი მოახვიონ ხალხს და ამ მიზნით მიაპურებენ ზემო იმერეთის ერთ-ერთ ლამაზ და მყუდრო სოფელს. ადამიანის სული რომ შეძრა, — გამოუცხადებს ძმებს უფროსი ძმა შალვა, — ხელოვნებას ერთ-ერთი კუთხით უნდა მიუღგე. სწორედ შალვას ინიციატივით ხდება ყოველივე, რომელიც დაარსდნენ ძმებს, რომ თუ არ უნდათ, ხალხმა ერთი ქაზადმუტად და მეორე — უტოპისტად ჩათვალოს, რაღაც უნდა იღონონ — კლოუნადის დახმარებით ჯერ მოიპოვონ ადამიანთა თანაგრძობა და კეთილგანწყობა, ხოლო შემდეგ უთხრან მთავარი — რისი თქმაც სურთ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ მოთხრობის გასაკო კეფერადე ერთგვარად განსხვავდება უნიველური მოთხრობის იგივე პერსონაჟისაგან, რადგან ამას განსუფხვთელი ანუხების ექვთ, რომ ძირითადად წარმოდგენებით ცხოვრობს და ამუდამ ჩრდილში მდგომი ეგებ მართლა გარიყული და უტოპისტია? რაც შეეხება გრიშას, მას მწერალი ცალკე მოთხრობას უძღვნის, რომლის სათაურიც „იგი სიყვარულისთვის იყო გაჩენილი, ანუ გრიშა და მთავარი“. იმისათვის, რომ გრიშა კეფერადის მხატვრულ სახეზე უკეთესი წარმოდგენა შევიქმნათ, ვავიგოთ, რისი თქმა სურს ავტორს მისი სახის შექმნით, ამიტომ შევჩერდებით ამ მოთხრობაზე. აქ გრიშას ერთი დიდი „პრობლემა“ ანუხებს, რომელიც ცხოვრებაში ყველაზე მთავრად მიაჩნია: მას უნდა, რომ „მისი ხელშეწყობით ადამიანები გახდნენ უკეთესები, ვიდრე არიან“. მწერალი, ამ შემთხვევაში გრიშა, ადამიანებს არ ჰყოფს ორ ძირითად ნაწილად: ბოროტებად და კეთილებად. პირიქით, იგი ამტკიცებს, რომ ადამიანი შეიძლება იყოს ხან — კარგი და ხან — ცუდი, ლიტერატურული გმირებისაგან განსხვავებით. ამ მოთხრობაში, გრიშას სახით, ვმირის მეტად საინტერესო ფსიქოლოგიური პორტრეტია დახატული. „მინდა, რომ ჩემი ხელშეწყობით ადამიანები გახდნენ უკეთესები, ვიდრე არიან“, — მთავარი პერსონაჟის, გრიშას, ამ ფრაზას, რომელზეც დასმულია მოთხრობის აზრობრივი მახვილი, თითქოს გულუბრყილობის იერი დაჰკრავს. მისი მიზანია, თავის გარშემო, ახლობელთა წრეში იმოქმედოს და გააცნოს თავისი იდეალები. მისი აზრით, ამ დიდ სიმართლეში დარწმუნებით მათ

ზნობრივი სრულყოფილებისაკენ გაეხსენებათ გზა. აქ ავტორი პაროდიული ხერხებით ახერხებს სოციალურ მანიკერებათა ასახვას საოცარი შინაგანი იუმორით. ძმები კეფერადების, ერთი შეხედვით, უცნაური აკვიტებები აუცილებლად მოგვაგონებს დონ-კიხოტისეულ „შერეკილობას“. ჩვენი კრიტიკისათვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა ის ფაქტი, რომ „შერეკილობის მოტივმა“ საფუძვლიანად შეაღწია არა მარტო ქართულ მწერლობაში, არამედ თეატრალურ და კინოხელოვნებაშიც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთმა „შერეკილობამ“, მოუწევინა ასეთმა იტიერატციამ ცხოვრების არაერთ სერიოზულ პრობლემაზე მიაქცივინა ყურადღება ჩვენს საზოგადოებრიობას.

გურამ დონაშვილის გმირთა სიტყვა და საქმე ადამიანთა წრფელ გრძობებთანაა მუდამ გადაჯაჭვული, ამიტომ ფსიქოლოგიურად ყოველთვის დამაჯერებელია. ძნელია, დავეთანხმოთ ერთ-ერთი კრიტიკოსის შეფასებას, რომელიც ამბობს: გრიშა კეფერადის აზროვნებას „უტოპიური გულუბრყილობის იერი დაჰკრავს. მართლაც, უკუღმებელია ერთმა ადამიანმა ალერი ამოსდოს მთელი საზოგადოების მანიკერ ვნებებს. იმ რთული ნაზავიდან, რომელშიც თანამეზობლობენ სიკეთე და ბოროტება, სინათლე და სიბნელე, ნესტი და ქაოსი, დააკნინოს ერთი და უკუაგდოს მეორე. ყოველი ადამიანი სულიერად მსგავსისა და თანაზარის წინაშეა ზნობრივად პასუხისმგებელი (ნიცშე). ამ განსაზღვრებით ფილოსოფიის ცდილობდა ადამიანთა მოღვაწეობის ლოკალიზაციას, მათ შესაძლებლობათა გარკვეული ნიშნით შემოფარგვლას, ვინაიდან ხედავდა, რომ ქცევის უნივერსალური ნესების დადგენის ამოცანას პრაქტიკულად მანამდე ცნობილმა ევრტემარ ფილოსოფიურ-რელიგიურმა და ესთეტიკურმა მოძღვრებამ ვერ გაართვა თავი. ეს თვალსაზრისი ზოგიერთმა თეორეტიკოსმა ფსიქოზის, რასობრივი ელიტიზმისა და ბურჟუაზიული აპოლოგეტიკის წყაროდ გამოაცხადა, მაგრამ გაუგებრობის ბურუსი თანდათან იფანტება და დღეისათვის დგინდება ამა თუ იმ მწერლის შეფასების ობიექტური კრიტერიუმები. ასეთი „ეზოთერულთა ესთეტიკა“ არც თუ ისე დიდი ხანია ჩვენმა ხელოვნებათმცოდნეობამაც აღიარა და დღეს უკვე აღარ დავიბნენ იმ საკითხზე, რომ ვხვდებით ისეთ ნაწარმოებებს, რომლებიც განკუთვნილია საზოგადოების გარკვეული ნაწილისათვის და არა მასობრივი „მომხარებისათვის“. ამ კატეგორიის ნაწარმოებთა რიცხვს განეკუთვნება, აგრ-



ბურამ დორანაშვილის ოთხი მოთხრობა

ეთვე, გურამ დორანაშვილის თხზულებათა მნიშვნელოვანი ნაწილი<sup>1</sup>, თავიდან ჯერ გვიჩვენებს ალენიზმით, რომ, როგორც ვრძობა კეცერაძემ, ისე მისმა ძმებმა მშვენივრად იციან, რომ საზოგადოების, გინდაც ადამიანის, ერთი ხელის მოსმით გამოსწორება შეუძლებელია. გრიშა კეცერაძე ერთგან აღნიშნავს: «ყველაზე ძნელი ხალხია: შეხედავ — კარგია, გაიხედავ — ცუდი... უმრავლესობა ცუდ-კარგია, ამ ცუდ-კარგებს კი მოყვრება უხდათ, გავება და დაყვავება, განყრომაც ხანდახან და დარიცხვაც... ხანდახან ცუდისა და კარგის დადგენაც ჭირს ხოლმე, მაგრამ შთავარია ძიება და დაკვირვება». როგორც ვხედავთ, გრიშა კეცერაძე ადამიანებს არ მყოფს კეთილებად და ბოროტებად და არც იმას ცდილობს, რომ აღიკაბონოს ერთი და უკუაგდოს მეორე<sup>2</sup>, პირიქით, იგი ცდილობს ადამიანი, რომელიც ორივე საწყისის მატარებელია, შემოაბრუნოს კეთილისაკენ და გახადოს «უფრო მეტად კარგი». ხოლო რაც შეეხება «ნოთურულულის» ესთეტიკას, ჩვენ დავეთანხმებით კრიტიკოსს, რომ არსებობს ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც განკუთვნილია საზოგადოების გარკვეული ნაწილისათვის, მაგრამ ვერ დავეთანხმებით იმაში, რომ ამ ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნება გურამ დორანაშვილის თხზულებათა დიდი ნაწილი. მართალია, ავტორი ხშირად ალევგორიული ენით გვეუბნება თავის სათქმელს, მაგრამ იმდენად «ნამდვილად», უშუალოდ და ბუნებრივად აღწერს ადამიანურ ურთიერთობებს, რომ ნებისმიერი მკითხველისათვის შეტად საინტერესო საკითხავი ხდება, მიუხედავად იმისა, აღიქვამს თუ არა იგი ბოლომდე მის ალევგორიულ თხრობას. ამ მიზნით იგივე მკითხველი შეიძლება მეორეჯერაც მიუბრუნდეს ერთხელ ნაკითხულს. საერთოდ, მხატვრული ლიტერატურა მაინც არ არის «მასობრივი მოხმარების» საგანი. ხოლო მისთვის, ვისაც საერთოდ «ლიტერატურა უყვარს», ძალიან საინტერესო და მეტ-ნაკლებად გასაგებია გურამ დორანაშვილის თხზულებები. განსაკუთრებით ეს შეეხება მის მოთხრობებს. ვერ ვიტყვი, რომ მწერლისათვის მნიშვნელობა არა აქვს, რამდენად დაუყვრებს მკითხველი. პირიქით, იგი ათასხაირ მხატვრულ ხერხსა და საშუალებას მიმართავს, იმისათვის, რათა ჯერ დაიახლოვოს, აიყოლოვს, დაინტერესოს მკითხველი და შემდეგ უთხრას თავისი სათქმელი ისე, რომ იგი ხვდება: მწერალი მართალია მასთან ბოლომდე, მიუხედავად იმისა, ფანტასტიკურია ეს მოთხრობა თუ

ზღაპრის სახით არის გადმოცემული. ასე ხდებ მოთხრობაშიც. «კალ-ცალკე და ერთად», სადაც სამნი ძმანი კეცერაძეები გერთიანებული ძალით იბრძვიან ადამიანთა სულების შესაძვრელად. ნიშანდობლივია, რომ უფროსი ძმა შალვაც იმავეს იმეორებს. მან იცის, რომ «მეუნილებები» არ უნდა მიადგნენ ხალხს და არ უნდა დაუნყონ ნოვაციების კითხვა. ამას სჯობია, — ეუბნება იგი თავის ძმებს, — ხელოვნების ერთ-ერთი სახეობით ალვიჭურვით, იმისათვის, რათა ხალხის ნდობა დავიმსახუროთ და შემდეგ ეუთხრათ ჩვენი სათქმელი. ამ შემთხვევაში ძმებისათვის, იგივე ავტორისათვის, დიდი მნიშვნელობა აქვს, რამდენად ენდობიან და უყვრებენ მათ. ნინალმდეგ შემთხვევაში მათი დამიზნებული ისარი მიზანს ასცდება.

უხვად იყენებს ავტორი ამ მოთხრობაში ფოლკლორულ მასალას. მეტად ტიპურია მის მიერ აღწერილი ქართული სოფელი, სადაც მივლენ ძმები კეცერაძეები, როგორც ყველგან, აქაც არიან: «კეთილნი სულნი და სულნიც ბოროტნი, სხვადასხვანაირტყვადობიანი მატყუარები თუ პირნი მთქმელები... ერთთავიანი დევებიცა და მინყვი მუშაკიცა... ანგელოსებივით ბავშვები და გაჭინკებული ჯეილებიც, ეგებ მინდვრად გარუჯული მზეთუნახავებიც ერთით», ერთადერთი — მზეჭაბუკის არსებობა ექვსეზათ ძმებს. «ჩვენის მონდომებითა და რუდებით მზეჭაბუკი ჩამოყალიბდეს და დაიბადოს ეგებ», — გამოთქვა იმედი უფროსმა ძმამ. საერთოდ, მზეჭაბუკის ძმების იდეა ფარულ ლიტმოტივად გასდევს ამ «თანამედროვე ზღაპარს», — შეიძლება ითქვას გურამ დორანაშვილის მთელ შემოქმედებასაც. მოთხრობაში უხვად არის ჩართული ნაწყვეტები ქართული ხალხური ზღაპრებიდან, რომლებიც შინაარსობრივად ერთმანეთს აესებენ. პარალელური თხრობის გზით შეიყვება ავტორი ღარიბი გლეხის შვილის კიკოლის ამბავს, რომელიც, ჩვენი აზრით, სახეა ქართული ეროვნული სხეულისა, საიდანაც შეიძლება იმეა მზეჭაბუკი. მაგრამ მანამდე ჯერ კიდევ შორი გზაა. მშვირტიტველი კიკოლი დაამოიჯებს ქვეყანაზე და საკუთარი სულის მეტი არაფერი აბადია. ერთგან იგი ნაანხდება მზეჭაბუკი ციციანათელას, რომელიც ასწავლის: «სხვას რომ სულს შთაბერავ, შენც უფრო შეიფხებო». ასევე პარალელური თხრობის გზით არის ჩართული მოთხრობაში მესამე სუფეტური ხაზი, რომელიც გაიოხ ჯაშის ამბავს გვიამბობს: მას «ერთი უცნაური რამ ფრინველი სჭირდა» — ჩუმად ლექსებს ნერდა. მწერლის

1. ზ. გოგია, «როცა სიცილი მწუხარების თანამგზავრია», «მნათობი», 1987 წ., №5, გვ. 127

აზრით, ადამიანისათვის „არა აქვს გადაშენების მნიშვნელობა, მისი ლექსები ძლიერ კარგია, ნამეტურ სუსტი თუ მეტისმეტად საშუალო. მთავარი მაინც ისაა, რომ... თქვენივე სული გააჯანჯღარებთ და არ გასვენებთ...“ რომ თქვენი სულიდან ვიღაცა ხის სივრცით ხაპავს ყოველგვარ უნაშინდურებას, ნათლით იცხებით, კეთილი ტარტაროზი დაგუფლებით – და უცხო ნაკერჩხლები გიღვივით გულში“. ეს ორი სიუჟეტური ხაზი ერთიანდება, როცა ძმები სოფელში ჩავლენ, ხოლო ის პარალელური თხრობა, სადაც ავტორი კიკოლის ამბებს გვიამბობს, რამდენჯერმე გადაკვეთს ძირითად სიუჟეტურ ხაზს და სულ ბოლოს უფრთხვდება კიდევ მას. მწერალი ხშირად მოგვაგონებს, რომ თანამედროვე, მაგრამ მაინც ზღაპარს, გვიყვება და შიგადაშიგ ჩაურთავს კონკრეტულ ნაბრუნებს ამბავს, ნიქარას მწყემსი ბიჭის სავარცხელსაც გამოიყენებენ ძმები კვერახვები. და რაც უფრო საინტერესოა, ერთგან ეს ძმები იწყებენ საკმაოდ უკმაყოფილო ტონით საუბარს თავად ავტორის შესახებ. სწორედ მათი პირით გვეუბნება მწერალი, თუ რატომ გადაუწყვეტია „თანამედროვე ზღაპრის“ დანერგა: „ადიდი ხნის წინათ, საბერძნეთში, მწერლები მხიარულ, ზღაპრულ სამოსელში ახვევდნენ თავიანთ არცთუ მხიარულ ნააზრევს, რათა მკითხველებისათვის ამ გზით უფრო ადვილად მიეზოდებინათ ნაწარმოები“. მართლაც, არცთუ ძალიან მხიარულია ის ძირითადი დედაზრი, რაზეც ავტორი ეხმობა: „ზღაპარი, აქ რამდენჯერმე შევხვდებით ვინაო ორდობეში მომავალ ძალზე დადგრემილ კიკოლის, რომელიც თავის გაჭირვებას ჩივის, ერთგან გულამოსკენილი ტერის – თავი დაგვარგეო, მეორეგან – გაზულუქებული, ეპოლეტებით მორთული, ევროპული ფრკითა და ცილინდრით, მსახურებითა და ნატერის სუფრით, მესამეჯერ – კვლავ ვჯალოს ტომრით და თავზე ჩიტის ბუფით, რომელსაც დევი ლამის ხი-

კედლიამდე სცემს კვლავ დევი ლამის შემდეგ ძმები კვერახვები მოინევენ სოფელელებს და დაატრიალებენ კომედია „დელ არტეს“ მოქართულო ვარიანტს ისე ყოჩაღად, რომ მაყურებელთა სრულ ყურადღებასა და თანაგრძობას დაიმსახურებენ. აქ დარწმუნდება ვასიკო კვერახე, რომ არ ყოფილა უტომისტი. და მაშინ, როდესაც დადგება მომენტი, როცა შალვამ მათ ის მთავარი სათქმელი უნდა უთხრას, რისთვისაც აქ მოვიდნენ, აღმოჩნდება, რომ მსმენელები ერთმანეთს „შესვლინთოდნენ“ და მათგან მხოლოდ ერთი – კიკოლია დარჩენილიყო, რომელიც თავის უბედურებას სიზარმაცეს აბრალებდა. შალვამ ასეთი გამოსავალი იპოვნა: ჯერ თავისი ძმები შესტორცნა და „შეაჟღერა“ კიკოლის, შემდეგ გაიხო ჯაში და ბოლოს თავადაც „შეუჟღერა“. ძლიერ შეიცვალა კიკოლი: მღერის, ცეკვავს, საუბრობს საუცხოოდ, ზეპირად იცის პოეზია თუ ლიტერატურა და ერთი რამის სიყვარულიც – ხომ იცის და იცის! ვაემართა გაამაყებული და გამხნეებული კიკოლი თავისი ბედის საქმენელოდ... შეამჩნია, რომ „შორს რაღაცა ბჟუტავს“. როგორც ვხვდავთ, კიკოლის სახით მწერალი ქმნის თანამედროვე მხეჭაბუკის მხატვრულ სახეს, რომელსაც ჯერ კიდევ სცივა და ში, მაგრამ მისთვის „შორს რაღაცა ბჟუტავს“. ბოლოს, უნდა დავეთანებოთ მწერალს, რომ ეს მოთხრობა ნამდვილად არ არის „მხიარული ნააზრევი“, თუმცა ავტორი ხშირად ახერხებს თავისი იშვიათი იუმორით გაახალისოს მკითხველი და თხრობა უფრო მიმზიდველი გახადოს. მოთხრობაში გამოყენებული ხერხები, ზღაპრები, ხალხური გმირები, ფანტასტიკური მოტივები საშუალებას აძლევს მწერალს ძლიერ გააფართოვოს თავისი თხზულების „ფიზიკური“ თუ გონებრივი არეალი, მათი ასახვის სამყარო და ესთეტიკური იდეალების წრე.

# ნიკოზ გოგებაშვილი ღა აფხაზეთი

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომი პერიოდის საქართველოში განსაკუთრებული სიმწვავეით დასმულ პრობლემათაგან, რომელთა წარმატებით გადაწყვეტა, დიდი ცდისა და მონღომების მიუხედავად, დღემდე ვერ მოხერხდა, აფხაზური სეპარატიზმი ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეულია და გამორჩეული მნიშვნელოვანი. რუსეთის აქტიური სამხედრო დახმარებით საქართველოს ადე ფაქტოდ ჩამომორებული აფხაზეთი ყველაფერი აკეთებს ენ. დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოსაყალიბებლად და იმ გეოგრაფიული სიერციდან მოსაწყვეტად, რომლის ღვიძლ ნაწილსაც საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდა.

მაგრამ, როგორც სათანადო მასალების გაცნობა ცხადყოფს, აფხაზური სეპარატიზმი არც მხოლოდ ბოლო წლების მოვლენაა და არც მარტო საბჭოთა პერიოდისა. საამისო საფუძველად, სამუხაროდ, ბანჯრძლივი დროის განმავლობაში მხადედებოდა. განსაკუთრებით ფართო მასშტაბები ამ მოვლენამ საქართველოში რუსული კოლონიალიზმის დამყარების პერიოდში შეიძინა. იმგამად არსებული ვითარება ამ სეპარატიზმთან აქტიური ბრძოლის საშუალებას თითქმის არ იძლეოდა და ქართულ-აფხაზური წინააღმდეგობანი ხელმოწეულად იყო მიქმალულ-მიჯტყეული. ეს, უპირველეს ყოვლისა, საბჭოთა პერიოდზე უნდა ითქვას, როცა საკავშირო ხელისუფლება აფხაზეთში არსებულ დაძაბულ მდგომარეობას მოხერხებულად იყენებდა ენ. ქართული ნაციონალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

მაგრამ, მიუხედავად იმპერიამი დამკვიდრებული დიქტატორული რეჟიმისა, ჩვენი ერის დიდი შეილები მაინც ყველაფერს აკეთებდნენ აფხაზური პრობლემის დასაძლევად და აქტიურად იბრძოდნენ აფხაზთა სეპარატიზმისა და ხელისუფლების რეაქციული უროვნული პოლიტიკის წინააღმდეგ. ეს რომ ნამდვილად ასეა, ამაზე მე-19 საუკუნის ჩვენი დიდი მამულიშვილების შემოქმედებითი შემკვიდრებაც მეტყველებს ნათლად და არაორაზროვნად. ერთ-ერთი მათგანია იაკობ გოგებაშვილი, რომლის ნააზრევში აფხაზური პრობლემის ბევრი ისეთი მხარეა ხილრმისეულად განსჯილ-გაზრებული, რომელიც დღემდე ანდელი თვალთახედვითაც უაღრესად სინტერესთა და მრავლისმთქმელი.

ქვემოთ შევეცდები მკითხველს რამდენადმე მაინც შევექმნა ნათელი წარმოდგენა ამ პრობლემის იაკობ გოგებაშვილისეულ გაზრებაზე.

დავინყებ 1907 წელს დაწერილი სტატით — „პოლიტიკანობა აფხაზეთში“ (ი. გოგებაშვილი, ტ. 4, 1955 წ. გვ. 173-175) ი. გოგებაშვილმა წერილის დახანყისმივე გამოკვეთა ის მსახური მინაგანი დაპირისპირება, რომელიც საზოგადოებაში აფხაზეთის პრობლემასთან დაკავშირებით არსებობდა იმხანად. მისი თქმით, „იმგამად აფხაზეტს ორი მოტრფილუე ჰყავდათ. ერთნი ცდილობდნენ სრულიად დაემორებინათ იგინი საქართველოს, გაემარტოებინათ და გადაებორებინათ თავისკენ. მეორენი მონატრულნი იყვნენ დაეცვათ ისტორიული კავშირი აფხაზეტისა ქართველებთან“.

მიუხედავად იმისა, რომ ი. გოგებაშვილის ამ წერილის დაწერიდან თითქმის მთელი საუკუნე გავიდა, ვითარება არსებითად თითქმის დღემდე არ შეცვლილა და ერთმანვეთთან პრინციპულად დაპირისპირებული ეს ორი ძალა კვლავაც გააფთრებით ებრძვის ერთმეორეს. სამწუხარო ამ შემთხვევაში ისიც არის, რომ ამ ძალათაგან პირველი, რომლის მიმდევართა მიზანი საქართველოდან აფხაზეთის ჩამომორება, ავამარტოვება და გადაბირებაა, დროთა განმავლობაში იმდენად გაძლიერდა, რომ ჩვენი ქვეყნის ის ძირძველი კუთხე, ფაქტობრივად, მონყვიტა კიდევ ჩვენს ქვეყანას.

ი. გოგებაშვილი, რომელიც 1877 წელს, რამდენიმე აფთი, პრადადაც ცხოვრობდა აფხაზეთში, კარგად იცნობდა იქ არსებულ მდგომარეობას და რამდენადაც თავისი დროის ცენსურული პირობები ამის შესაძლებლობას აძლევდა, შეუღამაზებლად და ნილაზბდილად აცნობდა მას მკითხველს. მისი შეფასებით, ზემოთ მოხსენიებული დაპირისპირებული მხარეები ყველაფერს აკეთებდნენ თავიანთი მიზნის მისაღწევად. მათგან განსაკუთრებული აგრესიულობით მაინც ისინი გამოირჩეოდნენ, რომლებიც საქართველოსგან აფხაზეთის ჩამომორებას ცდილობდნენ, მიზანიმართულად აკალობდნენ ისტორიას და ამ ზვით სურდათ „ლელოს გატანა“.

მათგან განსხვავებით, როგორც მართებულად შენიშნავს ი. გოგებაშვილი, მეორე მხარის წარმომადგენლები „მხოლოდ ბუნლუნობდნენ, სხიოდნენ, ხნერდნენ კორესპონდენციებს გაზეთებში, სადაც თავის უქმყოფილებას აცხადებდნენ, საქმით კი არაფერს აკეთებდნენ. ამ დამოცილებს დავინყებიათ ის საანბანო ქემშირიტება, რომ უკულმართის საქმის ძლევა შეიძლება მხოლოდ ნაღმართი საქმით და არა ცარიელ სიტყვით, — ფაქტის გაქარწყლება ძალუქს მარტო ფაქტისავე და არა ლიტონს სიტყვასა“.





ი. გოგებაშვილის ეს სიტყვები არა მარტო წარსულში არსებული ვითარების გასააზრებლად, ანტიტრესო, არამედ დღევანდელი მდგომარეობის არსში გასარკვევადაც. ამ დამსკვების მოსაზრებების გაცნობა კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ აფხაზური სეპარატიზმი მხოლოდ საბჭოთა ეპოქის წარმოქმნილი პრობლემა არ არის და მას ისტორიულ წარსულშიც საკმაოდ ღრმად აქვს ფესვები გადგმული.

ი. გოგებაშვილი დაბეჯითებით მოუწოდებდა თანამედროვეთ, კარგად გაეცნობიერებინათ რეალურად არსებული ვითარება და ნათლად შეეცნოთ, რომ ქართველთა და აფხაზთა შორის ისტორიულად არსებული ერთობის შენარჩუნება უკვე აღარ იყო შესაძლებელი მხოლოდ „ქველბურთხვებითა და ტაქტიკით“ და ახალნი გარემოებანი ახალს ტაქტიკას თხოულობდნენ“.

ი. გოგებაშვილი ცდილობს მხოლოდ მომწოდებელ-ადიქტიკოსის როლში არ დარჩეს და თავადვე თავაზობს საზოგადოებას ამ ახალი ტაქტიკის გამოშვებულ ერთ-ერთ საშუალებას. ეს არის აქტიური მომზადება აფხაზური „დედაინის“ შესადგენად და დასაბუქდად. ამ თვალსაზრისით, ხსენებული წერილი გამოწვევის არ არის და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ი. გოგებაშვილს სხვაგანაც არაერთგზის გაუმახვილებია ყურადღება.

როგორც ცნობილია, საკითხი აფხაზური დამწერლობის შექმნის შესახებ პრაქტიკულად მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო. ეკრძოდ, პირველი აფხაზური ანბანი რუსული გრაფიკის საფუძველზეც რუსმა ენათმეცნიერმა პ. უსლარმა 1862 წელს შექმნა, პირველი აფხაზური საანბნო ნივნი კი 1865 წელს გამოცემა თბილისში, ხოლო 1892 წელს დაიბეჭდა ქ. შაჰაგარაინისა და დ. გულიას მიერ შედგენილი სახელმძღვანელო „აფხაზური ანბანი“. აფხაზური ანბანისა“ და „დედაინის“ სახელმძღვანელოები მე-20 საუკუნის დასაწყისში ა. ქოჭუაძეც გამოცემა.

როგორც ი. გოგებაშვილის ნაწერებიდან ჩანს, იგი არა მარტო სიტყვიერად უჭერდა მხარს ამ პროცესს, არამედ ქართველ საზოგადოებას მოუწოდებდა პრაქტიკული მონაწილეობა ცივ მივლით აფხაზური დამწერლობის შექმნასა და დამკვიდრებაში, ვინაიდან ამ გზით აფხაზები საქართველოსა და ქართველებს კი არ გაემიჯნებოდნენ, არამედ კიდევ უფრო დაუახლოვდებოდნენ. ამიტომაც შეუიღბა იგი საჭიროდ, „სოხუმელი ერთობის“ ქართველ მოციქულებს პოლიტიკანების გასაცრელებლად და თავიერი მისწრაფებების განსაზოცილებლად“ აფხაზებთან „შეთერთებულნი ძალით“, სასწრაფოდ შეედგინათ აფხაზური „დედა ენა“, რომელსაც თბილისში საკუთარი დაფინანსებით „დიდი სიამოვნებით“ გამოისცემდა „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“.

გარდა ამ საკითხისა, ზემოთ მოხსენიებულ წერილში ი. გოგებაშვილმა ერთი მნიშვნელოვ-

ანი პრობლემაც წამოჭრა მთელი სიმწეავით – წირვა-ლოცვის აფხაზურ ენაზე შემოღების მიზანშეწონილობა. აფხაზური დამწერლობისაგან განსხვავებით, ამის გაკეთება მას მიუღებელ მთვლენად მიიჩნია, ვინაიდან აფხაზთა ყური მრავალი საუკუნეების განმავლობაში მხოლოდ ქართულ ენაზე ისმენდა ღვთისმსახურებას და ამ ენას აფხაზთა შორისაც „საღმრთო ენის სახელი და პატივი ჰქონდა“ დამკვიდრებული.

იმისათვის, რომ ეს ტრადიცია კვლავაც აღმდგარიყო და გაგრძელებულიყო წარმატებით, ი. გოგებაშვილი საჭიროდ თვლიდა აქედან ბუნდუნის მაგივრად ფაქტით დაეპირისპირებოდით ფაქტს: კარგი წირვა-ლოცვის და გალობის მოწყობით ქართულ ენაზე სოხუმში და სხვა ადგილებში, რომელიც დღემდე თითქმის აკრძალული იყო და რისასაც სრულს ნებას აძლევდა ახალი კანონი სარწმუნოების თავისუფლებებისა“.

ი. გოგებაშვილის რწმენით, აფხაზეთის პრობლემა მხოლოდ იმ შემთხვევაში გადაწყვედებოდა წარმატებით, თუ აფხაზებს კარგად გავაცნობიერებინებდით იმას, რომ აფხაზეთი მხოლოდ იმ საუკუნეებში სტკებოდა კეთილდღეობით და კაი სახელით, როცა შეკავშირებული იყო საქართველოსთან პოლიტიკურად, სარწმუნოებით და ღვთისმსახურებით... მაგრამ როცა ისტორიის უკულმართმა ტრიალმა იგი მოსწყვიტა საქართველოს და გაამარტოვა აფხაზები უკან-უკან ნაკიდნენ, დაეცნენ, გაველურდნენ, რიცხვით მუჭად შემცირდნენ და ახლა წინანდელის მოზრდილის ერის ნაცვლად, წარმოადგენენ ერთ მუჭა თუმს, რომელსაც გაქრობა – ემუჭრება, თუ პოლიტიკანებმა გააცალკევეს, გაიმარტოვეს და მოსწყვიტეს საქართველოსა“.

ასეთია აფხაზებთან ტრადიციული ძმობის და ერთობის აღდგენისა და განმტკიცების ის გზა, რომელსაც აფხაზეთის პრობლემის წარმატებით გადასაწყვეტად თავაზობდა ქართველ ხალხს ი. გოგებაშვილი.

1907 წელს ი. გოგებაშვილმა აფხაზეთისადმი მიძღვნილი მუხარე წერილიც გამოაქვეყნა – „აფხაზეთის შესახებ“ (ი. გოგებაშვილი, რწ. თბ. ტ. 3, 1990 წ., გვ. 134-135). რაგინდ უცნაურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, ამ წერილში აფხაზურ ენაზე ღვთისმსახურების შესრულებასთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრება რადიკურად განსხვავდება ზემოთ დამონებულ თვალსაზრისისაგან.

ი. გოგებაშვილი ამჯერად უკვე აფხაზურ ენაზე საღვთისმსახურებო ნივნების თარგმნასა და ღვთისმსახურების შესრულებას უჭერდა მხარს აშკარად, „მართალია, აფხაზეთი, – წერს იგი, მრავალი საუკუნის მანძილზე შეადგენდა საქართველოს პოლიტიკური სფეროს ნაწილს, იქ ღვთისმსახურება სრულდებოდა ქართულ ენაზე და დამწერლობაც ქართული იყო თვით აფხაზთა სურვილისამებრ, მაგრამ ხომ უჭ-



ველი ფაქტია, რომ აფხაზური ენა ქართული ენის ელემარ არ არის, არამედ დამოუკიდებელი ენაა, თუმცა ქართული ენის მონათესავე“. ასე რომ, ი. გომბაზაშვილის აზრით, აფხაზებს, როგორც დამოუკიდებელი ენის მქონე ხალხს, საქსებით გამართლებულად უკონდათ უფლება იმისა, მშობლიურ ენაზე დამწერლობაც უკონდათ შექმნილი და ლეთისმსახურებაც.

ი. გომბაზაშვილი ჩვენი ხალხის მოქალაქეობრივ მოვალეობად მიიჩნევდა, ისევე „მხურვალედ“ გვეზრუნა აფხაზური ლიტერატურისა და სალეთისმსახურებლო ენის განსვითარებლად, როგორც ქართულისა. „ჩვე, ქართველებს, – ნერდა იგი, – მხურვალედ გვესურს როგორც ჩვენი სალეთისმსახურეო ენის, ისე ჩვენი მშობლიური ლიტერატურის განვითარება და გამდიდრება. მოვალენი ვართ იგივე ვისურვოთ სხვა ეროვნებებისთვისაც, მათ შორის აფხაზებისთვისაც.

სწორედ ხაზმის რწმენას განუმტკიცებდა ი. გომბაზაშვილი ის დიდი შემეხინარებლობა და კეთილგანწყობითი დამოკიდებულება, რომელსაც ქართველი ყრი ისტორიულად ყოველთვის იჩენდა ხოლმე ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები სხვა ხალხების მიმართ. ასე რომ, ი. გომბაზაშვილის სიტყვებით თუ ვიტყვი, ქართულთა სამეფოში არასოდეს ყოფილა „გერები და ბედკრულები“ და ჩვენი ქვეყნის „საზღვრებს ყველანის ისე თავდადებით იცავდნენ, როგორც ღვიძლი შვილები“.

ეს თვალსაზრისი ღრმად და აფუჭელიანად გააზრებული რწმენის ნაყოფი რომ იყო, ამის დასტურად სხვა ამონაწერებიც მრავლად შეიძლება მოვიყვლიოთ მისი ნაწერებიდან. „ქართულობა, – ნერდა, მაგალითად, ერთგან იგი, – არასდროს არ ყოფილა გამსჭვალული ნაციონალური ვინრო ეკოიზმით, მოეიზმით. ჩვენს სამეფოში, წარსულს საუკუნოებში, ყველა არა ქართველი გათანასწორებული იყვნენ ქართველთაან ყოველი უფლებით, არავითარ შევიწროებას არ განიცდიდნენ არც სარწმუნოების და არც ენის შესახებ და ყოველს თანამედებობაზე ისევე მწესდებოდნენ, როგორც თვით ქართველები. ეხლაც ქართველობას არც სომხებისთვის, არც რუსებისთვის, არც თათრებისთვის და არც სხვებისათვის სიკეთის მეტი არაფერი სურს, ითხოვს მხოლოდ, რომ მან მიუწყოს იმავე ნაწყაულობა, რომლითაც იგი ურწყავდა სხვებს“ (ი. გომბაზაშვილი, რწ. თხზ. ტ. 3, 1990 წ. გვ. 239).

ი. გომბაზაშვილი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ აფხაზთა ცნობიერებაში ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებითა და „კულტურულობის გზაზე მათი დადგომით“ ისინი ქართველებს კი არ გაემიჯნებოდნენ, არამედ, პირიქით, კიდევ უფრო დაუახლოვდებოდნენ და ამით ჩვენს ერთან აფხაზთა უნიანდელი ვარგნული ერთობა მინაგანის სოლიდარობითა და ინტენსიური ძმობით შეიცვლებოდა“.

საკითხი აფხაზურ ენაზე დამწერლობის შემოღების აუცილებლობის შესახებ ი. გომბაზაშვილმა პირველად 1878 წელს გაზეთ „ტიფლისკი ვესტნიკში“ გამოქვეყნებულ ვრცელ წერილში – „მშობლიურ ენაზე სწავლების საკითხები“ დასვა. პირველდამწყებითი განათლების მშობლიურ ენაზე მიღების აუცილებლობაზე მსჯელობის დროს მან უყურადღებოდ არც აფხაზები დატოვა და კატეგორიულად მოითხოვა აფხაზ ბავშვებს დამწყებითი განათლება მშობლიურ ენაზე მიეღოთ. თავისი ამდაგვარი მოთხოვნით ამ შემთხვევაში იგი არა მარტო რუს ჩინოვიკებს დაუპირისპირდა, არამედ თავად აფხაზთა იმ ნაწილსაც, რომელიც ღრმად იყო დარწმუნებული იმში, რომ „პირველდამწყებითი, ელემენტარული სწავლების წარმოება აფხაზურ ენაზე შეუძლებელიაო“ (ი. გომბაზაშვილი, რწ. თხზ. ტ. 4, 1990 წ. გვ. 145).

ი. გომბაზაშვილის რწმენით, ეს აზრი უაღრესად არაკეთილსინდისიერი იყო, ვინაიდან არ არსებობდა და არც შეიძლებოდა არსებულყო ისეთი ადამიანური ენა, რომელზედაც არ მოხერხდებოდა პირველდამწყებითი სწავლების მოკავრება“ (იქვე). როგორც ი. გომბაზაშვილის მთელი ცხოვრება და შედგაგოგირი მოღვაწეობა ადასტურებს, ის სიტყვები მის ნამდვილ გულითს ქმნას გამოხატავს და მან თავისი პრაქტიკული საქმიანობითაც უდიდესი როლი შეასრულა აფხაზურ ენაზე პირველდამწყებითი განათლების შემოსაღებად და განსვითარებლად.

აფხაზებთან დაკავშირებით ი. გომბაზაშვილის პოზიციის გასარკვევად ორიოდე სიტყვა იმ ინფორმაციის შესახებაც უნდა ითქვას, რომელიც მან თავის „ბუნების კარში“ შეტანა მოსწავლეთათვის სავალდებულო შესასწავლ მასალად. „ბუნების კარის“ პირველ, 1863 წლის გამოცემაში, ი. გომბაზაშვილი აფხაზებისადმი მიძღვნილ წერილს (ი. გომბაზაშვილი, ტ. 6, 1958 წ. გვ. 2-3) იმის ხაზგასმით იწყებს, რომ „აფხაზები ჩამომავლობით ქართველი ნათესავისა არ არიან და შეადგენენ ცალკე ტომსა“. ნიგნის მეორე გამოცემაში (1912 წ.) ეს აზრი ავტორმა კიდევ უფრო გაამკვეთდა და ამდაგვარი ფორმით ჩამოაყალიბა: „აფხაზები ჩამომავლობით ქართველების მოდმისა არ არიან და შეადგენენ ცალკე ტომსა“ (იქვე, გვ. 653).

როგორც ვხედავთ, ი. გომბაზაშვილი არა მარტო ზოგადად არ იზიარებს იმ თვალსაზრისს, აფხაზები ქართველთა მონათესავე ხალხს რომ არ წარმოადგენს, არამედ საჭიროდ თვლის ეს აზრი მოსწავლეებს ბავშვობიდანვე ჩაუნერგოს გულში. თუმცა იგი იმავე წერილში ჩვენს ხალხების ისტორიული თანაცხოვრების შესახებაც ხაზგასმულად ამახვილებს ყურადღებას და წერს: „შუა საუკუნეებში საქართველო და აფხაზეთი ერთად იყვნენ შეერთებული და ერთ სამეფოს შეადგენდნენ... ამ დროს საქართველოს დიდი გავლენა უკონდა აფხაზეთზე და ბერრითაც დაიმსგავსა“. ი. გომბაზაშვილის ეს დრო

„აფხაზეთისათვის ყოვლის სასარგებლო“ ხანად მაჩანია.

ამ პერიოდის უმთავრეს სიკეთედ იგი, პირველ ყოვლისა, იმას თვლის, რომ „ამ დროს აქ წარმართობის მაგიერ ქრისტიანობა გავრცელდა, რომელმაც ხალხის ზნეობა ბევრით გააუკეთეს“. სამწუხაროდ, შემდგომში ეს ერთობა დაირღვა, აფხაზეთი საქართველოსგან განცალკევდა და ოსმალეთის გავლენის ქვეშ მოექცა, რასაც იქ მაჰმადიანური რწმენის გავრცელება მოჰყვა. ი. გოგებაშვილის შეფასებით, მისი დროის აფხაზეთში თავდაზნაურთა დიდი ნაწილი ქრისტიანი იყო, „დაბალი ხალხის“ უმეტესობა კი ან მაჰმადიანი, ან წარმართული რწმენის მიმდევარ.

ი. გოგებაშვილის თვალსაზრისის გასააზრებლად ყოველივე ზემოთქმულთან ერთად ახტავ მუტად მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ „ბუნების კარის“ 1912 წლის გამოცემაში აფხაზეთისადმი მიძღვნილი სტატია მან წიგნის იმ გარკვეულობაში შეიტანა, რომელსაც „მეზობელი ქვეყნები“ შეეია და ამით კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ აფხაზეთი ეაროველებსაგან განცალკევებული მოდგმის ხალხს წარმოადგენენ.

როგორც ცნობილია, მე-19 საუკუნეში რუსეთის იმპერიიდან კავკასიურ ხალხთა თურქეთსა და სხვა მაჰმადიანურ სახელმწიფოებში მასობრივი გადასახლების პროცესში, რაც მუჰაჯირობის სახელითაა ცნობილი, მოსახლეობისაგან დაცარულია და გააუღაბრა მათი საცხოვრებელი რეგიონები. იმხანად ამ ტრაგიკული მოვლენის მსხვერპლი ათასობით აფხაზიც ვახდა. სპეციალისტთა გაანგარიშებით, მათმა რიცხვმა მე-19 საუკუნეში ასი ათას კაცს მიაღწია.

თურქეთში აფხაზთა მუჰაჯირობის პროცესმა განსაკუთრებით ფართო მასშტაბები რუსეთ-თურქეთის 1853-56 და 1877-78 წლების ომების, 1864 წელს აფხაზეთის სამთავროს გაუქმებისა და 1868 წლის სახალხო აჯანყების სიხლში ჩახშობის შედეგად შეიძინა. ამ ტრაგიკულ მოვლენათა საფუძველზე აფხაზეთის დიდი ნაწილი, ფაქტობრივად, თითქმის მთლიანად დაიკარგა მოსახლეობისაგან. ამ გარემოებამ მთელი სიმწვავეით დასვა დღის წესრიგში ამ მხარის კოლონიზაციის საკითხი.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის როგორც ქართულ, ისე რუსულ პრესაში ამასთანა დაკავშირებით საკმაოდ მძაფრი პოლემიკაც არაერთგზის გამართულა ქართველ პატრიოტებსა და რუს რევოლუციონერებს შორის. იმ პერიოდის დიდი ქართველი მამულიშვილები ყოველწარად ცდილობდნენ წინ აღდგომოდნენ ხელისუფლების სურვილს აფხაზეთში რუსი მოსახლეობის მასობრივი ჩასახლების შესახებ, რაც საქართველოს ამ ძირძველი კუთხის ჩვენი ქვეყნიდან საბოლოო მოწყვეტისა და გაუცხოების მხაკერული მიზნით იყო ნაკარნახევი.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აქტიურობდნენ ჩუენი დიდი „სამოციანელები“

(ი. ჭავჭავაძე, ა. ნერეთელი, ი. გოგებაშვილი, ს. მესხი...). როგორც მათი შემოქმედებითა და პრაქტიკული მოღვაწეობით დასტურდება, ისინი თავდადებით ეძებდნენ ამ დიდი ეროვნული იმპალიზმის გადაწყვეტის გზებს და ყველაფერს აკეთებდნენ მუჰაჯირობისაგან დაცარიელებულ აფხაზეთში ქართული მოსახლეობის ჩასახლებლად.

ქვემოთ შევეცდებით, მკითხველს იმ დიდ მამულიშვილურ ღვაწლზე შევეუქმნა გარკვეული წარმოდგენა, რომელიც იაკობ გოგებაშვილის მიუძღვის ამ თვალსაზრისით.

აღნიშნული პრობლემისადმი მიძღვნილი ერთ-ერთი პირველი ვრცელი წერილი მან 1877 წელს გამოაქვეყნა გაზეთ „ტიფლისკი ვესტნიკში“. მხედველობაში მაცეს სტატია „ვინ უნდა იქნეს დასახლებული აფხაზეთში“ (ი. გოგებაშვილი, რწ. თხზ. ტ. 1, 1989 წ. გვ. 366-399). ი. გოგებაშვილიმა დაინტერესებულ მკითხველს არა მარტო სიღრმისეულად დაანახა „პირველი შეხედვით ძალიან ადვილად გადასახწყვეტი ამ საკითხის“ მთელი სირთულე, არამედ ხელისუფლების პრობლემის გადაწყვეტის მისეული გარანტიაც შესთავაზა.

იმის გამო, რომ თურქეთში მასობრივად გადასახლებულმა აფხაზებმა საშუალოდ მიატოვეს თავიანთი სამშობლო, „საყოფიერებოთა და ბუნების იმეათი სიმდიდრით განთქმული“ ეს მხარე რეალურად დადგა გაუდაბურების საფრთხის წინაშე. ამიტომ ხელისუფლებას სასწრაფოდ უნდა მიეღო ზომები აფხაზეთში ხალხის ჩასახლებლად ბუნებრივია, ამ მხარის მომავალი დიდად იქნებოდა დამოკიდებული იმათუფინც იქ დამკვიდრდებოდა. ადვილად გასაგებია მიზეზების გამო, ხელისუფლებამ თავიდანვე მიზანმიმართულად აიღო კურსი აფხაზეთში რუსების ჩასახლებაზე და რეალურად დაიწყო კოდეც ამის გაკეთება.

გარდა იმისა, რომ აფხაზეთში რუსეთის ცენტრალური გუბერნიებიდან მასობრივად დააპირეს და დაიწყეს კიდევ რუსების ჩასახლება, ხელისუფლებამ მის სამსახურში კატკოუსნაირი ერთგულებით მდგარ დიდმოხელეებსაც გულუხვად ურიგებდა მიწებს საჩუქრად. მაგრამ, საუბედინოდ, ამ პრობლემის ასე იოლად და მარტივად გადაწყვეტა იმხანად შუძლუბელი აღმოჩნდა, პირველ ყოვლისა, იმის გამო, რომ რუს კოლონიზატორებს ძალზე გაუჭირდათ აფხაზეთის სპეციფიკურ პავასთან შეგება.

ქართველი პატრიოტები, რომლებიც თავგამოდებით ეწინააღმდეგებოდნენ აფხაზეთის გარუსების ხელისუფლებისეულ პოლიტიკას, იმპაბნდელი მკაცრი ცენზურული შეზოქილობის პირი ბებში თავიანთ ნამდვილ გულისთქმას, ბუნებრივია, პირდაპირ ვერაფრით აფშვლავებდნენ. ამიტომაც იყო, რომ ისინი ეფხაზეთის კოლონიზაციავზე საუბრის დროს აქცენტებს ძირითადად ისეთ საკითხებზე აკეთებდნენ, რომლებიც ხელისუფლებას სხვაგვარი დაქვეების საფუძველს არ მისცემდა და



სწორედ ასეთი „შემოვლითი გზებით“ ცდილობდნენ პრობლემის სასურველი ფორმით გადაწყვეტას.

ი. გოგებაშვილის დასახელებული ნერილიც ამის ნათელი დადასტურებაა. უმთავრესი არგუმენტი, რომლითაც ავტორმა აფხაზეთში რუსების, სომხებისა და სხვა არაქართული ხალხების ჩამოსახლება სრულიად გაუმართლებლად მიიჩნია, აფხაზეთის შავის მანევრლობა იყო. მისი თქმით, იქაური მრავალრიცხოვანი ჭაობები, რასაც ქარბნალექიანობაცა და ძლიერი ნესტიანობაც ემატებოდა, იმდენად ნამალადა ჰქერს, რომ იქ ცხოვრება ამდგვარ პირობებში შეუძლებელია ადამიანისათვის ფაქტობრივად შეუძლებელიც იყო. ამის დასტურად ი. გოგებაშვილი აფხაზეთში ჩასახლებულ იმ რუსებს ასახელებდა, რომლებიც იქაური „შამიანი შავის და მომაკვინებელი ციხეცხელებს“ მსხვერპლნი გახდნენ. პირველ ყოვლისა, სწორედ ამით ხსნის იგი იმ ფაქტს, რომ აფხაზეთში მათი რაოდენობა საგრძობლად მცირე იყო. „შემდგომად ავადმყოფობამ“ ბევრი მათგანი იძულებული გახდა ახალი საცხოვრისიდან აყრილიყო და ქვედა უკან დაბრუნებულიყო, ნაწილი დაიღუპა, ხოლო დარჩენილები, რომელთაც წასვლის საშუალება არ ჰქონდათ, „წყველიდნენ ბედს, რამაც ისინი ვადმოსიროლა ამ კუთხეში, სადაც ისინი ფანშრთელი ლუკანითელი ხალხიდან გადაიქცნენ გაყვითლებულ ჩონჩხებად“.

შათგან განსხვავებით, აფხაზები, რომლებიც ხალხუნების განმეკობაში ცხოვრობდნენ თავიანთი მიწაზე, შეგუებული იყვნენ იქაურ „კლამატურ თავისებურებებსა და ჭაობის მხარს და ნაკლებად იშხამებოდნენ“.

იმის გამო, რომ ხელისუფლებისათვის დაექვების საფუძველი არ მიეცა, ი. გოგებაშვილი აფხაზეთში არა მარტო რუსებისა და სომხების ჩასახლების მიზანშეწონილობას ამტკიცებდა თავგამოდებით, არამედ თვლიდა, რომ იმავე მიზეზით აფხაზეთში ვერც აღმოსავლეთ საქართველოდანაც ჩაეახლებდით ხალხს და ვერც დასავლეთ საქართველოს ბევრი კუთხიდანაც, ვინაიდან შათაც გაუჭირდებოდათ იქაური „ჭაობიანი დასახლებების დაძლეველ მოქმედებასთან“ შეგუება და ისინიც უსათოდ დაიხოცებოდნენ ავთვისებიანი ციხეცხელებით.

ურთაერთნი, რომელთაც, ი. გოგებაშვილის მტკიცებით, უმტკივნეულოდ შეეძლოთ აფხაზეთის სპეციფიკური შავის ატანა, შერეულები იყვნენ. მისი აზრით, ისინი ისე გრძობდნენ თავს აფხაზეთში, როგორც საკუთარ სახლში, რაც არსებითად იყო განპირობებული აფხაზეთისა და სამეგრელოს ბუნებრივი პირობების დიდი მსგავსებით. აფხაზეთის ატანა იმერლებსაც და გურულებსაც ნაკლებად უჭირდათ, ვინაიდან მათი „სამშობლოც რამდენადმე უმსგავსებლად აფხაზეთს ბუნებისა და შავის მხრივ“, მაგრამ ამ თვალსაზრისით სამეგრელო ი. გოგებაშვი-

ლის მაინც განსაკუთრებით გამორჩეულ მხარედ მიიჩნია.

აფხაზეთში მეგრელთა დამკვიდრების გამართლებელ არგუმენტად ი. გოგებაშვილი მათ მცირე მიწიანობასაც მიიჩნევს. მისი თქმით, „მინის სივრცოვანი და ნაკლებობა“ სამეგრელოში იმდენად საგრძობად იყო, რომ ბევრი მეგრელი იძულებული ხდებოდა „სამშობლო მიეტოვებინა და სამშუაოდ ამიერკავკასიის სხვა ადგილებში წასულიყო“.

იმის გამო, რომ მონინალმდეგენი თავისი მოსაზრების სისწორეში უფრო მეტად დაერწმუნებინა და მოსალოდნელი ექვემდებარებულენა, ი. გოგებაშვილი ყოველივე „ზემოთქმულთან ერთად მეგრელთა ამოღობა“ კეთილსაიმედობასაც არაერთგზის უსჯავნებდა და დაბეჯითებით არწმუნებდა ხელისუფლებას, რომ მას აფხაზეთში მეგრელთა ჩასახლებისათვის არა მარტო უზრალოდ უნდა დაეჭირა მხარი, არამედ თავადვე გამოსულიყო ამ მოვლენის ორგანიზატორის როლში, ვინაიდან „აფხაზეთის მეგრელებით დასახლების საქმეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა“.

მიუხედავად ავტორის დამლობატორი მცდელობისა, ი. გოგებაშვილის პატრიოტული მიზანსწრაფვა მის მონინალმდეგეებს შეუმჩნეველი მაინც არ დარჩენიათ, რაზეც გავით „კავკაზის“ 1877 წლის 207-ე ნომერში გამოქვეყნებული ვეფენსკის ის ნერილიც მეტყველებს, რომელშიც აფხაზეთის კოლონიზაციის გოგებაშვილისეული გეგმა მეტად შეცარდდა გაკრიტიკებული. მიუხედავად ამისა, იაკობ გოგებაშვილს უკან მაინც არ დაუხეცია და „ტიფლისკი ვესტნიკი“ მან ვეფენსკის საპასუხო ნერილიც გამოაქვეყნა, რომელშიც ახალი მასალების მომეკვლიებით სცადა საკუთარი თვალსაზრისის დასაბუთება (იხ. ი. გოგებაშვილი, რჩ. თხ. ტ. 1, 1989 წ. გვ. 372-399). ი. გოგებაშვილის გეგმის გასაბათილებლად ვეფენსკი ორ უმთავრეს არგუმენტს იმეკვლებდა: პირველი, თითქოს მეგრელები თურქეთში გადასახლებული აფხაზების შესაცვლელად ყოვლად „უფარვის კანდიდატებს“ წარმოადგენდნენ, ვინაიდან ისინი „უნიჭონი და აფხაზებზე დაბლა მდგომნი“ იყვნენ და მეორე, აფხაზეთის კლიმატური პირობები არც ისე საშიში იყო, როგორც ამას ი. გოგებაშვილი წარმოსაბუდა.

განსხვავებით ი. გოგებაშვილისაგან, ვეფენსკი დაბეჯითებით იცავდა იმ აზრს, რომ აფხაზეთის დასახლება „სხვა ტომის ხალხით“ (პირველ ყოვლისა, რუსებით) საცხებით „ურისკოდ შეიძლებოდა“. ამ გარემოება იგი იმითაც ასაბუთებდა, რომ „უკანასკნელ ხანებში“ აფხაზეთში ბევრი რამ კეთდებოდა ბუნებრივი პირობების ვასალუჯობისებლად. ი. გოგებაშვილი პრინციპულად არ ეთანხმება თავის ოპონენტს და ახალი არგუმენტების მომეკვლიებით ცდილობს მისი თვალსაზრისის გაქარწყლებას. ეკრძოდ, მისი თქმით, სოხუმში რამდენიმე თვით ცხოვრების პერიოდში იგი იქ



ჩასახლებულ არაერთ ისეთ რუსს შეხვედრია, რომელიც რუსეთში ღარიბად ცხოვრებას ამჯობინებდა აფხაზეთში შეძლებულ ყოფას.

აფხაზეთში რუსების ჩასახლების მიზანშეუღონილობის სახუთად ი. გოგებაშვილი მასაც იშველიებდა, რომ რუსეთს არა თუ ამ მხარეში ჩამოსახლებული ქარბი მოსახლეობა არ ჰყავდა, არამედ მისი ბევრი კუთხე თავად განიცდიდა ხალხის დიდ ნაკლებობას. სწორედ მოსახლეობის ამდაგვარი ნაკლებობის შედეგი იყო ის ფაქტი, რომ „ჰაეის სისალითა და ზუნების სიმდიდრით“ გამოირჩეული „დიდი სიერცე კავკასიაში, თვითონ შავი ზღვის ოლქი, რომელიც აფხაზეთს ეკუროდა, დიდი ხანია საქართვედა რუს კოლონიზატორებს, მაგრამ ისინი არ ჩანდნენ, ვინაიდან საყვარელ სამშობლოში რუსები ჯერჯერობით სიენიროვეს არ განიცდიდნენ“. ასე რომ, ი. გოგებაშვილის თქმით, თუ რუსი კოლონიზატორები „ჰაეის მხრივ აფხაზეთზე ნაკლებ სამიში და მასზე არანაკლებ ნაყოფიერი ადგილებს“ ათვისებას ეცნობიერებდნენ, რატომ დაეხახლებებოდნენ ისინი აფხაზეთში, რომლის კლიმატური პირობები ცხოვრებისათვის მეტად სარისკო იყო?

აქვე, ყოველივე ზემოთქმულიან ერთად, მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ აფხაზეთში მეგრელების დასახლება ი. გოგებაშვილმა ისტორიული სამართლიანობის აღდგენადაც მოიწინა. მისი მტკიცებით, მეგრელები არა მარტო კლიმატური პირობების გამო წარმოადგენდნენ „აფხაზეთის საუკეთესო კოლონიზატორებს“, არამედ ისინი „ისტორიული უფლების თვალსაზრისითაც უფრო კანონიერი მემკვიდრენი იყვნენ გასახლებული აფხაზებისა“. კერძოდ, არც ისე შორეულ წარსულში, აფხაზეთის აღმოსავლეთი ნაწილი მეგრელებს ეჭირათ და სასაზღვრო მდინარე არა ენგურს, არამედ კოდორს იყო. მაგრამ თურქების მიერ სტამბულის აღების და ოსმალეთის მავ ზღვაზე გაძლიერების შემდეგ, აფხაზეთმა თურქების მხარდაჭერით განდევნეს მეგრელები ენგურს ვალმა და დაიკავს მამონდელი სამეგრელოს ტერიტორიის ნაწილი. თუ თურქეთის გაძლიერებას მოჰყვა მეგრელების ადგილ-მამულის ხელში ჩაგდება და მეგრელო ხალხის შევიწროება, სამაგიეროდ თურქეთის დარბევასა და შესუსტებას უნდა მოჰყვეს წარსულის დამარუხება და რუსეთის ერთმორწმუნე და ერთგულ ხალხზე მისი გადაცემა. ამგვარად, აფხაზეთის დასახლება მეგრელებით აგრეთვე წარმოადგენს ისტორიული სამართლიანობის აქტს.

ქართველური ტომებით აფხაზეთის დასახლების საკითხს თავის წერილში ი. გოგებაშვილმა სხვა დროსაც არაერთგზის მიაპყრო ყურადღება ერთ-ერთი მათგანია „უსამართლო ბრალდება (შესამოცუნ ნების მოღვაწეებზე“, რომელიც 1902 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიის“ მხ-ე ნომერში და წარმოადგენს გაზეთ „ცნობის ფურცელში“ დაბეჭდილი იმ წერილის

პასუხს, სადაც სამოციანი წლების ქართველი მოღვაწეების მიმართ გამოთქმული იყო საყვედური იმის შესახებ, თითქოს მათ არაფერი იღონეს აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის დასახლებულად (დასახ. წერილი იხ. ი. გოგებაშვილი, რწ. თხზ. ტ. III, 1990 წ. გვ. 354-357).

„ცნობის ფურცლის“ შეფასებით, აფხაზეთით მთავრობის მოსპობის, უფრო კი უკანასკნელ რუს-ოსმალოთა ომის შემდეგ, დაუსრულებელი ომების წყალობით ვერანად ქცეული ეს მშვენიერი მხარე დღეს უკვე ქართველებით იქნებოდა დასახლებული, იმ პერიოდით ქართველ მოღვაწეებს „მამინ ამ საშვილიშვილო საქმისთვის“... მცირე ყურადღებაც კი რომ მიექციათ.

ამდაგვარი ცილისწამებით გულნატკენმა ი. გოგებაშვილმა სცადა დასაბუთებულად განეხილნენ ცნობის ფურცლის მიერ კავკასიოცე ნების მოღვაწეებისადმი წაყენებული ეს უსაფუძვლო ბრალდება და იგი „ქრული უცოდინარობის ნაყოფად მიიჩნია მისი თქმით, „მამონდელს ქართველს იტელიკენციათ არა მარტო კარგად ჰქონდა შეგნებული ამ საკითხის დიდი მნიშვნელობა“, არამედ პრაქტიკულადაც აქტიურად „ცდილობდა დაეცვა თავისი ერის უფლება დაეცარიელებულს ტერიტორიაზე“ და ყველაფერი გადაეკეთებინა იქ ქართველთა დასახლებულად.

სწორედ ამის ერთ-ერთ დადასტურებად მიაჩნია მას 1877 წელს (თავად ავტორს შეცდომით წერაღის გამოქვეყნების თარიღად 1878 წელს ნახილებს) „ტვიდლის კო ვესტნიკი“ დასტამბული ზემოთ განხილული სტატია ვინ უნდა იქნეს დასახლებულ „აფხაზეთში“ და მითხვლს მოკლედ შეახსენებს წერილის ძირითად დებულებებსაც და იმ პოლემიკასაც, რომელიც იმხანად მის გამოქვეყნებას მოჰყვა სოხუმის ოკრუგის მაშინდელ უფროს ვედენსკისთან.

იქვე ი. გოგებაშვილმა იმ პერიოდის ქართველთათვის კარგად ცნობილი სტაროსელსკიც გაიხსენა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ფრიად განათლებული, კეთილგონიერი ის სამართლიანი გვამი“, რომელსაც კი დროს კავკასიის სანაშტეტნიკო მეთრე ადგილი ეჭირა“. სტაროსელსკის პირველ ყოვლისა სწორედ ი. გოგებაშვილის წერილზე დაყრდნობით შეუდგენია აფხაზეთის ქართველებით დასახლების პროექტი, რომელიც პეტერბურგში გაუგზავნიათ დასამტკიცებლად, მაგრამ „აქტივობა, რომელსაც „მამინ საარაკო გაელენა ჰქონდა მთელს რუსეთზე“, მისი რედაქტორობით გამომავალ გაზეთ „მოსკოვსკი ნოვოსტიში“, ერთი ღრინაცული მორთო“ სტაროსელსკის პროექტის ნინაღმდეგ და ყველაფერი გააკეთა მის ჩასაგდებად ასე რომ, ი. გოგებაშვილის აზრით, ქართველი „სამოციანელების“ მიმართ „ცნობის ფურცლის“ მიერ გამოთქმული საყვედური სრულიად უსამართლო ბრალდება იყო და სამაჰსოდ არავითარი რეალური საფუძველი არ არსებობდა.

სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, აფხაზეთის პრობლემას ე. გოგებაშვილმა გააკრით მის სიცოცხლეში დაუსტამბავ კიდევ ერთ ნერილშიც („ქართველთა დღევანდელი მდგომარეობა“) მიაპყრო ყურადღება. სტატიის გაქცობით ნათლად ვრწმუნდებით, რამ განაპირობა თავისდროზე მისი დაუბეჭდაობა. კერძოდ, აფხაზეთის ცხოვრებიდან მომგვლიებული კონკრეტული მავალითის საფუძველზე ე. გოგებაშვილმა კიდევ ერთხელ აზილა პირდაპირ და შეულამაზებლად ხელისუფლების მიერ გატარებული ანტიქართული პოლიტიკა.

სახელდობრ, იგი გულისტკივილით საუბრობს იმაზე, რომ შავი ზღვის სანაპიროზე სახელმწიფო მინებს მთავრობა ნებისმიერი ეროვნების წარმომადგენლებს აძლევდა ყოველგვარი ზედმეტი გართულების გარეშე, გარდა ქართველებისა, და ნათქვამის დასტურად ასეთი მაგალითი მოჰყავს: „სოხუმში ქალაქის თავად ორჯერ არჩეული ალ. სარაჯევი, აუმნიკელო პატროსნების, იშვიათი საქმიანობისა და ფართო ევროპული განათლების მქონე კაცი, რომელიც მამით ქართველი იყო, დედით კი რუსი, კავკასიის ადმინისტრაციამ ამ თანამდებობაზე მხოლოდ იმიტომ არ დაამტკიცა არც ერთხელ, რომ იგი სანახევროდ ქართველი იყო“ და „მას ამჯობინეს სხვა ვინმე, ისიც არა რუსი, არამედ სხვა ერისა, რომელსაც საშუალო განათლებაც კი არ ექონდა მიღებული და სახელმწიფო სამსახურიდან იყო დათხოვნილი რუსეთში“.

საქართველოდან ტერიტორიულადაც და ეთნიკურადაც აფხაზეთის მონყვეტის წინააღმდეგ ე. გოგებაშვილის ასეთ აქტიურ ბრძოლას საფუძველად, პირველ ყოვლისა, იმის რწმენა ედო, ერი ისტორიულად მისთვის „კუთვნილი მიწა-წყლისა და ტერიტორიის დაკარგვით“ არა მარტო არსებობის წინადაც რომ უკარგავდა, არამედ იმ დიდებულს ისტორიულს სულსაც წყდებოდა, რომელიც სამშობლოში ტრიალებდა და დაემსგავსებოდა მუხის მოჭრილს რტოსა, რომელსაც გახმობა ვერ ასცდებდა. ასე რომ, „სამშობლოს დამკარგველი ერი ვერ დაიცავდა თავისს არსებობას, ვერ გააგრძელებდა სიცოცხლესა და თუნდაც გაეგრძელებინა, მაინც და მაინც ყოვლად უმბედური იქნებოდა“ (რწ. თხზ. ტ. II. 1990 წ. გვ. 312).

როგორც წინამდებარე ანალიზითაც დარწმუნდება დაინტერესებული მკითხველი, აფხაზეთის პრობლემის იაკობ გოგებაშვილისეული გააზრება არა მარტო რეალურად არსებული ისტორიული ვითარების გასაცნობიერებლად და საინტერესო და მრავალმხრივ დამაფიქრებელი, არამედ თანადროული თვალთახედვითაც, სამწუხაროდ, ჩვენი დიდი წინაპრის მიერ მამულიშვილური გულისტკივილით წამოჭრილი არაერთი მწვავე საკითხი დრომ არა თუ დააცხრო და გაანელა, არამედ განახლებული ძალითაც კი დასვა თანამედროვეობის წინაშე.





## სიკვდილ-სისოფსლის პრობლემა აქარის მითოლოგიურ გაღმოსაყვებში

უკვდავების ძიების პრობლემასთან დაკავშირებით მეტად საინტერესო მასალას ვხვდებით აქარის ზეპირსიტყვიერებაში. აქარ მითოლოგიურ თქმულება- გადმოცემებში უკვდავების მაძიებელია ლუყმან ექიმი, რომლის სახელსაც კარგად იცნობს ისლამის აღმსარებელთა მითოსური სამყარო. ლუყმანი პროფესიით ექიმია. ამ ციკლის ერთ-ერთი თქმულება „როგორ გაჩნდა ექიმობა“ (მსკიფა, საქმე № 14, გვ. 1-5. დაბეჭდილია: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, ტ. X, თბ., 1990, გვ. 98-100) მოგვითხრობს, რომ ლუყმანი ექიმურ სიბრძნეს, ხოგაის მიწიდან მსგავსად, გველის ნახარშის დაღვევის შემდეგ ეზიარა; მასაც „ბალახების, მცენარეების, ფრინველების, ცხოველების და ყველაფრის ლაპარაკი ესმოდა“; იგი ადამიანის სიცოცხლის ნამალსაც აზნაუბებდა და მკურნალობის ნუსებს წიგნში წერდა.

თქმულება „ეჯილი ხელმწიფის გოგო“ (მსკიფა, საქმე № 207, გვ. 22-26) გვამცნობს, რომ ლუყმანმა ექიმური სიბრძნე განსაკუთრებული ფეცილისაგან გამომცხვარი პურის ქამის შემდეგ შეიძინა. ეს ფეცილი ზღვათა სამეფოდან მოიტანა ეჯილი ხელმწიფის ასულმა (წყლის ქალმა) და ადამიანებს მისცა, როგორც დიდი სიკეთე („მარიფეტი“). მეფურნეს პური დაეწვა, ნაწნები კუთხეში მიყარა და ხალხს აჩენა სხვა ცომისაგან გამომცხვარი პური, რომელმაც ვერანაირი სასნაული ვერ მოახდინა. გადყრილი პურის ნაწმევები მოჯამაგირე ლუყმანმა შეჭამა. ხოგაის მიწიას მსგავსად, ისიც „გამეტენიერდა“, რადგანაც წყალთა სამეფოდან მოტანილ პურს წყლის განმასახიერებელი ღვთაების - გველის სიბრძნე და მაღლი ჰქონდა. „მაშინ დაფიქრდა ლუყმანი: „რატომნა ვიყო მე ამ მეფურნის მოჯამაგირეო, წავალ და ჩემთვის ვიცხოვრებო“. წყლიდან ამოტანილი ღვთაებრივი პურის მაღლით ლუყმანს გონება გაეხსნა: „დღუყურა ლუყმანმა: ყვაილები ამბობენ, რომელი ყვაილი რომელი ნამალია...“

საგულისხმოა, რომ უძველესი ბაბილონური მითოსის თანახმად, წითელი

ზღვიდან ამოსულ უცნაურ არსებას, რომელსაც სხული თევზისა ჰქონდა და ფეხები - ადამიანისა, ხმაც - ადამიანისა, უსწავლებია ხალხისათვის დამწერლობა, მეცნიერებანი, ხელოვნება, მშენებლობა, მინათმოქმედება და ყველაფერი, რაც გონივრული ცხოველებისთვის არის საჭირო (ზ. კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგია, თბ., 1979, გვ. 173) გვიპტურ თქმულებებში სეტნესა და ნენოფერკატახეს შესახებ გველი წარმოდგენილია ზღვის ფსკერზე მდებარე სასწაულებრივი წიგნის დარაჯად (შ. ესიტაშვილი, მითოლოგიისა და რელიგიის ურთიერთმიმართება ქართული წყაროების მიხედვით, თბ., 1985, გვ. 56). ქართული მითოსისა და საზღაპრო ეპოსის მიხედვითაც წყლიდან, წყლის განმასახიერებელი ღვთაებიდან (გველი, გველემ-აპი, წყლის ქალი, წყლის ხელმწიფე და ა. შ.) მოდის დედამიწაზე ყოველგვარი სიბრძნე. რაზიკაშვილის მიერ ქართული ჩანერლი ზღაპრის „მეპურე და გლაზა“ (ხალხური სიბრძნე, ტ. III, გვ. 268-271) მიხედვით, წყლიდან ეძლევა ადამიანს გაახალგაზრდავების, მეცნიერული ცოდნისა და ექიმური სიბრძნის მაღლი ზორბლის სამი მარცვლის სახით.

ლუყმან ექიმის ციკლის თქმულების სხვა ვარიანტით („რუსთამი და ლუყმანი“), (მსკიფა, საქმე № 170, გვ. 86-91. დაბეჭდილია: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, ტ. X, გვ. 100-101) ლუყმანი, შუამდინარული ეპოსის გმირის - გილგამეშის მსგავსად, მომაკვდავი მეგობრისთვის დაეძებს უკვდავების ბალახს. მისი სამკურნალო ნივინის 333-ე გვერდზე ეწერა: „სიკვდილის ნამალი მონახება ეშმაკის შთანუ. იქ არის სურრიე ბალახი, რომელიც სიკვდილის ნამალიაო“. უკვდავების ბალახის მოსაპოვებლად ეშმაკის მთისაკენ მიმავალ ლუყმანს ხიდზე გადასვლამდე, უფლის ბრძანებით, ანგელოზმა მიუსწრო, რათა ხელი შეეშალა, წაერთმია წიგნი, რადგანაც „სიკვდილის ნამლის შოვნა არ შეიძლება, კაცი თუ მოკტა, ვერ დაეტყუა ქვეყანაზე“. ანგელოზმა წიგნი ხელიდან გააგდებინა ლუყმანს, წიგნი



მდინარეში ჩაყარდა და ფურცელ-ფურცელ დაიშალა. შენუხებული ლუყმანი გაპყვა დინებას, აკრიბა ფურცლები, მაგრამ იმ გვერდს, რომელზედაც სიკვდილის ნამლის შესახებ ეწერა, ვეღარ მიაკვლია და მისი მეგობარიც მოკვდა.

აჭარის ზეპირსიტყვიერებაში ფართოდ გავრცელებული ლუყმან-ექიმის ციკლის თქმულება-გადმოცემათა ზოგიერთი ვარიანტის მიხედვით (ბსკოფა, საქმე №241, გვ. 91-92; იქვე, საქმე № 182, გვ. 44), ლუყმანმა დაამზადა უკვდავების ნამალი („... ლუყმან ექიმი სასიკვდილო კაცსაც არჩენდაო“, „მან ერთი ნამალი გააკეთა ბალახებით. ეს ნამალი იყო უკვდავების ნამალი“), მაგრამ ღმერთმა გაუგო და ანგელოზს დააფალა, „ნადი და ის ნამალი დუქციე ლუყმანსო“. ანგელოზი ასეც მოიქცა. „დაქცივის დროს რომელ ხასეც შეხვე მოხვდა, ის ზე ფოთლოს არ იყრის და მუდამ მწვანეა“. თქმულების ერთ-ერთი ვარიანტის მიხედვით, განმკურნებელი თვისებებისაა წყალში ჩაყრილი ლუყმანის სავეიშო ნიგნის ფურცლები: ნეენიც, რომლითაც ბალახები ირწყვება: „იმ ნიგნის ნეენი რომ გვაიხსნა წყალში, იმით თვით დედაძინა მოიწყა და ყველა ბალახი არის ნამალი“ (ბსკოფა, საქმე №217, გვ. 55-57).

მართალია, „ცუდად მანც არ ჩაიარა“ უკვდავების მაძიებელი ლუყმანის „განწირულმა სულის კვეთებამ“ და, თქმულების მიხედვით, „კაცობრიობას დარჩა უძვირფასესი ცოდნა ბალახებისაგან სამკურნალო საშუალებათა დაამზადების შესახებ, მაგრამ უკვდავების ბალახი, რომელიც სიცოცხლის ხის კონკრეტული გამოხატულებაა, ვერც მან მოიპოვა; აქაც, შუამდინარული ეპოსის მსგავსად, ღმერთი ეწინააღმდეგება დაძინების სწრაფვას უკვდავებისადმი; თქმულების სხვადასხვა ვარიანტის მიხედვით, იგი ასე ეუბნება ანგელოზს: „ლუყმანმა ჩემს საქმეს მიეხო. ის მოწახვას სიკტილის ნამალს. ნადი და დაუშალეო“; „ნადი და ის ნამალი დუქციე ლუყმანსო“; „ლუყმან პექიმი ხიდზეა, სიკტილი ნამალი საშონელათ მივა. ნიგნიც ხელში აქ. ნაი, გამოართვი ის ნიგნი, რომ სიკტილი ნამალი ვერ იმოვოსო“.

სად არის უკვდავების ნამალი? გილგამეშიანის მიხედვით, უკვდავების ბალახი შორეული ზღვის ფსკერზე ხარობს და ძალიან ძნელად მოიპოვება. ლუყმან-ექიმის ციკლის აჭარულ თქმულებათა მიხედვით, სიკვდილის ნამალი (ბალახი) ემშაკის მთაზეა, ზოგი ვარიანტით ადგილი არ არის დაკონკრეტებული, მაგრამ ყველა შემთხვევაში, გმირმა ხიდი უნდა გაიაროს. აი, სწორედ ამ ხიდზე უნდა შეაჩერონ იგი,

თორემ, თუ ხიდი გადაიარა, მაშინ გვიანლა იქნება და შეიძლება მოიპოვოს კიდევ სასურველი უკვდავება. „ლუყმან პექიმი ხიდზეა“ — ეს ღმერთის საფარგამო ამოძახილია და ის ყველა ღონეს ხმარობს, რომ უკვდავების მაძიებელმა არ გადალახოს ეს ხიდი, არ მიადნოს სასურველ ადგილს, რომელიც თქმულებათა არქტიკში, ალბათ, იმ „შორეთს“ გულისხმობდა, რომელიც „წყლის დასაბამი“ იყო, სადაც ღმერთებმა დაბინადრეს უკვდავებამინიჭებული უთანაფიშითი. როგორც შეკვლევაშია ზურაბ თანდილაევამ შენიშნა, „ისიცაა საგულისხმო, რომ უკვდავების მაძიებელი ქაბუთი უკვდავებას (მზეთუნახავი ასულის სახით) უმეტეს შემთხვევაში წყალში, წყლის სიღრმეში ხვდება“ (ზ. თანდილავა, წყლის კულტი და ქართული ფოლკლორი, გვ. 44). წყალში იზრდება უკვდავების ბალახი, რომელსაც გილგამეში მოიპოვებს, მაგრამ ვერ შეიძინარუნებს; წყლის ქალის (ეჯილი ხელმწიფის ასულის) მიერ წყლიდან მოტანილი, წყლის განმასახიერებელი ღვთაების მაღლნაპკურები პურის წყალობით ხდება ლუყმანიც ექიმი, რომელიც ან უკვე ფლობს უკვდავების ნამალს, ან ესწრაფვის მის მოპოვებას, მაგრამ ამაოდ ირჯება და აქ კიდევ ერთხელ უნდა დაისვას ოდინდელი „წყველა-კრულვინი“ კითხვა: რატომ? რატომ წაართვა გველმა გილგამეშს უკვდავების ბალახი და ისევ წყალს დაუბრუნა? რატომ ჩაუვდო უფლის ანგელოზმა წყალში სამკურნალო ნიგნი ლუყმანს და მაინც დამანც ის გვერდი რატომ გაუჩინარდა, სადაც უკვდავების ნამლის დამზადების ნეი ეწერა? რატომ დაუტკია ანგელოზმა უკვდავების ნამალი? ამ კითხვებზე, შუამდინარული მითოლოგიური მსოფლმხედველობის მაგალითზე, დიდებულად გასცა პასუხი ზურაბ კიკნაძემ: „თავის სანყისს უბრუნდება ან უნდა დაუბრუნდეს ყველა არსი და მოვლენა: მელი, — იქნება მზე თუ მოკვდავი კაცი, — თავის დედას, დედის სახლს ან წიაღს, დროთა ვითარებაში აბნეული საზოგადოებრივი ნესრიგი — იმ წინადროულ ნესრიგს...“ (ზ. კიკნაძე, დასაბ. ნაშრ., გვ. 19) მსოფლიოს მრავალი ხალხის მითოლოგიურ რწმენანარმოდგენებში ამგვარი დედა წყალი იგია სამყაროსეული შესაქმის საფუძველი. შუმერულ-აქადური შესაქმის მიხედვით, თავდაპირველად „მთელი ქვეყნიერება ზღვა იყო ოღენ“ (იქვე, კვ. 33); ბიბლიაში ვითხვებით: „მინა იყო უსახო და უდაბური, ბნელი იდო უფსკრულზე და სული ღვთისა იძვრდა წყლებს ზემოთ“ (დაბ., 1, 2). წყალია სამყაროს ერთ-ერთი უმთავრესი პირველსანყისთავან (ჰაერი, მიწა, ცეცხლი, წყალი)



და ქვეყნიერების ესქატოლოგიაც მისითვე (ნარღენა) ხორციელდება. ამდენად, სრულიად ბუნებრივია, რომ სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემასთან დაკავშირებით მსოფლიოს ყველა ხალხის მითოსურ აზროვნებას ერთი და იგივე პასუხი მოეძებნება: გარკვეული დროის შემდეგ ადამიანი ისევ უნდა დაუბრუნდეს საკუთარ წიაღს, მისი სიკვდილი გარდაუვალია და „განჭაბუკების“ ყოველგვარი მცდელობა მარცხისათვის არის განიშორული. ძველ ეგვიპტეში სიკვდილი მშობლიურ სახლში დაბრუნებად მიიჩნეოდა:

... აწ საყვდილი მე ამგვარად მიიანს:

გათელი და უკვე განვლილ ვიდე —  
 ლამპრობიდან დაბრუნებად შინ...

ზეცის გაბნაჲ, უარულ ჭეშმარიტების  
 გავებად და წვალომაჲ...

შშობელ სახლად — საპრობილის  
 ნაკვლად,

ათასწლოვან პატიმრობის შემდეგ...

(ძველ ეგვიპტური ლირიკა, თარგმანი მ. ლებანიძისა, თბ., 1969, გვ. 80)

„ძლიერი კოლექტიური თუ ინდივიდუალური ცენტრიკენული სწრაფვის, ერთ წიაღში შეკრების იმპულსით“ არის ნახაზადოები აქარული თქმულების ესქატოლოგიაც. ისიც საგულისხმოა, რომ წყლის ქალი, ვინც წყლიდან ამოუტანა ადამიანებს „მარადეთის“ (ექიმურ სიბრძნესთან ზიარების) შემცველი პურის ფქვილი, „ეჯილი ხელმწიფის“ ასულია. „ეჯილი“ არაბულად სულთამხუთავს ნიშნავს (მ. ნიჟარაძე, ქართული ენის აქარული დიალექტი, ლექსიკა, თბ., 1971, გვ. 194). ამდენად, სულთამხუთავის, წყალში მობინადრე სიკვდილის ღეთების ქალიშვილისაგან ეძლევა ლუყმანს ექიმური ცოდნა, რითაც ცდილობს, სიცოცხლის მარადიულობა დაამკვიდროს დედამინაზე. ეჯილი ხელმწიფის სამყოფელიც, ალბათ, ის „სიკვდილის წლებია“, რომელიც შორეთში, „მდინარეთა დასაბამში“ მდებარეობს და რომელიც გილგამეშმა უთანადოების მენავის — ურ-შანაბის დახმარებით გადალახა; ამ უძნელეს გზაზე მოიპოვა კიდევ უკეთესების ბალახი, მაგრამ ვერ შეინარჩუნა, ვერ დაარღვია ღმერთებისაგან ერთხელ და სამუდამოდ დაკანონებული წესი ადამიანის მოკვდობისა, წინ ვერ აღუდგა ბედისწერას.

ლუყმანის სამკურნალო წიგნის წყალში ჩაგდება და სიკვდილის წამლის დამზადების წესის დაკარგვა (თუნდაც წამლის დაღერა) ისევე წყლისათვის დაბრუნებაა მისეული სიბრძნისა, რადგანაც ექიმურ ხელოვნებას ლუყმანი გველების ხელმწიფისაგან ნასწაველი სიბრძნით — გველის ნახარშის დაღვეით — ეზიარა. ამ ფაქტს თქმულება ამგვარად ხსნის: „... იმიტომ გუდუღვდო ლუყმანს წიგნი, რომ ლუყმანს მოკლული, მკტარი ხალხინა გვეცოცხლებინა თავისი გამლეებით. მოკლული მოკლულია, მისი გაცოცხლება არ შეიძლება“ (ბსკიფა, საქმე № 41, გვ. 5). საგულისხმოა, რომ ქართულ ხალხურ ზღაპრებში უკეთესების ეპოსს გველი (ცველემაპი) დარაჯობს.

შუამდინარული მითოსური აზროვნებით, სიცოცხლის სასრულობა იმითაც არის განპირობებული, რომ ზღვარს გადაცილებული ადამიანთა სიმრავლე მათ ქოტურ მასად აქცევს, რასაც მოსდევს ამბოზი თავისი მბრძანებლის მიმართ (ზ. კიკნაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 275). ამგვარია ბიბლიური გავებაც (დაბ., ბ, 1-7). იმავე აზრისაა აქარული თქმულებაც: „ის ბალახი, ის ნამაღი ლუყმანს მოენახა, ხალხი არ დაეტეოდა დედამინაზე. ამიტომ არ შეიძლება იმ წამლის მონახვა. გაშენმა ამიტომ არავის ნება არ მცა, რომ სიკვდილის წამალი ენახა“ (ბსკიფა, საქმე № 27, გვ. 57). „სიკვდილი წამლის შოვნა არ შეიძლება, კაცი თუ არ მოკტა, ვერ დაეტევა ქვეყანაზე... ადამიანი რომ არ მოკტეს, პანანეუდეს“ (იქვე, საქმე № 170, გვ. 9).

სიკვდილთან ბრძოლა ამოა — ასეთია აქარული თქმულების დედააზრიც. სიკვდილთან კაცობრიული უფრობის გენეზისის ძიება ისევ და ისევ მისი პირველწინაპრის სახესთან გვაბრუნებს. აკი სამოთხის ბაღში ყველა ხეხილი იყო და მათ შორის, „შუაგულ ბაღში კი ხე სიცოცხლისა და ხე კეთილის და ბოროტის შეცნობისა“ (დაბ., 2. 9). უფაღმა ადამს და ევას მხოლოდ ცნობადის ხის ნაყოფის ჭამა აუკრძალა და, ალბათ, აკრძალული ხის ნაყოფზე უნინ სიცოცხლის ხის ნაყოფი რომ ეგვმათ, უფლის მსგავსად უკეთესი გავდებოდნენ; მაგრამ შამინაც, ადამიანური არსებობის გაროფრაგზევე, გველმა — კაცობრიობის ოდინდელმა მტერმა, სიცოცხლის ხის ნაყოფის შეჭამად შეაცდინა ისინი (დაბ., 3, 1-6).



მარინე კოპაშავიძე

## მელანქოლიური მოტივები ანთონიო მანადოს პოეზიაში

ესპანელი მწერალი ანტონიო მანადო დაიბადა სევილიაში 1875 წელს. მისი სახელი ცნობილი არამარტო ესპანეთში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, მან დაიმკვიდრა ადგილი ისეთი გამორჩენილი მწერლების გვერდით, როგორებიც არიან: ხუან რუისი, პორტე მანრიკე, ლუის დე გონგორა და ა.შ.

მანადო არ არის უბრალოდ ესპანელი პოეტი, ის, უპირველეს ყოვლისა, ესპანეთის პოეტია, მყიდროდ შესისხლხორცებული თავისი ქვეყნის ბედთან, ისტორიასთან და იმედებთან.

მანადო ჩამოყალიბდა როგორც პოეტი მაშინ, როდესაც მისი ქვეყანა მძიმე პერიოდს განიცდიდა. რა თქმა უნდა, ყოველივე ამან განაპირობა მისი პოეზიის მრავალფეროვნება და სიღამაზე. ცხოვრების სხვადასხვა ეტაპები გავლენას ახდენდნენ მანადოს ხასიათსა და განწყობილებაზე, რაც გამოხატულია მის უკუდავ პოეზიაში.

ანტონიო მანადოს პოემები ხშირად ინვევენ მელანქოლიას მგრძნობიარე მკითხველში. მელანქოლია ჩვეულებრივ არის ნარსულისკენ მზერა. ამ შემთხვევაში ესპანეთის ნარსულს განსჭვრეტს ავტორი, მწერალს ენატრება ის, რაც უკვე განვილილია და არასოდეს დაბრუნდება; დრო, რომელიც დაუარგულია. ნარსულს ჩაბარებული ბედნიერება განუშორებელია და სიხარულიც ისეთი მოძველებული რამაა, რაც ძნელად შეიძლება ადამიანმა დაიბრუნოს: მან ერთბედი უკვე ჩაიარა და მუორედ აღარ ჩამოივლის. საათი უახლოვდება ბოლო წერტილს: ანტონიო მანადოს მოგზაურს, დღეს უკვე ქალაქაქვეს საფეთქლები!

ეს მოგზაური, მართალია, ბრუნდება, მაგრამ უკვე საკმაოდ ხნიერია და შევერცხლილი აქვს თმა, კერა გაცვივებულია და სევდით აღვსილია, თუმც მისი პატრონი უკვე დაბრუნებულია და თან მოჰყოლია იმის რწმენა, რომ თუ რამ კარგი ყოფილა ამ ცხოვრებაში, საბოლოოდ უკან დაიბრუნება, ყველაფერი დადუმებულია, მხოლოდ საათის ნიქნიკი და ისმის...

მოგზაური, ანტონიო მანადოს პოეზიის გამორჩეული გმირი, ის ადამიანია, რომელიც პოეტის შემოქმედებაში გადმოსცემს სევდასა და მელანქოლიას. ის მოძრაობს უფრო მეტად დროში, ვიდრე სივრცეში. პოემა, რომლითაც ავტორი გადმოგვცემს მელანქოლიას, შემდეგნაირად ღვრის:

მითხარით, რატომ ვიმყოფები მარტო ნაპირზე და ჩემი ვული მიიპარება მაღალ ვაკისკენ ამ მიწაზე მფოფს მე მუნატრება

ეს ადგილები ვრცელი და გაშლილი კასტილიისა რადგან არაყინ თავის სიყვარულს არ ირწყვს თავად, მეც ბედისწერამ მომიფენა ამ ნაცრისფერ ნასვენებთან,

სადაც ვერ ძლებენ და გარბიან მკვდარი მუნხარის აჩრდილები,

მაშინ, როდესაც ედება მიწას ცივი თოვლის ფანტლები,

ესპანეთის ამ მაღალმთიან ადგილადან მე მომაქვს შენთან, დიდებულ გუადალეკიბრო, როზმარინის მწკარტე თავიულები,

ჩემი გული სწორედ იქ დარჩა, სადაც დავიბადე, ცხოვრებისათვის არა —

სიყვარულისთვის,

ღუეროს კალთებთან

თეთრი კედელი და აღმართული კვიპაროსი.\*

მოგზაური აღწერს მისთვის სასიამოვნო იმ ადგილს, სადაც იმყოფება, სადაც ამუშავებდნენ მინას და ბოპოქრობს ზღვა. მშობლიურ გუადალკიბროთან ახლოსაა ბავშვობა და მდინარის აყვავებული ადგილები, მაგრამ პოეტი თავს ბედნიერად ვერ გრძნობს. რატომ? ეს ის კითხვაა, რომელსაც თვითონ პოეტი უსევამს მკითხველს, მაგრამ ეს კითხვა „რატომ“ ყოველთვის არ მოითხოვს პასუხს ან ახსნას. თუმცა პოემა მკითხველს მრავალგზის ანიჭებს სიამოვნებას იმ გრძნობათა ნყალობით, რომლებიც გულის სიღრმეში მომდინარეობენ.

ქვემო გული მიიტყარის (მიიპარება) ამ ნაპირიდან, უნდა ითქვას, რომ ჩვენ ვხედებით ფარულ გადაადგილებას გაზაფხულის მდინარეიდან: გარბის გული, მაგრამ არა მუორე გულისაკენ და არც იმ ადგილისაკენ, რომელიც უფრო სასიამოვნო და აღმაზნია, ის კასტილიის მინებისკენ მიემხრება. პოეტმა ცუდი არჩევანი გააკეთა, თუ შეიძლება ასე ითქვას, გაცვალა ნაყოფიერი მინები უნაყოფოზე, სიმშენებელს — სიმშრალეზე, სიხარული — სევდაზე, ცხოვრება კი სიკვდილზე.

მაგრამ ძალზე ნუ გავართულებთ, ეს მხოლოდ მოჩვენებითი გეოგრაფიული ცვლილებაა, არც თუ ისე ტრაკიკული, ანდალუზიიდან კასტილიისაკენ. დამუშავებული, ზღვისპირა მინები ნათლად იხილება პოემამი. ისინი

\*თარგმანი ეკლგან პნარედულია

ინვესტირება და მოგზაურობის სიზარულს. ეს ის მთავარი მიზანია და ის ზღვა, მშრომელს სასიამოვნო ღვინა და ფაფარიკა თევზადასა-  
აულებს რომ არ აკლებს, ის განსაკუთრებით ვალი-  
საგან, რომელსაც აკლია ზღვის სიღამაზე, მისი  
ციფერტიტალების თეთრი ქაფი.

არავინ ირჩევს თავის სიყვარულს, მოკლე  
და კატეგორიული ფრაზა, რომელსაც ბრძანე-  
ბის ელფერი და კრავს. ლექსის შუა ნაწილზე  
მოსული სიტყვის მახვილი მოითხოვს ყურად-  
ღებებს შეჩერებას სწორედ ამ მომენტზე. აქ  
ვხვდებით ასეთ ახსნას: „გული“ და „სიყვარული“  
გრძნობიერ ურთიერთკავშირში იმყოფებიან.

უღლის ნებამ და ბედისწერამ განასაზღვრა  
ის, რომ პოეტი სწორედ აქ დაიბადა და აქვე  
უნდა იცხოვროს. როგორია ის ადგილი, საითაც  
მიიჩქარის პოეტი? ნაცრისფერი, ცივი და მკე-  
დარი. ზედსართავი სახელები ერთმანეთს ენა-  
ცვლება, იგივე ხდება არსებითი სახელების შე-  
მთხვევაშიც: თოვლი, აზრდობები, ნახევნი  
მინები.

ერთბელ, ერთ ღლებს, ამბობს პოეტი და  
გრძნობს ეს დღევანდელი ინსურება და წარსულ-  
ში იკარგება. აქედან მოყოლებული იკარგება  
ლაშაში და სასიამოვნო პეიზაჟი, მაგრამ რა,  
მიიპოვა თუ მოიკარგა პოეტმა ამ ცვალებადობით?

მეორე სტრიქონი ამ კითხვებს მოიცავს და  
ამ კარად იგრძნობა მელანქოლია, ამგვარად გა-  
ნაწყობს პოემა საიმისოდ, რომ მკითხველმა  
კითხვა განგრძოს. ეს დინამიური პოემა მკით-  
ხველის თვითმეცნობის პრობლემას უსივრძე-  
განებს, ლირიკულ გმირს ჩაანაცვლებს საკუთ-  
არ თავს მკითხველი და სურს, იცოდეს თავისი  
მდგომარეობა და გასცეს პასუხი კითხვებს  
„როგორ და რატომ“?

შემდგომი სამი სტროფი სწორედ ამ კითხვ-  
აზე პასუხის გაცემაა. კასტილია არის ესპან-  
ეთის ნაწილი, „ნავლეტი“, როგორც ამას თვით  
ანატოლი მაჩაფო უწოდებს. მისი სამშობლო  
წარმოადგენს მინის სეგმენტებს, დაყოფილსა  
და დაქუცმაცებულს, სწორედ ამ დანაწ-  
ევრებულ მხარეში პოეტი ცხოვრობს და ეს მისი  
სამშობლოა. ის ცდილობს კასტილიას აღმოაჩი-  
ნოს ყველაფერი კარგი, რაც, ვთქვათ, ანდალუ-  
ზიაში, რომელიც უფრო მდიდრული და  
მორთული შეხედვრია. ამიტომაც ახსენებს  
პოეტი მდინარე გუადალკიბირს, სწორედ  
ამიტომ უძღენის მას „მწკარტე როზმარინის  
ბოქსი (თავიგულებს)“, კასტილიაში რომ უხვად  
მოსიძობება.

დავუბრუნდეთ ისევ და ისევ მის „გულს“. აქ  
საქმე, რასაკვირველია, ანატოლიურ გულს არ  
ეუბნა. მაჩაფო მასში მთელ მინაგან სამყაროს  
გულისხმობს. ახლა გადაადგილდებით, რომელსაც  
მის სტრიქონებში ვხვდებით, დაქუცმაცებას  
უფრო ნადავს: „ქვიმ გული იქ არის, სადაც არ  
ვიყოფები, რადგან მე ვარ დუეროდან და არა  
გვადაეკობრიდან, სადაც დავიბადე“. პოეტი  
დაიბადა ორგერ: ცხოვრებისთვის ანდალუზია-  
ში და კასტილიაში, აცხადებს პოეტი, რომ მისი

სამშობლო იყო იქ, სადაც დუერი მიედინება,  
მაგრამ მხოლოდ ერთი გული გააჩნია, ის ეხმარ-  
ება მას თხზვაში, ამ საქმეს პოეტი სიყვარუ-  
ლით ალასავს ემსახურება.

დაბოლოს, სტრიქონი, რომელიც პოეტი  
ასრულებს პოემას – კასტილია ახალი სამშობ-  
ლოა, ის წარმოადგენს თეთრ კედლებს და მა-  
ღალ ამყ კვიპაროსს. ამას შეიძლება  
ბიოგრაფიული განმარტებაც მივცეთ: „სუთი  
წელი სორიას მინა-წყალზე გაგატარე, დღეს  
ჩემთვის ეს ადგილი ნმინდაა, იქ შე დაქო-  
რწინდი, იქ დაეკარგე ჩემი მუხუღი, რომელსაც  
ვალმურთებდი და ჩემი მწერა მივაპყარ იმას,  
რაც განასკუთრებულად კასტილიურია“.

კასტილიური სიმარტოვე, რომელსაც  
ანტონიო მაჩაფომ უძღერა, კონცენტრირებუ-  
ლია იმ საბოლოო სამარეში, საიდანაც შეუძლე-  
ბელია თავის დაღწევა.

პოეტის მარტოობა მისი მარადიული თანამ-  
გზავრი ხდება და საბოლოოდ არც ქრება. ან-  
დალუზიიდან ნამოსულმა კასტილიას თავიშე-  
ფარებულმა სიმშვედესწორედ აქ მპოვა, თავის  
სიყვარულში ამ თეთრი კედლისა და ამყ კვი-  
პაროსის ჩრდილში. სწორედ აქ არის პასუხი  
მტკიცებულ კითხვაზე „რატომ“, პოემის დასა-  
წყისში რომ დაისვება. ბოლო სტროფში არ ვხვდებ-  
ვარ ხმას, სამყარო ანატოლია რომ გვარგნობი-  
რად და შავადა წარმოსახული: ეს ის საფლავია  
სორიაში, სადაც მისი მუხუღე ლეონორა დაიკ-  
რძალა. ღრმად ღირი კული შემახილია პოეტის  
უზომო ტკივლსა და სუფდას რომ გვარგნობი-  
რებს. აქ არის პოეტის ჩივილი ვანუსაზღვრე-  
ლის მიმართ. ის მიუთითებს კონკრეტულად  
სიკვდილის ადგილს. ამ თეთრი კედლის და კვი-  
პაროსის ხსენებით უკვე ნათლად ჩანს თუ რამ-  
დენად მარტოა ანატოლი. მისი მანადო, თუ რა მტან-  
ჯველ მელანქოლიას განიცდის იგი.

მელანქოლიის ამავე ხაზს აგრძელებს მაჩ-  
აფოს შემდეგი პოემა „მეოცნებე მიუყვები  
გზებს“, ამ პოემაში ნათლად ჩანს მისი  
ლექსიკურ-სინტაქსური სისადავე, თუმცა  
საოცრად ღრმადა გამოხატული გრძნობებისა  
და მელანქოლიის სიღრმე, რომელიც  
უნივერსალს უტოვებს პოეტს.

როგორც წინა პოემაში, აქაც ვხვდებით  
მოდრობას, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ეს არ არის  
სიერცემი მოგზაურობა, პოეტი არ მიდის სევი-  
ლიიდან სორიაში, არამედ დროში მოგზაურობს.  
წარსულიდან მიემართება ანტოლოკენ და დღევ-  
ანდელი დღიდან ისევ თუმინდელს უბრუნდება.  
ეს თითქოსდა ნადავს შინაგან მოძრაობას,  
წასვლას და ისევ დაბრუნებას, რაშიც მას მისი  
ერთგული თანამგზავრი – ოცნება ეხმარება.  
პოემა შემდეგნაირად ჟღერს:

მეოცნებე მიუყვები გზას.  
ოქროსფერი ბორცვები, შწვანე ნაქნარი,  
დამტყერილი მუხნარი!  
საითყენ მიღის ეს გზა,  
მე მოგზაური მოყვები ბილიც სიმღერით.



ეშვება ღამე ჩუმი და წყნარი,  
 გულში დაჰქონდა ვნების ეკალი,  
 ერთ დღეს შევძელი მისი მოზობა,  
 თუძვა ვეღარ ვგრძნობ ვულს,  
 და წამით დღემდებ მთელი მინდორი  
 ფიქრში ვხვება სეკლით,  
 მდინარის პირას ალვის ხეებში  
 ცეკვავს და მღერის ქარი.  
 ეშვება ღამე, უფრო ბნელდება,  
 გზა დაკლავილი მერთალად თეთრდება,  
 უცერად ქრება.

ჩემი სიმღერა ისევ წუხს, ტირის  
 და შეხმარება ოქროს ეკალი  
 გულში ჩაქვიდღს შენი შევრძნება,  
 კის ძალღმს ნეტავ?

დასაწყისიდანვე ვხედებით იმას, რაც ასე  
 პერმანენტულია პოეტში: მომლოცველი და  
 მეოცნებე პიროვნება. პირველი საბი სიტყვა,  
 რომელსაც შემდგომშიც იმეორებს პოეტი  
 მხოლოდ ცვლილების შემოტანით, აზოგადებს  
 სიტუაციას, რომელშიც ერთის მხრივ შემოწმ-  
 ევა გარკვეული დინამიზმი და მეორეს მხრივ  
 კი ოცნება, სიზმარი, ასეთი დამახასიათებელი  
 ანტონიო მარაღოსათვის.

„მეოცნებე მიუყვები“, ეს ის სიტყვებია,  
 რომლებიც შემდგომშიც გვხვდება ასეთი  
 სახით: გზები, ბილიკი, წავა, მოგზაური, იკლაკ-  
 ნება და საღამო, სიმღერით, ფიქრებით სავსეს,  
 ტირილი. მაგრამ ყველა ეს სიტყვა ისე ერწყმის  
 ერთმანეთს, რომ ისინი ქმნიან ერთ ფორმას,  
 განზოხატულს შემდეგ გამოინათქვამი:  
 „მეოცნებე მიუყვები გზას“. ჩვენს წინაშეა  
 მეოცნებე მომლოცველი, ან კიდევ შეიძლება  
 ნარმოციდგინოთ, რომ ჩვენს წინაშეა მეოცნებე  
 პოეტი და მისი ოცნება.

ეს მოგზაურობა, როგორც უკვე წემოთ ით-  
 ქვა, არ ხორციელდება სიერცეში არსებულ  
 გზებზე, ხორციელდება დროში არსებულ  
 ბოლიკებზე. ეს ნათლად ჩანს პოემის დასაწყისში  
 დაამაზე მოუთითებს სიტრიქონი, სადაც პოეტი  
 ამბობს, რომ ის მიუყვება საღამოს გზებს.  
 ტირიში „საღამო“ ჩნდება ორ შემთხვევაში,  
 მეორე შემთხვევაში უფრო მეტი ყურადღება ექცე-  
 ვა მას, რომ დღე იკარგება და ადგილს უთმობს  
 ღამეს: „ეშვება ღამე, უფრო ბნელდება“, ამბობს  
 ავტორი. ფაქტურად ვხედებით შემდეგ ცვლას:  
 გზა ძლივს ჩანს, შემდეგ ბნელდება და ბოლოს კი  
 საერთოდ იკარგება ღამეში. რა გზაზე საუბრობს  
 პოეტი? რა გზაა ეს, რომელიც ვახვეულა აზრდი-  
 ლებში, სიცოცხესა და ღამეში? საით მიდის?  
 თავდაპირველი კითხვა, „რატომ“ იცვლება კითხ-  
 ხვით „საითკენ“, სწორედ აქ ჩნდება პოეტის გა-  
 მსახურული და კონკრეტული კითხვები. ბილიკი  
 თავისი ბუნდოვანი შუქით ქრება გარკვეულ  
 დროში, მისი მიზანი დღის მიზანში ირევა.

იგივე შეიძლება ითქვას იმ გზაზე,  
 რომელსაც ოცნებით სავსე პოეტი მიუყვება.

ეს ღამის გზა გაიგივებულია წარსულთან. ის,  
 ვინც რამეზე ოცნებობს, ოცნებობს საკუთარ  
 თავზე, თავისი ცხოვრებისა და დღეების დასა-  
 სრულზე.

ასეთი გარეგანი მზერა, რომელსაც პოეტი  
 გამოხატავს, ემსგავსება თვითცნობას.

პოემაში ნარმოდგენილი მოვლენები ის  
 მოვლენებია, რომლებსაც ადგილი ჰქონდა  
 პოეტის ცხოვრებაში, რაც მას თვითონ გადას-  
 და. ეს გამოინათქვამი „ნასულა-მიდვიდარ“ არის  
 ადამიანის მოძრაობა. პოეტი უნახლოვდება და  
 შორდება საგნებსა და მოვლენებს. მუდმივი  
 შინაგანი და გარეგანი მოძრაობა ჩანს მარაღოს  
 პოემაში და გამოიჩნევა რეალობის დინამიზმით.

დონ ანტონიო არასოდეს არ უცქერს მოვლ-  
 ენებს სტატიკურად. აქედან გამომდინარეობს  
 ის, რომ ანტონიო მარაღო უპირატესობას ანი-  
 ქებს ზმნის ფორმებს ნარსულ გაგრძელებულ  
 დროში. მოქმედება არ სრულდება, ის გრძელდ-  
 ება და გადადის იმ კავშირში, რომელიც აერთი-  
 ანებს სამყაროს.

ანტონიო მარაღო აქ დაახლოებით ოცდაათი  
 წლის ახალგაზრდა კაცია, შორს არის სიც-  
 თხლის დასასრულისაგან, სიბერისაგან. ამიტ-  
 ომაც მისი ოცნებები ნაადრეგია. პოეტი დღე-  
 ანდელი ვახაფხულიდან უკეთ ხედავს და სჭერ-  
 ეტს თავისი შემოდგომის ზეაინდელ დილას.  
 აქედან მოდის პოეტის მელანქოლიური განწყ-  
 ობა და მისი მკაცრი გრძობები. ეს სიტუაცია  
 ძალიან ხშირია მარაღოს შემოქმედებაში. მის  
 პოეზიაში უპირატესობა ენიჭება დროს, ისე  
 რომ ხშირად მკითხველი გრძობს დროსა და  
 მოვლენების სისწრაფეს, აგრეთვე ადამიანის  
 ცხოვრების სწრაფნარშეულობას, რაც დაკავში-  
 რებულია პოეტთან. ეს ძველი და უნივერს-  
 ალური გრძობის ნაძირების თანამედროვე  
 გამოხატვაა, რითაც სრულდება ამ სამყაროს  
 რეალობა.

მელანქოლიის გრძობა არ გამოდინარე-  
 ობს გარკვეული ინდივიდუალური მოვლენისა-  
 გან, არამედ ცხოვრების რაღაც შინაგან დინებას  
 ექვემდებარება. დონ ანტონიოს პესნიშიში გა-  
 მსახურებულს პესნიშიში.

პოეტი კითხულობს თუ რომელია მისი ოცნ-  
 ება, მისი სიმღერა და პასუხობს: „გულში დამქ-  
 ონდა ვნების ეკალი“. სიყვარულმა დაიძიკიერა  
 ადგილი ლირიკულ „მე“-ში, როგორც მტკივნე-  
 ულმა ეკალმა. ნარსული დრო, რომელსაც აქ  
 მარაღო იყენებს, თითქოსდა მკითხველის დასა-  
 აწყნარებლად, აძლევს იმის უფლებას, რომ წარ-  
 მოიდგინოს ტკივილი, როგორც რაღაც გა-  
 ნული და ნასული. ამას ადასტურებს შემდეგი  
 სტრიქონი, სადაც პოეტი ამბობს: „ერთ დღეს  
 შევძელი მისი მოსაობა“, და ამიტომ იმედს  
 უტოვებს მკითხველს, მაგრამ ეს იმედი  
 მხოლოდ რამდენიმე წამით გრძელდება, რად-  
 გან შემდეგ ავტორი ამბობს, რომ ვეღარ გრძნ-  
 ობს თავის გულს. ტკივილი ყურდება, აღარ  
 იგრძნობა გული. პოეტი იდენტურია ეკალითან,  
 და ეს მას აძლევს გამოხატვის საშუალებას.



შემდეგ გაქრა ტკივილი და მასთან ერთად გაქრა ცხოვრების სვეტრების შესაძლებლობა – სიზმარი.

ამ მომენტიდან ჩნდება პოემაში დარდიანობა, გულგატეხილობა, გზა, რომელიც ჩანდა და გაივრება იყო ცხოვრებასთან, ჩრდილში ეძიება და ქრება. შევარდნით ჩვენი ყურადღება შემდეგ სიტყვებზე: მტკივნეული ვნება, გული, გზა. აქ ჩვენ ვუახლოვდებით პოემის ფინალს, მაგრამ მაინც რჩება ერთი სტრიქონი, სადაც ისევ ერთხელ გვეხმის პოეტის ჩივილი და სევდით სავსე სიმღერა.

**ჩემი სიმღერა ისევ წუხს, ტირის  
და მუხმარება ოქროს ვეალი  
გულში ჩაქედის  
შენი შვერსება ვის ძალეუმ ნეტავ?**

აქვე ჩნდება პოეტის ახალი სიმღერა, რომელშიც დიდი და ძლიერი გადარჩენის სურვილია, თუმცა მას თან ახლავს ტანჯვა. ის, ეინც ამ პოემას წერს, არის ახალგაზრდა, რომელიც სიზმარში და ოცნებებში მოძრაობს და აღწევს თავის მიზანს, ანახლებს თავის გზას, სურვილით აღესილი.

ჩვენ ვხვდებით შემდეგნაირ ნახაზს:

პირველი მომენტი წარმოადგენს ახალგაზრდას რეალობას, რომელშიც ის მღერის და ოცნებობს.

მეორე მომენტი, ოცნებიდან სიმწიფემდე, სადაც ცხოვრობს განმარტოებული და ხელახლა იწყებს გზას წარსულისკენ.

შესაძლო მომენტი არის ოცნების და ახალგაზრდობის, სადაც ის ნატრობს ყველაფერს, რაც დაკარგა და რამაც გაიარა.

ინების დღევანდელი დღიდან და მოდის აქამდე, შემდგომ ოცნებაში გასული დღიდან უბრუნდება სურვილს, რომ დაიბრუნოს ყვე-

ლაფერი და კარგული. სიზმარი აღწევს უფლებას დაიბრუნოს ის, რაც სიზმარში დაკარგა. არ შეიძლება ითქვას, რომ ამ მოგზაურობამ ფუჭად ჩაიარა, რომ მას არ დაუტოვეთ თავისი კვალი. დატოვა მწარე გემო, ყველაფერი რაც სასიამოვნო იყო, სადაც გაქრა. ასე აიხსნება პოემის სედა, რაც წარმოადგენს ანტონიო მარალოს თითქმის მთელი პოეზიის განსაკუთრებულ სედას. ეს სედა მოდის სიზმრიდან.

პოეტი ასე ქმნის თავის სამყაროს, ილუზიებითა და საიდუმლოებით აღსავსეს. ეს ის სამყაროა, რომელშიც მარადი ცხოვრობს და მოგზაურობს. ის შთაბეჭდილებითაა აღესილი, სამყარო, რომლის გამოხატვასაც ცდილობს.

ის არის აღსავსე სევდითა თუ სიზარულით, სიყვარულითა და ზიზღით. პოეტის გრძობები იჭრება მკითხველის გულის სიღრმეში და იწვევს მასში დადებით თუ უარყოფით ემოციებს. პოეტი ცდილობს მკითხველს გააცნოს თავისი სამყარო.

ლიტერატურული ნაწარმოები წარმოადგენს ავტორის სულიერი სამყაროს ნაყოფს. ჩვენ არ გვაინტერესებს შექმნის პროცესი, არამედ ავტორის ქმნილება – მისი ნაწარმოები.

რამდენიმე ათწლეულმა გაიარა, რაც ანტონიო მარადომ თავისი პოემა შექმნა, მაგრამ მისი სახელი კვლავ ცოცხლობს. ავტორის სახე, მისი „სიმღერის უკუდავი ხმები“, ასნაელის ახალგაზრდობას, რომ მათ უნდა სჯეროდეთ საკუთარი შესაძლებლობების, აჩვენებს გარშემომყოფთ მშვენიერებას პოეზიის შეშვეობით და ასნაელის მათ წრფელსა და მარადიულ სიყვარულს სამშობლოსა და ერთმანეთისადმი.

ანტონიო მარადოს მთელი შემოქმედება ეყრდნობა ესპანურ ლიტერატურის ტრადიციებს. ალბათ ყველაზე დიდ ჯილდოდ, რომელიც კი შემოქმედს მიუღია, ის უნდა ჩაითვალოს, რომ ანტონიო მარადე ესპანელმა ხალხმა თავის უკუდავ პოეტად სცნო.



## პუბლიცისტი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე

### ვლადიმერ ლორთქიფანიძის დაბადების 130 წლისთავის გამო

XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან და XX საუკუნის ათწლეულის ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარების ისტორიაში ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ცნობილ ქართველ ისტორიკოსს, მწერალს, მთარგმნელს, პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწეს, სოციალ-ფედერალისტური პარტიის ერთ-ერთ დამაარსებელსა და მის აქტიურ წევრს, სადღეისოდ საზოგადოების დიდი ნაწილისათვის ნაკლებად ცნობილ პირთაგანს ვლადიმერ ლორთქიფანიძეს.

XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის დამდეგის საქართველოში არ დარჩენილა საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი სფერო, რომლის განვითარებაში ვლადიმერ ლორთქიფანიძეს შესამჩნევი წვლილი არ შეეძინოს.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ვლ. ლორთქიფანიძე იყო სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი და ლიდერი. თავის სოციალურ-ეკონომიკური შეხედულებებით საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ერთგვარ სახესხვაობას წარმოადგენდა.

ვლადიმერ ლორთქიფანიძე დაიბადა 1872 წლის (საბერძენო მასალებით 1873 წლის) 10 იანვარს (ძველი სტილით) ქუთაისის გუბერნიის და მაზრის სოფელ დიდ ჯიხაიში (ამჟამად სამტრედიის რაიონი), სამეფო აზნაურის ბეჟან ლორთქიფანიძის ოჯახში.

ბეჟან და მკრინე ლორთქიფანიძეებს, ვლადიმერის გარდა მკვადათათბი შვილი ივანე, იოსებ, დავითი, სიმონი და ქალიშვილი ირინე. ივანე და დავითი ადრე გარდაიცვალნენ.

სიმონ ლორთქიფანიძე ოდესის უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, თავისი მასწავლებლის პეტრე მელიქიშვილის რეკომენდაციით დატოვეს უნივერსიტეტი გარდაიცვალა 1918 წელს, დაკრძალულია სოფელ დიდ ჯიხაიში.

იოსებმაც უმაღლესი განათლება ოდესის უნივერსიტეტში მიიღო და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაში სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის უფროსის თანამდებობა ეკავა.

1880 წელს ვლადიმერი მშობლებს დიდი ჯიხაიშიდან ქუთაისში მიჰყავს და ქუთაისის სა-

თავადაზნაურო სკოლაში აბარებენ. სასწავლებელში სწავლის პერიოდში ის ყოველდღიურად უმატებდა სწავლას და უფრო და უფრო ექცეოდა მასწავლებელთა ყურადღების ცენტრში. კლასიდან კლასში წარჩინებული ნიშნებით გადადიოდა და მასწავლებელთა დიდ სიყვარულს იმსახურებდა.

სათავადაზნაურო სკოლის მაშინდელი დირექტორისა, შემდგომში საკმაოდ ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და პუბლიცისტის - ალექსი ჭიჭინაძის მოგონებაში ვლადიმერ ლორთქიფანიძის შესახებ ვკითხულობთ:

„1880 წელნიადი ქართული სკოლის დაარსების წელიწადია ქუთაისში, იმ სკოლისა, რომელსაც ახლა ქართულ გიმნაზიას ეძახიან და თავდაპირველად სათავადაზნაურო მოსამზადებელ სკოლას ეძახდნენ. ვამოცხადდა თუ არა სასწავლებელი, მაშინვე ურიცხვი მსურველი მოაწყდა მის კარებს. ერთი მსურველთაგანი იყო ვლადიმერი.

პატარა ვლადიმერი გამლილი პირის-სახით, რომელზედაც ბრწყინავდა რაღაც სასიამოვნო ღიმილი, და ფართო ცოცხალი თვალებით უწებლეთ იწინადადა მხილველის ყურადღებას. რა იყო ის ღიმილი, რომელიც მოსდევდა მთელს მის სახეს და რა შთაბეჭდილებას ახდენდა მისი თვალები? ღიმილი იგი იყო სიამოვნებით შეხედრა სწავლის დასაწყისისა, ნიშნი შოახლოებისა იმ წყაროსთან, რომელსაც უნდა ეძლია სასმელი ცოდნის მოყვარეობის წყურვილის დასაკმაყოფილებლად, ხოლო თვალების სიღრმეში ჩანდა სულის უმანკოება, სიკეთე, მისი ნიჭი.

ჩაირიცხა სასწავლებელში. თანდათან უკეთ და უკეთ სწავლობდა ვლადიმერი. დღითი დღე უფრო და უფრო მეტს ყურადღებას იქცევდა მასწავლებლებისას. სწავლა სულ არ ეძნელებოდა. ყოველ წელს დაუბრკოლებლივ გადადიოდა კლასიდან კლასში და სასიამოვნოდ მიგვაჩინდა ამისთანა მონაფის ყოლა. მაგრამ ერთმა გარემოებამ უდროოდ მოგვეწყვიტა ერთმანეთს, დაგვაშორა მასწავლებლები საყვარელ მონაფეს.“ (ჯამ. დროება“ 21-22 VIII 1909 წ.).

ვლადიმერ ლორთქიფანიძე უდიდესი გულმოდგინებითა და მუყაითობით ენაფება სწავლას და ამ დღიდან წიგნი მისი მუდმივი და განუწყველი მეგობარი ხდება. არდადეგების დროსაც, როცა ვლადიმერი თავის სოფელში

ბრუნდებოდა, უმეტეს დროს ნიგნების კითხვას ანდობებოდა.

ჩვენს ნელს მამის რჩევით ვლადიმერმა გადაწყვიტა სახაზინო ხარჯზე სასწავლებლად გადასულიყო ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. ამის შესახებ სურვილი მან სასწავლებლის ზედამხედველს ალექსი ჭიჭინაძეს გაანდო, რის შედეგზედ მოუთხალეს ჭიჭინაძემ იგონებს შემდეგს: „მარია მოხისთვის ოცი მილხაღელულოყო. აუარებელი თხოვნა შემოდოდა მსურველთაგან (იგულისხმება ქუთაისის სათავადაზნაურო ქართული სკოლა - ჯ. ლ.) თითო დაკანსაზე სამი-ოთხი მოდიოდა მსურველი და შიშობდები გარს შემოხვეოდნენ ბუხებივით. ამ დროს ვლადიმერმა გამოჰყო თავი ნთხოვნელთა ჯგუფიდან და მომანათა თავისი დიდგონი თვალები.

— ლადო, შენ რაღა გინდა? — ეკითხე მე. — რამდენი ხანია, შეკაცო მიღებულხარ და ახლა ხელშეორედ ხომ ვერ მიგიღებ?

— არა, ბატონო, მე გიმნაზიაში უნდა გადამიყვანოს. გთხოვთ, მომცეთ მოწმობა, რომ აქ ვსწავლობდი.

— რატომ, ლადო, რათ გადადიხარ ჯერ გიმნაზიაში? მეუთხე კლასსა ვხსნი თ პირველ ენკენს თიდან, დარჩი აქ, პროგინაზია დაასრულე და თუ შეხუთე კლასი არ გავსდები, მაშინ გადადი გიმნაზიაში, მეხუთე კლასში.

— არა, ბატონო, კანდიდატად ვარ ჩარიცხული და ჯერი მოსულა ჩემზე. თუ ვგზამენი დაუიქრე, ხაზინის ხარჯზე მიმიღებენ პანსიონში. ეს კი საჭიროა, მაშინ მითხრა, შეძლება არა მაქვს ჩემი ხარჯით გამოგზარდო.

ძალიან მენყინა ეს ამბავი, მაგრამ რაღა გაენყობოდა. კარგი-მეთქი ვუთხარ, მოწმობასაც მოგეძიე და ვეცდები, მეუფაგვსნო გიმნაზიაში გამოცდაზე, თუ ნება მომცა-მეთქი დირექტორმა. მოწმობა მიეცეო და ნავიდა...

იმ დღის წინ, როდესაც გამოცდა უკონდა ვლადიმერს, გავემართე გიმნაზიასკენ. შევედრე გიმნაზიის მისაღვე ოთახში. მრავალი მთხოვნელია. დირექტორი სდგას მაგიდასთან და მთხოვნელები გარს არტყია ნახევარ ნრედ. მეც მივედ წრესთან, დაედეგ და ველოდები ჯერს. ჯერი კიდევ არ მოსულიყო ჩემზე. დირექტორმა გამოიხედა ჩემსკენ და დამინახა. მე სალაში მივეცი. იმან მოპასუხა, მაგრამ მე ცივად შეჩვენე მისი სალაში. რა გნებათო, მითხრა. მე მივეუფრე, რომ აქ ჩემი მონაფე გადმოდის გიმნაზიაში, რასაკვირველია ვეზამენი უნდა დაიქროს და გუხოვთ ნება დამართოთ ყური დაუფგდო გამოცდას; მე ერთ სიტყვას არ ამოვიღებ, მხოლოდ მსმენელი ვიქნები, რომ გავიცნო-მეთქი თქვენი სავეზამენო მოთხოვნოლებანი. ეგ ჩვენი საერთო საქმისათვის სასარგებლოც იქნება-მეთქი, რადგან მომავალშიაც იქნებიან მსურველები გადმოსვლისა თქვენდამი რწმუნებულს გიმნაზიაში.

— რომელ კლასში შემოდის თქვენი მონაფე?

— მეთოხა.

— მეუთხე - ვუპასუხე.

— როგორ თუ მეუთხეში? მეუთხეში ვერ დაიჭერს ვეზამენს.

— რატომ ვერ დაიჭერს? — ეკითხე.

— რატომ და იმიტომ, რომ თქვენები ამ პროგრამით არ სწავლობენ, რომელიც მოუთხოვება.

— როგორ არა, გარდა ქართული ენისა ყველა საგანში იმავე პროგრამით ვხელმძღვანელობთ, რომლითაც გიმნაზიაში ასწავლიან. ყმა-ვიღმა სამი კლასი დაასრულა ჩვენთან და ახლა თქვენთან გადმოდის მეუთხეში.

— არა, არა, იმ პროგრამით არ ასწავლით. ვერ დაიჭერს, ვერა!

— მე იმ სასწავლებლის ხელმძღვანელი ვარ და ძალიან კარგად ვიცი, რა საგნებს ვასწავლით და რა პროგრამით. თქვენ ერთხელაც არ ბრძანებულხართ ჩვენს სასწავლებელში და მეუბნებით, ვერ დაიჭერს, იმ პროგრამით არ ასწავლით. ძლიერ მაკვირვებს თქვენი სიტყვები! მაგრამ პო, მეც დაგეთანხმებით. მართლაც ვერ დაიჭერს იმიტომ ვერ დაიჭერს, რომ თქვენ ბატონო დირექტორო გიმნაზიისა, რომელშიაც შემოდის ჩემი მონაფე, წინდანი, როდესაც ჯერ კიდევ ერთი კითხვაც არ მივიციათ მონაფისათვის, ბრძანებით, ვერ დაიჭერს. ამას ბრძანებით თქვენს, რომელიც არასოდეს არ ყოფილა ჩვენი სასწავლებელში და არ იცით იქაური ვითარება. ყოველ შემთხვევაში უმორჩილესად გთხოვთ ნება მიმოძეთ დაეცნსრო გამოცდას და ყმა-ვილი მეუთხე კლასისათვის ვამოსცადათ.

ამ ჩვენს ბჭობას მთხოვნელებიც ყურს უგდებდნენ. ბოლოს მითხრა დირექტორმა ცივის ხმით, კარგი, მობრძანდით ხელა და ვენახით, რა იქნებაო. მიველ მორედ დღეს. პირველად ვარჩიხა დაანერინეს რუსულში, შემდეგ ზეპირად გამოცდას შეუდგნენ. ვლადიმერი პირველი არ იყო, რომელსაც გამოუძახეს ზეპირ გამოცდაზე და ამიტომ კაი ხანს მოგვიბრდა დღემდე. ბოლოს იმაზედაც მივიდა ჯერი, უნდა გამოცეკდათ: საღმრთო სჯულში, რუსულში, ლათინურში, ბერძნულში, ფრანგულში, არითმეტიკაში და გეოგრაფიაში. თქვენ რას ფიქრობთ? ბატონო დირექტორო ამდენი საგანი გააყოფო რასამ ნაწილად და ორ-სამ დღეს სწარმოებდა გამოცდა, რომ შეტად არ დალლიყო ყმა-ვილი და არ გასძინებოდა საქმე? სრულიდაც არაა გამოუძახეს ყმა-ვილს, დააყენეს ფეხზე ერთ აგმონებელს და კითხეს და პითხეს. პითხავენდენ განუწყვეტლოვ. ჯერ ერთ საგანში პითხავენდენ დიდხანს, მეორე მეორეში, შემდეგ — შესამეში და ასე, სანამ ღონე უკონდა, ბოლოს ვეთითლმა ფერმა გადაკრა ყმა-ვილს. დაბარბაცდა, ის იყო უნდა დაცემულიყო იატაკზე, მივემეველ და ვსთხოვე დირექტორს, შეიბრალეთ, ცოტა ხანს შეასვენეთ-მეთქი. მომცეს ნება, ერთს თუ ორს საგანში საღამოსათვის გადაუდგეს გამოცდა, სხვებში ყველაში სადილობამდის გამოსცადეს და, როგორც უკვე მოგახსენეთ, სტანჯეს, სანამ გული არ ნაუფედა კინაღმ, რომ სრულად იცო-



დეთ, რაც მაშინ მოხდა, და ბ-ნ დირექტორის გულკეთილობაც არ დავივიწყოთ; საჭიროა მოვიხსენოთ: კიდევ ერთი ფაქტი: საოცარი იყო დასასწავლის გამოცდისა. თმა-განჩილი და წვერ-საპურძგნული (რაიცა უხდება იმ წუთის მისს ნულიერ მდგომარეობას) დირექტორი ქარხვით დაატყდა ვლადიმერს და სეტყვასავით დააყარა კითხვები ბერძნულ ენიდან და გეოგრაფიიდან. ეს იყო ის საგნები, რომელთა ცოდნით თავი მოქონდა ბ-ნ დირექტორს და რომლებშიც უწინარეს ყოვლისა იხება მან ყმაწვილბს გამოცდა. ვგონებ ეს ქვევა წინად განზრახული დრმა სტრატეგიული ზომა იყო ყმაწვილთან საომრად; იფიქრა, ამ საგნებში მოუწერ ნელს და შემდეგ ვულგატეზილმა შეიძლება, სხვა საგნებში ჩაიკოჭლოსო. გაპკრა-გამოპკრა კლანჭები, გული იფურა და სთქვა, არ არის ამ საგანში მომზადებულიო. ძლევა-მოსილი მომბრუნდა და მითხრა: აი, ხომ უხედავთ, რომ არ ხეოდნია ეს საგნები? შეიძლება ამას შემდეგ საქმე დაბოლავებულდაც ჩაითვალოს და უარი ვითხრაი, მაგრამ კითხვით მონც ვითხავ სხვა საგნებშიაც. მე ვუთხარ, რომ ვხედავ-მეთქი, ვხედავ, მაგრამ ჩემი თხოვნა ვახლავთ — სულ ვველა საგნებში განიხილოთ საქმე და, რასაც საბჭო ვადასკრის, ის გამომიცხადეთ მეთქი. ისმინა თხოვნა გამოსცადეს სხვა საგნებშიაც და, მიუხედავად სასტიკის მოთხოვნილებისა, რომლის ხელმძღვანელი იყო ბოლომდის თითონ ბ-ნი დირექტორი, ყმაწვილმა მომზადება გამოიჩინა ბერძნულსა და გეოგრაფიას თითონ გამზაზის მასწავლებლები ასწავლიდნენ, რომელნიც მონვეული იყვნენ ჩვენ მიერ დირექტორის თანხმობით გამოცდის დროს ახლოსაც არ მიიკრა დირექტორმა ის ბერძნულის მასწავლებელი. საწყალმა მასწავლებელმა ერთხელ, რომდაც მისცეს ვლადიმერს კითხვა გარეშე სავალდებულო კურსისა, მოაგონა დირექტორს, რომ ეს მინცა და მინც არ მოეთხოვებათ მესამე კლასშიო. მაგრამ იმან ისეთიარად გადმოუბრიალა თვალნი, რომ კინაღამ შინით გააქრო. ადგა კუდამოძუებული მასწავლებელი და გავიდა გარეთ. გვერდით რომ ჩამიარა, მითხრა, ხომ უხედავთ, როგორ იქცევა, რა უნდა ექნაო.

საბჭომ მოისმინა შედეგი გამოცდისა ყველა საგანში და, შემდეგ დირექტორის სიტყვებისა, დაადგინა, მიღებულ იქნას ვლადიმერ ლორთქიფანიძე მეოთხე კლასში" (გაზ. „დროება“ 21-22 VII 1909 წ.)

გიმნაზიაში სწავლის პირველი წლებიდანვე ვლადიმერ ლორთქიფანიძე დიდ მიდრეკილებას იჩენს ისტორიისა და ლიტერატურისადმი, განსაკუთრებით პოლიტიკური ისტორიისადმი. კითხვულობს და სწავლობს ქართული ლიტერატურის კლასიკოსების შემოქმედებას, მსოფლიოს გამოჩენილ პოლიტიკურ და მხედართმთავრების ისტორიასა და მათი ცხოვრების განვლილ ვაზს. თანდათან უკეთ ეუფლება რუსულ ენას. იწყებს გერმანულს, ფრანგულსა და ლა-

თინურის შესწავლას. უკვე მეოთხე კლასიდანვე ვლადიმერი აქტიურ მონაწილეობას იღებს უფროსკლასელ მოსწავლეთა მიერ დაარსებულ სალიტერატურო წრის მუშაობაში. თანდათან ფართოეფობოდა და ღრმავდებოდა ვლადიმერ ლორთქიფანიძის ვინებრივი პოზიტივი, იხევენებოდა მისი პოლიტიკური დიალოგის კულტურა.

გიმნაზიაში სწავლის პირველი წლებიდანვე, თავისი სათუთი ხასიათითა და ქვეყნით ვლადიმერ ლორთქიფანიძეს ამხანაგების უდიდესი სიყვარული და პატივისცემა დაუშინაზურებია. ამ სიყვარულს მოწმობენ ის თბილი მოგონებები, რომლებიც ვლადიმერ ლორთქიფანიძის სკოლის მეგობრების მიერაა დატოვებული.

„ქუთაისის გიმნაზიის პანსიონის დაბალ კლასების მონაწილეთა შორის რაღაც არაჩვეულებრივი მღელვარებაა. მეოთხე კლასლებს ახალი ამხანაგი მომატებიათ, — იგონებს ვლადიმერის თანაკლასელი, შემდგომში მთელი მისი ცხოვრების მტკაბარი, ცნობილი იურისტი და საზოგადო მოღვაწე ივანე ზურაბიშვილი.

— იცი, ბანკის სკოლიდან ვადმოსულა! ძლიერ ნიჭიერ მონაწიდე ითვლებოდა თურმე იქ. ისეთი ნაკითხი და განვითარებული ყოფილა, რომ... ეუბნებოდა ერთი ყმაწვილი გარემომრცმულ ტოლ-ამხანაგებს. ესენი კი დიდის ყურადღებით მისჩერებოდნენ და თვალებით ხინჯავდნენ ახალმოსულს. თითქო განვითარებისა და ჩინებულობის გარეგან ნიშნებს ეძებდნენ მასში.

ვლადიმერ ლორთქიფანიძე, რადგან ეს იყო ბანკის სკოლის ის მონაწი, რომელიც დღევანდელ ჩვენის წრის წევრი ხებებოდა, ამ დროს, ვითომ ვერც კი წედავდა მისკენ მიზართულ ათიოდ წყვილ ცნობის მოყვარე თვალს, სადაც განზე იყურებოდა და ხელებს იფშენტდა.

... იმ თავითვე მუყაითი და ნივნების მოყვარული, შენ ხარბად დაენადე ცოდნის წყაროს, — ცალკე შენის ქვეყნის ნარსართულ და ცალკე თანამედროვე მეცნიერება, უფრო კი პოლიტიკური ისტორია და დამოუკიდებლობისადმი სხვადასხვა ერთა მისწრაფება და ბრძოლა თავიერუფლებიხათვის, — ამ ამხანაგებმა და ასეთ აზრებს ეტანებოდა შენი გონება და გრძნობა.

ამ სარჩოს ძიებაში იყო მუდამ შენი აზრი და სარჩოს ძებნასაც იგივე სცოდნია თურმე, რაც ლუკმა პურისათვის მუდამ ზრუნვას: სიღინჯე და უდარდელიობის ნართმევა... [ივ. ზურაბიშვილი, კარგ ქართველთა ხსოვნისათვის, გვ. 109, პარიზი 1982 წ.]

ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლის დროს ვლადიმერთან ერთად სწავლობდნენ შემდგომში ისეთი ცნობილი საზოგადო მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ: ივანე ზურაბიშვილი, კიტა აბაშიძე, ნიკო თავდგორიძე, გრიგოლ ველსკი [უმნიფარიძე], ანდრია დეკანოზიშვილი და სხვები.





გიმნაზიაში სწავლის პერიოდში ვლადიმერ-მარტინაძე შეისწავლა თავისი ქვეყნის ისტორია, ლიტერატურა, კულტურა. ის ამ პერიოდში ახლოს გაეცნო ხალხობრივი მოძრაობის იდეებს და ერთი პერიოდი ამ იდეებზეც ვატიცდა.

1891 წელს ვლადიმერ ლორთქიფანიძემ დაასრულა ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის სრული კურსი და თავის წ თანაკლასელთან ერთად უმაღლესი განათლების მისაღებად რუსეთს გაემგზავრა. იმავე წელს ის ოდესის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე შედის.

1896 წელს ვლადიმერი წარჩინებით ამთავრებს ოდესის უნივერსიტეტს, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით საზღვარგარეთ მიემგზავრება და შედის იენის უნივერსიტეტში.

იენის უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში მას მატერიალურ დახმარებას უწევდა ქუთაისის ინტელიგენცია, რაც მისი პირობებთან შედარებით მცირე იყო.

გერმანიის შკაცრმა პავემ და ცხოვრების მძიმე პირობებმა (იგი განიცდიდა მატერიალურ ხელშეწყობას), შეარყია ვლადიმერის ჯანმრთელობა. ფილტვებით სუსტ ყმაწვილს ტუბერკულოზი აღმოაჩნდა, იკუთრი ექიმების რჩევით ის თავს ანებებს სწავლას და სამშობლოში ბრუნდება სამკურნალოდ.

1897 წლის ზაფხულში დასნეულებული ვლადიმერ ლორთქიფანიძე სამშობლოში დაბრუნდა. თავისი მეგობრები მის ასეთ უცნაურ გამოჩენას არც ელოდნენ, მაგრამ როცა უკან დაბრუნების მიზეზი გაიგეს, მაშინ შეაშინიეს მის სახეს ავადმყოფობის ნიაბრვეი. მეგობრებმა ვლადიმერი იმავე დღეს მიიყვანეს ცნობილ ექიმთან გრიგოლ მალალაშვილთან, რომელსაც ზედმეტ სახელად აგვემ -ს ეძახდნენ.

ექიმმა გულსხმიერად გასინჯა ავადმყოფი და მანც იგივე დიაგნოზი დაუსვა, რაც გერმანელმა ექიმებმა. ყოველივე ამან ძლიერ დაამწუხრა ვლადიმერის მეგობრები. ისინი ყველა ლონეს მიმართავენ მის გამოსაჯანმრთელებლად ვლადიმერი მეგობრებს აბასთუმანში დაჰყვავდათ სამკურნალოდ და ორი-სამი წლის მკურნალობის შემდეგ გამოჯანმრთელდა.

მიუხედავად გამოჯანმრთელებისა ვლ. ლორთქიფანიძეს სამეცნიერო მოღვაწეობა არ გაუგრძელებია, ის სულ სხვა ფიქრებმა და აზრებმა გაიტაცა. ეს აზრი იყო სამშობლოსათვის უანგარო სამსახური და გულწრფელი სიყვარული შეუდგა ამ სამსახურს...

როგორც ცნობილია, საქართველოს სოციალისტ-დემოკრატიული პარტია უშუალოდ 1904 წლის აპრილში ენევაში მიმდინარე ქართველ რევოლუციონერთა პირველ კონფერენციაზე დაფუძნდა.

ვლადიმერ ლორთქიფანიძემ დიდი მუშაობა გასწია ამ კონფერენციის დასაფინანსებლად. მან სპეციალურად კონფერენციისათვის შეკრიბა ფული ყოველივე ამის შესახებ საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიულ არქივში დაცულ მასალებში ვკითხულობთ:

«Вл. Лортхипанидзе в конце Апреля 1904 г. собрав деньги для какого-то конгресса или съезда, является агентом по получению из Французской и Грузинской нелегальной газеты: «Сакартвело»

1905 წლის რევოლუციის დაწყებასთან დაკავშირებით ემიგრაციაში მყოფი ქართველების უმრავლესობა სამშობლოში დაბრუნდა, მათ შორის არიან ჯორჯიძე და სათავეში ჩაუდგა საქართველოს სოციალისტ-დემოკრატიული პარტიისა და ამ პარტიის ბლოკში გაერთიანებული სხვა პარტიების მუშაობას.

პარტიის ყველა წევრი ასრულებდა მათთვის მინიჭებულ საგანგებო დავალებებს.

ვლ. ლორთქიფანიძე პარტიის დავალებით ბეჭდვდა და ავრცელებდა პროკლამაციებს, მონაღებდა, რის გამოც ის 1905 წლის 12 იულისს დააპატიმრეს. პოლიციამ გარჩიკა ვლადიმერის ბინა და ჩამოართვეს სხვადასხვა სახის არალეგალური ლიტერატურა, ხელნაწერი პროკლამაციები „მოჭალაქენი“, 10 ფუთამდე საბეჭდი შრიფტები და სოციალისტ-დემოკრატიის კომიტეტის ბეჭედი.

ყოველივე ამის შესახებ გ. ლასხიშვილი იგონებს: „ქუჩებში სამხედრო პატრულებმა იყო გადაღობებული და ბევრ ხალხს ატუსაღებდნენ. ბევრი დაატუსაღეს მაშინ ჩვენი პარტიის წევრებიც. მათ შორის დაატუსაღეს ჩვენი კომიტეტის წევრი ვლ. ლორთქიფანიძე.

მის ბინაზე ასოთამებობმა და თვითონ ვლადიმერმა აანგეს მთავარი კომიტეტის ერთი პროკლამაცია. საღამოს ანუობილი „გრანკები“ ლორთქიფანიძემ ვადასცა პარტიეს ახალგაზრდა წევრს — ნიკო შარაშიძეს და გაატანა ერთ სტამბაში დასაბეჭდად. გზაში პატრულს რაღაც ეჭვი აუღია, გაუჩერებია ფაიკონი და შარაშიძე გაუჩხრკეთა.

— საიდან მოგატყეს და სად მოგატყეს ეს დასაბეჭდი მასალა? ვკითხება პატრულის უფროსი შარაშიძეს. შარაშიძე დაუშს. მაშინ პატრულის უფროსი პოლიციით ჩაუვდა შარაშიძეს ეტლში და შეფაიტონეს უბრძანა — ნაკვიყვანე იქ, საიდანაც ეს ყმაწვილი მოგვყავსო. მეტეტლემ ბრძანება აასრულა. უკან დაბრუნდა და ვლ. ლორთქიფანიძის ბინას მიადგო დავიდევის ქუჩის ბოლოში მოკვანზე, გამრეკელის სახლში. ასოთამებობი უკვე ნასული იყო, ვლადიმერი და შარაშიძე დააპატიმრეს.

ორი თვის პატიმრობის შემდეგ ვლადიმერი განთავისუფლებულ იქნა ციხიდან, მაგრამ მას ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია თავისი საქმიანობა. 1905 წლის ნოემბერს თბილისში სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ მოწყობილი მიტინგი. მიტინგზე სიტყვით გამოვიდა ვლადიმერი, რომელმაც ნამოაყენა დემოკრატიული რესპუბლიკის მიღწევამდე ხელისუფლებასთან შეურიგებელი და უკომპრომიზო ბრძოლის გაგრძელების შესახებ.



1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ, თვითმპყრობელობამ სასტიკად იძია შორი დამარცხებულ ხალხზე. განსაკუთრებით კი განაპირა კუთხეებზე. შავი დღე დაუდგა საქართველოსაც ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეს მოედევნა მთავრობის მიერ გამოგზავნილი დასჯელი რაზმები და აგენტები. განსაკუთრებული მეთვალყურეობა და კონტროლი დაწესდა პოლიტიკური პარტიების ლიდერებზე და მათ აქტიურ მხარდამჭერებზე. ყურადღების გარეშე არც ვლ. ლორთქიფანიძე არ დაუტოვებიათ. 1905 წლის დეკემბერში მას ბინაზე დაესხა ჯანდარშერია და დააპატიმრეს. მოსალოდნელი სასჯელისაგან ამინსტიაციამ იხსნა, რომლის საფუძველზე 1906 წლის 7 თებერვალს ის პატიმრობიდან განთავისუფლდა.

1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში ყველა პარტიამ და პოლიტიკურმა ორგანიზაციამ თავისი დამოუკიდებელი პოზიცია დაიკავა რევოლუციური პროცესების მიმართ, რამაც თავისი გავლენა იქონია სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ბლოკზეც.

1906 წლის ივნისში გაიმართა ფედერალისტური პარტიის II კონფერენცია. კონფერენციაზე სოციალ-ფედერალისტებმა და ეროვნულ დემოკრატებს შორის ნინაღმდევლობამ იჩინა თავი და ეს უკანასკნელი პარტიიდან გავიდნენ. რადგან მათ სურდათ დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნა.

ამავე კონფერენციაზე იჩინა თავი აგრეთვე ნინაღმდევლობამ სოციალისტ-ფედერალისტებსა და ანარქისტებს შორის.

მეორე კონფერენციაზე გიორგი ლასხივიელმა, სასოსო ფირცხალავამ და ვლადიმერ ლორთქიფანიძემ მონაწილეობა მიიღეს სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ხელმძღვანელი ორგანოს, პარტიის ცენტრალური კომიტეტის რეორგანიზაციაში და შეიმუშავეს პარტიის ახალი პროგრამის პროექტი.

1907 წლის ოქტომბერში, თბილისში გაიმართა სოციალისტთა პარტიის III კონფერენცია, რომელზედაც მიღებულ იქნა პარტიის ახალი პროგრამა. აღნიშნულ კონფერენციაზე ანარქისტები გავიდნენ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის შექმადგენლობიდან. ანარქისტების გასვლის შემდეგ ფედერალისტური ბლოკი ფაქტურად დაიშალა და ამიერიდან სოციალისტ-ფედერალისტები ჩამოყალიბდნენ დამოუკიდებელ პოლიტიკურ პარტიად. პარტიაში ნესროვის აღდგენისათვის არჩილ ჯორჯაძესთან, გიორგი ლასხივიელთან და სხვებთან ერთად დიდი მუშაობა გასწია ვლადიმერ ლორთქიფანიძემ.

1907 წლის 30 აგვისტოს, ბუთშაბათს, ნაშუადღევს I საათსა და 30 წუთზე, ნინაშურის ველზე გააგრდა ტყვია, რომელმაც შესწრა არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი რუსეთის იმპერია. სოციალ-დემოკრატების მიერ განხორციელებული რევოლუციონარული სიკვდილეს გამოსახლმა სახიქადულო მამულიშვილი, ქა-

რთული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ორგანიზატორი და სულის ჩამდგმელი, ერის მამა და მოძღვარი ილია ჭავჭავაძე, რომლის სიკვდილმა დიდად აზარადა ქართული ეროვნული მოძრაობა.

ნინაშურის ველზე მომხდარი დაუფრებელი ტრაგედიის ცნობა დედაქალაქში გამოგზავნა იმ დღეს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის დავალებით მცხეთაში მყოფმა ვლ. ლორთქიფანიძემ, მაშინ უკვე გაზეთ „ისრის“ თანამშრომელმა („ცნობის ფურცელი“ იმ დროს აღარ გამოდიოდა). მისი დეპუტა რედაქციაში სილამოს ცხრა საათზე მიუღიათ, როცა გაზეთი დაბეჭდილი და პროუინციაში წასაღებად უკვე სადგურზე გაგზავნილი იყო. ამიტომ ისლამოზა ხსნის თავის სტაშმაში ორი სტრიქონი ჩემბატეზინათ და ისიც თბილისელი ხელის მომხერლებისათვის „საგურამოს გზაზე მოუკლავთ ილია ჭავჭავაძე და დაუქრიათ მისი მუკლუღ“.

1907 წლების რევოლუციის დამარცხების შემდეგ დადგარეაქციის წლები, საზოგადოებაში დატეხილობა და უესიმოში გამეფდა. სწორედ ამ დროს არჩილ ჯორჯაძემ გადამწყვიტა შემოუკრია პრეზერესულად განწყობილი ქართველი მწერლები და მეცნიერები, რათა გამოეცა სამეცნიერო-ლიტერატურული ფურხალი, რომლის ისტორიული განყოფილების ხელმძღვანელობა ივ. ჯავახიშვილს შესთავაზა. არჩ. ჯორჯაძე ფურხალის გამოცემას ჩქარობდა, რადგან წერდა იგი ივ. ჯავახიშვილს 1908 წლის 12 დეკემბერს, „საზოგადოებაში დიდი უიმედობაა. თუ ხელა ძალა არ დაეატანეთ ჩვენი თავს და რამენაირად არ დაეაღწიეთ ამ უიმედობას ჩვენი საქმე ძალზე ცუდად დატრიალდება. აუცილებელი საქმეა ჩვენი სალიტერატურო ძალების შეკრება და შეკავშირება“.

ფურხალში უნდა ყოფილიყო შემდეგი განყოფილებები:

1. მხატვრული (პოეზია, პროზა).
2. ეკონომიკა (ფინანსები) – ფილიპე გოგიჩაიშვილი.
3. სოციოლოგია – მიხაკო წერეთელი.
4. ფილოსოფია –
5. სალიტერატურო კრიტიკა – კიტა აბაშიძე
6. პოლიტიკური მიმოხილვა (ევროპა) – ვლადიმერ ლორთქიფანიძე.
7. პოლიტიკური მიმოხილვა (რუსეთი) – არჩილ ჯავახიშვილი.
8. მინაშური მიმოხილვა – არჩილ ჯორჯაძე.
9. ისტორია – ივანე ჯავახიშვილი.

მხილეს რუსეთის იმპერიაში გააუქმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, იგი რუსეთის სინოდის საეპარქოსოდ გარდაიქმნა.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი დიდად ანუხებდა ქართველ ხალხს, ვინაიდან იგი იმ დიდი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შემადგენელ ნაწილად განიხილებოდა, რომელიც მაშინ მიმდინარეობდა. ასევე განიცდიდნენ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრებიც და მათ

საბჭოს სხდომაზე გადაწყვიტეს, ეს საკითხი შეეტანათ პარტიის უახლოესი კონფერენციის დღის წესრიგში. მოხსენებები გაკეთდა დაევალი ცენტრალური კომიტეტის სარედაქციო საბჭოს წევრს ვლადიმერ ლორთქიფანიძეს. მაგრამ მას არ დასცალდა პარტიის ახალი დავალების შესრულება: 1909 წლის გაზაფხულზე ძველმა სენმა — ქლექმა გაუხსენა, ის მიძიდევად ვახდა და სარეცელს მიეჯაჭვა. იგი ჯერ ქობულეთში მკურნალობდა, შემდეგ ცოტა ხანი მშობლიურ სოფელ დიდ ჯიბაშიში დაყო.

იმვე წლის ზაფხულის დასაწყისში მიძიდევ დასნეულებული ვლადიმერი აბასთუმანში წაიყვანეს სამკურნალოდ, სადაც 28 ივნისს გარდაიცვალა.

1909 წლის ივლისს გაზეთი „დროება“ აუნებდა თავის მკითხველს და ქართულ საზოგადოებას, გაზეთის მუდმივი თანამშრომლის, კუბლიციანტისა და საზოგადო მოღვაწის ვლადიმერ ლორთქიფანიძის გარდაცვალებას.

„ვანუხოშელია ჩვენთვის ეს დაკარგვა და არა მარტო ჩვენთვის, არამედ მთელ ჩვენ პატარა ქვეყნისათვის, — იმ ქვეყნისათვის, რომელიც თავდავინებამდე უყვარდა განსვენებულს და რომელსაც შესწირა მთელი თავისი ახალგაზრდობა“.

იმდროინდელი ქართული პრესა ფრიად გამოიხმაურა ვლადიმერ ლორთქიფანიძის გარდაცვალებას. ჟურნალ-გაზეთებში „დროება“, „ნაკადული“, „ემმაკი და მთრახი“, „ალმანახი“, „პირველი ნახიჯი“ და სხვა გამოქვეყნდა კიტა აბაშიძის, სამსონ ფირცხალაეას, ივანე ზურაბიშვილის, არჩილ ჯავახიშვილის, ალექსანდრე მდივანის, ალექსი ჭიჭინაძის, ნიკო თავდგირიძის, ილია ალაბაძის, იოსებ ვრიშაშვილის, იროდონ ედემოვილის, სანდრო შანშიაშვილის და სხვათა გამოსათხოვარი წერილები და ლექსები.

ვლადიმერ ლორთქიფანიძე გულწრფელად დაიტორა მაშინდელმა ქართველმა საზოგადოებამ, მათ შორის მუშათა კლასისა და სოფლის მოსახლეობის წარმომადგენლებმაც.

საქართველოს და რუსეთის იმპერიის სხვადასხვა კუთხიდან მოდიოდა სამძიმრის დეპუტები, რომლითაც ადრესატები ღრმა მწუხარებასა და სამძიმარს გამოთქვამდნენ ვლადიმერის გარდაცვალების გამო.

30 ივნისს ვლადიმერ ლორთქიფანიძის ცხედარი აბასთუმნიდან თბილისში გადმოასვენეს და ქაშვეთის ეკლესიის ტაძარში დაასვენეს. ივლისის დაკრძალეს კუკის სასაფლაოზე, შიო ჩიტაძის ვეფრდით. პროცესიას უამრავი ხალხი დაესწრო.

გაზეთ „დროებაში“ სათანადო პუბლიკაცია მიუძღვნა ვლადიმერის დაკრძალვას:

„გუმნა, 1 ივლისს, დაკრძალეს, უდროოდ გარდაცვლილს ვლ. ლორთქიფანიძის ვვამი. დილის 10 საათზე ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნა წირვა და პანაშვიდი. დაესწრნენ წარმომადგენელნი ქართულ-

რუსულ-სომხურ გაზეთებისა, წერა-კითხვის საზოგადოების, დრ.მატული და საისტორიო საზოგადოებათა, თანამგრომობნი, პატივცემულინი, მეგობარნი, ნათესავნი და სხვანი. იყვნენ აგრეთვე მოსულნი ქუთაისიდან, ბათუმიდან და ზოგიერთ სხვა ადგილებიდანაც.“

12 საათი იყო, როდესაც პანაშვიდი ვათაედა და ცხედარი გოლოვინის პროსპექტიობარი ატინისკისა და ავჭალის ქუჩით წაასვენეს კუკის მართლმადიდებელთა სასაფლაოზე.

სასაფლაოზე სიტყვები წარმოთქვეს ქუთათურ ამხანაგებისაგან — სილოვან ზუნდაძემ, ალექსანდრე მდივანმა და სიმონ ლორთქიფანიძემ.

ვლადიმერ ლორთქიფანიძე არა მარტო პოლიტიკურ საქმიანობას ეწეოდა, არამედ სხვადასხვა სამეცნიერო-პუბლიცისტური და საზოგადოებრივი საქმეებშიაც იყო დაკავებული. ის 1897 წლიდან იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, ხოლო 1899-1902 წლებში იყო ამ საზოგადოების გამგეობის წევრი და ერის სასიქადელო მამულიშვილები ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგვაბშილის, ნიკო ნიკოლაძის, გიორგი ყაზბეგისა და სხვათა გვერდით ის აქტიურად იღვწოდა საქართველოში ეროვნული ისკოლებისა, თუ სხვა კულტურული დაწესებულებების დაარსების საქმიანობისათვის.

ვლ. ლორთქიფანიძე ეწეოდა აგრეთვე სამეცნიერო და სამწერლო მოღვაწეობასაც. მან ფრანგულიდან თარგმნა და გამოსცა „საბერძენეთის ძველი ისტორია“, „რომის ისტორია“. თვითონვე დაწერა და გამოსცა ორი მეცნიერული შრომა „პარსელი“ და „საფრანგეთის დიდრეგოლუცია“, ის წლების მანძილზე აგრეთვე მასწავლებს და გამოსცემდა ამზადებდა ფუნდამენტურ, ორგანიზაციურ შრომას ალმის-ავლეთის საკითხი საქართველოს ინტერესების თვალსაზრისით“. სამწუხაროდ, აღნიშნული შრომის დამთავრება და მისი გამოქვეყნება ვერ მოხერხდა. ყოველივე ამის გამო ის წლების მანძილზე არჩეული იყო საქართველოს „საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ წევრი. ის წლების მანძილზე მუშაობდა აგრეთვე საბავშვო ჟურნალ „ნაკადულში“. აღნიშნულ ჟურნალში აქვეყნებდა საბავშვო მოთხრობებსა და თარგმანებს.

ვლ. ლორთქიფანიძის მიერ თარგმნილი პიესები იდგებოდა ქართულ სცენაზე. ყოველივე ამის შესახებ გაზეთი „ივერია“ 1904 წელს წერდა:

28 ნოემბრის აფიშიდან ჩანდა, პიესა „ფულის ძალა“ ვლადიმერ ლორთქიფანიძის თარგმანით ითამაშეს, იმიტომ რომ ქ-ნ ნ. ჩხეიძე არ იყო თანახმა, რომ ის როლი, რომელიც მას ამ პიესაში ორი თუ სამი კვირის წინათ ტელიისი ეთამაშნა ცერემი ლუშას როლი) პ-ნ ლორთქიფანიძის თარგმანით, ხელმეორეთ ესწავლა.

ბ. მესხიშვილმა უმჯობესად სცნო, რომ პ-ნ ლორთქიფანიძის თარგმანით ეთამაშნათ, მით

უფრო ეს პიესა ბატონ ლორთქიფანიძეს პირდაპირ ფრანგულიდან აქვს ნათარგმნი

ქართულ ეროვნულ ტრადიციებს ელადიმერ ლორთქიფანიძის ოჯახი და მისი მემკვიდრეები ავრძელებენ...

სრულიადხალგაზრდა, 37 წლისა ვარდაცვალა ელ ლორთქიფანიძე დროის ამ მცირე მონაკეთში მან ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება მოახსრო თავისი ქვეყნისა და ერის საქეთილდღეოდ. მას სიცოცხლე რომ დასცლოდა, ვინ იცის, რამდენ კეთილშობილურ თაოსნობას ჩაუყრიდა საფუძველს, მაგრამ რისი ვაკეთებაც მოახსრო, ესეც დასაფასებელი და დაუფინყარია.

ელადიმერ ლორთქიფანიძე სიცოცხლეშივე იმსახურებდა ხალხის ნდობასა და პატივის-

ცემას. იგი ვარდაცვალების შემდეგაც ღირსი იყო აღიარებისა და დაფასებისა, მაგრამ სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო დღემდე ვერ მოხერხდა მისი, როგორც პოლიტიკოსისა და საზოგადო მოღვაწის მკითხველთა ფართო წრისათვის გაცნობა.

იმისათვის, რომ დღეს ქართველ საზოგადოებას ნათელი წარმოდგენა შეიძინოს ელ ლორთქიფანიძის ღვაწლზე ერის წინაშე, უახლოეს პერიოდში გამოვა მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი შრომა. ვიმედოვნებ, რომ ამით ჩვენს უანგარო ვალს შოვიხდით ჩვენი დიდი წინაპრის სულის წინაშე. ის, როგორც ღირსეული ქართველი საზოგადო მოღვაწე და ერთგული მამულიშვილი სათანადო ადგილს დაიკავებს ქართველ საზოგადო მოღვაწეთა რიგში.

### გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (სცისია) - ფ. 95, აღნ. 1, საქმე 37; 38; 39.
2. გაზ. „ფროება“, VII, 1909 წ.
3. გაზ. „ცნობის ფურცელი“, VII, 1897 წ.
4. ივ. ზურაბაშვილი, კარგ ქართველთა ხსოვნისათვის, პარიზი, 1962 წ.
5. გ. ლასხიშვილი, მემუარები, თბ., 1934 წ.
6. ს. ფიცხალავა, მოგონებათა ფურცლები, თბ., 1988 წ.
7. დ. შველიძე, პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში, თბ., 1993 წ.
8. ელ. ნონელია, არჩილ ჯორჯაძე, თბ., 1992 წ.
9. ო. ჯანელიძე, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სათავეებთან, თბ., 1997 წ.





თამაზ ჭილაძე

## საქართველოს სახელმწიფო ენა

[სტატიას საფუძვლად დაედო 1998 წ. 8 აპრილს მწერალთა კავშირში ენათმეცნიერებთან შეხვედრისას და 2001 წ. 12 აპრილს პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო ენის კომისიის სხდომაზე წარმოქმნილი სიტყვები]

თავისუფლებისათვის ბრძოლა ჩვენთვის ყოველთვის ენის გადარჩენის იდეით იყო შთაგონებული. დღესაც ქართული ენის შესახებ საუბარი შორდება ფილოლოგიურ ჩარჩოებს და უკიდურესი სიმძაფრით ერთთვის ყველა იმ პრობლემას, რომელიც ჩვენს წინაშე ცხოვრებისეულმა სინამდვილემ წამოჭრა. ენის პრობლემის გარშემო თითქოს თავი მოიყარა საზოგადოებრივად მნიშვნელოვანმა ყველა საკითხმა. შეიძლება ითქვას, ჩვენთვის ენა იქცა მთავარ პოლიტიკურ იდეად, რამდენადაც ენა არის ხალხის სული, რომელიც ამტკიცებს ჩვენს სავალალოდ, დაჭრილია ათასი გარეშე თუ შინაური მტრის მახვილით. აზროვნების ინერცია, რომელიც, თუნდაც, კომუნისტური წარსულის პათოლოგიური ნოსტალგიით გამოიხატება, განსაკუთრებით საშიშია დღეს, როცა ასე საბედისწეროდ წამოეშორდით, თუ შეგნებულად ჩამოგვამორებს კულტურის ნამდვილ ინსტიტუტებს და ჩვენთვისვე მოულოდნელად აღმოაჩნდება ქუჩის კონტრაკულტურის ტყვეობაში, რომელიც, სხვას რომ ყველაფერს თავი დაეანებოთ, დედაენის ნიაღში ახალ „ენას“ ამკვიდრებს, რომელსაც ტრადიციული გაგებით ქართულს ვეღარ უწოდებ. „ერთმანეთთან დიალოგში შედევართ“, თანაგუნდელს „ჩანადებებს ვუკეთებთ“, „გაყოფვამი გვაქვს კარაქი“ და ა. შ. და ა. შ. ასეთი ქართულით ლაპარაკობს პოლიტიკოსი, ჟურნალისტი, მღვდელი, მასწავლებელი, იურისტი, ექიმი, ასე ჰგვკონტაქტება, ან კიდევ უარესი – „კონტაქტში შემოდის“ ყველა, ვისგანაც ენას უნდა სწავლობდეს ხალხი. შეიძლება ზედმეტად ვამწვავებდე, მაგრამ ასეთი მეტყველების შედეგია, ველარაფისთან რომ ვეღარ გამოგვიჩინებთ საერთო ენა, ვეღარც ბურთს ვეთამაშობთ და აღარც კარაქი გავაწინა.

ჩვენი დღევანდელი, თუნდაც, ოფიციალური, მეტყველების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოში ლინგვისტიკური პროვინციალიზმის დიქტატურაა დაშვარებული. ენა კულტურის დიადი ფენომენია. ვინც აზროვნებს, ის მეტყველებს; ამასთანავე, მეტყველებს ისე, როგორც აზროვნებს. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში, მხოლოდ სალაპარაკო ენა არ იფუნქციონებს, არამედ შემოქმედებითი პროცესი საერთოდ დედაენა ადამიანის შემოქმედებითი უნარის საფუძველი და მასაზრდოვებელია. დედა ენა თავად პოეტური ქმნილებაა,

ხალხის მრავალსაუკუნოვანი ერთობლივი თანაცხოვრების ნიალიდან ამოსროლილი მეტაფორებით სათუთად მოქსოვილი და ყველასთვის ერთნაირად გასაგები პოეტური ფენომენი, რომელიც, ამასთანავე, სასიკეთო ბიძგიცაა ნებისმიერი პრაქტიკული საქმიანობისა.

ენა ვითარდება, იხვეწება და კულტურულ ფორმას იღებს ერის ინტელიგენციის საშუაროში. არადა, აზროვნების ინერციის გავლენით, ჩვენში დღესაც გრძელდება ინტელიგენციისადმი თუ რეპრესიული არა, ყოველშემთხვევაში, აგვებოლად, დამამცირებელი დამოკიდებულება. ლოგიკურია, რომ ინტელიგენციის შრომის უფულებებელოდას დაემთხვა განათლების დონის კატასტროფული დაცემა – სწავლის ძირი გატკივლიდა, რაც იმის მაწმეებელია, რომ კენეროში უსათუოდ გამწარდება, ცხოვრების ასპარეზზე გამოვა უციცთა თაობები, რომლებსაც სასწავლებლებიდან გამოჰყვებათ მხოლოდ... განათლებისა და ინტელიგენტობის სიძულვილი. მითმეეტეს, რომ დღევანდელი ახალგაზრდობა სავალალო მაგალითებს თითქმის ყოველ ნაბიჯზე აწყდება – ამეამად სრულიად მიჩქმალულია ინტელიგენცია, როგორც საზოგადოების ქმედითი, შემოქმედებითი ბირთვი. პოლიტიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, დღეს ინტელიგენცია განეკუთვნება მოსახლეობის ყველაზე უპოვარ ფენას, შეეცტილია სილატაკის გეტში და ამით, ფაქტურად, დათრგუნულია მისი ნებისმიერი საზოგადოებრივი ინიციატივა თუ შემოქმედებითი ძალისხმევა. რაც მთავარია ვიტყვი, რაც ყველაზე საგანგაშოა – ინტელიგენციისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ სერანობა და დაკნინა ჩვენი ეროვნული ღირსების გრძნობა. ალბათ ყველამ ერთად უნდა ვიფიქროთ ჩვენს ცხოვრებაში ინტელიგენციისადმი ქართველი ხალხის ტრადიციული პატივისცემის აღდგენასა და დამკვიდრებაზე. სხვანაირად ნებისმიერი გაბრძოლება უკეთესი ცხოვრების სახელით ამაო გარჯა იქნება და, რასაკვირველია, ვერც ასე რიგ გაუფასურებული „ღირსების ორდენი“ უშველის საქმეს.

ცხოვრების მანძილზე ბევრ დიდებულ პიროვნებას შეხვედრივარ, მრავალი სასიკეთო რამ მისწავლია და მიმიღია მათგან. მქონდა ბედნიერება, ვყოფილიყავი აკაკი შანიძისა და ვარლამ თოფურიას სტუდენტი. ისინი არა



მხოლოდ გრამატიკის კანონებს გვასწავლიდნენ, არამედ თითოეული ჩვენგანის სუ-  
ლში აგებდნენ ეროვნული ღირსებისა და სიამაყის ბასტიონს. ყოველთვის განსაკუთრებული პატივისცემით მოვიხსენიებ ყველა ქართველ ენათმეცნიერს, ვინც ერთგულად, თავდაუზოგავად, ხელოვნურად გლატაკებული და ამდენად დამცირებული კი ემსახურა და ემსახურება ქართულ ენას და ამით უდიდეს, ფასდაუდებელ სამსახურს უწევდა და უწევს ჩვენს ხალხსა და ქვეყანას. იმედი მაქვს, დადგება დრო, როცა ენათმეცნიერება დაიბრუნებს თავის ადგილსა და ფუნქციას, ოღონდ, ჯერ ჯერობით, გრამატიკული კანონების მორგება იმ მღვრე მორევზე, რასაც ამჟამად ვეძებ, ანუ გარდამავალი ხანის ენა წარმოადგენს, სქოლასტიკოსთა ტურნირს დაემსგავსება და აკი ემსგავსება კიდევ, თუნდაც, მაშინ, როცა ტელეკრანზე რომელიმე სიტყვისა თუ გამოთქმის მართლწერის სისწორესა თუ უზუსტობას არკვევენ არაა, დღევანდელ დღეს არასწორია, უფრო ზუსტად „შეცდომა“ ის, ხალხივით რომ არ ვცხოვრობთ და სწორი იქნება, თუკი ხალხივით ვიცხოვრობთ.

სოკობივით მომზადებული სასწავლებლების უმეტესობა ქართული და რუსულ სექტორებზე აცხადებენ მიღებას და კიდევ უარესი – გამაყობთ ისეთი უნივერსიტეტით, სადაც თურმე მხოლოდ ინგლისურ ენაზე იქნება სწავლა! სახელმწიფოში სწავლის პროცესი მხოლოდ სახელმწიფო ენაზე უნდა მიმდინარეობდეს, თუკი, რასაკვირველია, ნამდვილად დამოუკიდებელი ვართ და თავს არ ვიტყუებთ, საიდან არ ჩადის ხალხი კემბრიჯში თუ სორბონაში სასწავლებლად, მაგრამ ჯერ სტუდენტობის არც ერთ მსურველს არ მოუთხოვია, ჩემს ენაზე მასწავლოთ. აბა, უთხარი რუსს, მსკოვში, ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტში ლექციები ქართულად ნამოკთბით, გაიკვირვებს, გაიცინებს კიდევ და მართალი იქნება.

ჩვენში აკრედიტებული ელჩები თუ „გაეროს“ წარმომადგენლები ტელევიზორის ეკრანიდან დამტყრელი რუსულით ედილობენ ჩვენთან საუბარს, ნვალობენ დარწმუნებული ვარ, ზოგიერთს ჰგონია, პატივს გცემენ, უმეტესობა არც კი იცის, სად, როგორი ისტორიისა და კულტურის ქვეყანაში უდებდა მოღვაწეობა.

საქართველოში, ნებისმიერ კლინიკაში, ნებისმიერ ოფთალმოლოგის კაბინეტში, ტაბულა, რომლის მიხედვითაც პაციენტის მხედველობას დონეს ადგენენ, რუსული ასონიმზებითაა წარმოდგენილი. ხომ შეიძლება ზოგიერთმა ჩვენგანმა რუსული კითხვა არ იცოდეს, ამის გამო უნდა დაბრმავდეს?! ჩვენში მაცხოვრებელ სხვა ეროვნების მოქალაქეს შეუძლია მთელი ცხოვრება ისე გაატაროს, სახელმწიფო ენა ერთხელაც კი არ დაჰქირდეს: საკუთარი სკოლა აქვს, საკუთარი თეატრი, საკუთარი ნივნი, საკუთარი გაზეთი, საკუთარი

რადიო და ტელევიზია, ხოლო ზოგიერთ რაიონში საკუთარი ფულიც კი შექმნილია თოფი აილნი და მანევრებზე მიმავალი ჩვენი ჯარის ნაწილი თავის სოფელზე არ გაატაროს. ამისთვის არავინ პასუხს არ მოხთხოვს, იმასაც კი არ პკითხავს, თოფი საიდანა გაქვსო. რასაც დღეს ჩვენივე, ექსტრემისტულად განწყობილი მოქალაქეები გვიბედავენ, ვერც ერთ სახელმწიფოში ვერც კი წარმოიდგენენ. ექსტრემიზმისა და სეპარატიზმის ყველა გამოვლენა მაშინვე ადგილზევე, სათავეში უნდა ჩაიხშოს, როგორც მსგავს შემთხვევაში, ამერიკისა თუ ევროპის ჩვენზე შეუდარებლად დემოკრატიულ სახელმწიფოებში ხდება. თუკი ქვეყანაში მშვიდობას ღირსებისა და ქარვეის ფასად შეინარჩუნებენ, ეს რაღა მშვიდობაა?

ჩვენი კონსტიტუციის მიხედვით, სახელმწიფო ენად სამართლიანად ქართულია გამოცხადებული, ანუ ქართული ენა საეკლდებული არა მარტო ქართველებისთვის, არამედ ჩვენს სახელმწიფოში მცხოვრები ყველა ეროვნების წარმომადგენლებისთვის. თუკი ჩვენისთანა, ფედერაციული ნყოზისკენ ხელოვნურად მიდრეკილ სახელმწიფოს, ერთი ენა, ერთი კულტურა არ იქნება, უსათუოდ ბაბილონის გოდლოს დაემსგავსება. ასათუოდ იმის საშიშროვაც და, რასაკვირველია, ესეც მოქმედებს სახელმწიფო ენის განმტკიცებაზე, რომ ჩვენში ფედერალიზმი შეიძლება ფეოდალიზმში გადაიზარდოს, რომლის ნიშნებიც აქა-იქ უკვე შეინიშნება.

სახელმწიფო ენის უზენაესობის და დაცვის გარანტი პრეზიდენტია. პრეზიდენტის ერთადერთი ოფიციალური ენა სახელმწიფო ენა და თუ ასე არ იქნება, მაშინ ფინალი ბაბილონის გოდლოს იგავისა უსათუოდ შეგვახსენებს თავს.

ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიაში“ სახელმწიფო ენა, სახელმწიფო კულტურა წარმოდგენილია, როგორც პოლიტიკური ქმედითი ძალა. დავითმა მის მიერ საქართველოში ჩამოსახლებულ 250 000 სულ ყივჩაღს“ ყივჩაყური სკოლები კი არ გაუხსნა, არამედ ეს ნახევრად ველური ტომი ცივილიზებულ ადამიანებად, საქართველოს მოქალაქეებად მოაქცია „ქართლის შეთვისების“ და „ისტორიის მიღების“ შედეგად.

ამ ისტორიული ფაქტის გახსენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენთვის დღეს, როცა ევროსაბჭოში ჩვენი დარჩენის ერთ-ერთ პირობა სულ მალე, პირდაპირ რომ ვთქვა, კატასტროფის ნიშნად დაგვაყენებს – საქართველოში ისევ გამორდება ე.წ. „დიდი თურქობა“, ანუ საქართველოში შემოვა გაცილებით მეტი თურქი, ვიდრე დიდგონის ბრძოლაში იღებდა მონაწილეობას და ეს მაშინ, როცა სეპარატიზმისა თურქული საოკუპაციო ჯარისგან დაფლეთილი და სასომხიდილი ქვეყანა ქართული მიწებიდან – აფხაზეთიდან და სამჩაბლოდან აყრილ 300 000 ლტოლვილ ქართველს ვერც



თავშესაფრით, ვერც ლუკმა პურით ვერ უზრუნველყოფს. უცნაურია, ჩვენი ევროპელი მრჩეველები, რომლებსაც დემოკრატიისა და ადამიანის პიროვნული თავისუფლების დაცვა მხოლოდ სხვა ქვეყნებში ჰგონიათ აუცილებელი, როგორ არ ითვალისწინებენ იმ საშინელებას, რაც ამ მოვლენას შეიძლება მოჰყვეს საქართველოსთანა გალატაკებულ, ეთნოპრობლემებით დაძუბულ ქვეყანაში. ევროსაბჭო, თუკი, მართლაც, ობიექტური იქნებოდა, ამ პრობლემის გადაწყვეტა რუსეთისთვის – საბჭოთა კავშირის ოფიციალური მემკვიდრისთვის, კომუნისტური იმპერიის პიანის აღმდგენისთვის – უნდა დაეკისრებინა და არა საქართველოსთვის, რომელიც, ამ შემთხვევაში, აშკარად „უდანაშაულო დამნაშავეს“ როლში გამოდის, რამდენადაც კომუნისტური რეჟიმის ცოდავს, რატომღაც, მას, თანაც გაცილებით უფრო მკაცრად ახდევინებენ ქართველებს თავიანთი მინიდან არასოდეს არავინ გაუსახლებიათ. ვერ ვიტყვი, ეს კარგი იყო თუ ცუდი, ყოველ შემთხვევაში, სიკეთე ყველამ ბიროტებით გადავიხადა. ვინ ეკითხებოდა უფლებრივად მინასთან გასწორებულ კოლონიას ვინმეს გასახლება-ჩამოსახლების ამბავს? დარწმუნებული ვარ, ევროსაბჭოს ნევრი არც ერთი სხვა ქვეყანა მსგავს გადამწყვეტილებას, თუკი მის სახელმწიფო თუ ეროვნულ ინტერესებს შეეხებოდა, არ დათანხმდებოდა. ასეა თუ ისე, ევროპელი პოლიტიკოსების გულდასანეჭტმა სიბედემ საზღვრისწინა ფაქტის წინაშე დაგვაყენა.

„ქართული ერის ისტორიაში“ არის ერთი მგტად საყურადღებო პასაჟი, ქართული მწერლობისადმი, საერთოდ ქართული კულტურისადმი ამჟამინდელი საკვირველი, ამოუხსნელი და ყოველად გაუმართლებელი ნაპოინზმის ფონზე. მართლაც, გაფრთხილებასავით რომ გაისმის: „ეს ბრწყინვალე მდგომარეობა და პოლიტიკური ძლიერება, რომელსაც საქართველომ XIII საუკ. მიიღწია ნამდვილ სასწაულთმოქმედებად გვეჩვენებოდა, ჩვენ რომ არ გვცოდნოდა რაოდენი საკულტურო ეროვნული მუშაობა წინაშედგოდა საქართველოში ამ ძლიერების ხანას. ჩვენ ვხედავდით, რომ ქართველმა მოღვაწეებმა და მწერლებმა IX-XI საუკ. თავისი დაუღალავი და ნაყოფიერი მუშაობით იმდენი შესძლეს, რომ თავიანთი ერი და ქვეყანა იმდროინდელი ერებისა და ქვეყნების დანიანურებოდა ყოფა-ცხოვრებისა და გონებრივი საუნჯის თანამოზიარედ ვაზადეს, ქართული მწერლობა, მეცნიერება და ხელოვნება განავითარეს და ძლიერი ეროვნული თვითშემგენ-

ება შექმნეს“. ძლიერი ეროვნული თვითშემგენება“ – აი, ის საყრდენი, აი, ის ძალა, სახელმწიფო ენას სასწაულგებრივი, ცხოველყოფილური შემოქმედების უნარს რომ ანიჭებს. დავით აღმაშენებელმა არა მარტო უძლიერესი ლაშქარი შექმნა, არამედ ღრმად გაიანზრდა მილიანად დაუნდო კიდევ ქართული კულტურის, ქართული ენის თავისთავად ძლიერებისთვის. ენას, როგორც ზღვას, თვითგანმწინდის უნარი აქვს და ზღვასავით თვითონვე ადგენს კიდევ საკუთარ საზღვრებს, მაგრამ, რასაკვირველია, მისი ეს თვისება თვითდამშვიდების უფლებას არ გვაძლევს. მწერლობა გარედან კი არ აკვირდება ენას, არამედ თავად არის მონაწილე ამ დიადი ქმედება-სასწაულისა. ცოცხალი ენა განუწყვეტლივ ვითარდება, აფართოვებს და, ხშირ შემთხვევაში, არღვევს კიდევ ფილოლოგიური იურისპრუდენციის პარაგრაფებს. ასე რომ, ვინც ქმნის და ანივთარებს ენას, ის იცავს კიდევ მას ყველაზე უკეთესად. ენა მწერლობის საშუალებით ყალიბდება, როგორც კულტურული და, ამდენად, რეალურად ქმედითი ფენომენი. სახელმწიფო ენის შესახებ მიღებულ ნებისმიერ კანონში განსაკუთრებით უნდა იყოს აღნიშნული ქართული მწერლობის როლი და მნიშვნელობა, რამდენადაც, სხვა სიტყვით, მოძრაობის კანონები შეიძლება მიიღო იქ, სადაც მოძრაობა არსებობს. ჩვენ მკვდარ ენას კი არ ვცხხადებთ სახელმწიფო ენად, არამედ ცოცხალს, ეროვნული მწერლობის ბრძმედში რომ იწრთობა და სრულყოფილ სახეს იღებს. მშობლიურ მწერლობაზე ზრუნვა ნიშნავს სახელმწიფო ენაზე ზრუნვასაც. დღევანდელი მწერლობის ნებისმიერი შეზღუდვა, თუნდაც, ეკონომიკური თვალსაზრისით, გვიანდა თუ არა, დიადი წინაპრებისა და შთამომავლობის გაძარცვაა. სწორედ მწერლობა შლის სახელმწიფო ენის ნიშნავს სახელმწიფო ენაზე ზრუნვასაც. დღევანდელი მწერლობის ნიაღში ისახება ზეაღინდელი შემოქმედებითი აზრის სიცხოველერილქე ამბობდა: „მწერალი თავის არსებობაში მომავალს ატარებს“-ო. „შთამომავლობის საქმეს ვაკეთებ“-ო, –წერდა სენეკა ლიცელიუსს...

უიმედობისა და სასონარკვეთის უითარებაში, ქართული ენა, მწერლობის მეშვეობით, იმდენი ზარითთ ერთანეთისკენ მოგვიხმობს და გვიჩვენს რა საერთო იმედებს, გვანათესავებს კიდევ ერთმანეთთან.

ქართული ენა თავის მომავალში დარწმუნებული ხალხის სულის ხმაია.



## პრესბუღალის მუშაობისათვის და ახალი მუშაობისათვის ზოგადი საკითხი

პრესბუღალის (384-322 ნ.) — ძველი პრესბუღალის მუშაობის მნიშვნელოვანი დაიბრუნება ნახევარკუნძულ ხალხობრივ კ. სტავროპოლის. სტავროპოლის პლატონის მონაფე იყო, ოციწლიანი დაპყრობის სახელგანთქმულ აკადემიაში, პრესბუღალის მონაფე მან ამ პრესბუღალის. არისტოტელეს დიდად აფასებდა პლატონს, როგორც მასწავლებელს, მოსწავლეს და მგობარს, მაგრამ შემდგომში — მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, მისთვის უპირატესად დიდი მგობარი იყო. სტავროპოლისში შედგომი პლატონის ... მოძღვრების მცხინვერული პრინციპები ობიექტური იდეალიზმის ენციკლოპედიურ სისტემად განვიხილავთ. იგი შეეცადა, დაეხმებოდა იმას, რომ ლოგოსის მითოსის გარეშე შეეძლო თავისი პრობლემების გადაჭრა (1. 90).

პროფესორი სერგი დანელია არისტოტელეს „პოეტიკის“ მისიული ქართული თარგმანის (1944 წ.) წინასიტყვაობაში აღნიშნავს:

„არისტოტელეს „პოეტიკის“ დედაპირს პლატონის ესთეტიკურ თეორიასთან პოლემიკა შეადგენს. მთელი „პოეტიკა“ პლატონის ესთეტიკის წინააღმდეგ არის მიმართული“. არისტოტელეს უარყოფის პლატონის შეხედულებებს პოეზიაზე და, კერძოდ, ტრაგედიაზე, მაგრამ დადებითს იყენებს და შემდგომ ავითარებს. ამიტომ ხელოვნების ფილოსოფოსები, ერთი მხრივ (ბელეტრი, ფორმატივი და ფინალური), მიიჩნევენ არისტოტელეს პლატონის შეხედულებებზე უპირატესად, — „შეხედულებების მონაფედ“. ხოლო მეორე მხრივ (ლუნაჩარსკი, ნოვოსადსკი და ასმუსი) არისტოტელეს სიამაღეს იმას ხედავენ, რომ მან შეითვისა რა თავისი მასწავლებლის მიერ მიღწეული შედეგები, კი არ გაჩერდა უკრიტიკოდ ამ შედეგებზე, არამედ ახალი თვალსაზრისით გადაამუშავა ისინი და ვდააკეთა“ (იხ. 2. XLV).

არისტოტელეს მკაცრად გააკრიტიკა პლატონის მოძღვრება იდეებზე — იდეათა მეტაფიზიკა, რომელიც წარმოადგენს პლატონის ესთეტიკურ შეხედულებათა საფუძველს. პლატონის კონცეფციის მიხედვით, ხელოვნება ფილოსოფიაზე დაბლა დგას, მას შემეცნებითი მნიშვნელობა არა აქვს, იგი ცნებებს აბნელებს და ხშირ შემთხვევაში რყენის ზნეობას. არისტოტელეს აზრით, ხელოვნება თავისი ბუნებით ენათესავება

ფილოსოფიას, მას შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს და იგი ხელს უწყობს საზოგადოების ზნეობრივ განვითარებას და მომავალი თაობის აღზრდას.

არისტოტელეს ხელოვნების თეორიის საკითხებს და კერძოდ, ესთეტიკის ცენტრალურ პრობლემას — მშენიერებას — განიხილავს „პოეტიკაში“, „მეტაფიზიკაში“, „პოლიტიკაში“, „რიტორიკაში“, „დიდ ეთიკაში“, „ეთიკაში“ და სხვ.

ესთეტიკის თეორიისა და ისტორიის ცნობილი ქართველი მკვლევარი პროფესორი თამარ კუკავა „ესთეტიკაში“ აღნიშნავს: არისტოტელეს ხელოვნების თეორიის პრობლემები პლატონის შეხედულებების კამათში ყალიბდებოდა ... მაგრამ მან ვერ შეძლო პლატონის ვაენისაგან საბოლოოდ თავის დაღწევა და ამიტომ მისი მოძღვრება ამავე დროს პლატონის შეხედულებების შემდგომ განვითარებას წარმოადგენს. მართალია, არისტოტელეს შეხედულებათა ნაწილი მოქვეყნდა, მაგრამ დიდად ნაწილი მნიშვნელოვან დღემდე შეინარჩუნა. ამიტომ შეიძლება როგორც მისი მრავალი შეხედულების გაზიარება, ისე კამათი მისთან, როგორც თანამედროვესთან“ (3. 208. ხაზგასმა ჩემია — კ. პ.).

არისტოტელეს ფილოსოფიაში — ონტოლოგიასა და გნოსეოლოგიაში პლატონის ფილოსოფიური მოძღვრების მკაცრი კრიტიკის მიუხედავად, პლატონის დუალიზმის გაგენას თავს ვერ აღწევს. ასეთივე ვითარებაა ესთეტიკაშიც, ხელოვნების თეორიაშიც, არისტოტელეს მეტაფიზიკა განსაზღვრავს და საფუძვლად უდევს მის ესთეტიკურ კონცეფციას.

სტავროპოლისში, ერთი მხრივ, იზიარებდა პლატონის მშენიერების ეთიკურ კონცეფციას; მშენიერებაა სიკეთე, ქველმოქმედება, სამართლიანობა, პატიოსნება, გონიერება, სიმამაცე, დამსახურება სახელი და ძალაუფლება, თუ ყოველივეს სხვა ადამიანებისათვის არ არის საზიანო. ზნეობრივი ადამიანი მოქმედებს მშენიერებისათვის და რაც უფრო სრულყოფილია ის, მით უფრო მეტ შემოქმედებას ახდენს მასზე მგობრობა და მშენიერება.

არისტოტელეს „რიტორიკაში“ პირველი ნიგნის მეცხრე თავში გარკვეული აქვს სიკ-





ეთისა და მშვენიერების იგივეობის საკითხი. „მშვენიერია ის, რაც არის რათა იყოს...“  
 თუ ეს მშვენიერებაა, აუცილებელია, რომ სათნოება მშვენიერება იყოს, რადგან ის არის რა სიკეთე, საქებაც არის... ცხადია, რომ ის, რაც სათნოებას წარმოქმნის, მშვენიერად არის.

ასევე სათნოებისგან წარმოქმნილი არის მისი ნიშანი და შედეგი, რადგან სიკეთის ნიშანი, განცდა და შედეგი მშვენიერია, ამიტომ სიამაყის ნიშანი, მოქმედება და შედეგი მშვენიერი იქნება... სასურველ საგანთან მშვენიერია ის, რასაც ადამიანი თავისთვის არ აკეთებს. მაგალითად, ის უნდა იყოს სიკეთე, რასაც ადამიანი სწადის სამშობლოსათვის პირადი სურვილების უარყოფის გზით (6. 64-66. 1366 აბ).

არისტოტელე „პოლიტიკის“ მე-7 ნიშნის შესამე თავში მომავალი თაობის ესთეტიკური აღზრდის აუცილებლობას ასახელებს, მისი აზრით, ახალგაზრდები მშვენიერებისადმი სიყვარულით უნდა აღიზარდონ „... აღზრდაში ნინა პლანზე უნდა იყოს მშვენიერება და არა მხეცური ბუნების განვითარება. არც მგელი, არც სხვა რომელიმე ცხოველი არ იზრდოლებს მშვენიერებისათვის, არამედ მხოლოდ კარგი ადამიანი“ (7. ნაწილი მეორე, 103. 1338 ა).

ასეთივე აზრი აქვს გამოთქმული არისტოტელეს „ედი ეთიკაში“: ქველმოქმედების მიზანი - მშვენიერებაა (ტო კალონ), ქველმოქმედების მუდმივი საქმეა - მშვენიერი მიზნების დასახვა (იბ. 4. ნიშნი 1, § 19, 1190, ხაზგასმა ზემოთაც და აქაც ჩემია - კ. ბ.).

მეორე მხრივ, არისტოტელეს მშვენიერების ეთიკური კონცეფციის სანიშნა-აღმდეგო თვალსაზრისიც აქვს გამოთქმული, კერძოდ, „მეტაფიზიკის“ მე-13 ნიშნის, შესამე თავში: „სიკეთე და მშვენიერება სხვადასხვაა. პირველი ყოველთვის მოქმედებაშია, მშვენიერი კი უძრავ სხეულშიც არსებობს. ამიტომ ისინი, რომლებიც ამბობენ, რომ მათემატიკური მეცნიერებანი არაფერს არ გვასწავლიან მშვენიერების ან სიკეთის შესახებო, სცდებიან. პირიქით, მათემატიკოსები მსჯელობენ კიდევ მასზე და ასაბუთებენ კიდევ მას...“

მშვენიერების უმთავრესი ფორმების წესრიგი, სიმეტრია და განსაზღვრულობა, რისკენაც არის უმთავრესად მიმართული მათემატიკური მეცნიერებათა დასაბუთებაში. და თუ ისინი მოვლენების უმრავლესობის მიზეზად ჩანან (მე ვგულისხმებ წესრიგს და განსაზღვრულობას), ცხადია, რომ

მათემატიკური მეცნიერებანი როგორც ისეთი სახის მიზეზებზეც იმსჯელებენ, როგორცაა მშვენიერება (5. 259-260, 1078 აბ, ხაზგასმა ჩემია - კ. ბ.).

თამარ კუკავა არისტოტელეს მშვენიერების კონცეფციის შესახებ სამართლიანად აღნიშნავს: „არისტოტელე ვერ მივიდა მშვენიერების საბოლოო, ამომწურავ, უნივერსალურ განსაზღვრებამდე. რამ მშვენიერების რამდენიმე ასპექტი, ანუ სამდენიმე მხარე განიხილა, კერძოდ, ეთიკური, მათემატიკურ-გეომეტრიული და სხვ. მიუხედავად ამისა, არისტოტელეს შეხედულებათა ნაწილი დღესაც ინარჩუნებს მნიშვნელობას და არ შეიძლება მისი უგულვებლყოფა“. ქართველი მეცნიერი არისტოტელეს კონცეფციაში ყურადღებას ამახვილებს ეთიკურისა და მშვენიერების მიმართებაზე. მშვენიერების დამახვივას სიმეტრიულთან და პარმონიულთან, ზომიერების აუცილებლობის მოთხოვნას მშვენიერებაში და სხვ. არისტოტელეს მშვენიერების კონცეფციის აღნიშნული მომენტები დღესაც ინარჩუნებს მნიშვნელობას. იგი დღესაც აქტუალურია, მაგრამ არისტოტელეს კონცეფციაში არის მომენტები, რომლებსაც დასაბუთება აკლია და დაზუსტებას მოითხოვს. ამგვარი თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ შრომა უსიამოვნოა და იძულებითი. ჯერ ერთი, აქაც საჭიროა ზომიერების დაცვა, მეორე, არ შეიძლება ხელაღებით შრომის ყველა სახეობის უსიამოვნო და იძულებული ჩათვლა. არისტოტელეს ამ კონცეფციაში მონათმფლობელობის იდეოლოგიის თვალსაზრისი გამოსტყვივის, რომლისთვისაც ყოველგვარი შრომა იყო იძულება, არასასიამოვნო და მტრადველი“ (3. 210, 211, ხაზგასმა ჩემია - კ. ბ.).

არისტოტელე „პოეტიკის“ პირველ თავში აღნიშნავს: ეპოპეა და ტრაგედია, აგრეთვე კომედია, დითირამბული პოეზია... ყველა ესენი, საზოგადოდ, მიბაძევი (მიმესის) არიან. ერთმანეთისაგან განიზრევიან სამ რამეში:

- ა) ან იმით, რომ სხვადასხვა საშუალებებით მიბაძვენ;
- ბ) ან იმით, რომ სხვადასხვა საგანს ბაძავენ;
- გ) ან იმით, რომ სხვადასხვანაირად ბაძავენ და არა ერთ და იმევენაირად... ყველა ესენი ბაძავენ რიტმით, სიტყვით და პარმონიით - ან ცალკე აღუბოლებით ან ერთად შეკრებილებით (იბ. 2. 3. 1447ab), მეცნიერებასაც და ხელოვნებასაც ზოგადი ცნებაა აქვს საქმე, მეცნიერებაში ზოგადი ცნებაა, ხელოვნებაში მხატვრული სახე; მეცნიერებასა და ხელოვნებას კავშირი აქვს ფილოსოფიასთან, მაგრამ ეს უკა-



ნასწავლი იკვლევს სინამდვილეში უზოგადეს მიმართებებს. ყველაზე უფრო ძნელია უზოგადესის შეცნობა, რადგან ის ყველაზე უფრო მეტადაა დაპირებული შეგრძნებებიდან. ხოლო უზუსტესია ცოდნა უპირველეს გვართა შესახებ, რადგან ცოდნა, რომელიც ნაკლები ნიშნების შემცველ გვარს უხება, უფრო უზუსტია იმასთან შედარებით, რომელსაც დამატებითი ნიშნებიც აინტერესებს... (ნ. 982 ა, ხაზგასმა შემოთავ და აქაც ჩემია - კ. ბ.).

სტავირელი „პოეტიკის“ მე-9 თავში პოეზიისა და მუსიკის კერძოდ, ისტორიის მიმართების შესახებ აღნიშნავს: „... პოეტიკის საქმეა თქვას არა ის, თუ რა მოხდა, არამედ ის, თუ რა მოხდებოდა და რა არის ალბათობისა ან აუცილებლობის მიხედვით შესაძლებელი. ისტორიკოსი და პოეტი ურთიერთისაგან განირჩევიან არა იმით, ვინაირაკობენ ისინი ლექსით თუ პროზით, ღიაადაც პუროდოტეს ნაწარმოები შეიძლება ვალექსილიყო და ის მაინც ლექსად გამოთქმული ისტორიული ნაწარმოები იქნებოდა არა ნაკლებ, ვიდრე პროზით დაწერილია: ისტორიკოსი და პოეტი ურთიერთისაგან განსხვავდებიან იმით, რომ პირველი ლაპარაკობს იმის შესახებ, რაც მოხდა, მეორე კი ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ რა შეიძლება მომხდარიყო. ამის გამო პოეზია უფრო ფილოსოფიურია და უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ისტორია.“

პოეზიას უფრო მეტად მხედველობაში აქვს ზოგადი (კა კათოლე), ისტორიას კი უფრო მეტად მხედველობაში აქვს ცალკეული (კა თ ეკასტონ) (2. 451 B).

ს. დანელიას არისტოტელეს აღნიშნული თვალსაზრისის შესახებ ასეთი შენიშვნა აქვს: ისტორიის შესახებ არისტოტელეს ამ შეხედულებაში, ზოგი რიკერტის თვალსაზრისის ჩანასახს ხედავს, რომელიც მან განავითარა ნიგნო ცნების საბუნებისმეტყველო-მეტყველო ნარმოშობის სახლებში, „სადაც მტკიცდება, რომ ისტორიის საკვლევე საგანს წარმოადგენს არა ზოგადი, არამედ კერძო, სპეციფიკური თავისებური, ის, რითაც ერთი კი არ ემსგავსება მეორეს, არამედ განირჩევა მისგან, ე. ი. ისტორიული შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რაც განსხვავებულია, რაც არ ჰგავს სხვებს, რაც სხვებზე აღმატებულია, გამორჩეულია“ (2. 20. ხაზგასმა შემოთავ და აქაც ჩემია - კ. ბ.).

თანამედროვე ფილოსოფიამ უარყო აღნიშნული თვალსაზრისი იმ არგუმენტით, რომ, მართალია, ისტორიული ფაქტები და მოვლენები, დიდი ისტორიული პიროვნებები კონკრეტული სახით არსებობდნენ, ტროას ომი, ბასიანის ბრძო-

ლა, ალექსანდრე დიდი, დავით აღმაშენებელი არ მეორდება, მაგრამ მეორდება დიდი ომები, მსგავსი მოვლენები, დიდი პიროვნებები და, ამდენად, ისტორიაში ზოგადი არსებობს და შეიმეცნება. მაშასადამე, ისტორიის, როგორც მეცნიერების, არსებობა უფლებამოსილია.

ხელოვნება საერთოდ, და კერძოდ პოეზია, არისტოტელეს აზრით, უფრო ფილოსოფიურია, ვიდრე კონკრეტული მეცნიერება, მავალითად ისტორია. ხელოვნება გრძნობად სინამდვილეში გონების საშუალებით აღმოაჩენს ზოგადს. ამდენად, ხელოვნება სიბრძნის ერთ-ერთი დარგია. ხელოვნება ზოგადს მხოლოდ შეგრძნებებით ვერ აღმოაჩენდა, რადგან არისტოტელეს არც ერთი შეგრძნება არ მიიჩნია სიბრძნედ ... რადგან ისინი თუმცა ინდივიდუალური მოვლენების შემეცნების უმთავრეს საშუალებას წარმოადგენენ. მაგრამ არას გვეუბნებიან მათს მიუხედავად, მავალითად, კითხვაზე იმის შესახებ, თუ რატომა ცეცხლი ცხელი? არამედ გვეუბნებიან მხოლოდ იმას, რომ ცეცხლი ცხელია.

მართლაც, აღმოჩენმა პირველი ნებისმიერი ხელოვნებისა, რომელიც სცილდებოდა საერთო შეგრძნებების ფარგლებს, ადამიანების გაკვირვება გამოიწვია, არა მარტო იმიტომ, რომ მის რომელიმე აღმოჩენას სარგებლობა მოჰქონდა, არამედ როგორც ბრძენმა და სხვებისაგან განსხვავებულმა. აღმოჩენილ ხელოვნებათა ნაწილი აუცილებლად მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ემსახურება, ნაწილი კი დროსტარებას. დროსტარებისაოვის განკუთვნილი ხელოვნებანი, პირველთან შედარებით, უფრო დიდი სიბრძნედ მიგვაჩნია. რადგან ის ცოდნა, რომელსაც ისინი შეიცავენ, სარგებლობას არ ემსახურება“ (იხ. 5. 981 ს, ხაზგასმა ჩემია - კ. ბ.).

ს. დანელიას აზრით, არისტოტელე არ კმაყოფილდება იმის აღნიშვნით, რომ „... პოეზია ენათესავენა ფილოსოფიას, ხოლო მხატვრული სახე ან ტიპი, რომელსაც პოეზია ქმნის, ემსგავსება მეცნიერულ ცნებას, რომელიც ფილოსოფიის მიზანს შეადგენს. არისტოტელეს აზრით, ხელოვნება არ ეწინააღმდეგება ფილოსოფიას, მაგრამ ის მაინც არ არის ფილოსოფია, ვინაიდან მხატვრული სახე ან ტიპი იგივე არ არის, რაც მეცნიერული ცნება: ტიპი და ცნება განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც თავისი ლოგიკური არსებით, ისე თავისი გენეზისით, და ამ განსხვავებათა გარკვევით არისტოტელე არკვევს ხელოვნების განსხვავებას ფილოსოფიისაგან, ე. ი. არკვევს ხელოვნების სპეციფიკურ ნიშანს (იხ. 2. LXV. ხაზგასმა ჩემია. - კ. ბ.).

არისტოტელეს აზრით, ცნება შეადგენს ფილოსოფიური აზროვნების მიზანს, იგი წარმოდგენათა სინთეზია ან წარმოდგენათა წესი. როგორც ასეთი, — წერს ს. დანელია, — მეცნიერული ცნება არის წარმოდგენა წარმოდგენათა შესახებ ან ხარისხში აყვანილი (გაპოტენციურებული) წარმოდგენა, და იგი მხოლოდ იმდენად არის რეალურ სავანთა კანონი, რამდენადაც შეეფერებიან ამ საგნებს ის წარმოდგენები, რომლის წესიც არის მეცნიერების მიერ შემუშავებული ცნება (2. LXV).

არისტოტელეს აზრით, მხატვრულ სახეს ანუ ტიპს ხელოვნება ქმნის, იგი — არის წარმოდგენა საგნებზე უშუალოდ. ფილოსოფიური ცნება ეხება რეალურ საგნებს წარმოდგენების საშუალებით, ვინაიდან ცნების შესამუშავებელი შეთოვდი არის დიალექტიკა, რომელიც თავის ამოსავალ წერტილად ხმარობს სავანთა შესახებ უკვე მძებნილ წარმოდგენებს. პოეტური ტიპი კი ეხება რეალურ საგნებს უშუალოდ და არა წარმოდგენების საშუალებით. ამიტომ ტიპი არის რეალური საგნების მხატვრული სახე. იგი არის ამ რეალური საგნების უშუალო მიბაძვა და არა მიბაძვითა მიბაძვა. არა სახეთა სახე, როგორც ამას პლატონი ასწავლიდა“ (იქვე, ზემოთაც და აქაც ხაზგასმა ჩემია — კ. ბ.).

ფილოსოფოსი ცნებებს ქმნის წარმოდგენათა ანალიზის შედეგად, დიალექტიკის გამოყენებით, მსჯელობის — დისკურსიული აზროვნების საშუალებით. ხელოვანი ან პოეტი ტიპს ან მხატვრულ სახეს ამ გზით კი არ ქმნის, არამედ ინტუიციის საშუალებით. ხელოვანი ან პოეტი მხატვრულ სახეს უშუალოდ ხედავს, ქვრიტს და განიცდის „პოეტი ცხადად ხედავს...“ პოეტური შემოქმედება ან ბუნებისგან კარგად დაჯილდოებული კაცის საქმეა ან ვადარეულის“ (2. § 17, 1455 a).

ს. დანელიას, არისტოტელეს თვალსაზრისის განხილვიდან, შემდეგი დასკვნა გამოჰყავს: „ტიპი განიჭვრიტება, ცნება კი არა. ტიპს ხელოვანი უშუალოდ ხედავს, ცნებას კი ფილოსოფოსი არ ხედავს, არამედ მხოლოდ გამოიყვანს მსჯელობის საშუალებით. ტიპი არის ინტუიციის ობიექტი, ცნება კი არის განსჯის ობიექტი. ტიპი არის მთლიანი წარმოდგენა, ცნება კი არის ნიშანთა კომპლექსი“ (2. LXVIII, ხაზგასმა — ს. დ.).

არისტოტელე „პოეტიკის“ მეცხრე პარაგრაფში აღნიშნავს: „ზოგადი, რომელიც პოეზიას თავისი გმირებისათვის სახელების მიცემის დროსაც კი უკვე მიზნად აქვს, ის არის, რომ წარმოადგინო, თუ რომელ კაცს როგორი სიტყვა ან ქცევა შეეფერება ალბათობისა ან აუცილებლობის კანონის მიხედვით. ცალკეული კი, რომელიც ისტორიის საგანს შეადგენს, ისაა, თუ რა ქნა ან რა განიცადა (მავალითად) ალკიბიადემ“ (2. 1451b, ხაზგასმა ჩემია — კ. ბ.).

არისტოტელეს აზრით, კომედიის ფაბულა ალბათობის მიხედვითაა შედგენილი. კომედიაში შემთხვევითი სახელებია, აქტორები, არ აძლევენ გმირებს სახელებს ნამდვილ პიროვნებათა მიხედვით. ტრაგედიაში კი ეტანებიან ნამდვილ პირთა სახელებს. ამის მიზეზია ის, რომ შესაძლებელი აგრეთვე დამაჯერებელიც არის ჩვენ არ გვეყრა, რომ ის, რაც არ მომხდარა, შესაძლებელი იყოს, ხოლო ის, რაც მომხდარა, ცხადია, შესაძლებელია, ვინაიდან შეუძლებელი რომ ყოფილიყო, არც მომხდარიყო, არც მოხდებოდა“ (იქვე).

გამოგონილი სახელები ტრაგედიაშიც გვხვდება, ვინაიდან ცნობილიც კი მხოლოდ მცირე რიცხვისათვის არის ცნობილი, ხოლო ნოსანონი არის იგი ყველასათვის. აქედან ცხადია, რომ საჭიროა პოეტი იყოს უფრო მეტად ამბავის შემთხვევი, ვიდრე ლექსები, რამდენადაც იგი ასახვის გამო არის პოეტი, ხოლო ასახვას იგი მოქმედებებს, და რომ მას შეხვედროდა აესახა ის, რაც ხდებაოგი მაინც არანაკლები უფლებით პოეტი იქნებოდა: არაფერი არ უშლის ხელს, რათა ზოგი რამ იმისაგან, რაც ხდება, ისეთი იყოს, როგორიც დასაჯერებელია და შესაძლებელია, რომ ხდებოდეს, რის მიხედვითაც ასეთი მწერალი ამ მომხდარის პოეტი იქნებოდა“ (იქვე).

ს. დანელიას შენიშვნის მიხედვით, არისტოტელეს ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისი წინააღმდეგობას შეიცავს. ამ ინტერპრეტაციას იზიარებს თამარ კუკავა, „მართალია, არისტოტელე წინააღმდეგობაში ვარდება, როდესაც პოეზიის სავნად აცხადებს იმასაც „რაც იყო და რაც არის“ ზოგჯერ კი მხოლოდ იმას „რა არის შესაძლებელი ალბათობის ან აუცილებლობის მიხედვით“. უნდა ვივარაუდოთ, რომ არისტოტელე ამ შემთხვევაში ცდილობს ხაზი გაუსვას პოეზიის სავ-

1 „... კი ი. ფაბულა იხუა შედგენილი, რომ იგი დაუჯერებელს და შეუძლებელს არაფერს შეიცავს“. ს. დანელიას შენიშვნა (იქვე).

2 „... მთლიანად იგივეა: ზემოთ არისტოტელე ამტკიცებდა, რომ პოეტი არ არის ისტორიკოსი, რომელიც იმას წერს, რაც ნამდვილად მოხდა, ახლა კი არისტოტელე ამბობს, რომ იმის აღწერა, რაც მოხდა, მაინც შეიძლება პოეზია იყოს“ (იქვე, ს. დანელიას შენიშვნა).



ეციფიკურ საგანს, თორემ არც მას უნდა უარყო პოეზიაში იმის ასახვის აუცილებლობა, რაც არსებობდა ან არსებობს” (3. 212).

არისტოტელეს „პოეტიკის“ 25-ე პარაგრაფში ვარკვეული აქვს, რომ აუცილებელია, ასახვის სამი შესაძლებლობიდან ერთ-ერთის გამოყენება, „... პოეტი არის მიმბაძველი, ისე როგორც მხატვარი ან რომელიმე სხვა ამსახველი (ეიკონოპოიოს), ამიტომ აუცილებელია, რომ ასახვის სამი შესაძლებლობიდან იგი ყოველთვის ასახავდეს საგანს ერთ-ერთ რომელიმეხნაირად: ან ისე, როგორც იგი იყო, თუ არის, ან ისე, როგორც ამბობენ და როგორც იგი გვეჩვენება, ან ისე, როგორც უნდა იყოს“ (2. 1461 ბ. ხაზგასმა ზემოთაც და აქაც ჩემია - კ. ბ.). სტაგირელის აზრით, აქ აღნიშნული გამოითქმება სათქმელში ან მთავარი სახელებით, ან კიდევ უცხო სიტყვებით და მეტაფორებით. ხათქმელს თან ახლავს მრავალი განცდა, ანუ ს. დანელიას კომენტარის მიხედვით, „მეტყველების მოდუსი“ (იბ. 2. 55). გვარდა ამისა, - განმარტავს არისტოტელე, - ერთი და იგივე არ არის სისწორე პოლიტიკაში და პოეტურ ხელოვნებაში, ან კიდევ - სხვა რომელიმე ხელოვნებაში და პოეტურ ხელოვნებაში“ (იქვე). პოეტურ ხელოვნებაში შესაძლებელია ორნარი მარცხი ან შეცდომა „ერთი, ხელოვნების არსების გამო, მეორე, შემთხვევითი, რომ ვისმე განეზრახა იმის გამო შეუძლებლის ასახვა, რომ ეს ხელოვნებას არ შეუძლია, ეს იქნებოდა თვით ხელოვნების არსების გამო მარცხი. მაგრამ, თუ უმართებულო არჩევანის გამო ცხენი ასახული იქნება ისე, რომ ორივე მარჯვენა ფეხი ერთმანვე შეიხდეს წინ ნაწილში... რაც შეუძლებელია, - აი ეს არ იქნებოდა მარცხი ხელოვნების არსების გამო, ეს შეცდომა შემთხვევითია... ნაკლებია შეცდომა, თუ ხელოვანმა არ იცის, რომ ფურ-ირემს არ აქვს რქები, ვიდრე ის, თუ მან ვერ მოახერხა დაეხატა შესატყვისად“ (იქვე). ხელოვნება შეიძლება უსაყვედურონ, - აგრძელებს მსჯელობას არისტოტელე, - რომ მან ქვემარტად არ ასახა საგანი, ხელოვანს შეუძლია უპასუროს, „... რომ ასედაც უნდა აესახა, მაგალითად: თვითონ სოფოკლემ თქვა, რომ

იგი წარმოადგენს საგნებს ისე, როგორც უნდა ისინი იყვნენ, ხოლო ვერბოივე - ისე, როგორც არიან. აი, ასე უნდა გაბათილდეს ასეთი საყვედური“ (იქვე).

სტაგირელის მიხედვით, ხელოვნებისათვის უკეთესია დასაჯერბელი შეუძლებელი, ვიდრე დაუჯერბელი შესაძლებელი. ზოგიერთი მხატვარი ფიგურებს ნატურალურ ზომასე გააქარბებით ხატავს, მაგრამ მანაც ასე სჯობს, ვინაიდან ნიშში („მარადიგმა“) უნდა უკეთესი იყოს ცვიდრე ის, რასაც ჩვენ ვხედავთ სინამდვილეში (იბ. 2. 1461 ბ).

არისტოტელეს „პოეტიკის“ მე-7 პარაგრაფში ვარკვეული აქვს, რომ „... ვინაიდან მშვენიერი ცხოველი და ყოველი საქმე შედგენილია რალაც ნაწილებისაგან, მას არა მარტო ესენი უნდა შეიხდეს მწყობრად დალაგებული, არამედ სიდიდეც უნდა შეიხდეთ არა შემთხვევითად. სიმშვენიერე ხომ სიდიდემი და წყოზამია, რის გამო მშვენიერი ცხოველი ვერ იქნებოდა და ძალიან მცირე საგანი, ვინაიდან მისი ქვრეტა ძალიან დაუახლოვებოდა გრძობობით შემუშნვეულ (ანაისიტო) სივრცის ქვრეტას... ძალიან დიდი საგანიც აგრეთვე ვერ იქნებოდა მშვენიერი, ვინაიდან მისი ქვრეტა ერთმანვე ვერ განხორციელდებოდა და მჭერტელებს ქვრეტის ვარემე დაურჩებოდათ ასეთი საგნის ერთობა და მთლიანობა, როგორც ეს მოხდებოდა, მაგალითად, რომ ცხოველს ათი ათასი სტადიონის სიდიდე შეიხდებოდა (2. 1450 B. ხაზგასმა ჩემია - კ. ბ.).

არისტოტელე ტრაგედიაში და ეპოსის ფაბულის შესახებ აღნიშნავდა: „... საყვადებულოა, რათა კარგად შედგენილი ფაბულა იწყებოდეს არა იქიდან, საიდანაც მოგვეპირანება, და თავდებოდეს არა იქ, სადაც მოგვეპირანება, არამედ იგი უნდა ეთანხმებოდეს შემოაღნიშნულ ცნებებს... უფრო მარტვიად რომ ითქვას, ტრაგედის ფაბულის სიდიდის საქმარის სახევარია ის სიდიდე, რომლის ფარგლებშიც, თუ შემთხვევები ერთმანეთს ბუნებისამებრ, ან აუცილებლობისამებრ მისდევნ, შესაძლებელია უბედურბიდან ბედნიერებაში ან ბედნიერბიდან უბედურბებაში გადასკლა“ (2. 1451 B).

1 არისტოტელეს დროინდელი გაანგარიშებით „სტადიონი უდრის დაახლოებით 160 მეტრს, ათი ათასი სტადიონი არის 1600 კილომეტრი“ (იქვე, ს. დანელიას შენიშვნა).

2 ა. ბ. ტრაგედიის სიდიდე უნდა განისაზღვროს მისი საყვარელი ბუნებით. ტრაგედიის სიდიდის საზომი თვით ტრაგედიამია მოკეშული. რომელია ეს საზომი? ტრაგედიის ისეთი სიდიდე უნდა შეიხდეს, რომ მასში ასახული ამბავი ნათლად იქნეს განვითარებული: არც მეტი, არც ნაკლები. არ შეიძლება, მაგალითად, ტრაგედიის შემოქმედმა ისე, რომ მისი მინარსის ათვისებდა ძნელი გახდეს, არ შეიძლება აგრეთვე ტრაგედიის ხელოვნური გადიდება ისეთი ნაწილებით, რომელიც არავითარ საყვარელს არ წარმოადგენენ მისი მინარსისათვის და მხოლოდ უზარეებლოდ აჭიანურებენ მას“ (იქვე, ს. დანელიას შენიშვნა, ხაზგასმა ზემოთაც და აქაც ჩემია - კ. ბ.).

არისტოტელე „პოლიტიკის“ მე-7 წიგნის მე-4 თავში მშვენიერების განსაზღვრისას ერთ-ერთ ძირითად ნიშნად ზომას თვლის. სტაგირელი სახელმწიფოს მავალითზე განიხილავს ზომის კატეგორიას. სახელმწიფო ნებსყობილება ემყარება კარგ კანონებს, „რადგან კანონი ნიშნავს წესრიგს. ხოლო კარგი კანონი აუცილებლად არის კარგი წესრიგი“. ხოლო იქ, სადაც არის მოსახლეობის დიდი რაოდენობა, შეუძლებელია წესრიგის დაცვა. ეს ძალუძს მხოლოდ ღვთაების უნარს, რომელიც აერთიანებს მთელ ქვეყნიერებას. მაშასადამე, ის სახელმწიფო, სადაც არსებობს... ზომა, იქნება მშვენიერი სახელმწიფო, რადგან მშვენიერება, როგორც ჩანს, გამოიხატება სიდიდითა და სიზრავლით“ (7. ნაწილი მეორე, 78, 1326L ტ. ხაზგასმა ჩემია — კ. ბ.).

არისტოტელეს „პოეტიკაში“ ტრაგედიის თეორია დასრულებული სახით აქვს ჩამოყალიბებული. რაც შეეხება კომედიას, მის შესახებ ზოგადი მოსაზრებებია გამოთქმული. როგორც ჩანს, ძირითადი ნაწილი კომედიის შესახებ დაკარგულია. ცნობილია, რომ არისტოტელეს „პოეტიკის“ დასრულებული სახით ჩვენამდე არ მოუღწევია.

ს. დანელიას ინტერპრეტაციის მიხედვით, არისტოტელეს ხელოვნების თეორია „ორ ზურჯს“ ემყარება: ერთია „ბაძვის“ ცნება (მიმეხისის), მეორეა „განმნედის“ (კათარზისის) ცნება, პირველი ცნება გამოყენებული ჰქონდა უკვე პლატონს, როგორც ხელოვნების არსებითი ნიშანი; მაგრამ არისტოტელემ გადაამუშავა ეს ცნება და აღმოაჩინა, რომ ბაძვა, რომელსაც ეწევა ყოველი ხელოვნება, არის ტიპიზაცია“ (2. XV, ხაზგასმა — ს. დანელიასია). არისტოტელემ „კათარზისის“ ცნება ესთეტიკური მნიშვნელობით პირველმა იხმარა, პლატონი ამ ცნებას იყენებს, მაგრამ მას იგი აუბუღი ქჟონდა მედიცინიდან, აგრეთვე, რელიგიური მისტერიებიდან და მას ეთიკური მნიშვნელობით ხმარობდა.

თამარ კუკავა მალაღ შეფასებას აძლევს კათარზისის არისტოტელესული თეორიის ს. დანელიასეულ ინტერპრეტაციას. მკვლევარის აზრით, პროფესორმა ს. დანელიამ ნაშთაყენა საკუთარი თვალსაზრისი არისტოტელეს კათარზისის შესახებ. ს. დანელიას კონცეფცია უპირისპირდება ევროპულ ისეთ ავტორიტეტებს, როგორებიც იყვნენ იბერეერგა, დერიონგი, ბერნაისი და სხვ., რომელთა თეორიის მიხედვით, კათარზისი გაგებულ იყო მხოლოდური ან თერაპევტული თვალსაზრისით. გოეთე და შილერი, კათარზისის ესთეტიკური სიაშოვნების გამომწვევად მიიჩნევენ. ს. დანელია ამ თვალსაზრისის იზიარებს (იხ. 3. 213).

როგორც აღინიშნა, არისტოტელეს ტრაგედიის თეორია დაფუძნებულია მიბაძვისა და კათარზისის ცნებებზე. ამ თეორიის მიხედვით, „ტრაგედია არის ასახვა დიადი (სმუდაიას) და დასრულებული (ტელეიას) მოქმედებისა, რომელსაც გარკვეული სიდიდე აქვს, — ასახვა შემკობილი ენით (ედუსმერო ლოგო), მისი სხვადასხვა სახეებით ცალ-ცალკე სხვადასხვა ნაწილში, ასახვა მოქმედებით და არა მოთხრობით, ასახვა, რომელიც შეცოდებისა, სიბრალულის (ელეუსი) და შიშის (ფოსოს) აღძვრის საშუალებით. ამგვარ ცნებათაგან (პათემატა) განმნედის (კათარზის) აღწევს“. ტრაგედიის ამ განსაზღვრებას სტაგირელი თან ურთავს შემდეგ განმარტებას, „შემკობილ“ ენას მე ვეძახი ისეთ ენას, რომელსაც აქვს რიტმი, ჰარმონია და მეტრი, ხოლო „მისი სხვადასხვა სახეების“ ქვეშ ვგულისხმობ იმას, რომ ტრაგედიის ზოგიერთი ნაწილი სრულდება მხოლოდ მეტრებით, სხვა ნაწილი კი აგრეთვე გალობით“ (2. წი. 1449, ხაზგასმა ჩემოთაც და აქაც ჩემია — კ. ბ.).

ს. დანელია აღნიშნავს, რომ, არისტოტელეს აზრით, სიბრალული-შეცოდება და შიში შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ სუბიექტს, რამდენადაც ის არის წარმოდგენის უნარით აღჭურვილი არსება; ტრაგედიის მავურებელი, რომელსაც გააჩნია „მე“ (ე. ი. თვითშემეცნების რეალუქსიის უნარი). ასეთ სუბიექტს სათანადოდ უნდა მიეწოდოს მასალა, რომელიც სიბრალულისა და შიშის გრძობებს იწვევს. „სიბრალული და შიში არიან თანატანჯეები ან ტანჯვაზე წარმოდგენის საშუალებებით გამოწვეული ტანჯეები. რეალურ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აღმაიანებს სიბრალული და შიში შეიძლება ნაკლებად გააჩნდეთ, ან შეიძლება სრულეებითაც არ გააჩნდეთ, მაგრამ მხატვრული ნაწარმოები, გათამაშებული ტრაგედია განსხვავდება რეალური, პრაქტიკული ცხოვრებისაგან. ტრაგედია არის არა რეალური სინამდვილე, არამედ ამ რეალური სინამდვილისადმი მიბაძვა. სწორედ ამიტომ ახერხებს ტრაგედია სიბრალულისა და შიშის ოსტატურ აღძვრას მავურებელთა შორის და ამ გზით კათარზისის გამოწვევას, რომ ტრაგედია არის ხელოვნების ქმნილება და, როგორც ასეთი, იგი ბაძავს სინამდვილეს; ე. ი. იძლევა რეალური სინამდვილის წარმოდგენას, ნილაბს, სახეს ან ტიპს...“

უცქერის რა თეატრში ტრაგედიის ვმირის ცხოვრებას, მის სულიერ ტანჯვას, მის „მე“ წვალებას, მავურებელი იესება თანაგრძნობით ამ ვმირის მიმართ და მას ავიწყდება თავისი საკუთარი

„მე“, თავისი საკუთარი პროზაული ცხოვრება, ავინყდება თავისი საკუთარი უსიამოვნებები, რომლებიც ანუზებდნენ მას თეატრში მოსვლამდე, და სწორედ ეს არის ის „განწყინება“ (კათარზისის „შემსუბუქება“ (კოუსის) და „სიამოვნება“ (პედონე), რომელსაც აძლევს მაყურებელს ტრაგედიის „ქქერა“ (2. CVIII. ხაზგასმა ზემოთ ჩემია – კ. ბ., ხოლო ქვემოთ ს. დანელიასი).

ტრაგიკული გმირის წარუმატებლობა, დამარცხება და დაღუპვა, ინვეს თანაგრძნობას, სიბრალულს, ხშირ შემთხვევაში შიშსა და ცრემლსაც. ტრაგიკულს უპირისპირდება კომიკური. „კომედია არის ასახვა მძარე ადამიანებისა, მაგრამ არა მთელი მათი სიღვის მიხედვით; არამედ სასაცილო მხარეების მიხედვით; სასაცილო კი არის სამარცხინოს ნაწილი. სასაცილოა რაიმე შეცდომა ან სამარცხინო საქმე, რომელიც ტანჯვასა და ზიანს არ მოქცავს, ასეთია, მაგალითად, კომიკური ნიღაბი, რომელიც არის რაღაც სამარცხინო და დაღრანჯული, მაგრამ ტანჯვას არ გამოხატავს“ (2. §5. 1449E).

არისტოტელეს „პოეტიკამ“ ანტიკურ და მომდევნო ეპოქებში უდიდესი როლი შეასრულა ესთეტიკური აზრის განვითარებაში, ამის შესახებ ლესინგი „ჰამბურგულ დრამატურგიაში“ წერს: „არისტოტელეს „პოეტიკას“ ისეთივე მნიშვნელობა უკავია ესთეტიკაში, როგორც ვეკლიდეს „ელემენტებს“ გეომეტრიაში, და ახალი ნაბიჯი წინ არისტოტელეს შემდეგ ესთეტიკას არც გადაუდგამს“ (იხ. §. 47). გ. ლესინგის ეს შეფასება მოგვაგონებს დიდი

გერმანელი ფილოსოფოსის იმანუელ კანტის სიტყვებს არისტოტელეს ლოგიკის შესახებ: ლოგიკას არისტოტელეს შემდეგ წინ არცერთი ნაბიჯი არ გადაუდგამსო.

ქართული მეღვინის თ. კუკავას აზრით, არისტოტელემ ბევრ შემთხვევაში გენიალურად განჭერიტა ტრაგედიის არსი, მაგრამ სტაგიროლის ზოგიერთი შეხედულება მოძველებულია, მაგალითად, არისტოტელეს აზრით, ენებებს უნდა ინვედედს არა მოქმედება შეგობრებს, მტრებს ან ინდეფერენტულად განწყობილ პირთა შორის, არამედ მხოლოდ მოყვარულთა და ნათესავთა შორის“. ასევე ცალმხრივი და მოძველებულია არისტოტელეს თვალსაზრისი ისტორიისა და ხელოვნების დაპირისპირების შესახებ. ისტორია მხოლოდ ფაბთა აღწერა კი არ არის, არამედ „ქემმარტივი ისტორიული მეცნიერება მომავალშიც იხედება, ასევე იგი არ უარყოფს ზოგადის შესწავლას და განზოგადებას... ასევე ტრაგედია ვითარდება არა მხოლოდ შეცდომათა საფუძველზე, არამედ მრავალი სხვა მოტივითა და საბაბით.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, არისტოტელე რჩება ტრაგედიის უბადლო თეორეტიკოსად და ტრაგედიის თეორიის ფუძემდებლად“ (3. 218. ხაზგასმა ჩემია – კ. ბ.).

აკადემიკოსი გურამ თევზაძე წიგნში „ანტიკური ფილოსოფია“ გამოკვლევას არისტოტელეზე ნ. პარტმანის სიტყვებით ამთავრებს (9): „... არისტოტელეს მოძღვრება აქტუალური იქნება მანამ, სანამ მის მიერ დასმული პრობლემები არ გადაიჭრება. ეს კი მარადიულობის საწინააღმდეგოა“ (1. 104. ხაზგასმა ჩემია – კ. ბ.).

### ლიტერატურა:

1. თევზაძე გ. „ანტიკური ფილოსოფია“, თბ., 1995.
2. არისტოტელე, „პოეტიკა“, ძვ. ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო პროფესორმა სერგი დანელიამ, თბ., 1944.
3. კუკავა თ., „ესთეტიკა“, თბ., 1985.
4. Аристотель, Сочинения, т. 4, М., 1984.
5. არისტოტელე, „მეტაფიზიკა“, ძვ. ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო პროფესორმა თამარ კუკავამ, თბ., 1964.
6. არისტოტელე, „რიტორიკა“, ძვ. ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო პროფესორმა თამარ კუკავამ.
7. არისტოტელე, „პოლიტიკა“, ნაწილი I და II, ძვ. ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო პროფესორმა თამარ კუკავამ.
8. Лессинг, Г. А. «Гамбургская драматургия», М., 1936.
9. ბლაგიძე კ., „საქად ნერეთელი გნოსეოლოგიურ პრობლემათა შესახებ ანტიკურ ფილოსოფიაში“, თბ., 1999.



პახტანბ ზოილაკა

# პეტრე იბერიის ბიოგრაფიის ერთი ღებალი

მეხუთე საუკუნის გამოჩენილი ქართველი საეკლესიო მოღვაწის, იმ დროის ფილოსოფიური აზროვნების ერთ-ერთი უსაზღვროესი წარმომადგენლის, „მსოფლიოში განსაცვიფრებლად სახელგანთქმული ადამიანის“ პეტრე იბერიის (ერისკაცობაში მურვანი, ასურულ წყაროში ნაბარსუგად იწოდება) ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მთავარ წყაროს მისი ასურული „ცხოვრება“ წარმოადგენს (არსებობს ამ „ცხოვრების“ ქართული რედაქცია. პეტრეს მოღვაწეობა ასახულია სხვა წყაროებშიც. 4: 6). თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ პეტრე იბერიის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მისი მონაფეხი და უმცროსი თანამედროვენი მოგვითხრობენ, აკად. ივ. ჯავახიშვილს კი პეტრე იბერიის ასურული „ცხოვრება“ V ს. მნიშვნელოვან ნაწარმდ მიიჩნედა, მაშინ, ცხადია, პეტრე იბერიის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი მომენტები თითქოს წათელი უნდა იყოს. მაგრამ, მთლად ასე არაა. პეტრე იბერიის ცხოვრების არაერთი დეტალი ბუნდოვანი და საკამათოა. ერთ-ერთი ასეთი საკითხია: რამ განაპირობა კონსტანტინოპოლის საიმპერატორო სასახლედან პეტრეს გაქცევა, იერუსალიმში ჩასვლა და გამოწვევა?

სამეფო კარზე მცხოვრებ ქაბუკ პეტრეს, — ნერდა აკად. შ. ნუცუბიძე, — იმპერატორ თეოდოსი მცირეს მუდღეუ ეფდოკია ეტრფილა, რის გამოც კონსტანტინოპოლიდან გაიქცა. „ბიზანტიური კავალერიის ბრწყინვალე მეთაურის ეს იწულებითი ლტოლვილება, — დასძენს იგი, — კონსტანტინოპოლიდან განდევილებრივ ღვანლად შეცვალეს, რომელიც თითქოს ლეთისნიერი გაცხაბების აღსრულებას ისახავდა მიზნად“ (შრომები, ტ. V, გვ. 89).

საიმპერატორო სასახლიდან პეტრეს გაქცევის შ. ნუცუბიძისეულ ახსნას არ დაუთანხმა პროფ. ივ. ლოლაშვილი. მისი თქმით, დეგოფალი ეფდოკია იყო პეტრე იბერიის ერთ-ერთი აღმზრდელი ახვანი, რომელმაც ქაბუკს საუქუფლიანი საერო განათლება მისცა. პეტრეს გაქცევა განპირობებული იყო არა სამიჯნურო სკანდალით, არამედ ორი გარემოებით: თავი დაუღწია მძველობისათვის და შესდგომოდა ასკეტურ ცხოვრებას“ (4: 16).

ქართულენციკლოპედიამი არსებული მიითებით, „სამშობლოდან მონყვეტილ მურვანს არ აკმაფიფილებდა იმპერატორის სასახლე, მისი დოფიზიტური იდეოლოგია, გაბატონებული წრეების ცხოვრების წესი, რის გამოც იგი... გაიპარა სასახლიდან და პალესტი-

ნაში გადასახლდა“ (სტ. პეტრე იბერი, ავტ. გ. ნემსაძე, ქსე, ტ. 8).

დასმული საკითხის შესახებ ჩვენი მეცნიერები, როგორც ვხედავთ, სრულიად განხვავებული აზრისანი არიან. ისინი ძირითადად პეტრეს ასურული „ცხოვრების“ მონაცემებს ეყრდნობიან. მაგრამ, ვფიქრობ, კონსტანტინოპოლიდან პეტრეს გაქცევის ნამდვილი მიზეზის გასარკვევად „ცხოვრების“ ცნობებთან ერთად იმ დროის ქართლში შექმნილი პოლიტიკური ვითარებაც უნდა იქნას გათვალისწინებული.

პეტრეს ასურულ „ცხოვრებაში“ ნათქვამია, რომ პეტრეს „დაეინებით უნდოდა, სოფლიოდა და მისი არარაობისაგან გამდგარიყო, რათა სწრაფად მისულეყო უპირველეს სათნოებაში. ამ მიზნით მან თითქოს „გურჯურ სცადა გაქცევა“ (4: 94). ერთ ღამეს, რამდენიმე ქართველთან ერთად იგი სასახლიდან გაიქცა და იერუსალიმში ჩავიდა. იერუსალიმში მყოფმა პეტრემ როდესაც შეიტყო, რომ დედამისს უნდოდა მასთან მისვლა და ნახვა, იგი კვიპროსზე გაიქცა, „რათა მისი სახე პირდაპირ არ ეხილა“. მას შემდეგ კი, რაც „მონაზვნური წიხა ჩავიდა, საერთოდ აღარ უსურდა თავისიანებისათვის ოდესმე წერილი მიეწერა ან მათგან მიეღო“ (4: 87).

დაეუშვათ, პეტრეს, როგორც ამას მისი ასურული „ცხოვრება“ გვარწმუნებს, მართლაც, ძალიან უნდოდა „სოფლიოდან და მისი არარაობიდან“ გამდგარიყო, მაგრამ როცა ეს მოახერხა, მისთვის სანატრელ მდგომარეობას მიაღწია, მაშინ რატომ გაურბოდა თავისიანების ნახვას, საერთოდ, „სამშობლოსთან ურთიერთობას“?

პეტრეს ასეთ საქციელს ივ. ლოლაშვილი „მონაზვნური წესების მკაცრი დაცვით“ ხსნის (4: 16). მაგრამ, განა „მონაზვნური წესი“ კრძალავდა მრავალი წლის უნახავ დედასთან შეხვედრას? ( გრიგოლ ბაჩთელს უარი არ უთქვამს მრავალი წლის უნახავ დედასთან შეხვედრაზე). პეტრე ხომ ასევე უარს ამბობდა დედოფალ ეფდოკიას ნახვაზე, მაგრამ მას მაინც შეხვდა (4: 19-20). დედასთან შეხვედრაზე უარის თქმა, შემდეგ კი „სამშობლოსთან ურთიერთობის“ განყვეტი, რა თქმა უნდა, მხოლოდ „მონაზვნური წესების დაცვით“ არ აიხსნება. პეტრეს ასეთ საქციელს, ვფიქრობ, უფრო ღრმა საფუძველი უდევს, ვიდრე ერთი შეხვედით ეს წარმოგვიდგება.

იერუსალიმში ჩასულმა უფლისწულმა დედის ნახვა რომ არ მოისურვა, ხოლო მას



შემდეგ, რაც „მონაზემის ჩოხა ჩიცვა“, საერთოდ აღარ სურდა თავისიანებთან (ე.ი. სამშობლოსთან) ოდესმე ურთიერთობა შეინარეოდა, ვფიქრობ, ეს მის პირად ცხოვრებაში მომხდარი დიდი იმედგაცრუებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. პეტრეს რელიგიური აღზრდა, დედოფლის სიყვარული, ან სასახლის ინტრიგები კონსტანტინოპოლიდან მისი გაქცევის ასახსნელად არ გამოგვაფეხება. სასახლის ინტრიგებმა და დედოფლის სიყვარულს იგი სამშობლოში გამოეყრებოდა (როგორც ადრე ეს ქართველმა უფლისწულმა ფარსიმამა გააკეთა). ისევ იმპერიის ტერიტორიაზე დარჩენას რა აზრი შეიძლება.

თუ პეტრეს ნარმოშობას, წინაპრებსა და მომავალს გავითვალისწინებთ, მას მონაზემის ჩოხა არ უნდა ჩაეცვა. როგორც უფლისწულს, მეფე ბუზმირის ძეს, ბიძის – მეფე არჩილის გარდაცვალების შემდეგ ქართლის ტახტი უნდა დაეკავებინა.

რა საფუძველი გვაქვს ასეთი მტკიცებისათვის?

პეტრე (მურვანი) რომ ქართლის მეფე უნდა გამხდარიყო, მართალია, ამის შესახებ მის არც ახსნულ და არც ქართულ „ცხოვრებაში“ არაფერია ნათქვამი, მაგრამ, ეს, სწორედ ასურული „ცხოვრების“ ცნობებიდან იგულისხმება.

იგი „ჯავახიშვილი, როცა ძველი საქართველოს სახელმწიფო წყობილებას იკვლევდა, იმის დასადასტურებლად „მეფობის უფლების მემკვიდრეობის წესრიგი“ პირდაპირი რომ არ იყო, არამედ გადადიოდა „მთელი სამეფო საგვარეულოს ამა თუ იმ ნევრზე უფროსობის მიხედვით“, სწორედ პეტრე იბერიის ასურული „ცხოვრების“ ცნობები გამოიყენა (ნ. 159-163). მართალია, ამ წყაროს მონაცემებიდან სხვაგვარი დასკვნა გამოტანა არ შეიძლება (სხვა საკითხია, რამდენად შეესაბამება ეს წესი მთლიანად ძველ ქართლის სამეფოს).

ასურული „ცხოვრების“ მიხედვით, ქართლის „პირველი ქრისტიანი მეფე იყო“ დიდი ბაკური. დიდ ბაკურს „დედის მხრიდან ცნობილ პეტრეს პაპას, უყავდა ძმა – ნიმიდა არსილიოსი (არჩილი), იგი ბაკურთან და ბუზმირთან ერთად ღრმა მოხუცებულობაში იბერიას მართავდა, იბურთა მეფეთმონაცემეობის წესის თანახმად“ (481). შემდეგ იქვე ნათქვამია: დიდი ბაკურის „დედილი ძმა არსილიოსი... მოხუცებული იყო და უმანკოებით მეფობდა იბერიაში ბუზმირთან... პეტრეს მამასთან ერთად“ (484).

ზემომოტანილი ცნობები, რა თქმა უნდა, ისე არ უნდა გავიგოთ, თითქმის პეტრეს ბიძა არილი დიდ ბაკურთან (პეტრეს პაპასთან) და ბუზმირთან (პეტრეს მამასთან), ან თუნდაც ბოლოდ პეტრეს მამასთან – ბუზმირთან ერთად მეფობდა. როგორც იგი „ჯავახიშვილი წერს, სამეფო ტახტის გადასვლა „მთელი სამეფო საგვარეულოს ამა თუ იმ ნევრზე უფროსობის მიხედვით“ იმას ნიშნავს, არჩილი დიდი ბაკურისა და პეტრეს მამის – ბუზმირის შემდეგ რომ გამეფდა. ამიტომაც ხაზგასმით მის ღრმა მოხუცებულობაზე“ (ნ. 163).

მართალია, ქართლში ტახტი გადადიოდა „მთელი სამეფო საგვარეულოს ამა თუ იმ ნევრზე უფროსობის მიხედვით“, მაგრამ კონსტანტინოპოლში მძევლად ყოფი მურვანს შეეძლო, ამ წესის თანახმად ტახტი დაეკავებინა?

კონსტანტინოპოლში მძევლად ყოფნის გამო მურვანი, რა თქმა უნდა, ტახტზე ასვლის უფლებას არ უკარგავდა. პირიქით, როგორც იგი „ჯავახიშვილი წერს, ირანელები და ბიზანტიელები „თავიანთი პოლიტიკის განსამტკიცებლად ცდილობდნენ... სამეფო ტახტზე მათი მომხრე მჯდარიყო. ამ თავიანთი ნადილის განსახორციელებლად ისინი არავითარ საშუალებას არ ზოგავდნენ... უფლისწულები მძევლად მიჰყავდათ და შემდეგ მათ გამეფებას ცდილობდნენ“ (ნ. 164). ქართლის ტახტზე მურვან-პეტრეს დასასმელად კონსტანტინოპოლის საიმპერატორო კარს დიდი მცდელობა არ დასჭირდებოდა. მეფე არჩილს ძე არ უყავდა. არჩილს თუნდაც ძე უყოლოდა, ტახტის მემკვიდრეობის იმ წესსავე გამოიმდინარე, რომლის შესახებაც პეტრე იბერიის ასურულ „ცხოვრებაში“ მითითებული იგი, ალბათ, იმპერიაში მძევლად ყოფი მურვანის შემდეგ დაეკავებოდა ტახტს.

მეფე ბუზმირის ძე მურვანი 423 წელს, „თომეტი წლის ასაკში“ ხომ იმიტომ „გაგზავნეს“ მძევლად... თეოდოსი მცირესთან“, რომ „ამ მეფემ მრავალჯერ მიავლინა შიკრიკები (იბერიაში) და დაბეჯითებით მოითხოვა მძევლის გადაცემა“ (491). ბუზმირმა „იბერთა ქვეყნის მაშინდელმა უფალმა, გაგზავნა თავისი შვილი... ძლიერ მდიდრულად და დიდი პატივით“, ქართველი უფლისწული თეოდოსუსმა „სიყვარულით მიიღო, შვილივით აღზარდა და შეიყვანა“ (491). მაგრამ აქვე დგება საკითხი. ქართველ უფლისწულს სასახლეში მეფედ ამზადებდნენ თუ საეკლესიო მოღვაწედ?

თუ პეტრე იბერიის ასურულ „ცხოვრებას“ დაუყურებთ, პეტრემ თითქმის სასახლეში ნახა მეფე და მისი მეუღლე დედოფალი ეფდოკია, საერთოდ „მთელი სასახლის კარი ისე ცხოვრობდა, როგორც მონასტერში“ (491). მაგრამ ეს სწულიადაც არ ნიშნავს, სასახლეში მურვანს საეკლესიო მოღვაწედ რომ ზრდებდნენ. თავისთავად ცხადია, საიმპერატორო კარის ასეთ ღვთისმოსავად დახასიათებით, „ცხოვრების“ ავტორს სურს გამოანაზუნებამდე პეტრეს რელიგიურ აღზრდაზე შეგვიანოს.

საიმპერატორო კარზე ქართველი უფლისწული, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, სამხედრო პროვნებად და პოლიტიკოსად უნდა აღზრდილიყო. როგორც შ. ნუცუმიძე წერს: „ბიზანტიური კავალერიის ბრწყინვალე მეთაურის“ კონსტანტინოპოლიდან ლტოლვა შემდეგ „განდევნილებრივ ღვანდად შეცვალეს“. იელოლაშვილის თანახმად, კი მურვანი სასახლე-



ეში ისეთ განათლებას იღებდა, რომელიც მის „ჩამომავლობას“ შეეფერებოდა (4:11). თანაც, როგორც პეტრეს ასურულ „ცხოვრებაში“ ნათქვამია, იმპერატორი ხომ „ზრუნავდა მძევლი თავისთან ჰყოლოდა და ცულთ, რათა თუ ვინც-ცოდაა მისი ხალხი მას უკან მოითხოვდა“, ხოლო იგი ვერ დააბრუნებდა, „ისეთივე (უვნებელს), როგორიც ჩაიბარა, ეს გარემოება მათ მეგობრობისა და დახმარების ნაცვლად მტრებად და მონინალმდევგედ გახდიდა“ (4:95). თუ შემოთქმულს გავითვალისწინებთ, მაშინ ასურული „ცხოვრების“ ავტორის მტკიცება, თითქოს მურვანი სასახლეში რელიგიური ფანატიზმით გამოირჩეოდა, სიმართლეს არ შეეფერება. ერთია იმ დროის ეკალობაზე სავალდებულო რელიგიური აღზრდა და სხვა საკითხიარ რელიგიური ფანატიზმი. პეტრეს მსახურთა თქმით, მურვანი რომაელებთან გავზავნილი იქნა „დიდებისა და მეფური ბრწყინვალეებისათვის“ და როგორც მსახურნი, ისე მურვანის მშობლიური ქვეყანა მისზე დიდ იმედებს ამყარებდა (4:11). სწორედ ამიტომ იყო სასახლეში, როგორც ასურული „ცხოვრება“ გვაცნობს, „ყრმა უფლისწულს მეფურად რომ ზრდიდნენ“ (4:102).

ასე რომ, ქართველი უფლისწული იმპერიაში გავზავნილი იქნა „დიდებისა და მეფური ბრწყინვალეებისათვის“. მშობლიური ქვეყანა მასზე დიდ იმედს ამყარებდა. მის აღზრდაზე და უსაფრთხოებაზე თვით იმპერატორი თვოდოსოსი ზრუნავდა. რადგან მოხვდოდა, რომ მურვანს თავისი ქვეყანა უკან მოითხოვდა, ცხადია მოითხოვდა, როგორც მომავალ მეფეს. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, თვით მურვანმაც კარგად იცოდა. მას ასევე კარგად ეცოდინებოდა, მის სამშობლოში არსებული ტახტისმოხაცველებების კანონის საფუძველზე, ქართლის ტახტი, არჩილის შემდეგ, მას რომ უნდა დაეკავებინა. მაგრამ უფლისწული, რომელიც სამეფო ტახტს ელოდა, უცებ მონაზონი გახდა.

რამ გამოიწვია ასეთი შეტამორფოზი და გულგატეხილობა ქართველ უფლისწულში? ჩემი აზრით, მურვანის ასეთი გულგატეხილობა მის სამშობლოში მომხდარმა იმ პოლიტიკურმა ცვლილებამ (ამ პოლიტიკურ ცვლილებაში არანაკლები ბრალი მიუძღვოდა თვით იმპერატორ თვოდოსოსს (მცირეს) განაპირობა, რომელმაც მურვანს ქართლში გამეფების შესაძლებლობა მოუსპო.

მურვანი რომ ქართლის მეფის ძე იყო, ამის შესახებ ერთხმად მიუთითებენ მისი ასურული და ქართული „ცხოვრებები“. მეორე მხრივ, ქართული [ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“, „მოქცევა ქართლისა“] და უცხოენოვანი [ლაზარ დარსეცი] საისტორიო წყაროების მონაცემებიდან გამომდინარე, V ს. II ნახევრის ქართლში ვახტანგ გორგასალი მეფობდა ვახტანგსა და პეტრეს სულ სხვადასხვა წინაპრები ჰყავდათ. ქართული წყაროების ცნობით, ვახტანგის წინაპრები: მამა მურდატი,

პაპა არჩილი და ა.შ. ქართლის მეფეები იყვნენ. თავის მხრივ, პეტრე იბერის ასურული „ცხოვრება“ ქართლის მეფეებად ასახელებს პეტრეს მამას მუშორას (ასევე ბუშორი ერქვა პეტრეს მამის მამას, მაგრამ „ცხოვრებაში“ იგი მეფედ არაა დასახელებული). ბიძას – მონინა არჩილს, პაპას დედის მხრივ – „დიდ ბაკურს“.

შემოთქმულიდან გამოდის, რომ კონსტანტინოპოლში მურვანს მძევლად ყოფნის დროს ქართლში ორი სამეფო სახლი არსებობდა.

რომ გავრკევეთ, თუ რამ განაპირობა ქართლის ორ სამეფოდ გაყოფა, IV ს-ის ქართლის სამეფოში მიმდინარე პოლიტიკურ ვითარებას უნდა გავეცნოთ.

298 წელს ქ. ნისიბისში დადებული 40-წლიანი ზავით სომხეთისა და ქართლის სამეფოებზე რომის პროტექტორატი დამყარდა. 338 წელს ზავის თარიღიდან 40 წელი ვადიოდა და ქართლის სამეფო პროტექტორატისაგან განთავისუფლდებოდა, მაგრამ, ამ წელს ქართლის სამეფოში წარმოშობილმა მონაპოლიტიკურმა აშლილობამ სამეფო კარი აიძულა პროირანულ ორიენტაციას დასდგომოდა.

ვითარება შემდეგმა გარემოებამ გაართულა: ხანმოშევლმა ქართლის პირველმა ქრისტიანმა მეფემ მირიანმა გარდაცვალებამდე რამდენიმე წელი ადრე, სამეფო ტახტზე თავისი უფროსი ძე რევი დასვა. მაგრამ რევი მირიანის სიცოცხლეშივე, 334 წელს 34 წლისა გარდაიცვალა. ამ დროისათვის, რევის ერთადერთი ძე თრდატი, დაახლოებით 14 წლისა იყო. ამიტომ, მირიანმა ტახტზე თავისი მეორე ძე, რომის იმპერიაში მძევლად ნამყოფი ბაკური (ბაქარი) აიყვანა. მიეცე 334 წელს თვით მირიანიც გარდაიცვალა.

მეფე ბაკურის (334-დაახლ. 356) მშვიდობიანი მოღვაწეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. რევის ქვრივი, სომეხთა პირველი ქრისტიანი მეფის თრდატი III (298-330) ასული – დედოფალი სალომე და მისი ძე თრდატი (ისინი, ადრე მირიანისგან საუფლისწულოდ მიღებულ კახეთისა და კუხეთს ელოდებდნენ და უფარმაში ცხოვრობდნენ) ქართლის ტახტს თავის სად თრდდნენ. ამიტომ, თრდატი (მას პაპის სახელი ერქვა) გახდა თუ არა იმ ხნის, რომ მეფობას შეძლებდა, დედოფალმა სალომემ სომხეთის სამეფოს დახმარებით ქართლის ტახტზე მისი დასმა მოინდოდა. დაახლოებით 338 წელს (ამ წელს ნისიბისის ზავის ვადა გავიდა და ირანრომს შორის ბრძოლები განახლდა) ტახტისათვის ბრძოლა დაიწყო.

რთულ ვითარებაში ჩაყარდნილი მეფე ბაკური, როგორც ამეფეთა ცხოვრება“ გვამცნობს, „ეზრანა სპარსთა მეფესა“, „დაემოყრა“ მას, მოირთო სპარსთა ძალი, ეწყო „სომეხთა ვეჯახეთს“ სძლია და აოტა ისინი. გამარჯვებულმა ბაკურმა ძმისწულსა და დედოფალ სალომეს დაუნერა „ბელითა-წერილი“, რომ „ვიდრემდის იყოს ნათესავი ბაქარისი, რომელსა ეძღოს სყრობა მეფობისა, მისი იყოს მეფობა, და არაო-

დეს ძებნონ შეფობა ნათესავთა რვეისთა". ამ-  
ჯერად ბაკურმა ძმისწულს მხოლოდ კუხეთი  
მისცა და დაასხნა რუსთავს მერისთავად. ასე  
რომ, ქართლის ტახტისათვის ეჭირძოლთა თრ-  
დატ რვეის ძემ „ხელით-წერილით“ კახეთი ცე-  
ნტრით უჯარამაშოც კი დაკარგა. დამარცხებული  
უფლისწული იძულებული იყო, ბედს დროებით  
შერეგებოდა.

მართალია, „ხელით-წერილის“ პირობით,  
ბაკურის შთამომავლები თუ შეფობას ვერ  
შეუძლებდნენ, იმ შემთხვევაში რვეის შთამომავ-  
ლებს შეეძლოთ ტახტი დაეკავებინათ, მაგრამ  
ასეთი დრო აღადგინებდა რვეისთან, არავინ იცოდა.  
შესაფერის ვითარებაში თრდატ რვეის ძე  
ყოველ ღონეს იხმარდა, რათა თავისი ნათესა-  
ვები არა მარტო ტახტიდან გადაეყენებინა, და-  
ესაჯა კიდევ.

თრდატისათვის ხელსაყრელი ვითარება IV  
ს. 60-იანი წლების შუახანებში დადგა. 361-363  
წლებში ირანთან ომში დამარცხებულმა რომის  
იმპერიაში მიგრაცკასიაში თავისი ზოხციკების  
განამტკიცებლად და ქართლში გასაბატონებლად  
ქართლის სამეფო კარისადმი განა-  
წყებულ თრდატ რვეის ძე გამოიყენა. რომის  
საიმპერატორო კარი ქართლის მეფის  
პოლიტიკით იმ ხანად უკმაყოფილო იყო.  
როგორც IV ს. რომაელი ისტორიკოსი ამიანუს  
მარკელინუსი მოგვითხრობს, რომაელებმა  
ირანთან ომში ქართლისა და სომხეთის მეფეებს  
დახმარება სთხოვეს „ბრწყინვალედ შემკული  
სამოსი და მრავალნი არა საჩუქრები“ გამოუფ-  
ზავენეს. მაგრამ, ქართლისა და სომხეთის  
მეფეებმა, რომაელთა მოთხოვნა ვერ შეასრუ-  
ლეს. როგორც შემოთითქვა, გარდა იმისა, რომ  
338 წელს მეფე ბაკურმა ქართლის ტახტი ირან-  
ელთა დახმარებით შეიწირა (ამ დროიდან  
ქართლის სამეფო ირანული ორიენტაციისად  
იწინააღმდეგებოდა), ამიანუსისავე ცნობით, იმ  
ხანად ირანის შაჰის კარზე ქართველი უფლის-  
წული ყოფილა მიქელად: აღნიშნულიდან გაომ-  
მდინარე, ცხადია, ქართლის მეფე ირანელების  
წინააღმდეგ მებრძოლ რომაელებს ვერ დაეხ-  
მარებოდა.

368 წლიდან ქართლი ირანისა და რომის არ-  
მიების საბრძოლველ მოქმედებდათა ასპარეზად  
გადაქცა. რომაელები თრდატ რვეის ძეს (ამი-  
ანუს მარკელინუსთან იგი საერომა კადმსაუ-  
რმაგად იწოდება), ხოლო ირანელნი ბაკურის  
შვილს ვილის – ვარაზ-ბაკურს (შას მამანუსი  
ასეაგურს უწოდებს) ეხმარებოდნენ.

ირან-რომის მეტოქეობა ქართლში გასაბატ-  
ონებლად 369 წელს ქართლის ორ სამეფოდ გაყო-  
ფილი დაშლად. ამიანუსის ცნობით, სახლფ-  
რად მდინარე მტკვარი დაიდო. საურმაგს (ე.ი.  
თრდატ რვეის ძეს) კარმენიისა და ზაზუნის მოს-  
აზღვრე (მხარე) ერგო, ასეაგურს (ვარაზ-ბაკ-  
ურს) კი – ალბანეთისა და სპარსელების  
მომხმანევე (გეორგიკა; ს.გ. 130).

374 წ. ირანის შაჰის შაპურ II მცდელობას,  
ქართლი მთლიანად ვარაზ-ბაკურისათვის დაე-

მორჩილებინა, შედეგი არ მოჰყოლია. რომაე-  
ლთა მიერ ზურგგამატრებული რვეის შთამო-  
მავლები ქართლის ნაწილში მეფობას აგ-  
რძლებდნენ და უფლისწულსაც ხშირად ვა-  
ზნიდნენ იმპერიაში მივლელად (მაგ., ბაკურ  
თრდატის ძე, პეტრე იბერი).

ამრიგად, 369 წელს თრდატ რვეის ძე მდ.  
მტკვრის მარჯვენე მდებარე ქართლში (ცენტრ-  
რით არმაზში) გამეფდა და სათავე დაუდო  
**ფარნავაზიანთა სახლის რვეიანთა შტოს მდ.**  
მტკვრის მარცხენე მდებარე, ირანის ქვეშევრ-  
დომობაში და რჩენილ ქართლში მირიანის  
**უშბერის ძის ბაკურის (ბაკატრი) შთამომავ-  
ლები – ბაქარიანები** აგრძლებდნენ მეფობას.  
ფარნავაზიანთა დინასტიის ბაქარიანთა შტოს  
განვითარებოდნენ: ბაკურ მირიანის ძის შთამ-  
ომავლები: მირდატი, ვარაზ-ბაკური (ასეაგურ),  
ფარსმანი, მირდატი, არჩილი, მირდატი, ვახტანგ  
გორგასალი, დაჩი, ბაკური ფარსმანი, ფარსმან  
სხვა, ბაკური. რვეიანთა შტოს წარმო-  
მადგენლები იყვნენ: თვით რვე მირიანის ძე,  
თრდატი (საურმაგო), ბუზშირი (პეტრეს შაჰა  
მამის მხრივ), ბაკური (პეტრეს შაჰა დედის  
მხრივ), ბუზშირი (პეტრეს შაჰა), არჩილი  
(პეტრეს ძიძა), თვით პეტრე და ვახტანგ გორგა-  
სლის თანამედროვენი – მირიანი და გრიგოლი.

ამრიგად, კონსტანტინოპოლში მურვანის  
მეფელად ყოფნის ფაშს რვეიანთა ქართლში ვერ  
მისი მამა ბუზშირი (დაახლ. 416-დაახლ. 428),  
დაახლ. 429 წლიდან კი ზბა არჩილი მეფობდა.  
სწორედ იგი უნდა შეეცვალა ტახტზე მურვანს.  
მაგრამ, ძველი ქართული წყაროების ცნობები-  
დან გამომდინარე, არჩილ რვეიანის ვარდაცე-  
ალებს (დაახლ. 438-39) შემდეგ ახლო ტახტში  
ქართლი უკვე ერთიანი სამეფო ჩაის.

ბიზანტიის გავლენაში მყოფ ქართლში რვეი-  
ანებმა რაფთარებაში დაკარგეს შეფობა, ამის  
შესახებ წყაროებში არაფერია ნათქვამი. დაე-  
წუმეთა უკონსტანტინოპოლში მიქელად მყოფ  
მურვანს, მართლაც, არ უნდოდა მეფობა, მაგ-  
რამ ქართლში ვახტანგ გორგასლის თანადრო-  
ულად ხომ იყვნენ რვეიანი უფლისწულები  
(მირიანი და გრიგოლი. 3:151, 159). არჩილის  
შემდეგ რადგან ტახტზე არავინ ასულა, ჩანს,  
რვეიანთა ჩამოშორება სამეფო ხელისუფლე-  
ბისაგან ძალის გამოყენებით მოხდა.

რატომ ვერ გამეფდნენ რვეიანები თავია-  
ნი კუთვნილ ქართლში? დაახლ. 438/39 წელს  
არჩილის ვარდაცვლებისას ვახტანგი მიერ-  
ენლოვანი იყო და ბაქარიანთა კუთვნილ ქარ-  
თლს მისი დედა დედოფალი საგდუბტი განაგებ-  
და. რვეიანი უფლისწულთაგან ტახტზე რომ ვერ  
ცდებოდა ვერ ავიდა, ამაში, ცხადია, ვახტანგის  
ხელი არ უნდა იყოს. იმ ხანად თვით ბაქარიანთა ქა-  
რთლიც მძიმე მდგომარეობაში იყო, 438 წელს  
ვახტანგის მამის მეფე მირდატის ვარდაცვა-  
ლების შემდეგ დედოფალ საგდუბტის მამა ქა-  
რთლ-ალბანეთის მარზპანი ბარზაბოდი გამ-  
ზადებული ყოფილა პიროტის ყოფად ქარ-  
თლს, მაგრამ ამ განზრახვაზე თავისი

ასულის თხოვნით უარი სთქვა. ამის შემდეგ დედოფალი საგდუხტი თვით „განაგებდა მეფობასა ძალითა და შეწევნითა მამისა თვისისა“ (3:145).

ასე რომ, 438 წლიდან დედოფალ საგდუხტის მუწურვე ირანელი მოხელე ქართლ-ალბანეთის მარზპანი ბარზაბოდი იყო. ამიტომ, არჩილის სიკოცხლეში ან გარდაცვალების (დაახლ. 438 წ.) შემდეგ რევინათა კუთვნილ ქართლის საქმეებში იგი უნდა ჩარეულიყო (რა თქმა უნდა, მაისის ნებართვითა და მხარდაჭერით). რევინათა ქართლის სამინაო საქმეებში ჩარევა ბარზაბოდისათვის იმ მინამოსაც უნდა გაეადვილებინა, რომელიც ჯუანშერის ცნობით, რევინათა სახლის წევრებს შორის იგარაუდებდა (ჯუანშერთა მითითებებს რევინათების „ურთიერთისა კვლითა შემცირების“ შესახებ). აუტყვია არ უნდა იყოს, რევინათა სახლში მინაოში ტახტის მემკვიდრეობის იმ წესმა რომ განაპირობა, რომლის შესახებ ზემოთ ვისაუბრე.

რქვე ისმება კითხვა, განა იმ დროის ქართლში ჯერ კიდევ არ იყო მკაცრად განსახლდებული ტახტის მემკვიდრეობის წესი?

„შევეთა ცხოვრებისა“ და ჯუანშერის ცნობებშია აშკარად ჩანს, ფარნავაზიდან მოკიდებული ქართლის სამეფოში ტახტი მამიდან უფროს ძეზე რომ გადადიოდა (ც. მელიქიშვილი). ამ მხრივ, სრულიად განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე რევინათა კუთვნილ ქართლში. როგორც ზემოთ ითქვა, პეტრე იბერის ასურული „ცხოვრების“ ცნობები იგ. ჯეაბაძისეულია სწორედ იმის ერთ-ერთ საბუთად მიიჩნია, ქართლში სამეფო ტახტი გვარში უხუცესზე რომ გადადიოდა. რა თქმა უნდა, ამ წესსა ბარზაბოდის კუთვნილ ქართლზე ვერ გავაზრცვლებთ.

ტახტის მემკვიდრეობის რა წესიც არ უნდა ყოფილიყო, ფაქტი ერთია, არჩილის შემდეგ რევინათმა მეფობა დაიკავა - დაიკავა იგი მიწველ რიგში მურვანმა. იმპერატორმა თეოდოსიუსმა (408-450) კი როგორც რევინათა ქართლის სიუზერენმა, თავის ხელდებულთათვის დახმარება ვერ შეძლო. სამიშურატორი ვარსა თავისი ხელდებულნი ქვეყნის უფლებები ვერ დაიკავა. რევინათი საბოლოოდ დამარცხდნენ (როგორც ჩანს, ერთხანს რევინათა ქართლი ცალკე სამარზპანო ერთეულს წარმოადგენდა. V ს. 40-იანი წლების შუახანებიდან ქართლი ერთიანია).

ახლა რაც შეეხება კონსტანტინოპოლიდან მურვანის გაქცევის წელს?

პეტრე იბერის ასურული „ცხოვრების“ ცნობა, თითქმის როცა მურვანს „მონაზუნური ტანისამოსი ეღირსა“, უკვე ოც წელს იყო მიღწეული“ (4:136 ე.ი. მან 423 წლიდან 7 წელი დაჰყო სანახლეში და 430 წ. გაიქცა. „ქორ., 4:11), როგორც ჩანს, ისე როგორც ამ „ცხოვრების“ არაერთი ცნობა, არაა სწორი. სათანადო მასალის მოტანის საფუძველზე, ცნობილმა ბელგისელმა ბოლანდისტმა პოლ დევიო კონს-

ტანტინოპოლიდან მურვანის გაქცევა დაახლ. 437/38 წლებით განსაზღვრა (2:159).

თუ კონსტანტინოპოლიდან მურვანის გაქცევის ასეთ დათარიღებას მივიღებთ, მაშინ გამოდის, რომ 423 წელს კონსტანტინოპოლში ჩასული 12 წლის ქართველი უფლისწული 15 წელზე მეტი ამაოდ ელოდა სამეფო ტახტს. ქართლში დატრიალებულმა მოკვლევმა მას სამეფოდამოდ ჩაუბნო სამშობლოში დაბრუნების სურვილი - ქართლში მის დაბრუნებას ახრი აღარ აქონდა. ამიტომ გაიქცა იერუსალიმში, მონაზუნად აღიკვეცა და ამის შემდეგ თავისი-ანეთთან და სამშობლოსთან ურთიერთობის არაავთარი სურვილი არ აქონდა.

ყოველივე ზემოთქმული იმაზე მიგვითითებს, 369 წლიდან V ს. 30-იანი წლების დასასრულამდე ქართლი ორ სამეფოდ გაყოფილი რომ რჩებოდა და, როგორც ადრე ფიქრობდნენ, 374 ან თუნდაც IV ს. 70-იანი წლების ბოლოს არ გაერთიანებულა. ასეთი მტკიცება უკვე ისტორიის კუთვნილად მეგონა, როცა 1997 წელს გამოქვეყნებულ წერილში ა. ბოგვერაძემ ხელახლა დასვა ეს საკითხი. იგი მკითხველს არწმუნებს ვ. გოილაძე ცდება, 369 წლიდან V ს. 30-იანი წლების დასასრულამდე ქართლში ორ სამეფოს არსებობის მტკიცებებისათვის წყაროებში არაფერია ხელშისაკიდი“, ჩვენს საისტორიო თხზულებებში არაფერია ცნობილი ქართლის... ორ სამეფოსთან დაკავშირებით“ -ო (164, 66). ქართლის მთლიანობა 377 წელს აღდგა, ამიტომ პეტრე იბერის ასურულ „ცხოვრებაში“ ქართლის მეფეებად დასახელებული ის პირები (არჩილის გარდა), რომელთა მეფობა V ს. 1 ნახევარზე მოდის, მეფეები კი არ იყვნენ, არამედ „მეფის შემდგომ მცირე პირები“ (168-69). ძველ ქართულ წყაროებში მოცემულა „ერთიანი ქვეყნის მეფეთა ერთიანი რიგი“ და „მათი სხვადასხვა სამეფოში თვითნებური გადასმა-გადმოსმათ ორმეფობა ვერ დამტკიცებდა“ -ო (166).

369 წლიდან V ს. 30-იანი წლების დასასრულამდე ქართლში ორი - ირანისა და რომშიზანტინაში დაქვემდებარებული სამეფოები რომ არსებობდა, ეს ორი მონოკრატეისა და რამდენიმე საფურნალო გამოკვლევაში დაეწინააღმდეგა. ასეთივე დასკვნამდე მივიდნენ მ. ჩხარტიშვილი და ვ. მამულია. უფრო მეტიც, გარკვეული უზუსტობით, მაგრამ მაინც, 369 წლიდან V ს. 20-30-იანი წწ. ბოლომდე ქართლში ორი სამეფოს არსებობის შესახებ მიუთითებდნენ აკად. კ. ეკელიძე და პროფ. ვ. დონდუა. აკად. გ. მელიქიშვილის დასკვნით კი, პეტრე იბერის ასურულ „ცხოვრებაში“ ძველი ქართული წყაროებისაგან განსხვავებული მეფეები რომ არიან დასახელებულნი, ეს ქართლში არსებული ორმეფობით უნდა აიხსნას (ისტ. ინსტიტის შრომები, IV ნაკვ. I, 1958, გვ. 166).

ახლა ენახოთ, რა ცნობებია წყაროებში ქართლში ორი სამეფოს არსებობის დასადასტურებლად.



I. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნო: ქართლის მეფეთა მესახებ როცა წყაროს ცნობებს უარყოფით, ხელთ უტყუარი ცნობა უნდა გვქნდეს. რაც შეეხება არჩილის მეფობას, ჩვენს ისტორიკოსებს (მათ შორის, ა. ბოგვერადეს) იგი ვახტანგ გორგასლის შაჰის არჩილ მირდატის ძის იფნატორ პირად მიაჩნიათ (173, მუნ. 25). ასეთი მტკიცებისა ანგარიშს არ უნევენ წყაროთა იმ მონაცემებს, რომლის თანახმად, პეტრეს ბიძა არჩილი დაახლ. 429 წელს „ღრმად მოხუცი“ რომ ავიდა ტახტზე და მას ძე არ ჰყავდა, შამიან როცა ვახტანგის შაჰა არჩილ მირდატის ძე ჯერ კიდევ მცირეწლოვანი ქართლში სამხლიანი უმეფობის შემდეგ გაამეფეს ქართლის ერისთავებმა. ისინი ფარნავაზიანთა სახლის სხვადასხვა შტოს წარმომადგენლები იყვნენ.

II. V ს. 30-იანი წწ. დასასრულამდე ქართლი ორ სამეფოდ გაყოფილი რომ რჩებოდა, ამის ერთ-ერთ საბუთად მიმაჩნია პეტრე იბერის ასურული „ცხოვრების“ ის ცნობა, რომელიც კონსტანტინოპოლიდან გამოქვეყნდა ქართველი უფლისწულის ფარსმანის მიერ თეთრი პუნების დახმარებით ქართლის ტახტის დაუფლების ამბავს ეხება. „ცხოვრებაში“ ნათქვამია, რომ ფარსმანის გამეფება აქინც რომავალითა ქვეშევრდომნი იყვნენ მათთვის მრავალი უბედურების მიზეზი გახდა“ -ო. 395 წ. როცა ფარსმანმა პუნების დახმარებით თრდატ რევის ძე გადააყენა და მამაშაჰისეული ტახტი დაიკავა, ცხადია, დახმარების სანაცვლოდ პუნების რევიანთა ქართლს დაარბევინებდა და არა საკუთრივ ბიზანტიის ტერიტორიას, როგორც ამას ა. ბოგვერადე და სხვანი ამტკიცებენ (157-68).

III. მეოთხე ს. ბოლოსათვის ქართლში მხოლოდ ორი სამეფოს არსებობის ქათვალის-ნიშნებით ხდება ნათელი ძველ ქართულ წყაროებში ბოლნისის სიონის აღმშენებლად რატომღა დასახლებულნი სამი მეფე - თრდატი, ფარსმანი, ბაკური (თრდატი 383-395 წწ. მეფობდა „ყოველ ქართლში“, ფარსმანი 395-398 წწ. ბაქარიანთა ქართლში, ხოლო ბაკური 398-4 წწ. რევიანთა ქართლში).

IV. ქართლში V ს. 30-იანი წლებში კვლავ ორ სამეფოდ გაყოფილი რომ რჩებოდა, ამის ნათელი დადასტურებაა, იმ პირთა შორის, რომლებმაც 431 წელს ქ. ფეფსოში მიმდინარე III მსოფლიო საეკლესიო კრების მონაწილეებს წერილი გაუგზავნეს იერემიას „იბერიის სპარსული ნაწილის ეპისკოპოსად“ დასახელება (სწინააღმდეგო მსჯელობა იხ. 159-71).

V. „მეფთა ცხოვრების“ ცნობით, ვარაზ-ბაკურის ძე თრდატი რომ „მამულად ბაქარიანი“, ხოლო „დედულად რევიანი“ ორითავე მირიანის ძეთა ნათესაი იყო (3: 138), განა იმაზე არ მივითვითებს მირდატის ზეობის (398-399) თანადროული ქართლში ფარნავაზიანთა დინასტიის ორი შტო რომ არსებობდა?

VI. ჯუანშერის ცნობით, 447 წელს ჩრდ. კავკასიაში სალაშქროდ მიმავალმა ვახტანგმა და-

წერა ანდერძი, თუ ცოცხალი ვერ დაბრუნდებოდა, მისი დაე ხუარანძე შეერთო მირიანს „რომელი ყვეოდა ვახტანგს შამის ძმისწულად, ნათესაისაგან რევისა, მირიანის ძისა, რომელი სიძე იყო თრდატ სომეხთა მეფისა“, იგი გამეფებულიყო და ეს „მირიან, შამის ძმისწული მისი დაუტყვეა მცხეთას“ (3: 151).

მოტანილ ციტატაში, როგორც ვხედავთ, ჯუანშერი ორჯერ ხაზგასმით აღნიშნავს, მირიანი ვახტანგის „შამის ძმისწული“ იყო. რას გულისხმობს ჯუანშერი გამოთქმაში „ძმისწული“? მიუხედავად იმისა, რომ ვახტანგის მამას მირდატს ძმა არ ჰყავდა, ჯუანშერის ასეთი გამოთქმა შემთხვევით არა აქვს ნახმარი. ამ მხრივ არანაკლებ საინტერესოა მის მიერ ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის მირიანის (რომელიც ვახტანგის დაბადებამდე თითქმის საუკუნით ადრე ვარდაცვალდა) ვახტანგის „შამის მამად“ და „შამა“-დ დასახელება.

ერთგან ვახტანგიაშობისა: „შამის მამა ჩემი მირიან“ (3: 160). მირიანის შთამომაველი „შამა“-აშქარაა ფარნავაზიანთა სამეფო სახლიდან წარმოქმნილ ბაქარიანთა და რევიანთა შტოების წინაპრებს - მირიანის ძეებს ბაქარსა და რევის გულისხმობდნენ. სწორედ ამ მიმხედვლობით უწირავს ჯუანშერი ამ ტერმინს, როცა იგი ვახტანგს ათქმევინებს: „შამის მამა ჩემი მირიან“. ვახტანგისათვის მირიანი რადგან „შამის მამა“ ე.ი. მათი შტოს დამაარსებლის - ბაქარის მამა იყო, შამი ჯუანშერი უფრო ადრე ვახტანგის თანამედროვე მირიანს, რომ ვახტანგის „შამის ძმისწულად“ იხსენიებს, ცხადია, ამ შემთხვევაში ვახტანგის მამის ძმამი მირიანის უფროსი ძე რევი იგულისხმება, ხოლო ვახტანგის თანამედროვე მირიანი ამ რევის წული, ე.ი. რევიანთა შტოს დამაარსებლის წული (შთამომავალი) იყო.

ბაქარიანთა და რევიანთა ურთიერთდამოკიდებულების აღსანიშნავად ჯუანშერს კიდევ ერთი მეტად საინტერესო გამოთქმა აქვს ნახმარი. ჯუანშერი ვახტანგს ათქმევინებს: „შეინყნარა შამამან ჩუენმან მირიან სახარება ქრისტესი ნინოს მიერ“ (3: 163). სარწმუნოება, რომელიც „დახერვა შამამან ჩუენმან მირიან, გინა თრდატ დედით ნათესავმან ჩემმან“-ო (3: 169).

ამჯერად, როგორც ვხედავთ, ჯუანშერი მირიანს ვახტანგის მამად ასახელებს. რაც მოაჯარია, ამ შემთხვევაში რადგან „თრდატ, დედით ნათესავი“ ვახტანგისა, სომეხთა პირველი ქრისტიანი მეფე (რევი მირიანის ძის სიმამარი) თრდატ III (298-330) არის, ვახტანგი მათი ბაქარიანთა, ხოლო დედით რევიანთა ნათესავი (შთამომავალი) გამოდის. თუ ვახტანგის შაჰის შაჰის ვარაზ-ბაკურის ოჯახურ ამბებს გავითვალისწინებთ, ვახტანგს მართლაც შეეძლო ქართლს პირველ ქრისტიან მეფეთაგან - მირიანთან (რომელიც ვახტანგის „შამა“ და „შამის მამა“ იყო) ერთად, სომეხთა პირველი ქრისტიანი მეფე - თრდატ III „დედით ნათესავ“-

ად მიეწინა. როგორც ზემოთ ვაჩვენე, „მეფეთა ცხოვრებაში“ ვარაზ-ბაკურის ძე მირდატი მამით ბაქარიანად, დედით კირევიანადა დასახელებული ამავე წყაროს ცნობით, მირდატის დედა იყო ვარაზ-ბაკურის მეორე მეუღლე, რევიანთა შტოს პირველი მეფის თრდატის ასული. მეორე მხრივ, ეს მირდატი (ვარაზ-ბაკურის ძე), რადგან ვახტანგის შაპის არჩილის მამა იყო, დედით რევიანი შაპის მამის გამო, ვახტანგს მართლაც შეეძლო თავი სომეხთა პირველი ქრისტიანი მეფის – თრდატ III-ის „დედით ნათესავად“ მიეწინა.

ქართლის ცხოვრების“ ერთი მინაწერით, ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების“ ავტორი ჯუანშერ ჯუანშერიანი ნიშნავს არჩილის ძმის-ნულის ქმარი იყო (3:248). მინაწერში მოხსენიებული ნიშნავს არჩილი, რადგან საუქვო არაა პეტრე იბერის ასურული „ცხოვრების“ ნიშნავს არჩილი რომაა, ჯუანშერი რევიანთა სიძე გამოდის და მან ამიტომ იცის ასე კარგად რევიანი და ბაქარიანი მეფეების ურთიერთნათესაობის დეტალები. იცის თითოეული შტოს მეფეთა რაოდენობაც – V ს. შუახანებისათვის იგი ფარნავაზიანთა სახლის შესახებ ერთგვარ შემჯავებელ ცნობას გვანდის და ათი ბაქარიანი მეფის გვერდით, რვა „ნათესავს“ იხსენიებს. „ნათესავში“ მას რევიანები ჰყავს მხედველობაში. ვახტანგის თანამედროვე მირიანი რომ რევიანი უფლისწული არ ყოფილიყო, ვახტანგი ანდერძით მას თავის შესაძლო მემკვიდრედ არ დაასახელებდა. ქართლის სამეფოს ერთიანობა რომ 374 ან 377 წელს (როგორც ამას ა. ბოგვერძე ამტკიცებს) აღდგენილიყო, ასე მცირე ხნით ქართლში ორი სამეფოს არსებობა ქართლის ისტორიას ისეთ კვალს ვერ დააჩვენებდა, როგორც ეს ზემოთ იქნა ნაჩვენები.

დაბოლოს, სრულიად გაუმართლებელია ა. ბოგვერძის მტკიცება, თითქოს ძველ წყაროებში მოცემული იყოს ერთიანი ქვეყნის მეფეთა რიგი და ამიტომ ჩემს მიერ „თავი სხვადასხვა სამეფოში თვითნებური გადასმა-გადმოსმით ორმეფობა ვერ დამტკიცდება“.

მირიანის შთამომავალი მეფეების რიგისა და ქრონოლოგიის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული მდგომარეობა კარგად ვაჩვენე ჩემს მონოგრაფიაში – „ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგია“ (თბ. 1990, გვ. 18-41). ქართლის მეფეთა შესახებ ძველ ქართულ წყაროთა ცნობების ისეთი უპასუხისმგებლო გამოყენება და „თვითნებური გადასმა-გადმოსმა“, როგორც ეს ჩვენს ისტორიკოსთა ნაშრომებშია, საქართველოს ძველ ისტორიაში ჩაუხედავ მკითხველსაც კი დიმილდს მოჰკერის. ასეთი გაუგებრობა სწორედ იმით იყო გამოწვეული, ისინი ქართლში ორი საძეფოს არსებობას რომ უარყოფდნენ. ძველ ქართულ და უცხოენოვან წყაროებში IV და V ს. I ნახევრის ქართლის მეფეებად დასახელებული პირები ერთ რიგში არ თავსდება, რის გამოც იძულებული იყვნენ სრულიად განსხვავებული პირები გაეგივიებინათ (ზემოდასახელებულ არჩილებს გარდა, თრდატ რევის ძეს მირაზტ ბაკურის ძესთან აიგივებდნენ). როგორც ადრე ვგონათ, „მეფეთა ცხოვრებასა“ და „მოქცევა ქართლისაში“ არსებული ის მეფეთა რიგი, რომელშიც IV ს. მეფეები არიან წარმოდგენილნი, იდენტური არაა და არც უნდა იყოს იდენტური. „მეფეთა ცხოვრებაში“ ფარნავაზიანთა სახლის ბაქარიანთა შტოს მეფეები არიან დასახელებულნი, „მოქცევა ქართლისაში“ კირევიანთა შტოს.

369 წლიდან V ს. 30-იანი წწ. დასასრულამდე ქართლში თუ ორი – ირანისა და ბიზანტიის გავლენის ქვეშ არსებული – სამეფოების არსებობას ვაღიარებთ, მაშინ აღარ მოგვიწევს პეტრე იბერის წინამორბედი რევიანი მეფეების „მეფის შემდგომ მეორე პირებად“ გამოცხადება. თავიანთ რიგში ჩადგებიან ბაქარიანი და რევიანი მეფეები. რაც მთავარია, საფუძველი მოეძებნება კონსტანტინოპოლში მძველად მყოფი ქართველი უფლისწულის გადაწყვეტილებას, დაეტოვებინა სასახლე და იერუსალიმში მონაზვნად აღკვეცილიყო.

### მიტიმეპული ლიტერატურა

1. ბოგვერძე ა., 369 წელს ქართლის ორ სამეფოდ გაყოფის ხანგრძლივობის საკითხისათვის, საისტორიო მოამბე, ტ. 69-70, თბ., 1997.
2. დელო პ., როდის ჩავიდა პეტრე იბერი იერუსალიმში, „ცისკარი“, 1983, №3.
3. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დაადგინილი ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955.
4. ცხოვრება პეტრე იბერისა, ასურული რედაქცია გერმანულიდან თარგმნა ივ. ლოლაშვილმა, თბ., 1988.
5. ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, I, თბ. ტ. VI, თბ., 1982.



# ინსა ბარათაშვილი — ფეოდალური აპოქის სხოვრების მკვლევანი

მე-18 საუკუნის იმ მემკვიდრეობითაა შორის, რომლებიც ავტობიოგრაფიულ მემორებს ქმნიდნენ, ერთ-ერთი კოლორიტული ფიგურაა იესე ოსეს ძე ბარათაშვილი (1728-1786 წწ.). იგი ტიპური წარმომადგენელია მეფის სამსახურში დანიშნულ დიპლომატსა, რომელიც იცავდა ძლიერი ცენტრალიზებული ხელისუფლების ინტერესებს. იესე ბარათაშვილი სხვადასხვა დროს ასრულებდა ქართლ-კახეთის სამეფოს მდივანბეგის, თეიმურაზ მეფის მუხლის ახანაშვილის მდივნისა და მოღარეთუხუცესის, კალიგრაფ-მდივნის, ერეკლე მეორესთან სამეფო მდივნის მოვალეობას. 1776 წელს მარტვილ განიცავდა, როდესაც თავადობა, მამულეობა და ყმები ჩამოართვეს და ტფილელის ყმად აქციეს, მაგრამ ერთი წლის შემდეგ, დარეჯან დედოფლის წყალობით, ისევ მდივანბეგად დანიშნეს. მისი ცხოვრება ტრაგიკულად დასრულდა — ახალციხეში მიმავალი გზაში ლეკებმა მოკლეს.

იესე ბარათაშვილის კალამს ეკუთვნის დღემდე მოუღწეველი ლექსთა კრებული და მემორული ჟანრის ერთი დაუმთავრებელი ისტორიული თხზულება. მისთვის ავტორის უწოდებია „აღწერა ცხოვრებისა ჩემისა“ და „ანდერძი“, რის საფუძველზედაც ძველის გამოცემულმა ავთენტიკურ იოსელიანმა შეარჩია სახელწოდება — „იესე ბარათაშვილის ცხოვრება ანდერძი“ (თბ., 1950). ტექსტს ერთხელ შესავალი წერილი, შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებლები) ძველი პირველად 1871-1872 წწ. თურნალ „კოსკარში“ ექვს ნაკვეთად დაიჭებდა, ხოლო მეორედ 1913 წ. სარგის კაკაბაძემ გამოცემა ი. იოსელიანის ბოლო, შესამეგამოცემამში გათვალისწინებული და შეკვრებული ყველა არსებული ხელნაწერი და, ამდენად, მისი უპირატესობა ამ კარანა ნინა გამოცემებთან შედარებით, თხზულება დანერვილია 1768-1786 წწ. ავტორი ამ ეპოქის უშუალო დამკვირვებელი მემკვიდრის თვალთახედვით გვატყობს ისტორიულ მოვლენებს, თავის თავდასაყვალს და საოჯახო თუ საზოგადოებრივი ცხოვრების ქრონიკებს. ამიტომ, თხზულება რამდენადაც ავტორის ცხოვრების აღწერას და შეიღებოსათვის დატოვებულ ანდერძს წარმოადგენს, მის შინაარსს საეხებით შეესაბამება მესამე გამოცემის სახელწოდება.

იესე ბარათაშვილის ცხოვრება ანდერძი მე-18 საუკუნის ისტორიული მოვლენების აღწერისთვის ერთად ეთნოგრაფიული ხასიათის დაქ-

ტობრივ მონაცემებსაც გვატყობს. ცნობათა მცირედი ნაწილი შეეხება ეთნიკური ნომინაციის სფეროს, ხოლო თხზულებას ეთნოგრაფიული წყაროს მნიშვნელობა ენიჭება უმთავრესად ფეოდალური საოჯახო ცხოვრების წესის შესწავლისათვის. ეთნიკური ტერმინოლოგიიდან აღსანიშნავია რამდენიმე გამოთქეპაში: „დიდად მოიწონეს ბატონებმა და სრულიად ქართველთა და კახთა“ (გვ. 27); „ჩვენ ისევ ქართველი ვართ და კახნი“ (გვ. 105); „ესეი ერსა ამას ქართლისა და კახეთისასა“ (გვ. 106). ეს გამოთქეპებში შეესაბამება ფეოდალური ეპოქის ისტორიოგრაფიის ლექსიკას და მოულოდნელად არ უნდა მოგვეჩვენოს, რომ კახელთან შეპირისპირებაში ქართლელი ქართველადაა სახელდებული. ამდენად, დამოწმებულ ფაქტებს მხოლოდ რიგი ცნობების მნიშვნელობა ენიჭება ქართული წერილობითი წყაროებისათვის დაშავსაიათებელი ეთნიკური ნომინაციის შესატყვის ტერმინოლოგიაში.

ეთნიკურ ტერმინოლოგიასთან ერთად ავტორი ეთნოფსიქოლოგიური ხასიათის დაკვირვებასაც გვთავაზობს, რაც ილუსტრირებულია სომხების მაგალითზე: „უმრთიონი სომეხნი, მტერი ქრისტიანი და მესისხლენი მართლმადიდებელთანი, რაოდენ ძალუცისთ და თუ დრო იცემენ, ვაჭარნი ვაჭორულად და ცოდვისათვის ჩვენისა მეფისა პალატსა შემოეცივნულნი, კალმით სისხლის მღვრენი, რომლისა ზრალი ქრისტეშან მათგან იზღვოს, რომელთაც პირველად უთაონი და ოთხის კრებისაგან შეჩვენულნი, მთავრობა და მეფობა აღძრცივლინი და ყოელსა პირსა ქვეყანისასა ლუთის მიერ მონად მიცემულნი, საქართველოში უფლად და განმგედ და აზნაურად დაუფლენით, ნინაღმდეგ ლუთის ბრძანებისა და გან-რეზობამდ მსჯავრისა ლუთისა ტყმარობტად, შე იძიებს მათგან რომელნიცა იყვნენ უსახური შეყენი მათ უქმნიეს, თორემ ნახეთ აღმოხალნი, დასავალი, ბღვარი (სამხრეთი — ვი.) და ჩრდილო, სადაც აქეს სომეხსა აზნაურება. ღმერთმან განხეთქა, კაცმა ვით აღადგინოს?“ (გვ. 67).

სომეხთა ამგვარი დახასიათება ავტორის ხანგრძლივი დაკვირვების ნაყოფად უნდა მივიჩნიოთ, თუმცა შესაძლოა თხზულებაში ვე არ ასახულიყო, სომეხ მდივნებს რომ არ ემტროთ იესესთვის, როგორც ამას თვითონ გვაუწყებს. იესე ბარათაშვილის თხზულება უმთავრესად საყურადღებოა ფეოდალის ოჯახის სტრუქ-



ტურის, გაყრის ნესისა და ქონების განაწილების პრინციპის შესახებ არსებული ფაქტობრივი მონაცემებით. ავტორი ფეოდალური ზედაფენის შეხედულებას გამოხატავს ცხოვრების ნესის შესახებ, რაც კარგად ჩანს პირველი რიგში თავის თავზე ნათქვამიდან: „ჩემი ფაშა მთავარი არას კაცს არ უნახავარ, დიდი მცირე საზრდელი მივილი და ორი ჯერი არც მოვიკლი და არც მოვიმატი. ღვინო ერთი ჩარეუქი (ლიტრის ნაოთხალი - ვ.ი.) იყო ჩემი გარდადებული ჯერზედ და ამის მონამე ბევრი შექმნება, კოკაც (10 ახალი ლიტრა - საბა) დაიხარჯის ჩემს სუფრაზე ჯერზედ და ჩადი (კოკის ნაოთხალი - საბა), რა საკურეულია“ (გვ. 6). შვილებისათვის განკუთვნილ ანდერძშიც, როგორც ფეოდალური ზედაფენის საოჯახო ყოფისათვის დამახასიათებელ ატრიბუტში, მკაფიოდ ითქვა: მათ მოეალეობას შეადგენდა არსებული ქონების შენარჩუნებასთან ერთად მისი მატება, თავმდე-ბად არაეინ დაეყვებინათ, შორიდებოდნენ გადაშტეტულად ღვინის სმას, არ შესჩენოდათ ქურდობა, არ შეეპყროთ მეძაობას, შორიდებოდნენ ყუმის თამაში, ძმებ სორის არ გაღვივებულყო სიძულვილი და მტრობა, დასნაფებოდნენ სნაველა-განათლებას და მათი ქმედება სამართლიანობას დაქვემდებარებოდა (გვ. 50).

ის, რაც ავტორმა თავის თავზე თქვა და შვილებსაც უანდერძა, შეესაბამებოდა ფეოდალური ზედაფენის საოჯახო და საზოგადოებრივი ყოფის ნორმებს, გამოხატულს ყარაითიანობაში, ზნეობრიობაში, ქაბა-სმის კულტურაში.

თვით ოჯახის სტრუქტურის შესახებ ძველში უმნიშვნელო ცნობები გვხვდება. მასში აღნიშნულია მხოლოდ ის, რომ იესეს ოჯახი ითვლიდა 21 სულს, ზოგჯერ მეტსაც, ხოლო მის შემადგენლობას ემატებოდნენ მსახურნი და ძიძაც (გვ. 54). ისიც უნდა ითქვას, რომ ფეოდალური ეპოქის სხვა წყაროების ანალოგიურად იესეს თხზულებაშიც ოჯახის სახელმწიფებად გამოყენებული ტერმინი **სახლი** (მსახურების სახლსაც მე ვინახევი“, გვ. 62), ხოლო ოჯახის წევრთა შესატყვისად - **სახლუელი** (გვ. 56, 58).

საოჯახო ყოფის ლექსიკიდან თხზულებაში გვხვდება ტერმინი **ხიზანი** ცოლ-შვილის მნიშვნელობით: „ოთხი ნელინადი ქალაქში ხიზნიანი კაცისათვის უსარჩოდ ყოფა, დიდი ამბავია“ (გვ. 47). აღნიშნული ტერმინი იგივე შინაარსის მატარებელია მეორე ცნობაშიც: „ბძანდებოდა მეფე თეიმურაზ ანანურს სამს თვეს, შერშე... აიყარა და ნამობძანდა ქალაქს, დიად დიდი ხიზანი ნამოპყვა“ (გვ. 10).

ტექსტზე დართული ლექსიკონის მიხედვით, ხიზანი არის რაიმე მიზეზით აყრილი და ახალ ადგილას თავშეფარებული (გვ. 12). საბას განმარტებით, **ხიზანი** არის ლტოლვილი [ხიტყვის კონა, თბ., 1949, გვ. 467]. ნეოლოზებით წყაროებისა და ეთნოგრაფიული მასალების

მიხედვით საყოველთაოა ცნობილი, რომ ხიზანი ერთ-ერთად ადგილიდან აყრილას და სხვაგან შეხიზნულ თავშეფარებულ ადამიანს თუ ოჯახს, მაგრამ იესე ბარათაშვილის თხზულებაში ასახული ცნობები ეხება აღნიშნული ტერმინის მეორე მნიშვნელობას - „ცოლ-შვილის“ გამოხატველ ტერმინს. თუმცა, ზემოთ დამონებულ მეორე ცნობაში ხიზანი მეფის ოჯახის წევრებთან ერთად გულისხმობს მის ამაღლასაც, რამდენადაც აქ ხსენებულია დიდი ხიზანი - ხალხის სიმრავლე.

ძველში ასახული ფაქტობრივი მონაცემების დიდი ნაწილი ეხება ოჯახის გაყრასთან დაკავშირებული საკუთრების ხასიათს. ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ საოჯახო ქონების განაწილებისას შონილის უფლებით სარგებლობდნენ როგორც კაცები, ისე ქალები. იესეს შამის დანატოვარი ანდერძის თანახმად, იესე დიდი ხნის გასული რომ იყო შამის სახლიდან და მამასთან ასაკვიდრებელი აღარ გაჩნდა, ამის გამო მისმა მამამ დასაშვებად მიიჩნია იესესთვის ნილის მიცემა გარკვეული პირობით: „თუ მოვა და თავის საქონელს შემორთავს ჩემს საქონელთან და მასუკინ, რაც ერთს ქალს მიეცეს, მასცა მისი ოდენი ნილი მიეცეს: ოთხი ქალი მყავს, ერთი ვაჟი და ერთი იესე იყოსო; ექვსთავ სწორედ გაიყონ და ბალი ჩემის მუღულისათვის და ჩემთვის დაგვიჭერიაო სამარხადო და ვალი მმართვეს, ქვემო მოედნის დუქნები გაიყიდონ და მით მისცენო“ (გვ. 22-23).

დედისა და დების უარის გამო საქონლის შეზარება არ მომხდარა და იმ დროისათვის იესეს საქონელი არც უყოლია, მაგრამ შამის სული ანდერძის ამ პუნქტის შეუსრულებლობის მოუხედავად ქონება ექვს ნაწილად გაუყვიათ ორ ძმას (იესე, იოანე) და ოთხ დას. ამის შემდეგ და-ძმებ სორის მომხდარი შეთანხმების საფუძველზე იესეს და-ძმებისგან უთვარამ შეუსყიდია. რაც შეეხება შობობების ნილს, ამის შესახებ იესე წერს: „მამა ჩემი სახლიდან დამარბულიყო და ბალი დედაჩემს ეჭირა. დუქნები ვალისათვის აიღეს შედენისა. სახლი ექვსად გაყვეს და მეექვსედი, ეზოში პანანა საწოლი რომ არის, ის მერგო; მაგრამ მითბრეს: თუ ორის ქალის ნილს შეიყვიდი, შენი საწოლი აიღე და გზას მოკცემოთ, თუ არა და აქ დადეგი, ეზოში რომ საწოლიაო. სამწყსო და სახლედი და ტბისის ვენახი და გამოჩინებულისა და ნიგნები და შესამოსლები იოანესა და მე მოგცეს საკუთრად. მამისდაბა დაფასეს და მე მომყიდა. ოთხ თუმნად ჩაადგეს. რაც ნილი მერგებოდა, ის გაუშვეს და სხვას თეთრს თხვად დაიჩინეს და ესეც მითბრეს: თუ გინდა სახლის ნილი რაც გერგო, ეგ საწოლი გაუშვი, ველი აიღო და თეთრად აღის გვიწდაო... თუ რამ ან მათგანები იყო, ან საბნები, ან ორბოები, ან ქეჩა, ან სპილენძი, ან ვერცხლი, ან ოქრო, ან ზანდუკის იარაღი, მოტანეს გასაყრელად. მე ჩემი ნილი არ მინდომებია, ყოველივე ქალებს მიუტყეე და ნამოველ: სამწყსოს ნილი დაედეგა ჩემს შვილ-

ბს, სასახლისა და სოფელი კი თვითონ ვიყიდვ; მაგლობა მივეც ღმერთსა, რომ მაშის წყობის შეილობაში კიდევ ფერჯი შევდგი და ვიყავ ჩემთვის” (გვ. 24).

როგორც აღწერილი ვითარებიდან ჩანს, ქონება მონილე დაძმებს შორის თანაბრად იყოფოდა, მაგრამ ქონების ნაწილი მშობლებს-სთვისაც გამოიყოფოდა. ამ პრინციპით ქონების განაწილების შემდეგ ერთმანეთთან გარიგების საფუძველზე ხდებოდა ქონების შესყიდვა თუ გაცელა-გადანაწილება. რაც შეეხება ლოგინს, ორბოებს (ზაოიანი საფენი – საბა სიტყვის კონა, 1949, გვ. 268), ქუჩას, სპილენძს, ოქრო-ვერცხლს თუ ზანდუკის იარაღს, ესეც ნიღზე იყოფოდა. ამ ნებს არ ცვლის ის ფაქტი, რომ თვით იესემ თავისი ნიღი ქალებს დაუთმო.

ქონების გაცოფის წესის შესახებ საყურადღებოა ცნობა შემდეგში პერიოდის შესახებაც, როდესაც იესეს დევის გარდაცვალების შემდეგ ძმების მოსარგებლად მოსამართლენი შარიონსა-სახალგ სიონისა და ბალი შევაფარდეთ და იოანეს ვარჩევინეთ. იოანემ სახლი ირჩია, დამარსა ბალი მე. სხვა რაც იყო, შუა ვაყონ: ბიძის სახლი, ქალაქს ვარეთ მამულები, შესამოსი, წიგნები, სამწყსო სახელოები ტფილელისა და სხვა რამ ფერი ვეღლა სახაზევროდ დიადევა, სიონის სასახლე ში თუმნად იყო ვიროდ, ვალი ავლო, ში თუმანი მოვეც; დაუხსენ და მივბარე.

თუმცა იოანე არ ამბობდა, მაგრამ ვითონივე სწორწინდენ, ბაღში იესეს ნიღი არა აქესო; მაგრამ როდესაც ტფილელს ყოველიფერი მოვარსებ, ან როგორ ჩემი ვაკეთებულა, ან ბალი რომ სამართლის საფენი, ან სახაზელ, რომ ნახევარი ჩემი ამწებულა და დები ჩემი გათხოვულა, რომ იოანესი შაურ არ დახარჯულა და მამა და დედა სახლიდან დამარხულან, და ბალიდან არ დამარხულან, დუქნები ვაცივდე, ზოგი სხვა უქონდათ მე რომ მაშისდაბაში თვითი მოვეც და სახარების თარგმანი ვაყიდეს, 1 თუმანი ამისი ვრგოთ, ესენი უქონდათ და ამით დომარხნენ; ესენი მოვახსენე და ბალი სამშოთ დარსა და ისე ვაყეეთი” (გვ. 90).

აღწერილი ვითარების მიხედვით ქონების გაცოფის დროს ვეღლაფერი იანგარიშებოდა, მათ შორის ვაყრამდე არსებული ხარჯები, მშობლების ნიღის სახით დარჩენილი ქონება, შეძენილი ფოვლითი და ა.შ. საკუთრებისადმი ამგვარი დამოკიდებულების მაჩვენებელია ერთი ეპიზოდიც. „მამის ჩემის სასახლე ნახევარი ასე მიყიდა. ჩემი საწილი და დიდის სახლის ნახევარი ჩემია. ამას ქვეშე სახლებიც და ეზო საერთოა და იოანესი დიდის სახლის ნახევარი და ქვეშე მართანი და ეზოში პაპის ჩემის საწილი. ეზო საერთოა, მართალა, იოანეს არა დაუხარჯავს სო, თინათნი სასახლოდ არის გამოხილი და სოფია მოკედა, მაგრამ ობოლია და ნახევარი იმისია, ღმერთმან მოამაროს ნახევარი ასე ამ ვნით მიყიდა და ჩემია” (გვ. 45).

დამოკიდებულები ფაქტები იმის მუხყებელია, რომ ძმები საოჯახო ქონებას თანაბრად ინა-

ნილებდენ, მაგრამ ვაყრამდე შესყიდული მყიდველის საკუთრებად ითვლებოდა და ვასაყოფი ქონებიდან ის გამოირიცხებოდა. ასევე იანგარიშებოდა საქორნილო ხარჯებიც, რაც რომელიმე ძმამ დისთვის გაიღო, მაგრამ თუ ქალის გათხოვება მოხდებოდა ოჯახის ვაყრამდე გაუყოფელი ოჯახის საერთო სახარებით, რასაც ეწოდებოდა **სასახლოდ გათხოვება** (ე.ი. გათხოვება ერთობის სახლოდან) ეს ხარჯი ვაყრის მომენტში აღარ იანგარიშებოდა.

დების გათხოვებაში ძმის დანახარჯი რომ საოჯახო ქონების განაწილების დროს იანგარიშებოდა, ეს ჩანს შემდეგი ცნობიდან: „ანსტასია ჩემი და უწინვე ვავთხოვე რაც შემუძლო, გაატანე, რავეცი, დაებურე და ვავისტუმრე და იძის სახლი ამგვარად ვიყიდე” (გვ. 45). იესე აქ პირდაპირ ამბობს, რომ დისთვის განუღლი საქორნილო დანახარჯის სანაცვლოდ მისისა-უთარა სახლის ნაწილი ანალოგიური მიზანსისა-მეორე ცნობაც: „გარეთი კიდევ იმ შემოღვო-მანვე სალომე ვავთხოვე. თავისი ნება იყო ქმრის თხოვნა და მე რაც შემუძლო, ორი წელი ტანისაშობი, ერთი წელი ქვეშავეტი, ზანდუკი თავისის დედისა იყო. ვარჯი ქორნილი ვარდაუ-ვადე. ერთს დამეს ჩემს სახლი მეყანდენ ბატონისშვილები, დარბაისელნი. მერმე ვავისტუმრე და მისი ნიღი სასახლე ასე ამგვარად ნასყიდა ჩემი. მისი ნიღი სასახლის ფასი ამ ხარჯის მესამედც არ იყო, მარა და იყო ჩემი, რაც შემუძლო ვავისარჯე” (გვ. 46).

ციტრირებული ადგილის მიხედვით, მშობლების გარდაცვალების შემდეგ ოჯახის მართება და დების გათხოვება უფროსი ძმის მოვალეობას შეადგენდა. კონკრეტულ შემთხვევაში ეს მოვალეობა შეუსრულებია და საკუთარი ხარჯებით დებიც გაუთხოვებია იესეს, მაგრამ ეპიპენისა-ციციის სახით საერთო საოჯახო ქონებიდან სახლების ნაწილი დაუსაკუთრებია. უფროსი ძმის ასეთივე როლი ჩანს სხვა შემთხვევაშიც, როდესაც იესემ მშობლების გარდაცვალების შემდეგ დაძმებზე მზრუნველობა დაიკისრა და, როგორც ჩანს, საქორნილო ხარჯები საერთო საოჯახო სახარებიდან გაიღო. აღნიშნულის დამადასტურებელია შემდეგი ნათქვამი: „ქორანიკონს 455, იანგარს, ქრისტეს აქეთ 1767 იანგა ყოვლად ძლიერმან ღმერთმან იოანე ჩემს ძმას ცოლი მოვვარე, დაეაქორნილე, მერმუნეთ, დიდებული ქორნილი ვარდაუვადე” (გვ. 44-45). იქვე აღნიშნულია, რომ მონვეული ყყავა მეფე, დედოფალი, დიდებულები... რომ სამგალობლოც (დამკრე-ლთათვის) გადაუხდიათ, რომ „ნალარა ხანი იკროდა, ვაქუქე და ვავისტუმრე” („ნალარა – სხუთა ენაა, ქართულად **სამიხი** და **დუმბული** სქეია”, საბა, გვ. 255; **ნალარახანი** – ქრებული ყოველგვარ მოსაკრავეთა და შემუსკეთა” – ტექსტის ლექსიკონი, გვ. 11).

ფეოდალთა ყოფის შესწავლისათვის საყურადღებოა, რომ ქორნილი სამ დღეს ვაგრძელებულია, ყოველივე ეს იესემ გააკეთა, მაგრამ



ეროვნული

გარიგებაში არ ჩარეულა და შეიღებოს დაქორწინების შემთხვევაშიც ასე აპირებდა მოქცევას — თითონ ითხოვონ და მე გაეირვებო, ე. ი. ქორწილს გადაუხდო. საერთოდ კი მშობლები გარიგებაში მონაწილეობდნენ, რაც ჩანს იესეს დედის ანდერძიდან. ამ ანდერძით მან არა მარტო შეიღებო უბოძა ბაზე საკუთრება, არამედ აღნიშნა შემდეგაც: „აიანეს ცოლი მითხოვია, ჯვარის მამის დეკანოზის ძმის ნულიო. სიგელები იმას ნიშნად აქვსო, ნიშანი გაუე ზაენეთ და ის სიგელიც გამოართვითო. ერთი სახასლო თასი იყო ნიშანი ერთის თუმბისა და ორი თუმბანი თეთრი. ეს ასე გვიბრძანა: ღმერთმან ნუ ქმნასო, რომ ერთი შვილი მლოცვედეს, მეორე მხვედდესო“ (გვ. 45).

თასიც, როგორც ჩანს, სამშოდ იქცა, მაგრამ ეს ადვილი უფრო საინტერესოა საქორწინო გარიგების ნესთან დაკავშირებით. ამკარაა, დასოყრებაზე შეთანხმების აუცილებელი ატრიბუტი იყო ნიშანი, მაგრამ საინიშო ნიშნის უქონლობის შემთხვევაში სიგელის მიცემთაც აღწევდნენ პრობის განმტკიცებას. სწორედ ეს პერობა შეუხსენებია იესესთვის ქალის მხარეს და როდესაც მას შეუტყვიო ამ ქალზე ითანეს დაქორწინების სურვილი, ძმისთვის სამდღიანი დიდებულ ქორწილაც გადაუხდია, როგორც ამის შესახებ ზემოთ ითქვა (გვ. 45-46).

ამის შესახებ, თუ საოჯახო ქონებიდან ვის რამდენი უნდა შეხვედრო და ქონება როგორ უნდა განაწილებულიყო, ნათქვამია შეიღებისათვის განკუთვნილ ანდერძში: „ერისთვის ბარძმის თაუდები რომ იყო მამაჩემი, ის სამოცდაშვიდი თუმბანი გაუეიდა. ეს თაუნი და ამისი სარგებელი დიად ბევრიო. შინდისვირაად გვიწერია, რაც აქედამ გამოუდეს, ცოტა თუ ბევრი, ჩემი და ითანესა; მაგრამ ღმერთმან ნუ ქნას, რომ ქალებსაც ნილი ად დაუდვათ. იმათაც უნდა, ცოცხლებსაცა და მიცვალებულებსაცა მონჯარება. უფროსი ჩვენ და უმცროსი ქალებსა და მესამე ნილი მიცვალებულს მამასა, დედასა და დებსა მიცვალებულებსა“ (გვ. 52).

ანდერძის ეს ეპიზოდი კონკრეტულად ერთი ოჯახის ცხოვრებას ეხება, მაგრამ რელიგურ ნარმოდგენას გვიქმნის ქონების განაწილების ტრადიციულ წესზე, კერძოდ სამი კატეგორიის ნილზე, რომელთაგან პირველი იყო სამამაკაცო (მეტე), მეორე საქალებო და მესამე მიცვალებულთათვის.

ანდერძიდან კარგად ჩანს, რომ უპირატესობით სარგებლობდნენ მამაკაცები, მამული მათ შორის ნაწილდებოდა და ეს რომ გარანტირებული ყოფილიყო, ქალებისთვისაც უნდა მიეხდათ. ამის შესახებ იესე შეიღებს სიხოვს შემდეგი პირობების დაცვას: „ეთერი ხომ აღარა მამკეს, დაიხარჯა, ცოტა რამ ვერცხლის იარაღია და როგორც ამჯობინოთ, ისე გაუყავით ქალებსა. ასე უნდა ეგერი გაისტუმროთ, ჩემით იყოს თუ თქვენით და მერმე მამული სრულად თქვენ დაგარჩებათ და ღმერთმან მოგაქმაროთ. თუ არა გქონდესთ რა, როგორც

დამინერია, თითო სოფლის გამურჯულე მურჯულე თსახით გქოროსო. იქედამ იმის გამოსავალს ის აიღებდეს. მერმე რომ შეიძლოთ, თითო ზელო ტანისამოსი, თითო ზელო ქვეშაველი, ცოტა რამ სპილენძი, ესენი რომ მისცეთ საკადრისი, მერე მამული თქვენ დაგარჩებათ“ (გვ. 114).

შემთხვევითი არ არის, რომ იესე ბარბაძევილი ანდერძის სხვადასხვა პუნქტში საოჯახო ქონებაზე მამაკაცის პრიორიტეტს აღნიშნავს და ეს პირველ რიგში მამულზე საკუთრების უფლებას ეხება. ქალებისათვის კი უმთავრესად განკუთვნილი იყო სპილენძის ტურქული, ვერცხლის იარაღი, ლოვინი და ტანსაცმელი.

საოჯახო ქონებიდან მამულის ხელყოფა განსაკუთრებით მტკივნეულად აღქმებოდა. ქართველი კაცო, კონკრეტულ შემთხვევაში კი მემამულე, მამულს ხელშეუხებელსა და შთამომავლობისათვის სამშვიკიდებელი ქონებად თვლიდა, რისი დამამტკიცებელიცა იესეს ანდერძი შეიღებისადმი: „ჩემს მამულეთან ვასასყიდლათ ზელო არავის აქვს, ერთად მოუარონ მამულსა, ერთად აიღონ, ერთად ქაჟონ და მოიქმარონ თუ თქვენი შეიღნი და შეიღის შეიღნი გამრავლდნენ“ (გვ. 54).

განსაკუთრებით მკაცრად ხელდებული იყო ნასყიდობა (ნასყიდი მინა), როგორც შეიღველის ერთპიროვნული საკუთრება. ეს იყო საფუძველი იმისა, რომ ნასყიდობის პატრონს თავისი უფლებამოსილება გამოეხატა ოჯახის ნევრთა მიმართ. ამ მხრივ საყურადღებოა იესეს ანდერძის კიდევ ერთი დეტალი, რომელიც გვაცნობს არა მარტო ქონებაზე საკუთრების ხასიათს და მისი განაწილების პრინციპს, არამედ საოჯახო ყოფის ისეთ ატრიბუტს, როგორიც იყო ოჯახის მართვის სისტემა, ოჯახის ნევრთა ურთიერთობის ნორმები, განაყრებს შორის მამულის გაუყოფლობისა და ერთობლივად გამოყენების წესი, შრომის ორგანიზაცია ოჯახში და ძმებს შორის ფუნქციების განაწილება, დებობადმი ძმების ვალდებულება, მიცვალებულის დამარხვასა და სულის მოხსენიებასთან დაკავშირებული ხარჯები და ამ ყოველივე ამის შესახებ პასუხს გვაძლევს „ცხოვრება ანდერძის“ შემდეგი ადგილი: „მე ასე მნებაეს: თუ კარგნი იყენენ ყველანი, ღმერთმან ყველას ერთად მოაქმაროს. ძმებს ცოლი მოჰგვარონ, დები და ათხოონ. რემელიც კარზე გამოდგან და უფროსი თუ კარგი იქნება, ღმერთმან ასე მისცეს ჩემი მამული, როგორც მე ვიყავ უფროსი და ყველანი იმის მორჩილნი იყენენ. თუ უფროსს თაგი არა ჰქონდეს, რომელსაც საქმის თაგი ჰქონდეს, იმან ქნას უფროსად კარგი ძმის შეკითხვით და მორჩილებით და რომ ვნერ, ასე ეწერა ჩემის ნაყიდობის ერთის დღის მიწის გაყიდვა და არ იქნება, ერთის კაცისა და არც გაყოფა და გარლეჯა. ერთად მოუარონ, ერთად ქაჟონ, და ნუ გაიყრებიან. თუ ცალცალკე დადგნენ, ერთად მოუარონ მამულსა და მოსაკალს გაიყოფდენ უმფოთველად. მოყვარეს ერთად უმოყვრონ, ბატონს მსახურონ. რომელიც გამ-



ოდგეს, შინაყოს, რომელსაც შექმლოს კარზედ, რომელსაც შექმლოს ლაშქარს და ასე მშვიდობით გაატარონ სიცოცხლე და შვილებსაც ამისთანა ანდერძი დაუდგონ. გაცვლით რომ მამულზე გაცივალთ და ამჯობინოთ, ის კი არა იქნება რა" (გვ. 98-99).

ანდერძში ვრძელდება თხრობა იმის თაობაზე, თუ იესეს სიკვდილის შემდეგ ქონება როგორ უნდა განაწილებულიყო. პირველ რიგში კვლავ იმეორებს: "მამული არაიქნა გაკუიდაო" (გვ. 100) იმასაც აღნიშნავს, რომ მისი ნილიდან დარჩენილი ვალოც გავსტუმრებინათ და თუ ვაგები არ დარჩებოდენ, ნილი ქალებს მისცემოდა. ანდერძის შედგენისას გათვალისწინებული ყოფილა შვილების ამავი და ქვევაც: "ვაგები კი მანუხებდით, მავარებდით და ქალები კი მშს-ახურებდით, რომელი სამართალი იქნება, ჩემის საქონლისა სწორი ნილი არ მიცესთ? სუფრის იარაღს ზომ ვაუყოფთ, თითო ქაიცი ცხენი ვაატანეთ, ტანისამოსი, ქვეშაგები, როგორც შეიძლოთ; თუ ვერ შეიძლოთ, მამულიდან ნილი დაუდგეთ, სანამდის შეიძლებდეთ მიცემას, ვეიროსთ. მერმე პური მოგვიყავთ, ისევე ჩემი ვაყიდეთ, ზოგი ერთს ნელნიდად, ზოგი მეორეს და დაიხსენით მამული, უბრალოს ვალს ნუ აიღებთ" (გვ. 101).

შემდეგ წერს, თუ რა უნდა მოხმარებოდა მის დამარხვას და სულის მოხსენიებას. ჩამონათვალი აღწუსსულია მის მიერვე შედგენილ დეკლარაციას და ეველფერი ეს გასაკუფი ქონების გარეშე უქონდა გადადებული. აღნიშნულია ისიც, თუ ნიკო პური მოიჭრის და ვის მიერ მესრულდებოდა. შეიდას და ორმოცზე მწირველსთვის გასამრჯელოდ გათვალისწინებული ყოფილა იესეს საკუთარი თანხა თეთრის სახით, ხოლო მისი და კლების შემთხვევაში გასაკუფი ნივთები. თუ არ დაიხარჯებოდა მისი ტანსაცმელი, უნაგირი თუ ორთუქი (ცხენის ვაგის საფარი) – საბა, გვ. 265), ყველაფერი ეს ქალებს გადასცემოდა (გვ. 101).

აღნიშნული ფაქტობრივი მონაცემების ციტირებამდე აღვნიშნე, თუ როგორ მნიშვნელოვანია ეს მონაცემები საოჯახო ყოფის შესახებ და როგორ დიდ როლს ითავსებს უფროსის პრივილეგიის საოჯახო ქონების განაწილება-მომხარებასთან დაკავშირებით. ამ მხრივ თხზულებიდან კიდევ ერთი ადგილია საყურადღებო. ამგორი სამდურავს გამოხატავს ცოლ-შვილის მიმართ უყიარათო ხარჯების გამო და შენიშნავს: "ამ ყოფით მშოვნელს კაცს ნება აქვს თავისის ნასყიდობისა, როგორც უნდოდგეს ისე ვაარდოს" (გვ. 96) აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ნასყიდობა მისი შემქმნის ინდივიდუალური საკუთრება იყო და შეიძლება მისი მიცემა-არ მიცემაც მის უფლებამოსილებას შეადგენდა.

უფროსის პრივილეგია და მემკვიდრეობის შორის ქონების განაწილების პრინციპი კარგად ჩანს შთამომავლობისათვის განკუთვნილ იესეს მამის ანდერძიდანაც. იგი შვილებს, შვილიშ-

ვილებს და შვილის შვილის შვილებს უბარებს ამავის დაფასებას... ყოველთავე გამცნებ, ნუ დამიკარგავთ ამდენს ქირნახულს, თორემ თუ განსჯულვისაებარ ჩემისა არ მომხმარებთ, ლუთით არც თქვენ მოგახმარებდით. თუ ერთი შვილი ცუდი კაცი გამხვალთ: – ან არხაჭარი (გარყვილი, ვაქნილი – ტექსტის ლექსიკონი, გვ. 109), ან მეძაგი, ან მპარაგი, ან ლოთი, ან ყუმარბაზი, ან თავდებად დამდგომი იყოფდეთ, ჩემი ანდერძი იმას ნაართმევს და კეთილს შვილს მისცემს ყოველსავე" (გვ. 43).

ამ შემთხვევაშიც ნათლად გამოჩნდა, რომ უფროსის ანდერძი ფეოდალის ოჯახის რეგულირებაში მნიშვნელოვან ატრიბუტს შეადგენდა და სამემკვიდრეო ქონების განაწილებაში განმსაზღვრელ პირობას წარმოადგენდა მემკვიდრის პირადი ღირსება, ქვევა და ზნეობა.

ქონებრივი ურთიერთობის სფეროში კანონის ძალა ენიჭებოდა დედის ანდერძსაც. თხზულებაში აღნიშნა, რომ ქმრის სიკვდილისა და ოჯახის გაყრის შემდეგ იესეს დედის საკუთრებაში იყო ბალი, ხოლო შემდეგ, დედის ანდერძის საფუძველზე, მის შვილებს დარჩენილი: "დედა ჩემი რომ მიიკვალა, ერთი თუ მანამ ავადმყოფსვე მივართვი სახარჯოდ და პანა, რომ ბალი თქვენ ორთავე იმათათვის მიანდერძებიაო" (გვ. 45). ბალს, როგორც ცნების ერთობლივ საკუთრებას, უწოდებს **საძმო**: "ქალაქს ბალი ჩემი და იოანესია, საძმო არის" (გვ. 52). ამასთან ერთად ანდერძში ნათქვამია: "დაბლა ქალა რაც გვერგება ჩემი და იოანესია. სახლთხუცესობა და მდივნობა, ლილოს მოუარობა, მავრობისა, საშწნოს კეთილი და საუკუნო საუნჯე სიონში, სასახლე, ესენი ყველა ჩემი და იოანეს საძმოა, ნახევარი ჩემი და ნახევარი იოანესი" (გვ. 52).

დამონებული ფაქტობრივი მონაცემების მიხედვით, საძმოდ წოდებული ქონება ძმების ერთობლივ საკუთრებას წარმოადგენდა, რაც მათი გაყრის შემთხვევაში თანაბრად უნდა განილებულიყო.

საოჯახო ყოფის შესახებ არსებული მონაცემებიდან უსათუოდ საყურადღებოა ანდერძის ერთი საბეჭობაც, რომელიც გვაცნობს ნაშრომ-ნაღვენი ადამიანის ბერად შედგომის პრობლემას. თხზულების მიხედვით იესე შვილებს უბარებს, რომ ნი წლის ასაკიდან დაუტოვოს სოფელსა და ნავალ, ჩემს სულს მოუვლი. აქვე სიონში ჩოქას ვიყოთხებ, აქვე ვანიძრცივი საშუდროსა ყოველსავე, აქვე დაუტევებ, წინამე შეიფისა და ლაშქართა მოგეშობ, ყოელსა ცხოვერება ჩემსა მათს წინ მოგაბარებ, მათს სიძალდეს შეფეთა და მეფის ძეთა და მთავართა მიგაბარებ, შევაკედრებ, ჩავიცვამ ჩოქას, ერთს ვჯობ და ვიქურ და ნავალ ჩემთვის, სანამდის ჩემი სიცოცხლე გესმოდესთ, რაც ჩემის მამულის ვერგოსთ, თეთის ნილს თქვენთვის იანგარიშებდეთ, რამდენიც იყენეთ, ერთს ნილს მე მომხმარდიდეთ, წელიწადში ერთს ჩოქას და ერთს შიგნით ტანისამოსს და თუ მოვიდეთ, სახ-



რდელსაცა, ხანამ სიცოცხლე გესმოდესთ“ (გვ. 53).

როგორც ჩანს, ცხოვრების წესის შეცვლა აქ აღნიშნული პირობების დაცვით ჩვეულებრივ მოუწუნას წარმოადგენდა და პიროვნების ამგვარ გადაწყვეტილებას ვერ შეენიხებამდეუტეობდნენ, მაგრამ სხვა პირობები იყო დაკლები იმ შემთხვევაში, თუ პიროვნება (სახელდობრ იესე) კრისკაცობაში გარდაიცვლებოდა და „მონაზონების მადლს“ ვერ ეღირსებოდა, „პაპა ჩემთან ან მამა ჩემთან მიმიღეთ, მარმაროლოს ქვა იმოუთ, ზედ დასწერეთ ჩემი ამბავი, როგორც იყო და ნიშნად დამდევით და ჩემს სულს ასე მოუარეთ, ან როგორც დამინერია და ან როგორც მნებაეს აღწერა“ (გვ. 53). იქვე წერს, თუ ქონების რა ნაწილიდან გაიღონ საფლავის ხარჯები: „ნაწილისა მის ჩემისა, რომელიცა გარდაუტყოთ ჩემთვის სყიდულისაგან ჩემისა ესრეთ იქნეს: რომელიცა მამისა და პაპისა ჩემისა დამშთენია, შეიღწო ჩემო, იგინი ხომ არ ნამინყმედია, ისევე გაქვთ, იმისგან მენურას მოშავებთ, ყოველივე თქვენი იყავნ, მე მამისაგან დამრჩობია, თქვენ ჩემი დავრჩეთ; და რომელიც დიდის ქორით და საქმის გაჭირებით მიყიდია, რას შემართლებით, მეც არ მომიზლოთ? ქემმარიტად მე რაც მამის ჩემისა მერგებოდა, პირველად მისთვის წარვაგებდი და მერმე რაც დამრჩებოდა, თავად იმის ობლებს მოუნდებოდა და თუ ყურქენს შევქამდი, შენდობით და კურთხევით მოვიწყნებდით“ (გვ. 53-54).

იქვე ბარათაშვილის „ცხოვრება-ანდერძი“ საოჯახო ცხოვრების განხილულ კომპონენტებთან ერთად ნათლად გვაცხმობს საადგლომამული ურთიერთობის ფორმებს, სახელდობრ მინის ყიდვა-გაყიდვის წესებს და მასთან დაკავშირებულ უფლებებს, რომლის განმსაზღვრელი ფაქტორიც იყო პეროვოგატიანათესაობის კატეგორიების მიხედვით. აღნიშნულობიდან ჩანს, რომ მინის ყიდვის უფლებით პირველ რიგში აღჭურვილი იყო ნათესავი. ცხადია, უპირატესობით სარგებლობდა ოჯახის განაყოგი, რომლის დაუკითხავად მამულის გაყიდვის საკითხი არ დგებოდა. აღნიშნულის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ საღორისად ნოდებული ადგილის ყიდვა დედად იესეს შესთავაზა: „ამ ჟამს დედა ჩემს კაცი მოვეზავნა ქვემო შეიღწეს დუქნებს ყყიდა და იყიდეთ. მე ამის მეტი არა მოვახერხებ, ამდენი ვალი მმართებს, სყიდვით ხომ ვერ გაჰყიდით და ლუთის მოწყალეობით ვიშორე მაგის თორას, მე მოვათმევე, მაგისთანა არა გიჭირსთარა, რომ ასის თუშნის მამულს ხუთ თუნნად აძლევთ. მეგ პირობით არ არის მოცემული მეთქი. ბევრს ვისმე შეთავაქუს. მაგრამ ჩემ გამო არავინ იყდა: — თუ იესეს ნება არ არის, ვერ ვიყიდით. მეც უარი არ მითქვამს, — ცოტა ხანი დამაცალეთ მეთქი. მერმე მე კახეთს ვახლდი ბატონს, კეზეურელს ეყიდნა, მაგრამ არც დეკანოზს, არც საყდრის კრებულს, არცა ვის სხვას

მართებულს ყაცს ბეჭედი არ დაესვათ, ჩამოვლელ მამინვე კაცი მივეზავნე, — შენ ჩემს მამულს არ დაგანებებ, შენი თეთრი ნაილე მეთქი. შემოთვალა: როცა ჩემს თეთრს მომცემ, შენს დუქნებს დაგანებებ. ამ სიტყვაზე დაედეგ და აღარ აეჭვარდი“ (გვ. 40).

დამონმებული ფაქტი საქართველოში საყოველთაოდ ცნობილი იმ ტრადიციის არსებობის დამადასტურებელია, რომ მამულის თუ სხვა სახის ქონების გამყიდველს ყიდვა პირველ რიგში ახლობლებისათვის უნდა შეეთავიზებინა. ამ წესის უგულებელყოფის შემთხვევაში ყიდვა-გაყიდვის გარიგება გაუქმდებოდა და უცხო პირის ნაცვლად მამულს ახლობელი შეისყიდვდა. შემთხვევითი არ იყო იესეს ნათქვამი დედის მიმართ: „სყიდვით ხომ ვერ გაჰყიდით... ჩემ გამო არავინ იყიდა: — თუ იესეს ნება არ არის, ვერ ვიყიდით“... მართლაც, ვინმე კეზეურელმა იყიდა, მაგრამ არ დაუბტკიცეს... იესე მაც შეუთვალა: „შენ ჩემს მამულს ვერ დაგანებებ, შენი თეთრი ნაილე მეთქი“...

დამონმებული ფაქტობრივი მონაცემებით ილუსტრირებულია საადგლომამული ურთიერთობის მოქმედი წესი ფეოდალურ საზოგადოებაში, რის შესახებაც ითქვა აღნიშნული მონაცემების მიმოხილვამდე.

თხზულებიდან ისიც კარგად ჩანს, რომ მამულების ყიდვა-გაყიდვა მხარეთა შორის მოლაპარაკების შემდეგ სიგელით ფორმდებოდა. ამის კონკრეტულ მაგალითად წარმოგვიდგება გარიგება მანუჩარ სოლოლაშვილსა (გაყიდეული) და იესე ბარათაშვილს (მყიდველი) შორის. სიგელი საყურადღებოა იმიტომაც, რომ მასში ნაჩვენებია ყველა მამულის სახეობის სახელწოდება: ყველა მე მომცა, ტანგავითი ნახევარი და საუფროსო თავის სასახლით; ასურეთი მეოთხედი და საუფროსო, შინდისის მეოთხედი და საუფროსო და ნასყიდობა; ტახახმელის მეოთხედი და საუფროსო და ნასყიდობა ასლამახისგან სასახლისა დამინერია, საღორისის მეოთხედი და საუფროსო და ნასყიდობა, ასე რომ შინდისი, ტახახმელა და საღორისი ნახევარი თავეთი მამის ნილე იყო, და ნახევარი თავეთის მამის შმის ელიზბარისაგან ეყიდათ, ტანგავითი და ასურეთი ნასყიდი მქონდეთ, ზოგი აბღულა ბეგისაგან ეყიდათ, ზოგი ლამპარნივისსაგან. ეს ნილე დამინერინა, დამიბეჭდა, მომცა და ნაიდა“ (გვ. 41).

სიგელიდან ჩანს, რომ მამული ერთ შემთხვევაში ატარებდა გეოგრაფიულ სახელწოდებას და, ამდენად, ეს სახელწოდება იყო ტოპონიმი, ხოლო მეორე შემთხვევაში სახელწოდება მამულის სოციალური კატეგორიის, მისი რაობისა და სახეობის გამომხატველი იყო. ამ უკანასკნელს მიეკუთვნება ნასყიდობა და საუფროსო, რომელთაგან პირველი მძევნის მარჯვენებელი იყო, ხოლო მეორე უფროსის პრიორიტეტის გამომხატველი, ჩვეულებისამებრ საუფროსო ერთა ოჯახის გაყრის დროს უფროსისთვის განკუთვნილ ნილს, ამ შემთხვე





## არჩილ სულაკაური-75

თამაზ ჭილაძე

### არჩილ სულაკაურის გახსენება

რაც უფრო მეტი დრო გადის არჩილ სულაკაურის გარდაცვალებიდან, მით უფრო იზრდება სინანულიც — ის ხომ იმ რჩეულთა რიცხვს ეკუთვნოდა, ასე მტკივნეულად რომ აკლია და ასე მტკივნეულად ჭირდება ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს სინამდვილეს. ინტელიგენტურ ოჯახსა თუ გარემოში აღზრდილი, თავად სულით ხორცამდე ინტელიგენტი, მოწოდებით თითქოს თავისი გენეტიკური ნინაპრების დიად საქმეს აგრძელებდა — ისიც მწყემსი იყო, ოღონდ მწყემსი ქართული სიტყვისა, ქართული აზრისა, ქართული ღირსებისა და სრულებითაც არ ვიქნები პათეტური, თუ ვიტყვი: მწყემსი ქართული მინისა! მართლაც, შესაშური მგზნებარებით, თუ შეიძლება ითქვას — მგზნებარე გონიერებით უყვარდა თავისი ქვეყანა, მისით სულდგმულობდა, მისით არსებობდა და ღირსეული მოქალაქე იყო არა მარტო ჩაბნელებული, გაღატაკებული, დამცირებული, დაფლეთილი სამშობლოსი, არამედ იმ ქართული სახელმწიფოსიც, რომლისკენაც მიიღტვოდა და ოცნებაში წარმოედგინა, როგორც მხრებგაშლილი, ნამდვილად თავისუფალი, მსოფლიოს კულტურულ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული, სინათლით სავსე სამყარო.

ასე დაუდგა მწყემსად, მე ვიტყვოდი — გადამრჩენ მწყემსად მოევიწია „მნათობს“, ჩვენი სულიერების ერთ ეკლესიას, ახალი ქართული ლიტერატურის მფარველსა და მატთანეს; დიდებული ჟურნალი გაქრობას გადაარჩინა იმ სიბნელებში, რომელიც სამოქალაქო ომის შედეგად დამკვიდრდა საქართველოში, განუკითხაობისა და სისასტიკის, უფიცობისა და ნიჰილიზმის აღზევების ხანაში, რომელიც, სამწუხაროდ, დღესაც გრძელდება. ასევე უნდა ვუმადლოდეთ მას. ჩვენი ეროვნული საგანძურის შენახვას, მოვლას და ისევ თავის სახლში, ანუ ჩვენს გულებში დაბრუნებას. ვკლვისხმობ ქართული პოეზიის თხუთმეტომეულის გამოცემას.

ყველა ხალხს გააჩნია თავისივე ოცნებებითა და სიზმრებით მოქსოვილი სამყარო,

კალმით, ფუნჯითა თუ საჭრელით შექმნილი მკორე სინამდვილე, რომელშიაც ითქვამს კიდეც ყოველდღიური ერთფეროვნებით გატანჯულ სულს. ჩვენი ხალხის სიზმარეთის, მართლაც რომ ჯადოსნური ქვეყნის, ერთ-ერთ კედელს მან პატარა ბიჭი მიახატა, რომლის სახელიც დღეს ჩვენში ყველამ იცის — დიდმაც და პატარამაც რომელიც სამუდამოდ შერჩება კიდეც ამ კედელს, ანუ ხალხის ხსოვნას. თვითონაც სიკეთისა თუ თანაგრძნობის, სიყვარულისა და ნუგეშის საღამური უყვრა ხელთ, მხოლოდ რჩეულთა რომ მიანდობს ხოლმე განგება და მისი ხმა, თითქოს გაურთხილებასავით, ყოველნამს ჩაგვესმის — როგორმე შევინარჩუნოთ ჩვენი სული ისეთივე სპეტაკი, როგორც გამჩენმა ჩაპუერა თიხისაგან გამოძერწილ ჩვენს სხეულს, ანუ შევინარჩუნოთ ამ ქვეყნად ყველაზე ჩვეულებრივი და ამავე დროს ყველაზე რთული რამ — ადამიანობა!

რეპრესირებული მამის შვილს განამებული ბავშვობა და სიყმანეილე პქონდა, შეიძლება ამითაც აიხსნას მისი სწრაფვა ზღაპრული სამყაროსკენ და შერჩევისკენ. ტოლსტი ნერად, ანდრესენი მარტოხელა იყო და ამიტომ უყვარდა ბავშვებიო. ის, რა თქმა უნდა, დიდი დანიელი მეზღაპრისგან განსხვავებით, ცხოვრებაში მარტოხელა არ ყოფილა, უძვირფასესი, გამგებნი მახლობლები ეხვია გარს, მაგრამ რას გაუგებ ტყუშარიტი შემოქმედის ბუნებას, ვინ ჩასწვდენია მის საიდუმლოს! ასე იყო თუ ისე, მისი ცხოვრება ადვილი არ ყოფილა, ბევრი წინააღმდეგობის გადალახვა მოუწია. გამოჩეულად ნიჭიერსა და პრინციპულ პიროვნებას, მეგობრებთან ერთად, რასაკვირველია, მტერიც საკმაოდ ჰყავდა. პოეტების მტრები კი, რატომღაც, ყველგან და ყოველთვის განსაკუთრებული დაუნდობლობით გამოირჩევიან.

თუმცა არაფერი ამქვეყნად ისე პირობითი არ არის, როგორც ბედნიერება, მაინც ალბათ ბედნიერი იყო — დროს გრძნობდა ერთბაშად, მთლიანად, მთელი ძალით,



დრო, ადიდებულ მღვრიე მდინარესავით, თუნდაც მის მოთხრობებში სულჩადგმული მტკვარივით, იღვრებოდა მის არსებაში, მისივე სიტყვით: „ოთხივე მხრიდან“. დრო მის გულზე გადადიოდა და, მართლაც, მდინარესავით ზედ იმ ცხოვრებისეულ შლამს ტოვებდა, საიდანაც ახალი სიცოცხლე აღმოცენდება ხოლმე. და აი ამ ერთმანეთში გაზავებული ტკივილითა და სიამით საესე ნუთებში თითქოს დაეძებდა და ნატრობდა ბავშვობის უმნიცვლო სიზმრებს:

„არა იმიტომ, რომ დავიღალე და მინდა, ძილში მოვიტყა ხელი. ო, ღმერთო, ერთხელ მაჩვენე კიდევ ძველი სიზმარი. ო, ერთხელ, კიდევ მარადიული ძილი მეწვევა, ვაძრე ჯერ კიდევ შემოძლია გამოღვიძება!“  
 დღითი დღე იზრდება სინანული მეთქი, ვთქვი, ასევე იზრდება ის სიცარიელეც, რომელიც მან ჩვენს გულებში დატოვა. სახელი – არჩილ სულაკაური – თანდათანობით კიდევ უფრო გაბრწყინდება, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდება, როდესაც ცოტათი მაინც გონს მოვეგებით, როდესაც

ჩვენს ძირითად საქმეს, ღმერთისგან მოზომილი, დაკისრებული მისიის შესრულებას შევეუდგებით, ანუ ქართულ კულტურას, მწერლობას მივუბრუნდებით, როდესაც, ბოლოს და ბოლოს, მივხედვებით, რომ სწორედ ეს არის ჩვენი გამაერთიანებელი, გადაიმრჩენი ძალა.

სიკვდილი გვანათავისუფლებს მტრებისგან და გვძენს მარადიულ მეგობრებს. დღითი დღე ახალი და ახალი მეგობარი გაუჩნდება მის შემოქმედებას, თუნდაც იმიტომ, რომ ქეშმარიტი ნიჭით აღბეჭდილი შემოქმედება ყველა თაობისთვის ერთნაირად თანამედროვეა.

ეს პატარა ნერილი-გახსენება მისივე ლექსით მინდა დაეამთავრო:

„ქვევანად რაიმე მაქვს, თუ არა მაქვს, მე მდიდარი ვარ, მამულა, შენით!  
 ჩემი სიშწირის დასაფარავად უკვდავი ხელით ბოლომდე მშველი.“

ბოლომდე მშველი ანდა მიშველი, ოღეს შენს ზონას მიმიღებ მსხვერპლად, ოღეს კივილი ხულის შიშველის მოუფინება შენს მიწას ფერულად“.

5.02.02.





# ხელოვნება



მანანა ანდრიაძე

## „უფალი — ქალაქი, ჩემი, ჩემი ბალობა უფალია“

ქართული პროფესიული მუსიკის უძველესი ტრადიციები, ისევე, როგორც სხვა ევროპული მუსიკალური კულტურებისა, სასულიერო მუსიკასთანა დაკავშირებული.

საეკლესიო მუსიკის მეცნიერულ კვლევას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული სამუსიკო ტრადიციების გამოვლენის და ზოგადქრისტიანულ კულტურაში მათი ადგილის მიკუთვნების თვალსაზრისით.

ექვს არ იწვევს ის გარემოება, რომ მსოფლიო ხელოვნების ისტორია არ იქნებოდა სრულყოფილი ქართული ხელოვნების გაუთვალისწინებლად. ნაკლები იქნებოდა ქრისტიანული ლიტურგიკული პოეზია მაღალმხატვრული ქართული ჰიმნოგრაფიის გარეშე არამარტო ორიგინალური, არამედ თარგმნილი ძეგლების გამოც. ბოლო დროს აღინიშნება ბიზანტიანობის საგრძნობი ინტერესი ქართული ლიტურგიკული ძეგლებისადმი. ეს ვასაგებიცაა — ქართული ხელნაწერები შეიცავენ ადრეტიზანტიური ლეტისმსახურების ამსახველ იმეით მასალას, ბერძნულიდან თარგმნილი საგალობლების უდიდეს რაოდენობას. აღსანიშნავია, რომ ბერძნული დედნების უქონლობის გამო ქართული ხელნაწერები, ხშირად, პირველწყაროს აღდგენის ერთადერთი საშუალებაა.

ასეთივე დიდმნიშვნელოვანია ძველი ქართული პროფესიული მუსიკის როლი ქრისტიანული სამყაროს და მსოფლიოს მუსიკის ისტორიაში. სამუნებაროდ, ქართული ლიტურგიკულ-მუსიკალური ძეგლები დღესდღეობით არასაკმარისადაა შესწავლილი. მიზეზი იმისა, რომ ქართულ სასულიერო მუსიკას ჯერ არ დაუმკვიდრებია შესაფერისი ადგილი არამარტო მსოფლიო, არამედ ეროვნული მუსიკის ისტორიაში, ცნობილია. სახელმწიფოებრიობის დაკარგვას თან მოჰყვა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება. კირით შეთეთრებული ფრესკების, მომინანქრებულ ხატთა გაძარცვული კარედების და დარბეული წმინდა საგანძურების შემდეგ ჯერი ქართულ საგალობლებზე მიდგა. გალობის ტრადიცია დაცემის გზას დაადგა. ჩვენი საუკუნის დასაწყისში (1917 წლის 25 მარტს) აღდგა ავტოკეფალია, მაგრამ ახალმა იდეოლოგიამ რელიგია ხალხის ბანგად შერაცხა.

ამრიგად, ის 200 წელი, რომელთა განმავლობაში სხვა ქრისტიანულ ერებს ჰქონდათ საშუალება თავისი სასულიერო მუსიკის ფიქსირებისა და მეცნიერული კვლევისა, — რომ არაფერი ვთქვათ შემდგომი განვითარების ბუნებრივ გზაზე — ქართული საეკლესიო მუსიკისათვის მხოლოდ ფიზიკური გადარჩენისათვის ბრძოლით აღინიშნა.

ამ ინფორმაციულმა დეფიციტმა შესაძლოა განაპირობა ის მოვლენა, რომელიც ბოლო დროს გაჩნდა ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიაში. არა გარედან, არამედ შიგნიდან, ჩვენი ეკლესიის წიაღში ჩისისახა ეჭვი ქართული მრავალხმიანი გალობის კანონზღვრობის შესახებ. შეიქმნა ბიზანტიური გალობის შემსწავლელი ჯგუფი, რომელმაც უარყო ტრადიციული მრავალხმიანი გალობა და მის სანაცვლოდ ერთხმიანი ბერძნული პანგის დაწვრთვას შეუდგა თბილისის რამდენიმე ეკლესიაში.

თავისთავად, ბიზანტიური გალობის შესწავლას, ინტერესს ამ უძველესი მუსიკალური კულტურის მიმართ, არაფერ შეიძლება შეენინააღმდეგოს და სადაოც არაფერი იქნებოდა, თუკი ჯგუფის მოღვაწეობა ამ გზით წარმომართებოდა. რეალურად კი მოხდა ისე, რომ მათი თაოსნობით ქართულ საგალობელს შეუცვალეს პანგი და მრავალხმიანი ქართული გალობის სანაცვლოდ ერთხმიანი ბერძნული გალობის დამკვიდრებას ცდილობენ.

პანგის დადება საგალობლის ტექსტზე ღრმა განსწავლულობას და პროფესიულ ცოდნას მოითხოვს. ამ ტიპის სწავლულები საქართველოში



მეხელეობად ინოვაციები და მათი მოღვაწეობის შესახებ ცნობები პირველ ათასწლეულის ბოლოს უკავშირდება. მეხელეობის მოღვაწეობის შედეგია ცნობილი მუსიკის იადგარები, სადაც ფიქსირებულია ნეგატივად წოდებული სამუსიკო ნიშნები.

მაშასადამე, საგალობელზე პანგის დადება ყველას როდი ხელენიფება. მხოლოდ სწავლულმა იცის ის წესი, რომელიც არ დაარღვევს საეკლესიო მუსიკის კანონიკას.

ვიზიადან ჯერ არ არის მიგნებული არც ერთი სპეციალური ძველი წერილობითი ძეგლი, რომელიც წარმოადგენას შეგვიქმნიდა ქართული მუსიკის განვითარების გზაზე, ან მის ცალკეულ ეტაპებზე, შუა საუკუნეების მუსიკის სფეროში არსებული ინფორმაცია უნდა ვეძიოთ ლიტურგიკული და პიმნოგრაფიული ძეგლების მინაწერებში და ანდერძებში დაცულ სხვადასხვა ტიპის განმარტებებსა და შითითებებში. ჩვენთვის ძვირფას ცნობებს შეიცავს იმ ცალკეულ მოღვაწეთა მიმკვიდრება, რომელთა მიზანს არ წარმოადგენდა სპეციალური მუსიკალური თხზულების შექმნა, ამიტომ მუსიკალური ცნებები მოტანილია ხან ძირითადი საკითხის განმარტებისათვის (მაგ. იოანე პეტრიწის „განმარტებანი“), ხან პიმნოგრაფიული პოეზიის კანონების ახასსნელად (მიქაელ მოდრეკილის „იადგარი“, გიორგი მთაწმინდლის „თუხნები“), ზოგჯერ კი მუსიკალურ-ლიტურგიკული ქმედების დასაზუსტებლად (იოანე-ზოსიმეს „საგალობელნი იადგარნი“, იერუსალიმის ლექციონარის ქართული ნუსხების, იადგარების და ტიპიკონების გადამწერთა და შემდგენელთა მითითებები). ყველა აღნიშნული პიმნოგრაფიული კრებული XIX ს. შუა წლებამდე (როდესაც ქართულ საეკლესიო მუსიკაში ფეხს იკიდებს ხუთხაზიანი სანოტო სისტემა) წარმოადგენს ერთადერთ მასალას, რომლის საფუძველზე შეიძლება გამოვიკვლიოთ წმინდა მუსიკალური ასპექტი ქართული გალობისა.

რა მნიშვნელობით იხმარებოდა ძველ ქართულ ენაში სიტყვა გალობა? ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“, „გალობა“ ორ დამოუკიდებელ

ლექსიკურ ერთეულადაა მოცემული. პირველი „გალობის“ მნიშვნელობაა: „ფსალმუნება“, „მაქებლობა“, „მღერა, კურთხევა, მხიარულება“. მეორეა კი: „კურთხევა, ქება, სიმღერა“. ილ. აბულაძე ყოველი სიტყვის განმარტებას თან ურთავს ამონარიდებს ძველი ქართული მწერლობის ძეგლებიდან. საგულისხმოა ის, რომ ხშირად, ნიშნულად აღებული ერთი და იგივე წინადადება მოტანილია ორი სხვადასხვა რედაქციიდან, რაც განსამარტავი ერთეულის მნიშვნელობას უკეთ გვაგებინებს (სინონიმების შედარებით). ასეა სიტყვა „გალობასთან“ დავაშირებით მოტანილ ნაწყვეტებში: „ინყეს გალობად ფსალმუნითა ამით“, სხვა რედაქციაში იკითხება: „ინყეს ფსალმუნებად ფსალმუნსა ამას“. „გალობის დებორა და ბარაქ“, მეორე რედაქციაში თარგმნილია, როგორც: „იმაქებლა დებორა და ბარაქმან“. ზემოთმოტანილ მაგალითებში „გალობა“ ფსალმუნების, ქების, მღერის მნიშვნელობითაა ნაზმარი. კურთხევის აზრით სიტყვა „გალობა“ მოცემულია შემდეგ ამონარიდებში: „უგალობდით (ვაკურთხებდით. მ. ა.) უფალსა გალობითა (სიმღერითა) ახლითა“; „იგალობა (იმღერა) ისრაელიმან გალობაჲ (კურთხევაჲ) ესე ჯურღმულსა ზედა“.

თანამედროვე ქართულ ენაში ხშირ სათქმელი მუსიკის აღსანიშნავად ორი ძირითადი ცნება არსებობს: გალობა და სიმღერა. პირველი მათგანი მხოლოდ სასულიერო მუსიკაში გამოიყენება, მეორე კი — საეროში. გალობის რაობის ერთ-ერთ უძველესი ენციკლოპედიური განმარტება ეკუთვნის სულხან-საბა ორბელიანს და მის ქართულ ლექსიკონში ანუ „სიტყვის კონაშია“ მოცემული. ეს ლექსიკონი პირველი არ არის მისთანებს შორის. ამაზე უწინაც ჰქონდათ ქართველებს ლექსიკონი, მაგრამ სულხან-საბას სიტყვებით, დაპარავოდათ „უკრძალველობის“ გამო: — (სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი, აკ. მანიძის შესავალი, გვ. III (თბ. 1928 წ.). „ქართულ ლექსიკონში“ მოთავსებული განმარტება სიტყვისა „გალობა“ ასეთია: „გალობა არს თვისისაგერ უკვე სიტყვისა ჳმა(ა) რა(ა)მე, ტკბილად თქმული მადლ-

1 ლმერთი საბასთან ასეა ახსნილი: „ლმერთი არს სული ნათელი დაუსაბამო და მიზეზი ყოველთა დასაბამიერთა და დაბამებელი ყოველთა; ლმერთი გამოითარგმნების ზედდა და ნეა“ (დასახ. შრ. ტ. II, გვ. 253).



ობა (ე); გალობა არს ღმრთის მეტყველებისა მალღისა(ა) ხედვისა მქონებელ იყოს; გალობა არს წმინდაჯიანი, შეწყობით აღტყვებული თვინიერ ორღანოსა, გინა ორღანოთა და მწყობრითა. გალობა არს მართლმადიდებლობითა მიერ ღმრთის მეტყველება, რომელი თავით თვისით ინე(ა)რთ(იდე)ს შენირვასა ღმრთისასა სულისა სრულისა ვის(ი)მე". — (სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული, ტ. I, გვ. 131 (თბ. 1991 წ.).

საბას ეს განმარტება „გალობის“ ოთხ მნიშვნელობას გვანდის. პირველი — „გალობა არს თვისსაებრ უკვე სიტყვისა ხმას რაიმე, ტკბილად თქმული მადლობა“ თავისთავად ცნების ორმხარეს გვიჩვენებს: ა) ჯერ მოცემულია სიტყვა გალობის ის მნიშვნელობა, რომლითაც ის იხმარება საბას თანამედროვე ლექსიკონში. ანუ — გალობა თავისთავად არის ხმით ნათქვამი სიტყვა; ბ) შემდეგ მოსდევს გალობის ადრინდელი მნიშვნელობა, რომლითაც იგი გვხვდება ძველ ქართულ ენაში: გალობა — ქება, მადლობა (მადლობა), კურთხევა. თვით საბა „მადლობას“ ასე განმარტავს: „... რა გამს მოვიწინებდეთ ქველის-მოქმედებასა ღუთისასა ჩვენდა ბოძებულსა და სიხარულით აღვიარებდეთ“. — (ს. ორბელიანი. ლექსიკონი ქართული, ტ. I, გვ. 428).

მეორე მნიშვნელობა — „გალობა არს ღმრთის მეტყველებისა მალღისა ხედვისა მქონებელ იყოს“ გვამცნობს, რომ გალობა იგივე ღვთის სიტყვაა. „მალღისა ხედვისა მქონებელ იყოს კი უნდა ნიშნავდეს გალობაში „ყოველთა დასაბამიერთა მიზეზის“, ანუ ღმერთის — იგივე „ხედვის“ გაცხადებას.“

მესამე განმარტება — „გალობა არს წმინდაჯიანი შეწყობით აღტყვებული თვინიერ ორღანოსა, გინა ორღანოთა და მწყობრითა“ — ხსნის გალობის, როგორც მუსიკალური ცნების მნიშვნელობას. ამ შემთხვევაში საბა იყენებს არა ცალკე სიტყვა წმინდა (როგორც ეს პირველ განმარტებაში იყო), რაც შას არასაკმარისად ეჩვენება: გალობის მელოდიური ბუნების აღსანიშნავად, არამედ კომპოზიციის „წმინდაჯიანი“, რაც სრულად წარმოაჩენს გალობის წმინდა მუსიკალურ ასპექტს — მომადლო ხმით გრძლად, ანუ განგრძობით და არა წართქვით (რეგიტატივით) შესრულებას გუნდის (მწყობრი), ან გუნდისა და საკრავთა

(ორღანოთა და მწყობრითა) მიერ. საგულისხმოა, რომ საბას გალობის ეს განმარტება არა აქვს დაყვანილი მხოლოდ მართლმადიდებლური მსახურებისათვის ტრადიციულ მნიშვნელობამდე. საბამ უთუოდ იცოდა, რომ გალობა სხვა ეკლესიებში, პირველ ყოვლისა, ძველი აღთქმის სამლოცველოებში საკრავთა („იარაღთა“) თანხლებით სრულდებოდა. დასადასტურებლად გამოდგება საბას ლექსიკონის ქუთაისურ ნუსხაში დაცული ვარიანტი: „გალობა არს წმინდაჯიანი შეწყობით აღტყვებული თვინიერ წმინდისა (ხაზი ჩვენია — მ. ა.) რომლისავე ორღანოსა“. — (დასახ. შრომა, ტ. I, გვ. 131). წმინდა საკრავთა სამწყობროს ხმოვანებას უნდა გულისხმობდეს, რაც სწორედ ძველებრავული ეკლესიისათვის იყო დამახასიათებელი. ყველა დანარჩენ ნუსხაში წმინდა ამოღებულია.

მეოთხე განმარტების პირველ ნაწილში ხდება ნინამორბედი ცნობის შევსება, ხაზგასმა იმისა, რომ გალობა მხოლოდ მართლმადიდებელთა ღვთისმეტყველების სახეა — „გალობა არს მართლმადიდებლობითა მიერ ღმრთისმეტყველება...“ რასაც მოსდევს გალობის სახისმეტყველებითი განმარტება: „... რომელი თავით თვისით ინვრთიდის შენირვასა ღმრთისასა ხულისა სრულისა ვისიმე“. სიტყვას ინვრთიდის, მისი არსებული მნიშვნელობებიდან, ამ უნტექსტში ესადაგება სწავლა ან სწრაფვა. — (იხ. ლია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი. 1975, გვ. 552). ესე იგი, გალობა უფლის მიმართ ისწრაფვის შენირვას სულთა ჩვენთა, ან: გვასწავლის შენირვას სულთა ჩვენთა.

ამ უკანასკნელს ეხმიანება გალობის იოანე ბატონიშვილისეული ახსნა, რომელსაც ბერი იოანე იძლევა „კალმასობაში“: „გალობა არს ხმა ანგელოსთადმი შემსგავსებული, რომელიც წინაშე საყდართა ღვთაებისათა გალობენ: „წმიდაო, წმიდაო, წმიდაო უფალო საბათო“, და ამით ის გალობა თუ არა საღმრთოთა ზედა, სხვედ არა მოიღვინს“. — (იოანე ბატონიშვილი. „ხუმარსწავლა“, ტომი II, გვ. 519). ე. ი. გალობა უფლის მიმართ აღვლენილი ანგელოსთა დასაბამიერი ღვთაების მსგავსია და მხოლოდ ღმრთის სადიდებლად ნათქვამ მუსიკას შეიძლება ეწოდოს. საგალობლის მუსიკის სფეროა, რომლის განსახორციელებაში ასე



ცხადად შეიგრძნობა სული წმიდის ზეციური მადლის გარდამოსვლა. გალობა ნამიანი მუსიკის ნაწილია, მუსიკა კი ადამიანის მიერ შექმნილ ფასეულობათაგან ყველაზე მეტად უახლოვდება ღვთიური განგებით შობილ მშვენიერებათა რიგს. იგი ისევე სრულქმნილია, როგორც ყვავილი, ცაში ლაღად მოფარფატე ფრინველი და თვით ადამიანი.

კითხვაზე, თუ როგორი უნდა ყოფილიყო თავდაპირველად გალობა საქართველოში, დ. არაყიშვილი პასუხობს: რასაკვირველია, საერთო ქრისტიანული. „საქრისტიანო მუსიკა თავდაპირველად არ ყოფილა სპეციალურად არც ძველბერძნული და არც ძველებრაული. ის წარმოადგენდა ალბათ მაშინდელ საქრისტიანო მსოფლიოში შემავალ სხვადასხვა ერის მუსიკათა შეზავებას“ — (დ. არაყიშვილი, „ქართული მუსიკა (მოკლე ისტორიული მიმოხილვა)“, გვ. 24). ამთვან არაყიშვილის მოსაზრებით, ყველაზე მეტი გავლენა ძველ ებრაელებს ექნებოდათ, რადგან ძველი აღთქმის ჰიმნები და დაეთი წინასწარმეტყველის ფსალმუნები უშუალოდ მიიღო ქრისტიანულმა ეკლესიამ. არაყიშვილი შენიშნავს: „შნელია ზედმინებით იმის გამოკვევა, თუ რამდენი ხანი დასჭირდათ ქართველებს, სანამ ისინი ახალ ქრისტიანულ გალობას შეეჩვეოდნენ... ეს ახალი გალობა ქართველებმა არა თუ შეითვისეს, არამედ შემდეგში კიდევაც განავითარეს ის საკუთარ თავისებურებებთან შეფარდებით“ — (დასახ. შრომა, გვ. 25). არაყიშვილი თვლის, რომ რვა ხმის სისტემის საქართველოში შემოტანა მოხდა არაუგვიანეს VIII საუკუნისა. მას დასამტყვება მიანიჩა, რომ ქართველებს შეიძლება დაეხსენათ ბერძნული მელიოდიები, მაგრამ სამ მელიოდიებს ძლიერი ცვლილებები უნდა განეცადა ქართულ სამხმიან გალობაში. ვისი მელიოდიაც არ უნდა ემღერათ ქართველებს, ამ მელიოდიებს „საუკუნეთა, ადგილის და გემოვნების ზეგავლენით უნდა განეცადა ცვლილებები სტილსა და ბგერათკომბინაციებში“. „თუ პირველადი წყარო ბერძნული იყო, ამ წყაროსაგან არაფერი აღარ დარჩა“ — (დ. არაყიშვილი, *О Грузинской духовной народной музыке*, გვ. 330). უშვებს რა აზრს, რომ ბერძნული მელიოდიები „აღიბეჭდა ქართულში“, არაყიშვილი სამართლიანად სვამს კით-

ხვას: სადმე ხომ უნდა იყოს დაცული ბერძნული ტერმინები, როგორც მაგალითად „ფოტიზები“, „კულიზები“ და სხვა, ან შეწყობათა (შედეველობაშია კილო — მ. ა.) სახელწოდებები?“ ასეთი რამ არ მოიპოვება — (დ. არაყიშვილი, ქართული მუსიკა, გვ. 27). კ. კეკელიძის ცნობით, საქრისტიანო ღვთისმსახურების პირველ საფეხურზე „ქარბობდა ფსალმუნური ელემენტი, ე. ი. გალობდნენ ფსალმუნებს ანუ დავითნის სხვადასხვა მუხლს“ — (კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტ. ტ. I, გვ. 588). ეს იყო წართქმით სიმღერა — რეჩიტატი, რისი ტრადიციაც ქრისტიანებმა ებრაელთაგან გადაიღეს და შემდგომაც შეინარჩუნეს. პანგის გამოშხატველი ნიშნების პრაქტიკა ბიზანტიაში უფრო გვიან, იოანე დამასკელის (VII-VIII სს.) დროიდან ჩნდება.

მოხუცედავად პალეობიზანტიური ნოტაციის შემცველი მასალის დათარიღებაში არსებული აზრთა სხვადასხვაობისა, მაინც დადგინდა, რომ ბიზანტიური ნოტაციის X საუკუნეზე ადრინდელი პერიოდის შემცველი ხელნაწერები დღეისათვის ცნობილი არ არის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნევემური სისტემის ჩამოყალიბების და მისი პირველი საფეხურის ამსახველი მასალა არ მოიპოვება არც ბიზანტიაში და არც საქართველოში, ვინაიდან ქართული ნევემუნდული ხელნაწერებიც X საუკუნის სხვადასხვა წლებს განეკუთვნება.

ქართული ნევემური სისტემის თანადროული პალეობიზანტიური ნოტაციის ნიმუშები მხოლოდ რამდენიმე ხელნაწერს სახით, ან ხელნაწერთა ფრაგმენტის სახით არის მოღწეული. პალეობიზანტიური ნევემები დღემდე ბოლომდე გაშიფრული არ არის. იგივე ბუდს იზიარებს X-XI სს. ქართულ ნევემური ნოტაცია, რომელიც რიგი მცდელობების მიუხედავად მაინც ამოუხსნელ საიდუმლოდ რჩება. X საუკუნით დათარიღებულ ქართულ ხელნაწერებში მოცემული სტრიქონზედა და სტრიქონქვედა ნევემების სემიოგრაფია განსხვავდება ბერძნული-საგან. ვინაიდან ეს ძეგლები ტაო-კლარჯეთში ფუძედებული ორიგინალური ქართული ჰიმნოგრაფიის მაღალმხატვრულ ნიმუშებს მიეკუთვნებიან, საფიქრებელია, რომ მათ წინ უსწრებდა განვითარების გარკვეული პერიოდი, რომელიც დაახლოებით VII-IX საუკუნეებში უნდა დათარიღდეს. მამასაძე, სანოტო დაშნე-

რლობა ბიზანტიასა და საქართველოში, თითქმის პარალელურად, მაგრამ სხვადასხვა გზით განვითარდა. ეს განსხვავება შემთხვევითი რომ არ არის, ამაზე მიგვიოთობს კიდევ ერთი გარემოება. როგორც ცნობილია, ქართველებიც აპუსიკებდნენ სახარება-სამოციქულოს და სანიხანარ-მეტყველოს. ბიზანტიაში ამისათვის შეიქმნა საგანგებო სისტემა ეკონენტეკური ნიშნებისა, რომლებიც კარგად იცოდნენ ქართველებმაც. გიორგი მთაწმიდელმა ამ ნიშნების ნუსხა დაურთო კიდევ მის მიერ თარგმნილ სახარებას – (გელათის სახარება – XII ს. ფ. 279v, ხელნაწერი Q-908), რაც გვაფიქრებინებს, რომ ქართველები იყენებდნენ ამ ნიშნებს და არ დასჭირვებიათ საკუთარი სისტემის შექმნა. ეს ბუნებრივია, ვინაიდან ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს რეჩიტაციასთან – რომელიც ყველგან ერთხმია. ამიტომ ცალკე საგანგებო ნიშნების შეთხზვის აუცილებლობა არ წარმოქმნილა. რაც შეეხება გელობას, იგი, როგორც ეტყობა განსხვავებულად ბიზანტიაში არსებული ტრადიციისაგან, რის გამოც ბიზანტიური ნიშნები ქართველებმა ვერ გამოიყენეს და საკუთარი შექმნეს. ვინაიდან არ არის ამოხსნილი X საუკუნის ქართული ნეკუმური დამწერლობის მნიშვნელობა, შეუძლებელია ამ დროის საგელობელთა ჰანგის რეგარობის – ბერძნულია თუ ქართული – დადგენა. ცხადია, ეს არ გამოორიცხავს იმის შესაძლებლობას, რასაც იოანე ბატონიშვილი ამტკიცებს: XI საუკუნიდან გიორგი მთაწმიდლის მიერ დამკვიდრდა გელობის ქართული კილო. სამწუხაროდ, არ არის ცნობილი, თუ რა წყაროებზე დაყრდნობით ჩამოაყალიბა იოანე ბატონიშვილმა ზემოთმოტანილი დებულება, თუმცა მისი რეალობის საფუძველი იოანეს რომ ჰქონდა, ამის დასტურად გამოდგება ახლახან, მეცნიერ ღ. ხევსურიალის მიერ მოპოვებული ცნობა. გიორგი მთაწმიდლის პარაკლიტონის ტექსტზე მუშაობისას მკვლევარმა აღმოაჩინა თვით გიორგის მიერ შესრულებული ანდერძ-მინაწერი, სადაც ის პირდაპირ მიუთითებს ძლისპირზე ქართული ავაჯის დადების შესახებ.<sup>1</sup>

თუკი ქართულ ხალხურ სიმღერებში მრავალხმიანობის სხვადასხვა ტიპები

არსებობს, საეკლესიო მუსიკაში მხოლოდ სამხიანობაა დამკვიდრებული. ყველა საგელობელი იგელობება სამ ხმაზე. ამათგან კანონიკურია პირველი ხმა. მეორე და მესამე კი შემხმობარი ხმებია. პირველი ხმის კანონიკურობა არაერთ მკვლევარს აქვს აღნიშნული. ჩვენთვის ძვირფასია ექვთიმე კერესელიძის ერთი განმარტება, სადაც იგი კილოზე გელობის აუცილებლობაზე მიუთითებს. ქართულ ენაში კილოს რამდენიმე არსებული მნიშვნელობიდან ერთ-ერთი გულისხმობს კანონიკურ ჰანგს, ანუ რვა ხმის სისტემაში დადგენილი თითოეული ხმის შესაბამის მკლოდას. ეკერესელიძე წერს: „საგელობელი ან მარტო კილოზე უნდა იგელობონ, ან შიგადაშიგ გამშვენებით, ხოლო მარტო გამშვენება და გავარდიშება მთელი საგელობლის არ შეიძლება. ის იქნება უსაფუძვლო და უვარგისი, რადგან გადავარდება თუვის წესიერის გზადგან და დაიკარგება კილო“ (ხელნაწერი Q 674, გვ. 190). პირველი ხმის მნიშვნელობაზე საინტერესო ცნობას იძლევა ვას. კარბელაშვილიც: „ჭეშმარიტებით და საქვეყნოდ შემიძლიან აღვიარო ეს ხასიათი ქართული გელობისა: პირველ ტენორს აქვს საფუძველი გელობისა. ესე იგი დედასაებრ მიუძღვის წინ მოძახილსა და ჰანს“ (ხელნაწერთა ინსტიტუტი. ვას. კარბელაშვილის არქივი № 199).

კარგა ჰანს იყო გაბატონებული აზრი, რომ სამუსიკო დამწერლობა საქართველოში X-XI სს. შემდეგ მოიშალა. მაგრამ ბოლო დროის გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ეს ტრადიცია დასტურდება XVIII-XIX სს. ხელნაწერებშიც. ვინაიდან ნეკუმური სისტემა არ შეიცავს სრულ ინფორმაციას საგელობლის მუსიკალურ აღნაგობაზე და მხოლოდ შეახსენებს განსწავლულ მგელობლებს ამა თუ იმ საგელობლის დამახასიათებელ საქცევებსა და ბრუნვებს, XIX საუკუნეში დაიწყო საგელობლების ხუთხაზიან სანოტო სისტემაზე გადატანის ხანგრძლივი პროცესი. მაგრამ ეს არ იყო მთავარი მიზეზი. ძირითადი არის საგელობლების ფიქსირებისა ისაა, რომ ქართული გელობა ზემოთხსენებული ისტორიული მიზეზების გამო თანდათან კარგავდა

<sup>1</sup> ქალბატონმა ლ. ხევსურიანმა ნაიკითხა მოხსენება „ახალი ცნობა ქართული ავაჯის შესახებ გიორგი მთაწმიდლის პარაკლიტონში“ ილია აბულაძისადმი მიძღვნილ საიუბილეო სესიაზე, რომელიც გაიმართა ხელნაწერთა ინსტიტუტში 2001 წლის 27-28 ნოემბერს.



ფუნქციას და მასთან ერთად თავის ძირითად თვისებას — ზეპირი გადაცემის ტრადიციას. ცნობილია, რომ ქართველ ერს განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭი უბოძა ღმერთმა. ეს ნიჭი არამხოლოდ ურთულესი პოლიფონიური სიმღერების შეთხზვაში ვლინდება, არამედ მათ დამახსოვრებაშიც. სწორედ ზეპირმა ტრადიციამ საუკუნეთა გავლით შემოგვინახა წინაქრისტიანული დროის უნიკალური სიმღერები. ქართველთა საგანგებო მუსიკალურ მენსიერებას ჯერ კიდევ გიორგი მთაწმიდელმა მიაქცია ყურადღება ღმრთისმშობლის საგალობლების ჩანერასთან დაკავშირებით. აი, რას წერს იგი ერთ-ერთ ანდერძში: „ბერძენთა... ზეპირით ღმრთისმშობლისანი არა იციან და ამის მიზეზისათვის იგივე ღმრთისმშობლისა თანა უწერია, რომელ კანანახითა თქუან... ჩუენ წყალობითა ღმრთისათა ვიცნით ზეპირით“ [კლ. მეტრეველი, „მეხლოს“ და „მეზურის“ გაგებისათვის, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, თბ., 1966, გვ. 162].

ამრიგად, სინოდის მიერ ქართული გალობის მიმართ გატარებული ზომები იქცა ძირითად ბიძგად საგალობლების მომავალი თაობებისათვის ხელშეუხებლად შენარჩუნებისა.

სინოდის ბრძანებით საქართველოს ეკლესიებში აიკრძალა ქართულ ენაზე მსახურება. ეს იყო დიდი ღახვარი იმ ერისათვის, რომელსაც V საუკუნეში პალესტინაში, საბა განწმენდილის ლავრაში პქონდა თავისი ეკლესიები და ნება ეძლეოდა ფსალმუნება და მსახურება შეერულეებინა დედა ენაზე (მთხ. სკაბალანოვიჩი, განმარტებითი ტიპიკონი, გვ. 324). მსახურების რუსულ ენაზე გადასვლას მოჰყვა სასულიერო სასწავლებლებსა და სემინარიებში ქართული ენის შევიწროება. მთავარი დარტყმა ქართულმა საეკლესიო გალობამ მიიღო, ვინაიდან აიკრძალა არამარტო ქართულენოვანი ტექსტი, არამედ ქართული კილო გალობისა. მის ნაცვლად დამკვიდრება დაიწყო რუსულ-სლავურმა გალობამ. ქართულ გალობას სემინარია-სასწავლებლებში კიდევ ანახლოდნენ, მაგრამ ვინაიდან ეს გალობა მსახურებაში აღარ გამოიყენებოდა, იგი თანდათან კარგავდა თავის სასიცოცხლო ფუნქციას. საქმეს ართულებდა ეკლესიების უსახსრობაც, რაც პროფესიულ

მგალობელთა გუნდების შენახვას აძენლებდა.

დაიწყო ქართული გალობის ტრადიციის რღვევა, რამაც ცხადია შემფორთება გამოიწვია ქართულ საეკლესიო და საზოგადო მოღვაწეთა წრეებში.

თუ XIX საუკუნის ნახევარში კიდევ მოქმედებდნენ მგალობელთა სკოლები ამერიკურში და ცოცხალი იყვნენ გალობის სრული რეპერტუარის მცოდნე მგალობლები, გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან უმრავლესობამ სკოლებისა შეწყვიტა არსებობა. ერეკლე შეორის დროინდელი მგალობლები თანდათან მიიცვალნენ, მათი საქმის გამგრძელებლების რიცხვი კი სულ უფრო მცირედებოდა. შემდეგი თაობა უსახსრო, და, რაც მთავარია, ფუნქციადაკარგული აღმოჩნდა. რეალურად შეიქნა ქართული გალობის ტრადიციების დაკარგვის საფრთხე.

ამ პერიოდის ქართულ პრესაში ნიაღვარივით იწყებს დენას საგანგაშო წერილები, რომელთა ავტორები უკიყინებენ ქართველ მუსიკოსებს, რაც შეიძლება სწრაფად გადაიტანონ ნოტებზე ძვირფასი განძი. დიმიტრი არაყიშვილი წერდა: „თუ გავითვალისწინებთ მონასტრების იმ რაოდენობას, რაც ქართველებს ჰქონდათ, და იმასაც, რომ ყოველ მონასტერს ალბათ თავისი კილო გააჩნდა, მაშინ ქართული პანგების უთვალავი რაოდენობა წარმოგვიდგება ნათელი რელიეფურობით... ეს კილოები უნდა არსებობდეს, მხოლოდ უნდა დაიძებნოს და დაუყოვნებლივ იქნეს ჩანერილი, ვიდრე დრო გავა და ყველაფერი არ დავიკარგება“ (Д. Аракчиев, О Грузинской духовной народной музыке, стр. 331).

დიმიტრი არაყიშვილი, ანდრია ბენამვილი, გრიგოლ, პოლივექტოს და ვასილ კარბელაშვილები, ექვთიმე (ესტატე) კერესელიძე, ზაქარია ფალიაშვილი, ფილიპონ ქორიძე, რაჭდენ ხუნდაძე — აი, ის ქართველი მოღვაწეები, რომელთა მეოხებითაც მოხდა ფიქსირება და ნოტებზე გადატანა ათასობით ქართული საგალობლისა და ძირითადი მსახურებებისა (ფამისნირვა, მწუხრი, ცისკარი). უცხოელთაგან უნდა მოვიხსენიოთ ქრისტეფორე გროზდოვის, მიხეილ იპოლიტოვიჩ-ივანოვის და ნიკოლოზ კლენიოვსკის სახელები.

ქართველ მოღვაწეთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ექვთიმე



(ერობაში — ესტატე) კერესელიძეს, რომლის მოღვაწეობის შედეგია ამჟამად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული რამდენიმე ათასი საგალობელი, გადანერილი და განკობილი ღვინძასაზურების სხვადასხვა განჯეუბების მიხედვით, შემკული მნიშვნელოვანი ავტორისეული შენიშვნებით.

სხეებისაგან განსხვავებით, ექვთიმე კერესელიძემ თვითონვე დაგვიტოვა დოკუმენტური მასალა იმის შესახებ, თუ რა გზით და ვისგან მოხდა საგალობლების ჩანაწერა. მხედველობაში გვაქვს ხელნაწერი Q-840 „ქართული საეკლესიო საგალობლების ნოტებზე გადაღების ისტორია“ (1936 წელი).

ექვთიმე კერესელიძის ცნობით, გალობის ნოტებზე გადაღების ერთ-ერთი მრთავითაგანი ყოფილა ქაშუეთის ეკლესიის გუნდის რეგენტი — მელქისედეკ ნაკაშიძე. მან თხოვნით მიმართა გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში იტალიიდან დაბრუნებულ, ეროპულიად განსწავლულ მუსიკოსს, ცნობილ მომღერალს და ქორმაისტერს ფილიმონ ქორიძეს, გადაეტანა ნოტებზე ქართული გალობა. აი, როგორ ვადმოგვცემს ნაკაშიძის თხოვნას ექვთიმე: „გურიის დიდი მგალობლები — ანტონ, გიორგი, დავით დუმბაძეები და სხვები, რომელთაგან მისწავლია, დიდი სურვილი მქვს, რომ ეს ეროვნული დიდება და ცოდნა ნოტებზე იქმნეს დანერვილით, რადგან დროის განმავლობაში ემჩნევა, რომ სრული ქართული გალობის მოსწავლენი მცირდება და ბოლოს, ეს დიდი მცოდნე მგალობლებიც დაიხოცებიან და გალობაც დაეკარგება ჩვენს მომავალ თაობას“ (Q-840 გვ. 10).

ექვთიმე კერესელიძე წერს, რომ პირველი სანოტო სტამბის დამარსებელი საქართველოში იყო მაქსიმე შარაძე, ხელისშემწყობი კი ილია ქავჭავაძე და ალექსანდრე ხახანაშვილი. მაქსიმე შარაძის თხოვნით ილიას წერილი მოუწერია მოსკოვში მყოფ ხახანაშვილისათვის და 1891 წლის 10 დეკემბერს შარაძის სტამბამ მიიღო „პირველი საქართველოში ნოტების ასოები“ (Q-840, გვ. 29). შარაძის სტამბა იწყებს ქართული საგალობლების ბეჭდვას. 1895 წ. გამოდის „ლიტურგია იოანე

ოქროპირისა მღვდელისა და მღვდელმთავრისათვის“ (პარტიტურა და ცალკე ხმები, ნოტებზე ჩანერილი ფილიმონ ქორიძის მიერ); 1847 წ. ვ. კარბელაშვილის მიერ ჩანერილი „მწუხრი“; 1899 წ. მ. იპოლიტოვიანოვის მიერ გადაღებული „იოანე ოქროპირის წირვის წესი“; 1901 წელს, მისივე წირვის საგალობლები „საგალობლნი პირველ შენიშრულისა, ვასილი დიდისა მღვდლად კურთხევისა და ქორწინებისა“ (პარტიტურა №2); 1904 წ. აღდგომის საგალობლნი (პარტიტურა №4).

1907 წლიდან, მ. შარაძის გარდაცვალების შემდეგ, სტამბა გადადის კერესელიძის ხელში. 1911 წელს სტამბა ჯერ გამოსცემს წირვის სადღესასწაულო საგალობლებს (გაბრიელ ეპისკოპოსის ვასარგულებით, ფ. ქორიძის მიერ ჩანერილს), შემდეგ კი ხუნდაძის მიერ ჩანერილ წირვას „ლიტურგია იოანე ოქროპირის, ვასილი დიდისა და გრიგორი ღვთისმეტყველისა“ (პარტიტურა).

შარაძის გარდაცვალებამდე (ე. ი. არაუგვიანეს 1907 წლისა) შარაძემ, კერესელიძემ და გძელიძემ საკუთარი ხარჯით მიაღწინეს ქორიძე ოზურგეთში დუმბაძეების ოჯახში დაცული სამგალობლო რეპერტუარის ჩანაწერად. ეს მუშაობა 1910 წლამდე ვაგრძელდა, რის შედეგადაც ჩანერილი იქნა „ყოველივე რვა-ხმა საგალობლები და ყოველივე სადღესასწაულო საგალობლები და მთლიანად სძლისპირთა საგალობლნი, აგრეთვე კილის წირვის წესები და სხვა“ (Q-840, გვ. 39). საგალობლების უფრო სწრაფი ფიქსირების მიზნით ფილიმონ ქორიძემ ექვთიმესა და მაქსიმეს თანხმობით ერთ ხმაზე ჩაწერა საგალობლების დიდი ნაწილი — „ცალხმაზე იმიტომ, რომ უფრო ბერძნულად წერდნენ და ჩვენს სურვილიც ის იყო, რომ დაუნერავი არ დავგრჩენოდა, მოძახილისა და ბანის დანერა შემდეგ დროებშიდაც შესაძლებლად მიგვარნდა“ (Q-840, გვ. 38). მაგრამ იმედი არ გამართლდა. 1907 წ. გარდაიცვალა ანტონ დუმბაძე, რამდენიმე ხნის შემდეგ — 1911 წელს — ფილიმონ ქორიძე და დარჩა ცალ ხმაზე ჩანერილი ასობით საგალობელი.

ექვთიმე კერესელიძემ მთელი თავისი დარჩენილი სიცოცხლე მიუძღვნა ქორიძის მიერ ჩანერილი საგალობლების სამ ხმაზე განყოფას, მათ მონესრიგებას



ლეთისმსახურების შესაბამისი განგების მიხედვით და ნაკლები საგალობლების აღდგენას. ამისათვის იგი გადავიდა საცხოვრებლად გელათის მონასტერში (1912 წლიდან) და როგორც ეტყობა ბერად აღიკვეცა, ვინაიდან მის მიერ გადაწერილ ხელნაწერებს აწერია „საკუთრება ბერ-მონაზონ ექვთიმესი“.

გელათი იყო ის ადგილი, სადაც ჯერ კიდევ ტიპიკონის სრული წესების დაცვით ხდებოდა ღვთისმსახურება: „სრული ტიპიკონის წეს-რიგი ყველა მონასტერზე უფრო იქ სრულდებოდა და ამიტომ საჭირო იყო ჩემთვის მათი კანონიერი შესწავლა და მის დაგვირგად ნოტების გალობით მწყობრად დალაგება“ - წერს „ისტორიაში“ ექვთიმე (Q-840, გვ. 85). ამან საშუალება მისცა კერესელიძეს შეედგინა ყველა განგების შესაბამისი საგალობელთა კრებულები, მათ შორის განყოფილი რვა ხმაზე.

1924 წლის არეულობის გამო ექვთიმემ გელათიდან მთელი ურემი სანოტო ხელნაწერები გამოიხიზა და ვინაიდან საქმე ჯერ არ პქონდა დამთავრებული, გააგრძელა მუშაობა. მხოლოდ ჩამოთვლილი ექვთიმეს მიერ გადაწერილი და შედგენილი „საგალობელთა ნიგნებისა“ ცხრა გვერდს შოიციას. 1932 წელს ექვთიმემ საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებას გადასცა მისი 42 წლის მოღვაწეობის ნაყოფი, რომლის ღირებულება ქართული გალობის შემსწავლელთათვის განუსაზღვრელია (Q-840, გვ. 98).

როგორც აღვნიშნეთ, ექვთიმე გელათის მონასტერში დამკვიდრდა, რათა სწორად შეედგინა იმდროინდელ ღვთისმსახურებაში გამოყენებული საგალობლების ნუსხები და დაეცვა მათი თანმიმდევრობა ღვთისმსახურებაში შემუშავებული წესების შესაბამისად. ამის შემდეგ, როგორც ეტყობა, ექვთიმემ ათასობით „შავი“ ჩანაწერებიდან ამოკრიბა საჭირო საგალობლები და გააწყო ისინი ღვთისმსახურების სამი ძირითადი განგების მიხედვით. ესენია - ლიტურგია (ჟამისწირვა), მწუხრი და ცისკარი. სულ, ექვთიმეს ცნობით, მას ჩაუწერია 2952 საგალობელი (ხელნაწერი Q-665 „შთასახელი“).

კერესელიძეს ხელნაწერები ორჯერ გადაუცია მუზეუმისათვის, პირველად, მ. შარაძის გარდაცვალების შემდეგ სტამ-

ბის გაყოფის გამო, ექვთიმეს თავისი წილი ქორიძის მიერ ჩანაწერილი საგალობლებისა გადაუცია უნივერსიტეტის მუზეუმისათვის. მუზეუმის დირექტორი იმ პერიოდში იყო ექვთიმე თავაიშვილი. საგულისხმოა ის სიტყვები, რითაც მიუმატრთავს ერთ ექვთიმეს (კერესელიძეს) მეორისათვის (თავაიშვილისათვის): „ყველა ეს ნიგნები და საგალობლები ფილიმონ ქორიძის დაწერილია, ესენი კიდევ მოუთავებელია, ჯერ კიდევ ბევრი ხარჯი და შრომა სჭირდება, რომ ყველა მოთავდეს, და სწორედ როცა მოთავდება, ყველასათვის დიდად სასიამოვნოა სასარგებლო იქნება! და მეც ამის მსურველი ვარ, რომ ასე მოთავებულად მუზეუმში დავაწყო დასაცავად, ჩვენს მომავალი თაობის სასარგებლოთ. ამისთვის მე თვითონ სულითა და გულით ეზრუნავ, ვმრომობ, ხარჯს ვწვევი, ვათეთრებ, ვაწყობ და რაც აკლია ვაწერინებ სამ ხმაზე გამშვენებით. მე ჩემს შეძლებას და ფულს მაგ კეთილი საქმისათვის არა ვზოგავ და სხვის შეწევნას და დახმარებას არავისა ვსთხოვ“ (Q-84, გვ. 56).

მეორედ, საგალობელთა ნიგნები (როგორც მათ ექვთიმე უწოდებს), კოტე ფოცხვერაშვილის მთავრობასთან შუამდგომლობით, ჩაიბარა საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებამ. ამის შედეგად ხელნაწერთა ინსტიტუტში აღმოჩნდა 28 ტომი საგალობლებისა, რომელთა საერთო რაოდენობა, ვაჟა გვახარია ცნობით, 6000-ს აღემატება (ვაჟა გვახარია, ქართულ მუსიკალურ სისტემათა განვითარება, გვ. 98). აქ ცხადია, მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ ზოგან მეორდება ერთი და იგივე საგალობელი, რაც ერთის მხრივ გამოწვეულია სხვადასხვა გადამცემთა ჩანაწერების, მეორეს მხრივ კი სამ ხმაზე განყოფის (ხუნდაძე, ნიკოლაძე, კერესელიძე) ვარიანტების არსებობით.

გარდა საგალობელთა განგებების მიხედვით განაწილებისა, რაც ექვთიმემ ძირითადად გააკეთა, იგი ცდილობდა დაეფიქსირებინა საეკლესიო მსახურების წესი. „ცისკრის“ განგების სარჩივის წინ მოცემულია თანრიგი მსახურებაში საგალობლების ჩართვისა მათი ცვალებადობის გათვალისწინებით“ (Q-673, გვ. 2-4). ჟამისწირვის პარტიტურაში მოთავსებულია არამარტო სამივე წესი თავი-



სი უძრავ-მოძრავი საგალობლების რიგით, არამედ საგალობოდ მარტივი და რთული ვარიანტები. მხედველობაში გვაქვს ამ ხელნაწერში ჩართული საბავშვო სადა კოლოზე ჩანერილი ნირვის ნესი (Q-674, გვ. 245). ეს საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ ქართულ ეკლესიაში არსებული გალობის ტრადიცია და წარმოდგენა შევიქმნათ იმის შესახებ, თუ რა სახით წარმოებდა ღვთისმსახურება საქართველოში იმ დრომდე, ვიდრე ეკლესიები და მათი მსახურნი, ახალი წესწამებულების მსხვერპლი შეიქმნებოდნენ.

განსაკუთრებით ძვირფასია ის ცნობები, რომლებიც მოთავსებულია მინაწერების და კომენტარების სახით ხელნაწერთა აშიებზე ან ჩაკნძულია რომელიმე საგალობელთა წიგნში.

პირველ ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს ხელნაწერ Q-674-ის პარტიტურაში (გვ. 189-191) მოთავსებული შთასახედი, სადაც ექვთიმე კერესელიძე მოძღვრავს მომავალ მგალობელს და ხსნის სადა კილოსა და გამშვენებულ კილოს მნიშვნელობას, მათ ადგოს მგალობლების აღზრდისა და ჩამოყალიბების საქმეში. „ყველა საგალობელს თავ-თავისი საკუთარი ბუნებითი კილო აქვს, და ეს კილო, მისი საკუთარი ბუნებითი გზა არის“ — წერს ექვთიმე. თუ მგალობელმა კარგად იცის „ნამდვილი კილო“, იცის „ყველა მოხლებლის ხმის მიმოხვრანი“, მხოლოდ მაშინ შეუძლია გაამშვენოს საგალობელი თავისი ბუნებრივი მონაცემებისა და ცოდნიდან გამომდინარე. გამშვენების პროცესში დროდადრო აუცილებელია კილოზე დაბრუნება, ვინაიდან მხოლოდ ვარკიშით (გამშვენებით) გალობა, კილოს დაკარგვის საშიშროებას ქმნის, „და კილოს დაკარგვა იგივე გალობის დაკარგვა არის“. ექვთიმეს ნიშნულად მისივე ჩანაწერები მოჰყავს, სადაც ხშირია მთქმელის პარტიკაში ორი მელოდიური ხაზის ამოწერა. ასეთ დროს ერთი ხაზი მელოდიისა (წმინდა) ჩვეულებრივი ზომის ნოტებითაა ამოწერილი, მეორე კი უფრო მცირე ზომის ნოტებით. კილოს წმა მთქმელის პარტიკაში ზედა მელოდიურ ხაზს მიჰყვება, გამშვენება კი ამავე პარტიკის ქვედა მელოდიურ ხაზს.

ხელნაწერ Q-689-ში დაცულია ექვთიმეს ანდერძი, სადაც იგი მეტად საინტერესო ცნობებს გვანდის წმინდანთა

ყოველდღიური საგალობლების ტექსტის აღმოჩენასა და მათ წმაზე დადების შესახებ. იგი იძლევა აგრეთვე განსაზღვრებას წმინდანთა საგალობელთა, „რომელსაც უწოდებენ ძველად მგალობლები, მინასიპის“ საგალობელად“ (ფ. 139). „მინასიპის“ საგალობლები ექვთიმეს 1925 წელს სვეტიცხოველში აღმოუჩენია: „სალაროს დალაგების დროს შემხვდა ცალკე დადებული ძველი ხელნაწერი სძლისპირთა კრებულის წიგნი და იმ ხელნაწერში ეწერა, რომელიც მინდოდა ყოველდღიური წმინდანების სახელზე „მინასიპის“ საგალობელი“ (იქვე). ექვთიმეს ყველა ეს საგალობელი აღუდგენია „იმ ხმით და იმ კილოთი, როგორც ძველად უგალობებოდა მგალობლებს“ (იქვე) და დაუმატებია „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანთა გუნდის“ საგალობლებიც. მართლაც, ექვთიმეს დიდი შრომა გაუწევია, რაზეც მეტყველებს ხელნაწერებში Q-674 და Q-689 მოთავსებული, როგორც ყოველდღიურად მოსახსენებელ (საზი გადო), ისე ქართველ წმინდანთა საგალობლები. რაც შეეხება ტერმინს „მინასიპი“, იგი სხვაგან (კერესელიძის გარდა) არ შეგვხვედრია. არც სულხან-საბა ორბელიანის, არც ილია აბულაძის და არც არნოლდ ჩიქობავას მიერ შედგენილ ლექსიკონებში ასეთი ლექსიკური ერთეული მოცემული არ არის; — საინტერესო ვერსია ამ სიტყვის განმარტებისა მოგვანოდა ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა, იგი თელის, რომ „მინასიპი“ ნაწარმოებია „მუნასიპისგან“. მართლაც, კერესელიძესთან „მინასიპს“ ორივე ხელნაწერში წინა აქვს ნამძღვრებული სიტყვები: „ქება-ქებულთა“. მუნასიპი, როგორც ცნობილია დიონიზოზნევილი ხასიათის ლექსია, მასში ითქმის ქება მიჯნურისა ან გამორჩეულ პირთა. ამდენად, ეს სიტყვა შეიძლებაა გამოყვანებულია შესხმის შინაარსის მქონე საგალობლების აღსანიშნავად. მაგრამ უფრო მეტად საეარაუდოა, რომ „მინასიპის“ ფუძე ბერძნული „menai“, რომელიც ქართულად თუნის სახელწოდებითაა ცნობილი და წმინდანთა საგალობლებითაა დაკომპლექტებული.

ლიტურგიკული ხასიათის შენიშვნები გაბნეულია როგორც საგალობელთა წიგნებში, ასევე მოცემულია ზემოთ-



ხსენებულ ხელნაწერში Q-840 (ქართული საეკლესიო საგალობლების ნოტებზე გადაღების ისტორია). აქ განსაკუთრებით ყურადსაღებია ექვთიმესული ჩამონათვალი „მწუხრისა“ და „ცისკარზე“ შესასრულებელი საგალობლებისა. ეს არის თავისებური სქემა, რომელშიც უნდა ჩაისვას შესაბამისი დღის და შესაბამისი რიგის საგალობლები. ექვთიმე კერესელიძე „მწუხრისა“ და „ცისკრის“ განგებას საფებურებად ყოფს და თითოეულ ამ საფებურს აღსავალს ან კიბეს უწოდებს. „მწუხრში“, მისი ცნობით 15 აღსავალია, „ცისკარში“ კი — 40 აღსავალი. მწუხრის შესახებ ექვთიმე მიუთითებს: „თითოეულ აღსავალში ყოველ დღესასწაულებში, ყოველ კვირაობით და ყოველი დღე ჩადგება თავთავისი რიგის საგალობლები, მარტო დიდი და მცირე კვერქსები იხმარება ყოველთვის ერთი და იგივე თავ-თავის ადგილზე, დანარჩენი ყველა აღსავლის მუხლები იცვლებიან დღესასწაულის მიხედვით, კვირების რვა ხმის მიხედვით. და ყოველ დღეს რიგის მიხედვით“ (Q-840, გვ. 88). იგივე ცნობა ერთვის „ცისკრის“ აღსავლებსაც. ამის გარდა ექვთიმე იძლევა რვა ხმაზე შესასრულებელ საგალობლების ნუსხას, რასაც მოსდევს მეტად მნიშვნელოვანი ცნობა: „ყველა ეს ხსენებული რვა-ხმები სულ სხვადასხვა ხმისა არიან და ერთმანეთს არა ჰგვანან“ (გვ. 39). ამით დასტურდება, რომ ერთი და იგივე ხმის ფარგლებში სხვადასხვა საგალობლებს (მაგ: ტროპარი, ნარდგომა, იბაკო, კონდაკი) განსხვავებული წმა (ჰანგი) გააჩნიათ, რაც რვა ხმის მელოდური მუხლების თანრულ დიფერენცირებას მოწმობს. ამგვარი დიფერენცირება მხოლოდ ქართული რვა ხმის სისტემისათვის როდია დამახასიათებელი. დიმ. ალფანოვი, ნიგნში «Теория и практика церковного осмогласия», მიუთითებს ხმათა თანრულ დაყოფაზე: «Каждый глас имеет несколько напевов, а именно: а) стихирный (Господи воззвах, стихиры), б) тропарный (Бог господь, тропари), в) ирмолийный (ирмоссы, тро-

пари канонов) и г) аллилуарный (аллилуия поемья по Апостоле и на песнях троичных, а также прокимны» (გვ. 104).

ექვთიმე კერესელიძის მიერ დატოვებული მემკვიდრეობა იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ აქ დაცულია ფილიპონ ქორძის და რაფდენ ხუნდაძის ხელნაწერები; მათი ზენიშვნები. მაგალითისათვის მოვიტანთ რაფდენ ხუნდაძის ერთ ანდერძს, სადაც კილოს მნიშვნელობაა კარგად გახსნილი: „კილო სიმონ კუნტის<sup>1</sup> იცოდა განსვენებულმა არისტომ (არისტოვლე ქუთათელაძე, — მ. ა.), დავენერე უცვლელად ის კილო, რომელსაც თანამედროვე კილოსთან ცოტანი ცვლილება აქვს. მშვენიერი კილოა. მღვდ. რაფდენ ხუნდაძე, 1935 წ. 26 ნოემბერი“ (Q-688, გვ. 267).

ჩვენი მიზანი არ ყოფილა კერესელიძისეულ ხელნაწერებისა და მასში არსებული შენიშვნების და ანდერძების შესწავლა, თუმცა არცერთი ანდერძ-მინაწერი, ნანახიდან არ დაგვიტოვებია უყურადღებოდ. ეს საკითხი ცალკე კვლევას იმსახურებს და ჰიმნოგრაფიულ კრებულებში გაკეთებულ სხვა შენიშვნებთან ერთად შესანიშნავ მასალას მისცემს ჩვენს მნიშვნელოვან ლიტურგიკულ-მუსიკალურ აპარატს და არასრულყოფილ ტერმინოლოგიას. ჩვენ მხოლოდ შევეცადეთ შეგვეხსენებინა ქართული გალობის ქვეშარტი ქომაგის, ამ საქმისადმი ბოლომდე თავდადებული, შეიძლება ითქვას, თავგანწირული პიროვნების ღვაწლი, რომლის ნაამაგარი ძვირფასი და უშრეტო საგანძურია ყველასთვის, ვინც ქართული გალობის ქვეშარტი ბუნებას უნდა ეზიაროს.

გავა დრო და საქართველოს ეკლესიას თანდათან დაუბრუნდება ნამდვილი ქართული საგალობელი, რომელსაც არ განუცდია არც XIX ს-ის რუსულ-სლავური გალობის, არც XIX-XX ს.ს. ევროპული საოპერო მუსიკის და არც XVIII-XIX ს.ს. ბერძნული საგალობლების ზეგავლენა. ამისათვის მხოლოდ ცრო, მოთმინება და ხელნაწერების სახით დაცული ქართული საგალობლებისადმი მეტი გულისყურის გამოჩენაა საჭირო.

1 სიმონ კუნტი ანუ კუტი (ფირცხალაძე) ყოფილა ცნობილი პედაგოგი და კალიგრაფიული სკოლის ხელმძღვანელი (იხ. ე.უ. ბერიძე, გარდა ამისა, როგორც ირკვევა, სამგალობლო სკოლის შემქმნელიც).





ბიბლიოთეკის კატალოგის მიზანია, უზრუნველყოს მკითხველს საჭირო ინფორმაციის მისაღებად. კატალოგის მიხედვით უნდა იქნას შესაძლებელი წიგნების ძიება ავტორის, სახელის, თემატიკის, გამომცემის, წლების, სერიალების, სტრუქტურის, ფორმის, ზომის, ფასის, მდგომარეობის, მისაღებად. კატალოგის მიხედვით უნდა იქნას შესაძლებელი წიგნების მისაღებად. კატალოგის მიხედვით უნდა იქნას შესაძლებელი წიგნების მისაღებად.

კატალოგის მიხედვით უნდა იქნას შესაძლებელი წიგნების მისაღებად. კატალოგის მიხედვით უნდა იქნას შესაძლებელი წიგნების მისაღებად. კატალოგის მიხედვით უნდა იქნას შესაძლებელი წიგნების მისაღებად. კატალოგის მიხედვით უნდა იქნას შესაძლებელი წიგნების მისაღებად.

თბილისი, რუსთაველის გამზ. №28  
ტელეფონები: მთ. რედაქტორის — 99-51-61  
პ/მგ. მდივნის და განყოფილებების — 99-91-00

გადაეცა სახანოებად 4.01.2002 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 4.03.2002 წ.  
ტირაჟი 300. შეკვეთა №40.

გამომცემლობა „მერანი“, რუსთაველის გამზ. №42

ი. 19/6



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

ფასი ორი ლარი

ინდექსი  
76125